

მუსრან მატავარიანი

ორტომეული

ტომი მეორე

**ეტიმოლოგიური ძიებანი
ნარკვევი ისტორიიდან**



გამომცემლობა ინტელექტი
თბილისი

რედაქტორი
ნანა მაჭავარიანი

ISBN 978-9941-402-97-5 (ტომეულის)
ISBN 978-9941-410-02-4

© მუხრან მაჭავარიანი, 2009.
© გამომცემლობა „ინტელექტი“, 2009.

ნ ა ვ ი

ქართველნი (კერძოდ, ზღვისპირა ქართველური ტომნი), ჯერ კიდევ საუკუნეთა მიღმა, ნაოსნობაშიც ჯეროვან სიმაღლეზე მდგარან.

უწინდელ საქართველოში (როგორც ეს ძველი ქართული წერილობითი ძეგლებიდან ჩანს) ცნობილი ყოფილა არაერთი სახეობის იალქნიანი თუ ნიჩბიანი ნავი, – თავისი ნაწილებითა და მწენითურთ.

სახელწოდებანი ამ ნაგებისა, ნავთა ნაწილებისა და მათი მწენისა: ზოგი ბერძნულიდანაა ნასესხები (აქა-იქ ლათინურიდან), ზოგი ზანურია, ზოგი, – ქართული.

ნ ა ვ ი

სიტყვა „ნავი“, – თავისი ფონეტიკური ვარიანტებით, ენათა შორის გავრცელების მხრივ, ტოლს არ უდებს სიტყვას „ლვინო“¹.

„ნავი“ ქართულ მწერლობაში მეხუთე საუკუნიდან ჩანს:

„ნავი იგი განშოვრებულ ხიყო ქუეყანით“ (მათე. 14,24)².

ქართულში „ნავი“ არაერთი მნიშვნელობის სიტყვაა:

1. ნავი – წყალში საცურავი მოგრძო და ღრმა ხის ჭურჭელი.
2. ნავი – ძვ. გემი, ხომალდი.
3. ნავი – იგივეა, რაც სანაბელი.
4. ნავი – მოგრძო ხის ჭურჭელი, საქონლისთვის წყლის სასმელად.
5. ნავი – ბოტან. ნავის მსგავსად შეზრდილი ორი ფურცელი პარკოსანთა ოჯახის მცენარეთა ყვავილისა.
6. ნავი – არქიტ. ეკლესიის შენობის ცენტრალური ნაწილი.

7. ნავი – (ლექს.) ზევით წამოწეული წინა ნაწილი კვერისა, – კვერის თავი (ქეგლ).

8. ნავი – (ქსნის ხეობა) – მთის დაქანებზე ხევსავით გაჭრილი ღარი, რომელზედაც ხეებს (მორებს) აცურებენ.

9 ნავი – (მთიულ). იგივეა, რაც კრიჭა: ხვიმირის ძირში მიკრული პატარა ღარი, საიდანაც მარცვლეული დოღაბში ცვივა.

10. ნაველაჲ – (მოხ.) – კრიჭავე (ქკითსკ).

„ნავის“ საქმე თითქმის ასევეა სომხურსა და სპარსულში [ნაწილობრივ იტალიურსა და ესპანურში]:

სომხ.:

1. ნაი – აუზი, ემბაზი (აიყაყანი)
2. ნაი – ვარცლი (თაგუთ) ხნძამ [აჭარიანი, ტ. III-933 – „ნაი“]
3. ნაი – ბიდახი, ფიალა (რატასკ)
4. ნაი – იგივეა, რაც სანახელი (ხნძამ) [Т. с. с. ар. яз. – т. 4. Ерев. – 1980, გვ. 446]
5. ნაი – წყლის ზედაპირზე მცურავი, ადამიანთა გადასაყვანი და ტვირთის გადასაზიდი სატრანსპორტო საშუალება.
6. ნაი – ხსნარის საზიდავი ხის გობი (მშენებლობაზე).
7. ნაი – პირუტყვის სარწყულებელი ხის ან ქვის გეჯა.
8. ნაი – ნისქვილის ფართო ღარი, რითაც წყლის მძლავრი ჭავლი ენარცხვის ბორბალს [Толк. словарь совр. армян. языка, т. IV, გვ. 18, „ნაი“].

სპარს.:

1. ნავ (ნავ) – გემი, ხომალდი.
2. ნავ – მილი ან ხის ღარი, ბელღარი.
3. ნავ (ნავე) – ვარცლი.
4. ნავ – ხსნარის საზიდავი ხის გობი (მშენებლობაზე).
5. ნავ – მათემატ. მართკუთხაფუძიანი წაკვეთილი პირამიდა.
6. ნავ (ნავჩე) – მომცრო ნავი.

7. **ჟაოს** – ლითონის ყალიბი, – ვერცხლისა და ოქროს ზოდების ჩამოსასხმელად.

8. **კაოს** (ნავაკ) – იგივეა, რაც ნავჩე.

9. **ცაოს** (ნავი) – მებლავური.

იტალ.:

1. nave – გემი, ხომალდი.

2. navicella – პანია ნავი.

3. navicella – დირიჟაბლის კალათა.

4. navicella – მაქო.

5. navicella – გუნდრუკის შესანახი ჭურჭელი.

ესპ.:

1. nave – გემი, ხომალდი:

2. nave – არქიტ. ეკლესიის შენობის ცენტრალური ნაწილი.

3. navicilla – საცეცხლური.

არის მოსაზრება, რომ ინდოევროპულმა სიტყვამ *nāvu-s – (სახელმა იმ ნავისამ, რომელიც საიქიოსა და სააქაოს შორის არსებულ წყალზე მიმოდის და რითაც ხდება გარდაცვლილთა სულების გადაყვანა ამ ქვეყნიდან იმ ქვეყანაში) შეიძინა მეორე მნიშვნელობაც – „სიკვდილი“ და მოცემული ფუძისა და მისგან ნაწარმოებთა ამგვარი მნიშვნელობა აისახა რიგ ინდოევროპულ დიალექტებში:

გოთ. *nauis* – „გვამი, ლუმი, მძორი“, – *ga-nawis* – *trōn* – „დამარხვა, დაკრძალვა (ეტიმოლოგიურად: „ნავით გასტუმრება“), ძვ.-ისლანდ. *náfr* – „გვამი“, ძვ.-ინგლ. *nē(o)* – „გვამი“, ძვ.-რუს. *навъ* – „გვამი“, ძვ.-ჩეხ. *nav* – „სამარე, ქვესენელი, საიქიო“, ლიტვ. *nāve* – „სიკვდილი“ [გამყრელიძე, ივანოვი, გვ. 674, 675, 825]. რუს. *навка*, *мавка* – „სული მოუნათლავად გარდაცვლილი გოგონასი“, ძვ.-რუს. *навъ* – *νεκρός* (ნეკროზი) [ფასმერი – III-35]; და სხვ.

შენიშვნები

ლენო:

1. ქართ. ლენო, მეგრ. ლენი, ჭან. ლენი, სვან. ლუინელ/ლუინალ, ბერძ. οἶνος, ალბ. vëne, ლათ. vinum, ძვ.-ისლანდ. fín, რუმ. vină, იტ. ესპ. vino, ფრ. vin, გერმ. Wein, ინგლის. vine, კიმრული gwin, ებრ. yain, არაბ. wain, ეთიოპ. wein, ასურ. inu, სომხ. գինի (აჭარიანი, I – გვ. 558, – „գինի“), ხეთ. uiana (გამყრელიძე, ივანოვი – II-647).

ნავი:

1. ქართ. ნავი, სომხ. նավ, სპარს. ناه nav, სანსკ. nāu, ქურთ. nav, ოს. nau, navá, ბერძ. ναῦς, ლათ. nāvis (იტ. nave, ესპ. nave, ფრ. nāwe, ხორვატ. nava, უნგრ. náva, თურქ. ناه navi, პორტ. nave [აჭარიანი – III-433] ძვ.-ირლანდ. náu, ძვ.-ისლანდ. nór (გამყრ. ივანოვი, II – 674, 675, 825).
2. იხ. ხანმეტი ტექსტები, ნაკვეთი, I, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და სიმფონია დაურთო ლამარა ქაჯაიამ, თბ., 1984.

ნახვნი:

ნუშა

„ნუშა“/„ნუში“ საბასეული განმარტებით არის „მცირე ნავი“/ „ნავთ უმცირესი“;

ფორმა „ნუშა“ წარმოდგენილია მისი ლექსიკონის ხუთ ავტოგრაფში (ZAB-CD), „ნუში“, – მხოლოდ ერთში (E).

უცხო შესატყვისი (ლ.) „ნუშასი“ საბასთან არის „ბათო“ [ეს „ბათო“ უნდა იყოს იტ. battello – „ნავი“, ან იტალიურივე battana – „მომცრო ერთნიჩბიანი ბტყელძირა“].

ჩუბინაშვილები (ნიკო და დავითი) იმეორებენ „ნუშას“ საბასეულ განმარტებას („ნუშა – მცირე ნავი“); მათთან ამ სიტყვის რუსული შესატყვისია ял, ялик, ნიკოსთან არის თურქულიც: ყაილა¹.

ფასმერით Ял, Ялик-ის ამოსავალია ინგლისური yawl, რომლის წყაროა ჰოლანდ. jol².

დალი და უშაკოვი Ялик-ს განმარტავენ, როგორც „ორ ან ოთხ-ნიჩბიან ნავს, რომელიც ძირითადად მდინარეზე მგზავრთა გადასაყვანად გამოიყენება“³.

მეგრულში „ნავის“ სახელწოდებაა ნიში/ნეში: მე-ნიშოლე – „მენავე“, ო-ნიშოლი- 1. „მდინარეზე (ნავით) გადაყვანის ადგილი; 2. მდინარეზე (ნავით) გადაყვანის საფასური, ქირა.

ი. ყიფშიძე ამ სიტყვის განმარტებისას სავსებით სამართლიანად იხსენებს საბასეულ „ნუშას“⁴.

მეგრულიდან აფხაზურში შესულია ეს ნიში (>ა-ნეშ)⁵.

საიდან უნდა წარმომდგარიყო ქართ. ნუშა/ნუში და მეგრ. ნიში/ნეში?

ჩემი ვარაუდით „ნავის“ ბერძნულ სახელწოდებიდან νασ (მიც. νασι) ჯერ მიღებულია „ნოში“/„ნუში“, – შემდეგ „ნუშიდან“ – „ნიში“. νασ (მიც. νασι) >ნოში/ნუში/ნუშა>ნიში/ნეში⁶.

გამორიცხული ისიც არაა, რომ ამოსავალი ქართ. „ნუშასი“ იყოს სპ. ნავჩე („მომცრო ნავი“):

აჟას (ნავჩე)>ნოჩა>ნუშა>ნიში/ნეში⁷.

შენიშვნები

1. თ. kayık(-ğı) – [კაიიკ(-ლი)], სპ. قايق (ყაიყ) – „ნავი“.

ეს სიტყვა, ფორმით „კაილი“, თურქულიდან შემოსულია ქა-ნურში: ქან. კაილი (т. قايق) – лодка [Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем. МЯЯ 11, С.-Пб. 1910, გვ. 150].

2. „ял, уменьш. ялик. Заимств. из англ. yawl – "ялик, лодка", от голл. jol [М. Фасмер, ЭСРЯ, – т. IV, М., – 1973, 553];

3. „ял, ялик, небольшое гребное судно, о 2-х, 4-х веслах; шлюбка" [В. Даль, ТС – т. IV, М.-1955 – 677];

"ялик [от гол jol] двухвесельная или четырехвесельная лодка, шлюпка, обычно служащая для переправы через реку" [ТСРЯ, – под редакцией проф. Д. Н. Ушакова, т. IV, М., – 1940, гв. 1461]

шлюбка – ნიჩბების მოსმით სატარებელი ნავი [ნ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, II, თბ., 1973, გვ. 659].

4. მეგრ. ნიში, ნეში – лодка; -მე-ნიშოლე – лодочник; ო-ნიშოლი – место перевозки; плата за перевоз (ср. у Орб. ნუშა – лодочка). [И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем С.-Пб., 1914, გვ. 13].

მეგრ. ნიში – ნავი [გ. ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, მარტვილი – თბილისი, 1997, გვ. 250].

5. „50. ანvш=a-nəш (ანეშ) – მ. [ნიში niш-i>] ნეში nəш-i

გრ. ნავი nav-i лодка, греч. ναῦς, [П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, С.-Пб. – 1912, გვ. 13].

6. ავ (<აჟ)>ო/უ:

ზენდ. drafsa (დრაფშა) >*დრაფშა>დროშა>*დრუშა [>დურშაი („კვირიკეს დურშაი“)] ფალ. drafs (დრაფშ) >სომხ. գրաւ>ქართ.*დრაუშ>დრაუჟ>დროჟ [იხ. ჯრ. Անառլյան, ՀԱԲ – I – 697 – „ըրօշ“; სარა ბარნაველი, ქართული დროშები, თბ., 1953, გვ. 20. მზია ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართულ ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., 1966, გვ. 315 – „დროშა“]

ქართ. მტკავ – (<*მტკაჟ)>ჭან. მტკო/მტჟ/ტჟ; მეგრ. ტკო/ტჟ – „მტკაველი“.

ქართ. თავ-და (თადაღმა)>მეგრ. თუ-დო („ქვემოთ“), ჭან. თუ-დე („ქვემოთ“); [იხ. Н. Мара, დასახ. ნაშრ., გვ. 190; И. Капшидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 229, ჰინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000, გვ. 227, 337];

შემდგომ:

ნუში>ნიში/ნეში:

ი/უ:

ჭან. გირინი/გურუნი; – „ვირი“, ენგური/ინგირი

ნისა/ნუსა (მეგრ. ნოსა) – „რძალი“, ქართ. ნუსადია – მეგრ. ნოსადი – ბიცოლა. [ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 2002, გვ. 396]; [იხ. Н. Мара, დასახ. ნაშრ., გვ. 135, 137, 173, 174; И. Кипшидзе, დასახ. ნაშრომ. გვ. 231, 217, 289, 290; საბას ლექსიკონი];

ფუტი/ფიტი; ფუჭი/ფიჭი; ბიჭიკა/ბუჭუკა; ბენუნა/ბენინა/ბუჭულა და სხვ.

აქვე უნდა შევნიშნო: ავ>ო (აჲ>ო) დამახასიათებელია სომხურისათვისაც.

ყრალ >რიოღ („დროშა“);

ღაღყაღ >ღიყაღ („ქედანი“);

ყარღ >არი („ძალა“);

ყალღ >არიღ („ქოში“);

არღ >არი („დღე“) და სხვ.

ეს თვისება (ავ>ო) ახასიათებს ასურულსაც:

qoqazja (< ქართ. კაკასია) [გვ. 0181];

[კ. ნერეთელი, თანამედროვე ასურულის ქრესტომათია ლექსიკონითურთ, თბ., 1980, გვ. 0181]

7. მაგალითი ავ>ო-სი იხ. ზემოთ; (შენიშვნა 6) რაიცა შეეხება ე>ა-სა და რ>შ-ს, ამისათვის შდრ:

სპ. هجر (ბაღჩე) > ქართ. ბაღჩა;

სპ. هجر (ხორდე) > ქართ. ხურდა;

სპ. بچو (ჩუბ) > შუბ-ი [სპ. بچو (ჩუბ) – კვერთხი, ჯოხი, ძელი, ბუნი [იხ. Персидско-русский словарь, Под редакцией Ю. А. Рубинчика, т. I; М. – 1983; გვ. 172, 546, 478]

ვარცლი

ვარცლი არაერთი მნიშვნელობის სიტყვაა:

ვარცლი არის ერთგვარი ნავი¹.

ვარცლი იგივეა, რაც ბურეჯი².

ვარცლი იგივეა, რაც ალატა³.

ვარცლი იგივეა, რაც ხვიშირა⁴.

ვარცლი არაერთგანაა დადასტურებული ძველ წერილობით ძეგლებში:

ვარცლსა თაფლი შთაასხეს (Sin-6)⁵.

ათი დღე დაყვეს პატიოსანთა ნაწილთა მისთა, ეკლესიასა შინა მდგომარეთა, ვარცლითა თაფლსა შინა (Ier-3)⁶.

ვარცლის ფონეტიკური ვარიანტია (ჯერ კიდევ საბას დროს) ვარცხლი:

... რომელიცა გინდა ის ფქვილი ვარცხლში ჩავა⁷.

ვარცლის სვან. შესატყვისად ერთნი ლჷარჩ, ლჷარჩ-ინ-ს თვლიან⁸.

ვარცლი უხმარიათ ლანგრის მნიშვნელობით⁹.

ენგატე ნინოშვილთან ვარცხლა – ნავი სახელწოდებაა ერთგვარი მომცრო ნავისა:

აღმოსავლეთის კარებთან, საიდანაც... გურულები უნდა შევიდნენ თავიანთი პატარა ვარცხლა – ნავებით, დგას ერთი მრისხანე მეკლიტული [„პალიასტომის ტბა“ (ქეგლ)].

აღსანიშნავია, რომ ბერძნული σκαφ¹⁰ და სომხური կուր¹¹ ისევე, როგორც ქართული ვარცლი, – არის ნავიც და არის გობიც.

ვარცლის ამოსავალი უნდა იყოს ლათ. *vascellum*¹² („მომცრო ჭურჭელი“):

vascellum (ვას(ცელლუმ)>*ვარცელ->ვარცლ-¹³

შდრ: ურთხელ- >ურთხლ-¹⁴, სარცხელ- >სარცხლ-¹⁵ და სხვ.

შენიშვნები

1. საბას ვარცლის სწორედ ეს მნიშვნელობა (ნავი) მიაჩნია პირველად: ვარცლი არს მცირე ნავი, ხოლო ცომისა ბურეჯსაცა ვარცლსა უწოდენ ნავის მსგავსებობისათვის.

ჩუბინაშვილები ერთხმად იმეორებენ ვარცლის საბასეულ განმარტებას:

ვარცლი – მცირე ნავი, ანუ ცომის მოსაზელი ბურეჯი... (ნ. ჩ., დ. ჩ.);

2. ბურეჯი/ბუჯერი (რაჭ.) – ცომის მოსაზელი დიდი გობი. თ. თაქანა; ს. ტაშტ (იხ. საბა, ჩუბინაშვილები და ქეგლ).

[თ. tekne – ვარცლი; ს. თაჟთ – ვარცლი];

3. ალატა/ალა – ნისქვილის ნაწილი, სადაც ჩამოდის ფქვილი, საფქვილე (ქეგლ);

4. ხვიმირა/ხვიმირი – ნისქვილის ქვის ზემოთ დაკიდებული ძირეწრო ფიცრის ყუთი, საიდანაც მარცვლეული კრიჭაში ჩადის (ქეგლ);

შდრ:

ინგილ. ვარცლი – ნისქვილში საფქვავის ჩასაყრელი გობი, ცომის მოსაზელი ვარცლის ფორმისაა, ოღონდ უფრო ღრმა და დიდი... ქვემოთ აქვს ხვრელი, მის ქვემოთ კი ხის ფიალაა, რომელშიც ცვივა მარცვალი... (ნათელა როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978);

5. Sin-ბ: კრებული (XI ს.): 163r. ეს ვარცლი ი. აბულაძის განმარტებით არის „კოკა, დოქი“ (ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973);

6. *ler.* – 3: წმიდათა ცხოვრებანი (XI ს.): 2r, 27-29.
7. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I, თბ., 1959, გვ. 247, 25.
8. „... ქართულ ვარცლ – ძირს კანონზომიერად შეესატყვისება სვანური ლჷარჩი – [ლჷარჩლ-ლჷარჩლ- (დ განვითარებულია)... [პ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ., 2000, გვ. 194-195]:
 სვანურ ლექსიკონში (ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000, გვ. 798) ლჷარჩინ განმარტებულია, როგორც ჩოგანი; უ. ცინდელიანის ცნობით: ლჷარჩინ – „წყლის ამოსაღები ფართო ნიჩაბია“ (მრავალთავი, III, თბ., 1973, გვ. 76);
 ლჷარჩი-ი, ლჷარჩინ ვარცლია, ჩოგანი თუ „ფართო ნიჩაბი“ და განვითარებულია თუ არა ამ სიტყვაში ლ, – ამის შესახებ სხვაგან, ცალკე გვექნება საუბარი.
9. იყო ამბაკომ წინასწარმეტყველი იუდეასით და მან შეაგბო გბოლვილი, და შანეცჷნა პურნი ვარცლსა, და განვიდოდა ველად მირთჷმევად მომკალთა [დან. 14,32-33: მცხეთური ხელნაწერი, ბაქარის ბიბლია, ტფილისური ბიბლია];
 რუსულ ბიბლიაში (M. – 1983) შესაბამის ადგილას არის **блюдо** („ლანგარი, სინი“);
10. σκάφη (ἄ) ἦ – 1. ბურეჯი... 2. ნავი (Древнегреческо-русский словарь, составил И. X. Дворецкий, т. II, М. – 1958, გვ. 1478):
11. სიურ – 1. ბურეჯი... 2. ნავი (Հր.Աճառյան, ՀԱԲ - II, გვ. 665);
12. ამ, ლათ. **vascellum**-იდან მიღებულია ფრ. **vaisseau** – „ჭურჭელი, გემი“ და იტ. **vascello** – „გემი“ (M. Фасмер, ЭСРЯ-II-307);
13. შდრ: ბერძ. ζαστιη (ზოსტიერ-) > ქართ. ზორტ-
14. ურთხლი (ურთხელი) – ძელი ულპოლველი. ს. გენი (საბა); ს. კხმჩი (კენი) – ურთხელი (ქ-ՀԼԲԲ, III ხრ. – 1974);

ურთხელი, ურთხლი, ურთხმელი – უთხოვარი, ხე ულ-
პოლველი, раст. нежной (დ. ჩ.);

ურთხელი тисс, нежной – дерево Taxus უმთავრესად T.
baccata L... რჭ., ლჩხ., იმ., გურ. ურთხმელა, ურთხველა...
ქართ. ურთხლი... მეგრ. ურთხელი, სენ. ურთხელ [ა. მაყამ-
ვილი, ბოტანიკურ ლექსიკონი, თბ., 1961];

ურთხველა: ურთხველა ნინვიანი მცენარეა, ნაძვს გავს, გამ-
ძლეა, მაგარი (ლელვანი); ურთხველა ნითელი ხეა, სამასალეთ
იხმარება, ნითელი ფიცარი გამოდის (შრომა)... [ქეთევან ძო-
ნენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974];

15. სარცხელი//სარცხლი: სარცხელს ვამზადებთ კომპის ან ბლის
კანისაგან (ზეღუბანი)... სარცხლი კეთდება ან ბლის, ან არყის
კანით (ხიდარი) ... [ქ. ძონ., დასახ. ნაშრომი];

პარჭაპა

ქართულ ლექსიკოგრაფიაში „კარჭაპას“ განმარტება ზოგადი და
არაერთგვაროვანია:

კარჭაპა – ნავია ერთი (საბა).

კარჭაპა – ნავია ერთგვარი, карбас, коломенка (ბ. ჩ.).

კარჭაპა – მომცრო ნავი, небольшой корабль (დ. ჩ.).

კარჭაპი – მოზრდილი განიერი ნავი ტვირთის გადასაზიდად
(ქეგლ).

სხვადასხვა ენაში არსებობს სხვადასხვა ნავთა, ფონეტიკურად
ერთმანეთის მსგავსი სახელწოდებანი, რომელნიც, ასევე ფონე-
ტიკურად, უახლოესი ნათესავნი ჩანან ქართ. „კარჭაპასი“:

ესენი გახლავთ:

რუს. карб́а́с – „მოდიდო ნიჩბიანი ნავი – აფრითურთ“.

რუს. карбаз – „მომცრო სატვირთო გემი“

ვეპს. karbaz, ფინ. karvas – „ადვილსატარებელი მცირე ნავი“.

ხალხ.-ლათ. **carbasus** – „ერთგვარი გემი“.

რუს. **карбас, карбаз**, ფასმერით, ნასესხებია ვეპსურიდან (**karbaz**)¹;

ამ ხუთთაგან (**карбас, карбаз, karbaz, karvas, carbasus**) ნყარო „**კარჭაპასი**“ შესაძლებელია იყოს ნებისმიერი:

ვეიქრობ, უფრო: **karbaz!**

karbaz (**კარბაზ**)² > **კარბაჭ** – (შდრ: ხუზვა > ხუჭვა, ყაზ > ყაჭ-) > **კარჭაპ-კარჭაპა/კარჭაპი** (შდრ: როსბიკ->როსკიკ-, ვასაკა > ვაკასა)³.

შენიშვნები

1. იხ. М. Фасмер, ЭСРЯ, т. II-195.

ვეპსური – ვეპსების ენა; ვეპსები – კარელური მოდგმის ხალხი (იხ. БСЭ, т. 4, М. – 1971, გვ. 1556).

2. ხუზვა – თმის გაცვენა (თაფზე), გამელოტება (დ. ჩ.).

გახუზვა – გაპარსვა, გაკრეჭა, растрогать (ნ. ჩ.).

ხუჭვა (გურ., იმერ) – კრეჭა; გახუჭული – გაკრეჭილი (ვ. ბერ., გ. შარაშ; ქეგლ)

ხუზვა (<խიიღღ – „კრეჭა, კვეცა“, ხიიღ – „რისვა, მატყლის კრეჭა ან მორისული, მოკრეჭილი მატყლი“, ე. ი. „ნარისევი“) > ხუჭვა.

შუმერ. gās, არაბ. عَزْ خاز' – „ჭრა, კაფვა“.

[**ჩრ.ანაიყან, ჯԱԲ – II – 413-414– „ხიიღ“**]

არაბ. قَز qazz (ყაზ) [სომხ. ყაყ (კაზ)] > ქართ. ყაჭ-ი „აბრე-შუმი“ [**ჩრ.ანაიყან, ჯԱԲ – II – 478– „ყაყ“**].

3. როსპიკ/როსკიპის წარმომავლობაზე არსებობს ორი მოსაზრება:

ა. ქართ. როსპიკ->როსკიკ-(<ახ. სპ. რუსფი – მეძავი ქალი“) [იუსტ. აბულაძე, ვეფხისტყაოსნის 22-ე და 26-ე გამოცემების ლექსიკონები, ქეგლ]

ბ. ქართ. როსპიკ->როსკიპ-(<საშ. სპ. ruspik - „ფურია, ქაჯი“) [მზია ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., - 1966, 198, 206]

ვასაკა>ვაკასა (<სპ. ვაზალე - „ბაყაყი, ხის ბაყაყი“);

სპ. روسپی (რუსფი) - მეძავი ქალი (სპ. - რუს. ტ. I - 741);

სპ. وزغ (ვაზალე) - ბაყაყი, ხის ბაყაყი (სპ. - რუს. ტ. II - 700).

კოპანო

„კოპანოს“ არც ერთი განმარტება საშუალებას არ იძლევა, წარმოვიდგინოთ ამ ნაგის კონკრეტული რაობა¹.

კოპანოს რაობაზე, ასე თუ ისე წარმოდგენას გვიქმნის მისი საბასეული უცხო (ლ.) შესატყვისი: **კულუკა**.

ეს **კულუკა** რომ იგივეა, რაც იტ. feluca, ეჭვი არაა, ვინაიდან საბასთან ეკვივალენტის იტ. f-სი არის ქართ. ვ².

იტ. feluca-ს თურქული შესატყვისია filika/fuluka³, რუსული - фелиога⁴.

რუსულში ნაგის ამ სახელწოდების სამი ფორმაა:

Фелиога, Фелюк, Фелюка.

მის წარმომავლობაზე ორი აზრია:

1. იტ. feluca > რუს. Фелиога⁵.

2. ფრ. felouque > რუს. Фелюга⁶.

ფრ. felouque-ს ესპანური faluca-დან მიღებულად თვლიან, ესპ. faluca-ს, - არაბ. fulūka-დან, არაბ. fulūka-ს ბერძ. ἐφόκιον⁷-იდან, რომლის მნიშვნელობა (დვორეცკითი) არის არა „იალქნიანი“, არამედ „ნიჩბიანი ნავი“ (განსხვავებით ყველა მისგან ნაწარმოებ სახელთაგან)⁸.

ნაგის ეს სახელი არის ჭანურში (ქელუკა)⁹, მეგრულში (ფილუკა)¹⁰, ქართულში (ფელუკა)¹¹.

„კოპანოს“ განმარტება იქნება ასეთი: „კოპანო – მომცრო იალუნინი ნავი, იტ. *feluca*, რუს. *Фелюга*.

ხოლო, უკეთუ ბერძნული *ἑπίκλιον*-ის დვორეცკისეული განმარტებიდან ამოვალთ, მაშინ ეს „კოპანო“ შესაძლებელია დავუკავშიროთ ბერძნულ *κάπη*-ს (ჭან. ხოპე, ქართ. ხოფი – „ნავის ნიჩაბი“)¹² და იგი გავიგოთ, როგორც „ნიჩბიანი ნავი“, *шлюпка*¹³.

შენიშვნები

1. კოპანო – ნავია ერთი. ლ. კულუკა (საბა).
კოპანო – ნავია ერთგვარი (ნ. ჩ.).
კოპანო (ლათინური) – ნავია ერთგვარი, *судно* (დ. ჩ.).
ქეგლ-ი საბას მიაწერს „კოპანოს“ განმარტებას, რომელიც საბასთან არაა: კოპანო – ნავი ერთგვარი, ვარცლზე დიდი, კარაპაზე მცირე (საბა), (ქეგლ).
2. თიწა – ლ. ჯანგო: იტ. *fango* – ტალახი; კალაპოტი, – ჯორმა: *forma* – ფორმა; იფქლი – ჯრუმენტო: *frumento* – ხორბალი; მაკრატელი – ჯორბიჩე: *forbice* – მაკრატელი; მარნუხი – ჯორჭიფე: *forcipe* – მარნუხი; მნიფე – ჯათო: *fatto* – მნიფე; პეპელი – ჯარგალა: *farfalla* – პეპელა; რკინა – ჯერრო: *fetto* – რკინა; საძირკუელი – ჯონდამენტო: *fondamento* – საძირკველი; სიძვა – ჯორნიკაციონე: *fornicazione* – სიძვა და სხვ.
3. *filika/fuluka* იტ. *фелюга, фелука* (*судно*) [Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазаник, М. – 1945].
4. Н. А. Скворцова, Б. Н. Майзель, Итальянско-русский словарь, М. – 1977.
5. ТСРЯ, п. р. Д. Н. Ушакова, IV, ст. 1067: "фелюга и фелука [ит. *felluca*] – Небольшое парусное судно".
6. М. Фасмер, ЭСРЯ, т. IV, 189: "фелюга/фелука/фелюк – через франц. *felouque*...".
7. М. Фасмер, ЭСРЯ, т. IV, 189.

8. ἑφ-όλκιόν τό – 1) буксируемая лодка, шлюпка; 2) груз, багаж [Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т. I, М., – 1958, гв. 723];
9. ფელუკა (т. فلوقة) – „фелюка“, фелюга, парусная лодка, вообще лодка (Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем. МЯЯ 11, С.-Пб. – 1910, гв. 240);
10. ფილუკა (т. فلوقة) – лодка [И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматисю и словарем. С.-Пб., 1914];
 ფილუკა – ნავი [გივი ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, მარტვილი – თბილისი, 1997];
11. ფელუკა [იტალ. feluca] – იალქნიანი მომცრო ნავჭურჭელი, გემი (შავსა, კასპიისა და ხმელთაშუა ზღვებში) [ქეგელ, ტ. VII – სვეტი 58]
12. об. Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т. I, М., – 1958;
 Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем. МЯЯ 11, С.-Пб., 1910, гв. 233: „ხოპე“;
13. шлюпка [<ნიდერლ. sloep (< sluipeu – „სრიალი“)] – მომცრო ნიჩბიანი ნავი (об. М. Фасмер, ЭСРЯ, IV, 455; В. Даль, ТС, т. IV, М., 1955, гв. 640: „шлюпка“ და გვ. 677: „ялик“; ТСРЯ, Под редакцией проф. Д. Н. Ушакова, т. IV, М – 1940, სვეტი 1355; ნ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 1973, გვ. 659).

კარაპა

საბა და ნ. ჩუბინაშვილი „კარაპას“ განმარტავენ, ვითარცა „მომცრო ნავს“, – ყოველგვარი უცხო შესატყვისის გარეშე.

დ. ჩუბინაშვილთან „კარაპა“ მიჩნეულია ბერძნულ სიტყვად და თანდართული აქვს რუს. შესატყვისი: **кораблик**“.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“ საბასეულ განმარტებას („კარაპა – მომცრო ნავი“) უმატებს: „ერთგვარი პატარა გემი (კარჭაპზე მომცრო)“.

„კარაპას“ ნარმომავლობის გასარკვევად, საყურადღებოა რუს. **корабль**-ის ფასმერისეული ეტიმოლოგია:

„ბერძ. **καράβιον, κάραβιον** „გემი“, თავდაპირველ. „კიბორჩხალი“, აქედან ხალხ.-ლათ. **carabus** „ნნელთაგან მონნული, ტყავგადაკრული ნავი“, იტ. **caravella**, ფრ. **caravelle**, პორტ. **caravela**, ესპ. **carabela**, აგრეთვე არაბ. **qārib**, რუს. **корабль**, უკრ. **кораб**, ბულგ. **кѳраб**, პოლ. **korab**!...“

სავარაუდოა: ამოსავალი ქართ. „კარაპასი“ იყოს, როგორც ბერძ. **κάραβιον**, ასევე ხალხ.-ლათ. **carabus**:

κάραβιον (> carabus) > კარაპ-ი (კნინ. კარაპ-ა).

ჭანურში ნავისა, გემისა, სანდლისა და ჭელუკას სინონიმი, ნ. მარის მიხედვით, არის კარავი, რომელიც, მისივე აზრით, ნანსესხებია ბერძნულიდან?

შენიშვნები

1. М. Фасмер, ЭСРЯ, т. II – 321 – "корабль".

κάραβιον (κα) ὀ – 2) კიბორჩხალი [Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т. I, – 875];

carabus – 2) მონნული, ტყავგადაკრული მსუბუქი ნავი [И. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, М. – 1986, – 121];

قارب [ყარობ] – ნავი [В. М. Борисов, Рус.-араб. слов. – т. I – 416];

2. კარავი (ბერძ. καράβι) – გემი, ნავი, ვაპორი, სანდალი, ძელუკა [Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, С.-Пб. – 1910];

ჭან. ვაპორი (იბ. varore) – გემი, ისმის აგრეთვე ვაფური (იქვე);

ჭან. გემი (თ. كمر) – ხომალდი, იალქნიანი გემი (იქვე);

ჭან. სანდალი (თ. صندال) – იალქნიანი ნავი, გემზე მომცრო (იქვე).

სანდალი

„სანდალი“ ქართულ მწერლობაში დადასტურებულია ძველთაგანვე:

„იხილნეს რაჲ თავნი თჳსნი ყოვლითურთ უღონოებსა მიცემულნი, დაუტევეს ყოველივე, რაჲცა იყო, ნავითურთ და თვთ შთასხდეს სანდალსა მცირესა“ [A-162.129r, 4-7a (XI ს.)];

„გარდააგდეს ზღუად მცირე ჯუამალდი, რომელ არს მცირე სანდალი“ [ler-165.198r, 19-22a]; „სანდალი იგი შეაკრეს დიდსა მას“ [იქვე: 198r, 25-27a];

„და ვერ უძლეს სანდლისა შეღებაჲ ნავად, არამედ საბლითა ება ნავსა ზედა“ [A – 199.175r, 12-13 (XII-XIII სს.)]¹.

„სანდალის“ განმარტებისას საბა და ჩუბინაშვილები უთითებენ ერთსა და იმავე წყაროს (მამათ. ცხ. – 6,63);

მათგან ეს სიტყვა განმარტებულია ერთნაირად („სანდალი – მომცრო ნავი“); საბასთან წარმოდგენილია ამ სიტყვის თურქული შესატყვისნი: სანდალ, სანდალი, სანდლი, ჩუბინაშვილებთან, – რუსულნი: ладья (ნ. ჩ.), лодка (დ. ჩ.)

„სანდალის“ პირველწყაროდ ფასმერს მიაჩნია საშ.-ბერძ. σαναταλός „ნავი, – უფრო დიდ ნავზე მიბმული“².

„სანდალი“ დალის განმარტებით „ერთანძიანი თურქული საკ-
აბოტაჟე ნავი“³, მაგაზანიკით, – უბრალოდ: „ნავი“⁴, რადლოვით, –
„განიერი ნავი“⁵.

შენიშვნები

1. იხ. ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1995.
2. М. Фасмер, ЭСРЯ – III – "сандал".
3. В. Даль, ТС, М., – 1955, т. IV.

აქვე, ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს „კაბო-
ტაჟის“ ფასმერისეული ეტიმოლოგია: „каботаж – „прибрежное
грузовое судоходство“. Из франц. **cabotage** (от **cabot-
ter** – "заниматься каботажем") от исп. **cabo** – "мыс".
[М. Фасмер, ЭСРЯ – II – 151]; მე ეს ესპ. „cabo“
მასხენებს ქართ. „ხაბო“-ს, – მით უფრო, რომ ესპ. „cabo“
არის არა მარტო „კონცხი“, არამედ (სხვათა შორის) „კიდე,
ნაპირი“, – ე. ი. ის, რაც ქართ. (იმერ.) „ხაბო“ („მდინარის
ნაპირი“): **cabo** – 1. конец; 2. край; 3. ручка, рукоятка...
[იხ. Испанско-русский словарь, под редакц. Ф. В. Кель-
ина, М. – 1964, გვ. 175];

კონცხი – 1. „ცხვირი კლდეთა, მაგარი და ძნელოვანი“
(საბა), – კლდის (ან მთის) წინ წამოშვერილი ნაწილი. 2. ზღვაში
წვეტად შეჭრილი ხმელეთის ნაწილი (კლდოვანი) [ქეგლ];

4. Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазаник, М., – 1945.
5. В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, тт. 1-4, С.-Пб. – 1893-1911.

ჯუამალდი

„კუამალდი“ იგივეა, რაც „სანდალი“:

„გარდააგდეს ზღუად მცირე კუამალდი, რომელ არს მცირე სანდალი“ [Ier – 165, 198r, 19-22a]¹.

საბასთან „კუამალდი“ დადასტურებულია ფორმით „კუმალდი“, რომლის მისეული განმარტებაა: „მომცრო ნავი, მომცრო ხომალდი“, უცხო შესატყვისნი: სკიფო (ლ.), სანდალ (თ); ნყარო, – „საქმე მოციქულთა 27,30); არადა, ნყაროშია „კუამალდი“: „გარდაუტყვეს კუამალდი იგი ზღუად“.

ვფიქრობ, „კუამალდის“ საბასეული ლ. შესატყვისი „სკიფო“ იგივე უნდა იყოს, რათ ლ. scàpha (<ძვ.-ბერძ. σκάφη)², – „ნავი“ თ. „სანდალ“ კი, როგორც უკვე ვიცით, – თ. sandal – „ნავი“³.

ქართულ ახალ აღთქმაში, სადაც წერია „კუამალდი“, – რუსულშია „лодка“ (საქ. მოც. 27,16; 27,30), სომხურში: ერთგან: „մակույկն“ (საქ. მოც. 27,16), მეორეგან: „կույն“ (საქ. მოც. 27,30)⁴.

შენიშვნები

1. იხ. ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ. – 1995, გვ. 179.
2. scàpha, აე (ბერძ.) – ნავი [И. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, М., 1986-689; ს. ყაუხჩიშვილი, ლათინურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1961-306];
σκάφη (ἄ) η – 1. ვარცლი... 2. ნავი [Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т. II, М., 1958-1478]
σκάφος, εος (ἄ) τό – ხომალდი [იქვე].
τό σκάφος – ხომალდი [А. А. Иоаннидис, Русско-новогреческий словарь, М., 1983-265 – "корабль".
3. sandal – ნავი [Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазаник, М., 1945-518; Турецко-русский словарь, М., 1977-750];

4. სიერ ყოსასყარან. ლინიყრ - 1892.

მასიიქ (მყოფქ)/სიიერ (ქურ) - ნავი [ქრ.მნათიყან, ჳსმ - II - 665- „სიიერ“].

სომალდი

არსებობს „სომალდის“ ოთხი, არსებითად ერთნაირი განმარტე-ბა:

1. სომალდი - დიდი ნავი. უდიდეს ყოველთა ნავთა არს, ხოლო ვიეთნი ქუმალდს მომცროსაც უხმობენ. ლ. საიკა; თ. ქემტი, გემი (საბა);

2. სომალდი - დიდი ნავი („ვეფხისტ.“ 1026, 1307), **корабль, судно** // ზოგგან უხმარიათ ნაცულად მცირისა სანდლისა (საქმ. 27, 16, 32), **ладия, лодка** (ნ. რ.)

3. სომალდი, ხვამალდი - დიდი ნავი; **корабль**, საომარი სომალდი, **военный корабль**; „ვეფხ.“ 1030, 1311 (დ. რ.).

4. სომალდი/ხვამალდი - დიდი საზღვაო გემი (ქეგლ).

„სომალდის“ საბასეული ლათ. შესატყვისი „საიკა“ ლათინურსა და იტალიურში არ აღმოჩნდა; ვფიქრობ, - იგი უნდა იყოს თ. *sayka* (შაჟკა), რაც მაგზანნიკით, არის „ბარჟა“¹, ბასკაკოვით, - „დიდი კაზაკური ნავი“², ფასმერთ, - „ნავი“, - რუს. „чайка“³. (ხოლო: „საიკა“ რამდენად მართებული შესატყვისია „სომალდისა“, - ეს უკვე ცალკე საკითხია).

თ. ქემტი: სპ. **كشتى** (ქაშთი/ქეშთი) - სომალდი, გემი⁴.

თ. გემი: თ. **gemi** - გემი⁵.

რ. **Корабль, судно** - გემი, სომალდი⁶.

რ. **ладия/ладья** (<ძვ.-რუს. **лодья/лодьяка**) - ხვამალდი⁷.

რ. **лодка** (უკრ. **лодь**, ჩებ. **Lod**) - პატარა ნავი⁸.

„სომალდი“ ნახსენებია „ვეფხისტყაოსანში“:

„შევიდეს, ჩასხდეს სომალდსა, გამართეს ზღვისა კიდითა“⁹.

ნახსენებია საბასთან:

„... ღვინობისთვის ერთი მალთისის **ხომალდი** და ერთი არაბის **ხომალდი** ღამით შეყრილიყვნენ“¹⁰.

აკაკი ნაცვლად „ხომალდისა“ წერს „ხვამალდს“:

„ამ დროს **ხვამალდმა** გამოიარა“¹¹.

„ხომალდის“ მეგრული ფორმაა „**ხვამარდი**“¹², სვანური, – „**ქჷალმანდ/ქჷალმანდ**“¹³.

„ხომალდის“ დიალექტური ფორმებია: ქვემოიმერული: „ხომალდი/ხვამალდი/ხვალმადი“¹⁴; ზემოიმერული: „**ხომანდი**“¹⁵.

ნ. მარმა, 1926 წელს, გამომდინარე იქიდან, რომ გადაადგილების ცხოველური საშუალების სახელწოდება არაიშვიათად იძენს წყალზე მოარული ნაგებობის მნიშვნელობას, ქართ. „**ხომალდის**“ ამოსავლად მიიჩნია აქლემისა და ცხენის სახელწოდებანი: არაბ. *gāmāl, ka-mel*, ბერძ. *κάμηλος* – „აქლემი“ და ლათ. *caballus* – „ცხენი“:

gā-māl, ka-mel, ka-bal, ca-bal-us>qo-mal>qomald-i¹⁶

12 წლის შემდეგ, 1938 წელს, მისივე აზრით, აფხ. **ა-ღბა** („გემი“) და ქართ. **ხომალდ-ი** მიღებულია ჰიპოტეტური ფორმიდან **ღორ-ბალ**:

ღორ-ბალ>ღო-ბალ>ღ-ბალ>ღბა>ა-ღბა!

ღორ-ბალ>ღო-ბალ>ხო-მალ>ხო-მალ-დ-ი!

ხოლო რუს. **корабль** ღორ-ბალ-ის ფონეტიკური ვარიანტიდან: **ღყორ-ბალ**:

ღkor-a-bel-e>kor-a-bl-ბ.¹⁷.

მ. ფასმერით რუს. **кора́бль**, უკრ. **корабель**, **кораб**, ბულგ. **кóраб**, პოლ. **кораб**, ხალხ.-ლათ. **carabus**, იტ. **caravella**, ფრანგ. **caravelle**, პორტ. **caravela**, ესპ. **carabela**, არაბ. **qārib**, – ყველანი ნახესხებნი არიან ბერძნ. *καράβιον, κάρᾰβιος*-იდან – („ხომალდი“), რაც თავის მხრივ მომდინარეობს ბერძნულივე *κάρᾰβιος*-იდან (*κάρᾰβιος* (*κᾰ*) ὀ – „კიბორჩხალი“).¹⁸

ვფიქრობ, ნ. მარის 1926 წლის ნააზრევი უფრო მართებულია:

kamel>κάμηλος>ხომალ-დ-ი.

შენიშნები

1. Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазаник, М., - 1945.
2. Турецко-русский словарь, Авторы: А. Н. Баскаков и др. М., - 1977, გვ. 806.
3. М. Фасмер, ЭСРЯ - IV - 312.
4. Персидско-русский словарь, т. II, М., - 1983, Руководитель Ю. А. Рубинчик, გვ. 328.
5. Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазаник, М., М., - 1945, გვ. 205.
6. ნ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I-II, თბ., 1971.
7. М. Фасмер, ЭСРЯ, т. II - 448; ნ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1971.
8. М Фасмер, ЭСРЯ, т. II - 510; ნ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1971.
9. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1951, 1036,4.
10. საბა, მოგზაურობა ევროპაში: ს-ს ორბელიანი, თბზულებანი, I, თბ., 1959, გვ. 231, 3-4.
11. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, თბ., - 1964.
12. И. А. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, СПб. - 1914.
13. ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000, გვ. 885.
14. პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., - 1976.
15. ქ. ძონენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., - 1974.
16. Н. Я. Марр, Средства передвижения, орудия самозащиты и производства в до-истории, Л., - 1926, გვ. 38.
17. Н. Марр, Введение к абхазско-русскому словарю: Н. Марр, О языке и истории абхазов, М.-Л. - 1938-327.

18. М. Фасмер, ЭСРЯ, т. II - 321 - "корабль";
Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворец-
кнii, т. I, გვ. 875.

კატარლა

კატარლა დადასტურებულია „ვეფხისტყაოსანში“:

„დაკვამბეთ ნავი, კატარლა და რიცხვი სპათა ჯვარისა“.

კატარლა ორგან გვხვდება ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“:

1. .. გამოვიდნენ ორმოცდა ათნი კატარლანი სავსენი სპითა სულთან მურადისა, მაჰმადის ძისა, და ალაოკრნეს და მოსწყდნეს ცხომი და აფხაზეთი და ზღვს პირნი².

2. ... ეწყო გურიელი ოსმალთა და თავდასხმით აოტნა ოსმალნი კმელეთსა ზედა და მოსრნა იგინი, და სხუანი შევიდნენ კატარლებთა შინა და განვიდნენ ქოროხს იქით³.

არსებობს კატარლის ძველი და ახალი გაგება:

ძველით:

„კატარლა ნავია საბრძოლელი“ (საბა)⁴.

ახლით:

„კატარლა იგივეა, რაც კატერი“ (ქეგლ)⁵.

კატარლის უცხო შესატყვისებია:

ლ. გალერა⁶, თ. ჩათურ⁷ (საბათი), რ. каторга⁸, галера⁹, паром¹⁰ (ნ. ჩუბინაშვილით), катер¹¹, военный корабль, паром (დ. ჩუბინაშვილით).

შენიშვნები

1. შოთა რუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, თბ., 1951, 613,2.
2. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1973, 284,8.

3. ექვე - 814,11.
4. ეს სიტყვა (კატარლა) ჩუბინაშვილთა მიერაც ამგვარადვეა განმარტებული:
 კატარლა - საომარი ნავი (ნ. ჩ.), კატარლა (არაბ.) - მცირე საომარი ხომალდი (დ. ჩ.).
5. კატარლა (კატარლისა) ზღვ. პატარა გემი, მოკლე მანძილზე სამოგზაურო, - კატერი... კატერი გაღმა მიმავალი მგზავრებით გაივსო (ქეგლ).
6. იტ. galera/გერმ. Galeere/ფრ. galère - საზღვაო გემი, - იალქნიანი და ნიჩბიანი, რომლის თითოეულ ნიჩაბს უყვდა რამდენიმე კაცი, - ტყვენი, ან კატორღელნი; ამიტომ გაღურაზე გაგზავნა ნიშნავდა გაგზავნას კატორღაში [М. Фасмер - ЭСРЯ - т. I; В. Даль, ТС, - т. I];
7. თ. çektirme (<çektirmek<çekmek - თრევა, ბუქსირით წყევანა) - გაღურა [Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазаник, М., 1945; Турецко-русский словарь, Авторы: А. Н. Баскаков и др., М. - 1977];
8. каторга - ძვ.-რუს. катарга/катарха, უკრ. каторга (<საშ.-ბერძ. κάτεργον - „გაღურა, იძულებითი შრომა“) - გაღურა, ნიჩბიანი გემი, რომელზეც ბოროტმოქმედთ აგზავნიდნენ მენიჩბეებად [М. Фасмер, ЭСРЯ - II; В. Даль, ТС - т. II];
9. იხ. შენიშვნა №6.
10. паром/пором/прам ბულგ. прам / ჩეხ. prám / პოლ. prom (< ძვ.-ისლანდ. farmr - „ტვირთი, სიმძიმე“; ბერძ. πορθμός „სრუტე, გადასასვლელი“, ძვ.-ზემოგერმ. faran - „ნასვლა“) - ბორანი [იხ. М. Фасмер, ЭСРЯ - III];
11. катер [< ინგლ. cutter (< cut - „გაჭრა“) - ე. ი. „ზვირთთა გამჭრელი (გემი)“ - აქედანვეა პოლანდ. kotter, გერმ. Kutter] - კატერი [იხ. М. Фасмер, ЭСРЯ - II];

დრომონი

დრომონი ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში დასტურდება არაერთგან:

„... კეისარი შემოვიდა კოსტანტინედ და წარმოავლინა ხუთასი დრომონი, რომელსა შინა ისხდა ხუთას-ხუთასი კაცი“...¹.

„... შეჯდა მეფე ნავსა და განვიდა სამასითა დრომონითა“².

„წარავლინა დრომონი ხუთი, რაითა ეწინენ ნავსა“³.

„... მეფემან ბრძანა სწრაფით მოყვანებაჲ მათი დრომონითა“⁴.

„... აღიხუნა ნაწილნი წმიდისანი და შეჯდა დრომონსა სამეფოსა“⁵.

დრომონი (საბათი და დ. ჩუბინაშვილით) „არს ხომალდი, რომელსა შინა შთაიტევის ხუთასი კაცი საგზლიან და ტვირთიან“.

დრომონის უცხო შესატყვისებია:

ლ. გალიონ⁶; თ. ყალიონ⁷.

დრომონი ქართულში შემოსულია ბერძნულიდან (δρόμων – „სწრაფმავალი აფრიანი გემი“)⁸.

შენიშვნები

1. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, – 171,2: ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ., 1955.
2. იქვე, – 177,6;
3. H-341, 530 (ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი).
4. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბ., 1946: ილარიონ ქართველის (X ს.) ცხოვრება: გვ. 175,9 (ტიქსტი და-ბეჭდილია XIII ს-ის ხელნაწერის მიხედვით).
5. იქვე, – 176,20.
6. იტ. **galeone** – ოთხანძიანი გალერა, ესპანური ან პორტუგალიური დიდი აფრიანი გემი; ფრ. **galion**/ იტ. **galeone** / ესპ. **galeon** (<ლათ. **galea** < ბერძ. γαλέα); იტ. **galèa** – ორანძიანი გალერა, **galeazza** – სამანძიანი. [ფრანგულ-ქართული ლექსიკო-

- ნი, I, შეადგინა ელისაბედ ოქროპირიძემ, თბ., – 1974; Н. А. Скорцова, Б. Н. Майзель, Итальянско-русский словарь, М., 1977; Испанско-русский словарь, под общей редакцией Ф. В. Кельина, М., – 1964; М. Фасмер, ЭСРЯ – т. I];
7. თ. kalyon (< ესპ. galeon) – გალიონი, სამხედრო ხომალდი [Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазаник, М., 1945];
8. ამოსავალი ამ ძრომოს-ისა არის ძრომაც, აბიჯ – „მსრბოლი, მორბედი, ფეხმარდი“; შდრ: ძრომოს κάμηλος („დრომადერი“) – „სწრაფმავალი, ფეხმარდი აქლემი“. [Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т. I – "ძრომაც"; М. Фасмер, ЭСРЯ – т. I-III].

სტოლი/სტოლა

ფორმა „სტოლი“ დასტურდება XI ს-ის მეტაფრასში:

„კუალადცა მოინია ავარუანთა კოლტი დიდითა სტოლითა კო-სტანტინეპოლიდ“¹.

„დაიზამთრის სტოლმან სარკინოზთამან“².

„სტოლა“ (მისი მრ. ფორმით: „სტოლანი“) დადასტურებულია შავთელთან (39,3):

„კართა სტოვანი, ერთა სტოლანი,
იპოდრომისა განხმულობანი“³.

„სტოლის“ საბასეული განმარტება და განმარტება „სტოლასი“, რომლის ავტორნი არიან ჩუბინაშვილნი, არსებითად ერთგვაროვანია⁴.

„სტოლის“ ლათ. შესატყვისისა გალუაცა (საბათი)⁵, ბერძნული, – στόλος⁶ (ნ. ჩუბინაშვილით), რუსული, – стол⁷ (ჩუბინაშვილებით).

შანიშნაბი

1. A=162,148r, 21-23a: ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1995.
2. იქვე, - 148r, 29-30a.
3. გამოთქმა „ერთა სტოლანი“ ივ. ლოლაშვილის მიერ გაგებულა, როგორც „ჯარის სამხედრო ლაშქრობანი“, თვით სტოლაკი, მისეული განმარტებით, არის „სამხედრო ექსპედიცია, ლაშქრობა“. [იხ. ძველი ქართველი მეხოტბენი, II, იოანე შავთელი, აბდულმესიანი, თამარ მეფისა და დავით სოსლანის შესხმა, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბ., - 1964, გვ. 204,285];
4. „სტოლი - მრავალი ნავი საბრძოლელი“ (საბა), „სტოლა - მრავალი ნავი საომარი, ბრძოლად გამართული“ (ნ. ჩ.), „სტოლა - მრავალი საომარი ნავები“ (დ. ჩ.).
5. ლ. გალეაცა (იტ. galeazza) თანამედროვე ლექსიკოგრაფთა განმარტებით არის არა „მრავალი ნავი საბრძოლელი“ (როგორც ეს საბას ჰგონია), არამედ: „სამანძიანი გალერა“. [იხ. Н. А. Скворцова, Б. Н. Майзель, Итальянско-русский словарь, М., 1977].
6. ὁ στόλος - ფლოტი [იხ. А. А. Иоаннидис, Русско-новогреческий словарь, М., 1983 - "флот"].
7. флот (< ფრ. flotte < ჰოლანდ. vloot) - ფლოტი: „შეკრებულობა ხომალდთა სალაშქროთა ანუ სავაჭროთა, ერთად მდგომნი ანუ მიმავალნი“ [იხ. განმარტებითი ლექსიკონნი: რუსული, ქართული: ძველნი, ახალნი, - აგრეთვე: უცხოურ-ქართული და რუსულ-ქართული];

პურკატა

ქართულ ლექსიკოგრაფიაში განმარტება „პურკატასი“ ფრიად ზოგადია:

პურკატა – ერთი ნავია (საბა); პურკატა – ნავია ერთგვარი (ნ. ჩ., დ. ჩ.).

ეს პურკატა, რა თქმა უნდა, იგივეა, რაც ფურკატა/ფურგატა, – საბასეული თურქული შესატყვისნი ქართ. ოლაჭკანდერისა [ოლაჭკანდერი/ოლეჭკანდერი – მომცრო კატარღა; თ. ფურგატა, ფურკატა];

მაშასადამე: ქართ. პურკატა [< თ. ფურკატა/ფურგატა (< თ. *firkata*¹ < იტ. *brigantino*²!]

სხვათა შორის, ამ იტ. *brigantino*-ს შეკვეცილი ფორმებია: რუს. *бриг/брик*³, გერმ. *Brigg* და ინგლის. *brig*.

ამრიგად, შეგვიძლია, დავასკვნათ:

ქართ. ოლაჭკანდერი/ოლეჭკანდერი/ფურკატა/ფურგატა/პურკატა/ *brigantino/firkata/бригантина*⁴/*Brigg/brig/бриг/брик* არის ორანძიანი⁵ საბრძოლო ხომალდი, მომცრო კატარღა.

შენიშვნები

1. *firkata* – იტ. бригантина (მომცრო სამანძიანი გემი) [Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазаник, М., – 1945-194].
2. *brigantino* – бригантина [Н. А. Скворцова, Б. Н. Майзель,, Итальянско-русский словарь, М., – 1977-126];
3. *бриг/брик* (<გერმ. *Brigg* ან ინგლ. *brig*) – ორანძიანი საზღვაო გემი, სამხედრო ან სავაჭრო [М. Фасмер, ЭСРЯ – I – 213; В. Даль, ТС, т. I – 128];
4. *бригантина* – „მომცრო სამხედრო და სამეცობრო გემი“ – მოკიდებული გაფიროვიდან (1717 წ.). იტ. *brigantin(o)*-დან – „бригантина“ [М. Фасмер, ЭСРЯ – I – 214];

5. მაგაზანიკით: „სამანძიანი“ (იხ. შენიშენა №1).

კარაპიტა

„კარაპიტა/კარაფიტა“ არის მხოლოდ საბასთან, – განმარტებით: „ნავის სახელია“.

ფიქრობ: კარაპიტა/კარაფიტა¹ ორფა კნინობითი ფორმაა „¹კარაპისა“: ¹კარაპი²>¹კარაპ-იტ-ა³>კარაპ-ით-ა/კარაფ-ით-ა⁴.

შენიშვნები

1. კ>ფ: შდრ: ხოპი>ხოფი; ხოპი-ხოფი, ნავის მოსასმელი ნიჩაბი, весло (ნ. ჩ., დ. ჩ.); ხოფი > ნავის ნიჩაბი (საბა);
2. ¹კარაპ-ი (< ბერძ. χαραβιδ > ლათ. carabus) > კნინ. ფორმა: კარაპ-ა: კარაპა – მომცრო ნავი (საბა, ნ. ჩ., დ. ჩ.). – იხ. სტატია „კარაპა“.
3. შდრ: გოგი>გოგ-იტ-ა, გიორგი>გიორგ-იტ-ა, შოში>შოშ-იტ-ა, ბეჟა>ბეჟ-იტ-ა, ბერი>ბერ-იტ-ა... და სხვ. [იხ. ალ. ლლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1964]. აქვე, საგანგებოდ უნდა ითქვას: ეს ბოლოკიდური „იტ-ა“ იგივეა, რაც „ივ-ა“ და არის ორფა კნინობითი სუფიქსი: შდრ: შოშ-ივ-ა/შოშ-იტ-ა, ბეჟ-ივ-ა/ბეჟ-იტ-ა, ბერ-ივ-ა/ბერ-იტ-ა და სხვ. [იხ. ალ. ლლონტი, დასახ. ნაშრომი]; არის, აგრეთვე, არაერთი საკუთარი სახელი, რომელსაც არ ახლავს მეორე კნინობითი ნანილაკი „ა“: ლიპარ-ი>ლიპარ-იტ-ი, გოგ-ი>გოგ-იტ-ი (გვარი: „გოგი-ტიძე“) [იქვე].

რაც მთავარია, აქვე აუცილებლად უნდა ითქვას შემდეგი: სულიერთა და უსულოთა მიმართ ქართულსა და ქართველურში გამოიყენების ერთი და იგივე კნინობითი სუფიქსი: მაგ. გოგი>გოგ-ია, ჩოგანი>ჩოგან-ია [იხ. И. Кипшидзе, Грам-

მატიკა მინგრელის (ივერის) ენის ს ხრესმათიენუ
ი სლვარემ. ს.-პბ. - 1914, გვ. 365 - „ჩოგანი“].

4. ტ>თ: ოსტაყვირი/ომტაყვირი>ორთაყვირი („სატყვე ხოპი“: იხ.
ნ. ჩ.).

ორხომელი

ორხომელი, ონჩხომელი, ორჩხომელი - საბასთან განმარტე-
ბული არაა, უბის ოდენ უცხო შესატყვისნი: ლ. ბარქა¹; თ. შაითა².

ჩუბინაშვილთა განმარტებით: ონჩხომელი/ორჩხომელი: ‘ნავია
მოდიდო’ და მისი რუს. შესატყვისნი არიან: капер³, барка⁴, [იხ.
ნ. ჩ. და დ. ჩ.].

კ. დანელიას მართებული მოსაზრებით: ორხომელ, ონჩხომელ,
ორჩხომელთაგან „ამოსავალი ჩანს ორხომელი, რომლისგანაც ნ-ს
განვითარებით მიღებულია ონჩხომელი⁵, ხოლო ამ უკანასკნელის
დეტეიმოლოგიზაციით, - ორჩხომელი.

ეს სიტყვა წარმოებით კოლხური დანიშნულების სახელია, რომ-
ლის ძირია ჩხომ-ი „თევზი“, ხოლო ო. - ქართ. სა პრეფიქსის ფარ-
დი. სუფიქსად მოსალოდნელი იყო ალ, მაგრამ ფორმა რამდენადმე
„გაქართულებულია“ (ალ → ელ), ამიტომაა: ო-ჩხომ-ელ-ი ←
ო-ჩხომ-ალ-ი, ე. ი. სათევზური ანუ სათევზაოდ განკუთვნილი ნავი⁶;

შენიშვნები

1. იტ. barca - лодка; шляпка [Н. А. Скворцова, Б. Н. Майзель, Итальянско-русский словарь, М., 1977-104]:

лодка - წყალზე გადასადგილებელი მოძვრო მცურავი ნაგე-
ბობა [В. Даль, ТС, II-262; Толковый словарь русского
языка, под редакцией проф. Д. Н. Ушакова, - т. II-83];

шлюпка (< ჰოლ. sloep<sluipen – „სრიალი“) – პატარა ნიჩბიანი ნავი, უფრო საზღვაო [Толк. слов. русск. языка, Д. Н. Ушакова, IV-1355];

2. ეს თ. შაითა უნდა იყოს თ. *šayka* [შაიკა>შაიტა>შაითა: კ>ტ: შდრ: კურაკი/კურატი; კანკური/კანტური; კრახანა/ტრახანა];

šayka, šayka – ბარჯა [Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазаник, М., – 1945-562];

šayka (> რუს. чайка) – დიდი კახკური ნავი [Турецко-русский словарь, авторы: А. Н. Баскаков и др. М., – 1977-806; М. Фасмер, ЭСРЯ – IV-312];

барჯა (< ფრ. barge ან სამ.-ქვ.-გერმ. barse) – უაფრო და უნიჩბო, განიერი, დიდი ბრტყელძირა, ბუქსირით სათრევი სატვირთო ნავი [В. Даль, ТС – III – 214-215; Ушаков, – 1-90; М. Фасмер, ЭСРЯ – I-126];

სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ ებრაულში შაიტ ნიშნავს: „ნიჩბოსნობა“, შაიატ – „ნიჩბოსანი, მენიჩბე“ [ებრაულ-ქართული ლექსიკონი, თელ-ავივი, 1976, გვ. 357];

ბ. ჩუბინაშვილთან **ონჩხომელ/ორჩხომელის** თურქული შესატყვისი (გარდა ამ შაითასი) არის **ბარქაზ**, ალბათ, იგივე რუს. **баркас** (< ფრ. barcasse) – დიდი ნიჩბიანი ნავი: ლუზის შესატანი, ტვირთის გადასაზიდი და ადამიანთა გადასაყვანი [В. Даль, ТС – I – 50; Толк. слов. русск. языка, Д. Н. Ушакова, М., – 1935, – т. I-90; М. Фасмер, ЭСРЯ – I-127];

3. **капер** (< ჰოლ. kaper ან გერმ. kaper – „მსუბუქი საზღვაო ნავი“) – თვით მეპატრონის მიერ შეიარაღებული კერძო საზღვაო გემი, რომელიც ომის დროს, ხელისუფლების ოფიციალური ნებართვით, თავს ესხმის მონიშნულ მდებარეობის სავაჭრო ფლოტს. ე. წ. „ზღვის პარტიზანი“ [В. Даль, ТС – II – 87; Толк. слов. русск. языка, Д. Г. Ушакова, – I-1310; М. Фасмер, ЭСРЯ – II-184];

4. ნაჲკა (<გერმ. Barke ან ფრ. barque ან იტ. barca) – საცურებელ ბრტყელძირა სატვითრო ნავთა ზოგადი სახელწოდება [В. Даль, – I-49; Ушаков – I-90; М. Фасмер, ЭСРЯ – I-127];
5. ჩხ>ნჩხ: მეგრ. სინჩხე „სიცხე“, ჭან. ნჩხომი, მეგრ. ჩხომი „თევზი“, ჭან. ნჩხვარი, მეგრ. ჩხვერი „ლომის ლომი“ [კორნელი დანელია, მეგრულ-ჭანური ლექსიკა ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში, გვ. 81: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 245, ენათმეცნიერება, 8, თბ., 1984];
6. კ. დანელია, დასახელ. ნაშრომი, გვ. 81.

ოლაჭკანდერი

გარდა საბასთან დადასტურებული ფორმებისა: **ოლაჭკანდერი/ოლეჭკანდერი**, არსებობს ამ სიტყვის კიდევ ერთი ფორმა: **ოლეჭკანდარი**, – დადასტურებული ვახუშტისთან¹ და ჩუბინაშვილბთან.

სამივე ეს ფორმა სამთავან (საბა, ნ. ჩ., დ. ჩ.) განმარტებულია ერთნაირად: „მომცრო კატარა“².

თურქ. შესატყვისი **ოლაჭკანდერისა** გახლავთ **ფურგატა/ფურკატა**³ (საბათი), **ოლეჭკანდარის** რუსული შესატყვისებია: **кебарт**⁴ (ნ. ჩუბინაშვილით), **ладья, лодка**⁵ (დ. ჩუბინაშვილით).

ნ. მარის აზრით **ოლეჭკანდარი**, – თავისი აღნაგობით ტიპიური მეგრული სიტყვაა, – ორნაწილადი (**ოლე** – **ჭკანდარი**), რომლის პირველი ნაწილი (**ოლე**), ამ შემთხვევაში, ხამს გავიგოთ, როგორც წინდებული (-ზე, -ში), მეორე (**ჭკანდარი**), – როგორც მიმლეობა (**გამოჭედილი**), მთლიანად სიტყვა კი, როგორც, – გარდაჭედილი, შემოჭედილი.

ოლეს წინდებულად გაგება რომ გაამართლოს, მეცნიერი, ი. ყიფშიძის მეგრულ-რუსული ლექსიკონიდან, იმონებებს სიტყვას **ოლე-კეტი** („ურდული“)⁶.

კ. დანელიას ვარაუდით: „ოლაჭკანდერი წარმოებით კოლხური (ჭანური) ჩანს: **ოლა-ჭკანდ-ერ-ი**. ძირეულია **ჭკანდ** (← **ჭკად**), **ნ** განვითარებულია⁷. **ჭკად** კანონზომიერი შესატყვისია ქართ. **ჭედ** ძირისა⁸. **ო-ლა** რთული ზმნისწინია, რომელიც მნიშვნელობით დაახლოებით ქართ. **ა-მო-ს** უდრის; ხოლო **-ერ** სუფიქსი **ჭანურში** ვნებითი გვარის წარსული დროის მიმლეობის მანარმოებელია⁹. ასე რომ, ეტიმოლოგიურად **ოლაჭკანდერი** უნდა ნიშნავდეს **ამოჭედილ, შეჭედილ**, ანუ თავისებურ ნავს, რომელიც ხის ამოკიდვით კი არაა დამზადებული, არამედ ამოჭედვით, შეჭედვით¹⁰.

შენიშვნები

1. „კაცნი მგვანენი მეგრელთა და უმეტეს ცქვიტნი და ტანოვანნი, წერნეტნი, მპარავნი, ავაზაკნი, ზღვათა შინა მავალნი **ოლუჭკანდარებითა**, რომელთა შინა შთასხდებიან **რ, ს** და **ტ**, დაუხვდებიან ოსმალთა ნავთა და **ლაზ-ჭანთა** და უფროსად ოდიშგურიას“... [ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 172];
[რ=100; ს=200; ტ=300]
2. ‘კატარლის’ რაობის შესახებ იხ. სტატია ‘კატარლა’.
3. თ. **firkata** – იტ. ბრიგანტინა (მომცრო სამანძიანი გემი) [Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазаник, М., 1945]; **бригантина** (< იტ. brigantino) „მომცრო სამხედრო და სამეკობრო აფრებდამრეცი გემი“ [М. Фасмер, ЭСРЯ – I-214; В. Даль, ТС – I-128]; იტ. **brigantino** – ბრიგანტინა, **шхуна** – ბრიგ [Н. А. Скворцова, Б. Н. Майзель, Итальянско-русский словарь, М., – 1977]; **шхуна/шкуна** (< ინგლ. schooner ან ჰოლ. schooner) – იალქნიანი ხის გემი ორი და მეტი უკან დახრილი ანძით [М. Фасмер, ЭСРЯ – IV-451; В. Даль, ТС – IV-638; Ушаков, – IV-1380];

ბრიგ/ბრიკ (< გერმ. Brigg ან ინგლ. brig – შეკვეცილი იტ. brigantino) – ორანძიანი იალქნიანი გემი, სამხედრო ან სავაჭრო [М. Фасмер, ЭСРЯ – I-213; В. Даль, ТС – I-128; Ушаков, – I-187];

საბასეული ფურგატა/ფურკატა მიღებულია თ. **firkata**-დან, რომელიც თავის მხრივ, როგორც უკვე ითქვა (იხ. ზემოთ), მომდინარეობს იტ. brigantino-დან, რაც ნანარმოებია იტალიურივე **brigante**-დან („ავაზაკი“).

4. არც ერთ, ჩემთვის ხელმისაწვდომ ლექსიკონში (არც ძველში და არც ახალში) ეს სიტყვა არ აღმოჩნდა.
5. **ладья** (<ძვ.-რუს. лодья), ლდკა, უკრ. лодь., ჩეხ. lod.... რუსულიდან (ძვ.-რუს-დან) მომდინარეობენ: სამ.-ქვ.-გერმ. lod-die, loddige – „სატვირთო გემი“, შვედ. lodja, დან.-ნორ. lodje, ბალტირ.-გერ. Lodje [М. Фасмер, ЭСРЯ – II-510];
6. Академик Н. Я. Марр, О языке и истории абхазов, М.-Л., – 1938: Кавказковедение и абхазский язык (1916 г.), გვ. 143, სქ. 3;

კეტი (გ.), **კენტი**, **ხემ-კეტი** (<ხეში რუკი+კეტი) პალკა, დუბინა, шест; – ოლე-კეტი **засов** [И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (нверского) языка с хрестоматиею и словарем, С.-Пб. – 1914-254];

7. შდრ: დ → ნდ. ცინდა (<ციდა); ჭ. ნდისა (← დისა ← თისა); ჭ. ნდიკა (← დიკა); მ. იმენდი (← იმედი) [კორნელი დანელია, მეგრულ-ქანური ლექსიკა ს.-ს. ორბელიანის ლექსიკონში, გვ. 80-81: თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ტ. 245, ენათმეცნიერება, 8, თბ., – 1984];
8. შდრ: კოლხ. პ-ჭკად-ი, ქართ. ვ-ჭედ-ე [კ. დანელია, დასახ. ნაშრ., გვ. 81];
9. შდრ: კითხ-ერ-ი „ნაკითხული“, ჭკომ-ერ-ი „შეჭმული“ [კ. დანელია, დასახ. ნაშრ., გვ. 81];

10. კ. დანელია, დასახ. ნაშრ., გვ. 81. მეგრულში დასტურდება „ოლეტკანდერის“ ფონეტიკური ვარიანტი „ოლეტკანდარი“: ოლეტკანდარიში მაკეთებელს ურემქ გუუკვირდუა – „ოლეტკანდერის გამკეთებელს ურემი გაუკვირდაო“.
(იხ. ოთარ ქაჯგია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, თბ., – 2002 – „ოლეტკანდარი/ოლენტკანდარი“).

ზარბუნა

ნუსხაში, რომელიც გადანერილია საბას მიერ¹, განმარტება „ზარბუნასი“ არის „ერთი ნავი“.

საბას ძმის ზოსიმეს მიერ გადანერილ ნუსხებში „ზარბუნა“ განმარტებულია, როგორც „მომცრო ნავი“².

მომდევნო ნუსხებში, რომელნიც (ერთის გარდა)³, საბას და ზოსიმეს მიერ არიან გადანერილნი, „ზარბუნა“ გახლავთ „მოდიდო ნავი“⁴.

ჩუბინაშვილებთან „ზარბუნა“ (ფორმით „ზარბუნე“) მხოლოდ ნავის ბუდეშია (ყოველგვარი განმარტების გარეშე).

რაკილა „ზარბუნა“ „მოდიდო ნავად“ ბოლო დროსაა განმარტებული, ამიტომ, შესაძლებელია, მისი ეს განმარტება უფრო მართებული იყოს, ვიდრე ადრინდელი („მომცრო ნავი“).

საბასთან წარმოდგენილია აგრეთვე ტერმინი „კატარლა-ზარბუნა“; ეს სიტყვა მასთან არის მხოლოდ ნავის ბუდეში და მხოლოდ იმ ნუსხაში, სადაც ცალკე განსამარტ ერთეულად შეტანილია „ზარბუნა“, – განმარტებით: „ერთი ნავია“⁵.

უკეთუ „კატარლა-ზარბუნას“ იმ ტიპის სიტყვად ჩავთვლით, როგორცაა шахуна-бриг (რატომ არ უნდა ჩავთვალოთ?), მაშინ, შეიძლება, დავუშვათ, რომ „ზარბუნა“ „კატარლის“ მსგავსი ნავია, ვინაიდან шахуна და бриг, ასე თუ ისე, ერთმანეთის მსგავსნი არიან⁷.

შენიშვნები

1. ნუსხა H-416: გადანერის დრო: 1685-1698 წწ.
2. ნუსხები: Q-400 და H-95: გადანერის დრო: პირველისა, – 1708-1710 წწ., მეორისა, – 1715-1716 წწ.
3. ნუსხა H-1658: გადანერის დრო: 1715-1716 წწ., გადამწერი საბა.
4. ნუსხები: A-75 და H-1429 გადანერის დრო: პირველისა, – 1721-1722 წწ., მეორისა, – 1723-1725 წწ.

ნუსხათა გადანერის დრონი და გადამწერთა ვინაობანი იხ. წიგნში: ლილი ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., 1957, გვ. 41-42: II. ავტოგრაფული ნუსხების თარიღისათვის.

5. ნუსხა H-416.
6. „კატარლის“ რაობის შესახებ იხ. სტატია „კატარლა“.
7. **шхуна-бриг** იგივეა, რაც ბრიგანტინა (იხ. Н. А. Скворцова, Б. Н. Майзель, Итальянско-русский словарь, М., 1977 – "brigantino");

ა. **шхуна/шкуна** (< ინგლ. schooner ან ჰოლ. schooner) – საზღვაო იალქნიანი გემი, – ორი, – უკან დახრილი ანძით (М. Фасмер, – ЭСРЯ – IV-451; В. Даль, ТС – IV-638; Ушаков, – IV-1380);

ბ. **бриг/брик** (< გერმ. Brigg ან ინგლ. brig) – საზღვაო ორანძიანი იალქნიანი გემი, – სამხედრო ან სავაჭრო (М. Фасмер, ЭСРЯ – I-213; В. Даль, ТС – I-128; Ушаков, I-187).

ნავტიკი

„ნავ-ტიკი“ დადასტურებულია „ამირანდარეჯანიანის დამატებან-ში“: „ვიხილეთ შუა გულსა მდინარისასა ოთხი კაცი, ნავ-ტიკისაგან მოტაცებული, ჩაღმა ჩაჰქონდა“¹.

კომპოზიტი „ნავტიკის“ მეორე ნაწილი „ტიკი“ დასტურდება ოშკის ბიბლიაში:

„ერთსა ჰქონდეს ტიკითა ღვწოჲ“².

„ნავ-ტიკის“ საბასეული განმარტებაა „მცირე ტივი გუდებკრული“;

ჩუბინაშვილებთან „ნავტიკის“ სინონიმი „ლასტი“: „ნავტიკი – მცირე ნავი, ანუ ლასტი, ქვეშიდამ გაბერილის გუდებით მოკრული წყალში გასავალად“ („წყალში გასავალად“ დავითთან არაა):

ნიკოსთან „ნავტიკის“ რუსული შესატყვისია ПОНТОН⁴, დავითთან, – „паром на мехах винных“⁵.

გარნა, ცალკე „ლასტი“ მათგან განმარტებულია სრულიად სხვაგვარად: „ლასტი³ – ნკეპლებისაგან დანწული ჭილობი“.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონით „ნავტიკი“ – „ტივე-ზზე, რუმბებზე გამართული მცირე ტივია“.

„ნავტიკის“ ასურული სახელწოდებაა ṯaṣpā, არაბული, – فوط ṯaṣf, ბერძნული, – σϰεδνᾶ διϰθερῖν⁷, სომხური, – տկսպլաստ და քնքն⁸.

შენიშვნები

1. ამირანდარეჯანიანის დამატებანი, – ტექსტი დაბეჭდილია XVIII ს-ის პირველი ნახევრის ხელნაწერის (n-3708) მიხედვით: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, თბ., 1949, გვ. 111, 127, 4.
2. იხ. ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973; ოშკის ბიბლია (978 წ.).
3. სომხურში ლასტი (լաստ) – „ტივია“; შესაძლებელია, ამ ლასტთან კავშირში იყოს ჭანური „ლოსტონი/ლოსტრონი“ („სრიალა, ლიპი, მოლიპული, გლუვი, შანდაკი“);
ფონეტიკურად და სემანტიკურად ს. ლასტ-ის მსგავსი სიტყვებია: ინგლ. raft – „ტივი“, კიმრული llestr, ბრეტონული

lestr – „მომცრო ნავი (ნასაკ)“ [იხ. ჯრ. ანაიქან. ჯԱԲ – II – 266 – „լასათ„];

4. **понтон** (< ფრ. **ponton** < ლათ. **ponto**, – **onis** – „ნავი, ხიდი ნავებზე“) – ერთი, დასაშლელ ნავთაგანი (ტყავისა ან ტილოსი), ლაშქრობისას, სახელდახელო ხიდის გასადებად გამოსაყენებელი (М. Фасмер, ЭСРЯ – III-325-326; В. Даль, ТС – III-288);
5. „**паром на мехах винных**“ – ე. ი. „ბორანი (паром) ტიკე-ბზე“; **паром/пором** – ბრტყელძირა, – ტვირთის გადასაზიდი და ხალხის გადასაყვანი, – სამდინარო ნავი ან ტივი ან ფიცარ-ნავი, – ორ ნავეზე, – მდინარის ნაპირთა შორის ხოფვით (ნიჩბის მოსმით) ან ბაგირით მიმომავალი. [В. Даль, ТС – III-320];
6. ასურ. **ṭayrā** – „ნავტიკი (სისყლასათ)“, არაბ. **طوف ṭayf** – „ნავ-ტიკი (სისყლასათ. **ქსქსქ**)“ [ჯრ. ანაიქან. ჯԱԲ – IV – 430-431 – „სიიქაქ„];
7. იხ. **Дворецкии, Древнегреческо-русский словарь**, II-1592, I-414.
8. **სისყლასათ** – ნავტიკი (ჯრ. ანაიქან. ჯԱԲ – IV – 405-406 – „სიქს„); **ქსქსქ** – ტიკეებით ნაგები ნავი (**სისქროქ ქინქაბ ნაქ**) [ქანანასასქსქიგ ხაქიგ ქსქქი **ქაგვასტირასქან ქაიიქან**, IV – 729 – „ქსქსქ„].

ვაპორი

„ვაპორი/ვაფური“ ჭანურშია;

ნიშნავს „ორთქლით მავალ გემს (пароход)“.

შესულია იტალიურიდან:

იტ. **varóre** – 1. ორთქლი; 2. გემი; 3. ორთქლმავალი².

varóre ფორმით **Βαπόρι** არის ახალ ბერძნულშიც³.

შენიშვნები

1. ვაპორი (იტ. varog) – паравод, слышно часто и **ვაფური** [Н. Марр, Грамматика чапского (лазского) языка с хрестоматией и словарем. С.-Пб. – 1910];
2. Н. А. Скворцова, Б. Н. Майзель, Итальянско-русский словарь, М., – 1977.
3. **პაროვოდ** – τό Βαπόρι [А. А. Ионнидис, Русско-новогреческий словарь, М., – 1983]

ტივი

მცხეთის ბიბლიაში, რომელიც რედაქტირებულია საბას მიერ, წერია: „მოვილოთ იგი ტივებითა ზღუად იოპესა“¹.

„ტივი“ საბას განმარტებით არის: „ქლნი შეწყობილნი წყალთ სავალად“, ჩუბინაშვილებთან: „ქლნი ერთად შეკრულნი მდინარეზედ სატარებლად“.

„ტივის“ უცხო შესატყვისებია: თ. სალ², ს. ტოფ³ (საბათი), რ. плот⁴ (ჩუბინაშვილებით).

საიდან უნდა იყოს წარმომდგარი სიტყვა „ტივი“?

ადვილი შესაძლებელია, ტივი მომდინარეობდეს ტიბ⁵-იდან (ტიბ->ტივ-) ისევე, როგორც ასურულში: **ṭayrā**⁶ მოდის **ṭayrā**-დან, რუსულში: **плот**⁷, – **плыть**-იდან; სომხური տիպ-ის ამოსავალი კი, შესაძლოა, იყოს, როგორც ასურული **ṭayra**, ასევე ქართ. ტოპვა⁸.

შენიშვნები

1. მცხეთის ბიბლია, ხელნაწერთა ინსტიტუტის A-51 ხელნაწერი (ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973); ეს ხელნაწერი, თანახმად ელ. დოჩანიშვილისა, რედაქტირებულია XVII ს-ის II ნახევრისა და XVIII ს-ის დასაწყისის ცნობილი

ქართველი მწერლისა და მეცნიერის სულხან-საბა ორბელიანის მიერ.

2. sal – ტივი (Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазанник, М., – 1945);
3. თიჟი-ლასთ [ძქლჳჳ-სჳრჳ. – 1980, ტ. IV-527];
თიჟიჟი – „ტივი (ლასთ)“;
დიალექტ. ფორმები: ტფილისი: თიჟი, ბულანგბი: ო'იჟი – „ძელთაგან ნაგები ტივი (გერამნსერიძე ქიმიოაშ ლასთ)“ [ქრ.ანაჟიჟან, ჳსჳ – IV – 430-431 – „თიჟიჟი“];
4. плот – ლატვ. pluts – „ტივი, ბორანი“, ძვ.-ჩეხ. plet... ხმოვანთა მონაცვლობით დაკავშირებულია სიტყვებთან: плыть („ცურვა“), плыву („ვცურავ“). შდრ. ძვ.-ინდ plutas – „მცურავი, განბანილი“, plutam საშ. სქ. „დინება, ნაკადი“, ბერძ. πλυτος – „დაბანილი“, πλυσις – „ბანა, გასუფთავება, განმენდა“, გერმ. Floss – „ტივი, ბორანი“, fließen – „დენა“ [М. Фасмер, ЭСРЯ – III-285];
5. ჭან. ტიბა/ტობა – ტბა, გუბე (Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем. С.-Пб. – 1910);
მეგრ. ტობა – ტბა [И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем. С.-Пб. – 1914];
სვან. ტგბჳ – ტბორი; ჭაობი; ტობ – ტბა, გუბე [ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000];
6. ასურ. ṭap – „ცურვა, ნალეკვა“, ṭapānā – „ნარღვნა, ნყალდიდობა“, ṭaupa – ცურვა, ცურაობა, ზღვაოსნობა, ნყალდიდობა“, ṭapā – ნავტიკი“ [ქრ.ანაჟიჟან, ჳსჳ – IV – 430-431 – „თიჟიჟი“];
7. „плот“-ის ნარმოშობაზე იხ. შენიშვნა №4 (ზემოთ);
8. თვით ეს ასურული ṭapā, ქართ. ტოპვა, ზან. ტობა და სვან. ტობ ერთმანეთთან კავშირშია უეჭველად.

კანჯო

„კანჯოს“ საბა არ იცნობს.

ჩუბინაშვილთა განმარტებით „კანჯო – მომცრო ნავია“, მისი რუსული შესატყვისნი არიან (ორთავესთან) *ладья, лодка*¹, თურქული, – *კანჯა* (ნიკოთი);

კანჯა თურქულში ნავის სახელად არ ჩანს².

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში განმარტება „კანჯოსი“ იგივეა, რაც ჩუბინაშვილებთან: „კანჯო – მომცრო ნავი“.

შენიშვნები

1. *ладья, лодка*-ს შესახებ იხ. სტატია „ოლაქკანდერის“ შენიშვნებში შენიშვნა №5.

2. *káncsa* – კავი, კეტი კავითურთ, ბარჯი; ლუზა [ოთხკაპიანი ლუზა (*дрег/дрек*)] (*Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазаник, М., – 1945, გვ. 310*);

дрек/дрек (< პოლ. *dreg*) – პირველადია *дрек*; ოთხკაპიანი ლუზა (*М. Фасмер, ЭСРЯ, – I-536; В. Даль, ТС – I-491*);

ეს თურქ. *კანჯა* (*káncsa*), ჩანს, ამოსავალია ქან. *კანჩისა* (*კანჩი* – კავი; *კანჩონი* – კავიანი, კავებიანი).

ანძა

„ანძას“ ქართულში სამი მნიშვნელობა აქვს:

1. გემზე ამართული მაღალი ძელი იალქნის დასამაგრებლად.
2. მაღალი ბოძი, რომელზედაც გაჭიმულია სხვადასხვა დანიშნულების მავთულები.

3. ნევრმახვილი ძელი დასასჯელის ზედ ასაცმელად¹.

„ანძის“ სვანური შესატყვისია „ანზ/ანს“², მოხეური, – „ანძალი“³.

„ანძის“ სინონიმებად ჩუბინაშვილთა მიერ დასახელებულია: ნაქუსი/ნაქესი⁴, ხალე⁵ და საყე⁶.

ფიქრობ: „ანძის“ ფონეტიკური ვარიანტნი უნდა იყვნენ: ან-ნუხი – „ნეტიანი სარი“ (მეგრ. ანძუხი)⁷ და ანწალა – „წერილი ბრჯა მაღალი“ (მეგრ. ანწოლა)⁸.

წიგნების ვერსიებით „სანავე ანძის“ ეკვივალენტია „ნავის სახერველი“⁹.

„ანძის“ უცხო შესატყვისებია: ლათ. მა(საბათი)¹⁰, თურქ. დირაგ¹¹, რუს. ядрило, шегла, мачта (ნ. ჩ.-თი)¹², ებრ. מַשְׁלָחַ (თორენ)¹³, სომხ. կայմ (კამ)¹⁴, ბერძ. ἵστος (ისტოს)¹⁵, ფრ. mâit, ინგლის. mast, ესპ. mástil, arbol, გერმ. Mast, პორტ. mastro, იტ. àlbero, სპ. კა (დნგალ).

ჩემი ვარაუდით:

„ანძის“ ამოსავალია „ძელ-ი“ [ზან. ჯალ-ი, აფხ. ა -ნალ (>ანლა), სომხ. ծառ (წარრ)]:

ა-ნალ > ა-ნ-ნალ (განვითარდა „ნ“) > ანძალ-ი (მოხეურში დაცული ფორმა) > ანძა (ბოლოკიდური ბგერის დეკარგვით).

შენიშვნები

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, თბ., 1950, სვეტ. 514. გვ. 015; განმარტების ავტორია ნ. საბაშვილი.
2. ანზ ზს., ანს ბჟ. – ანძა, ნეტიანი ადგილი (ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, გვ. 52).

3. ანძალი – ანძა, ამართული ძელი, მაღალი სარი. „გაიყვანეთ ახლა ეგა და ჩამაკიდეთ ანძალზე“. [ივანე ქვეთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985, გვ. 170];

„რამდენიმე ხანს შემდეგ... ბერდია ანძალზე ჩამოჰკიდეს“... [ალ. ყაზბეგი, თხზულებანი ორ ტომად, ტ. II, თბ., 1968, გვ. 66,25];

4. ნაქუსი – ნაქსოვი, და ზოგან ხმარებულ არს ანძის ადგილს (ნახე საყე, ხალე) (ისაი. 33,23) [ნ. ჩ.];

ნაქუსი, – ქუსი – ანძა ნავისა, ხალე, мачта (დ. ჩ.).

ნაქუსი – ან ნაქსოვი, тканый; ткань, ან საყე, ანძა ხომალდისა, мачта; (ისაი. 33,23) [დ. ჩ.];

„ნაქუსი“ (დავითით: „ნაქუსი“) იმავე წყაროზე მითითებით (ესაია 33,23), რომელზეც უთითებენ ჩუბინაშვილები, განმარტებულია საბას მიერაც, გარნა მას ეს სიტყვა არ მიაჩნია „ანძის“ სინონიმად; „ნაქსვი (33,23 ესაია) – ნაქსოვი თუ შეგრება“ – ასე განმარტავს იგი მას.

„ნაქუსის“ „ანძობას“ ყურადღება მიაქცია ნ. მარმა;

„ – არა მგონია, წერს იგი, მართებული იყოს ნაქუსის „ქსოვილი“ (იხ. საბა: ნაქსვი) მიჩნევა „ანძად“ (შდრ: ჩ.!: ნაქუსი და ჩ² ნაქსვი). ეს უფრო „ალამია“, და ნაკითხვა ამ შემთხვევაში წარმოადგენს რამდენადმე თავისუფალ გადმოცემას ებრაული „თორნამ“-ისას (תָּרָנָם), რომლის რეალური გაგებაა „ანძა ალმით“ (Абхазское происхождение грузинского термина родства *bidā* ‘дядя’ стр. 88. სქოლიო №2 (87 გვ-დან 88-ზე გადმოსული): Академик Н. Я. Марр, О языке и истории абхазов, М.-Л., – 1938).

ვფიქრობ ნ. მარი სწორი არაა: ნაქუსი არ მოდის ებრ. თორნამ-იდან (תָּרָנָם), იგი შესატყვისია ბერძ: ისტოს-ისა (ιστος), რასაც, გარდა ანძისა, აქვს კიდევ 5 მნიშვნელობა, რომლთაგან ერთერთია ნაქუსი („ქსოვილი“, „ნაქსოვი“);

5. ხალე – ანძა, ნაქუსი ხომალდისა, мачта (დ. ჩ.).

6. საყე – ხალე (ანძა ნახე), шегла (ისაი. 30,17) [ნ. ჩ.];

საყე – ხალე, ანძა, шегла, мачта (ისაი. 30,17; 33,23) [დ. ჩ.]

ჩუბინაშვილების „ხალე“, რა თქმა უნდა, იგივეა, რაც საბასეული „ხალა“ („გრძელი წვრილი ჯოხი. ს. ძოლ“); არსებობს ამ სიტყვის ორი ფორმა: „ხალი“ და „ხალა“; „ხალი“ გურულია, „ხალა“, – ქართლური, მნიშვნელობა კი ორთავესი ერთია: „კაკლის საბერტყი გრძელი ჯოხი“; (იხ. ქვ-თსკ.);

„ხალი“ დასტურდება უძველეს ქართულშიც: „ხალეებითა გრძელებითა აჭენებდეს (ნავსა)“. Sin.-11,357v (ი. აბ. ძქელ);

„ხალე“ (الخ) არის სპარსულშიც; იქ მისი მნიშვნელობაა: 1. ნიჩაბი; ხალა; 2. წვეტიანი ჯოხი (საკიდარ ცოველთა გასარეკად) [იხ. სპ. – რუს. ლექსიკ. ტ. I-566];

7. „აძალღებული ფიდუა... ჩვენის ხელით ანწუხზევა ასაგები, ანწუხზე!“ (ს. მგალობ.); „მე უჩვენებ იმას სეირსა... სწორედ ანწუხზე არის ჩამოსაცმელი“ (ზ. ანტონ.) [ქეგლ]; ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I-2001 წ.

8. „ბრჯა/ბჯა იგივეა, რაც „ზინი“ (იხ. საბა, ჩუბინაშვილები, ქეგლ და ო. ქაჯაია, დასახ. ნაშრ.).

9. „... პებულნი ფიცართა კვპაროსისათანი ლიბანით მოღებულ იქმნეს ქმნად შენდა ანძათა სანავეთა“ [ეზეკ. 27,5: გელათური ნუსხა (XII ს.)];

„... პებული ფიცართა საროჟსა ლიბანით მოგართევს შენ საქმედ ნავისა სახერველთა [ეზეკ. 27,5: ომჭურ-იერუსალიმური ხელნაწერები: ომჭური (978 წ.), იერუსალიმური (XI ს.)];

[იხ. ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თინათინ ციციტიშვილმა, თბ., 1976];

10. „ანძის“ ეს საბასეული ლათ. შესატყვისი („მა“) არც ლათინურ, არც იტალიურ ბიბლიაში, არც ამ ენებზე არსებულ ლექსიკონებში არ მოიპოვება; ანძის ლათინური შესატყვისია მალუს (málus/máli), იტალიური, – ალბერო (álbero) [იხ. ლათ. და იტ. ბიბლიები (ესაი. 33,23; ეზეკ. 27,5) და ლათ. და იტ. ლექსიკონები];

11. direk (đi) – ბოძი, სვეტი, ანძა, კოჭი, ბუნი (Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазаник, М., 1945-146);

12. ядро, ядро – „აფრა, ანძა“... სერბ.-ხორვატ. jèдро – „აფრა“, სლოვენ. jádro – იგივე. ენათესავება ძვ. – ისლანდ.

jaðagr – „გნდე, ლობის ზედა კადონი“ [В. Даль, ТС – IV-173; М. Фасмер, ЭСРЯ – IV-548];

щегла/щогла [< ძვ. – სკანდ. sigla („ანძა“) < segl („აფრა“)] – ანძა, ზრო, ძელი, ბუნი, ხიმინჯი (М. Фасмер, ЭСРЯ – IV-464, 497);

мачта/машта (< ნიდერ. ან ქვ.-გერმ. mast) – ანძა [М. Фасмер, ЭСРЯ – II-586];

13. ႦႣႧ (თორენ) – ანძა, დირაგი [ებრაულ-ქართული ლექსიკონი, ავტორები: დ-რი იომ-ტოვ ლევენსკი, გერშონ მეგრულიშვილი, თელ-ავივი, 1976, გვ. 375,10]; აგრეთვე: Иврит-русский словарь, составил Ф. Л. Шапиро, М., 1963; Михаэль Дрор, Еврейско (иврит) – русский словарь; Еврейско-русский словарь. Соч. Бениуда, Вильна – 1909, სვეტ. 1675.

14. არსებობს ცაყან-ის ორნაირი ეტიმოლოგია:

ერთით: ცაყან-ის ამოსავალია ცაყ. ცაყ („ადგომა, აღმართვა“) ისევე, როგორც ბერძ. ἵστος-ისა („ანძა“) ἵστῆμα („ადგომა, აღმართვა“) [ს-ჰ. რ. ფენსთიქ 1836-7]:

მეორით: ცაყან-ის („ანძა“) ეტიმონად მიჩნეულია ტაჯ. gemi („გემი, ნავი“) [ჩხინძე. ოიქსი – 1894] [იხ. ჯი.სანაიყან, ჯსრ – II -507-„ცაყან“];

15. ἵστός ὁ – 1. ანძა; 2. ბოძი, სვეტი, ლატანი, ხალა; 3. საქსელე ლილვი, საქსელური, საქსოვი დაზგა; 4. ქსოვილი, ნაქსოვი; 5. ქსოვილის ნაჭერი; 6. გოლი, კიპრუჭი [Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, М., 1958, т. I].

აზრა

საბამ „აფრის“ მხოლოდ ორი მნიშვნელობა იცის:

1. აფრა – ქუდის ანაკეცი¹.

2. აფრა – ნავის ნაწილი².

საბამ არ იცის „აფრის“ კიდევ ორი მნიშვნელობა:

1. აფრა – ხის სახლის ნაწილი³.

2. აფრა – გუმბათიან შენობათა დეტალი⁴.

ჩუბინაშვილებმა იციან „აფრის“ მხოლოდ ერთი მნიშვნელობა:

1. აფრა – ნავის ნაწილი⁵.

„აფრა“ (ნავის ნაწილი) დადასტურებულია მე-9 საუკუნეში:

„დაუტევენეს... აფრაჲ იგი უბოვანი⁶.“

„აფრის“ (ნავის ნაწილის) უცხო შესატყვისი არიან:

ლათ. ლემა (საბათი)⁷, რუს. парус, ветрило (ჩუბინაშვილებით)⁸, ბერძ. φᾶρις, ἰστῖον იტ. vela, სომხ. არრაგასტ (արազաստ), სპ. ბაღბან (بابان), შერა', (عاشرا'), თურქ. ყელქენ (yelken)⁹, ესპ. vela, პორტ. vela, გერმ. Segel, ინგლის. sail, ფრ. voile, ფინ. purje, ლატვ. buras, ლათ. vélum (véli), ლიტვ. būrė, ვეპს. pureh.

საბათი „აფრის“ სინონიმია „აფქიო“¹⁰, ჩუბინაშვილებით, – „აფრის ქსელი“¹¹.

„აფრა“ (ნავის ნაწილი), ნ. მარის აზრით, ქართულში შემოსულია აფხაზურიდან: ა-ფგრა („ფრენა“) > ა-ფრა („აფრა“)¹².

ჩემი ვარაუდით:

„აფრის“ (ნავის ნაწილის), „აფრის“ (ქუდის ანაკეცის), „აფრის“ (ხის სახლის ნაწილის) და „აფრაკის“ (პირმრუდე ფიცრის) ამოსავალი ერთია, – სახელდობრ „ყაფარი“, რომლის განმარტებანი ამგვარია:

ყაფარი – ამართულივით; ამართული (საბა);

ყაფარი – სრულიად ძნელი აღმართი, ფრიალო (საბავე)¹³;

ყაფარი – ძლიერ დაქანებული (ქეგლ).

ყაფრათ (<ყაფრად) – ძლიერ დაქანებულად, დახრილად, ცერად (ქ. ძონ. ზემოიძერ. ლ.)¹⁴.

„ყაფარიდან“ „აფრა“ შეიძლება მიღებულიყო ასე:

ყაფარ > ყაფარ-აკ > ყაფრ-აკ (რედუქციით) > აფრ-აკ (თავკიდური ბგერის დაკარგვით) > აფრ-ა (ბოლოკიდური ბგერის

დაკარგვით) [შდრ: *ყაპოური>აპეური, ლუზანი>უზანი, წონინარი>ონინარი; დანაკი>დანა, პინაკი>პინა, ბანაკი>ბანა და ბერძ. ἰστίον („აფრა“) < ἰστίμη („აღდგომა, აღმართვა“)]¹⁵.

შენიშვნები

1. აფრა (33,23 ესაია) – ქუდის ანაკეცი, გინა ნავის აფქიო (საბა).
2. აფრა ეწოდების ნავთა და ხომალდთა აფქიოსა, რომელ არს ქართა გამბერველობით ნავთა მატარებელი (საბა).
3. აფრა – კარებთან ან კედლის შუაზე ფიცრების თავშესამაგრებელი ვერტიკალურად დაყენებული სქელი ფიცარი; აფრას ერთ (კარებთან) ან ორივე (კედლის შუაში) მხარეზე სიგრძივ ამოღარული აქვს, ერთი ან ორივე მხრიდან ფიცრების თავების შესამაგრებლად; იგივე ბოყვი [პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976 – გვ. 18 – „აფრა“, გვ. 26 – „ბოყვი“].
4. აფრა – ნავთ იალქანი (საქმ. 27,17) парус, აფრის ქსელი იგივე (ისაი 33,23) ветрело [ნ. ჩ. და დ. ჩ.];
6. იხ. ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი: ოქრ.-მარხ. და იონ. – თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა, იოვანე ოქროპირისაჲ მარხვისათჳს და იონაჲსთჳს: სინური მრავალთავი 864 წლისა, სასტამბოდ მოამზადეს კათედრის წევრებმა ა. შანიძის რედაქციით, წინასიტყვაობით და გამოკვლევით, თბ., 1959, გვ. 100-111.
7. „აფრის“ ეს საბასეული ლათ. შესატყვისი („ლემა“) არ მოიპოვება არც ლათინურ და არც იტალიურ ლექსიკონებში; „აფრის“ ლათ. შესატყვისია vélum (véli), იტალიური, – véla.
8. páрус (< ბერძ. πᾶρος, ატტ. πάρος) [М. Фасмер, – ЭСРЯ-III-210];
ветрѣло-ветер-იდან („ქარი“); ლიდენის აზრით (Stud. 24.) კი, – ბერძ. ἦτριον-იდან („ქსელი, ქსოვილი“) [იხ. М. Фасмер, ЭСРЯ – I-307];

9. საბათი: იელქან, იალქანი, იალქან.
10. აფქიო – ნავის აფრა, რომელსა ქარი ბერავს (საბა);
ჩუბინაშვილებით კი „აფქიო“ არის არა „აფრა“, არამედ ქარის მიმართულების მაჩვენებელი პანია ალაში ანძაზე, ფლუგერი:
„აფქიო – იალქანი ქარის მაჩვენებელი ფლიგერ“ (დ. ჩ.);
„Флюгер – აფქიო, იალქანი ბურჯხედ ან ანძაზედ ქარის საჩვენებლად (ნ. ჩ. რ. – ქ. ლ.)
11. აფრა – ნავთ იალქანი, იგივე აფრის ქსელი“ (ნ. ჩ. და დ. ჩ.);
12. იხ. Абхазское происхождение грузинского термина родства *biḏa* ‘дядя’ (Доложено в заседании Историко-филологического отделения Акад. Наук 15 января 1914 г.): Академик Н. Я. Марр, О языке и истории абхазов, Моск.-Ленин. – 1939, стр. 87.
ა-ფრა – აფრა, იალქანი;
ა-ფგრა (იფრიტი) – ფრენა, გაფრენა (გაფრინდა);
[ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1954];
á-пыра – парус.
á-пырра – 1. летать; 2. радоваться; 3. мчаться (быстро двигаться).
- [К. С. Шакрил, В. Х. Конджария, А. П. Чкадуа, Словарь абхазского языка, т. II, Сухуми – 1987];
13. ყაფარი – ... სრულიად ძნელად სავალსა და ამართულსა ეწოდებოდა ფრიადლო და ყაფარი [იხ. საბა: „აღმართი“ და „პირაღმართი“];
14. ყაფარი – ძლიერ დაქანებული; ყაფრათ – ძლიერ დაქანებულად, დახრილად, ცერად: „ჩემი სახლი არი ყაფრათ დახურული, შენი კი – ბანათ“ (ქვაციხე); ყაფრათ დევეკავეფთ გოფსა, გორვალა ძირს მოდის და პური რჩება (ხვაშითი) [ქ. ძონენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974];
„ყაფრად შედგმულსა მარმარსა ზე ედგნეს ნყლულთა მალამნი“ [ბესიკი, თხზ. თბ., 1962, 84, 29];
15. იხ. ՆՀԲ, Վենետիկ 1836-7: Հր.Աճառյան, ՀԱԲ – II-507-„կայս“

აზქიო

„აფქიო“ საბასთან სინონიმია „აფრისა“: „აფქიო – ნავის აფრა, რომელსა ქარი ბერავს“.

ჩუბინაშვილებით: „აფქიო“ რუს. флюгер¹-ის შესატყვისია: „აფქიო – იალქანი ქარის მაჩვენებელი, флюгер“ (დ. ჩ.); флюгер – აფქიო, იალქანი ბურჯზედ ანუ ანძაზედ ქარის საჩვენებლად (ნ. ჩ., რ.-ქ. ლ.);

სიტყვა „აფქიოსთან“ დაკავშირებით მაგონდება სიტყვა „აჰკი“. ეს სიტყვა („აჰკი“) ძველ ქართულ მწერლობაში დადასტურებულია არაერთგან:

„... განსთქდა აჰკაჲ გულისა ჩემისაჲ“. (იობ. 17,11: A-51);

„... აჰკაჲ ტვნისაჲ არს შესაკრებელ საგრძნობელთაჲ“ (გრ. ნოს. კაც. აგებ.)².

სეპტუაგინტაში „აჰკის“ ადგილზეა ართრა (ἀρθρα)³, სომხურ ბიბლიაში, – ერაჳ (երակ)⁴, სლავურში ოუდ (оуд)⁵, ბაქარის ბიბლიაში, – „საჴსარი“.

„აჰკის“ ფონეტიკური ვარიანტებია (საბათი): აჰკა, აფკა, აფსკა, აფსკი, ხოლო მისი განმარტება და ლ. შესატყვისი (საბათივე): – „თხელი რამ კანი. ლ. პელე“⁶;

სხვაგან „აჰკის“ განმარტებანია:

„ფრიად თხელი კანი“ (ნ. ჩ.);

„ტყავის თხელი ფენა, რისამე ზედაპირზე გადაკრული. იხვს ფეხებზე აჰკი აქვს“ (ქეგლ);

სვანურში „აჰკი“⁷ გვხვდება ფორმით „ჰაჰტკ“⁸.

„აფქიოს“ წარმოქმნა შეიძლება ორგვარად ვივარაუდოთ:

1. აფქიონ⁹ („საჴე“) > აფქიო („აფრა“) – ბოლოციდური ბგერის („ნ“) გარეშე (განსხვავების მიზნით);

2. აჰკი/აფკი > აფქ-იო („აჰკისებრი“, „აჰკისნაირი“, „აჰკისაგანი“) ისევე, ვითარცა სოკონი:

მტრედ-იო (< მტრედ-ი), მწყერ-იო (< მწყერ-ი), მჭად-იო (< მჭად-ი) და სხვ...

გინდ: სიტყვა სოფლ-იო (< სოფელ-იო) > მ-სოფლ-იო – „სოფლისაგანი“.

ვფიქრობ: აქ წარმოდგენილი სიტყვების ბოლოკიდური „იო“ ნაშთი უნდა იყოს სუფიქსისა „იონ“, რომელიც, ჩანს, იმავე ფუნქციონისაა, რისაც „იანი“ და „ოვანი“ (შდრ: ბაგრატი-იონ-ი/ბაგრატი-ოვანი; მაყვლ-იანი-ი/მაყვლ-ოვანი-ი და სხვ. მრ.);

შანიშვნები

1. რუს. **флюгер** [< გერმ. Flügel („ფრთა“) < ნიდერ. vleugel / შვედ. flöjel] – ანძაზე ან საყვებე მბრუნავი ფირფიტა, პანია ალამი, ისარი, – ქარის მიმართულების მაჩვენებელი [Д. Н. Ушаков, – ТСРЯ – IV – М., 1940; М. Фасмер, ЭСРЯ – IV-200];
2. უძვ. რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“, თბ., 1964, გვ. 163,32.
3. Septuaginta, Stuttgart – 1979;
ἀφθρον τό – 1) ასო (სხეულისა): ἀφρα τῶν κύκλων სოფოვ. თვალი; ἀφρα στόματος ევრიბ. ბაგე; 2) შენანვერება, სახსარი; 3) გრამატი. ნანევარი [Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т. I, М., 1958-232]
κύκλος ό – ... 7) თვალი (იქვე – 994);
στόματος τό – 1) პირი, ბაგე (იქვე – II-1508);
4. Հին և նոր կտակարանաց Երեւան 1997;
երակ – 1. ვენა; 2. სისხლძარღვი; 3. შუაშრე (Армяно-русский словарь, Составили: проф. А. С. Гарибян и др. Ереван – 1960-126; Армяно-русский словарь, Гл. редактор Е. Г. Галстян, Ереван – 1984-209);
5. Бібіла, сірчь... Почаєв – 1908;
ძვ.-რუს. **оудъ**, ძვ.-სლავ. **ОУДЪ** – ასო სხეულისა, ბერძ. μέλος [М. Фасмер, ЭСРЯ – IV-148 – „უდ“];
6. იტ. pelle – 1. ტყავი, კანი, თხელი კანი, გარსი;
7. მზია ანდრონიკაშვილის აზრით, აპვი/აპვა ირანული წარმომავლობის სიტყვაა: სამ. სპ. **āpak** ‘მინა, ბროლი’ ნაწარმოებია ფუძ-

იდან $\bar{m}p$ „წყალი“, ძვ. ირანული $\bar{m}paka$, $\bar{m}p$, ‘წყალი’. ამოსავალი მნიშვნელობაა ‘წყლისებური, წყალსავით გამჭვირვალე’; შდრ: სომხ. սպսկ – ‘მინა, ბროლი’, [იხ. მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966 – გვ. 192, 283];

8. იხ. ლატავრა გელენიძე, ადამიანის ანატომია-ფიზიოლოგიასთან დაკავშირებული ლექსიკა ძველ ქართულში, თბ., – 1974, გვ. 13.
9. აფქიონზე („საჭე“) საუბარი მექნება აქვე, სტატიამი „აფთიონი“.

აფთიონი/ტიმონი/ჰიდალიო/საჭე

ქართველი ლექსიკოგრაფების (საბა და ნ. და დ. ჩუბინაშვილები) მიხედვით: აფთიონი, ტიმონი, ჰიდალიო და საჭე ნავის ერთი და იმავე ნაწილის სახელწოდებანია:

კერძოდ, ნავის ბოლოზე (კიჩოზე) მიკიდული ლაპოტისა, რითაც ხდება ნავის მართვა და რასაც რუსულად *Кормило*¹ ჰქვია.

საბასთან „აფთიონის“ განმარტებისას მითითებულია ეფრემ ასური: „ვითარცა აფთიონითა რათამე შთაიზიდნეს სულნი“.

ჩუბინაშვილებით: აფთიონი იგივეა, რაც აფქიონი და მისი მათ-მიერი განმარტება ისეთივე გახლავთ, როგორიცაა საბასეული განმარტება „აფთიონისა“: „ნავთ სამართი ფიცარი“.

სიტყვა „აფქიონი“ დადასტურებულია XIII ს-ში: „ჟამიერად ძრვი-თა აფქიონთაჟთა ეწყებოდეს ზღვსა მღელვარებასა“².

აფთიონი, აფქიონის განმარტებისას ნ. ჩუბინაშვილი უთითებს შავთელს (შავთ. 23): „აფთონს ბრძავს, ათენს, ესრეთ გაათენს“. რაც იმას ნიშნავს, რომ მას ეს „აფთონი“ მიაჩნია „აფთიონად“, არადა შავთელისეული „აფთონი“ არის ბერძენი ფილოსოფოსი (III-IV სს.), სოფისტი, ანტიოქიელი³.

„აფქიონი“ მიღებული უნდა იყოს ძვ.-ბერძ. $\acute{\epsilon}\phi\text{-}\acute{\omicron}\lambda\kappa\alpha\iota\omicron\nu$ -იდან, რაც ვარაუდით არის: *руль, кормило*⁴.

ἑφ-όλκαιον, ἑφ-όλκιον⁵ > *ეფ-კიონ (ól-ის ამოვარდნით) > აფ-ქიონ/აფ-თიონ (შდრ: კალანდა > კანდა⁶, ლაგაზი > ლაზი⁷).

„აფთიონის“ საბასეული განმარტებაა (როგორც უკვე ითქვა): „ნავთ სამართი ტიმონი“ (ამ განმარტებას იმეორებენ ჩუბინაშვილებიც);

თვით „ტიმონის“ განმარტებისას საბა წერს: „ტიმონი – ფრანგულია, ქართულად პიდალიო ჰქვიან“.

„ტიმონი“ არის ფრანგულშიც (*timon*), იტალიურშიც (*timone*), ახ.-ბერძნულშიც (τό τιμόνι) და მისი მნიშვნელობა ყველგან ერთია: „ნავთ სამართი ფიცარი“.

პიდალიოს ძვ.-ბერძნული და ახ.-ბერძნული დანერილობაა πηδάλιον (მნიშვნელობა იქაც, ვით ქართულში: „ნავთ სამართი ფიცარი“).

ჩუბინაშვილებთან ტიმონისა და პიდალიოს ერთერთი შესატყვისია „საჭე“, რომელიც მათ მიერ ისევე, როგორც საბას მიერ, განმარტებულია, ვითარცა „მენავის ხალა“ და წყაროდ მითითებულია (საბასთან და ნ. ჩუბინაშვილთან) საქმე მოციქულთა (27,40): „... მოუტევენეს შესაულღველნიცა იგი საჭეთანი“ (საქმ. მოციქ. 27,40).

შესაბამის ადგილას ბერძნულშია πηδάλιον, ლათინურში, – *gubernaculum*, იტალიურში, – *timone*, სომხურში, – ერთგან: *թև*, მეორეგან: *ղեկ*, რუსულში, – *руль*⁸, – და თითოეული ნიშნავს იმას, რასაც ქართულში, – „საჭე“⁹.

ერთი სიტყვით: ქართ. „საჭის“ უცხო შესატყვისებია: ბერძნული ἑφ-όλκαιον/ἑφ-όλκιον, πηδάλιον, ლათინური, – *gubernaculum*, იტალიური, – *timone*, სომხური, – *թև*, *ղեկ*, რუსული, – *Кормило*, *руль*.

ამათგან ორი (πηδάλιον და *timone*) ფორმებით: „პიდალიო“ და „ტიმონი“ ძველ ქართულში უხმარიათ „საჭის“ პარალელურად.

1. **Кормило** – руль: привешенная к корме судна на крючьях деревянная лопасть, а инагда и потесь, в виде весла, для управления (В. Даль, ТС – II-164);
лопасть – ლაპოტი, ნავის ნიჩბის ფრთა (რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., – 1983);
потесь – ძელი ორის მხრით გათლილი თავში, იხმარების სასმელად გემში (ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, II, თბ., 1973);
2. (A=689, 190r, 22-24a); A-689 – ასკეტიკონი და წმიდათა ცხოვრებანი (XIII ს.);
 ეს „აფქიონი“, ზურაბ სარჯველაძის განმარტებით არის „აფრა“ (იხ. ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1995), ჩემი აზრით, – „საჭეა“, რასაც ადასტურებს გამოთქმა „ძრვითა აფქიონთაჲთა“.
3. ძველი ქართველი მეხოტბენი, II, თბ., 1964, გვ. 258.
4. ἑφ-ἄλκαιοσ τό – ვარაუდით: руль, кормило. (Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т. I-723);
5. ὀρκίον და ὄρκιον τό – 2. ხომალდის საჭე (იქვე);
6. კანდა – ახალი წელი, კალანდა (ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., – 2000, – 342);
7. ლაგაზი მინა – ნებოვანი შავი მინა; ლაზი – ნებოვანი ტალახი. (ქეთევან ძონენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974).
8. იხ. The greek new testament, Novum testamentum, Nuovo testamento, სირ კთაქარამ. Ἰνιჟრა – 1892, სირ კთაქარამ. Ἰჰენნამ – 1929, სირ კთაქარამ. Ἰ.Ἰ.Ἰ.Ἰ.Ἰ.Ἰ. – 1975, Новый заветъ, С.-Пб.-1884 (საქმ. მოციქ. 27,40).
9. საჭე – მენავის ხალა (საბა, ჩუბინაშვილი);
ხალა [\ll სპ. χ (ხალო)] – ნიჩაბი, ხოფი; ლატანი, ხალა. (Персидско-русский словарь, Под редакцией Ю. А. Рубинчика, т. I, М., – 1983-566)

სოფი/სოპი

„ხოფის“ განმარტება საბასთან (წყაროზე მიუთითებლად და უცხო შესატყვისთა გარეშე) არის „ნავის ნიჩაბი“, „ნიჩაბისა“ – [წყაროზე მითითებით (3,12 მათე) და უცხო შესატყვისებით (თ. ქურაგ¹, ს. თინ², უნანუნც, უნანუც, იენანუც³), – „სახვეტელი“.

„ნიჩაბი“ ქართულ ლექსიკოგრაფიაში ოდითგანვე ორი მნიშვნელობისაა (1. ნიჩაბი – სილისა და მარცვლეულთა სახვეტელი; 2. ნიჩაბი – წყალში მოსასმელი)⁴.

ძველ ქართულ მწერლობაში „ნიჩაბი“ დადასტურებულია ორივე მნიშვნელობით: პირველით – IX ს-ში⁵, მეორით, – XII-ში⁶.

„ხოფი“ იქ არ ჩანს.

ჩუბინაშვილებით „ხოფის“ პარალელური ფორმაა „ხოპი“; მათთან მისი („ხოპის“) განმარტებაა „ნავის მოსასმელი ნიჩაბი“, უცხო შესატყვისი (რუს.), – *весло*.

„ხოფის“ ჭანური გამოთქმაა „ხოპე“⁷, მეგრული, – „ხოპი/ხოპი/ხოფი“⁸.

როზენი ჭან. „ხოპეს“ უპირისპირებს ბერძ. *καπίου*-ს⁹, რაც ბერძნულშიც იმავე მნიშვნელობისაა, რისაც ჭანურში „ხოპე“.

ჭან. ხოპე > ბერძ. *καπίη*?

თუ.:

ბერძ. *καπίη* > ჭან. ხოპე? –

რომელი?

შენიშვნები

1. *kürek* (ღ) – 1, ნიჩაბი; 2. აქანდაზი; 3. ხოფი.
(*Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазаник, М., – 1945-376*).
2. თინ (*թին*) არის დიალექტური (ხარბერდი, ნორ-ჯულა) ფორმა სიტყვისა *թი* (თი) – „ნიჩაბი, ხოფი“ (იხ. ჯრ.Աճառյան, ՀԱԲ – II-182).
3. უნანუნც, უნანუც, იენანუც ფონეტიკური ვარიანტებია სიტყვისა *Հեծանոց* [იენანუც < ჰენანოც (*Հեծանոց*)] – „დაკბილული

ნიჩბის ფორმის იარაღი“ (Հր.Աճառյան, ՀԱԲ - III-76), „ოთხთითიანი ხის ფინალი (housh)“ (ժամանակակից Հայոց լեզվի բացատրական բառարան. Գ. III, Երև. - 1974, 333).

4. **ნიჩაბი** - 1. ხის (ჩვეულებრივ) ან ლითონის ბრტყელი ხის ტარიანი იარაღი; იხმარება რისამე (სილის, მარცვლეულის და მისთ...) "შესახვეტად; 2. ნავიდან წყალში მოსასმელი ფართო და ბრტყელბოლოიანი კეტი, რომლითაც ნავი მოძრაობაში მოჰყავთ და მიმართულებას აძლევენ მას, - ხოფი (ქეგლ).
5. „რომლისაჲ ნიჩაბი ჳელსა მისსა“... (მათე 3,12: ადამის ოთხთავი (897 წ.), თბ., - 2003).

შესაბამის ადგილას ბერძნულშია πτύον (The greek new testament), - „(სანიავებელი) ნიჩაბი“ (Греческо-русский словарь нового завета, М., - 2002), ლათინურში, - **ventilabrum** (Novum testamentum) - „ხელის სანიავებელი“ (И. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, М., - 1986), იტალიურში, - **pala** (Nuovo testamento) - „ნიჩაბი“ (Н. А. Скворцова, Б. Н. Майзель, Итальянско-русский словарь, М., - 1977), სომხურში, - ორგან: (Նոր կտակարան, ԼՈՒՌԻԱ - 1892 და Նոր կտակարան. Վիեննա - 1929), - ხեծანոց („დაკბილული ნიჩბის ფორმის იარაღი“), ერთგან: (Նոր կտակարան, Էջմիածին - 1975), - քամიარ - „სანიავებელი მანქანა, სანიავებელა“ (Հայ-ուսերեն բառարան, Գլ. რედ. Ե. Գ. Գալստյան, Եր. - 1984), რუსულში, - **Лопата** (რომლითაც ანიავებენ ხორბალს) (Новый завет, - С.-Пб.-1884).

6. „არაბნი იქმნეს ნიჩბის მცემელ შენდა“. (ეზეკ. 27,8: გელათური ნუსხა (XII ს.): ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, გამოსცა თინათინ ცქიტიშვილმა, თბ., - 1976).

შესაბამის ადგილას ბერძნულშია (Septuaginta) κωπ-ηλάτης „მენიჩბე, მესოფე“ (Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т. I, М., - 1958-1004), ლათინურში (Vulgata), **remiges** - „მენიჩბე, მესოფე“ (И. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, М., - 1986-661), იტალიურში (La bibbia, Roma), - **rematore** - „მენიჩბე, მესო-

ფე“ (Н. А. Скворцова, Б. Н. Майзель, Итальянско-русский словарь, М., – 1977-683), სომხურში (Հին և նոր կտակարանաց, – 1997), – ნაძაძაყარ – „მესაჭე“ (არადა, უნდა იყოს მხაძაყარ – „მენიჩბე“), რუსულში (Библия, М., – 1983), – Гребец – „მენიჩბე, მეხოფე“.

7. იბ. Н. Марр, Чанско-русский словарь, С.-Пб.-1910: „ხოპე“.
8. იბ. И. Кипшидзе, Мингрельско-русский словарь, С.-Пб., – 1914: „ხოპი, ხობი, ხოფი“.
9. Georg Rosen, Über die Sprache der Lazen, Berlin – 1845 (იბ. Н. Марр, Чанско-русский словарь, С.-Пб. – 1910, გვ. 233, XXVIII)

ანკვრა/ანკვირა

ანკვრა (ანკვირა), რომ ქართული სიტყვა არაა, იცის საბამ (ანკვრა/ანკვირა – ნავის ღუზა ლათინურად), იცის დ. ჩუბინაშვილმა („ანკვირა – ლათ. ნავის ღუზა, якорь“).

წყარო ქართ. ანკვირასი არის ან ბერძ. ἄγκυρα¹ ან ლათ. ancora².

„ანკვრა“ ქართულ მწერლობაში დადასტურებულია XI ს-ში: „დავნიტქათ ნავი იგი სულისაჲ, უკეთუ დაუტეოთ საჭე და ანკვრაჲ სიმართლისაჲ“³.

შენიშვნები

1. ბერძ. ἄγκυρα/ἄγκυρη კავშირში უნდა იყოს ბერძნულსავე სიტყვასთან: ἄγκυλος – „მრუდი, მოხრილი, მოღუნული“ (იბ. Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т. М., – 1958-21).
2. ancora ლათინურში შესულია ბერძნულიდან (ἄγκυρα), ლათინურიდან (ancora), – ძვ. – შვედურში (ankari), ძვ.-ისლანდიურ-

ში (akkeri) და რუსულში (якорь) [М. Фасмер, ЭСРЯ – IV – "якорь"].

3. მამათა ცხოვრება (294v): კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A-1105 ხელნაწერი (XI ს.).

კავი

„კავი“ ქართულში არაერთი მნიშვნელობის სიტყვა გახლავთ:

1. კავი (27,29 საქმ.) – ნავის ღუნა (საბა).
2. კავი – ბოლოში მოკაკული, მოკაუჭებული რკინა (ჯოხი...) რამენე გამოსადებად, რისამე დასაკიდად და მისთ., – კაუჭი (ქეგლ). ინგილ. კავლუი/კავლოი – თავკაპიანი ჯოხი ხეხილის ტოტის დასარხევად და ახლოს მოსაწვეად¹.

3. კავი – მინის სახენელი იარაღი, – აჩაჩა (ქეგლ).

4. კავი – კუთხ. (კახ.) სახურავის ლატანი, რომელზედაც მაგრდება სახლის სახურავად გამოყენებული მასალა (კრამიტი, ყავარი, ისლი...) [ქეგლ];

5. კავი – კუთხ. (ქართლ.) – ვაზის უღვაში, რომლითაც ის ჭიგოს ეხვევა//გოგრის უღვაში//სარის ლობიოს ხვიარა ღერო (ქეგლ).

6. კავი – ჩვეულებრივ იხმარება მრავლობითში („კავები“) – საფეთქლებიდან ლოყებზე ჩამოშვებული თმა (ლუჩაქით დახურული ქალისა) [ქეგლ].

7. კავი (მრ. რ. კავევ) – წინდის თათის უკანა ზოლები. „კავევიან წინდაჲ“²

8. კავი – ჭანგი წეროსი (დ. ჩ.).

„კავის“ ამ 8 მნიშვნელობიდან საბამ იცის ორი (პირველი და მეორე), ნ. ჩუბინაშვილმაც ორი (პირველი და მეორე), დ. ჩუბინაშვილმა, ხუთი (პირველი, მეორე, მესამე, მეექვსე და მერვე).

„კავი“ („ღუნა“) ძველ ქართულ მწერლობაში დადასტურებულია X-XI სს-ში:

„აფრაჲ გარდამოაგდიან და კავნი შთაყარნიან და ნავნი დაადგინიან“³.

ახალი აღთქმით იქ, სადაც ქართულში კავია („ლუზა“) [საქმ. 27,29], – ბერძნულშია ἄγκυρα, ლათინურში და იტალიურში, – *ancora*, სომხურში, – խարխախ, რუსულში, – якорь.

შენიშვნები

1. ნათელა როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., 1978; აღ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.
2. ნათელა როსტიაშვილი, დასახ. ნაშრომი.
3. მამათა სწავლანი (X-XI სს.) – 118,29 (იხ. ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., – 1973).
4. იხ. ახალი აღთქმანი: ბერძნული (The greek new testament), ლათინური (Novum testamentum), იტალიური (Nuovo testamento), სომხური (Նոր կտակարան. Լուიդրա– 1892, Նոր կտակարան. Վիեննա – 1929, Նոր կտակարան. Էջմիածին – 1975), რუსული (Новый завет, – С.-Пб.-1884).

ლუზა

„ხომალდის კავი, ხომალდის საყენებელი რკინა, ხომალდის რკინა; ლ. ანკურა, – ასეთია „ლუზის“ საბასეული განმარტება.

„ხომალდის დასაბმელი დიდი კავი, якорь, – ასე განმარტავენ „ლუზას“ ჩუბინაშვილები (ნიკო და დავითი).

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით: „ლუზა არის გრძელ ჯაჭვზე მიბმული რკინის კავებიანი ლერო, რომელიც ზღვის ან მდინარის ფსკერზე ჩაშვებისას კავებით ნიადაგს ეჭიდება და გემს ერთ ადგილას აჩერებს“.

„ლუზა“ ძველ ქართულ მწერლობაში არ ჩანს; იქ დასტურდება მხოლოდ სინონიმი მისნი: „კავი“ და „ანკურა“.

ჩემი აზრით, „ლუზის“ ამოსავალია ლუზ – (მეგრ. ლუზუა/ იმერ. ლუზვა)¹ ისევე, ვითარცა ბერძნულში: ἀκύρις, – ἄγκυρα-სი².

„ლუზუა“ ამოსავალია აგრეთვე „უზნისა“ (უზან-ი < მეგრ. ლუ-ზან-ი);

ეს მცენარე („უზან-ი“), როგორც ცნობილია, არის ლუნვადი, დრეკადი³.

შანიშვანები

1. ლეზუა/ლუზუა – „ლუნვა“; მალუზალი – „მლუნავი“, ლუზუნს – ლუნავს“, ლუზილი – „გალუნული“, ნალუზა – „გა'ნალუნი“.

(იხ. И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, С.-Пб.-1914; გივი ელიავა, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, მარტვილი – თბილისი, – 1997; ოთარ ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, III, თბ., 2002).

დაღვეზილება (ლერხ.) დაზნეჯა (აღ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., – 1984): და-ღვეზ-ილება!

ლუზვა (იმერ.) – „ლუნვა“; ღვერვა (იმერ.) – „ლუნვა, დრეკა“; (იქვე); გაღვერილი (იმერ.) – „გამრუდებული, გაღუნული“ (ქეგლ);

ღვერ>ღვეზ (რ>ზ) > ლუზ – („ლუზვა/ლუზუა).

2. ἀγκύλιος („მრუდი, მოხრილი, მოღუნული“) > ἀγκύρα/ἀγκύρη („ლუზა, კავი“).

3. უზანი მცენარეა, რომელსაც დრეკადი ტოტები აქვს (აღ. ლლონტი, დასახ. ნაშრომი);

უზანი (*Viburnum lantana*) – ხე არს მოდრეკადი (იოანე ბაგრატიონი, საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი, თბ. – 1986).

კესი

აფრიანი ნავის (გემის) ანძაზე გარდიგარდმო გადებული აფრის ასაბმელ ლატანს, რომლის ბერძ. სახელწოდებაა *κεραία*¹, ჰოლანდიური, *ree*², ძვ.-ისლანდიური, – *ra*³, ფინური, – *raaka*⁴, თურქული, – *seren*⁵, სომხური, – *առագաստափայտ*⁶, ესპანური, – *verga*⁷, ინგლისური, – *yard*⁸, რუსული, – *Рáйна /рей/рея*⁹, ქართულად ჰქვია „კესი“.

„კესი“ საბასთან განმარტებულია წყაროზე მითითებისა და უცხო შესატყვისის გარეშე: „კესი – ხომალდის აფრის გასაბამი ლატანი“.

ჩუბინაშვილი იმეორებენ „კესის“ საბასეულ განმარტებას და გვთავაზობენ ამ სიტყვის რუსულ ეკვივალენტს, – *Райна*.

„*Райна*“, ვ. დალის მიხედვით (В. Даль, ТС – IV-56), მოძველებული გამოთქმაა, ამჟამად იხმარებაო (წერს იგი): *рей/рея*.

ქართული შესატყვისი რუსული *рея*-სი (რუსულ-ქართული ლექსიკონის მიხედვით) არის „ქანდარა“¹⁰.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ტომნი: IV და VII) შეტანილი და განმარტებულია „ქანდარაცა“ და „კესიც“ (ეს უკანასკნელი საბასეული განმარტებით):

ქანდარა – ზღვ. მოძრავი, განივი ძელი ხომალდის ანძაზე, რომელზედაც ამაგრებენ იალქანს (ქეგლ. – ტ. VII);

კესი – „ხომალდის აფრის გასაბამი ლატანი“ (საბა).

რატომღაც, არც „ქარნდარისა“ და არც „კესის“ განმარტების ავტორს აზრად არ მოსვლია, რომ ეს ორი სიტყვა სინონიმნი არიან ერთმანეთისა.

„კესი“ ქართულში არა მარტო გემის (ნავის) გარკვეული ნაწილის სახელი გახლავთ, არამედ იგი სინონიმია „საყვავისა“, რაც იგივეა, რაც „თავზე“¹².

შენიშვნები

1. Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т. I-935.
2. М. Фасмер, ЭСРЯ – III-436, 452, 463.
3. М. Фасмер, დასახ. ნაშრომი.
4. М. Фасмер, დასახ. ნაშრომი.
5. Турецко-русский словарь, Авторы: А. Н. Баскаков и др. М., – 1977.
6. Հայ-ռուսերեն բառարան, Гл. ред. Е. Г. Галстян, Եր. – 1984.
7. Русско-испанский словарь, Составили Х. Ногейра и Г. Я. Туровер, М., – 1974.
8. Англо-русский словарь, Составил проф. В. К. Мюллер, М., – 1943.
9. В. Даль, ТС – IV-56; Толковый словарь русского языка, под редакцией проф. Д. Н. Ушакова, т. III, М., – 1939; М. Фасмер, ЭСРЯ – III; ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., – 1971.
10. რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., – 1983.
11. კესი (თუშ.) – საყვავე (თ. უთურგ.) (ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984).
კესი – საყვავე, სახლის ორფერდა საბურავის ფერდების შეყრის ადგილი (გ. ცოცანიძე, ნაწერი ხანჯრის წვერიტა, თბ., 2003,, განმარტებები, – გვ. 168)
საყვავეა – შენობის საბურავის მსხვილი ხე, რომელიც შიგნით დამაგრებულ ორ დიდ ბოძზეა გადებული და რომელზედაც კავების თავებია დანყობილი (პ. ხუბუტია, თუშური კილო, თბ., – 1969).
საყვავე – იგივეა, რაც თავხე (ქეგლ).
12. თავხე – მთავარი დირე, მთავარი კოჭი, რომელიც სახლის საბურავის გასამართავადაა გადებული, – სათავე, საყვავე (ქეგლ).

ორთაყვირი

ორთაყვრ-ის (ორთაყვირი) საბასეული განმარტება არის „სატივე ხოპი; ტივის ნიჩაბი“.

ეს სიტყვა ძველ ქართულ მწერლობაში არ მოიპოვება.

ჩუბინაშვილებთან, გარდა ფორმისა „ორთაყვირი“, არის ამ სიტყვის კიდევ ორი, ფრიად საინტერესო ფორმა: „ოსტაყვირი“ და „ოშტაყვირი“¹.

ამ ორი ფორმის საფუძველზე, ვფიქრობ: „ორთაყვირის“ ამოსავალი უნდა იყოს ს. $nu\sigma^2$ („ხის ტოტი“) და $ku\sigma^3$ („ხელი“):

$*nu\sigma - \sigma + ku\sigma > *ოსტ-ა+კვირ-ი > ორთ-ა+ყვირ-ი$ („ხის ტოტის ხელი“, „ძელის ხელი“);

ანდა:

$*asta+ku\sigma > *ორთა+კვირ-ი > ორთა+ყვირ-ი$ („ხალა+ხელი“)⁴.

შენიშვნები

1. ორთაყვირი, ოსტაყვირი, ოშტაყვირი – სატივე ხოპი მსხვილი ლატნისაგან, весло из бревна для сплавки плотов (ნ. ჩ. და დ. ჩ.);
2. ს. $nu\sigma$, გოთ. $asts$, გერმ. Ast , ძვ.-ბელგ. ast – „ხის ტოტი“ (Հր.Աճառյան, ՀԱԲ – III-568 – „ $nu\sigma$ “);
იტ. $asta$ – საყე, ხალა (Н. А. Скворцова, Б. Н. Майзель, Итальянско-русский словарь, М., 1977);
3. ს. $ku\sigma$, დიალექტ (ტფ.) $ku\sigma$ – „ხელი“ (Հր.Աճառյան, ՀԱԲ – II-663 – „ $ku\sigma$ “); ქართ. ქურ [ქურ-ო – ორთავე ველთა შესაყოფელი ფართო ბენვიანი სითბოსათვის; ქურ-ჯვა-მჯილის ნაკვრა; ჯურ-თ-ი – მჯილი შეკონვილი (საბა)], ჯურ – „ხელი“, უდ. ქულ – „ხელი“ (იხ. ევგენი ჯეირანაშვილი, უდიური ენა, – გვ. 203), თურქ. kol – „ხელი“ (იხ. Турецко-русский словарь, Составил Д. А. Магазаник, М., – 1945);
4. შდრ: ს. px (თევ) – ფრთა, ხელი“; px – „ნავის საჭე“ (Հր.Աճառյան, ՀԱԲ – II-177 – „ px “).

კიჩო

„კიჩო“ არ იცის საბამ; არ იციან ჩუბინაშვილებმა.

იგი შედარებით ახალი სიტყვაა.

დასტურდება თანამედროვე ენით დანერილ ბიბლიაში:

„ხოლო ის კიჩოზე იწვა და სასთუმალზე ეძინა“. (მარკ. 4,38)¹.

ახალი აღთქმით (მარკ. 4,38) „კიჩოს“ უცხო შესატყვისებია: ბერძ.

πρῦμα², ლათ. puppa³, იტ. fondo⁴, სომხური խել⁵, რუსული Корма⁶, თურქული kic(-ci)⁷.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „კიჩო“ განმარტებულია, როგორც „გემის, აგრეთვე თვითმფრინავის უკანა ნაწილი, ბოლო“.

„კიჩო“ ქართულში შემოსულია თურქულიდან:

თ. kic > ქართ. კიჩ-ო.

[უცხოურიდან შემოსულ სიტყვაზე „ო“ ბგერის დართვა ქართულისათვის ჩვეულებრივი თვისებაა (შდრ: სპ. ქი (ფილ) > ქართ. პილო (> ს-პილო), ს. კასყაჯ (კაკაჩ) > ქართ. ყაყაჩ-ო და სხვ. მრ.]

შენიშვნები

1. ბიბლია, თბ., 1989.
2. ძვ.-ბერძ. πρῦμα, эп.-ион πρῦμη ἢ – კიჩო (Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т. II-1432).
πρῦμα, ης – კიჩო (Греческо-русский словарь нового завета, М., – 2002).
3. puppis is – კიჩო (И. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, М., – 1986).
4. fondo – 3. ბოლო, უკანა ნაწილი (Н. А. Скворцова, Б. Н. Майзель, итальянско-русский словарь, М., – 1977), – არადა, ამავე ლექსიკონის მიხედვით იტ. შესატყვისი კიჩოსი (რუს. Корма) არის рорра (pōppa – კიჩო).
5. խել – კიჩო (Հր.Աճառյան. ՀԱԲ – II-355 – „խել“; Հայ-ռուսերեն բառարան. Եր. – 1960).

6. **Корма** (Марк. 4,38) – ბოლო ნავისა გინა ხომალდისა და მისთანათა (ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., – 1971);

Корма – გემის უკანა ნაწილი (Толковый словарь русского языка, под редакцией проф. Д. Н. Ушакова, т. I, М., – 1935).

7. **kiç** (-ci) – 1. უკანალი; უკანა ნაწილი; გავა (ცხენისა); 2. ზღვ. კიჩო. (Турецко-русский словарь, авторы: А. Н. Баскаков и др. М., – 1977).

ნავთი მენი:

ნავსა/ნავის მავნებელი/კალაფატი

საბათი „კალაფატი“ (ფორმით: „კალაფატნი“) ლათინურ-ბერძნული შესატყვისია „ნავსესი“, რომელიც (მისივე განმარტებით) იგივეა, რაც „ნავის მავნებელი“¹.

ეს სიტყვა („ნავსე“) იცის მხოლოდ საბამ, სხვამ, – არავინ (არც საბამდე, არც საბას დროს, არც საბას შემდგომ); „ნავის მავნებელი“ და „კალაფატი“ (თვინიერ საბასი) იციან სხვებმაც (თანაც, ბევრად ადრე საბამზე)².

„კალაფატის“ ზუსტი განმარტება ეკუთვნის ილია აბულაძეს: „კალაფატი – მგმანავი“³.

„კალაფატი“ – სემანტიკით: „გმანვა, მგმანავი“ და ნიარგვარი ფონეტიკური დაბოლოებით არის არაერთ ენაში:

იტ. **calafatare** – გმანვა, ჩურთვა, ამოვსება, ამოქოლება (ნახვრეტისა); **calafato** – „მგმანავი“⁴;

თურქ. **kalafat** – „გმანვა“. **kalafatçı** – „მგმანავი“⁵;

საშ.-ბერძ. და ახ.-ბერძ. **καλαφατιζω** – „გმანვა“; **καλαφατις** – „მგმანავი“⁶.

ესპ. **calafeter** – „გმანვა“; **calafate** – „მგმანავი“⁷;

პორტ. **calafêto** – „გმანვა“; **calafate** – „მგმანავი“⁸.

რუს. **конопатить** (ძვ. **конопатити**) – „გმანვა“; **конопатчик** – „მგმანავი“;

მ. ფასმერით „კალაფატის“ პირველწყაროა არაბ. **qalafa, qallaf** – „გმანვა“¹⁰.

ჩემი აზრით – „კალაფატის“ უპირველესი ამოსავალი უნდა იყოს აზერბაიჯანულში არსებული **Калафа** – „ხვრელი, ნახვრეტი“¹¹.

შენიშვნები

1. ნავსე – ნავის მავნებელი. ლ. კალაფატნი; კალაფატნი – ბერძნულად ნავის მავნებელი.

- (სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. I, თბ., - 1991, ტ. II, თბ., 1993).
2. „საჭეთმპყრობელთა და ნავის მაშენებელთა“. [ასკეტონი და წმიდათა ცხორებანი (XIII ს.)]; „... ხურონი და კალაფატნი“ [გიორგი მთაწმიდელი, ცხორება იოვანესი და ევთემესი (XI ს.)]. (იხ. ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., - 1995 - „ნავისმაშენებელი“; ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., - 1973 - „კალაფატი“);
 3. იხ. ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., - 1973 - „კალაფატი“. „კალაფატი“ იცის დ. ჩუბინაშვილმაც, იცის, მაგრამ იცის, როგორც „жгущий камень“ (კალაფატი - ევთიმის ცხოვ. жгущий камень); жгущий камень (იგივე адский камень) არის ლაპისი, ჯოხობხეთის ქუა, რომელსაც შუამზადებენ მკურნალნი მოსაჭმელად მუნუკთა, ხორცმეტთა და მისთანათა“ (იხ. ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., - 1971);
 4. Н. А. Скворцова, Б. Н. Майзель, Итальянско-русский словарь, М., - 1977-135;
 5. Kalafat თურქულში ეწოდება აგრეთვე „თავსაბურავს“, ერთი ლექსიკონით (Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазаник, М., - 1945-305) „იანიჩართა მეთაურისას“, მეორით (Турецко-русский словарь, авторы: А. Н. Баскаков и др. М., - 1977), - „იანიჩარისას“.
 6. E. A. Sophocles, Greek Lexicon of the roman and byzantine periods, volume II, New york, - 621; А. А. Иоаннидис, Русско-новогреческий словарь, М., - 1983.
 7. Испанско-русский словарь, под общей редакцией Ф. В. Кельина, М. - 1964-181.
 8. Португальско-русский словарь, составили С. М. Старец, Е. Н. Феерштейн, М., - 1972-181.
 9. М. Фасмер, ЭСРЯ - II-311.

10. М. Фасмер, ЭСРЯ, – II-311; არაბ. **فلف** (ყალაფა) – „გმანვა“ (В. М. Борисов, русско-арабский словарь, т. I, М., – 1981-373 – „**конопáтит**“);
11. იბ. Азербайджанско-русский словарь, под редакцией Г. Гусейнова, Баку – 1941-162.

ნავკოლარი/ნავკოსალარი

„ნავკოლარი“ საბას „ნავკოსალარის“ სინონიმად მიაჩნია; იგი („ნავკოლარი“) საბას ავტოგრაფულ ნუსხათაგან მხოლოდ ერთშია (H-416)¹, „ნავკოსალარი“, – ყველაში (გარდა ერთისა);

რაიცა შეეხება განმარტებას, – განმარტება ორივესი ერთია: „მენავეთ მოძღვარი“; უცხო შესატყვისად კი პირველს თურქ. რეიზი² უზის, მეორეს, – კაფიდან³ და რეიზი (თურქულივენი);

ჩუბინაშვილებმა (არც ნიკომ და არც დავითმა) „ნავკოლარი“ არ იციან, – იციან „ნავკოსალარი“, რომლის განმარტებისას ისინი (ნ. ჩ. და დ. ჩ.) ამ სიტყვის საბასუულ განმარტებას („მენავეთ მოძღვარი“) უმატებენ: „ხომალდის მატარებელი“ და რუსულ შესატყვისებს: **кормчий** (ნ. ჩ.), **капитан корабля** (დ. ჩ.);

ნ. ჩუბინაშვილი უთითებს წყაროსაც (იგავ. 23,34);

ნ. ჩუბინაშვილის მიერ მითითებულ ადგილას (იგავ. 23,34), ჩვენამდე მოღწეულ ბიბლიის არც ერთ ხელნაწერში ეს სიტყვა არ დასტურდება.

ამ ადგილას ოშკისა და მცხეთის ბიბლიებში არის: „ნავისმავ-ლინებელი“, ბაქარისაში და ტფილისურში, – „ნავის – მართებელი“⁴.

მამასადამე ნ. ჩუბინაშვილს ხელთ ჰქონია სოლომონის იგავთა წიგნის ის ნუსხა, სადაც დასახელებულ ადგილას (23,34) წერებულა „ნავკოსალარი“.

შესაბამის ადგილას უცხოენოვან ბიბლიებში წერია:

ბერძნულში: **καπερνηγος**⁵ (იხ. Septuaginta);

ლათინურში: **gubernator**⁶ (იხ. *Vulgata*);

სომხურში: ნადაქარ (იხ. ჰქმ სთასყარან);

„ნავკოლარი“ ქართულში შემოსულია ლათინურიდან: **naviculárii**⁸>ნავკოლარი!

არაქართული წარმოშობისაა „ნავკოსალარიც“; იგი, ჩემი აზრით, ლათ. და სპ. სიტყვების ნერთია:

ლათ. **nāvicula**⁹+სპ. **ر** **ص** (სალარ)¹⁰>ნავკოსალარი!

შენიშვნები

1. H-416 უძველესი ნუსხაა; ლ. ქუთათელაძის აზრით იგი შექმნილი უნდა იყოს დაახლოებით 1685 წლიდან 1698 წლამდე. (ლილი ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., 1957, გვ. 52).
2. თ. **reis** – კაპიტანი (გემისა) [Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазаник, М., – 1945-501];
3. საბასეული ამ თურქული „კაფიდან“-ის წყაროა იტ. **capitano**, რომელიც, თავის მხრივ, მომდინარეობს სამ.-ლათ. **capitaneus**-იდან (იხ. М. Фасмер, ЭСРЯ – т. II-185);
შდრ: ქან. კაპიდანი (т.-um **قاپدان**) – капитан. (Н. Марр, Грамматика чанского(лазского) языка с хрестоматией и словарем, С.-Пб. – 1910-152);
4. იხ. ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., – 1973 – „ნავის-მავლინებელი“, „ნავის-მართებელი“; ბიბლია, – ტფ. – 1884 – (იგავ. 23,34);
5. **κυβερνήτης** – 1. მესაჭე; 2. კაპიტანი; 3. გემის პატრონი (Греческо-русский словарь нового завета, М., – 2002, 127);
6. **gubernātor** – მესაჭე (И. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, М., – 1986-354);

7. ნადაცარ – გემის მყვანებელი, მესაჭე (Հայ-ուսերն բառարան, Гл. редактор Е. Г. Галстян, Եր. – 1984-493);
8. **naviculárii** – მეზომალდე, ხომალდის პატრონი (სიმონ ყაუხჩიშვილი, ლათინურ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1961-242); **náviculárius** – ხომალდის პატრონი (И. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, М., – 1986-506);
9. ლათ. **nāvicula**, ae – მომცრო გემი, ნავი (И. Х. Дворецкий, დასახ. ნაშრომი).
10. სპ. **سلا** (სალარ) – მეთაური, წინამძღოლი (Персидско-русский словарь, под редакцией Ю. А. Рубинчика, т. II, М., – 1983, გვ. 12).

მეპრორა

„მეპრორე“ წმინდა ქართული წარმოების სიტყვაა (მე-პრორ-ე) ისევე, როგორც „მენავე“ (მე-ნავ-ე), მემაჭე (მე-მაჭ-ე)¹ და სხვ. მრ. ძირი მეპრორისა („პრორა“) ბერძნულია (παρῶρα/παρῶρι)², – ნიშნავს: „გემის წინა ნაწილი“, „გემის ცხვირი“³.

„მეპრორე“ საბათი „მენავეთ უხუცესია“, ჩუბინაშვილებით, – „მესაჭე, მენავეთმოდღვარი, кормчий“.

საბა და ნ. ჩუბინაშვილი „მეპრორის“ განმარტებისას უთითებენ წყაროსაც (იონა 1,6)⁴.

მითითებულ წყაროში (იონა 1,6) არსებული „მეპრორის“ ადგილას უცხოურ ბიბლიებში წერია:

παρῶρα⁵ (Septuaginta);

gubernator⁶ (Vulgata);

capitano⁷ (La Bibbia);

ნადაცარსინ⁸ (Հին կտակարան);

Начальник корабля⁹ (Библия);

ამათგან: „მეპრორის“ შესატყვისია *პრჱრჱც*, სწორედ *პრჱრჱც* და არა რომელიმე სხვა! – და ეს არა მარტო იმიტომ, რომ ამ ორი სიტყვის ძირი ერთი და იგივეა (*პრჱრჱ*), არამედ უფრო იმიტომ, რომ ქართული ბიბლია [და ამას თვით ეს სიტყვაც („მეპრორე“) მოწმობს] თარგმნილია ბერძნულიდან, რაც არ შეიძლება ითქვას იტალიურ, სომხურ და რუსულ ბიბლიათა კერძოდ ამ წიგნის („წინასწარმეტყველება იონასი“) შესახებ, ვინაიდან იტ. **capitano**, სომხ. **մատապետ** და რუს. **начальник корабля** (ეკვივალენტნი ერთმანეთისა) არც ერთი არ გახლავთ ბერძ. *პრჱრჱც* შესატყვისი; სხვათა შორის ბერძ. *პრჱრჱც*-თან, სხვებთან შედარებით, გაცილებით ახლოს მდგომი ლათ. **gubernator**-იც არავითარ შემთხვევაში არაა წყარო ქართ. „მეპრორისა“.

შენიშვნები

1. **მემაჭე** – გუთნისდედა (მაჭი – გუთნის სახელური) [იხ. საბა და დ. ჩ. – „მაჭი“, „მემაჭე“];
2. ბერძ. *პრჱრჱ*/*პრჱრჱ*, იმავე ფორმითა და იმავე მნიშვნელობით, რაც ბერძნულში აქვს, შესულია ლათინურში და იტალიურში (*prōra*), ვენეციურსა და დონურ კილოცავში იგი ფონეტიკურად სახენაცვალია: **პრჱრა**. (ბერძ. *პრჱრჱ* > ლათ. – იტ. **prōra** > ვენეც. **prova** > რუს. **прóва**) [М. Фасмер, ЭСРЯ, – т. III. – 371.];
3. ძვ.-ბერძ. *პრჱრა* (თჯ. *პრჱრა*), იონ. *პრჱრჱ ἦ* – 1) *ნოსოვია* часть (корабля), *კორაბელნი* нос (Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т. II. – М. – 1958-1434);
4. „და მოვიდა მისდამი მეპრორე და ჰრქჱა მას, რასა ჰხჱრინავ შენ, აღდეგ და ჰხადე ღმერთსა შენსა“.... (იონა 1,6: ბიბლია, – ნაწ. II – ტფ. – 1884).

ოშკის ბიბლიაში შესაბამის ადგილზე „მენავეა“:

„მოუკდა მას მენავჭ იგი“ (იხ. ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი თბ., 1973); თანამედროვე ქართულით დანერვილ ბიბლიაში, – „ხომალდის უფროსი“: „მივიდა მასთან ხომალდის უფროსი და უთხრა: რას დაგიძინია? ადექი, შენც შეჰლალადე შენს ღმერთს“ (ბიბლია, თბ., – 1989);

5. ბერძ. πρῶρευα/πρῶρατηα (> ლათ. *prōreta*) – მესაჭის თანაშემწე, რომელიც იმყოფება გემის ცხვირზე და იქიდან მიმართულებას მიანიშნებს კიროზე მყოფ მესაჭეს.

(И. Х. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, т. II, М., – 1958-1434; И. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, – М., – 1986-629);

6. ლათ. *gubernātor, ōris* – 1. მესაჭე; 2. მმართველი, ხელმძღვანელი, გამგებელი (И. Х. Дворецкий, латинско-русский словарь, – 1986-354).

7. იტ. *capitano* – 1. სარდალი; 2. მეთაური, მოთავე; 3. სამხედ. კაპიტანი; ასეულის მეთაური; 4. საზღვ. კაპიტანი (Н. А. Скворцова, Б. Н. Майзел, Италиянско-русский словарь, М., – 1977-146);

8. *ნაყაყანთ* – გემის, ხომალდის კაპიტანი.

(Հայ-ռուսերեն բարարան, Гл. ред. Е. Г. Галстян, Եր. – 1984-493);

9. Начальник корабля – ხომალდის უფროსი.

ეპივატი

ეპივატი (ეპივატნი) ქართულ მწერლობაში XII საუკუნიდან ჩანს, – ისიც მხოლოდ ერთგან (ეზეკ. 27,29): „და შთამოვიდენ ნავთავან მათთა ყოველნი ნიჩბის მცემელნი შენნი და ეპივატნი შენნი და მპირველობნი ზღვსანი ქუეყანასა ზედა დადგენ“¹.

ეპივატის ადგილას ბიბლიის X საუკუნის ნუსხაში (ოქქურში) წერია: „ნავსა შინა მსხდომი“²: „და გარდამოკდენ ნავით მათით ყოველნი საჭით მხერვალნი და მას შინა მსხდომნი და ყოველნი ნავთა მხერვალნი ზლუსანი და ქუყყანასა დადგენ“³.

ქართულ ლექსიკოგრაფიაში „ეპივატი“ განმარტებულია, როგორც „მენავე“ (საბა); როგორც – „მხედარი, ანუ ნავსა შინა მსხდომი“ (ნ. ჩ. და დ. ჩ.); როგორც – „გემის მგზავრი, გემით მოგზაური“ (თ. ცქ.)⁴

„ეპივატი“ ნასესხებია ბერძნულიდან;

ბიბლიით მისი შესატყვისნი არიან:

ბერძ. ἑπτάτης⁵ (Septuaginta);

ლათ. *nautae*⁶ (Vulgata);

სომხ. նաւամուտք⁷ (Հին կտակարան);

რუს. корабельщик⁸ (Библия).

შენიშვნები

1. იხ. ებეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა და ლექსიკონი დაურთო თინათინ ცქიტიშვილმა, თბ., – 1976 – გვ. 100.
2. უფრო ზუსტად: „მას შინა მსხდომი“ (და ეს „მას“, რა თქმა უნდა, არის „ნავი“).
3. ებეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, გვ. 100.
4. ებეკიელის წიგნის ძველ ქართულ ვერსიებს თანდართული ლექსიკონი, – გვ. 359;
5. ἑπτάτης სამსავე ბერძნულშია (ძველშიც, საშუალებშიც და ახალშიც); დვორეცკის განმარტებით იგი არაერთი მნიშვნელობისაა: ἑπτάτης, οὐ (ἄ) ὀ – 1. эпитат, солдат морской пехоты; пассажир на корабле, мореход; воин на колеснице; всадник (Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т. I, М., – 1958-602); სოფოკლეთი მისი განმარტებაა: „ხომალდის მგზავრი“: ἑπτάτης, οὐ, ο –

passenger on board a vessel (E. A. Sophocles, Greek Lexicon of the roman and byzantine periods, volume I, New York-497); იოანიდისით, - „მგზავრი“: пассажир - ὁ ἐπιβάτης (A. A. Иоаннидис, русско-новогреческий словарь, М., - 1983-450);

6. **nauta, ae** - 1. მენავე; 2. მეხომალდე; გემის პატრონი; 3. ზღვით მოგზაური; 4. მეზღვაური (И. X. Дворецкий, Латинско-русский словарь, М., - 1886-506).

7. **ნასამნით** (ნას + ა + მით):

ნას - „ნავი“, მით/მით იგივეა, რაც მთმს - „შესვლა“; არსამით/არსამით - „მზის ჩასვლა“ (არს - „მზე“, მით - „ჩასვლა“);

ხსამით/ხსამით (იგივე ხსამით/ხსამით) -

„განუწყვეტელი მიმოსვლა“, „ნინ და უკან სიარული“;

ხ/ხ - „გასვლა, გამოსვლა, ამოსვლა, გასაავალი, გამოსავალი“: არს ხ - „მზის ამოსვლა“.

აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ შრ. აჭარიანის ნაშრომში (Հր.Աճառյան, ՀԱԲ - III-362) მით/მთმს დაკავშირებულია სპარსულ სიტყვასთან **ā-madan** - (آمدان) - „სვლა, სიარული“. ეს „ამანდან“ (آمدان) კი საფუძვლად უდევს სპარსულსავე სიტყვებს: **ამანდორაფთ** (آمدورافت) და **ამანდოშოდ** (آمدوشاد) - „მიმოსვლა, აქეთ-იქით სიარული“ [რაფთან (رفتار)/შოდან (شدن) - „სვლა“];

აქედან გამომდინარე:

ნასამნით, ჩემი აზრით, უნდა გავიგოთ, როგორც „ნავით მიმომსვლელი“, „ნავით მიმომავალი“, „ნავით მოგზაური“. (მრ. ნასამნით);

8. **корабельщик** - მეხომალდე, ვაჭართ გემის უფროსი. Ин. шкипер.

Шкипер - მეხომალდე, ხომალდის მატარებელი (ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I - თბ., - 1971, ტ. II, - თბ. - 1973).

მხერვალი

„მხერვალი“ საბათი არის „ნავის მატარებელი, ნავის მარონინებელი, ნავის მავლინებელი, რომელსა უპყრიეს ტიმონი“, ჩუბინაშვილებით, – ნავთ სამართი ფიცარი, საჭე, руль, кормило“.

ამასთან: საბათივე „მხერვალის“ იტ. შესატყვისია „ტიმონე“ (რაც იტალიურად ნიშნავს: „საჭე“)¹.

რაშია საჭმე?! –

რაა ეს „მხერვალი“?! – საჭე თუ მესაჭე?

მესაჭე თუა, რატომაა მისი იტ. შესატყვისი ტიმონე („საჭე“)? – თუ საჭეა, – რა შუაშია მისი საბაეული განმარტება: „ნავის მავლინებელი, რომელსა „უპყრიეს ტიმონი“?

საჭმე იმაში გახლავთ, რომ საბასთან სიტყვა „მყვანებელი“ ნიშნავს არა მარტო ადამიანს, „რომელსაც უპყრიეს ტიმონი“, არამედ, – თვით „ტიმონსაც“, რასაც ადასტურებს მისეულივე განმარტება „პიდალიოსი“:

„პიდალიო – ნავის მყვანებელი ტიმონი (ფიცარი). ლ. ტიმონე“.

აქედან გამომდინარე, „მხერვალის“ იტ. შესატყვისი „ტიმონე“, შეცდომა არ უნდა იყოს, ვინაიდან „ტიმონიც“ ისევე, როგორც „მხერვალი“, – „ნავის მყვანებელია“².

წინააღმდეგ შემთხვევაში, – უნდა ვიფიქროთ, რომ რამდენადაც ზუსტია „მხერვალის“ საბასეული განმარტება („მხერვალი – ნავის მავლინებელი, რომელსა უპყრიეს ტიმონი“), იმდენად არაზუსტია ამ სიტყვის საბასეულივე იტ. შესატყვისი („ტიმონე“), რამეთუ სიტყვა „მხერვალი“ ქართულში ჯერ კიდევ საბამდე ბევრად ადრე (IX ს.) არსებულა და იგი (როგორც ეს სავსებით დამაჯერებლად გვარკვია ილია აბულაძემ) ნანარმოებია ზმნისაგან „ხერვა“ („სლვა“) და მისი მნიშვნელობაა „მყვანებელი, მავლინებელი, მატარებელი“³.

მხერვალი [„საჭით (საჭეთ, საჭის) მხერვალი“] გვხვდება ძველი ალთქმის ომურ ნუსხაში (978 წ.): „საჭით მხერვალნი შენნი დაეცნენ გულსა ზღვსასა“ (ეზეკ. 27,27); „მოჰყვანდი შენ საჭეთა მხერვალთა შენთა“ (ეზეკ. 27,26); „საჭის მხერვალი შენნი გეყენეს შენ“ (ეზეკ. 27,9)⁴;

„მხერვალის“ (რუს. кормчий) ძვ.-ბერძ. შესატყვისებია: $\kappa\upsilon\beta\epsilon\rho\iota\tau\eta\varsigma^5$ (< $\kappa\upsilon\beta\epsilon\rho\upsilon\alpha\tilde{\nu}$ – „მართვა“)⁶ და $\pi\rho\upsilon\mu\alpha\iota\tau\eta\varsigma^7$ (< $\pi\rho\tilde{\upsilon}\mu\alpha^8$ – „კიჩო“);

შენიშვნები

1. **timóne** – საჭე; **timonière** – მესაჭე; (Н. А. Скворцова, Б. Н. Майзель, Итальянско-русский словарь, М., – 1977);
2. **მყვანებელი/მყუანებელი** – მატარებელი (საბა);
3. „**მხერვალი**“ („ლამის მხერვალი“) პირველად დასტურდება სინურ მრავალთავში (864 წ.);
„ლამით მხერვალისა“ თუ „ლამის მხერვალის“ ბერძნული შესატყვისია $\xi\sigma\pi\epsilon\rho\omicron\varsigma$ („ასპიროზი“), სომხური, – **գիշեր** – „ლამე“, **վար** (< **վարիոլ**) – „მყვანებელი“, – ე. ი. „**მხერვალი**“ არის „მყვანებელი“.
იგი („მხერვალი“) ნაწარმოებია ზმნისაგან „**ხერვა**“, რაც ბიბლიის იერუსალიმური ნუსხის მიხედვით (ესაია 59, 10-11) ნიშნავს: „სლვა“, „წდომა“ („აღმოსლვა“ – „აღმოწდომა“);
მაშასადამე: „ლამის მხერვალი“ უნდა ნიშნავდეს „ლამის მსვლელს“, „ლამით მსრბოლს“ (იხ. ილია აბულაძე, შრომები, II – თბ., – 1976-52-54);
ჩემი აზრით, „**ლამის მხერვალი**“ ისევე, როგორც **գիշեր** ნიშნავს: „ლამის მომყვანი“, „ლამის მყვანებელი“.
შდრ: ცისკრის ვარსკვლავის სომხური და ლათინური სახელწოდებანი: **լուսաբեր** [ლუს(ლუს) + **բեր**(**բերել**): „შუქი“+„მოტანა“], **Lūcifer** [Lux – „შუქი, fer (fero) + „მოტანა“];
4. იხ. ჯეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თინათინ ცქიტიშვილმა, თბ., – 1976.
5. $\kappa\upsilon\beta\epsilon\rho\iota\tau\eta\varsigma$, **ov. эп. εα ό** – „მესაჭე“ (Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т. I-991);

6. $\kappa\upsilon\beta\epsilon\rho\acute{\alpha}\nu$ – „მართვა“ (М. Фасмер, ЭСРЯ – II-329 – „корма“);
7. $\pi\rho\upsilon\mu\acute{\alpha}\tau\eta\varsigma, \sigma\upsilon$ – „მესაჭე“ (Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т. II-1432);
8. $\pi\rho\acute{\upsilon}\mu\alpha$, $\epsilon\pi$ -იონ. – $\pi\rho\acute{\upsilon}\mu\eta$ ἢ $\kappa\iota\theta\omicron$ (Древнегреческо-русский словарь, – იგივე ტომი და იგივე გვერდი).

მპირველობი

ყველა, ვინც „მპირველობს“ განმარტავს, უთითებს ერთსა და იმავე წყაროს (ეზეკ. 27,29)¹.

„მპირველობის“ განმარტებანი კი ამგვარია:

მპირველობნი (27,29 ეზეკ.) – მენავეთ გამგებელი, ნავის მარიგებელნი (საბა);

მპირველობი (ეზეკ. 27,29 ეზეკ.) – მენავეთ გამგე, უზუცესი, **весельник**², **ловец**³ (ნ. ჩ.), **кормчий**⁴, **корабельщик**⁵ (დ. ჩ.)

მპირველობი (ეზეკ. 27,29) – მესაჭის თანაშემწე (თ. ცქი, ზ. სარჯ.)⁶;

ბიბლიით „მპირველობის“ შესატყვისნი არიან:

ქართ. ნავთა მხერვალი (ოშკური ნუსხა)⁷;

ბერძ. $\pi\rho\alpha\rho\epsilon\iota\varsigma$ ⁸ (Septuaginta);

ლათ. **gubernatores**⁹ (Vulgata);

სომხ. սոսախապահք ¹⁰ (ჯინ კთაყარან);

რუს. **кормчий**¹¹ (Библия);

მოკლედ: „მპირველობი“ არის იგივე „მეპრორე“, – ბერძ. $\pi\rho\alpha\rho\epsilon\iota\varsigma/\pi\rho\alpha\rho\alpha\tau\eta\varsigma$ („მესაჭის თანაშემწე“), რომელიც იმყოფება გემის ცხვირზე ($\pi\rho\alpha\rho\alpha$) და იქიდან განაგებს მენიჩბეთ ($\kappa\alpha\pi\eta\lambda\acute{\alpha}\tau\eta\varsigma$)¹².

შენიშვნები

1. „და შთამოვიდენ ნავთაგან მათთა ყოველნი ნიჩბის მცემელნი შენნი და ეპივატნი შენნი და მპირველობნი ზღვსანი ქუეყანასა ზედა დადგენ“ (ეზეკ. 27,29: გელათური ნუსხა (XII ს.)) (იხ. ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თინათინ ცქიტიშვილმა, თბ., - 1976 - გვ. 100).
2. **весельник** - მენიჩბე (Вл. Даль, ТС - I-186 - "весло").
3. **ловец** - მეთევზური, მემახური, მონადირე (Толковый словарь русского языка, под редакцией проф. Д. Н. Ушакова, т. II - М.-1938, სვეტი 81; ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, I - თბ., - 1971);
4. **кормчий** - მეპრორე, მესაჭე, მენავე, საჭეთმპყრობელი (ნიკო ჩუბინაშვილი, დასახ. ლექსიკონი)
5. **корабельщик** - მებომალდე, ვაჭართ გემის უფროსი (ნ. ჩუბინაშვილი, დასახ. ლექსიკონი).
6. ეზეკიელის წიგნის ძველ ქართულ ვერსიებს თანდართული ლექსიკონი, - გვ. 368; ზურაბ სარჯველაძე, ძველ ქართული ენის ლექსიკონი, თბ., - 1995.
7. ბიბლიის გელათურ ვერსიეში (XII ს.), სადაც წერია „მპირველობნი“ (ეზეკ. 27,29), იქ, ომჭურ ნუსხაში (978 წ.) არის „ნავთა მხერვალნი“. (იხ. ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, თ. ცქიტიშვილის გამოცემა, - გვ. 100).
8. πρᾶρῆς, ἑὰς ο' / πρᾶρᾰτῆς, οὐ (ᾰ) ὀ - მესაჭის თანამემნე. (Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т. II - М. - 1958, გვ. 1434).
9. **gubernātor, ḡris** - მესაჭე (И. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, М. - 1968, გვ. 354).
10. **აიხაყაყაჰე**, ჩემი აზრით, მრ. ფორმაა **აიხაყაყაჰი**-ისა, რასაც თანამედროვე ლექსიკონები განმარტავენ, როგორც: „ავანგარდი“. ეტიმოლოგიურად იგი შემდგარია ორი სიტყვისაგან:

აიხა და აყაი [აიხა + ა + აყაი (<აყაიხი)]: აიხა – „წინა“, აყაიხი – „თვალთვალი“ (იხ. ი. შილაკაძე, ახალი სომხური ენის გრამატიკა, თბ., – 1971, გვ. 193 – „აიხადაყაი“; გვ. 285 – „აყაი. აყაიხაყ. აყაიხი“);

11. кормчий – მესაჭე... (ნ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., – 1971);
12. Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т. II, – М. 1958, – გვ. 1434.

ნავტი და ნავტური

„ნავტური“ გაქართულებული ფორმაა („ურ“ სუფიქსის დართვით) ბერძნული ναύτης/ναύτας-ისა, რაც (დგოვრეცკის თანახმად) ბერძნულში ნიშნავს: „ზღვით მოგზაური“, „მეზღვაური“, „მენიჩბე“...¹

ქართ. ნავტური (საბათი და ნ. ჩუბინაშვილით) „კატარლის მნეა“, რომლის რუსული შესატყვისია (ნ. ჩუბინაშვილით) ельнот², ბერძ. ναύτης³.

დ. ჩუბინაშვილის აზრით ნავტური იგივეა, რაც ნავტიე; „ნავტურთან“ (ამ სიტყვის განმარტების წილ) იგი გვირჩევეს: „ნავტიე ნახეთო!“

თვით „ნავტიე“ კი მისგან განიმარტება, როგორც: „ნავის მტიე“, ნავის მატარებელი, шкипер⁵.

საბა (დ. ჩუბინაშვილისაგან განსხვავებით) ნავტურსა და ნავტეს ერთმანეთისგან მიჯნავს: ნავტური – კატარლის მნე; ნავტიე – მომცრო ნავის მენავე, მენავეთ გამრიგებელი⁶;

საბასთვის წყარო ნავტურისა (როგორც თვითონ ბრძანებს) იოსიპოსია⁷, ჩუბინაშვილთათვის, – საბა (თუმც, ამაზე ისინი ღუმან)

ქართულ მწერლობაში (არც ძველში და არც ახალში) ნავტიე და ნავტური (ზემოთ დასახელებულ წყაროთა გარდა) ჯერჯერობით სხვაგან არსად ჩანს.

შენიშვნები

1. ναύτης, *ძორ.* ναύτας, ου ό – 1. мореплаватель, мореход; 2. моряк, гребец, матрос... (Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, II-1122);
2. **ელბოტ** რუსულში მე ვერსად მივაგენი; ვნახე **ელბოტ/ялбоტ**, რაც ნიშნავს „პატარა ნიჩბიან ნავს („ორი ან ოთხი ნიჩბით“ (იხ. В. Даль – ТС – I-1955 – "Ела"; М. Фасмер, ЭСРЯ – II – "елбот"; ნ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., – 1971).
3. იხ. შენიშვნა №1.
4. რა თქმა უნდა, დ. ჩუბინაშვილის მიერ „ნავის მტედ“ გაგება „ნავტესი“, მეტი რომ არა ვთქვა, მეტისმეტი გულუბრყვილობაა, ვინაიდან ამოსავალი „ნავტესი“ ისევე, როგორც „ნავტურისა“ არის ბერძ. ναύτης.
5. **Шкипер** – მეხომალდე, ხომალდის მატარებელი (ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., – 1973).
6. იხ. საბას ლექსიკონში განმარტებანი „მენავისა“ და „ნავტესი“.
7. იხ. „ნავტურის“ საბასეული განმარტება: ნავტური – კატარლის მნე; 13,7 იოსიპოს: „მეყსეულად ნავტურისა და ქვეითისა ძალისა თანა წარემართა ლაშქარში“.

მეაფქიოა

განმარტება „მეაფქიოესი“ საბათი და ჩუბინაშვილებით ერთნაირია („მეაფქიოე¹ – ნავის აფრათ² გამგე“), – ერთი განსხვავებით: საბა (განმარტებასთან ერთად) გვანდის ამ სიტყვის უცხო შესატყვისებს (იტ. ნოსტრომ, თ. იალქანჯი³), ჩუბინაშვილნი (ვინაიდან „მეაფქიოეს“ რუსულში შესატყვისი არ მოეპოვება) ასე განმარტავენ მას: „правлящий парусами на суднах“.

„მეაფქიოეს“ საბასეული იტ. შესატყვისი „ნოსტრომ“ ამჟამად განიმარტება, როგორც „ბოცმანი“:

nostrómo – ბოცმანი⁴.

„იალქანჯი“ კი დღესაც იმას ნიშნავს, რასაც საბას დროს ნიშნავდა:

yelkenci – აფრათა მეთვალყურე მატროსი⁵.

ქართულ მწერლობაში (დასახელებული ავტორების ნაშრომთა გარდა) არსად ჭაჭანება არაა „მეაფქიოესი“ (ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით ასეა).

შენიშვნები

1. ჩუბინაშვილბთან არის ფორმა „მეაფქიონე“.
2. საბასთან არის „აფრის“.
3. ეს თურქ. შესატყვისი „მეაფქიოესი“ არის ნ. ჩუბინაშვილთანაც.
4. Н. А. Скворцова, Б. Н. Майзель, Итальянско-русский словарь, М., – 1977.

ბოცმანი (ჰოლანდ. bootsman) – საზღვაო ფლოტში: უმცროსი მეთაური (ზემდეგი), რომელსაც ევალება გემზე წესრიგის დამყარება და სისუფთავის დაცვა, სახომალდო სამუშაოების ხელმძღვანელობა და სხვ. (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა მიხეილ ჭაბაშვილმა, თბ., – 1989);

ძველ რუსულში **боцман**-ის გვერდით იყო ფორმები: **Ботман/босман** (იხ. ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., – 1971);

5. თურქულში, გარდა „აფრათა მეთვალყურისა“, „yelkenci“ ჰქვია იალქნის (აფრის) შემკერავსაც და მის გამყიდველსაც (Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазаник, М., – 1945).

მენავი

„მენავე“ ჰქვია ყველას, ვინც მნეა ნავისა.

„მენავის“ რაობაზე ამავე აზრისაა, ვინც მას განმარტავს, – ყველა¹.

ტერმინ „მენავის“ ზოგადობის ნათელი მაგალითია ოქუურ ნუსხაში (978 წ.) დადასტურებული „მენავე“² ვინაიდან მისი შესატყვისნი (ამ ნყაროთი) არიან: ქართ. მეპრორე³, ბერძ. πρᾶρεύς⁴, ლათ. gubernator⁵, სომხ. նավապետ⁶, რუს. капитан корабля⁷.

„მენავე“ მქონეა ვინრო მნიშვნელობისაც;

ზოგჯერ იგი ნიშნავს იმას, რასაც რუს. лодочник⁸.

შენიშვნები

1. იხ. განმარტებანი „მენავისა“ საბასთან და ჩუბინაშვილებთან; არასრულია „მენავის“ განმარტება ქართ. ენის განმარტ. ლექსიკონში („მენავე – ნავის პატრონი; ნავის წამყვანი“);
2. „მოუკდა მას მენავჳ იგი“ (იონა 1,6: ოქუური ნუსხა);
3. „და მოვიდა მისდამი მეპრორე და ჰრქჳა მას“... (იონა 1,6: ბიბლია, – ტფ. – 1884);
4. πρᾶρεύς/πρᾶρατης (> ლათ. prōreta) – მესაჭის თანაშემწე, რომელიც იმყოფება გემის ცხვირზე და იქიდან მიმართულებას მიანიშნებს კიროზე მყოფ მესაჭეს (Древнегреческо-русский словарь, – составил И. Х. Дворецкий, т. II, М., – 1958-1434; И. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, М., – 1986-629);
5. gubernātor, ōtis – 1. მესაჭე (И. Х. Дворецкий, Латин.-Русск. слов. – М. – 1986-354)
6. նավապետ – გემის, ხომალდის უფროსი (Հայ-ուսերեն բառարան, Гл. ред. Е. Г. Галстян, Եր. – 1984)
7. капитан корабля – ხომალდის უფროსი.
8. ქართულ-რუსული ლექსიკონი, შეადგინეს გ. ახვლედიანმა და ვ. თოფურიაძემ, თბ., – 1942.

მენავეთმოძღვარი

„მენავეთმოძღვარი“ ქართულ მწერლობაში IX საუკუნის მიწურულსაა დადასტურებული: „მენავეთ-მოძღვარი იგი აღდგომილი ეტყჷს მას“¹.

„მენავეთმოძღვარი“ გვხვდება ქართლის მატიანეშიც:

„... ვითარცა კელოვანმან მენავეთ-მოძღვარმან განაგო ყოველი საქმე აფხაზეთისა“².

„მენავეთმოძღვარი“, როგორც განსამარტი ერთეული, საბასთან არაა.

„მენათევმოძღვრის“ ნიკო და დავით ჩუბინაშვილთა მიერ (არსებითად ერთნაირი) განმარტებანი ერთმანეთისგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ განსამარტი სიტყვის შესატყვისთაგან დავითთან არაა ის სიტყვები, რომელნიც არის ნიკოსთან („მეპრორე“, „მესაჭე“, „ἡ ἀνάκλησις“), ნიკოსთან არაა ის სიტყვა, რომელიც არის დავითთან („капитан корабля“)³;

წყარო ორივესთან ერთი და იგივეა მითითებული (საქმ. 27,11): „ხოლო ასის-თავი იგი მენავეთ-მოძღვარსა მას და ნავისუფალსა ერჩიდა უფროსს, ვიდრელა პავლეს სიტყვეჴათა“ (საქმ. 27,11: ახალი აღთქმა; ტფ. – 1879).

ახალი აღთქმის ამ ადგილას უცხოენოვან ბიბლიებში წერია: „ὁ δὲ ἐκάτοινταρχος τῷ κυβερνήτῃ καὶ τῷ ναύκλῆρῳ μᾶλλον ἐπαίθετο ἢ τοῖς ὑπὸ Παύλου λεγομένοις“ (საქმ. 27,11: The greek new testament); „centurio autem gubernatori et nauclerio magis crededat quam his a Paulo dicedantur“ (საქმ. 27,11: Novum testamentum); „Ma Giulio, l'ufficiale romano, dette ascolto al parere del pilota e del padrone della nave e non alle parole di Paolo“ (საქმ. 27,11: bibbia);

„ჩისკ ხარჩირაყხთნ მასაყხთინ ხ მასაყარჩინ ათასელ ამსაყრ. քան բանիցն Պողոսի“ (საქმ. 27,11: Նոր կտակարան. Լուդերა – 1892).

„Но сотник более доверял кормчему и начальнику корабля, нежели словам Павла“ (საქმ. 27,11: Новый завет, – С.-Пб.-1884);

მოყვანილ ციტატებში არსებულ სიტყვათა თანმიმდევრობის მიხედვით „მენავეთმოძღვრის“ შესატყვისნი გამოდის:

ბერძ. κυβερνήτης (1. „მესაჭე“; 2. „კაპიტანი“; 3. „გემის პატრონი“)³;

ლათ. gubernātor („მესაჭე“)⁴;

იტ. pilota („ლოცმანი“)⁵;

სომხ. მასაყნს („გემის კაპიტანი“)⁶;

რუს. кормчий („მესაჭე“)⁷.

„ნავისუფლისა“:

ბერძ. ναύκληρος („გემის პატრონი“, „კაპიტანი“)⁸;

ლათ. nauclērus („ხომალდის უფროსი“, „ხომალდის პატრონი“)⁹;

იტ. padrone della nave („ნავის, ხომალდის პატრონი“)¹⁰;

სომხ. მასაყარ („ნავის მყვანებელი“, მესაჭე“, გემის კაპიტანი“)¹¹;

რუს. начальник корабля („ხომალდის უფროსი“)¹².

„მენავეთმოძღვრისა“ და „ნავისუფალის“ აქ წარმოდგენილი უცხო შესატყვისების ურთიერთშედარებისა და მათი ტექსტისეული თანმიმდევრობის მიხედვით [გარდა სომხ. შესატყვისებისა (მასაყნს და მასაყარ), რომელნიც აშკარად ადგილნაცვალნი არიან (მასაყარ-ის ადგილზეა მასაყნს. მასაყნს-ისაზე, – მასაყარ)] გადაჭრით შეიძლება ითქვას:

მენავეთმოძღვარი არის „მესაჭე“, ნავისუფალი, – „ხომალდის უფროსი“.

შენიშვნები

1. სინური მრავალთავი 864 წლისა: თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისაჲ მარხვისათჳს და იონანსთჳს

- (იხ. ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., - 1973 - „მენავეთ-მოძღვარი“).
2. მატიანე ქართლისა: ქართლის ცხოვრება, - ტ. I, თბ., 1955 - გვ. 276, 13.
 3. მენავეთმოძღვარი - მეპრორე, მესაჭე, ნავკოსალარი, ნავის მატარებელი (საქმ. 27,11), кормчий, ναύκληρος (ბ. ჩ.);
მენავეთ მოძღვარი - ნავკოსალარი, ნავის მატარებელი, кормчий, капитан корабля: საქმ. 27,11 (დ. ჩ.).
 4. κυβερνήτης - 1. рулевой, кормчий; 2. капитан; 3. судовладелец (Греческо-русский словарь нового завета, М., - 2002);
 5. gubernātor, ὄγης - рулевой, кормчий (И. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, М., - 1986).
 6. pilota - лоцман (Н. А. Скворцова, Б. Н. Майзель, Итальянско-русский словарь, М., - 1977);
 7. ნაიშაყან - капитан корабля, судна (Հայ-ռուսերն րաიարան, Гл. ред. Е. Г. Галстян, Երեվան - 1984);
 8. кормчий - მესაჭე (ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., - 1971);
 9. ναύκληρος ου - судовладелец; капитан (Греческо-русский словарь нового завета, М., - 2002);
 10. ναυκλῆγος, ἰ (греч.) хозяин корабля, судовладелец (М. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, М., - 1986);
 11. padrone - 1. хозяин, владелец, предприматель, собственник (პატრონი, მფლობელი, მეპატრონე, მენარმე, მესაკუთრე);
padrone della casa - „хозяин дома“; **nave** - ნავი, გემი, ხომალდი (судно, корабль) [Н. А. Скворцова, Б. Н. Майзель, ზემორე დასახ. ლექსიკონი]
 12. ნაიშაყარ - судоводитель, рулевой. 2. იხ. ნაიშაყან; 3. кормчий (Հայ-ռուսերն րաიարան, Гл. ред. Е. Г. Галстян, Երեվան - 1984)

13. **Начальник** – უფროსი; **Корабль** – ნავი, გემი, ხომალდი (რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., – 1983).

მენავეთმოლუანე

ეზეკიელის წიგნით (27,28) „მენავეთმოლუანის“ სინონიმია „მმართველი“¹, – უცხო შესატყვისნი (ეზეკიელის წიგნითვე): ბერძ. κυβερνήτης (1. „მესაჭე“; 2. კაპიტანი“; 3. „ხომალდის პატრონი“)²; ლათ. gubernātor („მესაჭე“)³; იტ. marinàio („მეზღვაური“)⁴; სომხ. մարտավար („ნავის მატარებელი“, „მესაჭე“, „ხომალდის უფროსი“)⁵; რუს. кормчий („მეპრორე“, „მესაჭე“, „მენავე“, „საჭეთმპყრობელი“)⁶.

„მენავეთმოლუანის“ სინონიმისა⁷ და მისი ამ უცხო შესატყვისების საფუძველზე თამამად შეიძლება დავასკვნათ:

„მენავეთმოლუანე“ იგივეა, რაც „მესაჭე“.

შენიშვნები

1. „ლალადებისაებრ კმისა შენისა მენავეთმოლუანეთა შენტა შეეშინა“ (ეზეკ. 27,28; ოჰჟურ (978 წ.) – იერუსალიმური (XI ს.) ნუსხები);
„კმითა ლალადებისა შენისათა მმართველნი შენნი შიშითა შეეშინდენ“ [ეზეკ. 2.,28; გელათური ნუსხა (XII ს.)];
(იხ. ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თინათინ ცქიტიშვილმა, თბ., – 1976);
2. იხ. **Septuaginta**: ეზეკ. 27,28 და греческо-русский словарь новго завета, М., – 2002.
3. იხ. **Vulgata**: ეზეკ. 27,28 და И. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, М., – 1986.
4. იხ. **La bibbia**: ეზეკ. 27,28 და Н. А. Скворцова, Б. Н. Майзель, Итальянско-русский словарь, М., – 1977.

5. იხ. ჰინ კთასკარამ: ეზეკ. 27,28 და ჯაჟ-ჩოუსერენ რათარამ, Гл. ред. Е. Г. Галстян, ერქდამ – 1984.
6. იხ. Библия: ეზეკ: 27,28 და ნიკო ჩუბინაშვილი, რუსული-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., – 1971.
7. მმართველი (< მარტვა).

მესაჭე

„მესაჭის“ სინონიმი (ეზეკიელის წიგნით) არის „ნიჩბის მცემელი“ (ეზეკ. 27,8)¹. ამავე წიგნით „მესაჭის“ უცხო შესატყვისებია:

ბერძ. καπηλάτης², ლათ. remigis³, იტ. rematore⁴, სომხ. մասավար⁵, რუს. гребец⁶.

ქართველი ლექსიკოგრაფნი „მესაჭეს“ განმარტავენ, როგორც: „მეპრორე“ (ნ. ჩ., დ. ჩ.), „მენავეთმოძღუარი“ (ნ. ჩ.), „кормчий“ (ნ. ჩ., დ. ჩ.);

თუ გავითვალისწინებთ „მესაჭის“ ეზეკიელის წიგნისეულ უცხო შესატყვისთა რაობას („მენიჩბე“), მაშინ „მესაჭე“ (ეზეკიელის წიგნის თანახმად) არის არა „მეპრორე“, „მენათევმოძღუარი“ და „кормчий“ (როგორც ეს ჩუბინაშვილთ ჰგონიათ), არამედ, – „მენიჩბე“.

და ეს ასეა არა მარტო ეზეკიელის წიგნის თანახმად! – სხვა წყაროებითაც:

გავიხსენოთ საბასეული განმარტება „საჭისა“ („საჭე (27,40 საქმე) – მენავის ხალა“);

გავიხსენოთ სპ. სიტყვა „ხალე“ (الح) [„ნიჩბი, ლატანი“]⁷;

გავიხსენოთ ძველი ქართული მწერლობიდან: „ხალებითა გრძელებითა აჭენებდეს (ნავსა)“⁸;

და „მესაჭისა“ და „ნიჩბის მცემელის“ ურთიერთსინონიმიობა სრულიად აღარ იქნება საეჭვო.

შენიშვნები

1. „... არადიელნი (არაბიელნი) იყვნეს მესაჭე შენდა“...
(ებევ. 27,8: ომკურ (978 წ.) – იერუსალიმური (XI ს.) ნუსხები);
„... არაბნი იქმნეს ნიჩბის მცემალ შენდა“...
[ებევ. 27,8: გელათური ნუსხა (XII ს.)];
(იხ. ებეციელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თინათინ ცქიტიშვილმა, თბ., – 1976);
2. იხ. **Septuaginta**: ებევ. 27,8;
3. იხ. **Vulgata**: ებევ. 27,8;
4. იხ. **La bibbia**: ებევ. 27,8;
5. იხ. ჯიმ სთასკარამ: ებევ: 27,8;
6. იხ. **Библия**: ებევ. 27,8;
7. **שֵׁשׁ** (ხაღ) – уст. весло; шест (Персидско-русский словарь, т. I, გვ. 566);
8. ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., – 1983 – „ხალი“.

ნავის-მავლინებელი/ნავის-მართებელი

„ნავის-მავლინებელი“ იგივეა, რაც „ნავის-მართებელი“;

„ნავის-მავლინებელი“ ომკურ ნუსხაშია, „ნავის-მართებელი“, – ბაქარისეულ ბიბლიაში¹.

საბათი „ნავის მავლინებელის“ სინონიმთ წარმოადგენს:

ნავის მარონინებელი, ნავის მატარებელი, ნავის მყვანებელი და მხერვალი².

სოლომონის იგავთა წიგნით „ნავის-მავლინებელისა“ და „ნავის-მართებელის“ ბერძ. შესატყვისია κυβερνήτης³, ლათ. **gubernator**⁴, სომხ. მასაძაყ⁵ და ყოველი მათგანი (პირველიც, მეორეც და მესამეც), ამ წიგნის („იგავნი სოლომონისნი“), ამ ადგილას (23,34) ნიშნავს: „მესაჭე“.

შენიშვნები

1. „ვითარცა ნავის-მავლინებელი შინა ლელვათა დაინთქა“ O, – „ვითარცა ნავის-მართებელი მრავალთა შინა ლელვათა“ ps., იგ. სოლ. 23,34. (ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., – 1973);
2. იხ. საბასთან: „პიდალიო“, „კომიტი“ და „მხერვალი“.
3. Septuaginta: იგ. სოლ. 23,34.
4. Vulgata: იგ. სოლ. 23,34.
5. ჰინ სთასყარამ: იგ. სოლ. 23,34.

ნავის-მოქმედი

„ნავის-მოქმედი“ დადასტურებულია გიორგი მთანმიდელთან (XI ს.): „... თუნიერ მჭედელთა და ხუროთა და გალატოზთა და მევენაკეთა და ნავის-მოქმედთა... ესევითარისა ვრცელისა ლავრისა დამჭირვამ ულონო არს“¹.

„ნავის-მოქმედის“ მსგავსი კომპოზიტი არაერთი იცის ქართულმა: ქუეყანის-მოქმედი, სიტყუს-მოქმედი², ვენაკის-მოქმედი, ქველის-მოქმედი, თიჯის-მოქმედი, პილენძის-მოქმედი, პურის-მოქმედი, ძვირის-მოქმედი³...

არის აგრეთვე ფორმები: მოქმედი ქუეყანისაჲ, მოქმედი ძვრისაჲ, მოქმედი ქვისაჲ, მოქმედი სელისაჲ, მოქმედი ლუანლისაჲ⁴...

„მოქმედი“ საბათი იგივეა, რაც „მქნელი“.

„ქუეყანის-მოქმედის“ ლათ. შესატყვისი (ბიბლიის მიხედვით) არის „agricola“⁵, სომხური, – „գիրք ხրկրիւն“ და „հողագիրք“ (იერემ. 14,4; 51,23);

ბიბლიითვე: „მოქმედი სელისაჲ“ ეკვივალენტია სომხ. სთასყარამ-ისა (ესაია 19,9)⁷

რაიცა შეეხება „ნავის-მოქმედს“!:

სომხურში არსებობს კომპოზიციური: მასაჟი და მასაჟინარი (ერთმანეთის სინონიმი);

მასაჟი ზუსტი შესატყვისია „ნავის-მოქმედისა“, მასაჟინარი „ნავის მაშენებელს“ უდრის.

ასე, რომ „ნავის-მოქმედის“ ა. შანიძისეული განმარტება („ნავის-მოქმედი – ნავის მკეთებელი, ნავის ოსტატი“) სავსებით მართებულია.

შენიშვნები

1. გიორგი მთაწმიდლის ენა იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით ა. შანიძისა, თბ., 1946, გვ. 20,25-7.
2. „სახელწოდება „სიტყუს-მოქმედი“ დამონმებულია ძველ-ქართულ მწერლობაში ჯერ კიდევ V საუკუნიდან.
ლექსის უძველესი სახელწოდებაა „სიტყუაჲ“ და ამასთან დაკავშირებულია სახელწოდება პოეტისა „სიტყუს-მოქმედი“
(იხ. პავლე ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 554).
3. იხ. ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, სადაც შეტანილია ყველა ეს სიტყვა (თვინიერ „სიტყუს-მოქმედისა“), – ზოგი განმარტებითურთ, ზოგი, – განუმარტავად.
4. იხ. ილია აბულაძე, დასახ. ნაშრომი.
5. იხ. Vulgata (იერემ. 14,4; 51,23): ლათ. *agricola*, ae (*ager+colo*) – „ქუეყანის-მოქმედი“ (*ager, agri* – „ქუეყანა“, *colo* – „დაზუ-შავება“ (И. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, М., – 1986).
6. იხ. ჰინ კთასკარამ: ფირ ხერქინ (იერემ. 14,4) – „მოქმედი ქუეყანისაჲ“ [ფირ – „მოქმედი“, ხერქინ – „ქუეყანისაჲ“ (ხერქინ – „ქუეყანა“)] ხილადი (იერემ. 51,23) – „ქუეყანის-მოქმედი“ (ხილ – „ქუეყანა“, ფირ – მოქმედი“).
7. იხ. ჰინ კთასკარამ: კთასადი (ეს. 19,9): „მოქმედი სელისაჲ“ [კთასად (კთასადს) – „სელი“, ფირ – „მოქმედი“];

8. ნაძაღორბ იგევე, რაც ნაძაღორბინარი (ბანანნასასიხე ხაიიე ბედი რასათრასან რაიარიან, ბ. 4, ბრესან - 1980 - გვ. 19);

ნაძაღორბ/ნაძაღორბინარი - „ნავის მბუნებელი“, „ნავის მოქმედი“: (ნაძ - „ნავი“, გორბ - „მოქმედი“, ბინარი - მბუნებელი“, „მბუნებელი“). (ბაი-იოსერენ რაიარიან, გლ. რედ. E. G. Галстян, ბრესან - 1984);

9. იბ. გორგი მთანმიდლის ენა იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების მიხედვით ა. შანიძისა, თბ., - 1946 წ. ამ ნიგნს დართული ლექსიკონი, - შედგენილი გამომცემლის (ა. შანიძე) მიერ - გვ. 121.

ნავის-უფალი

„ნავის-უფალი“ ქართულ მწერლობაში დადასტურებულია არაერთგან:

„ნავის-უფალმან ვინმე მოართუა მას ოქროჲ“ (მ. ცხ. 397v)¹.

„ასის-თავი... ნავის-უფალსა ერჩდა უფროჲს, ვიდრელა პავლეს სიტყუათა“ (საქმ. 27,11)².

„ნავის-უფალის“ უცხო შესატყვისებია: ბერძ. ναύκληρος, ლათ. *nauc̄lerus*, იტ. *padrone della nave*, სომხ. *ნადაყნես*, რუს. *начальник корабля* (საქმ. 27,11);

ყოველი ამ უცხო სიტყვის მნიშვნელობა უპირატესად ერთია³: ხომალდის უფროსი, ხომალდის პატრონი, გემის კაპიტანი! - ე. ი. „ნავის-უფალი“⁴.

შენიშვნები

1. მამათა ცხოვრება: კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის A-1105 ხელნაწერი (XI ს.): ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973; ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1995.

2. წმიდა სახარება, ტფ. – 1879.
3. იხ. Греческо-русский словарь нового завета, М., – 2002; Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т. II, М., – 1958; И. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, М., – 1986; Н. А. Скворцова, Б. Н. Майзель, Итальянско-русский словарь, М., – 1977; Հայ-ռուսերեն բառարան, Երեւան – 1984.
4. „უფალი“ იგივეა, რაც „პატრონი“ (იხ. საბა).

კომიტი

„კომიტი“ ცის მზომელობით¹ ნავთ მყვანებელიაო, – ბრძანებს საბა.

ე. ი. იგი (კომიტი), მისი აზრით, არის ნავის რომელიღაც მწე (შესაძლოა „მხერვალი“), რომელიც ვარსკვლავთა მოძრაობის მიხედვით მართავს ნავს.

საინტერესოა:

არის თუ არა ამ სიტყვასთან („კომიტი“) რაიმე კავშირში: ბერძ. κομῖντή/κομῖνδα² („მოგზაურობა“), ლათ. cōmitis³ („თანამგზავრი, თანამავალი, გამყოლი, გამცილებელი“) ან იტ. cōmito⁴ („ბოცმანი“), და თუა, კერძოდ, – რომელი?

შენიშვნები

1. ცის მზომელობა – ასტრონომია, ვარსკვლავთ მრიცხველობა (დ. ჩ.).
2. Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т. I, М., – 1958.
3. И. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, М., – 1986.
4. И. А. Скворцова, Б. Н. Майзель, Итальянско-русский словарь, М., – 1977.

ნიჩბისმცემელი

ეზეკიელის წიგნით, გელათურ ნუსხაში არსებული „ნიჩბის მცემელის“ შესატყვისი ოშკურ ნუსხაში ერთგან „მესაჭეა“ (27,8), მეორეგან, – „საჭის მხერვალი“ (27,9), მესამეგან, – „საჭეთა მხერვალი“ (27,26), მეოთხეგან, – „საჭით მხერვალი“ (27,27);

რამდენად მართებული შესატყვისია „ნიჩბისა“ – „საჭე“ და „მცემელისა“ – „მხერვალი“?

საიდან წარმოდგა ტერმინი „ნიჩბის მცემელი“?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემამდე, ხამს, განვიხილოთ „ნიჩბის მცემელის“ უცხო შესატყვისინი:

ბერძ. καπηλάτης (ეზეკ. 27,8-9-26-27);

ლათ. **remigis** (ეზეკ. 27,8-26)?

იტ. **rematore** (ეზეკ. 27,8-26);

სომხ. **ნაიսაყარ**³ (ეზეკ. 27,8-9-26-27);

ოთხივე კომპოზიცია:

ბერძ. **κάπη + ἦλασα**, ლათ. **remus + ago**, იტ. **rémo + motóre**, სომხ. **ნაი + ყარი**;

καπη, **remus**, **rémo** ნიშნავს „ნიჩაბი“, **ნაი** – „ნავი“;

ἦλασα (ἐλάσσω) – „ცემა“, **ago** და **motóre** – „ძრვა“, **ყარი** (<ყარაჲ) – „მყვანებელი“⁴.

როგორც აქედან ჩანს „ნიჩბის მცემელი“ კალკია ბერძ. **κἀπηλάτης**-ი.

„საჭის მხერვალი“ (თავისი ორი ფონეტიკური ვარიანტით) საიდან?

„საჭე“, მართალია, მთლად სინონიმი არაა „ნიჩბისა“, მაგრამ „ნიჩბის“ ფუნქციის შემსრულებელი როა და გარკვეულწილად მსგავსი მისი, – ეს უდავოა! –

გავიხსენოთ საბასეული განმარტება „საჭისა“!⁵

გავიხსენოთ რაობა სპ. სიტყვისა „ხალე“!⁶

გავიხსენოთ „ხალა (ხალუბი)“ ძველი ქართული მწერლობიდან⁷.

რაიცა შეეხება „მხერვალს“! –

თუ დავუშვებთ, რომ ზმნა „ხერვა“ (ამოსავალი „მხერვალისა“), თვინიერ „სლვისა“, ნიშნავს „ძრვასაც“ (რაც გამორიცხული სრულიადაც არაა!)⁸, მაშინ „ნიჩბის მცემელის“ ომკურ სახელწოდებათა „მხერვალი“ (შესატყვისი სომხ. *վարդ-ისა*) ეკვივალენტია აღმოჩნდება ლათინური *ago*-სი და იტალიური *motóre*-სი⁹.

ამრიგად, „ნიჩბის მცემელის“ ომკური სახელწოდება „საჭის მხერვალი“ (თავისი ორი ფონეტიკური ვარიანტით) თავისუფლად შეიძლება იყოს კალკი ლათ. *remigis*-ისა და იტ. *rematóre*-სი ისევე, როგორც „ნიჩბის მცემელია“ ბერძ. *καπηλάτης*-ისა.

შენიშვნები

1. ეზიკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თინათინ ცქიტიშვილმა, თბ., - 1976.
2. განსხვავებით ბერძნულ, სომხურ და ქართულ ბიბლიათაგან, ლათინურ, იტალიურ და რუსულ ბიბლიებში, ეზიკიელის წიგნის 27-ე თავის მე-9 და 27-ე მუხლნი „ნიჩბის მცემელის“ შესატყვისს არ შეიცავს: ლათინურში გახლავთ *nautas* (27,9), *nautae* (27,27), იტალიურში, - *marginai* (27,9), რუსულში, - *корабельщик* (27,9; 27,27).

ლათ. *nauta*, *ae* - 1. მენავე; 2. გემის პატრონი, მებლვაური; 3. ზღვით მოგზაური, ზღვაოსანი; აგრეთვე: ვაჭარი; 4. მატროსი. (И. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, М., - 1986);

იტ. *marginàio* - მებლვაური; მებომალდე, გემის პატრონი (Н. А. Скворцова, Б. Н. Майзель, Итальянско-русский словарь, М., - 1977);

რუს. *корабельщик* - მებომალდე, ვაჭართ გემის უფროსი (ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., - 1971);

3. „ნიჩბის მცემელისა“ და „საჭის მხერვალისა“ და მისი ორი ფონეტიკური ვარიანტის ზუსტი სომხ. შესატყვისია არა ნადავლი, არამედ ქიპაქი [ქი - „ნიჩბი“, ქაქი (<ქაქიო - „სლვა“];
4. ილია აბულაძე, შრომები, II, - თბ., - 1976, გვ. 53.
ქაქი, - ქეჩი, - ქიქი - ნაყვანა, ნაძლოლა, მართვა (ი. შილაკაძე, ახალი სომხური ენის გრამატიკა, თბ., - 1971, გვ. 298);
5. საჭე (27,40 - საქმე) - მენავის ხალა. მენავის გრძელი ხე (საბა);
6. ხა (ხაღ) - ნიჩბი, ლატანი, ხალა (Персидско-русский словарь, составили: М. Н. Османов, Д. Х. Дорри и др. Реководитель Б. А. Рубинчик, т. I, М., - 1983-566);
7. „ხალუბითა გრძელუბითა აჭენებდეს (ნავსა)“. Sin.-II, 357v.
(ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., - 1973).
8. ჩემი ვარაუდით:
„ხერვა“ არის „სლვაც“ და არის „ძრვაც“;
„მხერვალი“ არის „მყვანებელიც“ და არის „მძრველიც“ („მამოძრავებელი“);
ხერვა>ხრევა>რხევა=ძრვა.
(მდრ: ზურგი>ზრეგი; ხსენი>სხენი...)
„ხერვის“ შესახებ იხ. ილია აბულაძე, შრომები, II, თბ., 1976, გვ. 54 და მისივე „ძველი ქართული ენის ლექსიკონი“, თბ., - 1973, „ხერვა“.
„ხრევის“ შესახებ, - საბა: „ახრევის“, „ახრევენ“, „ახრევედენ“.
„რხევის“ შესახებ, - ქეგლ.
„ძრვის“ შესახებ, - ნ. ჩ.
9. ლათ. ago - 1. მოძრაობაში მოყვანა, ნაყვანა, გარეკვა, ჭენება, ძრვა, დაძრვა...
იტ. mōto - მოძრაობა, გადაადგილება.
იტ. motōrio - მამოძრავებელი.

იტ. **motore** – მძრველი, ძრავა.

(იხ. И. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, М., – 1986; Н. А. Скворцова, Б. Н. Майзель, Итальянско-русский словарь, М., – 1977).

საჭეთ-მპყრობელი

ქართულ მწერლობაში „საჭეთ-მპყრობელის“ დადასტურების დროა XI საუკუნე:

„კეთილად ჰმართებდეს საჭეთ-მპყრობელი იგი გონებაჲ ნავსა მას სულისასა“¹.

ნიკო ჩუბინაშვილთან „საჭეთ-მპყრობელის“ სინონიმებია: „მეპრორე“², „მესაჭე“³, „მენავე“⁴, უცხო შესატყვისი, – „кормчий“⁵.

შენიშვნები

1. იხ. ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., – 1973, „საჭეთ-მპყრობელი“.
2. იხ. სტატია „მეპრორე“.
3. იხ. სტატია „მესაჭე“.
4. იხ. სტატია „მენავე“.
5. იხ. ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., – 1971, – „кормчий“.

ლიმენა/ნავთსადგური/ნავთსაყუდელი

„ლიმენა“ ქართულ მწერლობაში დადასტურებულია 10 საუკუნის წინათ:

„უმრავლესსა ჟამსა წარგებად იიძულების თითოეულსა ლიმენსა განმდგმელი ჟუამალდისაჲ“¹.

„ლიმენა“ არის თურქულში: **Liman** (ბერძნულიდან)².

„ლიმენა“ არის ჭანურში: **ლიმანი** (თურქულიდან? – რატომ ბერძნულიდან არა?)³

„ლიმენა“ იცის საბამ; იციან ჩუბინაშვილებმა; სამივემ იცის მისი არაქართულობა:

„ლიმენა – ნავსაყუდელი ელლენებრ“ (საბა);

„ლიმენა – ნავთსადგური, пристань, гавань, λιμένα⁴ (ნ. ჩ.);

„ლიმენი“ (ბერძ.) – ნავთ-სადგური, гавань, пристань (დ. ჩ.);

ქართ. შესატყვისნი „ლიმენასი“, როგორც უკვე ითქვა (იხ. ზემოთ) არის: „ნავთ-სადგური“ და „ნავთ-საყუდელი“;

ესენი („ნავთ-სადგური“ და „ნავთ-საყუდელი“) ქართულ მწერლობაში IX-X საუკუნიდან ჩანს:

„ვითარცა ნავთ-სადგურსა მშვიდობისასა შევედრებული“⁵.

„რათა მივიწინეთ ნავთ-საყუდელსა მას მშვიდობისასა“⁶.

ნაცვლად ფორმათა: „ნავთ-სადგური“ და „ნავთ-საყუდელი“, საბასთან არის ფორმები: „ნავსადგური“ და „ნავსაყუდელი“, რაც იმას ნიშნავს, რომ საბასეული ფორმები შედარებით ახალია.

შენიშვნები

1. A=162,185r, 15-17a: A-162 – მეტაფრასი (XI ს.): ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., – 1995.
2. **Liman** – порт; гавань (Турецко-русский словарь, авторы: А. Н. Баскаков и др., М., – 1977);
3. ჭან. **ლიმანი** (მ. ليمان, греч.. λιμανι) – гавань (Н. Марр, Ч.-р. с. С.-Пб. – 1910);

4. λἱμῆν, ἑὸς ὁ – 1. порт, гавань, пристань (Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т. I, М., – 1958-1029);
5. სინური მრავალთავი 864 წლისა: თქმული წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა იოვანე ოქროპირისაჲ მარხვისათჳს და იონაჲსთჳს: ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., – 1973;
6. მსკ. 42,6: მსკ.=წამებაჲ წმიდათა მონამეთა მესუკაველთაჲ: ილია აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში, თბ., – 1944, გვ. 22-61: ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., – 1973.

სანავე

„სანავე“ ორი მნიშვნელობის სიტყვაა:

1. რაიმე (ადგილი, საგანი, ტვირთი) კუთვნილი ნავისა;

2. ნავით გადაადგილების საფასური¹;

„სანავის“ პირველი მნიშვნელობის მაგალითია:

„პეზულნი ფიცართა კუპაროსისათანი ლიბანიით მოღებულ იქმნეს ქმნად შენდა ანძათა სანავეთა“ (ეზეკ. 27,5)²;

მეორისა:

„მისცა სანავჳ მისი და შევიდა მას“ (იონა 1,3)³;

აქაური „სანავის“ (იონა 1,3) ლათ. შესატყვისია „naulum“⁴, რუსული, – „плата за провоз“⁵.

შენიშვნები

1. სანავე (27,5 ეზეკ.) – ნავის მიზდი, გინა ნავისათვის (საბა);
სანავე – სახმარი ნავისათჳს, ანუ საკუთნავი მისი (ეზეკ. 27,5), корабельный // მიზდი ნავთა, за судно, за перевоз (ბ. ჩ.);

სანავე – ნავთათვის სახმარი; მიზლი ნავით წაღებისათვის ან წასაღები, корабельный; плата за перевоз (დ. რ.);

2. გელათური წუსხა (XII ს.): ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თინათინ ცქიტიშვილმა, თბ., – 1976;
3. ოშკის ბიბლია (978 წ.): ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., – 1973 – „სანავე“;
4. Vulgata: Novum testamentum (იონა 1,3):

ლათ. **naulum**, ἰ (ბერძ.) – გადაყვანის ან გადატანის ქირა (ზღვით) [И. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, М., – 1986;

ბერძ. ναῦλον τό – ზღვით გადაზიდვის საფასური (Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, М., – 1958);

5. იონა 1,3: Библия.

საგალი

„საგალი“ რომ თევზის მომაკვდინებელი ბალახია, – იცის ყველამ, – ვინც მას განმარტავს.

საბამ იცის მისი სომხ. შესატყვისიც (ფურუნდატ)', დ. ჩუბინა-შვილმა, – რუსული (Мольная трава) – ლათ. ნომენკლატურითურთ (blattaria)².

„ფურუნდატ“ სომხურში არ არსებობს;

არსებობს „ფრნდატ“;

ფრნდატ (<ფურუნდატ) იგივეა, რაც ხრნდატ.

(ფრნდატ ერევნული კილოა)

ხრნდატის სინონიმებია: ძვან მაჰარარ („თევზის მკვლელი“), ძვან სპანოლ („თევზის მომაკვდინებელი“), ძუჟ ჰარბეცნოლ („თევზის გამაბრუებელი“), სპ. სახელწოდება, – მაჰიზაჰრ („თევზის სამსალა“), – ლათ. ნომენკლატურა **Verbascum thapsus**³.

თუ საგალის საბასეული სომხ. შესატყვისი (ფურუნდატ) ზუსტია, მაშინ მისი (ე. ი. საგალის) ლათ. ნომენკლატურა, უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, – არის **Verbascum thapsus**.

ქართ. საგალისა და სომხ. ფურუნდატის ურთიერთშესატყვისობის სიზუსტეზე მეტყველებს: საგალის ქართულ ყოფაში გამოყენებისა და მისი განმარტებების შედარება **Verbascum thapsus**-ის სომხურ და სპარსულ სახელებთან⁴.

ამავე დასკვნამდე (საგალი – **Verbascum thapsus**) მივყავართ საგალის დ. ჩუბინაშვილისეულ რუსულ შესატყვისს (Мольная трава, – blattaria)⁵.

საგალის **Verbascum thapsus**-ობას ამტკიცებს აგრეთვე დ. ჩუბინაშვილთან არსებული პატრ ფილიპესეული „სახალი ბალახი“⁶.

ეს „სახალი ბალახი“ რომ „საგალი ბალახია“, – ამას მონიშნავს მისი რუსული შესატყვისნი: **Коровяк** და **Царский скипетр**, რომელთა ლათ. ნომენკლატურაა **Verbascum thapsus**⁷.

ერთი სიტყვით: „საგალის“ სინონიმია არა მარტო „ძირნაოტი“, არამედ „სახალი (<საგალი) ბალახი“ და „კალმახა ბალახი“.

„საგალის“ ეტიმონია „გლა“ ისევე, როგორც „საბამისა“, – „ბმა“;

გლა-ნაყვა (საბა); გლა – (ფშ. ქართლ. მოხ. მესხ.) – ჩეჩქვა (ალ. ლლონტი)⁸.

მაშასადამე: „საგალი“ ეტიმოლოგოურად ნიშნავს: „დასანაყი“, „დასაჩეჩქვი“.

შენიშვნები

1. საგალი (ბალ.) – თევზათვის სამსალა. ს. ფურუნდატ (საბა);
2. საგალი (მცენ). – мольная трава, blattaria (დ. რ.);
3. ჭინღას (ჭრნდატ), ჭინღას (ხრნდატ), დყან მახარაყ (ძკან მაჰარარ), სპ. mahīzahr (მაჰიზაჰრ): ჯრ.Ամարიყან, ՀԱԲ, II – 425 – „ჭინღას“; საბასეული: ფურუნდატ>ჭინღას> ხინღას> ჭინღას (ჩემი აზრით); დყან საყანოღ (ძკან სპანოღ), ბიჟ ხარყცენოღ (ძუკ ჰარბეცნოღ): Амирдовлат Амасиаци, Ненужное для неучей, М., 1990, – §1722.
4. „კალმახისა გასანყვეტად დაუნაყონ საგალია“ (ვახტანგ VI, სალბუნად გულისა, – 28,41ვ: ვახტანგ მეექვსე, ლექსები და პოემები, თბ., 1975);
„ზდიან ცრემლნი თვალთა ჩემთა, სწავეს, ვით თევზთა საგალია (დ. გურამიშ.) [ქეგლ];
„კირ-საგალი: კირში არეული საგალი თევზთ საჭერად“ (დ. რ. – „საგალი“)
საგალი – თევზათვის სამსალა (საბა); საგალი – თევზის სამსალა (რაფ. ერისთავი: მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი; შედგენილი თ. რაფ. ერისთავისაგან, Тფ.-1884.
საგალი – (ბალ.) – თევზის სანამლაგია (ნ. რ.)
შდრ: ს. ძკან მაჰარარ („თევზის მკვლელი“), ძკან სპანოღ („თევზის მომაკვდინებელი“), ძუკ ჰარბეცნოღ („თევზის გამაბრუებელი“), სპ. მაჰიზაჰრ („თევზის სამსალა“);

5. **Мольная трава** – зверобой-степной... *Verbascum Blattaria* [В. Даль, ТС, т. II-344];

Зверобой-степной – *verbascum Blattaria* – местами также *Verbascum Thapsus* [В. Даль, ТС, т. I – М., – 1955, – გვ. 674]

6. **სახალი ბალახი** – მცენ. коровяк, царский скипетр (раст.); პ. ფ. ლ. (დ. ჩ.).

პ. ფ. ლ. = პატრი ფილიპესგან შედგენილი ლექსიკონი მცენარეთა და პირუტყვთა [დ. ჩ.];

„... წარსულს საუკუნეში ყოფილა საქართველოში ერთი ფრანგების პატრი ფილიპე, რომელსაც შეუდგენია ქართული-იტალიური მცენარეთა ლექსიკონი. იქიდან დავით ჩუბინოვსაც მიუღია თავის ლექსიკონში 572 მცენარეთა სახელწოდება, მაგრამ თარგმანი კი ყველას არ უძს“... [რაფ. ერისთავი, მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი, ტფ. – 1884, გვ. VII]

„Названія растений... помещенные в сем Словаре... взяты из книги составленной Католическим священником Филиппом, жившим долгое время в Грузии и занимавшимся практическою медициною“ [Броссе, Предисловіе, 30 Июля 1840 года: ქართულ-რუსულ-ფრანციცული ლექსიკონი, ქმნილი დავით ჩუბინოვის მიერ, С. Пб., – 1840];

7. **Коровяк** – царскій скипетр – *Verbascum thapsus* [В. Даль, ТС, – II – გვ. 168]

8. **გაგლა** (მოხ. ქართლ.) – დანაყვა, დაცეხვა. ნ. გაგალვა (ა. ყაზბ., III შ. did.)

გაგალვა (ქართლ.) – დანაყვა (ალ. ღლონტი, ქ-თსკ);

დაგლა – დანაყვა, დამსხვრევა, შემუსვრა; „მოგლა“: „დავგალნე ივინი და არლარა აღემართენ“ O, II მფ. 22,39 [O – ოშკის ბიბლია (978 წ.)];

მოგლა – „დაგლა“, ფქვა, დანაყვა: „მოჰგლიდეს ფილითა“ G, რიცხ. 11,8 [G – გელათის ბიბლია (XII ს.)]; „მოჰგალო ამისგან

წელილად“ O, გამოსლ. 30,36; „მოგალე და დაიდევ წყლულებასა შენსა“ I, ესაია. 38,21 [I – იერუსალიმის ბიბლია (XI ს.)]

[იხ. ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973];

„... წმინდად გაგალონ...“ 13,9; „... ტაბაშირი გაგლილი აჭამონ“. 36,30;

გაგლა 13,9. 36,30. 54,46. – გალესვა, წმინდად დანაყვა რამის, გახეხვა. [იხ. წიგნი სააქიმოჲ, XIII ს. ტფ., 1936].

დარუპილპილი

ქართული (წარმოშობით სპარსული) სახელწოდება Piper Longum-ისა ქართულ წერილობით ძეგლებში, XIII საუკუნიდან დღემდე, დადასტურებულია არაერთი სახით:

დარუპილპილი (ხოჯაყოფილთან, დ. ჩუბინაშვილთან და ა. მაყაშვილთან)¹, დარაპილპილი, დარაჰილპილი (ხოჯაყოფილთან)², დარაფილფილი (ხოჯაყოფილთან)³, დარიფილფილი (ქანანელთან დ. ბაგრატიონთან)⁴.

წყარო დ. ჩუბინაშვილისა არის პატრი ფილიპე, ა. მაყაშვილისა, – დ. ჩუბინაშვილი.

„დარუპილპილი“ (დ. ჩუბინაშვილით და ა. მაყაშვილით) იგივეა, რაც „წინაჲ“. მისი რუსული შესატყვისია стручковый перец, ლათ. ნომენკლატურა (ა. მაყაშვილით) Capsicum annuum L.

„დარუპილპილის“ სომხ. შესატყვისებია: դարապղպხղ (დარაპლპელ), ხրկայნ აղղაქ (ერკაინ პლპელ), – ლათ. ნომენკლატურა Piper Longum.

ქართ. „დარუპილპილისა“ და სომხ. „დარაპლპელ“-ის წყაროა სპარსული ქაქაქა დარ-ი-ფილფილ (სპ. არა (დარ) – „ხე“, ქაქა ფილფილ – „პილპილი“) ე. ი. „დარ-ი-ფილფილ“ ნიშნავს: „პილპი-

ლის ხეს“. ამ მცენარის არაბული სახელწოდებაა فلفل დარიჩილ-
ფილ⁵.

ა. ამასიაცი „დარაპლუელ“-ის შესახებ შენიშნავს: „გოლიანოს
იტყვის: ესააო სპიტაკ პლუელ („თეთრი წინაკა“), გარნა ვიეთნი იტყვი-
ან: „გრძელი პილპილი“ (იგივე „დარაპლუელ“) ხეო განსაკუთრებული⁶.

პილპილისა და წინაკის სხვადასხვაობა (პილპილი რომ ხეა და
წინაკა, – ბალახი) იცის საბამ, იციან ჩუბინაშვილებმა⁷.

ერთი სიტყვით: „დარუპილპილი“ არის ხე („პილპილის ხე“),
მისი პირველადი მნიშვნელობაა Piper Longum.

[ქართულში და სხვაგან მისი „წინაკასთან“ გაიგივება, –
მერმინდელი ამბავია].

„პილპილა“ სოკოსაც ჰქვია ერთს;

ერთნი (ზოგნი) მას აიგივებენ არყა (>ვარყა) სოკოსთან:

არყა-სოკო – грузьдъ перечный Lactarius piperatus Fr.

გურ. სოკო-პიმპილა; აჭ. პირპილა⁸.

პილპილა სოკო – грузьдъ, Agaricus piperatus, თ. აღქობალაქი⁹.

პილპილა სოკო – სოკოა ერთი, грузьдъ (ზ. რ.)

Грузьдъ – Agaricus piperatus¹⁰.

Грузьдъ – гриб Agaricus piperatus¹¹.

Грузьдъ – (гриб.) – აქიყიყასონს: აქიყიყ – „პილპილი“;
სონს – „სოკო“¹².

სხვათა (ზოგთა) მიხედვით, – იგი არყა-სოკო კი არაა, არამედ
სრულიად სხვა სოკო გახლავთ:

პიმპილა სოკო – მოშავო-მორუხო მწარე სოკოა.

პიმპილო იგივეა, რაც პიმპილა სოკო; პიმპილო შავი სოკოა,
კირნიც შავი აქ, გული ფერნაკლულათ აქ, ზეით გულია ძალიან შავი
(ქ. ძონ.)¹³. აქ, უნდა გვახსოვდეს რომ: ამ განმარტებათა ავტორებმა
შესანიშნავად იციან ვარყა (<არყა) სოკოც: „ვარყა თეთრი მწარე
სოკოა“ (იქვე); ვარყა (ზ. იმ). – თეთრი, მწარე სოკო, არყა სოკო¹⁴.

ერთი რამ ცხადია, ამოსავალი ორივენაირი სოკოსი (თეთრისაც
და შავისაც) არის გემო (ორთავე ცხარეა);

ადვილი შესაძლებელია: „არყა“ ნაწარმოები იყოს „არაყიდან“
[არაყი: *არაყა>არყა/ვარაყა/ვარყა];
ფორმა „ვარყა“ იცის საბამ: „ვარყა – სოკოა ერთი“.

შენიშვნები

1. „... გაურეკდეს ქონდარსა და დარუპილპილსა“ [წიგნი სააქიმო, XIII ს. ტფ. 1936, 52-20];
დარუპილპილი – მცენ. стручковый перец, პატრ. ფილ.
ლ. [დ. ჩ.];
წინაჲ – перец стручковый... *Capsicum annuum L.*
იმ. ლჩხ. გურ. პიმპილი... სენ. პიმპილაჲ... ჩ. დარუ-
პიპილი. [ა. მაყაშ, – ბოტ. ლექსიკ. – ჩ. = დ. ჩუბინაშვილი];
2. „... პილპილი და დარაპილპილი“... [წიგნი სააქიმო, – 71,10];
„... შეტარაჲ და დარაპილპილი“... [იქვე, – 93,10];
3. „... კილაშონი და დარაფილფილი...“ [წიგნი სააქიმო, – 91,16];
4. „... ზანჯაფილი და დარიფილფილი...“ [ქანანელი, უსწორო
კარაბადინი, თბ., – 1940, 66,18].
„... უდი, ზირა და დარი ფილფილი გაურიონ და ისრე აჭამონ“
[დ. ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი, თბ., 1985, 113,11];
5. Հր.Աճառյան, ՀԱԲ – I – გვ. 635 – „դարապուպել“;
6. Амир. Амасиаци, Ненужное для неучей, М., – 1990,
– §431;
7. პილპილი (ხე) – ლ. პეპე; თ. ფილფილ (საბა);
წინაჲ (ბალ.) – ბალახის პილპილი; თ. ბიბერონი; ს. პარკოშ
(საბა);
იტ. *pepe* – перец; იტ. *peperone* – красный перец,
стручковый перец.
პილპილი (ხე) – მგორვალა, перец, *πυπέρι* თ. ფილფილ
(არაბ.) [ნ. ჩ.]

წინაკა (ბალ.) – წითელპარკებიანი პილპილი, перец красный или стручковый [ბ. ჩ.]

პილპილი (სპარს.) – მგორვალა, перец (დ. ჩ.);

წინაკა – წითელი პარკებიანი პილპილი, стручковый перец (დ. ჩ.);

8. ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961.
9. იოანე ბაგრატიონი, საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი, თბ., 1986.
10. В. Д. Даль, ТС – т. I – стр. 400.
11. М. Фасмер, ЭСРЯ – I – 463.
12. А. С. Гарибян, Русско-армянский словарь, Ерев. – 1968.
13. ქეთევან ძონენიძე, ზემოიბერული ლექსიკონი, თბ., 1974.
14. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენლი ალ. ლლონტი, თბ., 1984.

ტანტრაბეჩი

„ტანტრაბეჩი“ საბამდე ქართულ მწერლობაში არ ჩანს.

ამ სიტყვის პირველი განმმარტებელი¹ და პროზაში მისი პირველი გამოყენებული საბაა².

ჩუბინაშვილებთან „ტანტრაბეჩი“ არის არა მარტო „კბილთა“, არამედ „ყურთა საჩიჩქნელიც“³.

ეს სიტყვა (ტანტრაბეჩი) მართალია ნასპარსულეგია, მაგრამ ქართულის მიერ ისეა გადასხვაფერებული, ძალიან გამიკვირდება, სპარსულმა გაიგოს მისი რაობა.

სპარსულად ამ სიტყვის სახელწოდებაა دندان آبريش (დანდანაფრიშ); მისი ფონეტიკური ვარიანტნი არიან: دندان آبريز (დანდანაფრიზ) და دندان آفريز (დანდანაფრიზ)⁴;

دندان آبريش (დანდანაფრიშ) კომპოზიტია:

اندان (დანდან) + آپیش (აფრიშ);

დანდან – „კბილია“, ხოლო, რაიცა შეეხება სიტყვას „აფრიშ“, – მისი რაობა თვით სპარსულმა ლექსიკოლოგებმა არ უწყიან⁵.

„დანდანაფრიშ“ აქვს არაერთი სინონიმი:

اندان پاک کن (დანდან-ფაქ-ქონ), ل اندان خلا (დანდან-ხელალ),
اندان کاو (დანდანქაუ)⁶

ქართ. ტანტრაბეჩი მიღებულია სპ. დანდან-აფრიშ-იდან:

სპ. დანდან-აფრიშ > ქართ. ტანტრაბეჩი.

შენიშვნები

1. ტანტრაბეჩი – კბილთ საჩიჩქნელი; ლ. ნეტადენტი; თ. ილალ, ილალი, ხილალი (საბა);

იტ. *nettadenti* – зубочистка [იტალ.-რუს.-გვ. 537]

იტ. *nettare* (*netto*) – чистить, Очищать – [იქვე – გვ. 537]

იტ. *netto* – чистый, опрятный (იქვე);

თ. *hilâl a* 1. зубочистка; 2. ухověртка (в виде ложечки) [Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазаник, М., – 1945, გვ. 247];

2. „ხმელი შეშა და ცუდი ჩხირი, გბათა ნაგდები, დრო მოვა, რაგინდ რაში ვარგიყოს, სხვად რომ ვერად გამოიყენოს, ტანტრაბეჩად მაშინც მოიხმაროს“ [ს.-ს. ორბელიანი, თბზულუბანი, ტ. II, თბ., 1962: ქილილა და დამანა – გვ. 138,4];

3. ტანტრაბეჩი – ყურთა, ანუ კბილთ საჩიჩქნელი, უხოვერტკა или зубочистка. თ. ჰილალი. [ნ. ჩ.]

ტანტრაბეჩი – ყურთა და კბილთა საჩიჩქნელი, უხოვერტკა, зубочистка [დ. ჩ.];

4. сб. Полный персидско-арабско-русский словарь, составил полковник И. Д. Ягелло, Ташкент – 1910.

Персидско-русский словарь, - в двух томах, - Под редакцией Ю. А. Рубинчика, т. I, - М., - 1983, - გვ. 666.

5. იხ. დეჰხოდა, სპარსული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ეს ცნობა მომანოდა ან განსვენებულმა ა. გვახარიამ);

6. იხ. Перс.-русс. словарь, т. I, М., - 1983, გვ. 666;

Перс.-русс. словарь, составил проф. Б. В. Миллер, М., - 1960, გვ. 226.

اندان (დანდან) - კბილი; كق - 1. სუფთა, უბინო (Б. В. Миллер, გვ. 87).

كن (ქონ) - ქმნა, შესრულება (იქვე, გვ. 398).

كاش (ქავეშ) - თხრა, ჩიჩქნა; كاشان (ქავანდე) - 1. მჩიჩქნელი, მოხრელი. [Рубинчик-ი, т. II, გვ. 304].

„ქავ“ არის ზმნა „ქავიდან“-ის ანმყო დროის ფუძე, ზმნა კი ნიშნავს „თხრას, ჩიჩქნას“, აქედან „ქავანდე“ - „მოხრელი, მჩიჩქნელი“, ასევე „ფაქ“ ნიშნავს „სუფთას“, „ფაქონ“ - „გამწმენდი“. [ცნობა მომანოდა ან. განსვენებულმა ალ. გვახარიამ];

خال (ხელალ) - 1. ჩხირი, წვირი, თხელი შუანყალი; 2. [აგრეთვე خال باسان (ხელალ - დანდან) - ტანტრაბეჩი]

[Перс.-русс. Ю. А. Рубинчика, т. I, გვ. 563]

კალმახი

კალმახი არაერთი მნიშვნელობის სიტყვაა ქართულში:

კალმახი არის თევზის ერთერთი სახეობა (*Salmo trutta*).

კალმახი (კალმახა) არის ერთერთი სახეობა სოკოსი (*Pleurotus ostreatus*).

კალმახი (კალმახა) არის ერთგვარი ბალახი (*Verbascum thapsus*).

კალმახი არის ტოპონიმი.

კალმახი (*salmo trutta*)

განმარტება კალმახისა (*Salmo trutta*) ამგვარია:

„შავ და წითელ-ხალუბიანი თევზი (ორაგულუბის ოჯახისა); იცის მთის მდინარეებსა და ზოგგან მაღალ-მთიან ტბებში; მდინარისა პატარაა, ტბებში – მოზრდილიც გვხვდება (განთქმულია ნაზი, გემრიელი ხორცით)“¹.

კალმახის ქანური ფორმაა კალმახა, მეგრული, – კალმახა, კამმახა, აფხაზური, – აკალმაჰ, სვანური, – კალმახ, კალმაჰ, კალმახჷ [ოლონდ სვანურში ამ სიტყვას (სიტყვებს) ორი მნიშვნელობა აქვს: 1. კალმახი; 2. თევზი]².

ვახუშტის მიხედვით საქართველოს მდინარენი (მეტადრე მთისანი) სავესეა თევზის ამ სახეობით³.

კალმახი წარმოშობით არაქართული სიტყვა რომაა და მისი ახსნა ქართული ენის საშუალებით შესაძლებელი რომ არაა, ეს კარგა ხანია ცნობილია.

1910 წელს გამოცემულ ნ. მარისეულ ქანურ-რუსულ ლექსიკონში ერთმანეთთან შეპირისპირებულია ჭ. კალმახა, ქ. კალმახი და ს. ცაყნყაყყაყ, რაც იმას ნიშნავს რომ, – ლექსიკოგრაფის აზრით: ცაყნყაყყაყ ამოსავალია კალმახისა და კალმახასი⁴.

კალმახი ნასესხებ სიტყვად მიაჩნია პ. ჭარაიასაც (ოლონდ სპარსულიდან): „г. კალმახი kalmaq-i (среднеперс. [и это пака сомнительно])“ – შენიშნავს იგი⁵.

1926 წელს კალმახის სვანური გაგებისა („თევზი“) და თევზის ფინური სახელწოდების („კალა“) საფუძველზე ნ. მარის მიერ „კალმახი“ მიჩნეულია „თევზის“ სინონიმად და მასთან მიმართებაში პალეონტოლოგიურად გაანალიზებულია თევზის აფხაზური და სომხური სახელწოდებანი (ა-ფსგ-ძ, ძუ-კჟან), რომელნიც (ავტორის აზრით) შეფუძვარებული სიტყვებია ისევე, ვითარცა კალმახი“ (კალ+მახ, ფსგ+ძ, ძუ+კჟან)⁶.

აფხ. ა-ფსგძისა და სომხ. ძუკჟანის პალეონტოლოგიური ანალიზი რამდენად მართებულია, – ეს ცალკე საუბრის თემაა; კალმახთან მათი შეპირისპირება კი, ჩემი აზრით, ყოვლად შეუწყნარებელია, ვინაიდან კალმახი შეფუძვარებული სიტყვა არ გახლავთ. ორნანილადი კია, მაგრამ პირველი ნაწილი მეორის სინონიმი კი არაა, არამედ მსაზღვრელია მისი [აქვე საჭიროა აღინიშნოს: კალ+მახ (რასაც ნ. მარი გვთავაზობს) უმართებულოა, მართებულია კალ+მაჰი];

ქართული კალმახის უცხო შესატყვისებია:

თ. alabalik(ღი), ს. სყრმრყყყყყ, სპ. 1. **ألبالك**, 2. **الماها**, 3.

ტაჯ. **كَل ماهي**.

განვიხილოთ თითოეული მათგანი:

თ. alabalik(ღი) [ალაბალიქ(ღი)]⁷:

ala (ალა) – ლაქებიანი, ხალეზიანი, ჭრელი;

balik(ღი) [ბალიქ(ღი)] – თევზი⁸:

მამასადამე:

alabalik(ღი) სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ხალეზიანი, ჭრელი თევზი“.

ს. სყრმრყყყყყ (კარმრახაღტ)⁹:

სყრმრჟ (კარმირ) – წითელი;

ყყყყ (ხაღტ) – წინწკალი, ლაქა:

მამასადამე:

სყრმრყყყყყ სიტყვასიტყვით ნიშნავს: „წითელხალეზა“.

სპ. 1. **ألبالك** (ყეზელალა)¹⁰:

სპ. **الك** (ყეზელ) – წითელი;

თ. ala (ალა) – ხალეზიანი, ლაქებიანი:

მაშასადამე:

خاآل قز სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ნითელხალუბა“.

სპ. 2. خالماھر (ხალმაჰი):

خا (ხალ) – ხალი;

ماھر (მაჰი) – თევზი;

მაშასადამე:

خالماھر სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ხალუბიანი თევზი“.

ტაჯ. گل ماهی (გულმოჰი):

گل (გულ) – ყვავილი (სენი)¹¹;

ماھی (მოჰი/სპ. მაჰი) – თევზი;

მაშასადამე:

گل ماهی სიტყვასიტყვით ნიშნავს: „ყვავილიანი თევზი“.

ქართული კალმახი ნასპარსულევია (ნიშნავს ქართულში იმას, რასაც სპარსულში ხალმაჰი):

სპ. ხალმაჰი > ქართ. კალმახი¹².

ბოლოკიდური „ი“ (სპარსულისათვის ფუძისეული ხმოვანი), დროთა ვითარებაში, ქართველთა მიერ სახელობითი ბრუნვის ნიშნად იქნა მიჩნეული (კალმახ-ი).

კალმახთან დაკავშირებულია ადამიანის (მამაკაცის) საკუთარი სახელები: კალმახელი¹³ (კახეთი), კალმახა, კალმახია (კოლხეთი)¹⁴.

კალმახთან დაკავშირებულია ერთგვარი ცეკვაც, ე. წ. კალმახური; ოღონდ გასარკვევია: რაა ამ ტერმინის ეტიმონი: თევზი კალმახი თუ ტოპონიმი კალმახი?

აპ. წულაძის აზრით: ცეკვა კალმახურის ამოსავალია თევზი კალმახი¹⁵.

მე ვფიქრობ, კალმახური, შესაძლოა აღნიშნავდეს სადაურობას: ტოპონიმი კალმახი > ცეკვა კალმახური ისევე, როგორც მთიულური: (ტოპ. მთიულეთი > ცეკვა მთიულური).

შენიშვნები

1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. IV, თბ., 1955.
2. იხ. Н. Марр, Чанско-русский словарь, С.-Пб., – 1910; И. Кипшидзе, Мингрельско-русский словарь, С.-Пб. – 1914; П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, С.-Пб., – 1912; ვ. თოფურია, მ. ქაღანი, სვანური ლექსიკონი, თბ., 2000; ახლახან გამოსული მეგრულ-ქართული ლექსიკონის მიხედვით: მეგრულში კალმახას პარალელურად არის ფორმა კალმახიც, რომლის გადატანითი მნიშვნელობაა „ძალიან ლამაზი“. „ქოჯუნს ართი კალმახი ძღაბი“ [ო. ქაჯაია, ტ. II, თბ., – 2002];
3. „ზურტაკეტასა შინა არა არს თევზი, თუნიერ კალმახისა, და იგი მრავალი“ (41,15); „მდინარესა ამას შინა (ლაპარაკია მდ. თეძამზე – მ. მ.) არა არს თევზი, თუნიერ კალმახისა, და იგი მრავალი“ (56,28); „ყვირილასა შინა... საჩხერეს ზეით არს კალმახთა სიმრავლე და სხვა არარაი“ (151,13); „არა არს ძირულაში თევზი, თუნიერ კალმახისა, და კალმახი მრავლად“ (154,36); „ფერსათის მომდინარეთა წყალთა შინა, კალმახნი მრავალ და სხვა არრა“ (163,39); „მდინარესა შინა ატენისასა ზის კალმახნი გემოანი, მრავალნი, და სხვა თევზნი არა“ (57,31)... [ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941];
4. Н. Марр, Чанско-русский словарь, С.-Пб., – 1910.
5. П. Чарая, Об отношении абхазского языка к яфетическим, С.-Пб. – 1912.
6. Н. Я. Марр, Средства передвижения, орудия самозащиты и производства в до-истории, Л. – 1926, გვ. 40-41.
საბათი: ალაბალუხ, ალაპალუხ, ალაპლუხ; ჭანურში, ნ. მარის მიხედვით, ალაბალული კალმახის პარალელურადაა ხმარებაში (იხ. მისი Чанско-русский словарь, С.-Пб., – 1910).
8. საბათი: ბალუხ, პალუხ.
9. საბათი: კამრახეთ.

10. ქართულში ეს სიტყვა, ფორმით „ხიზილალა“ [საბათი: „ხიზალალა“ (შდრ: მეგრ. ხიზალარა, ხიზაჲარა)] სახელწოდებაა „დამარილული ქვირილისა“, რასაც სპარსულსა და თურქულში ჰქვია ხავიარ (სპ. *حياح*, თ. *havyar*), სომხურში, – *խավիար*, ახ. ბერძნულში, – *τό χαβιάρι*, გერმანულში, – *Kaviar*, ინგლისურში – *caviare*, ფრანგულში – *caviar*...
11. ყვაილი მძიმე გადამდები სენია... ახასიათებს გამონაყარი ნითელ წინწყლებად (ბუმტუკებად). [ქეგლ];
12. უცხ. ხ > ქართ. კ:
 სპ. ხემთ > სომხ. ხეც > ქართ. კეც-ი > ჭან. კიცი, მეგრ. კიცი > აფხ. ა-კეც, სვან. კეც, კეც:
 სპ. *خمش* (ხემთ) – „აღიზი, გამოუწვავი აგური“; სომხ. *խեց* (ხეც) – „თიხა, თიხის ჭურჭელი“; ქართ. კეც-ი [უნინ: „თიხა“; ან: „თიხის ტაბაკი, რომელსაც ახურებენ და ზედ მჭადს (პურს) აცხობენ“]; ჭან. კიცი, მეგრ. კიცი, სვან. კეც, კეც – „ქვის კეცი“; სვან. კეც – „ჭური, ქვევრი“, აფხ. ა-კეც – „თიხა“ (ცხადია, თითოეულის თავდაპირველი მნიშვნელობაა „თიხა“).
 ხ/კ იშვიათი არაა საკუთრივ ქართულშიც:
 ხვანჯი/კვანძი, ხოტორა/კოტორა და სხვ. მრ.
 უცხ. ჰ > ქართ. ხ:
 არაბ. *الح* (ალლაჰ) > ქართ. ალახ-ი:
 „ალახის რისხვით შერისხა ჯარი“ (ვაჟა)
 სპ. *ش* (შაჰ) > ქართ. შახ-ი:
 „[ქალები] ცოლად მიჰყვებოდნენ... სულთნებსა და შახებსა“ (აკაკი);
 სპ. *حيمه* (ჰიმე) > ქართ. ხიმე
 (სპ. ჰიმე – „შეშა“, ქართ. ხიმე – „დაპობილი ძელი, დაპობილი ძელების ღობე“);
 სპ. *قحبه* (ყაჰბე) – > ქართ. კახბა.
13. ეს ხომ არაა სვან. კალმახელ? (კნინ. ფორმა კალმახისა).
14. აღ. ლლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ., 1967.
15. აპოლონ ნულაძე, ეთნოგრაფიული გურია, თბ., 1971, გვ. 97-98.

კალმახა ბალახი (*Verbascum thapsus*)

„კალმახა ბალახი“ იცის მხოლოდ დ. ჩუბინაშვილმა: „მცენარეა, Медвежье ухо“¹.

ლათ. ნომენკლატურა Медвежье ухо-სი არის *Verbascum thapsus*, სინონიმნი: Царскіи скипетр და Коровяк (იხ. ი. ბ., ა. მაყ. და В. Даль)².

ი. ბაგრატიონით ამ მცენარეს Коровяк-ი „ენოდების ოდენ ეკატერინოსლავის ლუბერნიასა შინა, ხოლო რუსეთის სხუათა ადგილთა... საზოგადო მისი სახელი არს Царскій скипетр“³.

კალმახა ბალახის (*Verbascum thapsus*) თურქული შესატყვისი (ი. ბაგრატიონით) არის siğirkuşuğuşu, სომხური (ა. ამასიაციტ), – ხეჩ აყჩ⁴.

კალმახა ბალახის სინონიმებია: ხარისკუდა, ყვირილა, შუბანა, ბაბაყვერა⁵.

„ეს ბალახი არის მაღალი, ქერისებრ შებუსვილი; აქვს მსხვილი ყვითელი ყვავილები, იზრდება გზისპირებზე, მშრალ ადგილებსა და ყანებში“⁶.

„ბალახი ესე... აღმოაცენებს ღეროსა ლიტონსა სიმაღლით ორითგან სამ ფუტამდე, ბუსუსიანსა...“

ამ ბალახის ყუავილნი არიან ძაბრის სახედ ქმნილნი... ყვითელნი... აქუსთ სული იას მსგავსი და აღრაცხილ არიან მკერდის სამკურნალო წამალთა თანა“⁷.

ერთი სიტყვით:

კალმახა ბალახის (იგივე ხარისკუდა, ყვირილა, შუბანა, ბაბაყვერა) რუსული შესატყვისებია Медвежье ухо, Коровяк, Царскій скипетр, თურქული, – siğirkuşuğuşu, სომხური, – ხეჩ აყჩ. ხეყან აყჩ, ლათ. ნომენკლატურა: *Verbascum thapsus* ან *spectabile M. B.*

რატომ ეწოდა ამ ბალახს ქართულად ხარისკუდა და შუბანა, რუსულად, Царскій скипетр, თურქულად, – siğirkuşuğuşu, სომხურად, – ხეჩ აყჩ. ხეყან აყჩ – გასაგებია⁸! –

მაგრამ რატომ კალმახა?

აი, რატომ:

1. კალმახა ქართულში (ზანურისამებრ) იმავე მნიშვნელობის სიტყვაა, რისაც კალმახი⁹; შდრ: მელი/მელა, წიფელი/წიფელა, კუნელი/კუნელა, ძენნი/ძენნა და სხვ.

2. ხალხურ ქართულში ერთმანეთის სინონიმებია „ბებერა სოკო“ და „ბებრის სოკო“¹⁰ ისევე, ვითარცა „კალმახა სოკო“ და „კალმახის სოკო“ ი. ბაგრატიონთან¹¹; აქედან გამომდინარე: „კალმახა ბალახი“/ „კალმახის ბალახი“ (შდრ: „ბებერა სოკო“/„ბებრის სოკო“, „კალმახა სოკო“/„კალმახის სოკო“).

3. ი. ბაგრატიონით Медвежье ухо-ს ქართული შესატყვისებია „დიდი საგალი“ და ზაგაბალახი (<^ასაგალბალახი)¹².

საბასეული განმარტებით „საგალი“ არის „თევზთა სამსალა“, რომლის სომხური სახელწოდებაა (მასთანვე) ფურუნდატ: ჭინიყასი (ჭრნდატ) (<ფურუნდატ) სომხურის ერევნული კილოა; ნიშნავს იმასვე, რასაც ჭინიყასი (ხრნდატ) (*Verbascum thapsus*);

ჭინიყასი-ის (ხრნდატ) სინონიმებია:

ბქან სყანნიო (ქან სპანოლ: „თევზის მომაკვდინებელი“), ბიქ ხაქეცენიო (ბუკ ჰარბეცნოლ: „თევზის გამაბრუებელი“), სპ. ماه زهر (მაჰიზაჰრ: „თევზის შხამი“)¹³.

ყოველივე ამის შემდეგ, ვფიქრობ, ახლა უკვე ნათელია, რატომ ეწოდა გარკვეული სახეობის ბალახს (რომელსაც იყენებენ თევზების მოსაწამლავად), – „კალმახა ბალახი“.

შენიშვნები

1. დ ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., – 1984.

2. იოანე ბაგრატიონი, საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი, ბ., 1986-131.

ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961: Медвежье ухо – *Verbascum thapsus* L. – „ბამბიჭულასთან“, გვ. 15;

საყურადღებოა, რომ „Медвежье ухо“-ს არაბული სახელწოდებაა
بَانْ أَنْ زَ – აზან აღ-ღუბბ (სიტყვასიტყვით: „დათვის ყურები“).
(Амирдовлат Амасиаци, Ненужное для неучей, М., – 1990,
§21);

იოანე ბაგრატიონი, საბუნებისმეტყველო განმარტებითი
ლექსიკონი, თბ., 1986: Медвежье ухо – Verbascum thapsus (გვ.
131); Царский скипетр – Verbascum thapsus (გვ. 209); Коровяк
– Verbascum thapsus (გვ. 108);

„Медвежье ухо – Verbascum thapsus, Царский скипетр,
Коровяк (В. Даль – ТС – II, გვ. 312);

3. იოანე ბაგრატიონი, საბუნებისმეტყველო განმარტებითი
ლექსიკონი, თბ., 1986, გვ. 108 – „Коровяк“.

4. ი. ბაგრატიონი, დასახ. წიგნი, გვ. 131; Амирдовлат Амасиаци,
Ненужное для неучей, М., – 1990, §471: sigirkuyugux
(სიღირკუყარულუ): სიღირ – „ხარი“, კუყარულუ – „კუდი“; ხეღი აყღი
(ეზი აგი): ეზ – „ხარი“, აგი – „კუდი“.

5. ა. მაცაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961 – „ხარისკუ-
და“.

6. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, თბ., 1964:
„ხარისკუდა“.

7. ი. ბაგრატიონი, დასახ. წიგნი, გვ. 209 – „Царский скипетр“.

8. თ. sigirkuyugux (სიტყვასიტყვით: „ხარის კუდი“), ს. ხეღი
აყღი, ხეყან აყღი („ხარის კუდი“); ეს ბალახი არის ზროშებუსვილი,
მაღალი, შუბებრ შვეტი.

9. კალმახა – კალმახი (საბა).

10. იხ. ა. მაცაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961, –
„დათვის სოკო“.

11. იხ. ი. ბაგრატიონი, დასახ. წიგნი, გვ. 146,150: Обанки/
опенки – კალმახა სოკო/კალმახის სოკო.

12. იხ. ი. ბაგრატი., დასახ. წიგნი, გვ. 131: „Медвежье ухо“.

13. ჯე.ანაიასი. ჯԱԲ - II - 425; A. Амисиани, ИДН, - М., - 1990, §1722: ძკანი სკანიო. ბიკ ხარქენიო, სკ. مہر مہی

საბსეული ფურუნდატ>ჰინიასი>“ხინიასი(ჰ>ხ)> ჰინიასი (ხ>ჰ);

კალმასი (ტოპონიმი)

კალმასი, ვითარცა სახელწოდება კლდისა თუ ციხისა, პირველად დადასტურებულია „ქართლის ცხოვრების“ უძველეს (XV ს.) ნუსხაში, - ვახტანგ გორგასლის მემატინე ჯუანშერთან (VIII ს.):

„... სხუად წარვიდეს ნახევარნი მათგანნი, და შეიპყრეს კლდე ერთი ტაოს, რომელსა ერქუა კალმასი, და ალაშენეს ციხედ“¹.

შესაბამის ადგილას „ქართლის ცხოვრების“ ძველსომხურ თარგმანში, რომელიც შესრულებულია XII ს-ში იმ ქართული ნუსხიდან, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, წერია:

„... ზოგი მათგანი ტაოს ქვეყანაში წავიდა, [იქ] იპოვეს ერთი კლდე და ააგეს ის ციხედ, და უწოდეს მას კამასი“².

რატომა ქართულში კალმასი, ხოლო სომხურში კამასი?

რომელი ეწერა იმ ქართულ ნუსხაში, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია და რომლიდანაც XII საუკუნეში შესრულებულია ძველსომხური თარგმანი?

მასში რომ კალმასი წერებულეიყო, სომხურშიც იქნებოდა კალმასი, როგორც ეს იმავე თარგმანში მსგავსი ბგერითი შემადგენლობის სხვა ქართულ ტოპონიმთა სომხურად გადატანისას გვაქვს³.

გამორიცხული არაა, რომ იქ (იმ ქართულ ნუსხაში) ეწერა კამასი და სამი საუკუნის შემდეგდროინდელ ნუსხაში დეეტიმოლოგიზაციის შედეგად მივიღეთ კალმასი⁴.

მით უმეტეს, კამახი ქართულში უაზრო სიტყვაა, სომხურში კი არსებობს მისი სამნაირი ფორმა (კამახ, კმახ, კმახი) და აქვს არაერთი მნიშვნელობა⁵.

ციხე კალმახი აუგიათ VIII ს-ში. IX ს-ში გურგენ კურაპალატის რეზიდენცია ყოფილა. XI ს-ში კალმახის გამგებელთ კალმახის ერისთავნი რქმევიათ (ქსე);

ნ. მარის აზრით, ეტიმონი ამ ტოპონიმისა არის კალმახი („თევზი“) ისევე, როგორც მეგრ.-ჭან. ჩხომია ამოსავალი ცხუმისა (ანინდელი სოხუმი) და ლეჩხუმისა და თ. balək („თევზი“) თურქეთის ქალაქისა Balək⁶.

ეს თუ მართლა ასეა, მაშინ კალმახი, ვითარცა თევზი (თევზის ერთერთი სახეობა) ქართულ ენაში არსებულა VIII საუკუნეზე ბევრად ადრე.

ტოპონიმ კალმახთან დაკავშირებულია გვარები: კალმახელი (თავადური), კალმახელიძე (გლეხური)⁷.

ადვილი შესაძლებელია მასთანვე იყოს დაკავშირებული ცეკვა კალმახურიც⁸.

შენიშვნები

1. ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, – 244,12: ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I – თბ., 1955.
2. ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევიტა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1953, 204,8.
3. ნილკანი > ნიქსან; ჩელთა > ჟესქ (ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, გვ. 132, 1-2; 182, 15-12;
4. „ცარსკოე სელო დეეტიმოლოგიზებული საარსკოე სელოა (Саарское село), საარი კი ესტონური სიტყვაა და „ზემოს“ ნიშნავს. ადგილობრივმა მოსახლეობამ ესტონური სიტყვა

რუსულად მიიჩნია და თავისებურად გაიზრა: Саарское – Царское"...

მდ. ცარიცა (Царица) > ქ. ცარიცინი. სახელი მიღებულია არა Царь ძირიდან, არამედ თუქრ. სარი-სუდან (Сары-су – „ყვითელი წყალი“) და ადგილობრივი რუსი მოსახლეობის მიერ გააზრებულია Царица-დ.

(ალ. ლლონტი, ტოპონიმიკური ძიებანი, I, თბ., 1971, გვ. 12-13).

5. სყაყა – მსხვერპლი, შესანიშნავი, ზორვა, ნირვა; სყაყა – ჩონჩხი, სყაყა – ძვლები, საძვალე, აკლდამა; – სყაყა – მოთქმა, გოდება, ზარი, მიცვალებულის დატირება (ჰრ.Աճառյան. ՀԱԲ – II – 499, 605);

სყაყა-ის „საძვალედ“ მიჩნევა ნ. მარის მოსაზრებაა, „так как мн. число в яфетических языках служит для образования имен места“ (Н. Я. Марр, Яфет. названия деревьев и растений, Пб. – 1915, გვ. 849, – სქოლიო 2);

აქვე, საჭიროა, აღინიშნოს:

ცნობილია ორი კამახი:

ერთია ლაზიკაში, – ულნუტის მახლობლად (იხ. მ. ბროსეს Collection d'hist. arm. I, 615; А. Грен: ЖМНП 1893, Ноябрь, стр. 99: გეორგიკა, ტ. IV, ნაკვეთი II, გვ. 246-247), მეორე, – მაღალმთიან სომხეთში, მდ. ევფრატის იმ ნაწილში, სადაც მდინარე უხვევს სამხრეთისაკენ, იგივე „დარანალი“ (<დარანალი), რომელსაც XII-XIII საუკუნეთა ისტორიკოსნი უკვე კამახს უწოდებენ (იხ. არისტაკეს ლასტივერტეცი (XI ს.), ისტორია, თბ., – 1974, გვ. 112; 150; 189; მოვსეს ხორენაცი (V ს.), სომხეთის ისტორია, თბ., 1984, გვ. 177; 211; 291);

6. Н. Я. Марр, Избр. работы – II – 1936, გვ. 174.

7. კალმახელი – სამცხე-საათაბაგოს თავადთა საგვარეულო, სასაფლაოთი, მონასტრითა და კარის ეკლესიით შედიოდა მცხეთის საკათალიკოსო სამწყსოში. მისი ადგილი შემდგომში დაიკავეს უზნასძეებმა (1516 წ.) [ad-91] (პირთა ანოტირებული

ლექსიკონი, ტ. II, თბ., 1993); კალმახელიძე დემეტრე – ქვემო ძვიმლეთში მცხოვრები, ბუჟანა ტატიშვილის ყმა, ერთი კომლი, ჰყავს ორი მოლაშქრე ძმა, სამი ძმისწული და ერთი ვაჟი (XVII ს. II ნახ. Qd-7014 (იქვე));

8. სრულიად სხვაგვარად ფიქრობს ამაზე აპ. წულაძე:

„... კალმახური ძველი ცეკვაა. კალმახურის მოცეკვავე ძლიერ იშვიათი იყო, უფრო ხშირად ერთპიროვნულად ცეკვავდნენ. მოცეკვავე უნდა ყოფილიყო კალმახივით ცოცხალი, სწრაფი და მოძრავი...

ჩემი აზრით კალმახური ცეკვა... კალმახთან უნდა იყოს დაკავშირებული, რადგან კალმახი მეტისმეტად მოქნილი და სიცოცხლით სავსე თევზია“... (აპოლონ წულაძე, ეთნოგრაფიული გურია, თბ., 1971, გვ. 97-98).

აპაური

აქამომდე მოღწეულ ქართულ წერილობით ძეგლებში აპაური პირველად დადასტურებულია არაუადრეს X საუკუნისა:

„განვხეთქნეთ აპაურნი მათნი“ (ფს. 2,3);

„აპაურთა მისთა არა შეება“ (ზირ. 28,23)¹;

აპაური იგივეა, რაც აპეური:

აპაური (2,3 ფსალმ.) – აპეური, ტაბიკის თოკი. ლ. ვინკოლა; თ. სამბალ; ს. კაპან, სამოდენ, სამოდა (საბა)².

აპაური იგივეა, რაც სამალდი:

აპაური – სამალდი, უღლის ტაბიკთ მოსაჭირებელი თოკი, შებმულთ ხართ ქედსა ქვეშე (ფსალ. 2,3), ყзы (ნ. ჩ.).

სამალდი³ (სინონიმი აპაურისა) შემოსულია სომხურიდან⁴.

აპეურის მეგრული სახელწოდებაა ამპოური⁵, ჭანური, – ნამი და ზევლე⁶, სვანური, – თხაპ⁷.

აპეურის⁸ დიალექტური ფორმებია:

აპოური, აპყოური, აყპოური, ამპოური, აპაური, აპუარი, აპოვარი?

ექვი არაა: დიალექტურ ფორმათა ფუძენი: აპყო და აყპო (ორთავე) ყოფილი ყაპოა, – მიღებული ბგერათაგადასმით (ყაპო>აპყო/აყპო);

თვით ყაპო¹⁰ ერთერთი დიალექტური ფორმაა ლაბაბისა, რომელიც იგივეა, რაც არაბულ-სპარსული ლაბაბი (بغب) და ქართულადაც იმასვე ნიშნავს, რასაც არაბულ-სპარსულად;

არაბ.-სპ. بغب (ლაბაბი) – 1. ლაბაბი; 2. რქოსანი პირუტყვის ჩამონაზარდი ყელზე, ინდაურის ნისკარტქვეშა ჩამონაზარდი¹¹.

ლაბაბი-ი¹² (არაბ. ლაბაბი) – ნიკაბქვეშა ჩამონაზარდი (უპირატესად სიმსუქნისაგან); ზოგი ცხოველის (ხარის, კამეჩის...) ჩამონაზარდი ყელზე; ქათმის ნისკატქვეშ ბიბილოსმაგვარი ჩამონაზარდი¹³.

ამრიგად:

ლაბაბისა და აპეურის აქ წარმოდგენილი განმარტებანი და დიალექტური ფორმები მე საფუძველს მაძლევს, – დავასკვნა: აპეურის ამოსავალია ლაბაბი, კერძოდ მისი ერთ-ერთი, ამჟამად დიალექტური ფორმა: ყაპო!

ყაპო:

³ყაპო-ურ-ი>აპო-ურ¹⁴-ი>აპა-ურ-ი¹⁵>აპე-ურ-ი!

ერთი სიტყვით:

აპეური სუფიქსური წარმოების სიტყვაა, – ნაწარმოები ურ სუფიქსით: აპე (<ყაპო) – ფუძეა, ურ. – დეტერმინანტი სუფიქსი.

შენიშვნები:

1. იხ. ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., – 1973 – „აპაური“.
2. აპაურის ეს, საბასეული უცხო შესატყვისნი დღესაც იმავე სემანტიკისანი არიან, რისანიც საბას დროს იყვნენ:
იტ. **vincolo** – 1. ბორკილი, ხუნდი; 2. კავშირი;

თ. *sambagi*: **sam** – ტაბიკი, *bag* – შეკერა, გადაბმა, კვანძი, ნასკვი;

ს. *ყაყან* – 1. შეკერა, გადაბმა; 2. შემოსაკრავი, სახვევი; 3. არტახი;

სამნითსნ, სამნითი – ტაბიკთ შესაკრავი თოკი (იხ. თანამედროვე სათანადო ლექსიკონები);

3. არის აგრეთვე ფორმა **სამალდე** (კახ., ქართლ., ფშ., თუშ.);

4. შდრ: სამნითსნ, სამნითი. სამნსთი: სამნი – ტაბიკი, თი – შეკერა, ნასკვი [იხ. ლრ. ანდანიან. ՀԱԲ – IV – 167 – „სამნი“, 403 – „თი“].

5. მეგრულში ამ ნაგურულევი სიტყვის ფონეტიკური ვარიანტებია **ამპურა** და **ამპური** [იხ. И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, С.-Пб.-1914];

6. **ნამი А** (в самом городе Атинне) ремень для связывания полок ярма, ср. **ზევლე** (Н. Марр, Чанско-русский словарь, С.-Пб.-1910-217 – „ნამი“);

ზევლე А ремень для связывания палок ярма, в некоторых селах атинской казы **ზელე**, ср. **ნამი** (იქვე, გვ. 144).

ეს ჭნ. **ნამი** არა მარტო ფონეტიკურად, სემანტიკურადაც თითქმის იგივეა, რაც ს. ბამ:

ბამ – წნული ბალანი (იჩისამბ მაც), ბალნის საკვრელი, სახვევი (მაცხეჩი ყაყ) [იხ. ლრ. ანდანიან. ՀԱԲ – II – 440 – „ბამ“];

რაიცა შეეხება **ზევლეს!** –

მისი ეტიმონი, ჰრ. აჭარიანის აზრით, არის ქურთ. **zol** („ტყავის თასმა“) ან სომხ. (დიალექტ.) **զոլ** – „სამატი“ (იგივე „კულანი“) [იხ. ლრ. ანდანიან. ՀԱԲ – III – 158; К. К. Курдоев, З. А. Юсупова, Курдско-русский словарь, М., 1983-351].

7. იხ. ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., – 2000:

თხაპ იგივეა, რაც თხუპ: თხუპ (-იმ, -პრ) პზ., თხჷუპ, თხეპ (თხობპრ). ბქ., თხეპ (-არ) ლმზ., თხიპ, თხაპ (-იმ, -პრ) ლენტ. - აპეური.

მდრ: ლეჩხ. თხიპე - შინდის ან თხილის ორტოტა გრძელი ნწელი, რომელსაც ურემს უკეთებენ ძნების ზიდვის დროს (მ. ჩიქ.) [ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ლლონტი, თბ., - 1984];

9. სენ. თხიპ (<ცხიპე) [?] // სვან. ცხიპე ზს., ცხგჷე ლმზ. - ნასკვაჷს. [სვან. ლექსკ. - გვ. 842], ლეჩხ. თხიპე (<ცხიპე) [?] აპეური/აპოური/აპოვარი ზემოიმერულში (ქ. ძონენიძის თანახმად) არა მარტო „ტაბიკების შესაყრავი თოკია“, არამედ კანდრიბის* ბოლოთა საკვრელიც, რომელსაც იმავე დიალექტში ჰქვია აგრეთვე **ზედაგარდა**** (იხ. ქეთევან ძონენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., - 1974).

*კანდრიბი (კანდრიცი/კირკალი) - ხის რკალი, რომელსაც საქონელს ამოუდებენ ქედის ქვევიდან, ზევიდან კი მის ბოლოებს შეკრავენ ნწელით ან თოკით (ზედაგარდით, აპეურით) და საბლით მიაბამენ ბაგის პალოზე (ქ. ძონ. ზ. იმ.);

**ზედაგარდა - თოკი ან დაგრეხილი ნწელი, რომლითაც შეკრულია კანდრიბის ბოლოები (ქ. ძონ. ზ. იმ.);

ზედაგარდას იცნობს საბა: „ზედაგარდა - ზროხათ დასაბმელი გრკალი“***.

ზედაგარდას იცნობს დ. ჩუბინაშვილი: „ზედაგარდა - ძროხის დასაბმელი კრკალის გარდასაცვამი“.

ზედაგარდა იმავე მნიშვნელობის სიტყვაა ქართლში, ჯავახეთში და ერწოში, როგორისაც ზემოიმერეთში:

ქართლ. ზედაგარდა - მოკლე თოკი ან დაგრეხილი ნწელი, რომლითაც რკალის ბოლოებს ამაგრებენ ურთიერთთან (ქეგლ);

ჯავახ. ზედაგარდა - თასმა, რომლითაც რკალის ერთი თავი უერთდება მეორეს საქონლის დაბმისას (გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., - 1981);

ერწო: ზედაგარდა - გირგლის გადასადები თოკი, რომლითაც ებმება ძროხა ბაგაზე (ქეგლ);

*** თუმცაღა აქვე უნდა ითქვას: ეს საბასმიერი განმარტება ზედაგარდასი მთლად ზუსტი არაა: ზედაგარდა არის არა გრკალი, არამედ, - გრკალის ბოლოთა საკვრული (თასმა, თოკი);

9. იხ. ქ. ძონენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., - 1974; პოლიკარპე ჯავჯანიძე, მასალები იმერული ლექსიკონისათვის - 243: ალ. ნულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, IX, 1949; მ. ალავიძე, ლექსუმური ლექსიკონი - 140, 3: ქართულ ენათა ლექსიკა, I, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბ., - 1938; ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ლლონტი, თბ., - 1984; ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., - 1960.
10. ყაპო - ადამიანის ნიკაპქვეშ ან ქათმისა და ინდაურის ნისკარტქვეშ ჩამონაზარდი, - ლაბაბი (ქ. ძონ. ზ. იმ.);
11. Персидско-русский словарь, т. II, Моск., - 1983, стр. 202.
12. ლაბაბის დიალექტური ფორმებია (გარდა ყაპოსი): ყაპყაპი, ყაყაპო, ლაბო (იხ. ქ. ძონენიძე, - ზ. იმ. ლექსიკ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, ქეგლ);
13. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, თბ., - 1962.
14. *ყაპო-ურ-ი>აპო-ურ-ი! - შეუძლებელი სულაც არაა: თავკიდურა თანხმოვანდაკარგული სხვაც არაერთი სიტყვა იცის ქართულმა: მაგ. უზან-ი (<ლუზან-ი), ონინარ-ი (<წონინარი) და სხვ.
15. აპური ხევსურულად (გარდა „ტაბიკის თოკისა“) ჰქვია ლილ-კილოს, - თვით ლილ-კილოს, - ლილ-შატი (შატი - მარყუყი) [იხ. ქეგლ, ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., - 1960, პ. ხუბუტია, თუშური კილო, თბ., - 1969];

ფუტკარი

ჯერ კიდევ 23 საუკუნის წინათ აოცებდა უცხოელთ თავისი ურიცხვი სკალონათი¹ კოლხეთი:

„არაფერი აქ (იგულისხმება კოლხეთი. მ. მ.) ისე მნიშვნელოვანი არაა, როგორც სკების დიდი რაოდენობა“ (წერდა ქსენოფანტე²).

რა ერქვა მაშინ ფუტკარს? –

ფუტუკი? პუტუჯი? ბუტკუჯი?

ძველთაძველ ქართულ ხელნაწერთა უდიდესი ნაწილის ჩვენამდე მოუღწევლობის გამო – სიტყვა „ფუტკარი“ 11 საუკუნისაა მხოლოდ;

პირველად იგი ოშკის ბიბლიამია ნახსენები: „მივედ ფუტკრისა და ისწავე, ვითარ იგი მოქმედ არს“ [იგ. სოლ. 6,8]³;

„ფუტკარში“, ნ. მარის აზრით, ძირია ტკარ, ფუ, – „ცოცხალ არსებათა სახელთათვის დამახასიათებელი პრეფიქსი“⁴.

კლიმოვი ტერმინ ფუტკრის (ბუტკუჯი) ამოსავლად თვლის ბუტკოს (ჭან. ბუტკა – „ფოთოლი“): *ბუტკ-არ/*ბუტკ-ურ/ბუტკუჯ/ფუტკარ⁵.

(ფუტკრის კლიმოვისეულ ეტიმოლოგიას იზიარებენ ფენრიხი და სარჯველაძე)⁶.

არც ერთის, არც მარისა და არც კლიმოვის მიერ რატომღაც (არ ვიცი, – რატომ?) გაანალიზებული არაა ფუტკრის ზანური სახელწოდებანი:

მეგრ. ფუტუკი (ბროსეთი)⁷ და ჭან. პუტუჯი/პუტოჯი (აჭარია-ნით)⁸.

არადა, ფუტკრის ერთერთ ეტიმონად, ფონეტიკურთან ერთად, სემანტიკური თვალსაზრისით სავსებით დასაშვებია მივიჩნიოთ ამ ტერმინთა ძირი („ფუტ“-ი), მისი ოთხი მნიშვნელობიდან („ხის ქერქი“, „ავი კვამლი“, „ფულურო“, „თაფლის ნაჩენჩი“)⁹ ერთის („ფულურო“) გამო:

ფუტ- („ფულურო“)¹⁰: ფუტ-უკ->*ფუტ-უკ-არ->ფუტ-კ-არ-ი¹¹.

ესაა ტერმინ ფუტკრის მიღების ერთი გზა.

არის მეორეც:

ბუზიდან მისი მიღების გზა¹²:

ბუზ - : ბუზ-უკ- > *ბუზ-უკ-არ - *ბუზ-კ-არ¹³- >*ბუნ-კ-არ/ბუტ-კ-არ¹⁴- >*ბუტ-კ-არ- /*ბუტ-კ-ურ¹⁵ (ფუტკარი, ბუტკუჯი);

„ფუტკარს“ ქართულში აქვს სინონიმებიც:

მოს. „მეთაფლია“:

„ყველა ბუზუნა დაფრინავს, თავს აწყვეტს, ძალზე ბზუისო, მაგრამ რაც უნდა ეცადოს მეთაფლიასთან სტყუისო“.

მოხეურივე: „კაზარა“:

„იმ წელს კარგი ზაფხული იყო, რუსებმა იაშვიკებით მარეკეს კაზარები და თაფლი აკეთებინეს“¹⁶.

შენიშვნები

1. სკალონა - საფუტკრე (ადგილი) [ოთარ ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., - 2002.
2. იხ. ალ. რობაქიძე, მეფუტკრეობასთან დაკავშირებული ერთი წესჩვეულების შესახებ: „მიმომხილველი“, III, თბ., - 1953, გვ. 273.
3. იხ. ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., - 1973, „ფუტკარი“.
4. იხ. Н. Марр, К вопросу о положеніи абхазского языка среди яфетических, С.-Пб.-1912-40.

ნ. მარისეული „ტკარ“-ის მიღების ფონეტიკური პროცესი, მისივე მსჯელობიდან გამომდინარე, შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ასე:

აფხ. შხა (< -ა-შხა - „ფუტკარი“) > ქართ. სკარ (იგივე სკა - „ფუტკარი“) > *წკარ (ს>წ) > ტკარ - (წ>ტ);

არნ. ჩიქობავათი: ფუტკარსა და ბუტკუჯში ძირეულია ტკ-, თავკიდური ბუ-//ფუ- კლას-კატეგორიის ნიშანია, -არ, -უჯ<-ოჯ - დეტერმინანტი სუფიქსი (არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, ტფ - 1938);

5. Г. А. Климов, ЭСКЯ, – М-1964, გვ. 56.
6. ჰაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, 2000, გვ. 126 – „ბუტკ“-.
7. И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, С.-Пб. – 1914-319 – „სკა“;
8. Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, С.-Пб. – 1910-132 – „ბუტკუჯი“; ჰრ.Աճառյան. ՀԱԲ – IV – 493 – „ლაზ. putoji, putuji – „ფუტკარი“ (მწიღი)“;
9. იხ. საბა და ქეგლ – „ფუტი“.
10. გარეული ფუტკრის საცხოვრისია კლდის ან ხის ღრუ, იგივე ფუტი; ფუტიდან უნდა მომდინარეობდეს მისი სახელწოდება ფუტ-უკ-ი („მე-ფუტ-ე“, „ფუტ-ელ-ი“ / „ფუტ-არ-ი“): უკ დეტერმინანტი სუფიქსია იმავე ფუნქციისა, რისაც ურ, არ, ელ, აკ, იკ და კონფიქსი მე-ე.
სხვათა შორის შინაური ფუტკრის სადგომიც ბუკ-ი იგივეა, რაც ფუტ-ი.
სპ. კჟ > ჭჟ (ს. ყიღ) > ფუჭ-ი > ფუტ-ი;
სპ. კჟ (ფუკ) > ბუკ-ი; ფუკა – ფუტკრის სახლი, ხეთაგან ნათალი (საბა); [ბუკი/ფუკა: (შდრ: როფი/რობა (საბა)];
ამასთან დაკავშირებით, ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს გურ. ფუკობა – „ფუტკრის დღესასწაული“ (იხ. ალ. ლლონტი, ქართ. კილო-თქმათა სიტყვის კონა);
11. სამმარცვლიან სიტყვაში მეორე მარცვლის ჩავარდნის ნიმუში: *ბატიკან->ბატკან-.
(ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937, გვ. 192);
თ. ქოსემენ (<kösemen) > ქართ. ქოსმენ-ი.
თ. kösem. kösemen – 1. ცხვარი გინა თხა (საჭიდაოდ განვრთნილი); ფარის წინამძღოლი თხა; 2. მამაცი, გაბედული

(Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазаник, М., 1945);

ქოსმენი – სასუქი ღორი (საბა);

12. „ფუტკრის“ ეტიმონად „ბუზის“ მიჩნევა შესაძლებელია სავსებით:

გავიხსენოთ „ფუტკრის“ დიალექტური (ქართლური) სახელი „ბუზი“.

გავიხსენოთ „ფუტკრის“ სვანური სახელი „ბუზულ“ („ბუზი, ფუტკარი“).

გავიხსენოთ „ფუტკრის“ სპარსული სახელი „ზამბურ“ („კრანა, ფუტკარი“); زامب (ზამბურ);

გავიხსენოთ „ფუტკრის“ უდიური სახელი „უჭაჲ-ტატ“ (უჭა – „თაფლი“, ტატ – „ბუზი“).

გავიხსენოთ „ფუტკრის“ სომხური (დიალექტური) სახელი ნამინ (ბუზი, ფუტკარი“).

გავიხსენოთ „ფუტკრის“ საბასეული განმარტება („ფუტკარი – თაფლის ბუზი“).

გავიხსენოთ „ფუტკრის“ სახლიკაცის დიალექტური სახელი „ბუზურა“ („მწერი, რომელიც მინაში აკეთებს თაფლს“)...

13. იხ. შენიშვნა №11.

14. ზ>ნ:

ბუზუკი > ბუნუკი / მუნუკი – „ბმო, მსხმო“.

ზ>ჭ:

ხუზვა (<խოიღել) > ხუჭვა – „კრეჭა“.

15. ნ/ჭ>ტ:

ყმარწვილი>მარტვილი; ფუჭ-ი>ფუტ-ი; ფიჭ-ი>ფიტ-ი;

სანწახელი>სატწახელი (>სანტახელი) [ალ. ლლონტი, ქკ-ოსკ];

16. ივანე ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985.

სკა და სკა

ფუტკარსა და ფუტკრის ბინას ერთი და იგივე სახელი ჰქვია, -
სკა!

ისმის კითხვა:

ეს სახელი პირველის (მწერის) გამო დაერქვა მეორეს (მწერის ბინას)? მეორის (მწერის ბინის) გამო, - პირველს (მწერს)? - თუ პირველის (მწერის) ამოსავალი სხვაა, მეორისა (მწერის ბინისა), - სხვა?

გააჩნია: რაა ამოსავალი სიტყვისა „სკა“?:

თუ „ბუზია“, მაშინ ფუტკრის ბინას ეს სახელი ფუტკრის გამო დარქმევია, თუ „სკუნა“¹ ან „საკარ“, - მაშინ ფუტკარს დარქმევია ფუტკრის ბინის გამო?

ჩემი აზრით: ამოსავალი „სკისა“, რომელიც ნიშნავს „ფუტკარს“, არის „ბუზი“, ხოლო „სკისა“, რომელიც ნიშნავს „ფუტკრის ბინას“, - „საკარ“-ი.

სკა - [„ფუტკარი“]

„სკა“, ვითარცა „ფუტკარი“ იციან სამეგრელოში³, იციან გური-
აში⁴, იციან იმერეთში⁵.

გურია-სამეგრელოში იციან აგრეთვე ფორმა: „ფსკა“⁶.

„სკის“ ფონეტიკური ვარიანტი არიან „ფუტკრის“ აფხაზური და აბაზური სახელწოდებანი: აფხ. ა-შხა⁷, აბაზ. ა-ჩხა⁸.

სიტყვა „სკა“ ამოსავალია სიტყვებისა: „მესკია“ (ფრინველი)⁹
და „ცაცხვი“ (მცენარე)¹⁰;

ნ. მარს ქართ. „სკა“ აფხაზურიდან ნასესხებად მიაჩნდა: აფხ.
შხა (<ა-შხა)> ქართ. სკა!¹¹

ფორმა „ფსკაში“ მკვლევარნი თავკიდურ „ფ“ ბგერას განვითარებულად თვლიან¹².

ჩემი აზრით, ამოსავალი სიტყვისა სკა/ფსკა არის ბუზ-ი:
ბუზ-უკ:

ბუზ-უკ-არ>ბუზ-კ-არ¹³>ზუ-კ-არ¹⁴>ფს-კ-ა>ს-კ-ა!

„სკის“ სრული ფორმაა სკარ/სკალ:

შდრ: მეგრ. ო-სქალ-ე, სკალ-ონ-ა, მრ. სკალ-ეფ-ი¹⁵;

მსგავსად: მეგრ. ჯ-ალ (>ჯ-ა) / ქართ. ძ-ელ; მრ. ჯალ-ეფ-ი¹⁶.

შენიშნაბი

1. ვარაუდი: სკუნა>სკა ეკუთვნის კლიმოვს: „... Возможна связь с основной *სკვ – ‘завязывать’ (Г. А. Климов, ЭСКЯ – М., – 1964, „სკა“);
2. მაგალითად: „ფუტკრის“ ერთერთი სვანური სახელი „ლჷებ/ლობ“, უდავოა, „ფუტკრის ბინის“ გამო ჰქვია „ფუტკარს“, ვინაიდან „ლჷებ/ლობ“ (აღ. ჭინჭარაულის მართებული ვარაუდით) ნანარმოებია „ლობვა“-დან (მეგრ. „ლობუა“) [იხ. აღ. ჭინჭარაული, ქართველურ ენათა ლექსიკიდან, – გვ. 54-55: ეტიმოლოგიური ძიებანი – 1987, – თბ., – 1987];
3. იხ. И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (инверского) языка с хрестоматиею и словарем, С.-Пб.-1914; ოთარ ქავჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II – თბ., – 2002.
4. იხ. აღ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., – 1984.
5. იხ. ქეთევან ძონენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974: დანართი: მასალები ოკრიბული ლექსიკონისათვის, – გვ. 640.
6. აღ. ღლონტი, დასახელებული ლექსიკონი; ოთარ ქავჯაია, დასახ. ლექს. – ტ. III.
7. იხ. Н. Марр, К вопросу о положеній абхазскаго языка среди яфетических, С.-Пб.-1912, გვ. 40.
8. იხ. ს. ჯანაშია, შრომები, IV, თბ., – 1968, გვ. 111.
9. იხ. სტატია „მესკია“ (ჩემი).
10. იხ. სტატია „ცაცხვი“ (ჩემი).
11. იხ. Н. Марр, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

12. (ფ)სკა: Начальный ფ вторичны (იხ. И. Кипшидзе, დასახ. ნაშრომი); Г. А. Климов, ЭСКЯ – М., – 1964, გვ. 164.
13. სამმარცვლიან სიტყვაში მეორე მარცვლის ჩავარდნის ნიმუში: *ბატიკან>ბატკან (ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, გვ. 192); თ. ქოსემენ > ქართ. ქოსმენ-ი.
14. შდრ: კურცხალ->კრცხალ-, *მუჭელ>მჭელ...
15. ოთარ ქავია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, თბ. – 2002.
16. არნ. ჩიქობავა, ჭან.-მეგრ.-ქართ. შედარებითი ლექსიკონი, ტფ. – 1938, გვ. 120.

სკა („ფუტკრის სახლი“)

სკა – წნელით წნული ფუტკრის სახლი. ZA. სკა – ფუტკართა გოდორი წნული. CD. ლ. კუპელო; ს. ფეთაკ (საბა);

ცხადია, ამოსავალი საბასეული ლ. „კუპელო“-სი არის ლ. *cūpella* – „კასრი, კოდი“ ისევე, როგორც ს. „ფეთაკ“-ისა, – სანსკ. *petaka* – “კალათი, გოდორი”¹.

საერთოდ, არაერთ ენაში „სკას“ იგივე სახელი ჰქვია, რაც „გოდორსა“ თუ „გობს“:

სანსკ. *karandā* – გოდორი და სკა.

სპ. *كافار kavāra* – გოდორი და სკა.

ფრ. *panier* – გოდორი და სკა.

ესპ. *cuévano* – გოდორი და სკა.

სომხ. (ყარაბაღ. კილო) *բքոց* – გოდორი და სკა².

ბულგ. *члѣй* – ვარცლი და სკა³.

ლათ. *alveus* – ვარცლი და სკა⁴.

ამისდა მიხედვით, ვფიქრობ, ქართ. „სკის“ ამოსავალიც, ადვილი შესაძლებელია იყოს „გოდორი, კალათი“, კერძოდ სომხ. *սակսան*⁵:

საკარ>სკარ/სკალ⁶>სკა.

შენიშვნები

1. იხ. ჯრ.ანაიქან. ჯԱԲ - IV-493-494.
2. იხ. ჯრ.ანაიქან. ჯԱԲ - IV-494 - „ქიხასკ“.
3. იხ. М. Фасмер, ЭСРЯ - IV - 158-159.
4. იხ. М. Фасмер, ЭСРЯ - IV - იქვე.
5. სასკან. բքոց - ხის წნელისაგან მოწნული დიდი კალათი (ძამანასკსკიხ ხაკიოც ქეღქი რაცგათორასკან რაიარან, IV - 260, 733, ზრესკან - 1980).
6. შდრ: ბალარჯ->ბლარჯ-, ხალარჩ->ხლარჩ-...

ფუკა/ბუკი

„ფუკა“ არის „ხეთაგან ნათალი ფუტკრის სახლი“¹.

ასევე: „ბუკი“ არის „გამოთლილი მორი ფუტკრისათვის“².

„ბუკი“ ფონეტიკური ვარიანტია „ფუკასი“. [შდრ. რობა/როფი]³.

„ფუკა“ შემოსულია სპარსულიდან:

სპ. کوق (ფუკ) [„ცარიელი, ფუჭი“]⁴ > ქართ. ფუკ-ა.

ეს სპ. کوق (ფუკ), ვეფქრობ, ამოსავალი უნდა იყოს იტ. buco-სი („ხერული, ლიობი“)⁵, bŭcine-სი [ბადე (სათეფზაო ბადე, ჩიტბადე)]⁶, ლ. bŭcina-სი („ხვეული ბუკი“)⁷, ქართ. ბუკისა („საყვირი დიდი“)⁸ და ჭან. ბოგინა-სი („სკა“)⁹.

შენიშვნები

1. იხ. საბა, ლექსიკონი ქართული.
2. ოთარ ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., - 2001.
3. იხ. საბა: „რობა-კელგობი“, „როფი-რობა“.
4. Персидско-русский словарь, под редакцией Ю. А. Рубинчика, т. I - М. - 1983, გვ. 315

5. Н. А. Скворцова, Б. Н. Майзель, Итальянско-русский словарь, М., - 1977, გვ. 130.
6. ნინარე №-ში (5) დასახ. ლექსიკონი, იგივე გვერდი.
7. И. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, М., - 1986, გვ. 108.
8. საბა, ლექსიკონი ქართული.
9. Н. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем, С.-Пб.-1910.

ქოფე და ფსკაში ქოფე

მეგრ. ქოფე იგივეა, რაც ბუკი, იგივეა, რაც სკა, იგივეა, რაც ფსკაში ქოფე¹.

ფსკა - ფუტკარი! ქოფე?

„ქოფე“ შემოსულია ბერძნულიდან:

ძვ.-ბერძ. κοφίνος², ახ.-ბერძ. κοφίνι³ - კალათი, გოდორი.

ახ.-ბერძ. μελίσοκοφισი⁴ - სკა (სიტყვასიტყვით: „ფუტკრის გოდორი“: μελίσσα - ფუტკარი⁵; κόφινι - კალათი, გოდორი);

ე. ი. „μελίσοκοφισი“ ზუსტი შესატყვისია „ფსკაში ქოფე“-სი.

შდრ: გერმ. **Bienekorb** - სკა⁶; **Biene** - ფუტკარი; **korb, körbe** - გოდორი, კალათი⁷.

შენიშვნები

1. იბ. И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, С.-Пб.-1914;
ოთარ ქავიაი, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბ., - 2002.
2. И. Х. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, т. I-976.

3. А. А. Иоаннидис, Русско-новогреческий словарь, М., – 1983.
4. А. А. Иоаннидис, დასახ. ლექსიკონი, გვ. 572.
5. И. Х. Дворецкий, А. А. Иоаннидис, დასახ. ლექსიკონები.
6. Немецко-русский словарь, под редакцией А. А. Ленинга и И. П. Страховой, т. I, М., – 1962 – 206.
7. წინარე №-ში (6) დასახ. ლექსიკონი, т. II – М., – 1962 – 685.

პუტუჯი

ჰრ. აჭარიანით „ფუტკრის“ ქანური შესატყვისია „პუტოჯი/პუტუჯი“¹.

რა შეიძლება იყოს ამოსავალი „პუტუჯისა“?

„პუტუჯის“ ამოსავალი შეიძლება იყოს, როგორც მეგრ. „ფუტ-უკ-ი“, ასევე: ქართ. „ფიტ-არ-ი“² [> ფიტარეთი (ტოპ.)];

ფუტ-უკ- > პუტ-უჭ- > პუტ-უჯ-³

ფიტ-არ- > პუტ-ოჯ- > პუტ-უჯ-⁴

შენიშვნები

1. Հր.Աճառյան, ՀԱԲ – IV – 493: ლაზ. putoji, putuji (მწიღი);
2. ფუტ- > ფიტ- (ი/უ: შდრ: ნუშ- („ნუშ-ა“) > ნიშ-);
ფიტ-არ („ფიტ-ელ-ი (ფუტ/ფიტ – „ლრუ/ფუტურო/ფულურო“);
3. ფ>პ: ფასკუნჯი > პასკუნჯი (საბა); ფიტუნი > პიტუნი (ქბეკ.);
კ>ჭ: კაკვი > ჭაჭვი; კაკული > ჭაქული; ირეკი>ირეჭი;
ჭ>ჯ: ჭო>ჯო; ნამუჭი > ნამჯი; *მუჭელუკან>მუჯელუგუნ-,
სარაჭ->სარაჯ-.

სარაჭი/სარაჯი

სარაჭი („თაფლით საცხე ფიჭა“) არის იმერულში (ფორმით): სარაჭა/სარაჯა¹, არის სვანურში (ფორმით): სარაჯ/სარაჯ², არის მეგრულში (ფორმით): სარანგი/სარანჯი³.

„როცა ფიჭაში თაფლია, ქვია სარაჭაი, როცა თაფლი არ არი, – ფიჭაი“ – ასე კობტად განმარტავს ტაბაკინელი გლეხი „სარაჭას“⁴.

სარაჭი/სარაჯი, ჩემი აზრით, ნასპარსულევი სიტყვაა: სპ. سیر (შირე) – ხილის წვენი, ყურძნის წვენი, ვაჟინა⁵.

ქართ. შირ-ი („თაფლ-წყალი ანუ ვაჟინა მეტად ტკბილი (საბა)“) უთუოდ ანარეკლია სპ. შირე-სი (سیر);

სპარსულშივე არის ფორმა سیر (შირჰ) – 1. ხილის წვენი; 2. ღვინო⁶.

სწორედ ამ „შირჰ“-იდან უნდა მოდიოდეს ქართული სარაჭი:

შირ-აქ > სარ-აქ/სარ-აჯ

(შდრ: აზერ. Шилә > ქართ. სილა; ფიჭ-ა > ფაჭ-ა)⁷.

შენიშვნები

1. ქეთევან ძონენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., – 1974.
2. ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბ., – 2000.
3. ოთარ ქავჯია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, II, გვ. 578.
4. ქეთევან ძონენიძე, დასახ. ლექსიკონი – „სარაჭა“.
5. Персидско-русский словарь, под редакцией Ю. А. Рубинчика, т. II, гв. 125.
6. წინარე №-ში (5) დასახ. ლექსიკონი, გვ. იგივე.
7. Азәрбајҹанҹа-русҹа лугәт, Редактору Н. Гусейнов, Баки – 1941, გვ. 363 – „Шилә“; დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., – 1984, გვ. 1307: „ფიტი, ფიჭი, ფაჭა“; ალ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., – 1984, გვ. 538, „ფაჭა“.

მესკია

უდავოა: ფრინველის სახელწოდება მესკია ნარმოიქმნა იქ, სადაც თაფლის მოქმედ მწერს ერქვა სკა.

მესკია ნანარმოებია სკიდან:

სკა > "მე-სკ-ე > მე-სკ-ია".

მესკიის სინონიმი თავშავა.

მესკიის საყვარელი საკვებია ფუტკარი.

ი. ბაგრატიონისეული განმარტება თავშავასი („თავშავა – ჩიტია ფუტკრის მტერი“)², რა თქმა უნდა, ეხება მესკიასაც.

საბას ლექსიკონში მესკიის მოხვედრა („მესკია – სკინჩას ჰგავს“), – ამ ტერმინის აღმოს. საქართველოშიც არსებობას უნდა ნიშნავდეს, – საბამდე და საბას შემდგომ თუ არა, – საბას დროს მაინც³.

სემანტიკური თვალსაზრისით:

მესკია უახლოესი ნათესავია სპ. ზამბურხორესი, თავშავა, – თურქ. ბაშთანყარასი⁴.

მესკია პანია კია, მაგრამ დიდი მკვარანცხი ვინმეა:

აი, როგორ მოინადირებს ხოლმე იგი ზამთრობით ფუტკარს:

„მიადგება სკის ხვრელს (საიდანაც ხდება ფუტკართ სკაში შეფრენა და სკიდან გამოფრენა) და ბეჯითად უკაკუნებს ზედ ნისკარტით.

კაკუნზე სკის შიგნით ატყდება ზუზუნი. მალე ერთი ან რამდენიმე სკის მდგომური გამოფრინდება გარეთ, რათა დაიფრინოს სიმშვიდის დამრღვევი. მესკიასაც ეს უნდა! იგი მყისვე იჭერს მამაც „მეციხოვნეს“, მიფრინავს ნადავლითურთ ხისკენ, ჯდება ხის ტოტზე, უფატრავს ნისკარტით მუცელს და მადიანად შეექცევა ბედკრულის შიგნეულს“⁵.

მესკიის ეს ეშმაკობა, ნახევრად ხუმრული ტონით, ერთობ მოხდენილად აქვს აღწერილი შვედ მწერალ ქალს სელმა ლაგერლოფს რომანში „საგა მოსტ ბერლინგზე“⁶.

შენიშვნები

1. გაორდა ბოლოკიდური ხმოვანი (ე>ია); ეს ფონეტიკური მოვლენა მკვლევართათვის ცნობილია მხოლოდ სიტყვის შიგნით:

დესპან-ი > დიასპან-ი, აქანებს > აქიანებს, ფორაქ-ი > ფორიაქ-ი...

აქ კი ეს მოხდა სიტყვის ბოლოს; ამიტომ აქვე უნდა შევნიშნო: სწორედ ამ ბოლოკიდური ხმოვნის პრეიოტიზაციის პროდუქტნი გახლავთ:

სათაფლია (< სათაფლე), სამტრედია (< სამტრედე), მელეღია (< მელეღე), სატრია (< სატრე) და სხვ. მრ.

2. იხ. იოანე ბაგრატიონი – 220: დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, თბ., – 1967.

3. მით უმეტეს: მისი განმარტებისას მითითებული არაა არც რომელიმე ქართველური ენა და არც ქართული ენის ესა თუ ის დიალექტი, როგორც მაგალითად: **ოჯიჯი** – ბადე მეგრულად; **ხადილი** – იმერულად სამასპინძლო.

4. სპ. زنبورخوار (ზამბურხარ), زبورخو (ზამბურხორ), زبورخوره (ზამბურხორე) – მესკია („ფუტკრიჭამია, ფუტკრის მეტრფე, მოყვარული“):

زنبور (ზამბურ) – ფუტკარი; خوار (ხარ), خور (ხორ) – მჭამელი, ჭამია; خوره (ხორე) – მეტრფე, მძაფრი მეტრფე.

زنبور (ზამბურ), რომ ამ შემთხვევაში დასტურ ფუტკარია (იგივე „სკა“), – ამას მონიშნავს زنبورخانه (ზამბურხანე) – სკა – „ფუტკრის სახლი“ [خان (ხან) – სახლი];

[იხ. Персидско-русский словарь, т. I, М., – 1983: 534, 573, 579, 581];

თურქ. **baştankara** – მესკია/თავშავა (*Parus major*);

[იხ. Турецко-русский словарь, М., – 1977: 101 და Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазаник – 62, 64];

5. იხ. Жизнь животных А. Э. Брэма, т. II, Птицы, С.-ПБ. – 1902: 30.

6. იბ. Сельма Лагерлёф, Собрание сочинений, т. I, – Сага о Йёсте Берлинге – стр. 146.

ჭიათურა

მგზავრმა, რომელმაც მაღალი კლდიდან თვალი ჰკიდა ძირს კლაკნით მიმავალ ყვირილას, – ნამოიძახა: ჭიაა თუ რაო? – ამიტომ დაერქვა ამ ადგილს „ჭიათურა“.

ჭიათურის ეს ხალხური ეტიმოლოგია არაერთგზის მსმენია ჯერ კიდევ ჩემი ყრმობის უამს.

მწერალმა აკაკი ბელიაშვილმა, რომელიც გაკვირით შეეხო ტოპონიმ ჭიათურას, – გამოთქვა ვარაუდი: – ჭიათურის ეტიმონი შესაძლებელია ჭქო იყოსო (ჭქო, – საბასეული განმარტებით არის „კლდის ნანყობი“).

1979 წელს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა წერილი, – „მინის გულს შემოუნახავს“, რომლის ავტორი არქეოლოგი ჯურბა ნადირაძე წერდა: – გამორიცხული არაა, ჭიათურის ამოსავალი იყოს ადიღური „ჭიე“ („ადგილი ორ კლდეს შუა“) და ჭიათურასთან კავშირი ჰქონდეს ტოპონიმ „ჯიეთს“ (*ჭიათი>ჯიეთი)!.

სხვათა შორის, „ჭიათურით“ დაინტერესდა ქეთევან ლომთათიძეც: – „ჭიათურა ხომ არ არის მომდინარე „ჭიათურა“-საგან ბგერათ გადასმით (მის ასეთ სემანტიკას ერთგვარ გამართლებას მიანიჭებდა მის მიდამოებში წითელი მარმარილოს საბადოების არსებობა)?.

ვახუშტიმ „ჭიათურა“ არ იცის! იცის კაცხი! იცის ჯრუჭი! იცის რგანი! ... ჭიათურა არ იცის!³

ვახუშტის ნაშრომის შექმნიდან 30 წლის შემდეგ საქართველოში იმოგზაურა გიულდენშტედტმა; მის მიერ შედგენილ რუკაზე „ჭიათურა“ მდინარეა, რომელიც ჩრდილოეთიდან ერთვის ყვირილას:

„ყვირილა იერთებს შემდეგ მდინარეებს ქვემოთკენ მიყოლებით, მარჯვენა მხრიდან:

1. კაცხურა. 2. ჭიათურა. 3. ჯრუჭულა. 4. ჩიხურა. 5. შუშა⁴.

შუშა არის დღესაც.

ჩიხურა არის დღესაც.

ჯრუჭულა არის დღესაც.

კაცხურა არის დღესაც.

ჭიათურა (ვითარცა მდინარე) არ ჩანს.

გასარკვევია, საერთოდ აღარაა ის მდინარე, რომელსაც „ჭიათურა“ ერქვა, თუ ახლა სხვა სახელი ჰქვია?!

გიულდენშტედტის რუკაზე მდ. „ჭიათურა“ (Dschiatura) დატანილია ჯრუჭულასა და კაცხურას შორის.

1928 წლის რუკაზე ამ ორი მდინარის შორის 7 მდინარეა (ამათგან სახელით ნარმოდგენილია მხოლოდ ორი: ბოგირის ქალა და ჭერული⁵).

ამ შვიდიდან რომელ მათგანს ერქვა „ჭიათურა“?

გიულდენშტედტისა და 1928 წელს გამოცემულ რუკათა ურთიერთშედარებით გაირკვა:

მანძილი კაცხურიდან მდ. ჭიათურამდე და მდ. ჭიათურიდან ჯრუჭულამდე იგივეა (თითქმის იგივეა), რაც მანძილი კაცხურიდან მდ. ჭერულამდე და მდ. ჭერულიდან ჯრუჭულამდე⁶.

მაშასადამე: მდინარეს, რომელსაც მეთვრამეტე საუკუნეში (ალბათ, უფრო ადრეც) ერქვა „ჭიათურა“, მეოცეში „ჭერულა“ ჰქვია; ჭიათურა > *ჭეთურა > *ჭერურა > ჭერულა⁷.

ესაა „ჭიათურიდან“ „ჭერულის“ მიღების ერთი ვარაუდი.

საიდან თვითონ „ჭიათურა“? –

ოდესღაც ერთიმეორის პარალელურად (ვითარცა დესპანი და დიასპანი, ფორაქი და ფორიაქი...), ჩანს, არსებობდა ტოპონიმი *ჭედ-იდან (ჭედ-ი)⁸ ნანარმოები ერთი მდინარის ორი სახელი (სხვა სახელთა გარდა): *ჭედურა⁹ და *ჭიადურა¹⁰!

დროთა ვითარებაში *ჭიადურამ მოგვცა ჭიათურა (ტოპონიმი მეცხრამეტე საუკუნიდან), *ჭედურამ, – ჭერულა (<*ჭერურა)¹¹. [მდინარის სახელი დღესაც].

ასეა თუ ისე:

ჭიათურა (მე-19 საუკუნემდე ჰიდრონიმი) მე-19 საუკუნიდან ტოპონიმი.

მდინარის სახელი იქცა ადგილის სახელად.

შენიშვნები

1. იხ. „კომუნისტი“, 1979, 17 ნომბერი.
2. ქეთევან ლომთათიძე, კომპლესთაგან მომდინარე ბილაბიალური ხშულები ქართველურ ენებში, თბ., - 1984, გვ. 57, სქოლიო 43.
3. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., - 1941.
4. გოულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტომი პირველი, თბ., - 1962, გვ. 171.
5. ეს „ჭერული“, უეჭველად, გასული საუკუნის ათიანი წლების რუსული გამოთქმაა ქართული „ჭერულასი“;

შდრ. რიგ ქართულ ტოპონიმთა მაშინდელი რუსული გამოთქმები: **Чіатури** (და არა **ჭიათურა**), **Сачхери** (და არა **საჩხერე**)...

[იხ. Д. Д. Пагирев, Алфавитный указатель к пятиверстной карте Кавказского края... Тифлис - 1913].

ცოცხალ მეტყველებაში ახლა ამ მდინარეს „ჭერულა“ ჰქვია.

6. მანძილები:

კაცხურიდან ჭიათურამდე - 7,62 კმ.

ჭიათურიდან ჯრუჭულამდე - 8,57 კმ.

ჯრუჭულიდან ჩიხურამდე - 5,72 კმ.

[გიულდენშტედტის რუკა (1772 წ.);

კაცხურიდან ჭერულამდე - 10,9 კმ.

ჭერულიდან ჯრუჭულამდე - 6,96 კმ.

ჯრუჭულიდან ჩიხურამდე - 6,3 კმ.

[შორაპნის მამრის რუკა (1928 წ.);

ძველ და ახალ რუკაზე ჩვენთვის საინტერესო მდინარეთა შორის არსებული მანძილები, რომ მთლად არ ემთხვევა

ერთმანეთს, – ეს გასაკვირი სრულიადაც არაა, – „გასაკვირი ისაა (როგორც ამას ვ. გამრეკელი ბრძანებს), რომ გულდენშტედტის რუკაში დაშვებული შეცდომები (ტოპოგრაფიის თვალსაზრისით) შედარებით მცირეა და სიზუსტისაგან გადახვევა მრავალ შემთხვევაში არც თუ დიდია...

მაგალითად:

	გულდენშტედტის რუკაზე კმ.	თანამედროვე რუკაზე კმ.	ცთომილების სიდიდე კმ.
თელავი-ქუთაისი	299	230-231	2
გორი-ცხინვალი	37	29-30	7
გორი-მცხეთა	33,5	53	10
გორი-სურამი	45	44-45	–
გელათი-ქუთაისი	13	7	6

(ვ. გამრეკელი, საქართველოს 1772 წლის რუკა, თბ., – 1964, გვ. 55-56).

დამეთანხმებით, რომ ვ. გამრეკელის მიერ აქ წარმოდგენილ მაგალითებთან შედარებით (რანიც მას „სიზუსტისაგან არცთუ დიდ გადახვევად“ მიაჩნია), – ჩვენთვის საინტერესო მდინარეთა შორის არსებული მანძილები ზუსტი კი არა, უზუსტესია!

7. ია>ე:

შდრ: დიაკეული>დეკეული; იაფი>ეფი...

(იხ. საბა, ლექსიკონი ქართული; ალ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., – 1984);

თ>რ:

შდრ: მითითება>მითირება; თითისტარი>თირისტარი...

(ვუკოლ ბერიძე, სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, C.-IIბ., – 1912).

8. „ჭედის“ ტოპონიმობას [გარდა რაჭული „წედისისა“ (<ჭედ-ის-ი)] მონმობს მისგან ნაწარმოები ჰიდრონიმი „ჭერულა“ (<ჭერ-ურ-ა<ჭედ-ურ-ა) და ტოპონიმი „რგანი“ (ეს

უკანასკნელი, ჩემი აზრით, მიღებულია „ჭედის“ სვანური ეკვივალენტიდან შკად: შკად > რკარ- > რგან-ი);

9. შდრ: კაცხი > კაც- ხურა, ჩიხა > ჩიხურა, ჯრუჭი > ჯრუჭულა...

10. შდრ: დესპანი > დიას- პანი; ფორაქი > ფო- რიაქი; ბეჰ (აჰ) > ბია...

(იხ. საბა, ლექსი- კონი ქართული; ქარ- თლის ცხოვრება, II, თბ., - 1959, გვ. 369²⁹; 272 გვ.).

11. დ > რ:

ამასთან დაკავშირებით, აქ საჭიროა ითქვას ერთი ფრიად მნიშვნელოვანი რამ:

ამა თუ იმ კავკასიური ენისათვის დამახასიათებელი ესა თუ ის ფონეტიკური მოვლენა, სხვადასხვა დროს, როგორც ირკვევა, ახასიათებდა ქართულსაც;

მაგალითად:

ბაგვალურს ახასიათებს ხ > შ (ხუნდ. ფახ > ფაშ - „სპილენძი“);


ასევე ქართულსაც: ფხოვ-ი > ფშავ-ი.

ბაგვალურს ახასიათებს ინტერვოკალური დ > რ (ჰედერ > ჰერერ - „ხბო“);


ასევე ქართულსაც: დამწყუდევა > დამწყურევა.

[სხვათა შორის, - დ > რ ახასიათებს სომხურსაც (საშ. ირან. xōd > ἰουῖ - „ქედი“);

ბაკურს ახსიათებს დ > ნ



ფრაგმენტი 1772 წელს გოულდენშტედ- ტის მიერ შედგენილი საქართველოს რუკისა (პალასისეული გამოცემა)



(ardo>arno - „ღვინო“);

ასევე ქართულსაც: სხედან>სხენან.

(იხ. ტოგო გუდავა, ბაგვალური ენა, თბ., - 1971, გვ. 38,39; მზია ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართულ ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., - 1966, გვ. 119 - „ქული“; Dictionnaire français-basque, გვ. 640 - „vin“).

ზოდი

„ზოდი“ სოფელია ზემო იმერეთში (ჭიათურის ახლოს).

აქაური (ე. ი. ზოდელი) ნავაძეები, ავზნარაშვილები და ქველიძე ალექსანდრე იმერთა მეფემ 1639 წელს უბოძა წინამძღვარ ფილიპე წერეთელს¹.

„ზოდი“ (როგორც ლექსება და არა როგორც ტოპონიმი) იცის საბამ („ესე არს ნადნობი ერთგვამად ილექროთაგანი“); იციან

ჩუბინაშვილებმა („ზოდი“ – მეტალლი, ერთად შედნობილი მკვრივად“); ეს სიტყვა ცოცხალია დღესაც [„ზოდი – გამოდნობის შემდეგ მიღებული ლითონის მთლიანი ნაჭერი // საერთოდ, რომელიმე მკვრივი ნივთიერების მთლიანი ნაჭერი“ (ქეგლ)];

„ზოდის“ ნაწარმოებია არაერთი სიტყვა:

ზოდე – „დიდი, ტლანქი“², გაზოდვილი – „ზოდით დადებული“³, ზოდ დადრვაა („გაცვეთილი რკინეულის ჭურჭელზე დაკერება“)⁴...

„ზოდის“ თურქული შესატყვისია ყურსი, სომხური, – ზოთ (საბათი), რუსული СЛИТОК (ჩუბინაშვილებით).

„ზოდი“ დასტურდება შავთელთან („ზოდი ოქროსა მისგან თლილისა“ – IV, 44)⁵;

„ზოდის“ საბასეული თურქული (წარმოშობით არაბული) შესატყვისი „ყურსი“ (صقر), გარდა თურქულისა, არის ქართულში და არის სპარსულში:

ოთხივეგან (არაბულშიც, თურქულშიც, სპარსულშიც და ქართულშიც) მისი მნიშვნელობაა (სხვა მნიშვნელობათა გარდა): „კვერი, ტაბლეტი, იშვიათად: ზოდი“⁶.

„ყურსი“ ქართულ წერილობით წყაროებში დადასტურებულია XI საუკუნიდან [იხ. ქანანელი, უსნორო კარაბადინი (XI ს.)⁷, ხოჯაყოფილი, წიგნი სააქიმოე (XIII ს.)⁸, ზაზა ფანასკერტელი, სამკურნალო წიგნი – კარაბადინი (XV ს.)⁹, დავით ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი (XVI ს.)¹⁰];

სომხურში, გარდა ფორმისა „ზოთ“ (რასაც საბა ქართ. „ზოდის“ შესატყვისად თვლის), არის ფორმები: კიი. ხიი. ვიი, რანიც სომეხთა მიერ განიმარტვიან ასე:

კიი/ხიი/ვიი – „სხეულის ასოთა კავშირი, სახსარი, ნაწევარი, შენაწევრება“.

კიიქს – „შეკვრა, შექმნა, შეგუება, მორგება, დაკავშირება“¹¹.

ვიი – „სარჩილი, მირჩილვა, ნარჩილი, მიდულება, მინადული“.

ვიიქს – „რჩილვა, დაკავშირება, დარჩილვა, მიდულება“¹².

დიჰ იმს (კუთხ: ერევანი), დიქს (კუთხ: ალაშქერტი, მუში), დიქს (კუთხ: ყარაბალი) – „რკინის საგნის მოცვეთილ მონაკვეთზე რკინის ახალი ნაჭრის დაკვრა, დანებება“¹³.

დიჰს (კუთხ: ნორ-ნახიჯევანი) – „შენწყვილება, დაგრილება, დანერბვა“¹⁴.

ჰრ. აჭარიანს „იიქ“-ის წყაროდ მიაჩნია სანსკ. yuti – „იიქ, დიქ“¹⁵.

უდიურში არის სიტყვა **ზიდო/ზიდოჲ** – „რკინა“. (პირველი ვართაშენული ფორმაა, მეორე, – ნიჯური)¹⁶.

ამ უდ. „ზიდო“-დან ხომ არაა ქართ. „ზოდი“? (ზიდო>ზოდი); შდრ: კიცვი>კვიცი (კიცვ>კვცი).

შენიშვნები

1. იხ. მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმისათვის, თბ., – 1964, გვ. 98.
2. აღ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, – თბ., 1984 წ.
3. აღ. ღლონტი, დასახ. ლექსიკონი.
4. ნათელა როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, – თბ., 1978.
5. იოანე შავთელი, „აბდულმესიანი“, თბ., – 1964.
6. იხ. В. М. Борисов, Русско-арабский словарь, т. II, М. – 1982, გვ. 352 – „таблетка“; Туреко-русский словарь, М., – 1977, Авторы: А. Н. Баскаков и др. – "kurs"; Персидско-русский словарь, под редакцией Ю. А. Рубинчика, М., – 1983, т. II, გვ. 263-264: „قرص“; დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., – 1984, „ყურსი“.
7. ქანანელი, უსწორო კარაბადინი, თბ., – 1940, 4₁, 6₇, 50₁₂, 58₆;
8. ხოჯაყოფილი, წიგნი სააქიმოჲ, ტფ. – 1936, 112₁₃, 162₁₃, 286₂₅;

9. ზაზა ფანასკერტელი, სამკურნალო წიგნი – კარაბადინი, თბ., – 1978, 163₄₁, 337₂;
10. დავით ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი, თბ., – 1985, 586₅;
11. ჯრ.ანაიყან. ჯԱԲ – III – 412-413 – „იოი“.
12. ჯაყ-იოიხერხენმ რაიიარამ. სრ. – 1984, Гл. ред. Е. Г. Галстян.
13. ჯრ.ანაიყან, დასახ. ნაშრომი – გვ. 413: შდრ. ერთმანეთს: სომხ. დოჲ იმნქ („რკინის საგნის მოცვეთილ მონაკვეთზე რკინის ახალი ნაჭრის დაკერა“) და ზოდ დადრვაჲ („გაცვეთილი რკინეულის ჭურჭელზე დაკერება“);
14. ჯრ.ანაიყან, დასახ. ნაშრომი, გვ. იგივე;
15. ჯრ.ანაიყან, დასახ. ნაშრომი, გვ. იგივე;
16. ევგენი ჯეირანაშვილი, უდიური ენა, თბ., 1971, გვ. 206, 248.

შხერო

საბას ლექსიკონის ცხრა ავტოგრაფული ნუსხიდან,¹ სიტყვა „შხერო“ (წყაროზე მოუთითებლად) შეტანილი და განმარტებულია მხოლოდ ოთხში (H-1658, A-1473, A-75, H-1429);

„შხერო ყ: თ. თუვი: ესე არს მსგავსი კაკბისა პატარა: რომელსა სპარსნი თუვის უწოდენ“: (H-1658).

(განმარტება მოწმობს, რომ „შხერო“ თვით საბას დროს არ უნდა ყოფილიყო მაინცადამაინც ფართოდ ცნობილი, ისე ფართოდ, როგორც მაგალითად: გნოლი, ასკატა, ჩახრუხი..., რომელთა საბასეული განმარტება ფრინველის ნიშნითა (ყ) და უცხო შესატყვისით ამოიწურება).²

დანარჩენ სამში (A-1473, A-75, H-1429), ამ განმარტებისაგან განსხვავებით, „თუვი“ მხოლოდ სპარსული შესატყვისია „შხეროსი“ და ნაცვლად სიტყვისა „უწოდენ“, წერია „უკმობენ“: „შხერო ყ: ესე არს მსგავსი კაკბისა პატარა: რომელსა სპარსნი თუვის უკმობენ“:

გარდა ავტოგრაფულისა, არსებობს არაავტოგრაფული ნუსხებიც (მათი რიცხვი ასზე მეტია);

ნაწილი ამ ნუსხებისა საბასეული განმარტებიდან იღებს სიტყვა „პატარას“ და იძლევა ასეთ განმარტებას: „შხერო ყ: თუვი: ესე არს მსგავსი კაკბისა: რომელსა სპარსნი თუვის უწოდენ“: (H-1116, S-1608, S-24, M-2).

ნაწილში „პატარა“ შეცვლილია სიტყვით „მცირე“ და ჩამატებულია კავშირი „და“: „შხერო ყ: თუვი: ესე არს მცირე და მსგავსი კაკბისა. რომელსა სპარსნი თუვის უწოდენ“: (A-172, A-1113, A-1157, S-247, S-454, H-1740).³

ერთში (H-2248) ვკითხულობთ: „შხერო ყ: ესე არს მსგავსი კაკბისა: რომელსა თურქნი თუთის უწოდენ“;

[ამ განმარტებაში, როგორც ვხედავთ, არც თურქული შესატყვისია („შხეროს“ შემდეგ), არც სიტყვა „პატარა“; ნაცვლად „სპარსნისა“, წერია „თურქნი“, ნაცვლად „თუვისა“, – „თუთი“ (ცხადია,

აქ „თუთი“ კალმისმიერი ლაფსუსია (უნდა იყოს „თუვი“), რაიცა შეეხება „სპარსნის“ ნაცვლად „თურქნის“ დანერას, ეს არაა შეცდომა, ვინაიდან „თუვი“ არა მარტო სპარსული შესატყვისია „შხეროსი“, არამედ თურქულიც (H-1658)].

„შხეროს“ საბასეულ განმარტებას („შხერო ყ: ესე არს მსგავსი კაკბისა პატარა: რომელსა სპარსნი თუვის უქმობენ“) იოანე ბაგრატიონი ერთ ნუსხაში (S-3711) უმატებს: „ბალრიყარა“, მეორეში (L-№ 253):⁴ „აგრეთვე ბალრიყურს, თერანში იცის“ („თუვის“ სინონიმად აქ დასახელებული „ბალრიყური“, რომ იგივე „ბალრიყარა“, ამას ადასტურებს ამავე ნუსხაში იმავე ი. ბაგრატიონისეული განმარტება „ბალრიყარასი“: „ბალრიყარა მომცროა და კაკბის გუარია, ქართულად შხერო ეწოდება“).⁵

საბას შემდეგდროინდელ, სხვა ლექსიკოგრაფებთან საქმის ვითარება ამგვარია:

შხერო [მფრ.] კაკბის მსგავსია [ნ. ჩუბინაშვილი, – ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, აღ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., – 1961].

შხერო, n. s. Название птицы, nom d'oiseau.v. კაკაბი [ქართულ-რუსულ-ქრანციცული ლექსიკონი, ქმნილი დ. ჩუბინოვის მიერ, С.-П-1840).

შხერო [ყყვ.] მსგავსი კაკბისა, პატარაა, სპარსნი თუვის უხმობენ [რ. ერისთავი, – მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი, ტფ., – 1884].

შხერო ს. მფრინველი კაკბის მსგავსი; Драхва, стрепеть, ბუნ. ლ. ბიანკ. ლ. [საუნჯე ქართულისა ენისა, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ხელახლად შემუშავებული დ. ჩუბინოვისაგან, – С.-П-1887].

შხერო – კაკბის მსგავსი მომცრო ფრინველი (საბა) [ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VII, – თბ., – 1962].

შხერო – პატარა კაკაბი (საბა) [გიორგი გამყრელიძე, – ლექსები, მოთხრობები და ნარკვევები ფრინველზე, – ვაშინგტონი – 1963].

შხერო - თუვი - [tuvi]-tovuz [ც. აბულაძე, - სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანის თურქული თარგმანები, - თბ., - 1968].

შხერო - dem Rebhuhn⁶ ähnl. Vogel [„შხერო - კაკბის მსგავსი ფრინველი“ - (kita Tschenkeli, - Georgisch - deutsches Wörterbuch, - Amirani - verlag, Zürich (Switserland-1971)].

ჩამოთვლილ ლექსიკონთა გარდა, „შხერო“ ნახსენებია აგრეთვე „ქილილა და დამანას“ საბასეულ ვერსიაში (S-31, - გვ. 186, 304, იგავები: „კაკბი, შხერო და კატა“ და „ნერო და ტრედი“), ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა-ში“ (გვ. 122, 33)⁷ და გიორგი ლეონიძის „ნატერის ხეში“ (გვ. 160).⁸

იმ ორ იგავს, რომლებშიც საბასთან „შხეროა“, „ქილილა და დამანას“ ქართული ვერსიებიდან, შეიცავს სამისეული⁹ (S-3177, - გვ. 347-248, 548) და ვახტანგისეული (M-53, - გვ. 435, 655), ბებუდაშვილისეულში (S-21, - გვ. 377) მხოლოდ ერთი იგავია: „ნერო და ტრედი“.¹⁰

საბასეული ვერსია (S-31) წარმოადგენს ვახტანგისეული ვერსიის (M-53) „გაჩალხულ“ ვარიანტს. ამ ვერსიაზე მუშაობა საბას დაუწყია 1717 წელს. როდის გაასრულა, - უცნობია.¹¹

აქ (S-31) ყველგან, სადაც წერია „შხერო“ (იგი, როგორც უკვე აღინიშნა, მხოლოდ ორ იგავშია), - თავზე აზის ვარსკვლავი, ხოლო არშიაზე, ვარსკვლავქვეშ წერია „თუი“ (ეს წესი ამ რედაქციაზე დამოკიდებულ წუსებებში, ზოგან დაცულია ნანილობრივ, ზოგან, - სულ არა).¹²

საერთოდ, ამ ვერსიაში, საბას, უმრავლეს შემთხვევაში, ვახტანგისეული ტექსტის სპარსული სიტყვები ვარსკვლავით გააქვს კაბადონის არშიაზე, ხოლო თავის ტექსტში წერს მათ ქართულ (ხშირად არქაულ) შესატყვისებს [არის გამონაკლისი, როცა არშიაზე გატანილია არა ვახტანგის ტექსტისეული სიტყვა, არამედ სხვა სპარსული სიტყვით განმარტებულია საბასეული ვერსიის ქართული სიტყვა

(სნატი, - ტექსტში, სუზანი, - არშიაზე (S-31, - გვ. 7, P-2, - გვ. 19) და არა მასნათი (M-53, - გვ. 19)].

ამის შესახებ არის ორი მოსაზრება (ერთია ე: მეტრეველისა, მეორე, - მ. თოდუასი):

ე. მეტრეველის აზრით: ამ განმარტებებით „საბა უადვილებდა ვახტანგს ახალი, საბასეული რედაქციის გაგებას, ვინაიდან სპარსულ მწერლობაში კარგად განაფული ვახტანგისათვის შესაძლოა, ყოველთვის გასაგები არც იყო ის ძველი ქართული ლექსიკა, რომელსაც საბა მნივინობრული „ღრმა ქართულიდან“ იღებდა“.¹³

მ. თოდუას აზრით: ჯერ ერთი „საბა არ თვლიდა ვახტანგს სპარსულის კარგ მცოდნედ („თვითონ ზედმინევენით სპარსული არ იცოდაო“ - აცხადებს ის ვახტანგზე). მაგრამ ესეც რომ არ იყოს, სპარსულის დაუფლება მას ხელს რად შეუშლიდა ქართულის ცოდნაში?!

საბას ეს განმარტებანი ვახტანგისათვის არ დაუნერია, შეუძლებელია: საბას ჰგონებოდა, რომ ვახტანგმა არ იცოდა რაა, მაგალითად, მატინე, ან ზოდიაქო რომელთაც ის აშიაზე განმარტავს... საბა მის მიერ ნახმარ არქაულ სიტყვებს ფართო მკითხველს განუმარტავდა და არა ვახტანგს“.¹⁴

უკეთუ ე. მეტრეველის მოსაზრებას გავიზიარებთ, მაშინ უნდა ვიფიქროთ: ვახტანგმა არ იცოდა, რომ სპ. „თუის“ ქართ. შესატყვისია „შხერო“, რომელიც ვახტანგისეული „თუის“ ადგილას წერია „ქილილა და დამანას“ საბასეულ ვერსიაში.

თუ მ. თოდუას მოსაზრებას მივიღებთ, მაშინ საბასეული ვერსიის „შხერო“ უნდა მივიჩნიოთ იმ დროისათვის არქაულ სიტყვად, რომელიც ფართო მკითხველისათვის გასაგები არ იყო.

„შხერო“ რომ საბას დროს ფართოდ ცნობილი სიტყვა არ ყოფილა, ამას საბას ლექსიკონში მისი ვრცელი განმარტებაც ადასტურებს.

რაიცა შეეხება „შხეროს“ არქაულობას, ამას ხელს უშლის ვახუშტის გეოგრაფიაში მისი ხმარება, რაც ვახტანგისა და საბას დროისათვის ცოცხალ მეტყველებაში ამ სიტყვის არსებობას მოწმობს, ვი-

ნაიდან, ვით წესი, ვახუშტის, საერთოდ, არ ახასიათებს არქაიზმებით გატაცება და პურიზმი;

იგი წერს კოლოსა და არა მუმლს, ბატსა და არა ლერლედს, ლაკლასა და არა იშხვარს, ყაჯირსა და არა ძერძერუკს, ალუჩასა და არა შუშტყემალს, ყაზალახსა და არა ტორუას...

წერს იმ სიტყვებს, რომელიც მის დროსაა ხმარებაში.

თუმცაღა, მან, ცხადია, შესანიშნავად იცის (საბათი მაინც), რომ კოლო ახალი სიტყვაა, მუმლი, – ძველი, ბატი სომხურია,¹⁵ ლერლედ, – ქართული, ლაკლავი¹⁶ არაბულ-სპარსულ-თურქულია, იშხვარი, – ქართული, ყაჯირი თურქულია, ძერძერუკი, – ქართული, ალუჩა¹⁷ არაბულ-სპარსულ-თურქულია, შუშტყემალი, – ქართული, ყაზალახი¹⁸ თურქულია: ტორუა, – ქართული...¹⁹

საბას ვერსია ვახტანგმა გადაანერინა და მოახატვინა. ამ ვერსიის საბოლოო, ილუსტრირებული რედაქცია (P-2) ინახება ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, მისი ზუსტი ფოტოპირი გ. ლეონიდის სახელობის ლიტ-მუზეუმშია დაცული (ხელნაწერთა ფონდი № 20724).

ილუსტრაციებზე, რომელნიც ჩართულნი არიან P-2 ხელნაწერში, არსებობს სამი ჯრი:

1. პირველი 89 მინიატურა „უფრო განაფული მინიატურისტის მიერ არის შესრულებული, დანარჩენები ნაკლებად სრულყოფილია“ (შ. ამირანაშვილი).²⁰

2. ქილილა და დამანას“ დამსურათებელი უნდა იყოს გრ. მესხიშვილი, – ვახტანგ VI-ის კარის მხატვარი“. (გ. ლეონიძე).²¹

3. „ქილილა და დამანა“ დასურათებელი უნდა იყოს სამი მხატვრის მიერ; 1 გვერდიდან 157 გვერდამდე ნახატები ერთ მხატვარს უნდა ეკუთვნოდეს, 157 გვერდიდან 408 გვერდამდე, – მეორეს, 408 გვერდიდან ბოლომდე, – მესამეს.

პირველი ანონიმი მხატვარი სპარსულ მინიატურათა ტრადიციის გამგრძელებელია, იგი მართლაც კარგი ოსტატია.

მეორე ანონიმმა შესანიშნავად იცის აღმოსავლური სამყარო, ზუსტად ასახავს მის ირგვლივ არსებულ რეალურ საგნებს.

მესამე მინიატურისტი გამოირჩევა ხატვის დაუდევარი მანერით“ (მ. თოდუა).²²

ამ სამი მოსაზრებიდან საესებით სწორია შ. ამირანაშვილისა და მ. თოდუას მოსაზრება, მაგრამ (ეს სისწორე ორი მოსაზრებისა) სულაც არ გამოორიციხავს იმის შესაძლებლობას, რომ ილუსტრატორი P-2-ისა, სამი ანონიმი მხატვრიდან ერთერთი იყოს გრ. მესხიშვილი, რომელიც გ. ლეონიძის ვარაუდით მთელი ხელნაწერის დამსურათებელია.

ამ ილუსტრირებულ ხელნაწერში დასურათებულია ის ორი იგავიც, სადაც ნახსენებია „შხერო“ (გვ. 333 და 544).²³

პირველი იგავის ილუსტრაცია (გვ. 333) ეკუთვნის სწორედ ამ მეორე ანონიმ მხატვარს.

ილუსტრაცია შედგება რვა უჯრედისაგან;

პირველ უჯრედში კლდეზე წამოსკუპულია მალრანი, ხეზე, თავიანთ ბუდეებში სხედან კაკაბი და შხერო, – ზედა ბუდეში, – შხერო, ქვედაში, – კაკაბი.

მეორე უჯრედში მალრანი ისევ კლდეზე ზის, ოღონდ ახლა სხვა პოზაშია; ხეზე, ზედა, – შხეროს ბუდე ცარიელია, ქვედა, – კაკბის ბუდეში ახლა შხერო ზის.

მესამე უჯრედში მალრანი იმავე ადგილზეა (მეორე პოზისაგან ოდნავ განსხვავებულ პოზაში), ხეზე, ზედა ბუდე აქაც ცარიელია, ქვედა ბუდეში წამოყინჩულია შხერო, რომელსაც კაკაბი თავის ბუდეს ედავება.

მეოთხე უჯრედში ფრთავაშლილი კაკაბი და შხერო მიიჩქარიან მიწაზე დაცუცქული კატისაკენ; კატის თავზე, ხიდან იშხირება მალრანი.

მეხუთე უჯრედში თათებაპყრობილი კატის წინაშე წამდგარი არიან კაკაბი და შხერო, ხიდან (ახლა უფრო დაბლიდან) შეცვლილი პოზით გადმოიციქირება მალრანი.

მეექვსე უჯრედში კაკაბი და შხერო უფრო ახლოს არიან მიწულნი ისევ თათებაპყრობილ, ოღონდ ახლა ოდნავ შეცვლილ პოზაში

მდგარ კატასთან; მალრანი კიდევ უფრო დაბლიდან, მეტი გულსყურით დასჩერებია მათ.

მეშვიდე უჯრედში კატას მარჯვენა თათი ოდნავ დაბლა აქვს დაწეული, მარცხენა ისევ მაღლა აღუმართავს; კაკაბი და შხერო კიდევ უფრო ახლოს არიან მასთან, მალრანი ისევ ხეზეა, ოლონდ ახლა ცოტათი უფრო მაღლა ზის.

მერვე უჯრედში კატას კაკაბი და შხერო კლანჭებში მოუქცევია, მარცხენა თათით ძირს დაგდებულ კაკაბს ჩაფრენია, მარჯვენა თათი და პირი შხეროსათვის ჩაუვლია ზურგში, მალრანი ისევ ხეზეა, შემფოთებულია.²⁴

სამივე ფრინველი დახატულია პროფილში, მხოლოდ პირველ უჯრედში მალრანი, რომელსაც თავი მიბრუნებული აქვს მარცხნივ, ზურგით ჩვენკენაა.

მალრანი მთლიანად შავია, აქვს გრძელი წითელი ნისკარტი, ფეხები არ უჩანს.

კაკაბს აქვს წითელი ნისკარტი და წითელი ფეხები; თავზე და ყელზე, – შავი ზოლი, თვალის გარშემო, – ვიწრო წითელი წრე.

შხეროს თვალზე აქვს შავი ზოლი, ნისკარტი აქვს წითელი, ფეხები, – ღია ყვითელი; იგი კაკაბზე მომცროა.

მალრანი და კაკაბი ამავე მხატვარს, როგორც უკვე ვთქვი, დახატული ჰყავს სხვაგანაც (მალრანი – გვ. 164, კაკაბი – გვ. 267); იქაც, ზუსტად ასეთია ერთიცა და მეორეც; ოლონდ მალრანს იქ ფეხებიც უჩანს, წითელი ფეხები (გვ. 164).

ამავე მხატვრის მიერ დახატული ქორიცა და ჭილყვაიც ისეთნი არიან, როგორიც უნდა იყვნენ:

ქორი შეჩარბა და ყვითელფეხებაა (გვ. 267), ჭილყვაი შავია, აქვს შავი ნისკარტი და შავი ფეხები (გვ. 258).²⁵

ყოველივე ამის გამო, ვფიქრობ, რომ აქ დახატული შხეროც, რომელიც მისსავე ყალამს ეკუთვნის, დაახლოებით მაინც, ალბათ, ისეთია, როგორიცაა იგი სინამდვილეში.

საჯულისხმოა, რომ ილუსტრაციის რვა უჯრედიდან პირველი სამი მოკლებულია სიმწვანეს, სამივეგან მხოლოდ შიშველი კლდენი და

ერთადერთი ხეა (ალბათ, ეს იმიტომ, რომ მოქმედება მაღლობზე მიმდინარეობს), იქაური ცაც შედარებით უღრუბლოა.

მეოთხე უჯრედიდან სიმწვანე მატულობს, ცაზე მომრავლებას იწყებს ხუჭუჭი, მოთეთრო ღრუბლები.

მომდევნო უჯრედებში, როგორც ძირიდან, ისე მარჯვნიდან და მარცხნიდან მსუყე სიმწვანე შემოგვცქერის.

ერთი კია, ნახატში დაშვებულია შეცდომა: კაკბისა და შხეროს ბუდე ხეზეა;²⁶ ეს შეცდომა გამოწვეულია იგავის ტექსტის მხატვრისული, არასწორი გაგებით: იგავში მალრანი ამბობს: „– მე ერთსა მალლისა მთისა კალთასა ერთსა ხესა ზედა ბუდე მედგა. ჩემდა მეზობლად ერთი კაკაბი ბუდობდა (S-31 – გვ. 186); რაჟილა აქ „ჩემდა მეზობლად“ წერია, ხოლო მალრანს (მისივე სიტყვით) ბუდე ხეზე აქვს,²⁷ მხატვარს მიუჩნევია, რომ კაკაბსაც ბუდე აუცილებლად ხეზე უნდა ჰქონოდა (არადა, კაკაბი ბუდეს იკეთებს მხოლოდ მიწაზე:²⁸ ბუჩქის ან ხის ძირას, იშვიათად, – კლდის ნაპრაღში,²⁹ ასევეა შხეროც).³⁰

ეს არ იცოდა მხატვარმა? –

იცოდა! –

ის, ვინც ასეთი, თითქმის ფოტოგრაფიული სიზუსტით ხატავს, როგორც მალრანს, ისე კაკაბს,³¹ არ შეიძლება ეს არ სცოდნოდა; მაგრამ, მოუხედავად ამისა, იგი, როგორც წესი, ხატავს იმას, რაც ტექსტში წერია, და ხატავს ისე, როგორც იქ წერია. ეს ფაქტი კი (მხატვარი, რომ ასე ბრმად მისდევს ტექსტს) უფრო მეტად სარწმუნოსა ჰხდის მის მიერ დახატული ნებისმიერი ფრინველის ცხოვრებისეულობას (გარეგნობის თვალსაზრისით).

სამწუხაროდ, იგივეს ვერ ვიტყვი მეორე იგავის დამსურათებელ მესამე ანონიმ მხატვარზე; მან სრულიად არ იცის აღმოსავლეთის ყოფა,³² მისი ნახატები სტატიკური და უტყვია. ილუსტრაციანზე, რომელიც ექვსი უჯრედისაგან შედგება, მას, თუმცა, როგორღაც მოუხლავთორთებია მიმინოსაგან გაგლეჯილი შხერო (გვ. 544), მაგრამ ეს შხერო, გაგლეჯილიც რომ არ იყოს, ჩემი საქმისათვის სანდო

მინც ვერ იქნება, ვინაიდან მისი ავტორი რეალისტი ვერაა („არაა“ კი არა! – სწორედ, რომ „ვერაა“!).

ჩემთვის საინტერესო იგავები, გარდა P-2-ისა, დასურათებულია კიდევ ერთ ნუსხაში (A-651), რომელიც საბასეული ვერსიის ვარიანტს წარმოადგენს;

აქ, ერთგან (გვ. 193 რ) დახატულია შავი კატა, რომელსაც კუდი აქვს წრელი (შავ-თეთრი) და ორი რალაც ფრინველი;

ამ ორიდან ერთს აქვს შავი ფეხები, წითელი ბოლო, მკერდზე წითელი ზოლი, მუცელი, – თეთრი, – წითლით დანიწკლული, ფრთა, – შავი, თეთრით დანიწკლული, თვალი, – შავი.

მეორე ფრინველი პირველზე ორჯერ დიდია, თავზე ადგას წითელი გვირგვინი, ნისკარტი და ფეხები აქვს წითელი, მკერდზე აქვს წითელი მოგრძო ლაქა, თავი, ყელი, მკერდი აქვს მომწვანო-მოცისფრო, ტანი, – ნაცარა, – წითლით დანიწკლული, კუდი წითელი, – დახუჭუჭებული...

მეორეგან, ამავე ნუსხაში (გვ. 312 რ) ხატია მრეცხავი ქალი, წერო, ტრედი და მიმინო, – კლანჭებში ვითომ შხეროთი...

ნახატები შესრულებულია ძალზე სუსტად;

ყოველ შემთხვევაში, ისინი ჩემი საქმისათვის ყოველად გამოუსადეგარნი არიან.

„ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსია ბეჭდურად გამოცემულია ოთხჯერ:

1. ქილილა და დამანა, სპარსულიდამ ქართულად ნათარგმნი მეფის ვახტანგისაგან. თ. გრ. გურიელის გამოცემა. ილია ჭყონიას რეაქციით. ტფილისი – 1886 წ.

ამ გამოცემას დართულ ლექსიკონში „შხერო“ განმარტებულია ასე: შხერო-თუთი (ფრინველია).

(წიგნი გამოცემულია ილუსტრაციების გარეშე).

2. ქილილა და დამანა, იგავ-არაკები, ქართულად გადმოღებული ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ. აღ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით. საბჭოთა მწერალი, თბ., 1949 წ.

ამ გამოცემას დართულ ლექსიკონში საქმე ასეა:

შხერო – „ესე არს მსგავსი კაპისა, პატარა, რომელსა სპარსნი თუვის უხმობენ“ (ს.); თუთი (ქილ.); თეიჭუ, ნაცრისფერი კაკაბი. (ნიგნი გამოცემულია ილუსტრაციების გარეშე).

3. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. II, II, აღ. ბარამიძისა და ე. მეტრეველის რედაქციით. თბ., 1962 წ. (ამ გამოცემის II ტომის ტიტულზე წერია: ქილილა და დამანა, საბასეული რედაქცია (ვახტანგ VI თარგმანი).

შხერო – კაპის მსგავსი ფრინველია; „თუი“ (ქ. დ.). (ნიგნი ნანილობრივ ილუსტრირებულია).

4. ქილილა და დამანა, სპარსულიდან თარგმნილი მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ.³³ ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო მაგალი თოდუამ. თბ., 1975 წ.

შხერო – „კაპის მსგავსი ფრინველი“, „თუი“.

(ეს გამოცემაც ნანილობრივ ილუსტრირებულია).

ვახტანგისეული ვერსია (M-53), რომლის ფოტოპირი (Rt. II. (გ 20) ინახება ხელნაწერთა ინსტიტუტში, შექმნილია ვახტანგ მეექვსის მიერ 1714-1716 წლებში.³⁴

ამ ვერსიაზე (უფრო სწორად, მის ენობრივ მხარეზე) აღ. ბარამიძე შენიშნავს: „მთარგმნელი სათანადოდ ვერ იმარჯვებდა ქართული ლიტერატურულ-მნიგნობრული მეტყველების საგანძურს. მისი უბრალო „ხალხური“ ენა კი უძღური იყო სპარსული ზვიადი რიტორიკის გადმოსაცემად. ამდენად ჩვენ ეჭვიც გვეპარება ვახტანგის სრულს გულწრფელობაში ანდერძის შემდეგი სიტყვების გამო: „არ ვიყავ სრულად უცოდნი, ვიცოდი ენა მძიმები, მკითხა ნიგნი სალეთო და საერო ამას წინები, ვთქვი ენით მეტად ადვილით, რომ იყოს მოუწყინები.“

მე კაცის შეუტყობრობისა და მოუძაგებლობის გულისათვის ადვილისა და მსოფლიოს სიტყვით დავსწერე, რომ მკითხველთ სამძულვაროდ არ უჩნდესთ და ეს სწავლა გაუგონებელი არ დარჩეს“.

თუ ყოველივე ეს მართლაც გულწრფელად არის ნათქვამი, მაშინ რად დასჭირდა ვახტანგს ტექსტის საგანგებოდ „გაჩაღბვანზე“ ზრუნვა?! თუ ის მხოლოდ და მხოლოდ მკითხველის „მოუძაგებლობის გულისათვის“ ფიქრობდა, რად დასჭირდა ტექსტის ამ მკითხველისათვის გაუგებარი უცხო ტერმინებით დატვირთვა?! ჩვენი ღრმა რწმენით, ვახტანგის განცხადება, თარგმანის ხალხურობის თაობაზე იმით უნდა ყოფილიყო გამოწვეული, რომ „ენა მძიმობა“ და მნიგნობრული სიქველე, ალბათ, აღემატებოდა მის ძალღონეს“.35

მ. თოდუა არ იზიარებს ალ. ბარამიძის მოსაზრებას: „ვერ დავეთანხმებით მეცნიერს, თითქოს ვახტანგ VI-ს, მნიგნობარსა და მეფეს, მნიგნობრული ენა არ სცოდნოდეს, არამედ მხოლოდ მდაბიოთა ენა ყოფილიყოს მისთვის ბუნებრივი და როცა აცხადებს: ვიცოდი ლიტერატურულ-მნიგნობრული ენა, მაგრამ საყოველთაოდ გასაგები რომ ყოფილიყო, ამ მიზნით ადვილი და მსოფლიო ენით დაწვეწვეო, ხელმწიფე ტყუოდეს. ვახტანგმა შესანიშნავად იცოდა, რომ იგავების კრებულს უბრალო ენა მოუხდებოდა, ვიდრე „ენა მძიმები“. გავიხსენოთ, რომ თვით სპარსულ ლიტერატურაში რაფინირებული სტილისა და ლიტერატურული ენის მქონე პოეტებიც კი უბრალო, ხალხური ენით წერდნენ იგავებს...“

ვახტანგმა თავისი სტრიქონთარგმანი მისი თანამედროვე ენით შექმნა. ამ ენაში ბევრი იყო აღმოსავლური ლექსიკა და ვახტანგის ენაში აირეკლა იგი, თითონ მას არ ჰქონია ბარბარიზმის ტენდენცია“...36

მე უსაფუძვლოდ მიმაჩნია ალ. ბარამიძის განცხადება, თითქოს ვახტანგისეული ვერსია „დატვირთულია“ ქართული „მკითხველისათვის გაუგებარი, უცხო ტერმინებით“, ვინაიდან ის სპარსული სიტყვები, რომელიც ვახტანგის ენაშია, ვახტანგისდროინდელ ქართულშიც რომ იყო, ამას ადასტურებს საბას ლექსიკონი და მისი სხვა თხზულებანი.37

ასე რომ, სავსებით სწორია მ. თოდუა, როცა ამბობს: „ვახტანგმა თავისი სტრიქონთარგმანი მისი თანამედროვე ენით შექმნა,

რომელშიც ბევრი იყო აღმოსავლური ლექსიკა და ვახტანგის ენაში აირეკლა იგი.“

მ. თოდუას მოსაზრების სისწორე კი საფუძველს მაძლევს, ვიფიქრო: გამორიცხული არაა, რომ ვახტანგისა და საბას დროს სალ-აპარაკო ქართულში „შხეროს“ პარალელურად იხმარებოდა მისი სპარსული შესატყვისი „თუი/„თუვი“.

ვახტანგისეულ ვერსიაში, რომლის „გაჩაღბულ“ ვარიანტს წარმოადგენს „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსია, ყველგან, სადაც საბასეულში „შხეროა“, წერია „თუი“. პირველ იგავში, პირველად ნახსენებ „თუის“ თავზე სხვა ხელით აწერია „შხერო“. ეს „თუი“, ამკარად ჩანს, გადაკეთებული „თუთს“ სიტყვაა, ბოლო „თ“ ასოში არსებული წრის გამუქებით; უმაღლ აქ წერებულა არა „თუის“, არამედ, – „თუთს“.

ეს ვერსია ბეჭდურად გამოცემული არაა.

სამისეული ვერსიის (S-3177) თარგმნა, როგორც უკვე ითქვა, დაუწყიათ 1602 წლამდე, დაუსრულებიათ 1714 წელს.³⁸

ეს ვერსია, ვახტანგ VI-ის ცნობით, სპარსულიდან ქართულად თარგმნილია სამი პირის მიერ; მისი მთარგმნელები არიან: დავით კახთა მეფე, – ქეთევან წამებულის ქმარი, თეიმურაზ პირველის მამა (დასაწყისიდან „კუ და მორიელის“ არაკამდე), ვინმე სპარსი და ვინმე სომეხი. ცნობილი არაა, ზუსტად საიდან იწყება და სად მთავრდება სპარსის თარგმანი; ე.ი. ისიც უცნობია, საიდან იწყება თარგმანი სომხისა.³⁹

ალ. ბარამიძის აზრით: „უცნობი სპარსელის თარგმანი უნდა იწყებოდეს არაკით „იხვი და მთვარის შუქი“, ვინაიდან ამ იგავ-არაკში სრულიად არაა ლექსი, არაკის დასასრულიდან ჩნდება ახალი თარგმანის დამახასიათებელი გარეგნული ნიშანი, პროზულად გადმოღებული ლექსი ჩართულია ჩვეულებრივ ტექსტში, ოღონდ ცალკე გამოყოფილია საგანგებო ნითური წრეებით. ამიზე კი ტექსტის ხელით განმარტებულია: „ამას ქვემორ, რომელიც ამ ნიშანსა და ნიშანს შუა წერილ არს, ეს სიტყვა სპარსულს წიგნში შაირად სწერია და ამა ნიშნითა სცნობთ“-ო (გვ. 295).

რთული საკითხია, თუ სად იწყება უცნობი სომხის თარგმანი. ვახტანგი ამ მხრივ რაიმე საორიენტაციო ცნობას არ იძლევა. მეტად სახიფათო ხდება სტილის თვალსაზრისზე დამყარებაც, რადგანაც სპარსელსაც და სომეხსაც ერთგვარი სასაუბრო, მდაბიო-ხალხური, არალიტერატურული ენით უწერიათ. დაგვრჩენია თარგმანის თვისობრივი თავისებურება.

უნდა აღინიშნოს, რომ შინაარსული სხვაობა თხზულებაში ადრე შეინიშნება (მაგ. „მონადირე, ქურციკი, ტახი და მგელი“ – გვ. 294), მაგრამ სერიოზული და არსებითი თემატიკურ-სუუეტიური განსხვავება იმ არაკვი გვხვდება, რომელიც მე-4 კარში გვაქვს („ბებერი მგელი და მყვარი“ – გვ. 388).

ამას ისიც უნდა დავურთოთ, რომ იმავე კარში (ცოტათი ადრე) ერთი საყურადღებო ფორმალური ელემენტიც იპოვება. სახელოდბრ „მაიმუნებისა და დათვის“ არაკის ერთ ლექსს ამიანზე შენიშვნა აქვს: „საცა ეს ოქსიო აქვს, შაირი ყოფილიყო“ (გვ. 376).

ჩვენ უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ ანალოგიური შენიშვნა უცნობი სპარსელის თარგმანშიც არის („ამას ქვემორ, რომელიც ამ ნიშანსა და ნიშანს შუა წერილ არს, ეს სიტყვა სპარსულს წიგნში შაირად სწერია და ამა ნიშნითა სცნობთ“-ო – გვ. 295). მისი კვლავ განმეორება საჭირო არ უნდა ყოფილიყო, უკეთუ დასახელებული ტექსტიც სპარსულს განეკუთვნებოდა. ალბათ, სომეხმაც თავის ნუსხას სათანადო შენიშვნა დაურთო და გადამწერმა კი მექანიკურად ესეც გადაათურა. ჩვენი აზრით, ასე უნდა აიხსნას ერთი და იმავე შენიშვნის განმეორება კრებულის სხვადასხვა ნაწილში. ამგვარად, სომხის მუშაობა მეოთხე კარით უნდა დანწყებულიყო.⁴⁰

მ. თოდუას აზრით: „...რადგან სხვა გზა არ არის, სტილისა და ენობრივი თავისებურებების გათვალისწინება შეიძლება ყველაზე უკეთ გამოდგეს მთარგმნელთა გასამიჯნავად. „ქილილა და დამანაში“ იგავის მოყოლის შემდეგ პერსონაჟი იტყვის ხოლმე: ეს იგავი იმისთვის მოვიყვანეთ, რომ ასე და ასე უნდა ვიცოდეთო. ამ იგავებს დავითი და სპარსელი (ე. ი. „კუ და მორიელის“ არაკამდე და ცოტათი მის შემდეგაც) არაკს უწოდებენ, როცა სომეხი (ე. ი. წიგნის ბოლო არ-

აკები) მასალს (მასალ) ხმარობს. ხოლო აღ. ბარამიძის მიერ მითითებულ IV კარზე 25 გვერდით უფრო ადრე, 188 გვერდიდან უკვე გვხვდება ეს მასალი. შეიძლება ანონიმი სომხის თარგმანი აქ „ინყე-ბოდეს“. ⁴¹

მე ამჯერად ამ საკითხის გარკვევის პრეტენზია არა მაქვს; ვიტყვი მხოლოდ ერთს: ვეჭვობ, ერთმა და იმავე კაცმა (სპარსელი იქნება იგი თუ სომეხი), ერთსა და იმავე ნაწარმოებში, ერთი და იგივე სპარსული სიტყვა (گناه)-ერთგან უთარგმნელად, ქართული ტრანსლიტერაციით გადმოიღოს: (თიწუ), ⁴² მეორეგან კი მის შესატყვისად დანეროს „გნოლი“. ეს ქართული ტრანსლიტერაციით გადმოტანილი სიტყვა კი გახლავთ სწორედ მეოთხე კარის მეოთხე იგავში; „გნოლი“ მეთერთმეტე კარის მეორე იგავშია.

ამიტომ ვფიქრობ: მეოთხე კარის მეოთხე იგავიც სპარსელის თარგმნილი უნდა იყოს.

„ქილილა და დამანას“ მეოთხე ვერსია (S-21), ე. წ. ბებუდაშვილისეული, გადწერილია 1839 წელს (იგი საბას ვერსიის შემოკლებული ვარიანტია).

ამ ვერსიაში არის მხოლოდ მეორე იგავი („წერო და ტრედი“ – გვ. 377).

იმ ადგილას, სადაც სამისეულში „გნოლია“, ვახტანგისეულში, – „თუი“, საბასეულში, – „შხერო“, აქ წერია „ხოხობი“.

მამასადამე, 1839 წელს (ამ წუსხის გადწერის უამს) „შხერო“, როგორც უკვე გაუგებარი სიტყვა, შეცვლილია გასაგები „ხოხობით“ (თუმცა, კაცმა რომ თქვას, იგი არც 1715 წელს ყოფილა მაინცადამაინც საყოველთაოდ გასაგები).

გადამწერის ანდერძში, რომელიც ამ წუსხას ახლავს, ბებუდაშვილი წერს: „...ისტორიისა ამის კითხვით სარგებლობა მრავალი შეეძინება მკითხველთა, გინა ლაპარაკში და გინა მოქმედებაში, ამისთვის მე, თავადმა მელიგზად აშხარბეგის ძემ ბებუდოვმა ადვილ შეტყობისათვის ზოგიერთნი ღრმამეტყველობით ლექსნი ჩწნს დაბოურს ენაზედ შევსცვალე“.

„ქილილა და დამანას“ ქაშექისეულ ვერსიაში, საიდანაც მომდინარეობს, როგორც სამისეული, ისე ვახტანგისეული ვერსია, ქართული ვერსიების „შხეროს“, „თუის“, „თიწუს“ და „გნოლის“ ადგილას ალაგ **آهت** წერია (გვ. 270, 287, 288, 481), ალაგ – **آهت** (გვ. 287, 481).⁴³

გარდა „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსიისა, „შხერო“ ნახსენებია (როგორც უკვე ითქვა) ვახუშტის „გეოგრაფიაში“, კერძოდ; სამცხე-საათაბაგოს აღწერისას:

„ფრინველნი ურიცხვნი, გარნა ღურაჯი, შხერო, ასკატა არა არს აქა“.⁴⁴

ვახუშტის გეოგრაფია, უფრო სწორად: ვახუშტის ნაშრომის გეოგრაფიული ნაწილი, – ქართული ტექსტი, – ფრანგული თარგმანით, პირველად გამოსცა მ. ბროსემ (1842 წ.)⁴⁵

მ. ბროსეს შემდეგ ვახუშტის „გეოგრაფია“ მეტნაკლები სისრულით ოთხჯერ გამოსცა მ. ჯანაშვილმა:

1892 წელს, – „სამცხე“.⁴⁶

1895 წელს, – „ქართლი“.⁴⁷

1903 წელს, – გეოგრაფიის სრული ტექსტი, 1904 წელს, – მისი სრული თარგმანი.⁴⁸

ვახუშტის ნაშრომის გეოგრაფიული ნაწილი ერთხელ კიდევ გამოიცა 1941 წელს“.⁴⁹

1973 წელს კი ს. ყაუხჩიშვილმა პირველად გამოსცა ვახუშტის ნაშრომი „იმ სახით, როგორც იგი გამოვიდა ვახუშტის ხელიდან“. ეს გამოცემა, ცხადია, შეიცავს გეოგრაფიულ ნაწილსაც.⁵⁰

1842 წლის გამოცემაში ქართული „შხერო“ თარგმანში გადატანილია უთარგმნელად, ფრანგული ტრანსლიტერაციით: **chkhero** (გვ. 79).

1904 წლის რუსულ თარგმანში, ქართული „შხეროს“ რუსული შესატყვისია **Драхва** (გვ. 158).

1941 წლის გამოცემას დართულ ლექსიკონში „შხეროს“ განმარტად გამოყენებულია საბასეული განმარტება არასრულად [„შხერო – გვ. 122. ფრ. „ესე არს მსგავსი კაკბისა, პატარა“ (ს. ს. ო)].

1973 წლის გამოცემას დართულ ლექსიკონში „შხეროზე“ მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ იგი ფრინველია („შხერო (მფრინვე.): 660,6).

(სხვა გამოცემებს ლექსიკონები არა აქვს დართული).

XX ს-ში „შხერო“ ნახსენებია გ. ლეონიძის მოთხრობაში, – „ციციკორე“: „...შხერო რომელი არნივია, რომ მისი ცნობითა თუ ცოდნით თავი გამოიღო?“⁵¹

ეს არის და ეს; სხვაგან არსად ჭაჭანება არაა „შხეროსი“.

ერთი სიტყვით: ყველა დასახელებული ლექსიკონისა და ტექსტის მიხედვით, „შხეროს“ უცხო შესატყვისთა და სინონიმთა სრული სია ასეთია:

უცხო შესატყვისნი:

თუი/თუვი, ბალრიყარა, Драхва, Стрепет, товуз, თუთი, თეიჰუ/თიჰუ.

სინონიმნი:

გნოლი, ნაცრისფერი კაკაბი, ხოხობი.

საბასეულ განმარტებასთან და პირველი იგავის ილუსტრაციაზე დახატულ „შხეროსთან“ შედარებით განვიხილოთ ყოველი მათგანი სათითაოდ (ჯერ „სინონიმები“).

გნოლი

ქაშეფისეული **گنول** (როგორც არაერთხელ ითქვა) „ქილილა და დამანას“ სამისეულ ვერსიაში ერთგან გადმოტანილია, როგორც თიწუ, მეორეგან, როგორც გნოლი, ვახტანგს გადმოაქვს, როგორც თუი,⁵² საბასთან, ყველა ამათ ნაცვლად, წერია შხერო.

და, მაინც, ჩემი აზრით, შხეროს სპარსული შესატყვისი თუი (<თიჰუჲ)⁵³ არავითარ შემთხვევაში არაა გნოლი.⁵⁴

რატომ?! –

განა გნოლი არ აკმაყოფილებს შხეროს საბასეული განმარტების ყველა პირობას?! –

არის კაკბის მსგავსი, არის კაკაბზე პატარა, სპარსულად მასაც ჰქვია თიჰუ.⁵⁵

მართალია, გნოლი მსგავსია კაკბისა, პატარაცაა კაკაბზე და, რაც მთავარია, თნიჭუ ჰქვია სპარსულად მასაც, მაგრამ საბასთან შხეროს შესატყვისად იგულისხმება არა ის თიჭუ, რომელიც ჰქვია გნოლს, არამედ იგი, – სხვა ფრინველს რომ ჰქვია.⁵⁶

ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ საბას ლექსიკონში შხერო და გნოლი განმარტებული იქნებოდა არა ისე, როგორც არის,⁵⁷ არამედ ასე:

შხერო (ფრინ.): თუვი: გნოლი:

გნოლი (ფრინ.): თუვი: შხერო:

ისევე, როგორც:

მაჩქათელა (ფრინ.): იარასა: მლამიობი:

მლამიობი (ფრინ.): იარასა: მაჩქათელა.⁵⁸

ეს ერთი!

მეორეც!

გნოლს თვალების გარშემო ვიწრო შიშველი რგოლი და აქედან უკან მიმავალი ზოლი აქვს წითელი.

თეთრ მუცელზე აქვს მოზრდილი, ნალისებური, ნაბლისფერი ლაქა.⁵⁹

გნოლის ნისკარტისა და ფეხების ფერზე სამი აზრია:

1. ნისკარტი, – მომწვანო-ნაცრისფერი, ფეხები, – მოცისფრო-ნაცრისფერი.⁶⁰
2. ნისკარტი, – მოცისფრო-ნაცრისფერი, ფეხები, – მოყვალალო-მოთეთრო-ნაცრისფერი.⁶¹
3. ნისკარტი, – მუქი-ნაბლისფერი, ფეხები, – მომწვანო-ნაბლისფერი.⁶²

არცერთნაირი გნოლი არც ერთი ნიშნით არ ემთხვევა ნახატის შხეროს (იხ. ზემოთ აღწერილობა შხეროსი).

იქნებ მხატვარი შეცდა შხეროს დახატვაში?!

იქნებ საბამ შხერო კი იცის როგორია, მაგრამ არ იცის, ანდა ეშლება სპარსული შესატყვისი შხეროსი?!

(ეს უკვე ცალკე საკითხია, რომელსაც გავარკვევ ქვემოთ, თავის ადგილზე).

ნაცრისფერი კაკაბი

ასეთი სახელწოდების კაკაბი ქართულმა ენამ არ იცის; ცხადია, ეს არის კალეი *Серая куропатка*-სი (ქართ. გნოლი, თურქ. *çil*,⁶³ სპ. *كراي*, აგრეთვე *كراي*).⁶⁴

მაგრამ თიქუ რომ ფრინველთაგან მხოლოდ გნოლს არ ნიშნავს სპარსულში და შხეროს შესატყვისი თუი/თუვი რომ არის არა გნოლი, არამედ სხვა ფრინველი, – ეს უკვე ითქვა.

ხოხობი

რა თქმა უნდა, ხოხობი არც თიქუს ქართული შესატყვისია, არც სინონიმი, – შხეროსი.

ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჯერ ერთი, იგი კაკბის მსგავსი არაა,⁶⁵ მეორეც, კაკაბზე ბევრად დიდია (კაკბის სიგრძეა 35 სმ.,⁶⁶ ხოხობისა, – 80;⁶⁷ კაკაბი იწონის 370-დან 770 გრამამდე,⁶⁸ ხოხობი, – საშუალოდ 1150 გრამს, მამალი, 850-ს, – დედალი)⁶⁹ მესამეც, მისი თურქული შესატყვისია ყირლოულ (*აბათი*). [სპ. *قراق* (ყარყავოლ), *قراي* (თაზარე), *قراي* (ხორუს-ე საჰრაი),⁷⁰ უზბეკ. ყირლოულ].⁷¹

ბალრიყარა

შხერო და ასკატა, საბათი და ვახუშტითი,⁷² ორი სხვადასხვა ფრინველია.

საბასთან შხეროს სპარსულ-თურქული შესატყვისია თუვი [H-1658],⁷³ ასკატას თურქული შესატყვისი, – ბალრიყარა⁷⁴ (Q-400, H-95, H-1658, A-75, H-1429, K-300).

ი. ბაგრატიონის აზრით, თუვისთან ერთად, შხეროს სპარსული შესატყვისია ბალრიყარაც (S-3711, L-№ 253).⁷⁵

შესაძლებელია თუ არა, საბაც მართალი იყოს და იოანეც?!

ე. ი. შეიძლება თუ არა, ბალრიყარა სპარსულში სინონიმი იყოს თუვისი (როგორც ეს იოანეს მიაჩნია). თურქულში, – შესატყვისი ასკატასი?! (როგორც ეს მიაჩნიათ საბასაც და იოანესაც).

ხომ არ ნიშნავს ეს, რომ შხერო და ასკატა⁷⁶ ქართულში ერთი და იმავე ფრინველის ორი სახელია და ეს არ იცინან საბამ და ვახუშტიმ?!

არა! –

ვინაიდან:

1. არის შემთხვევები, როცა ერთი სიტყვა სხვადასხვა ენაში ეწოდება ორ, სხვადასხვა ფრინველს [მაგ. *паша*, – *Anas* (სომხურში), ბატ-ი-*Anser* (ქართულში)].⁷⁷

ასე, რომ ბალრიყარა თურქულში შესატყვისი რომ იყოს ქართ. ასკატასი და სპარსულში სინონიმი თუვისი, ეს სრულიადაც არ ნიშნავს, თითქოს შხერო იგივე ასკატაა.

2. ნებისმიერ ენაში რამდენიმე სახელი ისევე ხშირად ჰქვია ერთ ფრინველს,⁷⁸ როგორც ერთი სახელი, – რამდენიმეს.⁷⁹

ზოგჯერ რამდენიმე ფრინველის სეხნია ფრინველს, გარდა ზიარი სახელისა, აქვს მხოლოდ თავისი სახელიც (მაგ. არაბულად თნთევი ჰქვია ყარანას, თნთევი ჰქვია ოფოფს,⁸⁰ მაგრამ არაბულშივე ოფოფს აქვს საკუთრივ თავისი სახელი: ჰუდჰუდი);

ასე, რომ ბალრიყარა თავისუფლად შეიძლება იყოს სინონიმი თუვისი (ისევე, როგორც თნთევი სინონიმია ჰუდჰუდისა) და ერქვას ასკატასაც (ისევე, როგორც თნთევი, გარდა ოფოფისა, ჰქვია ყარანასაც).

ეს საერთოდ ასე კია, მაგრამ ამ შემთხვევაში თუა ეს ასე?!

თუ საბა სწორია იმაში, რომ შხეროს სპარსული შესატყვისია თუვი (<თნჰუჲ), ასკატას თურქული შესატყვისი, – ბალრიყარა, რასაც არ ეწინააღმდეგება არც საბას თანამედროვე და არც საბას შემდეგდროინდელი არც ერთი ლექსიკოგრაფი (თვით იოანეს ჩათვლით), (ხოლო საბა, რომ ამ საქმეში სწორია, მკითხველი დარწმუნდება ქვემოთ, სპარსულში თნჰუჲ-ს რაობის გარკვევისას), მაშინ ბალრიყარა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება სინონიმი იყოს თუვისი.

ბალრიყარაზე მე ცალკე, დანვრილებით მექნება საუბარი ნაპრომში „ასკატა“, აქ კი ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ ეს სახელი თურქულში ჰქვია ორ, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ფრინველს: ერთი პანანკინტელა ჩიტია, მეორე, – მტრედის ტოლა, ვისთვის კავბისა და ვისთვის მტრედის მგავსი ფრინველი;⁸² რაც მთავარია, არც ერთი მათგანი, არც ზომა-წონით, არც შეფერილობით არა ჰგავს იმ ფრინველს, რომლის სპარსული სახელწოდებაა თიჰჰუ, ქართული, – შხერო.

ბალრიყარას (იმ ბალრიყარას, – მტრედის ტოლა რაა) სხეულის ზედა მხრის შეფერილობა აქვს ქრელი, – შემდგარი ნაცრისფერი, ცვილისფერი და მონაბლისფერო ლაქებისაგან, სხეულის ქვედა მხრის შეფერილობა, – საკმაოდ ნათელი, – განსაკუთრებით მამალს.

შავი მუცლის გარდა, აქვს შავი ქამარი, რომელიც ყოფს ცვილისფერ მკერდს ჩინჩახვისაგან, და შავი სამკუთხა ლაქა ყელზე, – შემოფარგლული ზემოდან და გვერდებიდან ღია ყანგისფერით.⁸³

შავი მუცლისა არ იყოს, იმდენად თვალში საცემია მისი შავი ქამარი, რომელიც ყოფს ცვილისფერ მკერდს ჩინჩახვისაგან, რომ ამ ფრინველს გერმანულად (შეიდი სხვა სახელის გარდა) ჰქვია **Rigelhuhn/Ringelflughuhn** (Ring, Ringel – ბეჭედი, რგოლი).⁸⁴

ბალრიყარას ფეხებისა და ნისკარტის ფერზე, თუმცა ყველა ერთი აზრისა არაა, მაგრამ არსებულ სხვადასხვა შეხედულებათა შორის ერთობ მკრთალი განსხვავებაა:

1. ნისკარტი, – რუხი; ფეხები, – მონაბლისფერო-რუხი.⁸⁵
2. ნისკარტი, – მორუხო-ნაბლისფერი; თითები, – რუხი, ფრჩხილები, – შავი.⁸⁶
3. ნისკარტი, – მღვრიე-ცისფერი; ფეხები, – მუქი-მოცისფერო-რუხი.⁸⁷

ნახატის შხეროს კი არც შავი მუცელი აქვს, არც ჩინჩახვსა და მკერდს შუა შავი ქამარი, არც ყელზე შავი სამკუთხა ლაქა...

აქვს წითელი ნისკარტი და ღია ყვითელი ფეხები.

აქვე საგანგებოდ უნდა ითქვას ერთი ფრიად საგულისხმო რამ:

როგორც ცნობილია, საბას ლექსიკონი, თითქმის მთელი ორი საუკუნის მანძილზე, 1698 წლიდან⁸⁸ 1884 წლამდე⁸⁹ ხელნაწერთა სახით არსებობდა.

ისიც კარგადაა ცნობილი რომ: ყველას, ვისაც კი „სიბრძნე და მეცნიერება“ ებადა, ავტორის ანდერძით, ნება ეძლეოდა შესწორება და ჩამატება შეეტანა მასში.

ბარეორმა ისარგებლა ამ ანდერძით; არაერთმა გამოამჟღავნა თავისი ცოდნა თუ არცოდნა.⁹⁰

ყველა განმარტება როდი მოუწონეს საბას (დეტალურად ამაზე საუბარი მექნება ქვეთავში „თუვი/თუი“), მაგრამ შხეროს სპარსულ-თურქული შესატყვისი თუვი არ არისო! – არავის ამოსვლია პირიდან.

ეს არცაა გასაკვირი;

ამ საქმეში, შეუძლებელია, შეცდომა მოსვლოდა საბას;

ნუთით წარმოვიდგინოთ დრო სულხან-საბასი;

ეს ის დროა, როცა ყოველი ქართველი მამრი, მით უმეტეს დიდგვაროვანი, ბაღლობიდანვე ნადირობაში იწრთობა.

როცა მეფის კარზე ზუსტადაა აღწუსებული: რომელ სოფელში რომელი ბაზის ბუდეა და ვისი მოვალეობაა ამა თუ იმ ბუდის „შენახვა“:

„ნიჩბისის შავარდნის ბუდე ნიჩბელთა შეინახონ...

კრკონის ბუდე კრკონელთა შეინახონ...

თრეხვის ბუდე თრეღველთა და ერთობილთ ხვედურელთა შეინახონ...

ნეძვის ბუდე სტეფანაშვილს ებაროს, იმათა და ნეძველთა შეინახონ...

სანამდის ჩვენი ბაზიერი არ მოვიდოდეს ნურავინ ბუდეში ჩაეკიდება, ნურც კვერცხს ნახვენ, ნურც ქულას ნახვენ, შორიდამ თვალი ეჭიროს“...⁹¹

როცა ბაზიერნი მეტნილად თათრები არიან: „...ველიოლლი ის-მაილა, ფიროლლი აფუზა, მურადოლლი მუსა, ალიოლლი ელიაზა, ამადოლლი მუსტაფა“...⁹²

როცა ზეპირად იცვან: სად, როდის, რაზე და რითი უნდა ინადირონ:

მაისში ლილოს ტბაზე შავარდნით წეროობაა...

ივლისში თრიალეთს მიმინოთი მწყერაობაა...

შემოდგომაზე სომხითში ხოხობზე და კაკაბზე ქორით ნადირობაა...⁹³

და, განა დასაშვებია ამ დროის კაცმა, სიყრმიდანვე ნადირობაში განვრთნილმა, საბა იქნება იგი, ვახტანგი, თუ ვახუშტი, ის არ იცოდეს: კერძოდ, რა ფრინველია „შხერო“ და რაა მისი სპარსული შესატყვისი?! (ნახევარჯერ ხომ სპარსეთში იყვნენ)?!

საბა, ვახტანგი, ან სხვა, – ამ დროის ნარჩინებული, შესაძლოა ბოსტნეულში შეცდეს, როგორც ეს ვახუშტის დაემართა⁹⁴ (რაც ივ. ჯავახიშვილმაც შენიშნა),⁹⁵ მაგრამ ნადირსა და ფრინველში იგი არ შეცდება.

თუთი

ეს „თუთი“ უდავოდ კალმისმიერი შეცდომაა, ვინაიდან „ქილილა და დამანას“ საბასეულ ვერსიაში, – სადაც „შხერო“ წერია, არშიაზე ყველგან არის „თუი“ და არა „თუთი“.

სხვათა შორის, „თუის“ ნაცვლად „თუთი“ ორგან ვახტანგსაც დაუნერია თავის თარგმანში (M-53, გვ. 435, 408); შემდეგ ერთი გადაუსწორებია (ამაზე მე ზემოთ მქონდა საუბარი), მეორე კი „თუთად“ დარჩენილა⁹⁶ [ამ „თუთის“ ადგილას საბასეულში წერია „აკატა“ (S-31, – გვ. 174), ოღონდ არშიაზე აქ გატანილი არაა არც „თუთი“, არც „თუი“; ეს ფაქტი იმას მონშობს, რომ საბას არშიაზე მხოლოდ მაშინ გააქვს ვახტანგისეული სპარსული სიტყვა, როცა ტექსტში ამ სიტყვის ადეკვატურ ქართულ სიტყვას წერს].

„თუთი“, როგორც ცნობილია, არის იგივე „თუთიყუში“, მისი ქართული შესატყვისია (საბას მიხედვით) „ზორაყი“.

„ქილილა და დამანას“ საბასეულ ვერსიაში, – სადაც არშიაზე წერია „თუთი“, ტექსტში, – „ზორაყია“.

თუზი/თუი

როგორც მკითხველმა უკვე იცის: საბას ლექსიკონის ოთხივე ავტოგრაფულ ნუსხაში, სადაც შეტანილი და განმარტებულია „შხერო“, მისი სპარსული (ერთში, – თურქულიც) შესატყვისია „თუვი“, „ქილილა და დამანას“ საბასეულ ვერსიაში კი, – „თუი“.

ამ ოთხი ნუსხიდან ერთი გადანერილია „ქილილა და დამანას“ საბასეულ ვერსიამდე, დანარჩენი სამი, – ამ ვერსიის შემდეგ.

ეს კი იმას მოწმობს, რომ საბას გაგებით „თუვი“ და „თუი“, ერთმანეთისაგან ერთადერთი ასოთი („ვ“) განსხვავებული, – ერთი მნიშვნელობის სიტყვებია („თუვი“ ფონეტიკური ვარიანტია სიტყვისა „თუი“).

„შხეროს“ საბასეული განმარტება და მისი სპარსული შესატყვისი („თუვი“) გაიზიარეს ვახტანგ VI-მ (ამან, – თურქულიც), დავით ბაგრატიონმა, იოანე ბაგრატიონმა და თეიმურაზ ბაგრატიონმა;

მათ ხელში ნამყოფია საბას ლექსიკონის სწორედ ის ნუსხები, სადაც შეტანილი და განმარტებულია „შხერო“;

ვახტანგის ხელში, – H-1658, A-75, H-1429,⁹⁷

დავითისა და იოანეს ხელში, – H-1736,⁹⁸

დავითისა და თეიმურაზის ხელში, – H-2139⁹⁹

საკუთრივ იოანეს ხელში (გარდა H-1736-ისა), – H-3711 და L-№ 253.¹⁰⁰

ეს კი ის ხალხია, რომელიც ყველაფერში როდი ეთანხმება საბას; მაგალითად, საბა წერს:

„ზამბაკი და ზამბარაკი სადაფია“.

ვახტანგი შენიშნავს: „...ზამბაკი ვეჭობ სადაფი იყოს“...¹⁰¹

ვახტანგის მიერ ანალოგიური შენიშვნებია გაკეთებული „ლევიათანისა“ და „დაბადების“ განმარტებებზეც.¹⁰²

საბას, ცოტა არ იყოს, კადნიერადაც კი უწუნებს არწივის განმარტებას დავით ბაგრატიონი:

„ამისი თარგმანი საბას ვერ შეუგნია“-ო, და, ამ ფრინველის საბასეული თურქული შესატყვისის „აიდიოს“ (რაც ბერძნულია და არა

თურქული) ნაცვლად წერს არწივის ერთერთ ნამდვილ თურქულ შესატყვისს „ყარაყუმ“.¹⁰³

ასევე, „ფასკუნჯის“ საბასეულ განმარტებებზე იგი წერს: „საბას ამისი არა სცოდნია რა“ (H-2139).

არანაკლები სიმკაცრით ეპყრობა „ნიანგის“ საბასეულ განმარტებას (მის სპარსულ შესატყვისს) თეიმურაზ ბაგრატიონი: „ნიანგი სწერია ჩვენს საბას ლექსიკონში, რეცა ნაანგ სპარსულად კორკოდლილოს ერქვას, მაგრამ დიახ ტყუილი არის“.¹⁰⁴

საბას აედონი და იადონი სინონიმებად მიაჩნია; იოანე არ ეთანხმება მას: „აედონი საბა ორბელიანს უწოდებია იადონად, გარნა აედონი სხუა არს და იადონი სხუა“.¹⁰⁵

ამგვარი კრიტიკული დამოკიდებულება საბას ლექსიკონის მიმართ, კიდევ უფრო მარწმუნებს „შხეროს“ საბასეული განმარტებისა და ამ ფრინველის, საბას მიერ დასახელებული, სპარსულ-თურქული შესატყვისის („თუვი“) სისწორეში.

სხვებს რომ თავი დავანებოთ, თვითონ საბას „შხეროს“ მისეული განმარტებისა და მისი სპარსულ-თურქული შესატყვისის (რომელიც მან 1715-1716 წწ.-ში დაწერა) გადამონმების არაერთი შემთხვევა ჰქონდა:

1. „ქილილა და დამანას“ ვახტანგისეული ვერსიის (M-53) „გაჩალხვისას“ 1717 წელს (ამ ვერსიაში, როგორც ვიცით, წერია „თუი“, რომლის ადგილას საბა წერს „შხეროს“).

2. A-1473-ის გადანერისას 1719-1720 წლებში („ეს წუსხა გადანერილია საკუთრივ საბას მიერ (გარდა უკანასკნელი ფურცლისა). იგი ერთადერთია ავტოგრაფულ წუსხათა შორის, რომელიც საბას „ლაბორატორიას“ არ გასცილებია და რომელზედაც არ აღბეჭდილა სხვისი ხელით მიწერილი დამატებანი“).¹⁰⁶

3. A-75-ის გადანერისას 1721-1722 წლებში („ეს წუსხა წარმოადგენს საბას ლექსიკონის ავტორიზებულ წუსხას. გადანერილია ზოსიმე ორბელიანის მიერ, მკრთალი მელნით. სიტყვათა უცხოური შესატყვისები ლექსიკონის ერთ ნაწილში (დაახლოებით შუამდე) ზოსიმეს

მიერაა ნაწერი, ამ ნაწილში დამატებითი მასალა აქა-იქ საბას ხელითაა შეტანილი, ხოლო შუიდან (ან ცოტა შემდეგ) იმავე ხასიათის სამუშაო მთლიანად საბას შეუსრულებია“).¹⁰⁷

4. H-1429-ის გადანერისას 1723-1725 წლებში („ეს წუსხა წარმოადგენს საბას სიტყვის კონის ცნობილ, უკანასკნელ ავტოგრაფულ წუსხას. ლექსიკონი გადანერილია საბას და ზოსიმეს მიერ ზიარად“).¹⁰⁸

საბამ კი, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, თავისი ლექსიკონის ყველა ამ წუსხაში, „შხეროს“ მისეული, პირველი განმარტებიდან ამოიღო მხოლოდ მისი თურქული შესატყვისის „თუვი“ და სიტყვა „უნოდენ“ შეცვალა სიტყვით: „უკობენ“ („შხერო“, რომ კაკბის მსგავსი პატარა ფრინველია და სპარსნი „თუვის“ ეძახიან, – ყველა წუსხაში დატოვა).

მანც, რა ფრინველია სპარსულსა და თურქულში ეს თუვი/თუი?!
طوی (ტრჲ/ტჷჲ),¹⁰⁹ توی (თრჲ/თჷჲ)¹¹⁰ თურქულად ნიშნავს სავათს.

ბუჲჲჲ თრჲ სავათია, ქუჩუქ თრჲ – სარსარაკი.¹¹¹

ბუდაგოვით طوی ეწოდება სავათსაც და სარსარაკსაც.¹¹²

ჩანს, სწორედ ამ თრჲ/თჷჲ-მ მისცა საფუძველი დ. ჩუბინამვილს, თავის ლექსიკონში „შხეროს“ რუსულ შესატყვისად დაენერა: Драхва, стрепет; მ. ჯანაშვილმა კი, იხელმძღვანელა რა დ. ჩუბინამვილის ლექსიკონით, ვახუშტის „შხერო“ თარგმნა Драхва-დ.¹¹³

მაგრამ საქმე იმაშია, რომ სავათი და სარსარაკი, ჯერ ერთი, კაკბის მსგავსნი არ არიან, მეორეც (რაც მთავარია) თავიანთი ზომანონით ბევრად აღემატებიან კაკბს (სავათის სიგრძეა 100 სმ. (ზოგჯერ მეტიც),¹¹⁴ წონა (მამლისა), – 11-16 კგ., დედლისა, – 4-8კგ.;¹¹⁵ სარსარაკის სიგრძეა 50 სმ.,¹¹⁶ წონა, – 740-910 გრ.;¹¹⁷ მაშინ, როცა კაკაბი სიგრძით 35 სმ-ია,¹¹⁸ წონით, – 370-770 გრ.).¹¹⁹

არადა, საბა გარკვევით ბრძანებს: – შხერო კაკბის მსგავსი და კაკაბზე პატარააო!

ძალიან კარგი.

საქმე თითქოს გათავდა...

მაგრამ ხომ შეიძლება, სავათისა და სარსარაკის გარდა, თუი/თუვი ერქვას იმ ფრინველსაც, რომლის ქართული სახელია შხერო?!

ამა თუ იმ ენაში იშვიათი შემთხვევა როდია, ერთი სახელი, რომ ჰქვია სრულიად სხვადასხვა ფრინველს (ამის არაერთი მაგალითი მოყვანილი მაქვს ზემოთ, – რამდენიმე ადგილას).

აქაც, ამ შემთხვევაშიც, თუვისთან მიმართებაშიც ასე ხომ არაა საქმე?!

არა! –

არა! – ვინაიდან არც სპარსულში, არც თურქულში თუი/თუვი არ ჰქვია ფრინველს, რომელიც კაკბის მსგავსია და კაკაბზე პატარა.

შხეროს საბასეული სპარსულ-თურქული შესატყვისი თუვი, რომლის ფონეტიკური ვარიანტი თუი¹²⁰ XIX საუკუნეში გაიგეს, როგორც ოსმალური طو, تو (ტრჲ/ტუჲ, თრჲ/თუჲ: „სავათი“), დღეს მოუსადაგეს სიტყვა tovuz-ს¹²¹ [طويز (ტრჲვის/ტუჲვის) – „პატარა ფარშავანგი“].¹²²

ორნითოლოგიაში ცნობილია ფარშავანგის სამი სახეობა:

1. ჩვეულებრივი ფარშავანგი (*Pavo cristatus* Linn).
2. შავფრთიანი ფარშავანგი (*Pavo nigripennis* Schat).
3. ბირმული, ანუ იაფური, ანუ ლურჯფრთიანი ფარშავანგი (*Pavo muticus* Linn).¹²³

1936 წელს აღმოჩენილ იქნა ფარშავანგის მსგავსი ფრინველი, ე. წ. აფრიკული ფარშავანგი (*Afropavo congensis*), რომელიც ბინადრობს კონგოს აუზის ტყეებში.¹²⁴

საშუალოდ ფარშავანგის სიგრძეა (მამლისა) – 100-125 სმ, დედლისა, – 95 სმ,¹²⁵ წონა, – 4-4,25 კგ.¹²⁶

ფარშავანგის არაბული, სპარსული და თურქული სახელწოდებაა طواس, طاووس („ტაჲჲუს“);¹²⁷ საბათი მისი თურქული შესატყვისია: თაუზყუმ, თაუზყუმი, თაუჯ; ტობოლის კილოზე, – ტავის,¹²⁸ აზერბაიჯანულად, – ტოვუზ, ტოვუზ ყუშუ,¹²⁹ უზბეკურად, – ტოვუს,¹³⁰ ყირგიზულად, – ტოოს.¹³¹ რადლოვთან გვაქვს აგრეთვე: აკ ტავუს („თეთრი ფარშავანგი“) და მაბან ტავუსუ („პრანნია“, „ველის პრანნია“ – *Chettusia gregaria* Pall).¹³²

მაბან ტავუსუ-ს (გარდა ამ სახელისა) თურქულში კიდევ ჰქვია: **kiz kuşu, tavuscuk kuşu**,¹³³ სპარსულად, - **کاروان** („ქარვანაქ“) **کاروان** („ქარვან“).¹³⁴

რაიცა შეეხება **طويس** („ტოვის“/„ტუვის“), ეს, როგორც უკვე ითქვა, არაბულად და სპარსულად ნიშნავს „პატარა ფარშავანგს“ და სწორედ აქედან მოდის „პატარა ფარშავანგად“ გაგება საბასეული „თუვი“-სი.

რაა ეს „პატარა ფარშავანგი“?! –

რაც არ უნდა იყოს (რაკილა ფარშავანგია), კიდევ რომ აკმაყოფილებდეს „შხეროს“ საბასეული განმარტების ორივე პირობას (ჰგავდეს კაკაბსა და იყოს მასზე პატარა), მაინც არ შეიძლება იგი შესატყვისი იყოს „შხეროსი“, ვინაიდან, ვახუშტის მიხედვით, „შხერო“ არ იცის სამცხეში, რაც იმას გულისხმობს, რომ იცის სხვაგან, – საქართველოში;¹³⁵ საქართველოს ტერიტორიაზე კი, ვახუშტის დროს კი არა, თვით იმჟამად, ოდეს ქართლი ზღვიდან ზღვამდე იყო გაშლილი, ველურად არანაირი ფარშავანგი არ არსებულა.

იქნებ, აქაც ზიარ სახელთან გვაქვს საქმე?!

იქნებ, „თუვი“, „პატარა ფარშავანგის“ გარდა, ჰქვია იმ ფრინველსაც, რომელიც კაკბის მსგავსია და კაკაბზე პატარა?! –

ეს რომ ასე არაა, უკვე ითქვა.

კი, მაგრამ, – რაშია საქმე?! –

თვითონ საბა ხომ არ შეცდა, როცა ვახტანგისეული „თუი“-ს ქართულ შესატყვისად „ქილილა და დამანაში“ დანერა „შხერო“, ხოლო „შხეროს“ თურქულ-სპარსულ შესატყვისად, – თავის ლექსიკონში, – „თუვი“?!

შეცდა?! –

თუ საბა შეცდა, – სად იყო ვახტანგი?! სად იყო დავითი?! სად იყო იოანე?! სად იყო თეიმურაზი?! – მათ რატომ არ შენიშნეს ეს?!

საქმე იმაშია, რომ ეს „თუი“/„თუვი“ (ამ სახით) სპარსულსა და თურქულ ლექსიკონებში საძებარი სიტყვები არაა!

ვახტანგისულ ვერსიაში, სადაც „თუი“ წერია (როგორც არაერთხელ აღვნიშნე), – ორიგინალში იქ: ალაგ „თიჰჷ“-ა, ალაგ, – „თიჰჷ“.

ორიგინალს რომ თავი დავანებოთ, „თიჷ“ წერია სამისეულ ვერსიაშიც (გვ. 347, 348), რომელსაც, ცხადია, შესანიშნავად იცნობს ვახტანგი.¹³⁶

ისმის კითხვა:

რანაირად გახდა სპარსულ-თურქული¹³⁷ „თიჰჷ“ საბასთან „თუვი“, ვახტანგთან, – „თუი“?!

როგორ უნდა ავხსნათ ის ფაქტი, რომ საბამ კონსტანტინოპოლში (1715-1716 წ.წ.), ვახტანგმა ქირმანში (1714-1716 წ.წ.), ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, სპარსულ-თურქული „თიჰჷ“ ერთმა დანერა, როგორც „თუვი“, მეორემ, – როგორც „თუი“?!

ეს ორნაირად შეიძლება აიხსნას:

1. ვახტანგი „ქილილა და დამანას“ მისეული ვერსიის ენაზე, თავის ანდერძში ამბობს: – მე ჩემი თარგმანი „ადვილისა და მსოფლიოს სიტყვით დაენერე“-ო.¹³⁸

მ. თოდუა მიმოიხილავს რა ვახტანგისეული ვერსიის ენობრივ მხარეს, ასკვნის: „ვახტანგმა თავისი სტრიქონთარგმანი მისი თანამედროვე ენით შექმნა. ამ ენაში ბევრი იყო აღმოსავლური ლექსიკა და ვახტანგის ენაში აირეკლა იგი“¹³⁹ (ხაზი ავტორისა).

ასეა მართლა ეს?! –

ვნახოთ:

სამისეულ ვერსიაში, იქ, სადაც წერია: „მესარეცხე“ (გვ. 548), – ვახტანგთან „გაზირი“-ა (გვ. 655), საბასთან, – „მმურკნელი“ (გვ. 304).

„ქილილა და დამანას“ სამისეული ვერსიის გარდა, ძველ ქართულ მწერლობაში მე ჯერ ვერსად ვიპოვე სიტყვა „მესარეცხე“ (ამ ფორმით ეს სიტყვა დღესაც არ იხმარება; ამბობენ „მოსარეცხე“-ს, ანდა „მრეცხავს“).¹⁴⁰ საბას ლექსიკონში განსამარტ ერთეულად არც „მესარეცხე“-ა, არც „მოსარეცხე“, არც „მრეცხავი“, იქ არის „მრცხელი“ (წყაროზე მიუთითებლად).

„მმურკნელს“ (წყაროზე მითითებით: 9,2 მარკ.) საბა განმარტავს სიტყვით: „მრეცხელი“. ¹⁴¹ ამავე სიტყვითაა მასთან განმარტებული (წყაროზევე მითითებით: 7,3 ესაია) სხვა ფორმა: „მმურკვენელი“, ¹⁴² რომელსაც თურქულ შესატყვისად უზის „გაზირ“.

ეს სიტყვები („მმურკნელი“ და „მმურკვენელი“) არის საბას ლექსიკონის მხოლოდ ორ ავტოგრაფში (A-1473, H-1429).

ორივე ეს ნუსხა გადაწერილია „ქილილა და დამანას“ გაჩაღვისას, ანდა გაჩაღვის შემდეგ ¹⁴³ (A-1473, - 1719-1720 წ.წ., H-1429, - 1723-1725 წ.წ.). ¹⁴⁴

რაკილა ვახტანგი სამისეულის „მესარეცხის“ ადგილას წერს „გაზირს“, თუკი მისსავე ანდერძს ვენდობით (რატომ არ უნდა ვენდოთ?!) და თუ ვახტანგისეული ვერსიის ენაზე მ. თოდუას მოსაზრებასაც გავიზიარებთ (რატომ არ უნდა გავიზიაროთ?!); - შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ვახტანგისა და საბას დროს საქართველოში ეს სიტყვა („გაზირი“) უეჭველად იხმარებოდა.

ამ ვარაუდს ხელს ვერ შეუშლის ის ფაქტი, რომ „გაზირი“ საბას ლექსიკონში განსამარტ ერთეულად შეტანილი არაა, ვინაიდან საბას განსამარტ ერთეულად ასევე არ შეაქვს „ყაზალახი“ [თურქული შესატყვისი „ტორუასი“ (H-416)], მაგრამ იგი რომ ნამდვილად იყო საბასდროინდელ ქართულში, ამას მოწმობს ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, სადაც საქართველოში გავრცელებულ ფრინველთა შორის დასახელებულია „ყაზალახიც“. ¹⁴⁵

აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, გამორიცხებული არაა, რომ ვახტანგისა და საბას დროს საქართველოში იხმარებოდა ფრინველის სახელი „თუი“/„თუვი“. ¹⁴⁶

იმჟამინდელ ქართულში ამ სიტყვების („თუი“/„თუვი“) არსებობაზე უნდა მეტყველებდეს, აგრეთვე, ერთი მათგანის უვინობა;

ქართულში უკანა და წინა რიგის ხმოვანთა შორის (როცა უკანა წინაა და წინა, - უკან) ხშირად ვითარდება „ვინი“: ცხოველი>ცხოველი, ტყუილი>ტყუვილი, ცრუი>ცრუვი, ¹⁴⁷ მროელი>მროველი, ¹⁴⁸ სოელი>სოველი ¹⁴⁹ და სხვ.

„თუის“ პარალელურად „თუვის“ ფიქსირება საბაბს გვაძლევს ვი-ფიქროთ, რომ ეს ორი სიტყვა (უფრო ზუსტად: ერთი სიტყვის ეს ორი ფორმა) ქართული ხალხური გახმიანებაა სპარსულ-თურქული „თიჰჰუ“/„თიჰჰე“-სა („თიჰჰუ“/„თიჰჰე“ რანაირად გახდა „თუი“/„თუვი“, – ამის შესახებ, მოგახსენებთ აქვე, ცოცხათი ქვემოთ).

2.

ტ. ვახტანგისა და საბას დროს (XVII ს-ის მეორე და XVIII ს-ის პირველი ნახევარი)¹⁵⁰ ირანის სამეფო კარის ენა თურქულის ყიზილ-ბაშური დიალექტია.¹⁵¹

ღ. აზერბაიჯანულ და თურქულ ენათა დიალექტებში ი/ი ჩვეუ-ლებრივი მოვლენაა:¹⁵² **هت / ه، خچ / چ.**¹⁵³

ქ. წარმოთქმაში ი ხმოვანი სუსტად აღიქმება, იკარგება: ყრხ (<qürx), დრნალ (<dürnaq).¹⁵⁴

ძ. „ჰ“-ს დაკარგვა ჩვეულებრივი მოვლენაა, როგორც სპარსულ-ში, ისე ქართულში.¹⁵⁵ სადღესოდ, მაგალითად, ბელუჯთა მეტყველე-ბაში „ჰ“ ფონემა სულ აღარ გამოითქმის.¹⁵⁶

ქართველის ყური უცხოური სიტყვის „ჰ“-ს ხშირ შემთხვევაში სრულიად არ აღიქვამს: რეჰან>რეანი,¹⁵⁷ შაჰრაჰ>შარა, შაჰმაჰი>შამაია.., ან აღიქვამს, როგორც „ხ“-ს: შაჰ>შახი, ხალმაჰი>კალმახი, ყაჰბე>კახბა...

„საერთოდ „ჰ“-ს შემონახვა უფრო მნიშვნობრული გზით შემო-სულ სიტყვებშია სავარაუდებელი, უფრო ბუნებრივი კი ქართული-სათვის არის „ჰ“-ს დაკარგვის ტენდენცია ყველა პოზიციაში, რაც უფრო მოგვიანო ძეგლებში განხორციელებულია კიდევ“.¹⁵⁸

წ. „სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის თურქული თარგმანები ზეპირმეტყველების, ცოცხალი სასაუბრო ენის ნიმუშე-ბია. თურქული სიტყვები ჩანერილია წარმოთქმის კვალობაზე... ქართული ტრანსკრიფციით გამოხატულია იმ დროის თურქული

ცოცხალი მეტყველება და არა ლიტერატურულ-მნიგნობრული წარმოქმა".¹⁵⁹

იგივე უნდა ითქვას სპარსულზე და სპარსულთან ვახტანგის დამოკიდებულებაზეც¹⁶⁰ (ამის საფუძველს იძლევა მისი „თუი“, – ფონეტიკური ვარიანტი საბასეული „თუვი“-სა).

თურქულისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური მოვლენის ($\bar{n}/n > 0$),¹⁶¹ სპარსულში „ჰ“ ფონემის კარგვის, უცხოური სიტყვის „ჰ“ ბგერასთან ქართული სმენის ($\text{ჰ} > 0$), თურქულთან საბას და სპარსულთან ვახტანგის დამოკიდებულების მიხედვით, სპარს. – თურქ. „თიჰჰ“/„თიჰჰჰ“ საბას და ვახტანგს უნდა დაენერა, როგორც „თუი“.¹⁶² ვახტანგმა ასეც დანერა.

მხოლოდ საბასთან გვაქვს „თუვი“ (S-31-ში კი არა, – ლექსიკონში; S-31-ში „თუი“-ა).¹⁶³

საიდან?!

„თუი“-ს პარალელურად „თუვი“-ს დანერა შესაძლებელია ორ შემთხვევაში: ან საბას დროს ქართულში იხმარებოდა ეს სიტყვა (ქართული ფონეტიკის ნიადაგზე წარმოქმნილი: თუი > თუვი, – ისევე, როგორც ცრუი > ცრუვი), ანდა ٤٠٤٥ (ქაშეჩისთან დადასტურებული პარალელური ფორმა „თიჰჰ“-სი) მაშინდელ სპარსულსა და თურქულში წარმოითქმოდა არა მხოლოდ, როგორც „თიჰჰჰ“, არამედ, როგორც „თიჰჰჰჰ“-ც.¹⁶⁴

ასეა თუ ისე:

რომელი ენის ფონეტიკის ნიადაგზე წარმოქმნილადაც არ უნდა ჩავთვალოთ ჩვენ ეს „თუი“/„თუვი“ (ქართულისა, სპარსულისა თუ თურქულისა), იგი, უეჭველად საბას და ვახტანგის დროინდელი (შესაძლოა, უფრო ადრინდელი) სპარსისა თუ თურქის მიერ ზეპირად წარმოთქმული, ქართული სმენით აღქმული, – სპარსულ-თურქული „თიჰჰჰ“/„თიჰჰჰჰ“-ა.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ, შეგვიძლია გადაჭრით ვთქვათ: „შხერო“ (რომელსაც სპარსულად და თურქულად, საბას სიტყვით, ეწოდება „თუვი“/„თუი“) არც გნოლია, არც ხოხობი, არც ბალრიყარა, არც თუთიყუმი, არც სავათი, არც ფარშავანი!

არის ფრინველის ცალკე სახეობა!

რაიცა შეეხება საკითხს, თუ სემანტიკურად რამდენად ზუსტი შესატყვისია იგი სპარსულ-თურქული „თიჰჰისი“, ეს მხოლოდ მაშინ გახდება ნათელი, როცა გაირკვევა რას ნიშნავს სპარსულსა და თურქულში „თიჰჰ“/„თიჰჰჲ“.

تیهو

სპარსული ენის განმარტებით ლექსიკონებში (ბორჰან=ე ყაჰე', სერაჯ ალ = ლულათ, ღიჲას ალ = ლულათ, ჭარჰანგ = ე ნაჰინ) تیهو ისევეა განმარტებული, როგორც საბასთან „შხერო“ (ყველგან კაკაბს ადრიან).

تیهو - ერთგვარი ფრინველია, - კაკბის მსგავსი, მაგრამ კაკაბზე მომცროა. მისი ფალაური შესატყვისია თიჰჰჰჰ, არაბული, - თიჰჰჰჰ და ტიჰჰჰჰჰ, ქურთული, - თეჰჰჰ [ბორჰან = ე ყაჰე' (1652 წ.)].

ღიჲას ალ = ლულათ-ი (1827 წ.), ამ სიტყვის განმარტებისას, იმ-ონმებს სერაჯ ალ = ლულათსა (1755 წ.) და ბორჰან = ე ყაჰე'-ს:

تیهو - სერაჯ ალ = ლულათ-ში წერია (წერს ღიჲას ალ = ლულათ-ი): „კაკბის მსგავსი ფრინველია, მაგრამ მასზე მომცროა...“ ინდუსტანში არ მოიპოვება, თუ არა შემოყვანილიო... სენდ ამინ ად-ღინ ხანმა ქაბულიდან ჩამოიყვანაო“... ავტორს¹⁶⁵ იგი დელიში უნახავს. არაბულად თიჰჰჰჰს უწოდებენ. ბორჰან = ე-შიც ასეა განმარტებული (განაგრძობს ღიჲას ალ = ლულათ-ი): „ერთგვარი ფრინველია, - კაკბის მსგავსი, მაგრამ კაკაბზე მომცროაო“... ავტორის¹⁶⁶ აზრით ინდურად მას لو ეწოდება.¹⁶⁷

ჭარჰანგ = ე ნაჰინ-ში (XX ს.) კკითხულობთ:

تیهو - სახელია ერთი ფრინველისა, რომელიც კაკაბსა ჰგავს და მასზე პატარაა. შიჰჰ-საც (شيشو) უწოდებენ.

სპარსულ-უცხოური ლექსიკონები წერენ:

تیهو - (tīhū) - A bird smaller than a partridge,¹⁶⁸ a quail („კაკაბზე პატარა ფრინველი, მწყერი“).¹⁶⁹

تیهو unde ar. تیهو ج, avis quaedam perdici (كبک) similis sed minor... („თიჰუჰ, - აქედან არაბ. თიჰუჰჰ, ერთგვარი ფრინველი, კაკბის (ქაბქ) მსგავსი, მაგრამ უფრო მომცრო“...).¹⁷⁰

თურქულ-ფრანგულ ლექსიკონში წერია:

تیهو - (tīhou)-s p. Petite perdrix grise (პატარა გნოლი“).¹⁷¹

ამავე ლექსიკონში არის სიტყვა تیهو, რომელიც განმარტებულია ასე:

تیهو (tīhour) et تیهوش (tīhouch) - s. t perdrix grise de la petite espèce („თიჰურ და თიჰუშ, - გნოლის პატარა სახეობა“).

რაიცა შეეხება სპარსულ-რუსულ და თურქულ-რუსულ ლექსიკონებს, აქ საქმე ასეა:

تیهو - (tuhy) - горная или пустынная курочка.¹⁷²

تیهو - (tuhy) - Куропатка серая.¹⁷³

تیهو - серая куропатка.¹⁷⁴

n. تیهو, تیهو - серая куропатка.¹⁷⁵

მაშასადამე:

ფალაური თიჰუჰ, არაბული თიჰუჰჰ/ტიჰუჰჰ, ინდური لو, სპარსულივე შიჰუ, ინგლისური quail, რუსული серая куропатка და горная ანდა пустынная курочка, თურქული თიჰურ/თიჰუშ და თიჰუ შესატყვისნი ყოფილან სპარსული თიჰუ-სი.

ამავე დროს თიჰუჰ ყოფილა, არამცთუ კაკაბზე, თვით გნოლზე პატარა; ყოფილა „გნოლის პატარა სახეობა“.

„შხეროსი“ არ იყოს, როგორც ვხედავთ, არც „თიჰუჰეა“ ყველა ერთი აზრისა.

ყახიონ

სომხურში გვაქვს ფრინველის სახელწოდება **ყახიონ** („დაჰუჭ“). ეს სიტყვა, ჯერ კიდევ, გრიგორ მაგისტროსის (XI ს.) გრამატიკაშია ნახმარი.¹⁷⁶

თანამედროვე ლექსიკონებში ამ სიტყვის განმარტება ასეთია; სომხურ-რუსულში:

ყახიონ - **рячик**.¹⁷⁷

რუსულ-სომხურში:

Рячик – **საქამპ**, **ყახიონ**.¹⁷⁸

ძველი სომხების გაგებით:

ყახიონ – უცნობი სიტყვაა. ეტყობა, ნადირია, – გამოსადეგი ძღვნად და გემრიელი საჭმლის დასამზადებლად. გვხვდება **დაჰუნ** და **ტაჰუნ** ფორმითაც.¹⁷⁹

ყახიონ – ხორცი თუ კერძი რომელიღაც გარეული ნადირისა.¹⁸⁰

ყახიონ – იგივე **საქამპ**. **ყახიონ** სპარსული სიტყვაა.¹⁸¹

ზაიდელითა და დე ლაგარდეთი „დაჰუჭის“ ფრანგული შესატყვისია **francolin**.¹⁸²

აჭარიანთან (ისევე, როგორც „არძერნ ბარარან“-ში) „დაჰუჭის“ სინონიმია „სალამბ“, ხოლო ფრანგული შესატყვისი, – **francolin** (მსგავსად ზაიდელისა და დე ლაგარდესი).¹⁸³

დე ლაგარდეს „დაჰუჭი“ ზენდური **dbhaka**-ს ფონეტიკურ ვარიანტად მიაჩნია.

ადონცის აზრით, „დაჰუჭის“ წინაპარია არაბულ-სპარსული **ṭaus** და ბერძნული **ταῦς** („სიქიამაქი“).¹⁸⁴

აჭარიანი „დაჰუჭზე“ საუბრისას იხსენებს არაბ. „თიჰჰუჯს“, რომელიც კამუხის მიხედვით, არაბიზირებული სინონიმია სპარსული „თიჰუსი“, ხოლო მისი თურქული შესატყვისია „ჩილყუშე“. ¹⁸⁵

სპარსული ლექსიკონი¹⁸⁶ ამ „თიჰუს“ თურქულ ფარდად ასახელებს „ჩილ“ სიტყვას, რომლის სომხური შესატყვისია „სალამბ“¹⁸⁷ – **серая куропатка**.

მე უდავოდ მიმაჩნია სომხური դახიუნ-ის არაბული „თიჰუჯ“-
იდან წარმომავლობა.

ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სომხურში „დაჰუჟ“ (აჭარიანი და
სხვებით) დაახლოებით იმავე ფრინველს ნიშნავს, რასაც არაბულში
„თიჰუჯ“/„ტიჰუჯ“ და სპარსულში „თიჰუ“; მეორეც, სომხური-
სათვის ტ>დ, ი>ა, ჯ>ჭ, – სავსებით ბუნებრივია, მით უმეტეს
უცხოურთან მიმართებაში [ქართ. ტენცო>სომხ: დალძ (ტ>დ); თურქ.
ჩილ>სომხ. ჩალიჯ (ი>ა); ქართ. ფასკუნჯ-ი>სომხ. პასკუჟ, მეგრ.
ჭანჯი>სომხ. ჭანჭ¹⁸⁹(ჯ>ჭ)].

რაცაა შეეხება საკითხს, თუ კერძოდ, რომელი ფრინველის აღმ-
ნიშვნელია იგი სომხურში, – ეს ნათელი გახდება სპარსულ-თურქული
„თიჰუს“ კონკრეტული რაობის გარკვევის შემდეგ, რაც მოხდება
ქვეთავში „ჩილ“.

თიჰუქ, თიჰუჯ, ტიჰუჯ, დაჰუჟ, დაჰუნ, ტაჰუნ, თიჰურ,
თიჰუშ, შიშუ, თიჰუ აშკარად ფონეტიკური ვარიანტნი არიან სი-
ტყვისა თიჰუ.

თითოეული მათგანის ერთერთი თავდაპირველი მნიშვნელობა
უდავოდ იგივეა, რაც თიჰუსი.

რაა თიჰუს ის ერთერთი თავდაპირველი მნიშვნელობა, რომლის
გამოც საბასთან იგი (ფორმით: თუვი) შესატყვისია შხეროსი, ქვე-
მოთ გახდება ცხადი.

აქ ჩვენ ჯერ განვიხილოთ ინდური لوا.

لوا

لوا-ს გახმიანებაა „ლავა“ (𑀮𑀺𑀭), ხოლო მისი განმარტებანი ასე-
თია:

𑀮𑀺𑀭 лава м. перепел.¹⁹⁰

𑀮𑀺𑀭 лава м. р. зоол. перепел (вид *Perdix chinensis*).¹⁹¹

ულუნბეკთან (Уленбек, PBB 29, 344 და შ.) „ლავა“ გვაქვს ფო-
მით Labas („მწყრის სახეობა *Perdix chinensis*“); იგი ამ სიტყვას

რუსულ Рябой-ს უკავშირებს, რაც მ. ფასმერს არადამაჯერებლად მიაჩნია.¹⁹²

Perdix chinensis-ის რუსული შესატყვისია перепелка китайская, ფრანგული – Caille á fraise, Caille de la chine, Caille des Philippines და Caille de Manille.¹⁹³

სხვაგან (სახელდობრ: "The book Indian birds"-ში): Lowwa (იგივე „ლავა“) ინდური სახელწოდებაა The Indian Button Quail-ისა და The Jungle Bush Quail-ის [ამ უკანასკნელს იქ ლათინურ ნომენკლატურად უზის *Perdica asiatica* (Latham)].

რაიცა შეეხება ჩვეულებრივ მწყერს (*Coturnix coturnix Linnaeus*), ამ წიგნში მისი ინდური სახელია Batēr, chbugus batēr, [ეულერსის სპარსულ-ლათინურ ლექსიკონში ეს სიტყვა, ფორმით: بتير („ბათ-ირ“) ინდური შესატყვისია არაბული „სალვა“-სი (سَلْوَا), რაც მისივე განმარტებით არაბულად ნიშნავს „მწყერს“ (*coturnix*)].

„ჩინეთის ორნითოფაუნაში“ (1955 წ.) „ჩინური მწყერის“ (*Perdix chinensis*) ნომენკლატურებია *Tetrao chinensis Linne.* (1766) და *Excalfactphia Bonaparte* (1856), – (იქ ერთმანეთის სინონიმნი).¹⁹⁴

ბრემთან დაწვრილებითაა აღწერილი ერთი სახეობის „მწყერი“ (იქ მისი ლათინური ნომენკლატურაა *Excalfactphia chinensis*): „ფრინველს, რომელსაც ჩვენ პატარა მწყერს ვეძახით, – წერს ბრემი, – მეცნიერულ ენაზე ჰქვია *Excalfactphia*, რამაც არ შეიძლება არ გააოცოს ყველა, ვინც არ იცის ამ უცნაური სახელწოდების მიზეზი; საქმე იმაშია, რომ ჩინელები, თუ ლატამს დაფუჯერებთ, ზამთარში ხელეხს თურმე ამ ფრინველზე ითბობენ (აქედან მისი სახელი: *Excalfactphia*, – „გამათბობელი“).

ჩინური ხალიჩების მოქარგულობებში, ლატამისავე ცნობით, ხშირად გვხვდება ფრინველის ამ ტანჯვის ამსახველი სურათები. ფრინველის ეს სახეობა გავრცელებულია ინდოეთში, მალაის კუნძულებზე, ავსტრალიასა და მთელ ჩინეთში.

ზემოხსენებულ მოხატულობათა წყალობით, – განაგრძობს ბრემი, – ჩინური პატარა მწყერი ცნობილი იყო ჯერ კიდევ ლინეისათვის.

იგი (ეს მწყერი) ეკუთვნის გვარის ყველაზე ლამაზ სახეობათა რიცხვს; თვალწარმტაცი ფრინველია, მეტადრე მამალი;

სხეულის ზემო მხრის შეფერილობა აქვს მუქი წენგოსფერი, თავის წინა ნაწილი, ღანჭი, მკერდი და გვერდები, – მოყომრალლო ნაცრისფერი... ყელზე ავლია თეთრი არშია, რომელიც მკვეთრად ჩანს კუნაპეტ ფონზე".¹⁹⁵

ზემოთ მკითხველს დავპირდი: – ქვემოთ დარწმუნდებით *Perdix chinensis*, *Tetrao chinensis* და *Excalfactφria Bonaparte*, ერთი და იმავე ფრინველის ნომენკლატურები რომ არიან-მეთქი (იხ. შენიშვნა № 194).

ვასრულებ დანაპირებს:

ჩვენ უკვე ვიცით, რომ *Tetrao chinensis* Linne და *Excalfactφria Bonaparte* ერთმანეთის სინონიმებია (იხ. ზემოთ).

ბრემის *Excalfactφria chinensis*, რომ იგივე *Excalfactφria Bonaparte*-ია, – ესეც უდავოა!

ახლა გავიხსენოთ, რა ჰქვია ფრანგულად იმ ფრინველს, რომლის ლათინური ნომენკლატურაა *Perdix chinensis*?! –

ჰქვია, როგორც უკვე ვიცით, ოთხი სახელი;

ერთერთი მათგანია **Caille á fraise**.

რას ნიშნავს ეს?! –

Caille ფრანგულად არის „მწყერი“, **fraise**,¹⁹⁶ – დანაკეცებული მრგვალი საყელო.

ის მწყერი, რომელსაც ფრანგულად ეს სახელი ჰქვია (როგორც ბრემის აღწერილობიდან ჩანს) თვალში საცემია სწორედ თავისი თეთრი ყელით.

მაშასადამე: *Perdix chinensis*, *Tetrao chinensis* Linne, *Excalfactφria Bonaparte* და *Excalfactφria chinensis* ერთი და იმავე ფრინველის ნომენკლატურებია, სახელდობრ „ჩინური მწყერისა, რომელსაც ინდურად ეწოდება ऎ०१ („ლავა“/„ლოვა“).

ღმჱჱს ალ = ლულჱთ-ის (XIX ს.) მიხედვით, „თჱჱჱ“-ს ინდური შესატყვისია [ბორჱან = ე-თი (XVII ს.)] ل٠ და იგი [სერაჱჱ

ალ = ლულამთ-ის (XVIII ს. თანახმად] ინდოეთში არ მოიპოვება (იხ. ზემოთ).

ფრინველი, რომელსაც ეწოდება **ჩიჩი** („ლავა“) დღესაც უხვადაა ინდოეთში; რაიცა შეეხება „თიჭუ“-ს, იგი, როგორც უნინ, დღესაც არაა იქ.¹⁹⁷

აქედან დასკვნა: ინდური **چل** [ჩიჩი („ლავა“)] არაა შესატყვისი სპარსული **چل**-სი („თიჭუ“).

چل / چیل

چل-ს განმარტებისას ვულურსი, სხვა სინონიმთა შორის ასახელებს **ფარფარს** (პრ პრ).

თავის ადგილას ეს სიტყვა მისსავე ლექსიკონში განმარტებულია ასე:

პრ პრ - avis parva, alias **چل** dicta, ar. فر فر, turc. **چل** („პატარა ფრინველი, ზოგან თიჭუ-ს ეძახიან, არაბ. ფირფირ, თურქ. ჩილ“).¹⁹⁸

ამჯერად ჩემთვის საინტერესოა **ფარფარ**-ის (პრ პრ) თურქული შესატყვისი **چل** („ჩილ“);

ეს სიტყვა საბათი **გნოლის** თურქული სახელწოდებაა; რადესთან თათრული შესატყვისია **მწყრისა**.¹⁹⁹

ენახოთ, როგორ განმარტავენ ამ სიტყვას სხვები:

Чил (چیل) – [ოსმ. ვალათ.] – рябчик, – das Haselhuhn („ყურენი“,²⁰⁰ – რადლოვი).²⁰¹

ყაზ. **چیل** („ჩილ“), **چل** („ჩილ“), ყირგ. **чл** („შილ“) – рябчик, тур. также серая куропатка („ყურენი, თურქ. აგრეთვე **გნოლი**“, – ბუდაგოვი).²⁰²

چل (tchil) – s. t. 1. Perdrix grise et gélinotte („გნოლი და ყურენი“ – ბიანკი).²⁰³

ქიჯ („ჩილ“) – серая куропатка, серый франколин („გნოლი, რუხი დურაჯი“, – მილერი).²⁰⁴

Чил. *зоол.* серая куропатка, куропатка бородатая („გნოლი, წვეროსანი გნოლი“, – აკაბიროვი).

Чил каклик – куропатка пустынная („უდაბნოს გნოლი“, – აკაბიროვი).²⁰⁵

Чил – (*Perdix perdix*) – серая куропатка („გნოლი“ – ზახიდოვი).

Чил каклик – (*Ammoderdix griseogularis*) – куропатка пустынная („უდაბნოს გნოლი“ – ზახიდოვი).²⁸⁶

Чил – куропатка бородатая, Даурская куропатка („წვეროსანი გნოლი, დაურიის გნოლი“ – იუდახინი).²⁰⁷

Чил – 3. рябчик („ჟრუნი“, – ორუჯევი).²⁰⁸

Чил – 3. дикая курочка; рябчик („გარეული ვარია; ჟრუნი“, – ჭუსეინოვი).²⁰⁹

çil - 2. Серая куропатка; рябчик („გნოლი, ჟრუნი“, – მაგზანიკი).²¹⁰

çil - рябчик (*Tetrastes bonasia*) – („ჟრუნი“, – ბასკაკოვი).²¹¹

ქიჯ („ჩილ“) – 1. серая куропатка. Рябчик. 2. серый франколин (1. „გნოლი; ჟრუნი. 2. რუხი დურაჯი“, – რუბინჩიკი).²¹²

ზოოლოგიურ ტერმინთა ლექსიკონში (ისევე, როგორც ბასკაკოვთან) çil kuşu („ჩილ ყუშუ“) სინონიმია „დურაჯისა“ (turaç), მისი ლათ. ნომენკლატურაა *Francolinus francolinus*, გერმანული შესატყვისი, – *Francolinuhuhn*, ფრანგული, – *Francolin*.²¹³

çil - *Tetrastes bonasia* („ჟრუნი“).²¹⁴

თვით „ჟრუნის“ (Рябчик) განმარტებანი ასეთია:

Рябчик - *м. зоол. чил (куш)* – [„ჩილ (ყუშ)“, – აბდურახმანოვი].²¹⁵

Рябчик - *м. зоол. шил (кус)* – [„შილ (ყუშ)“, – საურანბაევი].²¹⁶

Рябчик - *м. 1. (пт.) сел* – („სელ“).²¹⁷

რუს. **Рябчик**-ის, გერმ. **Haselhuhn**-ის, ფრანგ. **gélinotte**-ს შესატყვისნი (ამ ლექსიკონთა მიხედვით) არიან ოსმალურ-ჯაღათაურ-ყირგიზულ-უზბეკურ-ყაზახურ-აზერბაიჯანულ-სპარსული ჩილ, ყირგიზული (ბუდაგოვით) და ყაზახური (საურანბაევი) შილ და ბაშკირული სელ (ჩილ, შილ, სელ ერთმანეთის ფონეტიკური ვარიანტები); ამათი (ყველასი) ლათინური ნომენკლატურა (ამ შემთხვევაში) **Tetrastes bonasia**.

გარდა ამისა, ჩილ თურქულად (ბიანკით, ბუდაგოვით, მაგაზანიკით), სპარსულად (რუბინჩიკით) ჰქვია აგრეთვე გნოლს. ასევე შილ (ბუდაგოვით) ყირგიზულში არა მარტო **ურუნია**, **გნოლიცაა**.

ამ შემთხვევაში ჩილ-ისა და შილ-ის ლათინური ნომენკლატურაა **Perdis perdis**.

გარდა **ურუნისა** და **გნოლისა**, ჩილ ნიშნავს ე. წ. „**რუხ ღურაჯს**“ (მილერიტა და რუბინჩიკით), უშუალოდ **ღურაჯს** (çil kuşu=turaç, – ZTS)²¹⁸ და „**უდაბნოს გნოლს**“ [(Чил каклик), – აკაბიროვითა და ზახიდოვით].

უზბეკური „**ჩილ ქაქლიქ**“-ის ლათინური ნომენკლატურა (ზახიდოვით) **Ammoperdix griseogularis**-ია.

რაიცა შეეხება ჰუსეინოვის „**ჩილ**“-ის მესამე მნიშვნელობას („**გარეული ვარია**“), ამაშიც სწორედ ეს უზბეკური „**ჩილ ქაქლიქ**“ იგულისხმება; მეტიც, ისევ და ისევ ეს ფრინველი გახლავთ მილერთან და რუბინჩიკთან „**ჩილ**“-ის მეორე მნიშვნელობაში არსებული „**რუხი ღურაჯიც**“, ვინაიდან „**რუხი ღურაჯი**“, როგორც ასეთი, საერთოდ არ არსებობს.

აქ კი, ამ „**რუხი ღურაჯის**“, ამ „**უდაბნოს გნოლის**“, ამ „**გარეული ვარიისა**“ და ამ „**ჩილ ქაქლიქის**“ ლათინური ნომენკლატურაა **Ammoperdix griseogularis**.

როგორც ვხედავთ, სამი ლათინური ნომენკლატურა ამ ერთ „**ჩილზე**“ ედავება ერთმანეთს;

სამთავე სათითაოდ იჩემებს მას;

არადა, სინამდვილეში იგი სამივესია! –

აი, რატომ:

იმ „ჩილს“, რომლის ნომენკლატურა *Ammoperdix griseogularis*-ია, ეს სახელი („ჩილ“) ეწოდა ხმიანობის გამო („მისი სტვენისმავარი ხმა შეიძლება გადმოიცეს სიტყვებით „სილ-სილ“ ან „ჩილ-ჩილ“),²¹⁹ „ჩილებს“, რომელთა ნომენკლატურებიც *Tetrastes bonasia* და *Perdix perdix*-ია, – ფერის გამო.²²⁰

სიტყვა „ჩილ“ თურქულსა და მის დიალექტებში, გარდა ამ ფრინველებისა, ნიშნავს გარკვეულ ფერსაც:

ჩილ (ოსმალ.) – 2. დანიწკლული, წინწკლებიანი (რადლოვი).

ჩილ – 1. დაფარული რუხი, თეთრი წინწკლებით, დანიწკლული, ყრუნი (ჰუსეინოვი).

ჩილ – 1. რუხი, დაფარული რუხი ან თეთრი წინწკლებით, დანიწკლული. 2. რუხი ფერი (მაგზანჯიკი).

(შესაძლებელია, სიტყვა „ჩილ“, როგორც ფერი, მომდინარეობს ფრინველისაგან „ჩილ“, რომელსაც ეს სახელი ხმიანობის გამო ეწოდა).²²¹

როგორც ვიცით, თურქ. „ჩილ“/„ჩილ“ არის შესატყვისი სპარ. „თიჰჰ“-სი. ისიც უკვე ვიცით, რომ ამ „ჩილ“/„ჩილ“-ის სამთაგან ერთი ლათინური ნომენკლატურაა *Ammoperdix griseogularis*.

„შხეროს“ სპარს.-თურქ. შესატყვისი „თუვი“-ში (<„თიჰჰ“), რომ „გნოლი“ და „ყრუნი“ არ იგულისხმება, ესეც ცხადყოფილია თავთავის ადგილას, ზემოთ.

თუკი თურქ. „ჩილ“/„ჩილ“ დასტურ შესატყვისია სპარს. „თიჰჰ“-სი, მაშინ ამ უკანასკნელის ლათინური ნომენკლატურაც უნდა იყოს *Ammoperdix griseogularis*.

ეს ასეცაა:

რადესთან, სადაც „თიჰჰს“ დანერვილობაა „ТИГЪ“, მისი ლათ. ნომენკლატურა სწორედ *Ammoperdix griseogularis Brandt* გახლავთ.²²²

თავის ადგილას მე სარწმუნოდ დავასაბუთე, რომ „შხეროს“ სპარსულ-თურქული შესატყვისი „თუვი“/„თუი“ არის იგივე „თიჰჰ“. ახლა გამოირკვა:

„თიჭუ“-ს ლათინური ნომენკლატურა არის *Ammoperdix griseogularis Brandt*.

მაშასადამე:

Ammoperdix griseogularis Brandt არის ნომენკლატურა „შხეროსიცი“.

ამ ჭეშმარიტებას კიდევ უფრო მეტ სიმტკიცეს მატებს:

„თიჭუს“ განმარტებათა უმრავლესობის, ორნითოლოგიაში *Ammoperdix griseogularis*-ის აღწერილობის, „შხეროს“ საბასეული განმარტებისა და P-2-ში დახატული ამ ფრინველის გარეგნობის ურთიერთშედარება.

ყოველივე ეს კი, უდავოდ ნათელ წარმოდგენას ქმნის ამ ფრინველზე, როგორც ქართული, ისე სპარსული, არაბული, თურქული და სომხური ენობრივი სამყაროსათვის [უკეთუ დღეს სპარსულ-თურქულში „თიჭუსი“ (تھت), არაბულში „თიჭუჯ“/„ტიჭუჯისა“ (جھط / جھت) და სომხურში „დაჭუჭის“ (դախիւմ) თავდაპირველი რაობა (მისი უპირველესი მნიშვნელობა) ისევე ბუნდოვანია, როგორც ჩვენში „შხეროსი“ (შხერო)].

ამიერიდან „შხერო“ უნდა განიმარტოს ასე:

შხერო (*Ammoperdix griseogularis Brandt*) – კაკბის მსგავსი, გნოლზე პატარა ფრინველი.

0

რაა ძირი სიტყვისა „შხერო“ და როგორ მიიღო ამ სიტყვამ ეს სახე?!

ძირი **შხეროსი** უცხოურიც შეიძლება იყოს და ქართულიც.

უცხო ენიდან (ამ შემთხვევაში სპარსულიდან) **შხეროს** მისაღებად გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი, ხუთი ფაქტორი:

1. **შხეროს** თურქ.-სპარს. შესატყვისი (გარდა თიჭუსი) არის ჩნლ, ყირგიზული შილ, ბაშკირული სელ (სამივე ხმამიბადვითი).

2. ჩ, შ ფონემათა ურთიერთმონაცვლეობა ჩვეულებრივი მოელენაა არამარტო თურქულში (ჩაყირ/შაყირ), სპარსულშიც (შოლოქთი/ჩოლოქთი);

სპარსულისათვის უცხო არაა არც ლ/რ (ჩოლ/ჩორ).

3. ქართულში სპ. ნ არაერთგზის გადმოცემულია ე-თი (ფირ>ბერ-ი, ფატირაკ>ფათერაკ, ბეშქინ>ბეშქენ...).

4. ქართულისათვის, როგორც უცხოურ, ისე თვით ქართულ სიტყვაში, ერთდროს დამახასიათებელი ჩანს შ ფონემასთან ხ ფონემის განვითარება (სპ. შოლ>ქართ. შხოლ-ი, შოლარ-ი>შხოლარ-ი, ოშივარ-ი>ოშხივარ-ი, შოლტ-ი>შხვართ-ი,²²³ არაბ.სპ. სამ>ქართ. შხამ-ი²²⁴(<შამ-ი).

5. ო-თი დაბოლოებული სიტყვის პარალელურად ქართულში საკმაოდაა იგივე სიტყვა, - დაბოლოებული ი-თი (ჭარ-ი/ჭარ-ო, ლერ-ი/ლერ-ო...); ქართული ასევე ეპყრობა უცხო სიტყვასაც (კაკაჩ>ყაყაჩ-ო, ნალ>ნალ-ო).

ყველა ამ ფაქტორიდან გამომდინარე, - ქართ. შხერო, შესაძლებელია მიღებული იყოს ასე:

ჩილ>^χშილ>^χშირ (ეს დასაშვებია თვით სპარსულში; შდრ: ჩოლოქთი/შოლოქთი, ჩოლ/ჩორ)>^χშერ (შდრ: სპ. ფირ>ქართ. ბერ-ი)>^χშხერ²²⁵ (შდრ: სპ. შოლ>ქართ. შხოლ-ი)>შხერ-ო (შდრ: ჭარ-ი/ჭარ-ო).²²⁶

გამორიცხული ისიც არაა, რომ სიტყვა შხერო (როგორც უკვე ითქვა) უშუალოდ ქართული ენის წიაღში იყოს ჩასახული და ხორც-შესხმული:

^χშილ/^χშელ (ფრინველის ხმიანობა; რაიცა შეეხება ი/ე-ს, - შდრ: წირან-ი/ჭერამ-ი...)>^χშხელ (შდრ: ოშივარ-ი>ოშხივარ-ი)>შხერო (შდრ: წყალ-ი>წყარ-ო, შოლტ-ი>შხვართ-ი).²²⁷

ეს თუ ასეა, - უნდა დავასკვნათ:

ქართ. შხერო (ისევე, როგორც ოსმ.-ჯალათ,-ყაზ. ჩილ/ჩილ, ყირგიზ. შილ და ბაშკირ. სელ) ხმამიბაძვითი სახელწოდებაა, - დამყარებული ფრინველის ხმიანობაზე.²²⁸

შენიშვნები

1. ამათგან ავტოგრაფია სამი (H-416, H-1658, A-1473), დანარჩენი ექვსიდან სამი (Q-400, H-95, A-75) გადანერილია საბას ძმის, – ზოსიმეს მიერ, ორის (K-300, H-1429) გადამწერია საბა და ზოსიმე, ერთისა (S-2498), – საბა (1r-6v) და ვახტანგი (7r-189v).
„ავტოგრაფულ ნუსხებში შეინიშნება ერთი საყურადღებო მოვლენა: ყოველი მათგანი, გადანერის შემდეგ, ავტორის ახალ-ახალი შესწორებისა და შევსების კვალს ატარებს, რაც უმთავრესად ხელნაწერების კიდევებუა წარმოდგენილი, არაიშვიათად ჩან-ერილია სიტყვათა შორისაც (როცა ამის საშუალებას დატოვებული არე იძლევა). ავტორისეულ შევსება-შესწორებებს მოკლებულია მხოლოდ 1723-25 წწ. გადანერილი H-1429, იმ გასაგები მიზეზის გამო, რომ ამ ნუსხის დასრულებამდე საბა გარდაიცვალა“ (იხ. ლ. ქუთათელაძე, ს.ს. ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, – თბ. – 1957, გვ. 41, 42, 46, 52; მ. ქავთარია, ს.ს. ორბელიანის ლექსიკონის უცნობი ავტოგრაფი: ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. II, 1960, გვ. 1-15; ქართულ ხელნაწერთა აღწერილობანი: (H კოლექცია) – ტ. I, თბ. – 1946, ტ. III, თბ. – 1948, ტ. IV, თბ. – 1950; (Q კოლექცია) – ტ. I, თბ. – 1957; (A კოლექცია) – ტ. I, თბ. – 1974; ტ. V, თბ. – 1955; (S კოლექცია) – ტ. III, თბ. – 1963).
2. გნოლს, გარდა თურქული შესატყვისისა (ჩილ), უზის სომხურიც (სალამ), ასკატასა და ჩახრუხს, – მხოლოდ თურქული (პირველს, – ბალრიყარა, მეორეს, – შარუხ).
3. S-454-ში ნაცვლად „მსგავსისა“ წერია „მსგავსი“.
4. L-№253-ში იგულისხმება „ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების ი. ბ. კოლექციის ხელნაწერი №253.
5. ლ. ქუთათელაძემ 1967 წელს, სათაურით: „დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები“, ცალკე წიგნად გამოსცა ის ჩამატებული და დამატებითი განმარტებანი, რომელნიც

ძმებმა დავით და იოანე ბაგრატიონებმა შეიტანეს საბას ლექსიკონის წესებში. ამ წიგნიდან ვიტყობთ, რომ დავით ბაგრატიონის ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობა ასახულია H-1736-ში (პირველი ეტაპი) და H-2139-ში (<ცსსა, ფონდი 1446, №106) – (მეორე ეტაპი), ხოლო იოანე ბაგრატიონისა, – ნანილობრივ იმავე H-1736-ში, H-3711-სა და L-№253-ში [იხ. დასახელებული წიგნი: გვ. 16 (სქოლიო), 85, 86, 87].

სიტყვა „ბაღრიყარა“ ამ განმარტებითურთ (როგორც არაავტორისეული, რასაც მონმობს მისი, – განმარტებიანა ფრჩხილებში ჩასმულობა) შეტანილია ი. ყიფშიძისა და ა. შანიძის რედაქციით გამოცემულ საბას ლექსიკონში: სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. იოსებ ყიფშიძისა და პროფ. აკაკი შანიძის რედაქციით, ტფ., 1928.

6. **Rebhuhn**-ის ლათინური ნომენკლატურაა *Perdix perdix L.* (რ. ყორდანი, საქართველოს ფრინველების ტერმინოლოგიური ლექსიკონი, თბ., – 1960, § 259; Немецко-русский словарь, под редакцией А. А. Лепинга и Н. П. Страховой, т. II, М., – 1962; Zooloji terimleri sözlüğü, Ankara – 1963; Семиязычный словарь названий животных Европы, Budapest – 1979, § 8549), ე. ი. მისი ქართული ფარდია „გნოლი“.

გერმანულად „კაკაბს“ (*Alectoris graeca*) აქვს 14-მდე სახელწოდება, ერთ-ერთი მათგანია **Steinhuhn** (რ. ყორდანი, დასახ. წიგნი, § 21; Семиязычный словарь, § 409).

მაგრამ, ვინაიდან კ. ჩხენკელი ძირითადად საბას ლექსიკონს ეყრდნობა (იქ კი „შხერო“, როგორც ვიცით, „შსგავსია კაკბისა“), ამიტომ მისეულ **Rebhuhn**-ში „კაკაბი“ უნდა ვიგულისხმოთ და არა „გნოლი“.

7. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ; ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., – 1941.
8. გიორგი ლეონიძე, ნატვრის ხე, თბ., – 1976.

9. „სამისეული“ (ვახტანგ VI-ის ცნობის საფუძველზე) მე „დავითისა და ანონიმების ვერსიას“ (S-3177) შევარქვი;
ამ ვერსიის მთარგმნელი, მისი ცნობით, სამი პირია: დავით კახთა მეფე, ვინმე სპარსი და ვინმე სომეხი (ქილილა და დამანა, სპარსულიდან თარგმნილი მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ, ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო მაგალი თოდუამ, თბ., – 1975, გვ. 190).
10. S-3177-ის შექმნა დაიწყო 1602 წლამდე და დასრულდა 1714 წელს, M-53-1714-1716 წწ., S-21-1839 წ. (მაგალი თოდუა, „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსია, თბ., – 1967, გვ. 316).
11. ქილილა და დამანა, მ. თოდუას გამოცემა, თბ., – 1975, გვ. 316.
12. ერთ ნუსხაში (Q-861, გვ. 180v) პირველი იგაეის „შხერო“ არ-შიაზე განმარტებულია, როგორც „თუთი“, რაც, რა თქმა უნდა, კალმისმიერი შეცდომაა.
13. სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, აღ. ბარამიძისა და ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., – 1959, II, გვ. 318-319
14. ქილილა და დამანა, მ. თოდუას გამოცემა, თბ., – 1975, გვ. 93, 94.
15. „ბატი“ სომხურში და ქართულში შემოსულია სპარსულიდან; სპარსულსა და სომხურში მისი მნიშვნელობა „იხვი“ (Армянско-русский словарь, Ереван – 1984; Русско-армянский словарь, Ереван – 1968; Персидско-русский словарь, в двух томах, под редакцией Ю. А. Рубинчика, т. I, М., – 1983).
16. В. М. Борисов, Русско-арабский словарь, т. I, М., – 1981; Русско-персидский словарь, составили Н. К. Овчинникова и др. М., – 1965; Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазаник, М., – 1945.
17. Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазаник, М., – 1945.

18. В. В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, С.-П. – 1899, т. II, ნან. 1, სვეტი 371.
19. საბასთან ეს სიტყვები განმარტებულია ასე: მუმლი – ან რომ კოლოს უწოდენ; ბატი – სომხურია, ქართულად ღერლეტი ჰქვიან; იშხვარი – შვი ლაკლავი; ყაჯირი – სხვათა ენაა, ძერძ-ერუკსა ჰქვიან; შუშტყემალი – შინაური ტყემალი, რომელსა სპარსნი ალურას უკმობენ; ტორუა – თ. ყაზალახ (H-416).
20. Ш. Амиранашвили, История грузинского искусства, М., – 1963, გვ. 357.
21. გ. ლეონიძე, გამოკვლევები და წერილები, თბ., – 1959, გვ. 408.
22. ქილილა და დამანა, მ. თოდუას გამოცემა, თბ., – 1975, გვ. 165-169.
23. ვინაიდან გ. ლეონიძის სახელობის ლიტ.-მუზეუმში დაცულ P-2 ხელნაწერის ფოტოპირზე (№20724) ილუსტრაციები შავ-თეთრია, ჩემი საქმისათვის კი არსებითი მნიშვნელობა სწორედ ფერებსა ჰქონდა, ამიტომ მე ლენინგრადიდან გამოვითხოვე და მივიღე ამ იგავთა მინიატურების ფერადი სლაიდები.
24. აღწერილ ილუსტრაციაზე „შხეროს“ გამოცნობის საშუალებას იძლევა სხვა პერსონაჟთა გარეგნობის ცოდნა (ისინი ამავე წიგნში ამავე მხატვრის მიერ დახატულნი არიან სხვა ადგილასაც), იგავში მოთხრობილი ამბავი და საბასეული განმარტება „შხეროსი“.
25. იხ. ქორის აღწერილობა – П.С.С., ტ. I, გვ. 170; ჭილყვავის აღწერილობა П.С.С., ტ. V, გვ. 45.
26. შეიძლება ვინმემ ბრძანოს: – ეს ხომ იგავია, იგავში კი პირობითობა დასაშვებიაო!

პირობითობაცაა და პირობითობაც! –

განა, მაგალითად, შეიძლება მერცხალმა (თუნდ იგავში) თქვას: – მე ამა და ამ ჭალასა შინა ერთსა ხესა ზედა ბუდე მქონდაო?! როგორც ეს არ შეიძლება (რადგან მერცხალი ხეზე არ ბუდობს), ასევე მოუღებელია კაკბისა და შხეროს ბუდე ხეზე [თუმცაღა არის მერცხლის სახეობა, ე. წ. „მეხეური მერცხა-

ლი“ (*Hirundo bicolor*), რომელიც ხეზე სახლობს (უფრო ზუსტად: ხის ფულუროში), მაგრამ იგი გავრცელებულია მხოლოდ ამერიკაში (P.C.C., ტ. VI-გვ. 752)].

27. ეს შეცდომა! –

მალრანი ბუდეს იკეთებს მხოლოდ კლდეზე, კლდის ნაპრაღში, ხეზე, – არასოდეს (იგი ძირითადად ალბური ზონის მკვიდრია) – (P.C.C., ტ. V – გვ. 98).

საბასეული და ვახტანგისეული „მალრანის“ ადგილას (საბასეული – გვ. 186, ვახტანგისეული – გვ. 435) სამისეულ ვერსიაში წერია „ყვაი (გვ. 347-348), ქაშეფისეულში (საიდანაც მომდინარეობს, როგორც სამისეული, ისე ვახტანგისეული ვერსიები), – გიჯ [(„ზაღ“) – გვ. 287].

გიჯ სპარსულად ჰქვია ყვავსაც, ყორანსაც, ჭილყვავსაც, კაჭკაჭსაც, ჭკასაც და მალრანსაც (Ю. А. Рубинчик, Персидско-русский словарь, т. I, М., – 1970; Joannis Augusti Vullers, Lexicon persico – Latinum, – 1855 და სხვ.).

ამათგან, გარდა მალრანისა, ხეზე იკეთებს ბუდეს უკლებლივ ყველა (P.C.C., ტ. V, გვ. 15, 25, 39, 46, 52);

ეს იმას ნიშნავს, რომ აქ, ამ სპარსულ გიჯ-ში შეიძლება ვიგულისხმოთ ნებისმიერი მათგანი, მალრანს გარდა [ქაშეფისეულშიც, როგორც ყველა ქართულ ვერსიაში, ამ ფრინველს ბუდე აქვს ხეზე: „მე მავანი მთის კალთაზე ერთ ხეზე ბუდე მქონდა“ – წერია იქ (გვ. 287); „ყვავმან თქვა: რომე ამა და ამ მთის ძირას ბუდე მქონდა ერთს ხეზედ“ (S-3177 – გვ. 347-348); „მე ამა და ამ მთის კალთის თაზე ერთის ხის წვერში ბუდე მქონდა“ (M-53 – გვ. 435); „მე ერთსა მალლისა მთისა კალთასა ერთსა ხესა ზედა ბუდე მედგა“ (S-31 – გვ. 186)].

რაიცა შეეხება მხატვრის ტექსტთან დამოკიდებულებას:

ტექსტში წერია მალრანი?! –

მხატვარი ხატავს სწორედ მალრანს!

მან შესანიშნავად იცის ამ ფრინველის გარეგნობა, მისი მალრანი ალიკვალი მალრანია, იგი არც ყვავია, არც ყორანი, არც ჭილყავი, არც კაჭკაჭი, არც ჭკა.

(ილუსტრაციაზე მალრანის ბუდე არ ჩანს, არც კლდეზე, არც ხეზე).

რაა ეს „მალრანი“?!

საბასთან „მალრანს“ უზის ფრ. ნიშანი (γ) და თურქული შესატყვისი „თულაშ“ (H-1429, A-1473, H-1658, Q-400, H-95, S-2498).

მისივე ლექსიკონის ერთ ნუსხაში (H-416) „მალრანის“ თურქული შესატყვისია „თულიშ“ (მიწერილი სხვისი ხელით).

ნ. ჩუბინაშვილი იმეორებს „მალრანის“ საბასეულ განმარტებას: „მალრანი – (ფრ.) თ. თულაშ(?)“. (ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, აღ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., – 1961). [„თულაშთან“ დასმული კითხვის ნიშანი, ჩანს, ეკუთვნის ს. ჯიქიას, რომელსაც (როგორც გამომცემელი გვუწყობს): „ლექსიკონში შეტანილი თურქული სიტყვები შეუჯერებია“ (გვ. 97), და „იმას გულისხმობს, რომ მოცემული სიტყვა, – წარმოდგენილი სახით სათანადო ლექსიკონებში არ მოიპოვება და მისი პირველი წყარო სადღეისოდ უცნობია“ (გვ. 484-485)].

დ. ჩუბინაშვილთან, ერთ ლექსიკონში (ქართულ-რუსულ-ფრანციკული ლექსიკონი, С.-П. – 1840) „მალრანზე“ მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ იგი არის ფრინველის სახელწოდება („მალრანი – n. s. название птицы, пом d'oiseau“), მეორეში (ქართულ-რუსული ლექსიკონი, С.-П. – 1887) უზის საბასეული უცხო შესატყვისი „თულაშ“, თვით „მალრანის“ წყაროდ კი მითითებულია „ქილილა და დამანა“ („მალრანი, ს. მფრინ. თათრულად, თულაშ; ქილ. 335“).

რ. ერისთავის „მალრანი“ უბრალოდ ფრინველია [„216. მალრანი (მფრინველია)]; მან მისი არც რუსული შესატყვისი უწყის,

არც ლათინური ნომენკლატურა (რ. ერისთავი, მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი, ტფ. - 1884).

„მალრანი“ ანალოგიურ მდგომარეობაშია 1941 და 1973 წლებში გამოცემულ ვახუშტის თხზულებას დართულ ლექსიკონებშიც (პირველი გამოსცეს თ. ლომოურმა და ნ. ბერძენიშვილმა, მეორე. - ს. ყაუხჩიშვილმა): „მალრანი - ფრინველი“, - წერია ორივეგან.

მარი ბროსეს, რომელმაც ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ფრანგულად თარგმნა, „მალრანი“ გადააქვს უთარგმნელად, - ფრანგული ტრანსლიტერაციით *maghran* (ლეოლრაძიოული აღწერა საქართველოსა ბეტონიშვილის ვახუშტის მიერ მის ნამდვილზე დაბეჭდილი აკადემიკისა ბროსეტისგან, S.-Peterbourg - 1842, გვ. 59).

ვახუშტის თხზულების რუსულად მთარგმნელი მოსე ჯანაშვილი „მალრანის“ რუსულ შესატყვისად წერს *мурач*-ს (Царевичъ Вахушти, Географія Грузіи. Введеніе, перевод и примечанія М. Г. Джанашвили, Тифлис - 1904, გვ. 27);

ცხადია, ეს *мурач* „მალრანის“ საბასეული (ჩუბინაშვილთა მიერ განმეორებული) თურქული შესატყვისის („თულაშ“) „დურაჯად“ აღქმის შედეგია; უცნაური მხოლოდ ისაა, რომ მთარგმნელს ამავე კონტექსტის „დურეჯი“ (იგივე „დურაჯი“, - რუს. *мурач*) თარგმნილი აქვს, როგორც „лесная куропатка“ (იქვე).

ეს საბასეული „თულაშ“ „დურაჯად“ გაიგეს დღესაც: „მალრანი - ჭულაშ (*tulaš*); [თულიშ] (*tuliš*); *turač* (ც. აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანის თურქული თარგმანები, თბ., - 1968, გვ. 105).

„ქილილა და დამანას“ სტამბურ გამოცემებს დართულ ლექსიკონებში „მალრანის“ განმარტებანი ასეთია:

მალრანი - ყვავი, ყორანი (ქილილა და დამანა, იგავ-არაკები, ქართულად გადმოღებული ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ. აღ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით, თბ., - 1949).

მალრანი - „ჭილყვავი“ (ვ.), ყვავი (სულხან-საბა ორბელიანი თხზულებანი, ტ. II, აღ. ბარამიძისა და ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., - 1962).

მალრანი - კაჭკაჭი; ყვავი (ქილილა და დამანა, სპარსულიდან თარგნული მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ. ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო მაგალი თოდუამ, თბ., - 1975).

„ქილილა და დამანას“ პირველ გამოცემას დართულ ლექსიკონში „მალრანი“ საერთოდ არაა შეტანილი, ტექსტში კია (გვ. 296 და სხვ.) - (ქილილა და დამანა, სპარსულიდამ ქართულად ნათარგმნი მეფე ვახტანგისაგან. თ. გრ. გურიელის გამოცემა, ილია ჭყონიას რედაქციით, ტფ. - 1886).

თეიმურაზ ბაგრატიონთან „მალრანი“ განმარტებულია, როგორც „შავი ყვავი“ (თ. ბაგრატიონი, ნიგნნი ლექსიკონნი, მასალები შეკრიბა, ანბანზე გაანყო, ნინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო გურამ შარაძემ, თბ., - 1979).

„ყარამანიანს“ დართულ ლექსიკონში „მალრანის“ განმარტებაა „ყვავი“ (ყარამანიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, ნინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთეს აღ. გვახარიამ და სარგის ცაიშვილმა, თბ. - 1965).

საბას ლექსიკონის ერთერთი ნუსხის „მალნარს“ („მალნარს“ და არა „მალრანს“), რომელსაც ფრინველის ნიშანი (γ) უზის, იოანე ბაგრატიონი უმატებს: „შავი ყვავია, ნისკარტი ყვითელი აქუს“ (დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლილი ქუთათელაძემ, თბ., - 1967, გვ. 51, 199).

სხვათა შორის, იოანესთან, ამავე ნიგნში „მალნარის“ სინონიშია „ყვავის მამიდა“ („ყვავის მამიდა - შავი ყვავი ანუ მალნარი“ - გვ. 216).

რევაზ ჟორდანიას „მალრანის“ („აღმოსავლური მალრანის“) ლათინურ ნომენკლატურად მიაჩნია *Corvus corone orientalis*

Evers (რ. ჟორდანია, საქართველოს ფრინველების ტერმინოლოგიური ლექსიკონი, თბ., - 1960, გვ. 18, §116); მირ. კუტუბიძესთან ეს ლათ. ნომენკლატურა უზის „აღმოსავლურ შავ ყვავს“, „მალრანის“ ნომენკლატურა კი მასთან *Pyrrhonorax*-ია (მირ. კუტუბიძე, ფრინველების ნომენკლატურული ტერმინოლოგია, თბ., - 1973).

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში (ისევე, როგორც მირ. კუტუბიძესთან), „მალრანის“ ლათ. ნომენკლატურაა *Pyrrhonorax*: „მალრანი (*Pyrrhonorax*), ფრინველთა გვარი ბელურასნაირთა რიგისა. მოიცავს 2 სახეობას: წითელნისკარტა ანუ სულლუკი (*P. pyrrhonorax*) და ყვითელნისკარტა ანუ საღსაღანა მ-ს (*P. graculus*)... ზოგიერთი მკვლევარი ყვითელნისკარტა მ-ს ცალკე გვარად (*Graculus*) გამოყოფს“ (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. VI, - 1983, სტატიის ავტორი რევაზ ჟორდანია).

[ენციკლოპედიაში წარმოდგენილი „მალრანის“ ლათ. ნომენკლატურა (*Pyrrhonorax*) დადგენილია (როგორც თვითონ რ. ჟორდანია მითხრა) ამ ფრინველის ი. ბაგრატიონისეული განმარტების საფუძველზე („მალნარი - შავი ყვავია, ნისკარტი ყვითელი აქუს), რომელიც 1967 წელს გამოაქვეყნა ლ. ქუთათელაძემ].

„ქილილა და დამანას“ „მალრანის“ დედნისეული შესატყვისია გჯ („ზალ“).

მაშასადამე ჩვენს ხელთაა „მალრანის“ სპარსული შესატყვისი „ზალ“ და თურქული „თულაშ“.

„ზალ“ სპარსულში, გარდა ყვავისა, ყორნისა, ჭილყავისა და კაჭკაჭისა, ნიშნავს კიდევ ერთ ფრინველს, რომელიც ვულერსის განმარტებით არის შავი და აქვს წითელი ნისკარტი (Joannis Augusti Vullers, Lexicon persico-Latinum - 1855).

„მალრანი“ რომ სინონიმი არაა ყვავისა, ყორნისა, ჭილყავისა, კაჭკაჭისა და შავი ყვავისა, - ეს ნათლად ჩანს საბას

ლექსიკონიდან, ვახუშტის თხზულებიდან და „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსიის ილუსტრირებული ცალიდან (P-2);

საბას ლექსიკონში ყვავის თურქული შესატყვისია ყარლა, ყორნისა, – ყუზლუნ, ჭილყვავისა, – ყარაყარლა/ყარაყარა, კაჭკაჭისა, – სლსლან/სილსილან, მალრანისა კი, როგორც უკვე ითქვა, თულამ.

ყარლა აზერბაიჯანულში, თურქულში (ფორმით: ყარგა), ყირგიზულში, თურქმენულში, უზბეკურში, ბაშკირულში... დღესაც ყვავია.

ყუზლუნ აზერბაიჯანულში, თურქულში (ფორმით: ყუზგუნ), ყირგიზულში, უზბეკურში, ყაზახურში (ფორმით: ყუზლინ), ბაშკირულში (ფორმით: ყოზლონ) დღესაც ყორანია.

ყარაყარლა თურქულში და ბაშკირულში დღესაც ჭილყვა-
ვია.

სილსილან თურქულში (ფორმით: საყსალან), ყირგიზულში (ფორმით: სალიზლან), უზბეკურში (ფორმით: ზალიზონ) დღესაც კაჭკაჭია.

თულამზე ლაპარაკი მექნება ქვემოთ].

ვახუშტისთან, საქართველოში გავრცელებულ ფრინველთა ჩამოთვლისას „მალრანი“ ცალკე ფრინველად დასახელებულია სწორედ ამ ფრინველების გვერდით: „... ყორანი... შავი ყვავი, მალრანი, ყვავი... ჭკა, ჭილყვავი, კაჭკაჭი“... (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., – 1941, გვ. 30).

„ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსიის ილუსტრირებულ ცალში (P-2), სადაც „მალრანი“ ხატია (გვ. 164, 333...), – იგი ყველგან არის მთლიანად შავი, აქვს წითელი ნისკარტი და წითელი ფეხები, მაშინ, როდესაც ყვავს, ყორანს, ჭილყვავს, კაჭკაჭს და შავ ყვავს, – უკლებლივ ყველას, როგორც წესი, აქვს შავი ნისკარტი და შავი ფეხები (ΠCC, ტ. V. გვ. 25, 33, 45, 57), რაც შესანიშნავად იცის „ქილილა და დამანას“ ილუსტრატორმაც [იხ. მისი ჭილყვავი (P-2, – გვ. 258)].

Pyrrhocorax-ი (რომელიც მირ. კუტუბიძითა და ქართული საბჭოთა ენციკლოპედიით ლათ. ნომენკლატურაა „მალრანისა“), როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, – მოიცავს ფრინველის ორ სახეობას: *P. pyrrhocorax* L-სა და *P. graculus* L.-ს; პირველი არის სრულიად შავი და აქვს ნითელი ნისკარტი და ნითელი ფეხები, მეორე ასევე შავია და აქვს ყვითელი ნისკარტი და მოყვითალო-ნითელი ფეხები (П.С.С., ტ. V, გვ. 100, 103; Брем, – Ж. Ж., – ტ. VII, გვ. 329, 331). მეორე თავისი გარეგნობითა და ქცევით ძალიან მოგვაგონებს პირველს, რომლისგანაც იგი მხოლოდ ახლოდან განირჩევა ყვითელი და შედარებით მოკლე ნისკარტით (П.С.С., ტ. V, გვ. 104).

იოანე ბაგრატიონისეული „მალნარის“ განმარტებისა, ვულ-ერსისეული „ზალის“ განმარტებისა, სპეციალურ ლიტერატურა-ში *Pyrrhocorax*-ის აღწერილობისა და „ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსიის ილუსტრირებულ ცალში (P-2) დახატული „მალრანის“ ერთმანეთთან შედარების შედეგად, გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ: „მალრანის“ ლათ. ნომენკლატურა ქეშმარი-ტად *Pyrrhocorax*-ია.

რაიცა შეეხება „მალრანის“ საბასეულ თურქ. შესატყვისს „თულაშ“ [რომელიც „დურაჯთან“ გააიგივეს ორჯერ (იხ. ზე-მოთ)], იგი გახლავთ აზერბაიჯანული „დოლაშა“ (აზერბაიჯან-ული და არა თურქული), რაც სრულიად არაა გასაკვირი, ვინაიდან, როგორც მართებულად შენიშნავენ: „საბას ლექსიკონის თურქულ თარგმანებში მეტწილად აზერბაიჯანულისათვის ნიშან-დობლივი ლექსიკური ერთეულები და გრამატიკული ფორმე-ბია“ (ც. აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანის თურქული თარგმანები, თბ., – 1968, გვ. 67); მრავალთა შორის (ჩემი აზრით), ამის შესანიშნავი მაგალითია, „ქართული“ „სონლულის“ საბასეული თურქული (ფაქტიურად აზერბაიჯან-ული) შესატყვისი „შუნყარ“, ნაცვლად უილური „სონყურ“-ისა და ოსმალური „სონლურ“-ისა.

თანამედროვე ლექსიკონებში „დოლაშას“ განმარტავენ, როგორც „ჭკას“ (Галка) და, როგორც „ჭილყვავს“ (Грач) – (Азербайджанско-русский словарь, составили Х. А. Азизбеков, Баку – 1965; Азербайджанско-русский словарь, под редакцией Г. Гусейнова, Баку – 1941; Русско-Азербайджанский словарь, издание второе, т. I, Баку – 1956).

ეს განმარტებანი, შესაძლებელია, იმითაა გაპირობებული, რომ „დოლაშა“ აზერბაიჯანულში, ისევე, როგორც სპარსულში „ზაღ“, რამდენიმე ფრინველს აღნიშნავს, აქ კი, ამ ლექსიკონებში იგი წარმოდგენილია მხოლოდ ორი მნიშვნელობით („ჭკა“, „ჭილყვავი“), ანდა, შეიძლება არაზუსტ განმარტებებთან გვაქვს საქმე, ისეთებთან, როგორიც „მალრანის“ არაერთი განმარტებაა ქართულში (მით უფრო, რომ აზერბაიჯანულში „ჭკას“ აქვს სხვა სახელიც: „ზაღჩა“); გამორიცხული ისიც არაა, რომ აწინდელ აზერბაიჯანულში „დოლაშა“ ისევე დაუდგენელი ფრინველი იყოს, როგორც „მალრანი“ იყო ქართულში.

ასეა თუ ისე, იმის შემდეგ, რაც გავარკვეით, – სახელდობრ რომელი ფრინველია „მალრანი“, ახლა თვით „მალრანი“ იძლევა საშუალებას გავერკვეთ „დოლაშას“ (საბათი: „თულაშ“) ძველ, საბასდროინდელ რაობაში; ამასთან საბასეული „თულაშ“ (ნაცვლად აწინდელი „დოლაშასი“) საინტერესოა თურქული (resp. აზერბაიჯანული) ენის ისტორიული ფონეტიკის თვალსაზრისითაც.

აქვე უნდა შევნიშნო ერთი საყურადღებო ფაქტი: უდიურში არსებობს ფრინველის სახელწოდება „ტულაშ“, რომლის ქართულ ფარდად ევგ. ჯეირანიშვილი, – კითხვის ნიშნით, – გვთავაზობს „ქედანს“ [„ტულაშ-ქედანი(?) – (ევგ. ჯეირანიშვილი, უდიური ენა, გრამატიკა, ქრესტომათია, ლექსიკონი, თბ., – 1971, გვ. – 202)].

ადვილი შესაძლებელია, ეს უდ. „ტულაშ“ არის იგივე საბასეული „თულაშ“, – ნიშნავს „მალრანს“ (*Pyrrhocorax*) და,

ამრიგად, აზერბაიჯანული სიტყვის საბასდროინდელი ფორმა დაცულია უდიურში.

თვით სიტყვა „მალრანი“ წარმოშობით უდიურია: „მაჰან ლაჰანა“ უდიურში ნიშნავს: „შავი ყვავი“, „ყორანი“ (ევგ. ჯეირანიშვილი, უდიური ენა, გვ. 202); „მაჰან – შავი“ (იქვე, გვ. 220), „ლაჰანა – ყვავი“ (იქვე, გვ. 202).

ქართული „მალრანი“ მიღებულია ასე: მაჰან ლაჰანა > *მაჰანლაჰან > *მანლან > *მალნან (შდრ: ნაველ-ი/ნალველ-ი) > მალნარ > მალრან-ი (შდრ: ფანარ-ი/ფარან-ი).

28. თუმცაღა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „კაკბად“ აგრეთვე ინოდებიან ტროპიკული მეხეური ფრინველნი (*Dendrotryx*, *Arborophila*, *Bambusicola*, *Rollulus*) და ჰიმალური კაკები (*Lerwa*), რომელნიც ხეზე ბუდობენ (БСЭ, т. 14, М., – 1973, "Куропатки").
29. ПСС., ტ. IV, გვ. 156.
30. ПСС., ტ. IV, გვ. 151.
31. „მალრანისა“ და „კაკბის“ აღწერილობისათვის იხ. L-№253 („მალრანი“); H-2139 („კაკბი“); ლ. ქუთათელაძე, დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, თბ., – 1967, გვ. 123, 199; ПСС, Г. П. Дементьев, Н. А. Гладков и др. т. IV, М., – 1952, გვ. 159; т. V, М., – 1954, გვ. 100-101; Определитель птиц СССР, высшая школа, 1964, გვ. 34, 516; Брем, Жизнь животных, т. VII, გვ. 331; С. К. Даль и Г. В. Соснин, – Определитель птиц Ар. ССР, Ереван, 1947, გვ. 26.
32. მის მიერ დახატულ „წერო და ტრედის“ ილუსტრაციაზე (გვ. 544) მმურკნელი (ვახტანგით: გაზირი) ქალია; არადა, აღმოსავლეთში იგი, როგორც წესი, მამაკაცი იყო (ქილილა და დამანა, მ. თოდუას გამოცემა, თბ., – 1975, გვ. 169).
33. როგორც ვხედავთ, ამ გამოცემათა მიხედვით, საბასეული „ქილილა და დამანას“ მთარგმნელი პირველით მარტო ვახტანგია, მეორითა და მეოთხით, – ვახტანგი და საბა, მესამით თარგმანი ვახტანგისაა, რედაქცია, – საბასი.

სინამდვილეში ვინაა მთარგმნელი საბასეული „ქილილა და დამანასი“?!

ვ. გაბესკირიას მიაჩნია, რომ „ქილილა და დამანას“ მთარგმნელი ვახტანგია, საბა, – მხოლოდ რედაქტორი (ვ. გაბესკირია, ქილილა და დამანას გარშემო, „მნათობი“, 1961, №3; მისივე, სამი ავტორის ერთი წერილი, წერილები ლიტერატურა და ხელოვნებაზე, თბ., – 1963, გვ. 325).

აღ. ბარამიძე, ე. მეტრეველი და აღ. გვახარია ფიქრობენ: „გადმომთარგმნელი ვახტანგი კია, მაგრამ ტექსტი საბას ისე შეუცვლია სტილისტურად, რომ მარტო ვახტანგის თარგმანიო, ვერ იტყვის კაცი“ (აღ. ბარამიძე, ე. მეტრეველი, აღ. გვახარია, ისევ ქილილა და დამანას გარშემო, „საქ. სსრ. მეცნ. აკად. საზოგად. მეცნ. განყოფილების მოამბე“, 1962, №1, გვ. 306).

მელიგზად ბებუდაშვილითა და მ. თოდუათი მთარგმნელი ორივეა (Е. Такайшвили, Описание рукописей "Общества распространения грамотности среди грузинского населения", т. I, Тб., – 1902-1904, გვ. 196; ქილილა და დამანას, მ. თოდუას გამოცემა, თბ., – 1975, გვ. 82).

ჩემი აზრით, ვახტანგი ისეთივე თანაავტორია საბასი, როგორც სამისეული ვერსიის ავტორები, – ვახტანგისა, ვინაიდან საბამ მხოლოდ იმდენად იხელმძღვანელა ვახტანგისეული ვერსიით, რამდენადაც სამისეულით, – ვახტანგმა.

და, თუკი სამისეული ვერსიის ავტორები არ ითვლებიან ვახტანგის თანაავტორებად, საბას თანაავტორად რატომღა უნდა ჩაითვალოს ვახტანგი?!

მით უმეტეს, როცა „ქილილა და დამანას“ მისეული (ვახტანგისეული) ვერსია სუფთა ბნეარედია და არა მხატვრული თარგმანი.

[ყოველ შემთხვევაში (წინათ არ ვიცი და), დღეს ამგვარია საერთოდ თარგმანის ავტორობის გაგება].

34. ქილილა და დამანას, მ. თოდუას გამოცემა, თბ., – 1975, გვ. 76.

35. აღ. ბარამიძე, ნარკვევები, I, თბ., – 1945, გვ. 334.

36. ქილილა და დამანა, მ. თოდუას გამოცემა, თბ., - 1975, გვ. 90-91.
37. ჯაშუში, ფანჯარა, დროშა, ფოლადი, ომინი, ფისტა, თუთი, ქამარი, დარიჩინი, ნიანგი, ქებინი, ყალბი, ფეინდაზი, მაშხალა, ზილფი, მაყალი... რომლებიც ვახტანგისეულ ვერსიამა, შეტანილია საბას ლექსიკონშიც (როგორც განსამარტი ერთეულნი), რაც საბასდროინდელ ქართულში მათ არსებობას მოწმობს;
- საბათი: ჯაშუში, ფოლადი, თუთი, ყალბი, ზილფი „სვთა ენა“, ფანჯარა, ფისტა, ქამარი, - „თურქთა ენა“, ომინი, ნიანგი, დარიჩინი, - „სპარსთა ენა“, მაყალი, მაშხალა, ფეინდაზი „თათრულია“.
38. ქილილა და დამანა, მ. თოდუას გამოცემა, თბ., - 1975, გვ. 76.
39. „ვახტანგის რედაქციული მუშაობა სპარსელის ტექსტზე ისეთივეა, როგორიც შემდეგი მთარგმნელის, უცნობი სომხის ტექსტზე“ (ალ. ბარამიძე, ნარკვევები, I, თბ., - 1945, გვ. 295).
40. ალ. ბარამიძე, I, თბ., - 1945, გვ. 295, 298-299.
41. ქილილა და დამანა, მ. თოდუას გამოცემა, თბ., - 1975, გვ. 72-73.
42. „ჯერ ისევ ან განსვენებულმა დიმიტრი ბაქრაძემ შენიშნა, რომ ჰ-ს ოთხბილიანი და პ-ს სამბილიანი გამოხატულება vice versa (ე. ი. შებრუნებული მხრით), შედარებით ბოლოდროინდელ მათ დანერილობასთან, ადის XV-XVIII საუკუნეებში (ალ. ხახანაშვილი, Труды восточной комиссии московского археологического общества, Москва, 1895, - სარგის ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ვახტანგისეული რედაქცია, თბილისი - 1857, გვ. 26).
43. ქაშეჭი, ქილილა და დამანა ანუ ანვარ-ე სოჰაილნი, თეირანი, 1341 წ. მზით (1963 წ.).
44. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941, გვ. 122, 33.

45. ლეოლრაძიანი ალნერა საქართველოსა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ მის ნამდვილზე დაბეჭდილი აკადემიკისა ბროსეტისგან. S. – Peterbourg-1842.
46. ვახუშტი ბატონიშვილი, ალნერა საქართველოსა, I წიგნი, სამცხე, ვახუშტის საზოგადო „შესავალი“ – თურთ. გამოცემა მოსე ჯანაშვილისა. ტფილისი 1892 წ. სტამბა მაქსიმე შარაძისა.
47. ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს გეოგრაფია, II წიგნი, „ქართლი“, გამოცემა მოსე ჯანაშვილისა, ტფილისი, 1895 წ. სტამბა მაქსიმე შარაძისა.
48. Царевичъ Вахушти, Географія грузіи. Введеніе, переводъ и примечанія М. Г. Джанашвили. Тифлисъ. Типографія К. П. Козловскаго, Головинск. просп., N12.
49. ვახუშტი, ალნერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბილისი, 1941.
50. ქართლის ცხოვრება, ტ. IV. ბატონიშვილი ვახუშტი, ალნერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973. ამ წიგნამდე და ამ წიგნის შემდეგ ვახუშტის ნაშრომის ისტორიული ნაწილის გამოცემის სურათი ასეთია: 1854 წელს, ვახუშტის ნაშრომის ისტორიული ნაწილიდან ახალი ისტორია (XV-XVIII ს.ს.) გამოსცა დავით ჩუბინაშვილმა. 1885 წელს ძველი ისტორია (XIV ს-მდე), – დავით ბუჩუკემ. 1913 წელს დ. ჩუბინაშვილის გამოცემა „საქართველოს ცხოვრების“ სახელწოდებით გაიმეორა ზ. ჭიჭინაძემ. 1976 წელს ვახუშტის ნაშრომის ისტორიული ნაწილი (XV-XVIII ს.ს.) რუსულად თარგმნა და გამოსცა ნ. ნაკაშიძემ.
51. გ. ლეონიძე, ნატვრის ხე, თბ., – 1976, გვ. 160.
საკითხავია: თვითონ ლეონიძემ იცოდა კია, კერძოდ, რა ფრინველია „შხერო“?! –
არ ვიცი!
ეს კი ვიცი: დღეს საქართველოში ორიოდ კაცი თუა (არც კი), ვინც იცის, რომ „შხერო“ კაკბის მსგავსი რაღაც ფრინვე-

ლია! უმრავლესობა აზრზე არაა, რაა იგი, – ფრინველი, ცხოველი, მცენარე, ვარსკვლავი თუ სხვა რამ (1973 წელს გაზეთ „სოფლის ცხოვრებიდან“ შეკითხვით მიემართე მკითხველს: – გაეგონა თუ არა მას ფრინველი „შხერო“, და, თუ გაეგონა, – სად?! – საქართველოს არც ერთ კუთხეში ეს სიტყვა ცოცხალი არ აღმოჩნდა).

52. „თუის“ საკითხს მე ქვემოთ შევეხები.
53. ეს, რომ ნამდვილად ასეა (თიჰჷჲ>თუი), მკითხველი ამაში დარწმუნდება ქვემოთ.
54. თავის მხრივ, ვახტანგიც არ თვლის ქართ. გნოლს სპ. თიჰჷს შესატყვისად; მეთერთმეტე კარის მეორე იჯაეში, იქ, სადაც სამისეულში წერია გნოლი (ორიგინალში აქ თიჰჷა) ვახტანგი (რომელიც იცნობს ამ გნოლს) თავის ვერსიაში წერს თუის.
55. იხ. Л. З. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий. С.-П.-1869; Персидско-русский словарь в двух томах; под редакцией Ю. А. Рубинчика, М., – 1970, т. I; М. А. Гаффаров, Персидско-русский словарь в двух томах, М., – 1974, т. I და სხვ.
56. „თიჰჷ“ (ფრინველთაგან) სპარსულში, გარდა „გნოლისა“, ჰქვია: „მთის, ან უდაბნოს ქათამს“ (Миллер Б. В., – Персидско-русский словарь, изд. 2-е, М., – 1953), „მწყერს“ (Dictionary pers. arab. and engl. Francis Johnson, London – 1852), „ურუნს“ (Русско-персидский словарь, под редакцией А. Асадуллаева и Л. С. Пейсикова, М., – 1965)...

„ურუნი“, რასაც ქართულ ხალხურ ენაში არაერთი მნიშვნელობა აქვს [„ურუნი – ყველა ფერის ნარევი, ურუნი – გარეული ქათამი, ურუნი – გარეული ქათმის ფერი“ (ქართულ კილოთქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი ალ. ლლონტი, მეორე გამოცემა, თბ., – 1984), ურუნი – მონაცრისფრო ჭრელი“ (ქველ. ტ. VI, თბ., – 1960), „ურუნი – შურთხი“ (საბა)], 1973 წლამდე, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონით, *Tetrao urogallus*-ია (ქველ. ტ. VI, თბ., 1960), 1973 წლიდან, – *Tetrastes bonasia*

- (მირ. კუტუბიძე, ფრინველების ნომენკლატურული ტერმინოლოგია, თბ., - 1973; რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., - 1983), რომლის ქართ. შესატყვისი (ყრუნამდე) „გნოლქათამა“ იყო (იხ. რუსულ-ქართული ლექსიკონი, - „Рябчик“, ტ. III, - თბ., - 1959).
57. გნოლი ასეა განმარტებული: გნოლი (ფრინ.): ჩილ: სალამ:
 58. საბასთან, ერთსაც და მეორესაც, სომხური შესატყვისიც უზის, მაგრამ მე აქ მისი მიწერა საჭიროდ არ ჩავთვალე.
 59. Брем, Жизнь животных, т. VII, Птицы. С.-П. გვ. 116.
 60. Определитель птиц СССР, 1964, გვ. 42.
 61. Брем, Жизнь животных, т. VII, Птицы. С.-П. გვ. 116.
 62. ПСС., ტ. IV, გვ. 230.
 63. Узбекско-русский словарь, под редакцией С.Ф. Акабирова и др. М., - 1959; Т. 3. Захидов, Зоологическая энциклопедия. Птицы, под редакцией Г. С. Султанова, Ташкент, - 1957; ს. ს. ორბელიანი, ქართული ლექსიკონი.
 64. Персидско-русский словарь в двух томах, под редакцией Ю. А. Рубинчика, т. II, М., - 1970.
 65. იხ. ПСС, ტ. IV, გვ. 203-204.
 66. Жизнь животных Брема, т. II, С.-П.-1903, გვ. 528.
 67. Жизнь животных А. Э. Брема в трех томах, т. II, С.-П.-1902, გვ. XII
 68. Бутурлин, ПСС, 1935, т. IV, გვ. 159.
 69. ПСС, т. IV, М., - 1952, გვ. 204.
 70. Русско-персидский словарь, М., - 1965.
 71. Абдурахманов, Русск.-узбек. словарь, М., - 1954.
 72. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., - 1941, გვ. 122, 33.
 73. A-1473, A-75, H-1429-ში „შხეროს“ თურქული შესატყვისი არ უზის.
 74. „ბალრიყარა“ თურქ. შესატყვისია „ასკატასი“ იოანესთანაც, საკუთრივ მის ლექსიკონში: „[ლექსიკონი] მდელოთა, ნერგთა,

მვეცთა, მფრინველთა და ქვეწარმავალთა და აგრეთვე სხვა მეტალთა და ბუზთა, – ქართული, არაბული, სპარსული, თათრული, სომხური (H-31 ვ, 2v).

75. ამ ნუსხებში ი. ბაგრატიონის ლექსიკოგრაფიული ნაღვანის ასახვის შესახებ იხ. ლ. ქუთათელაძე, დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, თბ., – 1967, გვ. 51, – ტექსტი და სქოლიო; გვ. 87, – პეტიტით დაბეჭდილი ტექსტი.
76. იოანესთან „ასკატა“ განმარტებულია, როგორც „ტყის ქათამა“ (H-1736, L-№253); პირველში (H-1736) „ასკატას“ უზის თურქული შესატყვისი „ბალრიყარ“, მეორეში (L-№253), – არა; პირველი (H-1736) ის ნუსხაა, რომელშიც აისახა დავით ბაგრატიონის ლექსიკოგრაფიული მოღვაწეობის I ეტაპი და, რომელშიც რამდენიმე სიტყვის (მათ შორის „ასკატას“) განმარტება ეკუთვნის იოანეს (იხ. ლ. ქუთათელაძე, დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, გვ. 16, სქოლიო).
77. ეს სიტყვა სომხურში და ქართულში შემოსულია სპარსულიდან: ط (იხ. შენიშენა №15).
78. ქართულში ჭინჭრაქა, ლობემძვრალა, წარაბაკანაჲ („წრაპაკანი“ – საბათი) ჰქვია *Troglodytes troglodytes Linn*-ს, მალალური, გულყვითელა, ბიჭოგოგია, შვილოლოგია, თუთაბალია/თუთაბალიაჲ, – *Oriolus oriolus Linn*-ს (ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., – 1978; ქეგლ. – ტ. IV, თბ., – 1955, ტ. VII, თბ., – 1962, ტ. VIII, თბ., – 1964; ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, I, შეადგინა ალ. ლლონტმა, თბ., – 1974).

რადეთი **тут-баили** (вишневая птица) მალალურის სომხური სახელწოდებაა ნუხის მზრამი (Орнитологическая фауна Кавказа (*Ornis Caucasica*) Д-ра Густава Радде, Тифлиς – 1885, გვ. 120).

ინგილოური ხალხური გაგებით, ამ ფრინველს „თუთაბალიაჲ“ იმიტომ ჰქვია, რომ „მოფრინდება, როცა თუთა და ბალი შემოდის. მოფრენისას იძახისო: „თუთაბალი მაინიო“, ხოლო

ნასვლისას კი – „თუთაბალი მაილივო“. (ნ. როსტიაშვილი, ინ-გილოური ლექსიკონი, თბ., – 1978, გვ. 105).

79. სპარსულში کراჰ ჰქვია ბოლოქანქარას, მწყერს, წყლის ქათამს... (Персид.-русс. словарь, Ю. А. Рубинчика, т. II, М., – 1970).
80. ამათ გარდა, طيطوی ჰქვია აგრეთვე ყატის (კატა) ერთ სახეობას (طاس – ფრინველია) და მექეშიას (Полный перс.-араб.русс. словарь. И. Д. Ягелло, Ташк. – 1910).
81. ასევე, სპარსულში მწყერსა და ბოლოქანქარას, გარდა ზიარი სახელისა (ქარაქ), აქვთ საკუთრივ თავიანთი სახელებიც: მწყერს, – ბელდერჩინ, ბოლოქანქარას, – დომჯომბზან/დომჯომბზანქ (Русско-персидский словарь, составили И. К. Овчиникова и др. М., – 1965).
82. მაგ. ბრემთან იგი მტრედისნაირთა ოჯახშია შეტანილი (Жизнь животных А. Э. Брема, в трех томах, т. II. Птицы, С.-П.-1902, გვ. 170).
- სპარსულში მას ჰქვია არა „ბალრიყარა“, არამედ რამდენიმე წმინდა სპარსული სახელი, რომლებსაც მკითხველი იხილავს ნაშრომში „ასკატა“ (თვით „ბალრიყარა“ სუფთა თურქული სიტყვაა).
83. Брокгауз. т. 54, გვ. 513.
84. Семиязычный словарь названий животных Европы, Budapest – 1979, §9549; Немецко-русский словарь, под редакцией А. А. Лепинга и Н. П. Страховой, т.-I-II, – М., – 1962.
85. С. А. Бутурлин, ПССР., т. I, გვ. 204.
86. Г. П. Дементьев и др. ПСС, т. II, გვ. 77-78.
87. Брем, Жизнь животных, т. VII, С.-П. გვ. 470.
88. ლ. ქუთათელაძის ვარაუდით, ამ წელს (1698) გაასრულა საბამ, ჩვენამდე მოღწეული, თავისი ერთ-ერთი (შესაძლოა პირველიც) ავტოგრაფი (H-416), რომლის წერა 1685 წელს დაიწყო (ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., – 1957, გვ. 52).

89. საბას ლექსიკონი პირველად 1884 წელს დაიბეჭდა რაფიელ ერისთავის რედაქტორობით (ქართული ლექსიკონი, შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან. გამოცემული რაფ. დ. ერისთავის რედაქტორობით და ალექსანდრე ეპიზოპოზის საფასითა. ავტორის სურათით. თბილისი, არსენ კალანდაძის და ამხ. სტამბა – 1884).
90. მაგალითად, საბა სიტყვას „ნება-ნებას“ (წყაროზე მითითებით) განმარტავს, როგორც „მიმო“-ს [თავის ადგილზე „მიმო“ (წყაროზევე მითითებით) განმარტებული აქვს, როგორც „აქათიქით“]; მკითხველი უსწორებს: „მიმო. წყნარა-წყნარასა ქვიან, მე მითარგმნავს, ლოლობერიძეს დათუნას (S-2498).
91. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II. ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., – 1995, გვ. 279.
92. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II. გვ. 244.
93. ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციით და შენიშვნებით, თბ., – 1947, გვ. 14, 32; 14, 36; 15, 47.
94. ვახუშტის პეტრუშკა, ოხრახუში და მაკედონი სხვადასხვა მტილულად მიაჩნია (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., – 1941, გვ. 29, 35), მაშინ, როცა ოხრახუში იგივეა, რაც მაკიდონი (იხ. საბა), ხოლო პეტრუშკა რუსული შესაიტყვისია მისი. ივ. ჯავახიშვილით, ოხრახუშის მეორე სახელი მაკედონი/მაკიდონი ამ მწვანლის სადაურობის აღმნიშვნელია: **მაკედონია>მაკედონელი>მაკედონი/მაკიდონი** (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი II, თბ., – 1935, გვ. 240, 241).
95. ვახუშტის „პეტრუშკის“ თაობაზე ივ. ჯავახიშვილი რბილად შენიშნავს „იგი რუსეთში ყოფნის დროს უნდა ჰქონდეს ვახუშტს შეთვისებული, ამიტომ შემთხვევითი ჩანართის მსგავსად უნდა მივიჩნიოთ“ (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი II, თბ., – 1935, გვ. 238).

96. M-53, - გვ. 408; არადა, რამდენადაც სიტყვები „თუთი“ და „თუი“ ჰგვანან ერთმანეთს, ათი იმდენად განსხვავდება ფრინველი „თუი“ ფრინველ „თუთისაგან“.
97. ამათ გარდა, ვახტანგი, საფუძვლიანად გასცნობია აგრეთვე K-300, Q-400 და H-95 ნუსხებს (ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., - 1957, გვ. 101,9). (ამათში „შხერო“ არაა).
98. ლ. ქუთათელაძე, დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, თბ., - 1967, გვ. 16, 2.
99. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, - H კოლექცია, ტ. V, თბ., - 1949; თეიმურაზ ბაგრატიონი, - წიგნი ლექსიკონი, - გურამ შარაძის გამოცემა, თბ., - 1978, გვ. 8.
100. ლ. ქუთათელაძე, დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, თბ., - 1967, გვ. 86, 87.
როგორც ზემოთ უკვე ითქვა, „შხეროს“ საბასეულ გნმარტებას და მის სპარსულ შესატყვისს (თუვი), დასახელებულ პირთაგან მხოლოდ იოანე უმატებს, მისი აზრით, - სპარსულსავე „ბალრიყარას“ (L-№253-ში „აგრეთვეთი“, H-3711-ში, „აგრეთვეს“ გარეშე).
101. ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., - 1957, გვ. 104.
102. **ლევიათან** მეფე წყალთა შინად გამოითარგმანების, კაცთვეზივით რამ არის ლევიათან (საბა).
ლევიათანს გრიგოლ ღვთისმეტყველი სხვარიგად აჩენს... (ვახტანგი).
დაბადება დაბადება არს დასაბამად შექმნა სოფლისა; დაბადებად ითქმის შობა კაცისა (საბა).
დაბადება ქმნად ითქმის და არა შობად, რამეთუ არარასაგან არსად დარსებაი ქმნა არს... ხოლო შობად ითქმის თვისისა არსებისა და ბუნებისა და მგზავსისა თვისისა წარმოჩენაჲ. (ვახტანგი).

[ლ. ქუთათელაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., - 1957, გვ. 104].

აქ „დაბადების“ განმარტებაზე ვახტანგის შედავება საბასთან, რა თქმა უნდა, უსაფუძვლოა;

საბა იძლევა სიტყვა „დაბადების“ ორ მნიშვნელობას: ერთია „ქმნა“ („შექმნა სოფლისა“), მეორე, - „შობა კაცისა“.

ვახტანგით კი ისე გამოდის, თითქოს „დაბადება“ სინონიმი არ იყოს „შობისა“ და იგი („დაბადება“) საბას ესმოდეს, როგორც მხოლოდ „შობა“.

რაც მთავარია, საბას, შემდგომი ნუსხის გადანერისას, არაერთგზის გაუზიარებია ვახტანგისეული დამატება თავის განმარტებაზე;

საბა წერს: „ბარემ - ყვედრებათა სიტყვაა არს, ეგეცა აღასრული“.

ვახტანგი უმატებს: „ნაკლების აღსრულების წვევა“.

საბა მომდევნო ნუსხებში ამ სიტყვის პირვანდელ განმარტებას ასე ასწორებს: „ბარემ - ყვედრებისა სიტყვაა არს, თუმცა დაგკლებია, ეგეცა აღასრულე“.

„დაბალთვა - ბალთვა უყო“ (საბა). „დაკოდვა, დაჭრა მრავლად“ (ვახტანგი). შემდგომ ნუსხებში საბა ამ სიტყვის განმარტებას აშკარად უახლოვებს ვახტანგისას: „დაბალთვა - მეტად წერილად დაკოდა“ (ლ. ქუთათელაძე, იგივე წიგნი, გვ. 108).

103. H-2139 (<ცსს, ფონდი 1446, №106), ლ. ქუთათელაძე, დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, თბ., - 1967, გვ. 29, 103.

104. თეიმურაზ ბაგრატიონი, წიგნნი ლექსიკონნი, გურამ შარაძის გამოცემა, თბ., - 1979.

105. ლ. ქუთათელაძე, იოანე ბაგრატიონის „ქართული ლექსიკონი“, თბ., - 1975.

აქვე, საჭიროდ მიმაჩნია, მკითხველს ვაუწყო: ამჯერად, ჩემთვის მნიშვნელოვანია არ ის, თავიანთ შენიშვნებში რამდენად

- მართალნი არიან ესენი (ვახტანგი, დავითი, იოანე, თეიმურაზი), არამედ, – თვითონ ფაქტი, – საბასთან მათი შედავებისა.
106. ლ. ქუთათელაძე, ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., – 1957, გვ. 45, 100.
107. ლ. ქუთათელაძე, დასახ. წიგნი, გვ. 42, 34.
108. ლ. ქუთათელაძე, დასახ. წიგნი, გვ. 42, 38.
109. В. В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, т. III, ნაწილი 2, სვეტი 1423, 1424; Д. А. Магазаник, Турец.-русс. словарь, М., – 1945.
110. Dictionnaire turc-français, par J. D. Kieffer et T. X. Bianchi, tome premier. Paris, 1835, გვ. 343, სვეტი 1. (აქ ეს **توت** ტრანსკრიბირებულია ორნაირად: **toi, toui**).
111. В. В. Радлов, დასახ. წიგნი, ტ. III, ნაწ. 1, სვეტი 1141 („ბუჟუქ“ საბასთან წერია, როგორც „ბუუქ“)
112. Л. З. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, т. I, С.-П. – 1869, გვ. 754, სვეტი. 2.
113. ამ მხრივ, მ. ბროსე (1802-1880) უფრო წინდახედულად მოიქცა: მან **grande outarde**-ს დაწერას (რაც ფრანგულად ნიშნავს „სავათს“), ფრანგული ტრანსლიტერაციით გადატანა ამჟობინა ვახუშტის „შხეროსი“ (chkhero). თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ბროსემ, როცა ვახუშტის გეოგრაფიის თარგმანი გამოსცა (1842 წ.), დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი, სადაც **Драхва** შესატყვისია „შხეროსი“, არ არსებობდა (დაიბეჭდა 1887 წ.), ხოლო ჩუბინაშვილისავე „ქართულ-რუსულ-ქრანციკულ ლექსიკონში (1840 წ.), რომლის წინასიტყვაობის ავტორი თვითონ ბროსეა, „შხეროს“ არც რუსული შესატყვისი უზის, არც ფრანგული („შხერო“, n. s. название птицы, nom d'oiseau, v. კაკაბი).
114. Жизнь животных А. Э. Брема, в трех томахъ. т. II, Птицы, С.-П.-1902, გვ. XIV.
115. ПСС., ტ. 2, გვ. 165.
116. Брем, დასახ. წიგნი, გვ. იგივე.

117. ПСС., ტ. 2, გვ. 150.
118. Брем, ნიგნი იგივე, გვ. XI.
119. ПСС., ტ. 4, გვ. 159.
120. „თუვი“ რომ „თუი“-ს ფონეტიკური ვარიანტია, – მკითხველი ამაში (აქამდე თუ არ დარწმუნებულა), – დარწმუნდება ქვემოთ.
121. ც. აბულაძე, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანის თურქული თარგმანები, თბ., – 1968, გვ. 150.
 ამ ნიგნში, სხვათა შორის, ანალოგიური შეცდომაა დურაჯის (turaǰ) მისადაგება „მალრანის“ საბასეულ თურქულ შესატყვისთან: „თულაშ“ (გვ. 105).
122. Полный персидско-арабско-русский словарь, составил полковник И. Д. Ягелло, Ташкент – 1910; Арабско-русский словарь, составил проф. Х. К. баранов, М., – 1957.
123. Жизнь животных А. Брема, Птицы, т. VII, გვ. 56-57.
124. БСЭ, т. 19, третье издание, М., – 1975, გვ. 62.
125. Брем, т. VII, გვ. 56-57.
126. БСЭ, т. 19, третье издание, М., – 1975, გვ. 62.
127. Будагов, Сравнительный словарь Тур. – татар. нареч., т. I, С.-П.-1869; Баранов, Араб.-русс. словарь, М., – 1957; Н. К. Овчинникова, Русс.-перс. словарь, М., – 1975; В. В. Радлов, т. 3, ნაწ. 1, სვეტი 985.
128. В. В. радлов, ტ. 3, ნ. 1. სვეტი 985.
129. Г. Гусейнов, Азер.-русс: словарь, Баку – 1941.
130. Абдурахманов, Русс.-узбек. словарь, М., – 1954.
131. Юдахин К. К. Русск.-киргиз. словарь, М., – 1957.
132. В. В. Радлов, ტ. 3, ნ. 1, სვეტი 987.
133. Русско-турецкий словарь, составили Э. М.-Э. Мустафаев и В. Г. Щербинин, М., – 1972.
134. Русско-персидский словарь, составили Н. К. Овчинникова и др. М., – 1965.
135. ამის გაგება სხვანაირად არც შეიძლება;

აბა, საქართველოს რომელი კუთხის აღწერისას ამბობს, მაგალითად, ვახუშტი: – აქ თუთიყუში, ანდა სპილო არ იცისო?!

რაც ჩვენში საერთოდ არ მოიპოვება, იმის, ამა თუ იმ კუთხეში არყოფნის აღნიშვნა, სასაცილო იქნებოდა, მეტი რომ არა ვთქვა.

136. ეს ჩანს მისი ანდერძიდან: „ჟამსა... მეფეთ მეფისა თამარისა ესე წიგნი („ქილილა და დამანა“ – მ. მ.) ეთარგმნათ... მაშინდელი თარგმანი ჟამთა ვითარებით დაკარგულიყო და შემდგომად ბატონს დავითს... ეთარგმნა, მაგრამ... გასრულება არ დასცალგბოდა. მე ის წიგნი ხელად შემომივარდა... ერთს სპარსსა რომ მცირედ ქართული ენა და წიგნი ესწავლა, ამის შესრულება უთხარი. მან თარგმნა იწყო, მაგრამ ენის უცოდინარობით ვერც კარგა გამოიღო და გასრულებამდის მეც ისპაანს წასვლა მომიხდა. ისპაანს რომ ჩაველ, მუნ ერთს სომეხს უთხარ, რომ სპასრული ესწავლა, ნაკლების შესრულება, და მან შეასრულა“... (ს. ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ. II, თბ., – 1962, გვ. 38).

137. ამ ფრინველს რომ თურქნიც „თიჰჰუს“ ეძახიან, მკითხველი დარწმუნდება ქვეთავში: „თიჰჰ“.

138. ს. ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ. II, თბ., – 1962, გვ. 39.

139. ქილილა და დამანა, მ. თოდუას გამოცემა, თბ., – 1975, გვ. 90.

ეს რომ სრული სიმართლეა, ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს სიტყვა „ფეინდაზი“, რომელსაც თავის ვერსიაში ხმარობს ვახტანგი და, რომელიც საბას დროს (მისივე სიტყვით) საზოგადოდ ყოფილა ხმარებაში, – ნაცვლად „გარდაცვლილი ქართული სახელისა საკლე“ „[ქილილა და დამანას“ ვახტანგისეული ვერსიის „ფეინდაზის“ ადგილას საბასეულში წერია „საჟლე“ (გვ. 16), არძიაზე. – „ფეინდაზი“; საბას ლექსიკონში, ძირითადი ტექსტით „ფეინდაზი“ თურქული შესატყვისია ქართული „საკლესი“, დანართით, – თათრული (იხ. ს. ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV₂, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია აბულაძემ, თბ., – 1966)].

140. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. V, თბ., - 1958
141. ეს სიტყვა (წყაროზე მითითებით) ნ. ჩუბინაშვილთან განმარტებულია ასე: „მრეცხელი - გამრეცხი, მმურკუნელი, прахка (მალქ. 3, 2) - (ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, - რუსული თარგმანითურთ, აღ. ლლონგის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., - 1961), წყაროში კი წერია „მრცხელი“ და არა „მრეცხელი“ (ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., - 1973; დაბადება (ბიბლია), ნაწილი II, ტფ. - 1884).
142. საბას ლექსიკონში, რომელიც გამოსაცემად მოამზადა ილ. აბულაძემ (ს. ს. ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV, თბ., - 1965), ეს სიტყვა („მმურკუნელი“) დაბეჭდილია იმ სახით, როგორც იგი საბას მიერ მითითებულ წყაროშია: „მმურკუნელი“ [(7,3 ესაია) - მცხეთური ხელნაწერი (A-51), - გამოსაცემად მოამზადა ე. დორჩანაშვილმა, თბ., - 1985; დაბადება (ბიბლია), ნაწილი მეორე, დაიბეჭდა საქართველო-იმერეთის უნივერსიტეტის სინოდის კანტორის განკარგულებით, ტფ.-1884].
143. „ქილილა და დამანას“ გაჩაღხვას, როგორც ვარაუდობენ, საბა შეუდგა 1717 წელს, როდის გაასრულა, - უცნობია (ქილილა და დამანა, მ. თოდუას გამოცემა, თბ., - 1975, გვ. 76).
144. ლ. ქუთათელაძე, ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები თბ., - 1957, გვ. 42, 46; ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), - ტ. V, თბ., - 1955, გვ. 17; H კოლექცია, - ტ. III, თბ., - 1948, გვ. 368, - აქ H-1429-ის გადანერის დანყების თარიღი (რომელიც ქუთათელაძით 1723-ია) არაა.
145. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურისა და ნ. ბერძნიშვილის რედაქციით, თბ., - 1941, გვ. 30, 18.
- ამ გამოცემაზე დართულ ლექსიკონში „ყაზალახი“ განმარტებულია კითხვისნიშნით „კაჭკაჭით“: „ყაზალახი - კაჭკაჭი?“ (გვ. 216).
- ვახუშტის ნაშრომის სრული გამოცემის (თბ. - 1973) ლექსიკონში „ყაზალახი“ საერთოდ არაა შეტანილი.

„ყაზალახი“ რა ფრინველია, დღევანდელმა კი არა, XIX საუკუნის ქართველმაც უკვე აღარ იცის;

1840 წელს დ. ჩუბინაშვილი, 1884 წელს რ. ერისთავი მას ვერ უწერენ უცხო შესატყვისებს (დ. ჩუბინაშვილთან არ ჩანს „ყაზალახის“ რუსულ-ფრანგული სახელწოდებანი, რ. ერისთავთან, – რუსულ-ლათინური).

მ. ბროსეს, რომელმაც 1842 წელს გამოსცა ვახუშტის გეოგრაფია (ქართული ტექსტი, – ფრანგული თარგმანით), – ფრინველის ეს სახელი გადააქვს უთარგმნელად, ფრანგული ტრანსლიტერაციით: **qazalakh**.

1887 წელს დ. ჩუბინაშვილი „ყაზალახს“ განმარტავს, როგორც „კაჭკაჭს“.

თეიმურაზ ბაგრატიონის მიხედვით „ყაზალახი“ „მგალობელი ჩიტია, ფერით წითელი, გული თეთრი აქვს. ბულბულის ტოლი და უფრო მოდიდოც... ყაზალახს ძველ ბულბულსაც, მამალ ბულბულს უწოდენ“... (თ. ბაგრატიონი, წიგნნი ლექსიკონნი, გამოსცა გ. შარაძემ, თბ., – 1979).

მ. ჯანაშვილთან, ვახუშტის გეოგრაფიის მისეულ რუსულ თარგმანში (1904 წ.) „ყაზალახი“ წერია რუსული ტრანსლიტერაციით: **Казалахи**.

„ყაზალახი“ რომ არც „კაჭკაჭია“ და არც „ბულბული“ (H-416 რომც არა, სადაც ეს სიტყვა თურქ. შესატყვისია „ტორუასი“), ამას მოწმობს თვით ვახუშტის მიერ საქართველოში გავრცელებულ ფრინველთა ჩამოთვლა, სადაც „ყაზალახის“ გვერდით დასახელებულია „კაჭკაჭი“ და „ბულბული“ (გვ. 30, 17; 30, 24).

„ყაზალაყ“ ჯალათაურ მწიგნობრულ ენაზე ნიშნავს „ტოროლას“ (В. В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, С.-П.-1899, ტ. II, ნაწ. 1, სვეტი 371). (ასე, რომ საბა აქაც მართალია: „ტორუასი“ მისეული თურქული შესატყვისი სწორია).

„ყაზალახს“ (როგორც „ტოროლას“ სახელს) კარგახანია თურქნიც აღარ ხმარობენ; ამჟამად ეს სიტყვა იხმარება „ორთვ-

ალას“, „ორადგილიანი ღია ეტლის“ (пролетка) მნიშვნელობით (Азербайджанско-русский словарь, составил Х. А. Азизбеков, Баку – 1965), ხოლო „ტოროლას“ ეძახიან „თორალა“-ს (Русско-азербайджанский словарь, А. Ч. Оруджев, Баку – 1955).

რაიცა შეეხება „ყაზალახის“ თეიმურაზ ბაგრატიონისეულ განმარტებას, აქ „ყაზალახი“ არეულია „ყაზალა“-ში;

„ყაზალა“-ს რუსული შესატყვისი (რადლოვით) არის **Красношейка**, გერმანული, – **Dompfaff** (В. В. Радлов, დასახელებული წიგნი, ტ. II, სვეტი 371).

ცალკე **Красношейка** „ევროპის ცხოველთა სახელების შეიღწევისანი ლექსიკონისათვის“ უცნობია.

გერმან. **Dompfaff**-ის რუსული შესატყვისია **Снегирь**, ლათ. ნომენკლატურა, – **Pyrrhula pyrrhula L.** (Семиязычный словарь названий животных Европы, – Budapest-1979, – §9696).

ვლ. დალით **Красношейка** სინონიმია **Краснобородка**-სი, რომლის ლათ. ნომენკლატურაა **Motacilla modularis** (Вл. Даль, Толковый словарь живого великорусского языка, т. II, М., – 1955).

თუ გავითვალისწინებთ **Снегирь**-ის გარეგნობას (იხ. ПСС, т. V, М., – 1954, გვ. 246-247-248), უნდა ვიფიქროთ, რომ რადლოვისეული **Красношейка** (შესატყვისი თურქ. „ყაზალა“სი) ერთდროს სინონიმი ყოფილა **Снегирь**-ისა.

ერთი სიტყვით: „ყაზალახი“ არის „ტოროლა“ (**Alauda**), „ყაზალა“, – „სტვენია“ (**Pyrrhula pyrrhula L.**).

146. ამ ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს (გარდა „ყაზალახისა“) „ხაზინა“, და „რეიზი“;

„ხაზინა“ და „რეიზი“, მართალია, საბას ლექსიკონში განსამარტ ერთეულებად შეტანილი არაა, ისინი მას არც თავის თარგმანში (S-31) შეაქვს, მაგრამ ეს სიტყვები, რომ უეჭველად იყო საბასდროინდელ ქართულში, ამას ამტკიცებს „სიბრძნე სიცრუისა“, რომელშიც ნახმარია „ხაზინა“ (გვ. 98, I – ს. ს. ორბელიანის თხზულებანი, ტ. I, თბ., – 1959) და „ევროპაში

მოგზაურობა", სადაც წარამარა იხმარება „რეიზი“ (გვ. 242, 13, – იგივე წიგნი).

[„ხაზინა“ საბას ლექსიკონში თურქული შესატყვისია „საუნჯისა“, „რეიზი“, – „ნავკოლარისა“ (იგივე „ნავკოსალარი“)];

„ქილილა და დამანას“ საბასეულ ვერსიაში (S-31) ვახტანგისეული „ხაზინის“ ადგილას „ზარდახჩაა“, „რეიზის“ ადგილას, – „პეტი“].

147. „[ამირანმა] უნდა გაჟლიტოს ცრუი მჭედლები“ (ვაჟა); „შენ საშირებ არა ვარ, შენისთანაის ცრუვისა“ (ხალხ.). (ქეგლ. ტ. VIII, თბ., – 1964 – „ცრუ[ვ]ი“).
148. რუისი > რუელი > მ-როელი > მ-როველი.
149. სუელი (>სველი; შდრ: ტყუილი > ტყვილი) > სოელი > სოველი (ძირია თურქ. su – „წყალი“).
150. საბა, – 1658-1725 (სულხან-საბა ორბელიანი, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. ა. შანიძის რედაქციით, თბ., – 1928, გვ. 478).
- ვახტანგი, – 1675-1737. (ვახტანგ VI, – ლექსები და პოემები, აღ. ბარამიძის რედაქციით და შენიშვნებით, თბ., – 1947, გვ. V).
151. ქილილა და დამანა, მ. თოდუას გამოცემა, თბ., – 1975, გვ. 97.
152. ც. აბულაძე, ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანის თურქული თარგმანები, თბ., – 1968, გვ. 33.
153. Л. З. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, т. I, გვ. 423, სვეტი 2; გვ. 507, სვეტი 2.
154. ც. აბულაძე, დასახ. წიგნი, გვ. 33. თანამედროვე თურქულში ამ სიტყვების დაწერილობაა **kırk**, **tırnak** (Турецко-русский словарь, М., – 1977).
155. ნ. დარსაველიძე, შენიშვნები „ამირან-დარეჯანიანის საკუთარი სახელების შესახებ, გვ. 365, თბილისის სახ. უნივერსიტეტის საიუბილეო კრებული, – მიძღვნილი გ. ახვლედიანის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბ., – 1969.
156. Языки Азии и Африки, т. II, М., – 1978, გვ. 111.

157. „რეანი“, „რეჰანის“ პარალელურად ქართულში იყო ჯერ კიდევ XI ს-ში (იხ. ქანანელი, უსწორო კარაბადინი, თბ., - 1940, გვ. 224, 25); არჩილთან გვაქვს „რიანი“: „ყვავილშიც გამოურევა სულითა ქუფრი რიანი“ (არჩილიანი, ტ. II, გვ. 4, სტრიქ. 28, 4).
158. მზია ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966.
159. ც. აბულაძე, დასახ. წიგნი, გვ. 26, 30.
160. ადვილი შესაძლებელია, ვახტანგმა „ქილილა და დამანაც“ იმავე მეთოდით თარგმნა, როგორც „ზიჯი“ და „აიათი“ („... მე მეფემან მეფეთამან ვახტანგ ეს სპარსული აიათი რომელ არს ქმნულების ცოდნის წიგნი: ზიჯი თალა მასალა და სხვა ოქმების წიგნები ვთარგმნე: მირზა აბდურჩა თავრიზელის წიგნის კითხვითა და თანა შეწვენითა:“)..

თუმცა, თვითონ ვახტანგი ამის შესახებ არაფერს ამბობს, მაგრამ „ქილილა და დამანას“ მისეულ ვერსიაში არსებული სპარსული სიტყვები მეტყველებენ ამაზე (ისინი აშკარად ყურით მოსმენილნი არიან და არა თვალით ამოკითხულნი).

ერთი კია, M-53-ის თარგმნისას ვახტანგის თანაშემწე უთუოდ სხვაა, „ზიჯისა“, „აიათისა“ და „ჰიდაათის“ თარგმნისას, - სხვა;

აი, რატომ:

1. მანძილი - (P-2, - გვ. 75) - მანზილი, მანაზილი („ზიჯი“, - §157). (<منزا, მრ. منازا).

რეანი - (P-2, - გვ. 76) - რეჰანი („აიათი“, - გვ. 130) - (<ريحان).

ტახტი - (P-2, - გვ. 215) - თახტი/თახთი („ჰიდაათი“, - გვ. 64v, 65r, v). (تخت).

[M-53-ზე საუბრისას, P-2-ს რომ ვუთითებ, - ნურვინ იტომებს, ვინაიდან P-2-ის არშიეზე (ისევე, როგორც S-31-ისაზე), როგორც უკვე ითქვა (იხ. ზემოთ), გატანილია M-53-ის სპარსიზმები. „ზიჯის“ პარაგრაფი, „აიათისა“ და „ჰიდაათის“ გვერ-

დები მითითებულია გ. მარრისა და კ. დონდუას მიხედვით (სპარსულ-ქართული ცდანი, ტ. I, ლენინგრადი, - 1926)]

2. ვახტანგისეულ „აიათში“ და „ჰიდაათში“ ანგარიში არ ეწევა სპარსული სიტყვის ქართულად გამოთქმის ტრადიციას, იქ იგი წერია იმ სახით, როგორც, ჩანს, გამოითქმოდა იმჟამინდელ სპარსულში (უფრო სწორად: სპარსულის ერთ, რომელიმე დიალექტში).

მარსი - („აიათი“, - გვ. 135), - ნაცვლად სპარსისა (<سارس / سارس).

მარაო - („აიათი“, - გვ. 136), - ნაცვლად ფარაოსი (<فراعون).

ჩოვგანი - („ჰიდაათი“, - გვ. 70r), - ნაცვლად ჩოვანისა (<چوگان).

[არადა, ამ სიტყვებს ქართულში საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს: სპარსი (ცურტ. რუსთ. ჩახრ. საბა. ვახტ.), ფარაო (ძვ. ქართ. ლიტ. ქრესტ. - ტ. I, თბ., - 1946, - გვ. 13,389; ილ. აბულაძე, - ძვ. ქართ. ენის ლექსიკონი, - თბ., - 1973), ჩოვანი (რუსთ. საბა)].

M-53-ში კი („აიათისა“ და „ჰიდაათისაგან“ განსხვავებით) არაერთგან გათვალისწინებულია სპარსული სიტყვის ქართულად გამოთქმის ტრადიცია: რეანი (P-2, - გვ. 76), ტახტი (P-2, - გვ. 215), ნიანგი (P-53, - გვ. 338).

(„რეანისათვის“ იხ. შენიშვნა №157; „ტახტისათვის“, - ილ. აბულაძე, - ძვ. ქართ. ენის ლექსიკონი, თბ., - 1973; რუსთ.; „ნიანგისათვის“ (რუსთ. 968,2).

3. ვახტანგისეული თარგმანების სპარსული სიტყვები (მათი გარკვეული ნაწილი), ვითარცა ქართულის თურქული შესატყვისნი, შეტანილია საბას ლექსიკონში: ხალლ შესატყვისია ერისა, თახტ/თახთ, - ტახტისა, ქითაბ, - წიგნისა, მანძილ. - სავანისა, თუვი, - შხეროსი, ხაზინა, - საუნჯისა, რეიზი - ნავკო-

სალარისა (S-31-ში რეიზის შესატყვისია პეტი, ხაზინისა, – ზარდახჩა).

ვახტანგთან ესენი წერია ასე: ხალცი („შიდაათი, – გვ. 38v), თახტი/თახთი („შიდაათი“, – გვ. 64v, 65v), ქითაბი („აიათი“, – გვ. 1), მანძილი (M-53, – გვ. 107), თუი (M-53, – გვ. 435), ხაზინა (M-53, – გვ. 3), რეიზი (M-53, – გვ. 502).

და, რაკი ვახტანგი და საბა (როგორც დავინახეთ) ამ სიტყვებს პრინციპში ერთნაირად წერენ, და, რაკი (როგორც დასაბუთებულია) საბას ლექსიკონის თურქული თარგმანები სასაუბრო ენის ნიმუშებია, და, რაკი ვახტანგისა და საბას დროს ირანის სამეფო კარის ენა თურქულის ყოფილბაშური დიალექტია (რასაც, არ შეიძლება, თავისი დალი არ დაეჩნია სპარსულის ფონეტიკაზე), – ამიტომ თავს უფლებას ვაძლევ, ვიფიქრო: ვახტანგისეული სპარსიზმებიც (ისევე, როგორც თურქული თარგმანები საბასი) წარმოთქმითია და არა წიგნითი (ტრანსკრიბირებულია წარმოთქმის კვალობაზე).

ვახტანგს რომ მოსმენით შეესრულებინა თავისი თარგმანი, ამაში მოულოდნელი არაფერია, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ, როგორც საბა ბრძანებს: „ვახტანგმა სპარსული ზედმინეწით არ იცოდა“, მეორეც, კაცმა შეიძლება რომელიმე უცხო ენა იცოდეს, მაგრამ არ იცოდეს ამ ენაზე წერა-კითხვა (ცოდნა ენისა, რომ ერთია და, წიგნისა, – მეორე, – ეს კარგად იცის თვითონ ვახტანგმაც; „ქართული ენა და წიგნი ესწავლაო“, – ამბობს იგი ერთ სპარსელზე), მესამეც, ეს მეთოდი იმ დროისათვის უჩვეულო არ ყოფილა საერთოდ; ვახუშტი, რომელმაც ზურაბ შანშოვანთან ერთად (1738 წელს) სომხურიდან თარგმნა „პერიარმენიის წიგნი“, წერს: „ – ვათარგმნინე, ხოლო ვით იგი მეტყუდა, – მე ვსწერდ. ვემწოდი მცირედრე ქართულისა ენითა“ (იხ. ვ. გაბაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, თბ., – 1969, გვ. 46, 50, 78).

ერთიც: „აიათი“, რომელიც 1721 წელს დაიბეჭდა თბილისში (ქართული წიგნი, ბიბლიოგრაფია, ტ. I, თბ., – 1941, გვ. IX; ვ. გაბაშვილი, ვახუშტი ბაგრატიონი, თბ., – 1969, გვ. 49-50),

ვახტანგ სპარსეთში ყოფნისას (1712-1716 წწ.) უთარგმნია (ვ. გაბაშვილი, იგივე წიგნი, – გვ. 46; ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციით და შენიშვნებით, თბ., – 1947, გვ. V-VI).

„ქილილა და დამანაც“ (მ-53), როგორც ცნობილია, ვახტანგმა სპარსეთში თარგმნა (1714-1716 წწ.). (ქილილა დ დამანა, მ. თოდუას გამოცემა, თბ., 1975, გვ. 76).

ისმის კითხვა:

რატომ დასჭირდა მას „აიათის“ თარგმნისას მირზა აბდურ-იზა თავრიზელის დახმარება („წიგნის კითხვა და თანა შეწევნა“), ხოლო „ქილილა და დამანას“ თარგმნისას, – არავისი?! („აიათი“ სპეციფიკური წიგნია და იმიტომ?! – თუ ასეა, „წიგნის კითხვა“ რა შუაშია, განა „თანა შეწევნა“ არ იკმარებდა ასეთ შემთხვევაში?!).

ფიქრობ: ვახტანგმა ენა კი იცოდა სპარსული (საყველამუროდ მაინც), მაგრამ „წიგნში“ მოიყოჭლებდა; „სპარსული ზედმინეწით არ იცოდა“-ო, ჩანს, ამიტომ ბრძანა ვახტანგზე საბამ.

[გამორიცხული ისიც არაა, რომ ვახტანგი „ქილილა და დამანას“ დედანს (განსხვავებით „ზიჯისა“ და „აიათის“ დედანთაგან) თვითონ კი კითხულობდა, მაგრამ სპარსულ სიტყვას (როცა ეს სიტყვა ქართულში არ იყო) წერდა არა ისე, როგორც იქ ეწერა, არამედ ისე, როგორც იგი სპარსელის მიერ წარმოითქმოდა და ქართული სმენით აღიქმოდა (შდრ: ვახტანგისეული ვერსიის „თუი“, დედნისეული „თიჰჷ“ (تھ) და სამისეულის „თიწუ“)]

161. ეს 0 აქ ნიშნავს არა „ო“-ს, არამედ, – ნულს.

162. თიჰჷ>თჰჷ (ი>ი)>თჰჷ (ჰ>0)>თუი [(ბოლოკიდური ი – არსებითი სახელის თანმხლები, ქართულისათვის დამახასიათებელი, სახელობითი ბრუნვის ნიშანია). (თვალსაჩინოებისათვის ვიყენებ ქართულ ანბანს, სადაც ეს ი გრძელია, ეს ი, – მოკლე)], ანდა: თიჰჷჷ>თიჰჷჷ>თჰჷჷ>თუი [ბოლოკიდური ჯ-ს გადაბგერება ი-დ (ჩვეულებრივი მოვლენა ქართულში) აქ განაპირობა, არსე-

ბით სახელზე, ქართული სათავის დამახასიათებელმა, სახელობითი ბრუნვის ნიშნის დართვის აუცილებლობამ; ოღონდ, ეს ფონეტიკური პროცესი ასე თანმიმდევრობით კი არ მომხდარა, არამედ ერთბაშად: თიჰჰ>თუი; თიჰჰჰ>თუი. თავიკიდურ მარცვალში ი-ს დაკარგვის კარგი მაგალითია, აგრეთვე, ქართ. გლახ [<საშ. სპ. გილაჰ (აჰ)]. (მზია ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., - 1966, გვ. 189, 301).

163. თუი, - არშიაზე, ტექსტში, - შხერო (ისევე, როგორც P-2-ში).
164. *თიჰჰჰჰ>*თიჰჰჰ>*თუჰჰ>*თუჰი (მეორდება თიჰჰჰ-დან თუის მიღების მსგავსი ფინეტიკური პროცესი).

ვარაუდს, ვახტანგისდროინდელ სპარსულში თიჰჰჰჰ-ს (تھههه) წარმოთქმის შესაძლებლობაზე, სიმტკიცეს მატებს სიტყვა ჩოვგანი (چوگهه), რომელიც წერია (ჰიდაათ ილ-ნუჯუმის "ვახტანგისეულ თარგმანში (70r), - ნაცვლად ქართულ ლიტერატურაში დაკანონებული ფორმისა ჩოგანი („ეკლმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა“... შოთა); აგრეთვე, ამავე თარგმანში წარმოდგენილი ერთი სიტყვის ორი ფორმა: ყუათი (§214) და ყუვათი (تفهه) - (გვ. 29r).

165. „ავტორში“ იგულისხმება „სერაჯ ალ-ლულათ“-ის ავტორი.
166. „ავტორში“ იგულისხმება „ბორჰან-ე ყაფი“-ს ავტორი.
167. თუმცა ბორჰან-ე ყაფი-ს აკადემიურ გამოცემაში არაფერია თქმული ამ სიტყვის (تفهه) ინდურ შესატყვისზე (იქ, როგორც დავინახეთ, მხოლოდ მისი ფალაური, არაბული და ქურთული შესატყვისებია), მაგრამ რომელიღაც ხელნაწერში იგი, ალბათ, მართლაც იყო. ამ საკითხს რატომ ვაქცევ ყურადღებას, მკითხველი შეიტყობს ქვემოთ, 161-ზე საუბრისას.
168. **partridge** მიულერის ინგლისურ-რუსულ ლექსიკონში (В. К. Мюллер, *Англо-русский словарь*, М., - 1943) ნიშნავს: **куропатка**.
სმირნიცკის რუსულ-ინგლისურში (Русско-английский словарь, под общим руководством проф. А. И. Смирницкого, М., - 1948): **куропатка серая**.

„შვიდნოვანი“ (Семиязычный словарь названий животных Европы, Budapest – 1979, ტ. I, §8549): *Perdix perdix* (ე. ი. „გნოლი“);

თურქულ ზოოლოგიური ტერმინების ლექსიკონში (Zooloji terimleri sözlüğü, Ankara – 1963) გნოლის ინგლისური შესატყვისია *common partridge* (თვითონ გნოლს ეს ლექსიკონი თურქულად უწოდებს *keklik*, რაც საბასთან, – ფორმით: ქაქლიქ/ქაქლიგ შესატყვისია ქართ. კაკბისა);

Куропатка ნ. ჩუბინაშვილთან განმარტებულია, როგორც კაკაბი (ნ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., – 1971).

კაკბის რუსული შესატყვისია (მასთანვე) **Ряб, Рябка** (ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, თბ., – 1961; მისივე რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., – 1973);

რიაბ რუსულად ეწოდება კაკაბს დავით ბაგრატიონთანაც (ლ. ქუთათელაძე, დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, თბ., – 1967, გვ. 123);

თეიმურაზ ბაგრატიონით გნოლის რუსული სახელია სერაია კუროპატკა (თეიმურაზ ბაგრატიონი, ნიგნნი ლექსიკონი, თბ., – 1979);

თანამედროვე რუსულ-ქართულ ლექსიკონში **куропатка** განმარტებულია კაკაბად (რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., – 1956);

ანინდელ რუსულში (XVIII ს-ის ბოლოდან) კაკაბს უწოდებენ **Кеклик** [ეს სიტყვა შემოსულია შუა აზიის ხალხთა ენებიდან (ПСС., ტ. IV, გვ. 154)].

ვონსონის ამ **partridge**-ში გნოლიც შეიძლება ვიგულისხმოთ და კაკაბიც; სულერთია, რომელს ვიგულისხმებთ, ვინაიდან, როგორც მკითხველი ქვემოთ, თავის ადგილზე დარწმუნდება, სპარსული کاک, თავისი მოცულობითა და წონით, არამცთუ კაკაბზე, გნოლზეც კი მცირეა (ბიანკი, მაგალითად, თმჭჷს-ს განმარტავს, როგორც „გნოლზე პატარა ფრინველს“).

მე არ გამოვრიცხავ რა ჯონსონის ამ ლექსიკონზე სპარსული ენის განმარტებით ლექსიკონთა გავლენას (იქ, როგორც წესი, თითქმის ყველაში, თიჰჰე შედარებულია კაკაბთან), ამიტომ მიმაჩნია, რომ ჯონსონის **partridge**-ში იგულისხმება კაკაბი.

169. Dictionary pers.-arab. and engl. Francis Johnson, London-1852.
170. Joannis Augusti Vullers, Lexicon persico-latinum-1855.
171. Dictionnaire turc-français, par J. D. Kieffer et T. X. Bianchi, t. I, Paris-1835.
172. Миллер Б. В., Персидско-русский словарь.
173. Персидско-русский словарь, в двух томах, т. I, М., – 1970.
174. М. А. Гаффаров, Персидско-русский словарь, М., – 1976.
175. Л. З. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, 1869.

სპარსულსა და თურქულში სიტყვა თიჰჰე-ს მნიშვნელობა მხოლოდ ამით არ ამოიწურება; იგი ნიშნავს აგრეთვე: „ადგილს ველზე, სადაც წყალი გროვდება“ (ჯონსონი, ვულერსი, ნაფინი), მისი მნიშვნელობა: „თვინიერი, შინაური“ (ბიანკი, ბუდაგოვი) და სხვ., მაგრამ ჩემი საქმისათვის მისი ეს სხვა მნიშვნელობანი ამჯერად გამოუსადეგარია.

176. Արուստ Դիւնիսէայ քերականի. Պետրոզրադ 1915, გვ. 228.
177. Армяно-русский словарь, Ереван – 1960.
178. Новый русско-армянский словарь, Ереван – 1935, т. II.
179. Բառգիրք. Գ. I. Վենետիկ – 1836.
180. Հ.Մ.Չախչախեան, Բառագիրք հայ-իտալ. Վենետիկ – 1837.
181. Առձեռն բարարան. Վենետիկ – 1865.
182. Seidel, Mechithar's des Meisterarztes aus Her "Trost bei" Fiebern", Leipzig-1908, გვ. 83; P. de Lagarde, Zur Urgeschichte der Armenier, Berlin – 1854, გვ. 597. ზუსტი არაა ფრანგ. **francolin**-ის სომხურ შესატყვისად დაჭუჭის მიჩნევა; **francolin**-ის სომხური შესატყვისია **ღურეჭ/ღურენ** [ცნობილი, ჯერ კიდევ ერზნაცის (XIII-XIV) გრამატიკიდან]; არამცთუ მაშინ, XIX ს-შიც, სომხები **francolin**-ს, ქართველებით, **ღურაჯს** ეძახდნენ (იხ.

Орнито-фаина Кавказа, Д-ра Г. Радде, Тифлиси – 1885, გვ. 33).

183. ჯრ.ანაიქან. ჯაქერენ არმასთასკან რაიარან. სრესან გ. I.

184. არიხსთ რ-იონიქსაქ რერასკანიქ. ოსთრიფრაქ 1915, გვ. 228.

185. ჯრ.ანაიქან. დასახ. ნიგნის დასახ. ტომი.

186. რაიარან ოარისქერენ...ქოსთანღნიოციქა – 1826.

187. ჯრ.ანაიქან. დასახ. ნიგნის დასახ. ტომი.

საქამქ („სალამბ“), მალხასიანციოთ, თეთრი კაკბია, ტყის ქათმების ჯიშის ფრინველი, აქეს ძალიან გემრიელი ხორცი (ჯაქერენ რაფასთირასკან რაიარან, გ. IV).

სომხურში, გარდა ფორმისა „სალამბ“, გვაქეს ფორმები: სალამ, შალამ, სალამანქ.

აჭარიანი საქამ („სალამ“) სიტყვის შესახებ წერს: თეთრი კაკბია, რახიონ („დაჭუჭ“); იგივე საქამქ („სალამბ“). სომხური ენის ლექსიკონში (ვენეცია, – 1836-37 წწ.) იგი დაკავშირებულია სპარსულ sulak-თან, რაც ნიშნავს „კაკბის ბარტყს“; ჰ. ჯახჯახიანის სომხურ-იტალიურ ლექსიკონში (ვენეცია, – 1837) აღნიშნულია, რომ ეს არის სპარსული სიტყვა, მაგრამ არ არის მოცემული ამოსავალი ფორმა ამ სიტყვისა (ჯრ.ანაიქან., დასახ. ნიგნის გ. IV).

მალხასიანცის მიხედვით საქამ („შალამ“) გაურკვეველი ჯიშის ფრინველია; ამბობენ: პატარა ქათამია, კოზაკის მსგავსი, მამალივით ხმას გამოსცემს და, როდესაც ტაშს შემოჭრავენ, – ცეკვავსო. შესაძლებელია, ეს შალამ იგივეა, რაც სალამ/სალამბ (ჯაქერენ რაფასთირასკან რაიარან, გ. III).

ბარგირქში წერია: სალამბ/სალამანქ ფრინველის სახელია. სპარსულშიც გვხვდება. იგი არის კაკბის ბარტყი (რადიქიქ, გ. II).

სალამ საბასთან სომხური შესატყვისია გნოლისა.

ჩემი აზრით, ამ სალამ, შალამ, სალამანქ-ის ძირია სალ, – ფონეტიკური ვარიანტი თურქ. ჩილ-ისა, ყირგ. ყაბ. შილ-ისა და ბაშკირული სელ-ისა.

ამ, ან დეტერმინანტი სუფიქსებია, ქ, – მრ. ნიშანი.

ეს მით უფრო სარწმუნოა, რომ ჩილ, შილ, სელ შუა აზიის ენებში ეწოდება იმ ფრინველსაც, რომელსაც, – სალამ/სალამბ (თავის სინონიმებით), – სომხურში.

სალამბ-ში ბ ფონეტიკური დანართია.

სალამ/შალამ პირველადია; სალამანქ, – მეორადი:

სალ-ამ>სალამ („ამ“ სუფიქსმა დაჰკარგა მნიშვნელობა) > სალამ-ან (დაერთო „ან“ სუფიქსი) > სალამან-ქ (დაერთო მრავლობითობის ნიშანი „ქ“).

ისიც არაა გამორიცხული, რომ ეს სალამ მიღებული იყოს ებრაული სიტყვიდან სელავ/შელავ („მწყერი“), – არაბ.-სპარს. სალვა (<*სალავ).

188. მასკურ>ფასკუნჯ (Н. Марр, ИАН – 1918, VI серия, т. XII, გვ. 2069). „მასკური“ მეგრულში ნიშნავს ბედის ვარსკვლავს; „ამ სიტყვაში (ი. ყიფშიძის სამართალიანი აზრით) ქართული „მარსკულავის“ პირველი ნაწილი ვეაქეს“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბ., – 1960, გვ. 145).
189. იხ. Н. Марр, К вопросу о ближайшем сродстве арм. языка с иверским, ЗВО, т. XIX, 1909, გვ. 072; Гр. Капанцян, О взаимоотношении армянского и лазо-мегрельского языков, ИАН, АССР – 1952, გვ. 38.
190. Хинди-русский словарь, составил В. М. Бескровный, М., – 1953; М., – 1959.
191. Хинди-русский словарь, т. II, М., – 1972.
192. М. Фасмер, Этимологический словарь русского языка, т. III, М., – 1971, გვ. 535.
193. Полный зоологический и ботанический словарь на французском, русском и латинскомъ языкахъ, Санктпетербургъ – 1843.
194. ესენი, რომ, როგორც ერთმანეთის, ასევე *Perdix chinensis*-ის სინონიმებია, მკითხველი ამაში დარწმუნდება ქვემოთ.

195. Иллюстрированная жизнь животных, всеобщая история животного царства А. Брема, т. IV, ч. 1. С.-Петербург – 1869, გვ. 400.
196. fraise II 1) ჯორჯალი (ხბოსი); 2) ჩინჩახვი (ინდაურისა); 3) ძვ. დანაკეცებული მრგვალი საყელო; 4) სამხ. ძვ. ლობურა (ფრანგულ-ქართული ლექსიკონი, შეადგინა ელ. ოქროპირიძემ, თბ., – 1974; petit Larouse illustre, 1979, Paris, გვ. 447, fraise 2.
197. ეს რომ ნამდვილად ასეა, მკითხველი დარწმუნდება ამ ნაშრომის ბოლოს, – თიჰუ-ს კონკრეტული რაობის გარკვევისას.
198. აჭარიანიც, სპარსულ ლექსიკონზე (კონსტანტინეპოლი, – 1926) მითითებით, სპარსულ هفت-ს თურქულ შესატყვისად ასევე ასახელებს კჟ-ს (იხ. ზემოთ, ქვეთავი უახრინდ).
199. Орнитологическая фауна Кавказа (*Ornis Caucasica*), Д-ра Густава Радде, Тифлиси – 1885, გვ. 279.
200. „ურუნი“, როგორც უკვე ითქვა, ქართველმა ორნითოლეგებმა შეარქვეს *Tetrastes bonasia*-ს (იხ. შენიშენა №56).
201. В. В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, С.-Петербург, – 1905, ტ. III, б. 2, ს. 2133.
202. Л. З. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, ტ. I, გვ. 507, ს. 2;
 ყირგზ. შილ, ასეთივე განმარტებით არის რადლოვთანაც:
 Шил (ყირგ.) – серая куропатка, рябчик – das Rebhuhn, das Haselhuhn (В. В. Радлов, – დასახ. ნიგნი, С.-П.-1911, ტ. IV, ნაწ. 1. სვეტი 1055).
203. Dictionnaire turc-français, par J. D. Kieffer et T. X. Bianchi, ტ. I.
204. Миллер В. В., Персидско-русский словарь, М., – 1950.
205. Узбекско-русский словарь, под редакцией С. Ф. Акабиров, З. М. Магруфова, А. Т. Ходжаханова, М., – 1959.
206. Т. З. Захидов, Зоологическая энциклопедия. Птицы, под редакцией Г. С. Султанова, Ташкент – 1957.
207. Киргиз.-русский словарь, составил проф. К. К. Юдахин, М., – 1965.

208. Азербайджанско-русский словарь, редактор А. А. Оруджев, Баку – 1962.
209. Азербайджанско-русский словарь, под редакцией Г. Гусейнова, Баку – 1941.
210. Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазаник, М., – 1945.
211. Турецко-русский словарь, авторы: А. Н. Баскаков, Н. П. Голубева, А. А. Кямилаева и др. М., – 1977.
212. Персидско-русский словарь в двух томах, под редакцией Ю. А. Рубинчика, М., – 1970, т. I.
213. Zooloji terimleri sözlüğü, Ankara – 1963.
214. Türkçe sözlük, Ankara – 1974.
215. Русско-узбекский словарь, под редакцией Р. Абдурахманова, М., – 1954.
216. Русско-казахский словарь, под редакцией доктора филологических наук проф. Н. Т. Сауранбаева, М., – 1954.
217. Башкирско-русский словарь, М., – 1958.

გნოლის, ყრუნის და ღურაჯის ფრანგული, რუსული, ინგლისური და გერმანული სახელწოდებანი შემონიშნულია წიგნში: Семязычный словарь названий животных Европы (лат. нем. англ. фран. венг. испан. русск.) – Budapest – 1979.

218. ZTS-ში იტულისსებება Zooloji terimleri sözlüğü, Ankara – 1963.
219. Г. П. Дементьев, Н. А. Гладков и др. Птицы советского союза, т. IV, М., – 1952, გვ. 149, 153.

ჩემი აზრით, ხმაბადივითი სახელწოდებაა არა მარტო ჩილ/ჩილ- [რომელიც (ვულერსისა და სხვების მიხედვით), – თურქული შესატყვისისა სპარს. თიჰჰუსი], არამედ თვით თიჰჰუ-ც.

ამას მონიშნობს ფონეტიკური აღნაგობა მისივე სინონიმებისა სპარსულში;

შიშჰუ (ნაფინით), შიშიქ (ვულერსით), შიშაქ (ვულერსით, რუბინჩიკით, გაფაროვით), შიშაქ (ვულერსით, რუბინჩიკით), შაშაქ (ვულერსით), შაშაქ (ბიანეით), რომლებშიც, ეჭვი არაა

შნშ/შნშ ძირია, ხოლო: ნქ, აქ, აქ (იგივე: ნკ/ნკ, აკ/აკ, აკ/აკ),
– დეტერმინანტი სუფიქსები.

შნშ-ში რომ შნშ ძირია, ამას ადასტურებს ფალაური, არ-
აბული და თურქული შესატყვისნი თნშ-სი: თნშქ (ბორჰანე-
თი), თნშჟ/ტნშჟ (ბორჰანეთი და სხვებით), თნშურ, თნ-
შქ (ბიანეთი), სადაც ქქ, ქჟ, ურ, უშ ისევე დეტერმინანტი
სუფიქსნი ჩანან, როგორც ზემოთ ნქ, აქ, აქ.

შნშ/თნშ შეკვეცილი ფორმებია; ბოლოკიდური უ
(ორივეში) დეტერმინანტი სუფიქსის ნაშთია, სახელდობრ ურ
სუფიქსისა;

თავდაპირველი ფორმებია *შნშურ, თნშურ (ეს უკანასკნე-
ლი დაცულია თურქულში);

*შნშურ>*შნშჟ (რ>ჟ)>შნშ.

ასევე:

თნშურ>თნშჟ>თნშ.

არაბ. თნშჟ/ტნშჟ-ის მიღება შეიძლებოდა ფალაური
თნშქ-იდანაც (ქ>ჟ), თურქულში დაცული თნშურ-იდანაც
(რ>ჟ) და ქაშეჩისთან დადასტურებული თნშჟ-დანაც (ჟ>ჟ).

თურქულში არსებული თნშქ მიღებულია სპ. თნშჟ-საგან
(ჟ>შ).

თვით შნშ/შნშ არის ფრინველის ხმიანობა, რომელიც თურქ-
მა აღიქვა, როგორც ჩნლ/ჩილ, ყირგიზმა და ყაზახმა, როგორც
შილ, ბაჰირმა, როგორც სელ.

ამაში დაუჯერებელი არაფერია, ვინაიდან, როგორც ყვე-
ლაფერი სხვა, სმენაც არსებობს ეროვნული:

მაგ. ქართ. ოფოფ-ი, არაბ. ჰუდჰუდ;

ქართ. ყიყლიყო, სომხ. წულრულუ...

არადა, როგორც ოფოფი, ისე მამალი, ერთ ხმაზე იძახის
ჩვენშიც და სხვაგანაც.

პირველადი ძირია შნშ, აქედან არის მიღებული თნშ, რასაც
დაერთო ზემოხსენებული დეტერმინანტი სუფიქსები.

სპარსულში არის აგრეთვე შუშაქ, რასაც რუბინჩიკი განმარტავს, როგორც *горная куропатка*-ს. ეს შუშაქ, რა თქმა უნდა, შიშაქ-ის ფონეტიკური ვარიანტია.

შიშაქ/შიშაქ/შიშექ სპარსულსა და თურქულში, გარდა ფრინველისა, ნიშნავს აგრეთვე გარკვეული ასაკის ცხვარს;

გაფაროვით: შიშაქ ექვსთვიანი ბატკანია (М. А. Гаффаров, *Персидско-русский словарь*, М., – 1976).

რუბინჩიკით: შიშაქ/შიშაქ ერთი წლის ცხვარია (*Персидско-русский словарь*, под редакцией Ю. А. Рубинчика, М., – 1970).

მაგაზანიკით: შიშექ ორი წლის ბატკანია (*Турецко-русский словарь*, составил Д. А. Магазаник, М., – 1945).

საბათი: „შიშაგი ენოდება ცხვრისა და კამბუშის შვილს წელიწადს უკან“.

ამ შიშაქ/შიშაქ-ს ფრინველის აღმნიშვნელ, ფონეტიკურად ამავე შედგენილობის სიტყვებთან საერთო აქვს მხოლოდ სუფიქსი (აქ, აქ), ძირთა სემანტიკით კი ისევე განსხვავდება მათგან, როგორც ჩილ I (*Ammoperdix griseogularis*) ჩილ II-ისა და ჩილ III-ისაგან (*Tetrastes bonasia* და *Perdix perdix*);

მართალია, ძირი ორივესი არის შიშ, მაგრამ პირველში იგი გამოხატავს ფრინველის ხმიანობას: ში, ში, მეორეში მისი მნიშვნელობაა სიმსუქნე, სისრულე (თურქულში „შიშ“-ს, გარდა „შამფურისა“, აქვს ეს მნიშვნელობაც).

[ისიც შესაძლებელია, რომ ძირი შიშჷ/თიჷჷ-სი არის არა ხმიანობა (ში, ში), არამედ ეს სიტყვა (თიჷჷ) წარმოადგენს ამ ფრინველის წამოფრენისას გამოცემული ხმაურის გადმოცემას და, მაშასადამე, არა: შიშჷ>თიჷჷ, არამედ პირიქით: თიჷჷ>შიშჷ].

220. Г. П. Дементьев, Н. А. Гладков и др., *Птицы советского союза*, т. IV, М., – 1952, გვ. 112, 226-227.

ფერის გამო ფრინველს ქართულშიც ჰქვია სახელი; ვახტანგ მეექვსეს უწერია: „გნოლი წითლის დევნებითა ქვე მიწაზე საგა-

ლია“-ო (ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, აღ. ბარამიძის რედაქციით, თბ., - 1975, „სალბუნად გულისა“, - გვ. 28, 41₂);

ვახტანგის თხზულებათა გამომცემელს ვერ გაურკვევია, რა ეს „ნითელი“:

ნითელი - ფრინველი? - კითხულობს იგი ამ ნიგნს დართულ ლექსიკონში.

ვახტანგის ეს „ნითელი“ ნამდვილად ფრინველია, მისი ლათ. ნომენკლატურაა *Accipiter gentilis gentilis L.*

- რის საფუძველზე?! -

პასუხი ამ მართებულ კითხვაზე გაცემული იქნება სხვა დროს, სხვაგან (აქ ამისი, ახლა, არც ადგილია, არც დრო).

221. ფრინველის სახელი, რომ ფერის აღმნიშვნელი სიტყვა გამხდარა, - ქართულში ამის მაგალითია **ჟრუნი** (ეს სიტყვა საბასთან **შურთხის** სინონიმია, იგი მას ხმიანობის გამო დაერქვა (ამაზე ცალკე, სხვა დროს), შემდგომ კი, სახელი ამ ფრინველისა (ამ სახელიანი ფრინველის ფერის გამო) გარკვეული ფერის აღმნიშვნელ სიტყვად იქცა.

222. Орнитологическая фауна Кавказа (Ornis Caucasica) Д-ра Густава Радде, Тифлисъ - 1885, გვ. 277-278.

რადეს **ტიგუ** რომ **თიჰჷ-ა**, ამას მოწმობს შავარდნის შესატყვისი მასთანვე: **шагень** [შავარდნის სომხური სახელწოდებაა **շახენ** („შაჰენ“)];

(**შაჰენ** > **шагень**, **თიჰჷ** > **ტიგუ**).

ეს სიტყვა სომხურში შესულია სპარსულიდან: სპ. **شاهین** („შაჰინ“) > სომხ. **շახენ** („შაჰენ“).

223. შოლტ-ი > *შოლთ-ი > *შვალთ-ი > *შხვალთ-ი > შხვართ-ი.

224. არსებობს ამ სიტყვის ფონეტიკური ვარიანტიც (**სხამ-ი**); **სხამ-ი** > **შხამ-ი** თუ **შხამ-ი** > **სხამ-ი**?! -

ვფიქრობ: ეს უკანასკნელი, ვინაიდან უცხ. „ს“ ქართულში არაერთგზისაა გადმოცემული ქართ. „შ“-თი [არაბ. **სახავათ** (**سَخَاوَات**) > ქართ. **შელავათ-ი**; სპ. **აფსარ** (**افسار**) > ქართ. **ავშარ-ა**, სპ. **დასტ** (**تاست**) > ქართ. **ტაშ-ი...**], ხოლო უცხ. „ს“-

თან ქართ. „ხ“-ს განვითარება არ დასტურდება [ოს. საჟ(cay), სომხ. ხსი (სევ) > ქართ. შავ-ი].

225. შესაძლებელია, სწორედ ამ „შხერიდან“ იყოს ნაწარმოები მამაკაცის საკუთარი სახელი „შხერა“, უკეთუ მისი ძირი არაა საშ. სპ. შერ, – „ლომი“.

226. უცხო ენიდან შემოსული და ამგვარად გაქართულებული არაერთი სიტყვაა ჩვენში (უდ. მაჰან ლაჰანა > ქართ. მალრან-ი, სომხ. მაშკათევ > ქართ. მაჩქათელ-ა...).

აქვე ზედმეტი არ იქნება, ითქვას:

სიტყვა ჩილ საშ. სპარსულში თუ იყო, იქ მისი გამოთქმა თავისუფლად შეიძლებოდა ყოფილიყო *ჩელ (შდრ: საშ. სპ. შერ>ახ. სპ. შირ, საშ. სპ. დევ>ახ. დევ) და, მაშინ შხეროს მივიღებდით ასე:

სპ. *ჩელ>ქართ. *შელ (შდრ: სპ. ჩუბ>ქართ. შუბ-ი); შემდგომი პროცესი კი [შერიდან შხერომდე (ფირ>ბერ-ის გამოკლებით)] ზუსტად ისეთი იქნებოდა, როგორცაა იმ აზნავეში, რომელსაც ეს შენიშვნა ეკუთვნის.

227. ლ/რ ბუნებრივია არა მარტო ზანურ-ქართული ენათა მასშტაბით, არამედ თვით ქართულითაც:

ბურბურ-ი (<ბულბულ-ი): „ბურბური გვიძახობდა: ეგ ბალი დამიცალეო (ბორითი)“... (ქ. ძონენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., – 1974).

228. სხვადასხვა ერმა (ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად) დაახლოებით ერთნაირად რომ აღიქვას ამა თუ იმ ფრინველის ხმიანობა, იშვიათი არაა;

ქართ. კაკ-აბ-ი = სპ. ქაბქ (<*ქაქ-ბ) = თურქ. ქაქ-ლიგ/ქაქ-ლიქ = სომხ. კაქ-ავ = ბერძ. კაკკ-აბე = ხეთ. კაკკ-აფა.

ქართ. ოფოფ-ი = ლათ. ფუფუ-ე = სომხ. ჰოჰოჰ.

მეგრ. ტურტურ-ი = ლათ. ტურტურ...

[სხვათა შორის, ბრემი დიდ მონონებას გამოთქვამს გერიტის ლათინური სახელწოდების გამო: „გერიტის ნაზი, სასიამოვნო ხმა შესანიშნავად არის გადმოცემული მისი ლათინური სახელ-

წოდებით, – **Turtur**“ (Жизнь животныхъ А. Э. Брема, въ трехъ томахъ, т. II. Птицы, გვ. 169, С.-П. – 1902)... რა იცოდა, რომ გვრიტს ჩხორონყუმიც ტურტურს ეძახდნენ!]

ასკატა

საბას ლექსიკონის ცხრა ავტოგრაფული ნუსხიდან „ასკატა“ სახეზეა შვიდში; შვიდივეში თან ახლავს ფრინ. ნიშანი (ყ).

ხუთში მისი თურქული შესატყვისია „ბალრიყარა“ (Q-400, H-95, H-1658, K-300, A-75), ერთში, – „ბალრიყარ“ (H-1429).

A-1473-ში უცხო შესატყვისი არ უზის.

წყარო მითითებულია მხოლოდ ორში (A-75, H-1429).

H-416-სა და S-2498-ში „ასკატა“ იყო თუ არა, ღმერთმა იცის, ვინაიდან ეს ნუსხები ნაკლულია, ერთი იწყება „ბალბალუკათი“ (H-416), მეორე, – „აღფუვნებათი“ (S-2498).

განმარტებაზე, უფრო სწორად, განუმარტაობაზე, ეტყობა, რომ „ასკატა“ საბას დროს ისევე ფართოდ ყოფილა ცნობილი, როგორც კაკაბი, ჯოჯობი, გნოლი და სხვ...

რამდენიმე არაავტოგრაფულ ნუსხაში „ასკატა“-ს ნაცვლად წერია „ასკატი“ (ლიტ. მუზ. ხელნაწ. №10766, S-2987, S-4148, S-1608, H-1736, H-202, A-288...); ამათგან, თურქული შესატყვისი, – „ბალრიყარა“ უზის ოთხში (S-2987, S-1608, H-202, H-1736); წყარო („დარეჯანიანი“) მითითებულია ხუთში (ლიტ. მუზ. ხელნაწ. №10766, S-2987, S-1608, H-1736, A-288); H-1736-ში მითითებული წყაროს შემდეგ სხვა ხელით მიწერილია „ტყის ქათამა“, რასაც მოსდევს „ბალრიყარა“ (ეს მინაწერი, ლ. ქუთათელაძის აზრით, ეკუთვნის იოანე ბაგრატიონს)!

„ასკატა“-ს (და არა „ასკატი“-ს) „ტყის ქათამა“ კიდევ მიწერილი აქვს ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფილების ი. ბ. კოლექციის №253-სა, S-3711-სა და ცსსა, ფონდი 1446, №106 ნუსხებში (ი. ბ. კ. №253-სა

და S-3711-ში „ასკატასთან“ მითითებულია წყარო, არ უზის უცხო შესატყვისი).

ლ. ქუთათელაძის მიხედვით, ი.ბ.კ. №253-ისა და S-3711-ის „ტყის ქათამა“² (ისევე, როგორც H-1736-ისა) ეკუთვნის იოანე ბაგრატიონს, ცსსა, ფონდი 1446, №106-ისა კი, – დავით ბაგრატიონს³.

იოანე ბაგრატიონის ერთ ავტოგრაფულ ლექსიკონში (ლექსიკონის ფრაგმენტი, – H-2289) „ასკატი“ განუმარტავია, უწერია მხოლოდ ეს: „ცხოველია დარეჯანიანში“.

მისსავე სხვა ლექსიკონში: „[ლექსიკონი]... მდელოთა, ნერგთა, მწეცთა, მფრინველთა და ქვეწარმავალთა და აგრეთვე სხვა მეტალთა და ბუზთა, – ქართული, არაბული, სპარსული, თათრული, სომხური“ (აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილების ქართული კოლექცია H-31₃) „ასკატას“ უწერია მხოლოდ თურქული შესატყვისი „ბალრიყარა“.

დ. ჩუბინაშვილთან „ასკატი“ კონკრეტული განმარტების გარეშე: „ასკატი (ar. *آفقا avis passeri similis*), n. s. название птицы, пом d'oiseau, Daredj“⁵.

რ. ერისთავი იმეორებს დ. ჩუბინაშვილის განმარტებას: „ასკატი (груз.) მფრინველია, *avis passeri similis*“⁶.

იგივე დ. ჩუბინაშვილი თავის მეორე ლექსიკონში ასკატი-ს რუსულ შესატყვისად წერს **чирокъ**: „ასკატი, ს. მფრინველია чирокъ, ბუნ. ლ“⁷.

დასახელებულ ლექსიკონთა გარდა, „ასკატა“/„ასკატი“ გვხვდება ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში:

საბას მიერ მითითებულ დარეჯანიანში:

„დღესა ერთსა ნადირობას ვიყვენით და ქორი ასკატასა მოუტევა. ფიცხლა ჩამოიღო. გარდაჲდა ცხენისაგან და თუით უშუელა“⁸. სულხან თანიანიშვილის გალექსილ „ამირანდარეჯანიანში“ (ფორ-მით: ასკატი):

„დღესა ერთსა ნადირობდა, გამოვედით, ვსდევდით ქორით, მუნ ასკატი წამოფრინდა, არ ახლობდა, იყო შორით, ფიცხლა ქორი მოუტივა, მსწრაფლათ ექმნა შენასწორით,

და დაიჭირა, თვით უშველა, არ მიგვიშვა, გვითხრა: „მო რით?“
„ქილილა და დამანას“ საბასეულ ვერსიაში:

„ვინ თქუა ასკატა სონლულსა საცემრად დაიმონებდეს,
ლომსა საბრძოლად ქურციკი არად არ მოიწონებდეს“¹⁰.

ვახუშტის „აღწერა სამეფოსა საქართველოსაში“:

1. „კაკაბი, ღურეჯი, გნოლი... ასკატა... ტყის ქათამი“.

2. „ფრინველნი ურიცხვნი, გარნა ღურაჯი, შხერო, ასკატა არა
არს აქა“.

3. „ფრინველნი – წერო, ბატი, სავათი, ლაკლავი, კაკაბი, ღურა-
ჯი, ასკატა, სვაგი, ყაჯარი არა არს აქა“¹¹.

ზაზა ფანასკერტელის კარაბადინში (ფორმებით: „ასკატაკი“/
„ასკატკი“):

1. „თეფნი წურილი ქვიანისა ადგილისა და კუერცხის გული თორხ-
ული, და კორცი ასკატკისა“.

2. „ასკატკის კორცი და სიქაბუი ჯორცითა“.

3. „მუზფრი ასკატკისა“...

4. „ასკატკი და ვარიები“.

5. „... ქედანთა და ასკატაკთა“...

6. „... კორცი ასკატაკისა ერგების სტომაქსა, დააყენებს მუცელ-
სა“¹².

პეტრე ლარაძის „დილარიანში“:

„... ათასითა მარჯანითა და ათასითა ასკატითა“¹³...

ლექსიკონებში, რომლებიც ახლავს წიგნებს, სადაც ნახსენებია
„ასკატა“, მისი განმარტების საქმე ასეა:

ასკატი, ასკატა (საბა). (ს. თანიაშვილი, ამირან-დარეჯანიანი,
ლექსიკონი შედგენილია გამომცემლის, გ. ჯაკობიას
მიერ).

ასკატა – ფრინველია შევარდნის გვარისა (ქილილა და დამანა,
აღ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით, თბ., –
1949).

ასკატა – იხვინჯა (ფრინველია). (ს. ს. ორბელიანი, თხზულებანი,
ტ. I, II, აღ. ბარამიძისა და ე. მეტრეველის რედაქცი-
ით, თბ., – 1962.

ასკატა – (ორ. 270: თიჰჰუ – გნოლი; B 408: თუთი). (ქილილა და დამანა, ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო მაგალი თოდუამ, თბ., 1975)¹⁵.

ასკატა – ფრინ. იხვინჯა, ჭიკვარა; **чирок** (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., – 1941).

ასკატა – (მფრინველი). (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., – 1973).

ზ. ფანასკერტელის კარაბადინის არც ერთ გამოცემაში [იგი გამოცემულია ორჯერ (1950, 1978 წწ.)] „ასკატაკი“/„ასკატკი“ (რაც იგივეა, რაც „ასკატა“) განმარტებული არაა; მხოლოდ ფიქსირებულია (პირველში, – თანდართულ ლექსიკონში, მეორეში, – საგნობრივ საძიებელში).

ვახუშტის გეოგრაფიის ბროსესულ ორენოვან გამოცემაში „ასკატა“ გადატანილია უთარგმნელად, ფრანგული ტრანსლიტერაციით: **ascata**¹⁶.

რუსულ თავმანში (მთარგმნელი მ. ჯანაშვილი) „ასკატას“ რუსული შესატყვისია **чирок**¹⁷.

„ასკატათი“ დაინტერესებულა გ. გამყრელიძე; ნიგში: „ლექსები, მოთხრობები და ნარკვევები ფრინველებზე“ (ქ. ვაშინგტონი, – 1963) იგი წერს: „საბა ამ ფრინველს (ლაპარაკია „ასკატაზე“. მ. მ.) სიტყვის კონის სამ ადგილას იხსენიებს, მაგრამ მხოლოდ ერთგან ამბობს, რომ „ასკატა“ თურქულად „ბალრიყარიო“; თუ ეს ასეა, „ბალრიყარი“ ჩემი შემონმებით, თურქულად „ტყის ქათამია“ (გვ. 187)¹⁸.

როგორც დავინახეთ, წარმოდგენილი მასალის მიხედვით, ქართულში ამ ფრინველის სახელწოდების ოთხი ფორმა არსებობს: „ასკატა“, „ასკატი“, „ასკატაკი“, „ასკატკი“.

„ასკატა“/„ასკატი“-ს უცხო შესატყვისნი არიან: თურქ. „ბალრიყარა“, „ბალრიყარ“ (საბათი და იოანეთი), რუს. **чирок** (დ. ჩუ-

ბინაშვილით, რასაც იმეორებენ მ. ჯანაშვილი, თ. ლომოური, ნ. ბერძენიშვილი, ალ. ბარამიძე, ელ. მეტრეველი).

ი. და დ. ბაგრატიონებისა და გ. გამყრელიძის შრომით: „ასკატა“ „ტყის ქათამია“.

დ. ჩუბინაშვილის, 1840 წელს გამოცემული ლექსიკონითა და რ. ერისთავით იგი „ბელურას მსგავსი ფრინველია“ („avis passeri similis“).

ალ. ბარამიძესა და პ. ინგოროყვას „ასკატა“ „შევარდნის გვარის ფრინველად“ მოუჩნევიათ.

განვიხილოთ სათითაოდ ყოველი მათგანი;

„ასკატას“ საბასეული თურქული შესატყვისი („ბალრიყარა“) ვინაიდან ზუსტია, რაშიც მკითხველი დარწმუნდება თავის ადგილას, ამიტომ ჯერ შევხებით სხვებს:

„ასკატა“ არ შეიძლება იყოს „ტყის ქათამი“ (*Scolopax rusticola* Linn.), ვინაიდან:

1. საბას ლექსიკონში არის „ტყის ქათამიც“ და „ასკატაც“ (ოლონდ ცალ-ცალკე); „ტყის ქათამი“, რომ „ასკატას“ სინონიმი იყოს, ეს საბასთან აღნიშნული იქნებოდა ისევე, როგორც: ჟრუნი – შურთხი; მაჩქათელა – მლამიობი და სხვ.

2. საბამ იცის „ტყის ქათამის“ იტალიური შესატყვისი „ბეკაცა“¹⁹, რომლის თურქული სახელწოდებაა არა „ბალრიყარა“, არამედ, – „ჩულლუქ“ (çulluk).

3. ვახუშტი საქართველოში გავრცელებულ ფრინველთა შორის „ტყის ქათამის“ გვერდით ასახელებს „ასკატას“.

4. იმავე ვახუშტის ცნობით, სამცხეში და აფხაზეთში „ასკატა“ არაა.

„ტყის ქათამს“ კი უყვარს ტენიანი ნიადაგი, გვიმრნალი, ხშირი ტყე²⁰, რაც ყოველ დროს (მით უმეტეს უნინ) ესოდენ დამახასიათებელი იყო დასავლეთ საქართველოსათვის; რადეს სიტყვით: „ტყის ქათამი დიდი რაოდენობით ბუდობს კავკასიის ტყეებში; იგი უხვადაა, როგორც ეს ნორდმანმა დაამტკიცა, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, სამეგრელოსა და აფხაზეთში“²¹.

თანამედროვე მონაცემებით: „საქართველოს ფარგლებში ტყის ქათამი მოიპოვება თითქმის ყველგან. ზოგ ადგილას ბუდობს. განსაკუთრებით მრავლად გვხვდება მიმოფრენის პერიოდში. დასავლეთ საქართველოს რიგ ადგილებში, მეტწილად აჭარაში, გურიამი და სხვ. ტყის ქათამი ზამთრობს“²².

„ტყის ქათამს“ აქვს საკუთრივ მეგრული და სვანური სახელები (რასაც ვერ ვიტყვით მაგ. გნოლზე, რომელიც დასავლეთ საქართველოში არ მოიპოვება)²³: მეგრ. კვათარა, კვათარი, კვანთარი (*Scolopax rusticola* L.)²⁴, სვან. ბინული ქათალ (ჯახუნდარი), მნგა (უშგული), ცხეკიშ-ქათალ (ბალქევემოური)²⁵.

„ასკატა“ არ შეიძლება იყოს „იხვინჯა“, „ჭიკვარა“ (ЧИРОКЪ)!

„ასკატა“ არ შეიძლება იყოს „ბელურას“ მსგავსი ფრინველი“!

„ასკატა“ არ შეიძლება იყოს „შევარდნის გვარის ფრინველი“! ვინაიდან:

„ლაჰსა არცა წყალთა ფრინველთასა სახელ-ვსდებთ, არცა სირთა და ჩიტთასა, არცა კორცისა მჭამელთა და მჩხავანთა მართვეთა... ლაჰი ენოდების გარეულთა ფრინველთა მართვეთა, არა თუ ყოველთასა, არამედ რომელნი იჭამებიან: კოკობთა, კაკაბთა, როჭოთა, შურთხთა, ჩახრუხთა, გნოლთა, ასკატათა და მისთანათასა“ (საბა);

იხვინჯა, ჭიკვარა კი, როგორც ვიცით, წყლის ფრინველია, ბელურა, – ჩიტი, შევარდენი, – კორცის მჭამელი (იხვინჯა, ჭიკვარას მართვეს ჰქვია ჭუჭული, ბელურასას, – ბარტყი, შევარდნისას, – ქულა).

რამ გამოიწვია „ასკატას“ გაიგივება „ტყის ქათამთან“ და „იხვინჯა“, „ჭიკვარასთან“?!

რატომ მიიჩნიეს იგი „ბელურას“ მსგავს ფრინველად?!

ამაზე მე შემიძლია დაახლოებით მაინც გავცე პასუხი:

ჩერქეზულად „ხოხობს“ ჰქვია „მეზჷკატი“ [მეზე („ტყე“), კეტი („ქათამი“)], ყაბარდოულად, – „მეზგედ“ [მეზ („ტყე“), გედ („ქათამი“)]²⁶.

ალბათ, „ასკატასთან“, ამ ადილურ სიტყვების ფონეტიკურმა მსგავსებამ განაპირობა იოანე და დავით ბაგრატიონების „ტყის ქათამა“, როგორც სინონიმი, თუ ქართული შესატყვისი „ასკატასი“.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ, როგორც მკითხველს მოეხსენება, საბას ლექსიკონის ერთ ნუსხაში (ი.ბ.კ. №253) „ტყის ქათამს“ ი. ბაგრატიონის მიერ მიწერილი აქვს „ასკედი“²⁷.

აფხაზურად გარეული იხვის, „წყლის ქათმის“ სახელწოდებაა „აძქკუტგ“ [აძქ („წყალი“), ა-კუტგ („ქათამი“)]²⁸.

ადვილი შესაძლებელია, ეს გახდა მიზეზი „ასკატის“ დ. ჩუბინაშვილისეული რუსული შესატყვისისა **чирокъ** (чирокъ – იხვინჯა, ჭიკვარა).

ქართული სიტყვის წარმომავლობა, რომ სხვა, რომელიმე კავკასიური ენის სამყაროში ვეძიოთ, ეს სავესებით საფუძვლიანია, ვინაიდან ქართულში, მოგეხსენებათ, არაერთი სიტყვაა, – წარმოშობით იქაური ისევე, როგორც იქ, – ჩვენებური.

საგულისხმო აქ ისაა, რომ ძიების ეს მეთოდი, ჩვენს, არც ისე შორეულ წინაპრებსაც ჰქონიათ.

იხვინჯა, ჭიკვარასთან დაკავშირებით, ისიც არაა, გამორიცხული, რომ „ასკატას“ საბასეული თურქული შესატყვისი „ბალრიყარა“/ „ბალრიყარ“ დავით ჩუბინაშვილს არეოდა თურქულსავე „ბალირთლაქში“ (უფრო ზუსტად: მისი იქაური ორი მნიშვნელობიდან ერთში).

რადლოვით²⁹, ق مرغ, გარდა эгипетский рябчик-ისა (ägyptische Rebhuhn), არის „ჭიკვარა“ (Anas crecca), რუს. **чирокъ**, გერმან. **Kriecherente** (იგივე: Kriechente)³⁰.

მაგაზანიკით, ალაკაითი³¹ და ბასაკოვით³² bagirtlak არის „იხვინჯა“ (Anas querquedula)³³.

სხვაგან, ქართული წყაროების (საბა, ვახუშტი, დარეჯ...) „ასკატა“ დ. ჩუბინაშვილმა და რ. ერისთავმა აურიეს თურქ. „ისკეთ“-ში (iskete), რამაც გამოიწვია მათ მიერ მისი (ქართ. „ასკატას“) „ბელურის მსგავს ფრინველად“ გამოცხადება; არადა, ქართ. „ასკატაში“ და „ასკატის“ საბასეულ თურქულ შესატყვისში („ბალრიყარა“) არამც

და არამც არცერთნაირი ჩიტი არ იგულისხმება (იხ. „ლაპის“ საბასეული განმარტება); ჩიტი არაა არც ვახუშტის „ასკატა“; ჩიტი რომ იყოს, კაკბის, გნოლისა და შურთხის მარაქაში ვინ გარეედა?! – ცხადია, – არავინ!

„ისქათა“ (اڤسا), – (რადლოვით)³⁴, „ესქათა“ (اڤسا), – (ბუდაგოვით)³⁵ – ჩიტია ერთგვარი; რადლოვთან, – ყვითელი, ბუდაგოვთან, – მოყვითალო. ბუდაგოვთან დასახელებულია მისი არაბული და სპარსული შესატყვისნიც: არ. طيط, სპ. ايسا.

თურქული ენის განმარტებით ლექსიკონში (Türkçe sözlük, Ankara – 1974) იგი განმარტებულია ასევე ზოგადად: „iskete – ბელურასნაირთა კლასის, ერთგვარი ხმავეთილი ჩიტი, რომლის ძირითად საკვებს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის დამზიანებელი მწერი და ჭია-ლუა“.

იგივე ლექსიკონი „ბალრიყარას“ (bagırıkara) განმარტავს, როგორც „ისქეთეს“ (iskete) ერთ სახეობას.

რუსულ-თურქულ ლექსიკონში³⁶ „ისქეთესთან“ ერთად синица-ს თურქ. შესატყვისია „ბაშთანყარა“.

თურქული ენის განმარტებით ლექსიკონსა და ზოოლოგიურ ტერმინთა ლექსიკონში (Zooloji Terimleri sözlüğü, Ankara – 1963) „ბაშთანყარას“ (baştankara) ლათინური ნომენკლატურაა Parus major, გერმანული შესატყვისი, – kohlmeise, ფრანგული – mésange charbonniere, ინგლისური, – great tit.

თურქულ-რუსულ ლექსიკონში³⁷ „ბაშთანყარას“ რუსული ფარდია большая синица (Parus major).

თუ რადლოვი, ბუდაგოვი და ალაკაი (Türkçe sözlük-ის ავტორი) „ისქეთეს“ ზოგადი დახასიათებისას არა ცდებიან, მაშინ „ბალრიყარა“/„ბაშთანყარას“ ისქეთეს ერთ სახეობად მიჩნევა (რასაც Türkçe sözlük-ი გვთავაზობს), ჩემი აზრით, უმართებულოა.

„ბალრიყარა“/„ბაშთანყარას“ ლათ. ნომენკლატურა კია ნამდვილად Parus major, როგორც ეს თურქული ენის განმარტებით ლექსიკონში, ზოოლოგიურ ტერმინთა ლექსიკონში და თურქულ-რუსულ ლექსიკონში წერია, მაგრამ, რაიცა შეეხება „ისქეთეს“, მი-

უხედავად იმისა, რომ თურქულში „ისქეთეს“ განმარტებანი ზოგადაა, მისი შეფერილობისა, მშვენიერი ხმისა და ბელურასთან მსგავსების გამო, რასაც იქ აღნიშნავენ, შეიძლება თამამად ითქვას, რომ იგი არის *Chloris chloris* L., რუს. *Зеленушка, лесная канарейка*.

Зеленушка-ს რ. ჟორდანია³⁸ თარგმნის, როგორც „მესკიას“³⁹, მირ. კუტუბიძე⁴⁰, როგორც „მწვანულას“.

არც ჟორდანიას სწორი, არც კუტუბიძე; პირველი იმიტომ, რომ „მესკია“ (იგივე „ნივნია“) *Parus major*-ია და არა *Chloris chloris*, მეორე იმიტომ, რომ „მწვანულა“ კალკია *зеленушка*-სი.

ამ ფრინველს ქართულად ჰქვია „გულყვითელა“ (ასე ეძახიან მას ზემოიმერეთში) და „კრულა“/„კრუანაჲ“ (ქართლ.).

ჩიტი, რომლის ლათ. ნომენკლატურაა *Parus major*, „მესკიის სხვა სახეობებზე შესამჩნევად დიდია. მუცლის შეფერილობა აქვს ღია ყვითელი, ყელი და თავი, – შავი“⁴¹.

მის თურქულ სახელებში („ბალრიყარა“/„ბაშთანყარა“) ასახულია სწორედ ამ ფრინველის ყელისა და თავის სიშავე (ბალირ/ბალრი⁴² – „მკერდი“, ბაშ – „თავი“, ბაშთან⁴³ – თავით/თავიდან, ყარა – „შავი“). სხვათა შორის, ქართულშიც, ამ ფრინველს (როგორც უკვე ითქვა; იხ. შენიშვნა – 39), გარდა „ნივნიასი“ და „მესკიისა“, ჰქვია „თავშავა“.

„ისქეთეს“, რომლის ლათ. ნომენკლატურა, ჩემი აზრით *Chloris chloris*-ია, „აქვს ყვითელი მუცელი; საერთო შეფერილობით მამალი მოყვითალო მწვანეა, დედალი, – მოყვითალო რუხი. ფრენის დროს გამოსცემს რაკრაკა ხმას: ტე, ტე, ტე. მისი გალობისათვის დამახასიათებელია წმინდა და ხმიერი სტვენა; ჭრინვისას, შიგა და შიგ, გაბმულად ჩაუკრიმანჭულებს ხოლმე“⁴⁴.

ძირი ამ ფრინველის თურქული სახელწოდებისა, ადვილი შესაძლებელია იყოს „ისქით“ (*iskit*), რაც თარაწჩინულ კილოზე ნიშნავს „სტვენას“⁴⁵.

ასე და ამგვარად, მე, შეძლებისამებრ ავხსენი საბასეული „ასკატის“ სამი არასწორი გაგების მიზეზი, მაგრამ ჩემთვის ყოვლად გაუგე-

ბარია, რატომ ჩათვალეს იგი „შევარდნის გვარის ფრინველად“⁴⁶, – მერედა, ისიც, ამნაირ კონტექსტში:

„ვინ თქუა ასკატა სონლულსა საცემრად დაიმონებდეს, ლომსა საბრძოლად ქურციკი არად არ მოინონებდეს“⁴⁷.

თავი რომ დავანებოთ „ლაპის“ საბასუელ განმარტებას, თვალი რომ დავხუჭოთ საქართველოში გავრცელებულ ფრინველთა ვახუშტისეულ ჩამოთვლაზე, უყურადღებოდ რომ დავტოვოთ „ასკატაზე“ ქორით ნადირობის ფაქტი, – მარტო ამ ლექსის კონტექსტი საესეებით საკმარისია, რათა მკითხველი დარწმუნდეს, „ასკატის“ „შევარდნის გვარის ფრინველად“ მიჩნევის სრულ ულოგიკობაში;

ლექსის პირველ სტრიქონში „ასკატა“ დაპირისპირებულია „სონლულთან“, მეორეში, – „ლომთან“, – „ქურციკი“.

„ლომი“ (*Felis Leo*) უძველესი სიტყვაა ქართულში.

„ლომ“ ფუძეს შეიცავს სამივე ქართველური ენა.

„ლომის“ აქადური სახელწოდებაა „ლამბუ“, ძველებრაული, – „ლამბი“, რომლებთანაც ფონეტიკურად ერთობ ახლოა ქართული „ლომ“-ი⁴⁸.

„ქურციკი“⁴⁹ (*Gazella subgutturosa*) იგივეა, რაც „ჯეირანი“/„ჯეირანი“ (სპ. აზერბ. „ჯეირან“⁵⁰, თურქ. „ჯეჲლან“⁵¹, მონღ. „ჯეგეერენ“, ყალმუხ. „ზერნ“, რუს. „ზერენ“)⁵².

„სონლული“ (*Falco girfalco*) წარმოშობით სხვათა სიტყვაა (უილ. „სონწყურ“, ოსმ. „სონლურ“⁵³, აზერბ. – თუქრმ. „შუნლარ“, ყირგ. „შუმყარ“⁵⁴, არაბ. „სონყურ“/„სონყურ“⁵⁵, თურქ. „სონგურ“/„სუნგურ“⁵⁶, ტაჯ. „შუნყორ“⁵⁷...).

საბათი „სონლულის“ თურქული შესატყვისია „შუნლარ“, „შუნყარ“.

ლექსის მეორე სტრიქონი იძლევა პირველის გასაღებს:

„ქურციკამ“, რომელიც ძალიან ხშირად კერძია ლომისა, მართლაც, სად გაგონილა, რომ ლომთან შერკინება გაბედოს?!

ასევე, განა შეიძლება, „ასკატამ“ სონლული დაჯაბნოს?!

„ასკატა“, აქ, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს „შევარდნის გვარის ფრინველი“, თუ მეორე სტრიქონში „ქურციკის ნაცვლად

ენერება ვეფხი, აფთარი, ან მისთანანი; მაგრამ რაკილა იქ კორცისმ-ჭამელი ცხოველის (ლომი) საპირისპიროდ წერია მძოვნელი (ქურცი-კი), ამიტომ, მეტი, რომ არა ვთქვა, ერთობ უხამსი პარალელი იქნე-ბოდა, პირველ სტრიქონში ორი, ისიც, ერთი გვარის მტაცებელი ფრინველი რომ ყოფილიყო ერთიმეორესთან დაპირისპირებული, რაც, ღვთით, არცაა (არადა, რატომ უნდა ყოფილიყო?! – არამტა-ცებელი ფრინველი არ იშოვება, თუ რა?! – მით უმეტეს, როცა ეს „ასკატა“, არც ორიგინალის „თიშუ“-ს ქართული შესატყვისია, არც ვახტანგისეული „თუთისა“).

ასევე გაუგებარია, თუქრ. „ბალრიყარის“ საფუძველზე „ასკატის“ „ტყის ქათამად“ გამოცხადება; ფორმა „ბალრიყარი“ თურქულში არაა, არის „ბალრიყარა“, რომელიც თურქული ენის არც ერთ დიალექტში არ ნიშნავს „ტყის ქათამს“.

რაა ეს ქართ. „ასკატა“?! –

იგი, რომ კაკბის, ხოხბის, გნოლისა და მისთანათა მარაქაში გადის, ეს ნათლად ჩანს „ლაპის“ საბასეული განმარტებიდან და ფრინველთა ვახუშტისეული ჩამოთვლიდან, მაგრამ კერძოდ რომელი ფრინველია?!

ეს რომ გაირკვეს, უწინარეს ყოვლისა, უნდა დაზუსტდეს „ასკა-ტის“ თურქული შესატყვისის („ბალრიყარა“)⁵⁸ ყველა მნიშვნელობა თურქულში;

სიტყვა „ბალრიყარა“, როგორც ფრინველის სახელწოდება, ერთ-დროს ქართულშიც ყოფილა, რასაც მოწმობს ამ სიტყვის ი. ბაგრა-ტიონისეული განმარტება: „ბალრიყარა მომცრო და კაკბის გუარია, ქართულად შხერო ეწოდება“⁵⁹.

ი. ბაგრატიონი, რომ სწორია „ბალრიყარას“ განმარტებაში და სწორი არაა მის ქართულ შესატყვისად „შხეროს“ მიჩნევაში, მე შე-ძლებისამებრ დავასაბუთე ნაშრომში „შხერო“, ამიტომ აქ ამზე აღარ შევჩერდები.

მკითხველს შევახსენებ მხოლოდ, რომ დასახელებული ნაშრომის ქვეთავში („ბალრიყარა“) მე ვწერდი: „ბალრიყარა თურქულში ჰქვია ორ, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ფრინველს; ერთი

პანანკინტელა ჩიტია, მეორე, – მტრედისტოლა, ვისთვის – კაკბისა და ვისთვის მტრედის მსგავსი ფრინველი“.

კარგა ხანია თურქულ ლექსიკონებში ფრ. „ბალრიყარა“ მხოლოდ *Parus major*-ს ნიშნავს.

შედარებით ძველი ლექსიკონებიდან, „ბალრიყარა“ არის რადლოვთან და, უფრო ძველთაგან, თალი იმანი ჰერეთელის „ბადაი ალ-ლულათ“-ში (შეიძლება სხვაგანაცაა, მაგრამ მე რაც ვიცი, – იმას ვამბობ).

რადლოვი „ბალრიყარას“ განმარტავს, როგორც „შავმუცლიან ფრინველს“ და მოაქვს ციტატა ბაბერ-ნამედან: „იქ არის პატარა ფრინველი, რომელიც ეკუთვნის „ბალრიყარას“ (قرا ىرغى) გვარს“⁶⁰.

„ბადაი ალ-ლულათის“ მიხედვით: „ბალრიყარა“ (قرا ىرغى) არის მტრედისტოლა, შავმკერდა, ჭრელბუმბულა, ფრთამაღი ფრინველი (იჭმება)... Чернобрюхий рябок“⁶¹.

ცნობილია чернобрюхий рябок-ის (*Pterocles orientalis* Linn) ორი ქვესახე: აღმოსავლური (*Pterocles orientalis orientalis* Pall) და დასავლური (*Pterocles orientalis orientalis* Linn)⁶².

„ევროპის ცხოველთა სახელების შვიდენოვან ლექსიკონში“ (ბუდაპეშტი – 1979) არის მხოლოდ *Pterocles orientalis* (სინ: *Pterocles arenarius*, *Tetrao arenarius*), – მის, აღმოსავლურ და დასავლურ ქვესახეთა გარეშე (ტ. I, §9549)⁶³.

ბუტურლინთან *Pterocles senegallus* Linn-ის რუსული შესატყვისია **Малый чернобрюхий рябок**⁶⁴.

ბრემთან чернобрюхий рябок-ს ჰქვია აგრეთვე **степной рябок** და **цветная куропатка**⁶⁵.

აქედან გამომდინარე: ლათ. ნომენკლატურა თურქული „ბალრიყარასი“ *Pterocles orientalis* L. ყოფილა; ხოლო, რაკილა ეს „ბალრიყარა“ თურქული შესატყვისია ქართული „ასკატასი“, მაშასადამე „ასკატაც“ ამავე ნომენკლატურისაა.

ახლა, უკვე ნათელია, რატომაა „ასკატა“ (საბასთან და ვახუშტისთან) კაკბის, გნოლისა და შურთხის მარაქში გარეული; თვით ეს ფაქტი კი („ასკატას“ მათში გარევა), თავის მხრივ, თვალნათლივ

ამტკიცებს, რომ საბასეულ „ბალრიყარა“-ში იგულისხმება არა „ბელურასი“ და „შევარდნის“ გვარის ჩიტი, არა „ტყის ქათამი“ და არა „იხვინჯა“ თუ „ჭიკვარა“, არამედ კაკბისნაირი ფრინველი, სახელდობრ: *Pterocles orientalis* Linn. (იგივე: *Pterocles arenarius*,⁶⁶ *Tetrao arenarius*).

დღეს თურქულსა და მის დიალექტებში *Pterocles orientalis* Linn-ის სახელწოდებანია: „ყარაბაურ“, „ყარაბაურ-ბულდერიუქ“, „ბალირთლაქ“, „ყარა-ბალირთლაქ“⁶⁷ („ბალრიყარა“, როგორც აღინიშნა, სადღესოდ უკვე აღარ იხმარება ამ ფრინველის სახელად).

რადლოვისეულ „ბალირთლაქის“ ერთ მნიშვნელობაში (*заниматский рябчик*), ეჭვი არაა, სწორედ *Pterocles*-ი იგულისხმება, კერძოდ *Pterocles senegallus* L., რომლის რუსული შესატყვისი ბუტურლინთან (როგორც ითქვა) არის *Малый чернобрюхий рябок*;

რადლოვით „ბალირთლაქის“ მეორე მნიშვნელობაა (ესეც უკვე ითქვა) *Anas crecca* L. (ჩიროკ-სვისტუнок – ჭიკვარა).

ალკაესთან, მაგაზანიყთან და ბასკაკოვთან (ესეც ნათქვამია; იხ. ზემოთ) „ბალირთლაქი“ იხვინჯაა (*Anas querquedula*).

მიზეზი *Рябок*-ისა და *Чирок*-ის სეხნიობისა (ორთავეს, როგორც დავინახეთ, თურქულად ჰქვია „ბალირთლაქ“) არის „ბალირთი“, რაც თურქულში ნიშნავს „ყვირილს“, „ძახილს“, „ქოთქოთს“ და, რაც დამახასიათებელია, როგორც *Рябок*-ისა, ისე *Чирок*-ისათვის.

რადესთან (ისევე, როგორც ბრემთან) *P. orientalis orientalis* Pall-ის რუს. შესატყვისია *Степной рябок*, ლათ. ნომენკლატურა *Pterocles arenarius* Pall., სპ. სახელწოდება, – „სнийя-სინა“⁷⁰, – „სნიჲჰ“ (اسيا) – „შავი“, „სინე“ (سینه) – „მკერდი“ [ესეც, კიდევ ერთი ნათელი მაგალითია სხვადასხვა ერის ხედვათა ურთიერთდამთხვევისა (შდრ: თურქ. „ბალრიყარა“, აზერბაიჯ. „ყარაბალირ“, – ბალირ/ბალრი – „მკერდი“, ყარა – „შავი“)].

არსებობს *Белобрюхий рябок*-იც (*Pterocles alchata* L.), მისი ეს სახელწოდება, ისევე, როგორც *Чернобрюхий рябок* (*Pterocles orientalis* L.), როგორც თვითონ რუსნი აღნიშნავენ, მნიგნობრულია⁷¹.

თურქულსა და მის დიალექტებში *Pterocles alchata*-ს ჰქვია: „აქ-ბაურ“, „ქულან-ბაურ-ბულდერიოქ“, „ქილ-ქუიროქ“⁷².

რადეთი მისი სპ. შესატყვისია „Као-кар“, თათრული, – „пахтал“⁷³.

ზოგადად, Рябок-ის ფრანგული, ესპანური და პორტუგალიური სახელწოდებაა „განგა“ (ganga)⁷⁴, – ფრინველის ხმის მიბაძვით: „გა-გა“, ან „გა-ნგ“, რომელსაც *Pterocles alchata* გამოსცემს ფრენის დროს⁷⁵.

აქ საყურადღებო ისაა, რომ ეს ხმა არაბს ესმის, როგორც „ყატა-ყატა“ და ამიტომ ამ ფრინველს არაბულად ჰქვია „ყატა“ (ამაზე ქვემოთ მექნება საუბარი); ბრემის დაკვირვებით, ეს ძახილი („ყატა-ყატა“) დამახასიათებელია *Pterocles*-ის თითქმის ყველა სახეობისათვის⁷⁶.

„განგა“ (ganga) ფრანგულად და ესპანურად არის ერთერთი შესატყვისი *pterocles orientalis*-ისა; „განგავეა“ ერთერთი ესპანური სახელი *Pterocles alchata*-სი; ფრანგულად *Pterocles alchata*-ს ჰქვია „განგა კატა“ (ganga cata)⁷⁷.

Белонрюхий рябок-ის ლათ. ნომენკლატურებია: *Pterocles chata* (ბოგდანოვი – 1878), *Pterocles alchata* (რადე – 1885), *Pterocles alchata sewerzowi* (მენზბირი – 1895)⁷⁸.

მკითხველს უნდა შევახსენო, რომ, როგორც აღვნიშნე, საბას ლექსიკონის ერთ ნუსხაში (H-1429) „ასკატას“ თურქ. შესატყვისია „ბალრიყარ“, სხვა ნუსხებში (ასეთი ხუთია), – „ბალრიყარა“.

ამის გამო, გამიჩინდა აზრი: იქნებ, პირველი („ბალრიყარ“) არის *Pterocles alchata*, მეორე („ბალრიყარა“), – *Pterocles orientalis*! – ქართულში კი ორთავე სახელერთია („ასკატა“)?!

„ყარ“ თურქულად „თოვლია“; იგი არაერთგან გვხვდება ბოტანიკურ და ზოოლოგიურ ტერმინთა შემადგენლობაში:

„ყა:რჩიჩელი“ (*Helleborus vernalis*), „ყარყუშუ“ (*Plectophenax nivialis*), „ყართავშანი“ (*Lepus timidus*)⁷⁹.

აქვს თუ არა მას აქ, და, საერთოდ, მსგავს შემთხვევაში, მნიშვნელობა „თეთრისა“?!

არის თუ არა სადმე ეს „ყარ“ კომპოზიტის მეორე წევრი?!

საქმეც სწორედ ის გახლავთ, რომ ამგვარ ტერმინებში იგი ყოველთვის კომპოზიტის პირველი წევრია და მისი მნიშვნელობაა არა „თეთრი“, არამედ „თოვლი“.

ასე, რომ დაწერილობა „ბალრიყარ“ უმართებულოა.

ქართულ ორნითოლოგიაში *Pterocles*-ის შესატყვისად გამოძებნილია თვითნაკეთი „გვრიტჩიტა“⁸⁰; „შავმუცელა“ და „თეთრმუცელა“ (ორი სახეობა „გვრიტჩიტასი“) რუსულის კალკია [„Чернобрюхий“, „Белобрюхий“, – რანიც იქაც თვითნაკეთნი არიან (იხ. შენიშვნა – 71-ში მითითებული წყარო)].

ბრემი „შავმუცელას“ (გერმან. *Pingelflughuhn*) უწოდებს: *Ganga*, „თეთრმუცელას“ (გერმან. *Spießflughuhn*), – *Khadda*; მასთან *ganga*-ს ლათ. ნომენკლატურაა *Pterocles arenarius Pall.*, *Khadda*-სი, – *Pteroclidurus alchata Linn.*⁸¹.

VI ს-ის არაბი პოეტის (შამქარა) ლექსში „ქება უდაბნოსი“, *Pterocles*-ის არაბული სახელწოდებაა „ყატა“ (قطا):

„მეც კატანი, – მკერდით ღამეს რომ მოარღვევდნენ
და წყურვილისგან მუცელი რომ უზუყუბუყებდათ, –
წყლის იმ ნაჟურთლა სჯერდებიან, – რაც მე დამირჩა“.

ამ ლექსის რუსულ თარგმანგში ეს *قطا* დაწერილია, როგორც *kaṃā* და, შენიშვნებში მისი ლათ. ნომენკლატურაა *Pteroclidurus alchata*⁸² (იგივე, რაც ბრემთან).

[არაბ. „ყატას“ (قطا) აქ და ყველგან მე ვწერ, როგორც „კატა“, ვინაიდან, როგორც ცნობილია, ქართულში „არაბული „კ“ ასოს შესატყვისი ბგერა, არაბულიდან შემოსულ სიტყვებში, ძველად უმეტესად „კ“ იყო“ (შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., – 1966 – გვ. 014)].

სილვესტრ დე სასის წიგნიდან („*Chrestomathie arabe*“) ვიგებთ, რომ არაბეთში სახელი ფრინველისა *kata* (სასი ასე წერს *قطا / قتا*-ს) ეპითეტია თითქმის ყოველგვარი ადამიანური ღირსებისა:

წრფელი, როგორც კატა; მარდი, როგორც კატა; ნარნარი, როგორც კატა; გონიერი, როგორც კატა; – ჩვეულებრივი, ყოველდღიური გამოთქმებია არაბულში;

ნარნარად მოსიარულე ქალზე, როცა არაბი ამბობს: – კატასავით დადისო! – იმიტომ ამბობს, რომ კატამ მოკლე-მოკლე ნაბიჯებით, მსუბუქი, სანდომიანი გოგმანი იცის.

მავანზე, როცა ამბობენ, უფრო საზრიანია, ვიდრე კატაო! – იმიტომ ამბობენ, რომ კატა უდაბნოს ქვიშაში კვერცხს ჩაფლავს, მერე იქაურობას რამდენიმე დღით განშორდება; ხოლო, როცა დაბრუნდება, ზუსტად იქ დაფრინდება, სადაც კვერცხი დატოვა.

არაბმა თუ ვინმეზე თქვა: – უფრო გულახდილია, ვიდრე კატაო! – იმიტომ თქვა, რომ კატა თავისი ხმით გამოთქვამს თავის სახელს, – მისივე ხმაა მისი სახელი.

დე სასის მოაქვს ამონაწერი თხზულებიდან „ნიგნი რჩეული მარგალიტებისა, საკვირველ ქმნილებათა და უცხო საგანთა შესახებ“, სადაც დახასიათებულია ეს ფრინველი; მისი სახელი *kata* კი წარმოდგენილია სამნაირად: كاتا, كاتل, كاطل.

„განასხვავებენ კატის (*kata*) ორ სახეობას: ერთს ჰქვია „ჯუნი“ (كاج), მეორეს, – „ქოდრი“ (كاد).

„ჯუნის“ აქვს თეთრი ყელი, ყელზე, – ორი საყელო, – ყვითელი და შავი. ზურგი, – მოთეთრო მყიფე, – ყვითელნარევი.

„ქოდრის“ აქვს ყვითელი ყელი, მოკლე კუდი, ზურგი და მუცელი, – ჟღალი; იგი უფრო პატარაა, ვიდრე „ჯუნი“.

„ჯუნის“ ხმა არაა წმინდა, უფრო ჩხავილსა ჰგავს, „ქოდრი“ კი ხმაწკრიალაა, მკაფიოდ გამოთქვამს თავის სახელს: *kata*; ამიტომაც ითვლება იგი სიმართლის ეტალონად“.

დე სასის შრით, არაბ. *kata*-ს ზუსტი შესატყვისი თუ არა, მისი ახლო ნათესავის სახელი მაინც უნდა იყოს სპ. „ქაბქ დარი“ (كاد كد), ვინაიდან ქალის სინარნარის ეპითეტი არაბულში საცა კატაა, სპარსულშია „ქაბქ დარი“ (რუბინჩიკით كاد كد „каменная куропатка“-ა⁸³; მირ. კუტუბიძით „каменная куропатка“ და „кеклик“ ერთმანეთის სინონიმებია, მათი ლათ. ნომენკლატურაა *Alectoris graeca Meisn*, ქართ. სახელწოდება, – „კაკაბი“)⁸⁴.

კმზინთან, დე სასის სიტყვით, „კატის“ სპარსული ფარდია „*ka-hov*“ (ასე კითხულობს სასი كاهو -ს)⁸⁵.

ვიკტორ ნოზაძე, ჯონ კიტოს მიხედვით⁸⁶, ძველი აღთქმის არაბულ ვერსიაში უთითებს ადგილებს, სადაც ნახსენებია **כַּתָּ** (1 სამუელ. 26, 20. იერემ.: 17,77; ეკლეს. 11,31)⁸⁷.

მისი აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ „კატა“ („... ვით კატასა ვხოცდი ლომსა“) იგივეა, რაც არაბ. **katā** (כַּתָּ / כַּתָּ).

მკვლევარს თავისი მოსაზრების დასამტკიცებლად მოაქვს შემდეგი არგუმენტები:

ინდოეთში და, საერთოდ, მაჰმადიანურ ქვეყნებში კატა წმიდა ცხოველად მიაჩნიათ. მისი მოკვლა დიდ ცოდვად ითვლება⁸⁸.

ქრისტიანულ ქვეყნებშიც კატას პატივით ეპყრობიან და არსებობს ხალხური რწმენა, რომლის მიხედვით, კატის მკვლელობა საიქიონში ცხრა ეკლესია უნდა ააშენოსო⁸⁹.

მაშასადამე: „ვტნის“ „კატა“ შინაური „კატა“ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს. მაგრამ ეს კატა იქნებ გარეული კატაა?!

რაიცა შეეხება გარეულ კატას:

იგი ნამდვილი მხეცია, სისხლის მოყვარულიც, ცხვარსა და ძაღლს ებრძვის, თუმცა შინაურ კატაზე დიდი არაა.

კატაზე ნადირობა არასოდეს მიღებული და გავრცელებული სპორტი არა ყოფილა და არც დღეს არის. თავის თავად, კატაზე ნადირობა ძალიან საშიშოა, უფრო საშიში, ვიდრე ლომზე ნადირობა.

ასე რომ, ყოვლად შეუძლებელია ტარიელს კატები დაეხოცა.

ამნაირად, ჩემი რკვევის თანახმად, „ვეფხისტყაოსნის“ კატა, ასკვნის ვ. ნოზაძე, არის უდაბნოს ქათამი, ანუ კაკბის ერთი სახე.

თავისი მოსაზრების („რუსთაველის „კატა“ ფრინველიაო“) გასამაგრებლად ვ. ნოზაძე, იმავე „ვეფხისტყაოსნიდან“ იმონმებს ამ სტრიქონს: „ჭირად არ მიჩნდის ლომისა მოკვლა, მართ ვითა სირისა“⁹⁰.

„ვეფხისტყაოსნის“ „კატაზე“ ვ. ნოზაძის მოსაზრება რომც არ გავიზიაროთ, გამორიცხული მაინც არაა, რომ არაბ. „კატას“ (כַּתָּ) XII ს-ის საქართველოში ორი სახელი ჰქონოდა „კატა“ და „ასკატა“ (<აკატა).

ჩემი ვარაუდის (კატა/აკატა) სასარგებლოდ მეტყველებს ქართულში არსებული პარალელური ფორმები: ძმაითი/აზმაითი⁹¹, ლუდი/ალუდი⁹², ჩრდილი/აჩრდილი, ლაჯა/ალაჯა (ვასახელებ მრავალთავან ცოტას) და სომხური „კატაკ“ (ყასთასკ)⁹³.

ეს კი, თავის მხრივ, არც თუ უმნიშვნელო არგუმენტია „კატის“ („კატა“)⁹⁴ ფრინველად ჩათვლისათვის.

ქალის საჭურთარი სახელიც (კატა/კატა)⁹⁵, უკეთუ იგი ბერძ. „ეკატერინეს“ შეკვეცილი ფორმა, ან ლათ. *cattus*, ანდა ბერძ. *καττα* არაა, ადვილი შესაძლებელია, დაკავშირებული იყოს ამავე „კატასთან“⁹⁶ (გავიხსენოთ *قطا*, – ნარნარი ბანოვანის ეპითეტი არაბულში).

მე უკვე დავასაბუთე, რომ „ასკატა“ არის *Pterocles orientalis* L. (თურქ./قراغری, სპ. *سيه سينه*, არაბ. *قطا / قتا*).

მომდინარეობს თუ არა ეს სიტყვა („ასკატა“) არაბული სიტყვიდან „კატა“ (*قطا*)⁹⁷?

და, თუ მომდინარეობს, რანაირად მიიღო მან ეს სახე?!

„ასკატა“ შეიძლებაოდა მიგველო სამნაირად:

1. კატა (*قطا*) >აკატა⁹⁸>ასკატა⁹⁹.
2. კატა (*قطا*) >სკატა¹⁰⁰>ასკატა¹⁰¹.
3. კატაკ (ყასთასკ)>აკატაკ>ასკატაკ¹⁰²>ასკატა¹⁰³.

მსგავსი ფონეტიკური პროცესის ნაყოფია (ჩემი აზრით) ფრინველის სახელი „ასპუჭაკიც“.

„ასპუჭაკი“, როგორც განსამარტივრთეული, საბას ცხრა ავტოგრაფული ნუსხიდან, ნყაროზე მითითებით (II სჯულ. 14), შეტანილია ექვსში (Q-400, H-95, H-1658, A-1473, A-75, H-1429)¹⁰⁴; ამ ექვსიდან განმარტებულია და იტალ. შესატყვისი უზის ორში (Q-400-ში, – „ჩინუმ“, H-95-ში, „ჩინუ“)¹⁰⁵.

1715-16-სა და შემდეგ წლებში გადწერილ ოთხში (H-1658, A-1473, A-75, H-1429)¹⁰⁶ იგი წყაროს ამარაა (II სჯულ. 14), ყოველგვარი განმარტებისა და უცხო შესატყვისის გარეშე.

სიტყვა „ჩინი“ შესულია რვაში (S-2498, K-300, Q-400, H-95, H-1658, A-1473, A-75, H-1429)¹⁰⁷; ამ რვიდან წყარო მითითებულია

ოთხში (Q-400, H-95, S-2498, K-300); ოთხიდან ორში (S-2498, K-300)¹⁰⁸ წყაროდ დასახელებულია მხოლოდ წიგნის სათაური (II სჯულ.), დანარჩენ ორში (Q-400, H-95), სადაც წყაროში აღნიშნულია თავიც (14), „ჩინის“ ქართ. შესატყვისია „ასპუჭაკი“...

1715-16-სა და შემდეგ წლებში გადაწერილ ოთხში (H-1658, A-1473, A-75, H-1429) „ჩინის“ ქართ. შესატყვისებია „აკაური“ და „კარაპი“ [თვით „კარაპი“ ამ ოთხი ნუსხიდან სამში (A-1473, A-75, H-1429) საბას მიერ განმარტებულია ასე: „კარაპი სომხურია, ქართულად აკაური ჰქვიან“].

„აკაური“ შვიდშია (K-300, Q-400, H-95, H-1658, A-1473, A-75, H-1429); წყარო მიუთითებელია, განუმარტავია და მხოლოდ უცხო შესატყვისები (ბ. „კვიკნო“, ლ. „ფორფირიონემ“, ს. „კარაპ“) ახლავს ერთში (K-300); წყაროზე მიუთითებლად განმარტებულია და დასახელებულია მისი ბერძნული („კვიკნო“), ლათინური („ფორფირიონემ“) და სომხური („კარაპი“) შესატყვისები ორში (Q-400, H-95)¹⁰⁹; წყარო მითითებულია (II სჯულ. 14, 16), ოღონდ განუმარტავია და მხოლოდ უცხო შესატყვისები უზის სამში (A-75-ში და H-1429-ში. ს. „კარაპ“¹¹⁰ და თ. „ყუი“, A-1473-ში, ამათ გარდა, იტ. „ჩინუმე“); წყარო მითითებული არაა, განუმარტავია და მხოლოდ უცხო შესატყვისები (იტ. „ჩინუმე“, თ. „ყუი“) უზის ერთში (H-1658)¹¹¹.

როგორც ვხედავთ, 1715 წლამდე, საბას ლექსიკონის ავტოგრაფული ნუსხებით „ასპუჭაკის“ იტალ. შესატყვისებია „ჩინუმე“, „ჩინი“ (Q-400, H-95), „აკაურისა“, – ბერძ. „კვიკნო“, ლათ. „ფორფირიონემ“, სომხური „კარაპი“ (K-300, Q-400, H-95); ამათგან, 1715 წლის შემდეგ, „აკაურის“ შესატყვისად რჩება მხოლოდ სომხ. „კარაპი“, ემატება თურქ. „ყუი“ (A-1473, A-75, H-1429), ხოლო ლათ. „ფორფირიონემ“ იცვლება იტალიური „ჩინუმეთი“ (H-1658, A-1473), რომელიც აქამომდე შესატყვისი იყო „ასპუჭაკისა“ (Q-400, H-95).

„აკაურთან“ საბას მიერ მითითებულია იგივე წყარო, რომელიც „ასპუჭაკთან“ (II სჯულ. 14), ოღონდ აქ დასახელებულია მუხლიც (16) – (A-1473, A-75, H-1429).

„აკაურის“ საბასეული უცხო შესატყვისები (თ. „ყუი“¹¹², ს. „კარაპ“¹¹³) გაიზიარეს დ. და ი. ბაგრატიონებმა¹¹⁴, რ. ერისთავმა¹¹⁵, დ. ჩუბინაშვილმა¹¹⁶, რ. ერისთავმა გაიზიარა აგრეთვე იტალ. „ჩინი“¹¹⁷ და ბერძ. „კუკუნო“, დ. ჩუბინაშვილმა¹¹⁸, – იტალ. „ჩინი“.

ნ. ჩუბინაშვილთან¹¹⁹ დასახელებულია „აკაურის“ მხოლოდ სომხ. შესატყვისი („კარაპ“), ხოლო თურქ. „ყუის“ ნაცვლად წერია თ. „კლევია“¹²⁰.

„აკაურის“ საბასეულ უცხო შესატყვისებს XIX ს-ში დაუმატეს „лебедь“ (დ. ბაგრატიონმა¹²¹ და დ. ჩუბინაშვილმა)¹²², „аария“ (ნ. ჩუბინაშვილმა¹²³ და დ. ჩუბინაშვილმა)¹²⁴, „зуй“, „héron“ („ardea“), „cygne“ (დ. ჩუბინაშვილმა)¹²⁵.

ნ. ჩუბინაშვილი და დ. ჩუბინაშვილი „აკაურის“ სინონიმებად წერენ „ასიდასა“¹²⁶ და „ჟრუნს“¹²⁷.

„ასპუჭაკი“ (ფორმით: „ასპუჭაკი“), საბას შემდეგ, თავის ლექსიკონში, წყაროზე მითითებით (Deuter. XIV, 5)¹²⁸, პირველად შეიტანა დ. ჩუბინაშვილმა; აქ ამ სიტყვის მისეული განმარტება მხოლოდ იმით ამოიწურება, რომ ესაა „ფრინველის სახელწოდება“ („название птицы, nom d'oiseau“)¹²⁹.

„ასპუჭაკს“ (შჯულ. 14) ლათ. ნომენკლატურა (ექვექვეშ) პირველად მოუწერა რ. ერისთავმა¹³⁰.

1887 წელს დ. ჩუბინაშვილმა ეჭვგარეშე გაიმეორა „ასპუჭაკის“ რ. ერისთავისეული (ავტორის მიერვე საეჭვოდ მიჩნეული) ლათ. შესატყვისი (*Silvia cinerea*)¹³¹.

„ასპუჭაკის“ ეს ნომენკლატურა (*Silvia cinerea*) პრინციპში მიღებულია ამჟამადაც¹³² და იგი გულისხმობს ამ ფრინველის იმ სახეობას, რომლის აწინდელი ნომენკლატურაა *Silvia communis* (იხ. შვიდენოვანი ლექსიკონი, ბუდაპეშტი – 1979, §10883).

როგორც ვხედავთ, „ასპუჭაკთან“ საბას მიერ დასახელებულ წყაროს (II სჯულ. 14) იმეორებენ სხვებიც, მაგრამ აქ საქმე იმაში

გახლავთ, რომ ჩვენამდე მოღწეულ ქართული ბიბლიის არც ერთ ნუსხაში ეს თავი ამ სიტყვას არ შეიცავს.

როგორ გავიგოთ, მეორე შჯულის მე-14 თავის რომელ მუხლში ეწერა „ასპუჭაკი“, საიდან გაჩნდა იგი აქ, რაა ბიბლიაში მისი უცხო შესატყვისი და ქართ. სინონიმი?!

ამის ნათელსაყოფად, რა თქმა უნდა, საკმარისი არაა ერთ რომელიმეენოვან ბიბლიაში „ასპუჭაკის“ შესატყვისის ძებნა, მით უმეტეს, როცა არ ვიცით, რომელი ენიდანაა თარგმნილი ის, ან დაკარგული ნუსხა, რომელსაც იყენებს საბა.

„ასპუჭაკის“ შესატყვისი უნდა დაიძებნოს ძველი აღთქმის ყველა იმ ვერსიაში, საიდანაც ამა თუ იმ დროს თარგმნილია ბიბლიის ესა თუ ის ქართული ვერსია.

ქართული ბიბლიის წარმომავლობის შესახებ, როგორც ცნობილია, არსებობს სხვადასხვა მოსაზრება;

ზოგნი მას მიიჩნევენ ბერძნულიდან თარგმნილად (ფრ. ალტერი, ჰოლმეზი, მ. ბროსე, ალ. ცაგარელი, ალ. ხახანაშვილი...), ზოგნი, – სომხურიდან (დ. ბაქრაძე, ნ. მარი, დ. გუსენი, რ. ბლეიცი, ს. ლიონეტი, ლ. ლელუარი, ი. მოლითორი...), ზოგნი, – სირიულიდან (ფ. კონიბერი...), ზოგნი, – ებრაულიდან (პ. ინგოროყვა...) ¹³³.

მე სათითაოდ შევამოწმე ბიბლიის ებრაულ, ბერძნულ, სირიულ, ლათინურ და სომხურ ვერსიებში ო შჯულის მე-14 თავის ის მონაკვეთი, სადაც არანმიდა ფრინველებია ჩამოთვლილი;

მხოლოდ სომხურ ვერსიაში აღმოჩნდა სიტყვა (սիქსაკ), რომლის შესატყვისად შეიძლება მივიჩნიოთ „ასპუჭაკი“ ¹³⁴.

ჩემი აზრით, სწორედ ამ სომხ. სიქსაკ-ის შესატყვისია ქართული „ასპუჭაკი“ [უფრო ზუსტად, მისი (სიქსაკ-ის) ორი მნიშვნელობიდან ერთისა („ბულბული“)] ¹³⁵.

ეს სიქსაკ სომხურ ვერსიაში მოთავსებულია ო შჯულის მე-14 თავის მე-17 მუხლში;

მასაშადამე, ან დაკარგულ ქართულ ნუსხაში „ასპუჭაკიც“ ამავე ადგილასაა საგულვებელი და ქართულში მისი ისტორიული მნიშვნელობაა „ბულბული“.

ერთი სიტყვით, ბიბლიის ის, ან დაკარგული ქართული ვერსია, საიდანაც საბას ამოუწერია „ასპუჭაკი“, თარგმნილი ჩანს სომხურიდან (თუ მთლიანად არა, ამ სიტყვის შემცველი მონაკვეთი მაინც).

რაა ძირი „ასპუჭაკისა“ და როგორ მიიღო მან ეს სახე?!

ძირი „ასპუჭაკისა“ შესაძლებელია იყოს, როგორც *ბურჩ/*ბუნ – (*ბურჩი)¹³⁶, ისე, *ბუჭ/*პუჭ – („პატარა“)¹³⁷.

1. *ბურჩ>*ბურჩაკ>*პუჭაკ>*აპუჭაკ¹³⁸>ასპუჭაკ-ი¹³⁹ (მნიშვნელობა: „ბურჩნარის ბინადარი“, „მებურჩია“).

2. *ბუჭ>*ბუჭაკ>*აპუჭაკ>ასპუჭაკ-ი (მნიშვნელობა: „პატარა“, „პანია“)¹⁴⁰.

ფრინველის არაერთი სახელი იცის ანალოგიური წარმოებისა ქართულმა:

*ჭინჭარაკ>*ჭინჭრაკ>*ჭინჭრაქ>ჭინჭრაქა, სადაც ძირია „ჭინჭარი“¹⁴¹, „აქ“ (<„აკ“) აქაც, როგორც „ასპუჭაკში“, დეტერმინანტი სუფიქსია.

გავიხსენოთ ამ ფრინველთა სახელწოდებანი რუსულში: „ჭინჭრაქას“ იქ ჰქვია: крапивник (крапива – „ჭინჭარი“), „ასპუჭაკას“ (სხვა სახელთა გარდა) ეძახიან: кустарник (куст – „ბურჩი“)¹⁴².

სხვათა შორის, სვანურში ერთერთი შესატყვისი „ჭინჭრაქასი“ ასევე დაკავშირებულია „ბურჩთან“, „ჯავთან“, – „ცავრა“ (ცავ – „ჯავი“), მეორე, – „შამბთან“, „ჭინჭართან“, – „მეშამბია“¹⁴³.

როგორც არ უნდა იყოს, ერთი უდავოა, „ასკატას“ ლათინური ნომენკლატურაა *Pterocles orientalis*, მისი ზუსტი განმარტება კი:

ასკატა/ასკატაკ-ი (*Pterocles orientalis* L.) – მტრედისოდენა, შავგულა, ფრთამალი ფრინველი.

რაიცა შეეხება „კატას“, იმ შემთხვევაში, თუკი მას „ასკატას“ პარალელურ ფორმად ჩავთვლით (რომ ჩავთვალოთ, როგორც დავინახეთ, გვაქვს არაერთი არგუმენტი), მაშინ მისი ლათ. ნომენკლატურა ან იგივე უნდა იქნეს, რაც „ასკატასია“, ანდა, – *Pterocles alchata* L.

შენიშვნები

1. ლ. ქუთათელაძე, დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, თბ., - 1967, გვ. 16, ტექსტი და სქოლიო - 22.
2. ეს „ტყის ქათამა“, რომ იგივე „ტყის ქათამი“-ა, ამას ადასტურებს ი. ბაგრატიონისეული განმარტება „ტყის ქათამისა“: „ტყის ქათამი (ფრინ.) ასკედი“, ხოლო „ასკედი“, რომ იგივე „ასკატა“, ეს მტკიცდება „ასკატაზე“ მის მიერვე მიწერილი „ტყის ქათამა“-თი (ლენინგრადის სალტიკოვ-შჩედრინის სახელობის ბიბლიოთეკის ხელნაწერთა განყოფ. ი.ბ.კ. №253).
3. ლ. ქუთათელაძე, დასახ. ნიგნი, - გვ. 16 (სქოლიო - 22), 85, 86, 87, 100 (სქოლიო - 16).
4. ამ დანერვილობის (سقا) ფრინველი მე არაბულში ვერ ვიპოვე: ენახე سقا, سقا, ساق;
პირველი (რადლოვით) არის „მერწყული“ და „ვარხვი“, მეორე (ბარანოვით), - „მერწყული“, მესამე (იმავე ბარანოვთან), - „ოჩოფეხაა“ (Himantopus).
سقا თურქულში (კერძოდ ყაზანისა და კომანის კილოზე) „ჩიტბატონა“ (რადლოვი) - (В. В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, т. IV. ч. I. С.-П.-1911, სვეტი 242. X. К. Баранов, Арабско-русский словарь, М., - 1977).
5. დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსულ-ფრანციკული ლექსიკონი, С.-П.-1840.
6. რ. ერისთავი, მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი, ტფ.-1884.
7. დ. ჩუბინაშვილი, საუნჯე ქართულისა ენისა ქართულ-რუსული ლექსიკონი, С.-П.-1887.
8. ასეა „ამირანდარეჯანიანის“ ყველა იმ ნუსხაში, რომელიც მე ვნახე (Q-340, - 145r, H-2149, - გვ. 193, S-393, - 156r, S-1623, - 59v, S-3708, - 93v, H-92, - 119v, S-1119, - გვ. 240),

გარდა ერთისა (P-441), სადაც წერია არა „ასკატა“, არამედ, – „ასკატაკი“ [(„ქორი ასკატაკს მოუტევა“ (111v, 112r)].

„ამირანდარეჯანიანი“ გამოცემულია ოთხჯერ:

პირველად, 1896 წელს გამოსცა ზ. ჭიჭინაძემ, მეორედ, 1939 წელს, – ს. კაკაბაძემ, მესამედ, 1949 წელს, – ს. ყუბანეიშვილმა (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. II), მეოთხედ, 1960 წელს, – ი. ლოლაშვილმა (ჩვენი საუნჯე, ოც ტომად, ტ. II).

არსებობს მისი სრული ინგლისური თარგმანიც, რომელიც 1958 წელს რ. სტივენსონმა გამოაქვეყნა ლონდონში (Amirandarejaniani, translated by R H. Stevenson, Oxford).

პირველ გამოცემაში „ასკატა“ დაბეჭდილია ასე: „ას კატა“ (გვ. 193). ამ გამოცემას ლექსიკონი არ ახლავს.

მეორე გამოცემაში (ისევე, როგორც პირველში), ნაცვლად „ასკატასი“, იკითხება: „ას კატა“ (გვ. 136). თანდართულ ლექსიკონში ეს სიტყვა შეტანილი არაა.

მესამე გამოცემაში ტექსტშია „ასკატა“ (გვ. 84, 24), ლექსიკონში, – „ასკატი“, – ასეთი განმარტებით: „ფრინველია“ (ლექსიკონი შედგენილია ივ. ქავთარაძის მიერ).

მეოთხე გამოცემაში „ასკატა“ როგორც ტექსტშია (გვ. 411, 23) ისეა ლექსიკონშიც: „ასკატა – ერთგვარი ფრინველის სახელწოდება“.

ინგლისურ თარგმანში „ასკატას“ შესატყვისად წერია teal (გვ. 175), რაც არაა სწორი;

teal-ის (*Anas crecca* Linn.) ქართული შესატყვისია „ჭიკვარა“ (რუს. чирок-свистун), რომელსაც (გარდა ფრენისა) არავითარი საერთო არ აქვს „ასკატასთან“ (რამიც მკითხველი დარწმუნდება ქვემოთ).

9. სულხან თანიაშვილი, ამირან-დარეჯანიანი, გ. ჯაკობიას რედაქციით, წინასიტყვაობით, ლექსიკონით და შენიშვნებით, თბ., – 1941, გვ. 230, სტროფი 1767.
10. S-31, გვ. 174.

11. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., - 1941, გვ. 30_{13,14}, 122₃₃, 146_{7,8,9}.
12. ზაზა ფანასკერტელი, სამკურნალო წიგნი - კარაბადინი, თბ., - 1950, გვ. 163, 29; 211, 23; 211, 26; 297, 38; 424, 26; 424, 35. 1978 წლის გამოცემაში: გვ. 451, 37; 504, 40; 505, 2; 604, 40; 755, 31; 756, 6.
„ასკატკი“, რომ იგივე „ასკატაკია“, ამას ადასტურებს ამავე წიგნის „ღრიანვალი“/„ღრიანვლი“ [„როდეს შესწუა ღრიანვალი და შესჭამო“... (გვ. 760,8); „ხუთი ღრიანვლი ცოცხალი“ (გვ. 604,9) - (ზაზა ფანასკერტელი, სამკურნალო წიგნი - კარაბადინი, თბ., - 1978)].
13. დილარიანი, თხზულება პეტრე ლარაძისა, გამოცემა მართა ივანე ლარაძის ასულისა კნ. შალიკაშვილისა, თბ., - 1903, გვ. 24.
14. აქ არ შედის „ამირანდარეჯანიანის“ გამოცემებზე თანდართული ლექსიკონები; იქაური „ასკატის“ შესახებ იხ. შენიშვნა - 8.
15. „ქილილა და დამანას“ პირველ გამოცემაზე დართულ „ულრმეს სიტყვათა ლექსიკონში „ასკატა“ შეტანილი არაა, ტექსტში კია (გვ. 278), - (ქილილა და დამანა, სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები მეფისა ვახტანგისაგან. თ. გრ. გურიელის გამოცემა, ილია ჭყონიას რედაქციით. ტფ. - 1886).
16. ლეოლრაფიული აღწერა საქართველოვსა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ მის ნამდვილზე დაბეჭდილი აკადემიკისა ბროსეტის-გან. S.-Peterbourg - 1842.
17. Царевичъ Вахушти, Географія Грузіи. Введеніе, переводъ и примечанія М. Г. Джанашвили. Тифлисъ. Типографія К. П. Козловскаго, Головинск. просп. N12, 1904.
18. ეს „აღმოჩენა“ გ. გამყრელიძეს არ ეკუთვნის; იგი გამყრელიძემდე (საუკუნეზე მეტი ხნით ადრე) დაწერა იოანე ბაგრატიონმა: „ასკატა - ტყის ქათამა, ბალრიყარა“ (H-1736). - (იხ. ლ. ქუთათელაძე, დავით და იოანე ბაგრატიონების

ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, თბ., - 1967, გვ. 16 - ტექსტი და სქოლიო - 22).

19. უნდა იყოს „ბეკაჩა“ (<ბეკკაჩჩა) - [ასეთია ამ სიტყვის (beccaccia) მართებული ნაკითხვა იტალიურში; თუმცა „ბეკაცა“ გამონაკლისია-მეთქი ვერ ვიტყვი; ჩინის ნაცვლად ცანი სხვა სიტყვებშიც გვხვდება საბასთან: „ფანცა“ (<pancia), „ჟულუცა“ (<freccia)].

ეს „ბეკაცა“ არის საბას მხოლოდ ერთ ავტოგრაფულ ნუსხაში (H-1658), რომელიც მან გადაწერა კონსტანტინეპოლში 1715-1716 წწ.-ში.

„ტყის ქათმის“ ნასხვისარი თურქული და სომხური შესატყვისნიც: თ. „მეშა თუხ“ და ს. „მერაჰავ“ მხოლოდ ერთ ნუსხაშია (H-416): (ეს ნუსხა, ავტოგრაფულ ნუსხათა შორის, ქრონოლოგიურად პირველია; მისი გადაწერა, თუ წერა, დაწყებულია 1685 წელს).

იტალ. beccaccia [ლათ. scolōrax (< ბერძ. σκολόραξ)] ფონეტიკური ვარიანტია ფრანგ. bécasse-სი.

ფრანგ. bécasse ნაწარმოებია ფრანგ. სიტყვიდან bec - „ნისკარტი“ (M. Фасмер, Этимологический словарь русского языка, М., - 1964, т. I, გვ. 146; H. Suolaht, Die deutschen Vogelnamen, Starßburg - 1909, 276). მისი სომხური შესატყვისია կտցար („კტცარ“) - (Новый русско-армянский словарь, составили Авдалбегян и др. ერევანი - 1933, ტ. I), რადეთი: ктцаркъ (Орнито-фауна Кавказа, Д-ра Г. Радде, Тиф.-1885, გვ. 34). ეს სიტყვაც („კტცარ“) ნაწარმოებია სომხური სიტყვიდან կտուց („კტუც“) - „ნისკარტი“, ისევე, როგორც bec-იდან bécasse (Հր.Աճառյան. Հայերեն արմատական բառարան. II Երեսան-1973, გვ. 678).

თურქულად მას ჰქვია „ჩულლუქ“ (A. H. Баскаков и др. Турецко-русский словарь, М., - 1977), ზერბაიჯანულად, - „მეშვეულლუტუ“ (Русско-азербайджанский словарь, Редакционная коллегия: А. Г. Оруджев и др. т. I, Баку - 1956).

რაიცა შეეხება საბას ავტოგრაფულ ნუსხაში (H-416) სხვისი ხელით ჩანერილ თ. „მეშა თუხ“-სა და ს. „მერაპავ“-ს; – „მეშა თუხ“ (<meşe tavuk, დღეს თურქულში არა ჩანს, „მერაპავ“ (მასყაჰაჲაჲ, მასყინჲაჲაჲ) კი ამჟამად ნიშნავს „დედალ როჭოს“ (тетёрка) – (Армяно-русский словарь, составили А. С. Гарибян и др. ერევანი – 1960) და глухарь-ს (Новый русско-армянский словарь, составили авдалбегян и др. ერევანი – 1933, ტ. I).

20. ПСС, ტ. III, М., – 1951, გვ. 323.
21. Орнито.-фауна Кавказа, Д-ра Г. Радде, Тиф. – 1885, გვ. 306-307.
22. ა. ჯანაშვილი, ლ. კუტუბიძე, დ. ზარქუა, საქართველოს ფრინველების სარკვევი, თბ., – 1960, გვ. 186.
23. „რიონის შემოგარენში, რომ გნოლი იცოდეს, მე ამისი ცნობა არა მაქვს, სამეგრელოში მისი არსებობის შესახებ დადებით პასუხს არ იძლევიან“ (Орнито. – фауна Кавказа, Д-ра Радде, Тиф. – 1885, გვ. 278-279).
24. რ. ჟორდანია, ფრინველთა მეგრული ტერმინოლოგიისათვის, გვ. 212, საქართ. სახელმწ. მუზეუმის მოამბე, XXVI-XXVII – А, თბ., – 1970.
25. რ. ჟორდანია, ფრინველთა სვანური ტერმინოლოგიისათვის, გვ. 499, საქარ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, XLVII, №2, აგვისტო, 1967, თბილისი.
26. ივ. ჯავახიშვილი, ქართულ და კავკასიურ ენათა თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., – 1937, გვ. 613-614.
 „ჩერქეზულში“ ივ. ჯავახიშვილი, ჩანს, ქვემოადილეურს (ანუ კახურს) გულისხმობს, „ყაბარდოულში“, – ზემოადილეურს;
 სხვანაირად შეუძლებელია, ვინაიდან ჩერქეზული (ანუ ადილეური) გვაროვნული ცნებაა და მოიცავს ორივე ადილეურს, – ქვემოსაც და ზემოსაც (იხ. არნ. ჩიქობავა, ენათმეცნიერების შესავალი, თბ., – 1952, გვ. 368).
27. „მზგედ“, რომ ქართულმა „ასკედ“-ად (თუ გნებავთ, „ასკა-ტად“) აქციოს, ამაში მოულოდნელი არაფერია; მომხდარა უფ-

რო ძალუმი ფონეტიკური გადასხვაფერებაც: სპ. „მეჯრბ“ (مجرى) > ქართ. „უჯრა“, თურქ. „ბულამაჩ“ (bulamaç) > ქართ. „ფელამუში“; სპ. „ქუბიდან“ (كوبيدان) > ქართ. „გამოკოპიტება“ და სხვ.

28. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნიგნი, გვ. 613.
29. В. В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, т. IV, часть 2, кол. 1452, С.-Петербург – 1911.
30. Семиязычный словарь названий животных Европы, лат., нем., англ., фран., венг., испан., русск. Budapest – 1979, ტ. I, §587.
31. Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазаник, М., – 1945; Türkçe sözlük, Ankara – 1974.
32. Турецко-русский словарь, авторы: А. Н. Баскаков и др. М., – 1977.
33. გოულდენშტედტთან *Anas querquedula* ლათ. ნომენკლატურა „გორიხვა“-სი („ლორიხვა“) – (გოულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 48-49), მირ. კუტუბიძესთან, – „იხვინჯასი“. „ლორიხვას“ ლათ. ნომენკლატურა, ამ უკანასკნელთან, არის *Gavia* (მირ. კუტუბიძე, ფრინველების ნომენკლატურული ტერმინოლოგია, თბ., – 1973, გვ. 120, 161).
34. В. В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, ტ. I, ნ. 1, სვ. 1530.
35. Л. З. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, т. 1, стр. 46. Санкт-Петербург – 1869.
36. Русско-турецкий словарь, составили Э. М.-Э. Мустафаев и В. Г. Щербинин, М., – 1972.
37. Турецко-русский словарь, авторы: А. Н. Баскаков и др. М., – 1977.
38. რ. ჟორდანიას, საქართველოს ფრინველების ტერმინოლოგიური ლექსიკონი, თბ., – 1960, გვ. 16.
39. რ. ჟორდანიასთან „მესკიის“ სინონიმებია „კრულა“ და „მწვანულა“ (იხ. დასახ. ნიგნი, გვ. იგივე), მეგრული შესატყვისი, – „ნადვიმ კვინჩა“ (საქ. სახ. მუზ. მოამბე, XXVI-XXVII – A, თბ.,

- 1970, გვ. 214), ლათ. ნომენკლატურა, – *Chloris chloris*, რაც არაა სწორი, ვინაიდან „მესკია“ სხვა გვარისაა, ესენი, – სხვისა; „მესკიის“ ლათ. ნომენკლატურაა *Parus major*; „მესკია“ უძველესი ქართული სიტყვაა, მისი ძირია „სკა“, რომლის თავდაპირველი მნიშვნელობა იყო „ზზიკიცა“ და „ფუტკარიც“. „მესკია“ „ფუტკრის მტრად“ ითვლებოდა [იხ. ი. ბაგრატიონისეული განმარტება „თავშავასი“, რაც სინონიმია „მესკიისა“ (ლ. ქუთათელაძე, დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, თბ., – 1967, გვ. 192)]; სხვათა შორის *Parus major*-ის სპ. სახელწოდებაც („მორლ-ე ზამბჰრხორ) ისევე, როგორც ქართული („მესკია“) დაკავშირებულია „მწერთან“, სახელდობრ „ზზიკთან“ (სპ. ზამბჰრ – „ზზიკი“, ხორ – „ჭამია“, „მჭამელი“, მორლ – „ჩიტი“, „ფრინველი“).
40. მირ. კუტუბიძე, ფრინველების ნომენკლატურული ტერმინოლოგია, თბ., – 1973, გვ. 32.
41. ПСС, т. V, გვ. 731, სურ. 150.
42. В. В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, т. IV, б. 2, сг. 1451, 1452, С.-Петербург – 1911; Азербайджанско-русский словарь, под редакцией Г. Гусейнова, Баку – 1941, Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазаник, М., – 1945.
43. Турецко-русский словарь, авторы: А. Н. Баскаков и др. М., – 1977; Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазаник, М., – 1945.
44. ПСС, т. V, გვ. 184, სურ. 40.
45. В. В. Радлов, დასახ. ნიგნი, т. I, б. 2, сг. 1528.
46. შესაძლებელია ეს განაპირობა „ასკატის“ დილარიანისეულმა გაგებამ, იქ იგი წარმოდგენილია, როგორც ბაზი (დილარიანი, თბ., – 1903, გვ. 24).
47. S-31, გვ. 174. შესაბამის ადგილას, ვახტანგისეულ ვერსიაში წერია: „როდის შეიქნება გეზელი ქორი თუთის ხელქვეშეთი, როდის გახდება ლომი ქურციკის ნადირად“ (M-53, გვ. 408),

ბაბუდაშვილისეულში: „ლომი ჯერნისაგან როდის შეიქმება“ (S-3177, გვ. 327).

48. Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, ტ. II, თბ., – 1984, გვ. 510.

49. არსებობს „ქურციკის“ ორნაირი ეტიმოლოგია:

1. *gur + cik > ქურციკ-ი; ალბან. gur – „კლდე“, „ქვა“, ქართ. cik – „თხა“ (გ. მელიქიშვილი, საქართველოს და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., – 1965, გვ. 209).

2. *gōr + čik > ქურციკ-ი, საშ. სპ. gōr – „ჯეირანი“, čik – სუფიქსი საშ. სპარსულში (მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., – 1966, გვ. 392).

ამ ორი ეტიმოლოგიიდან, რომელი მათგანია სწორი: პირველი, მეორე, თუ არც ერთი! – ამის შესახებ, – სხვა დროს.

50. Персидско-русский словарь, составители: М. Н. Османов и др. руководитель Ю. А. Рубинчик, т. II, – 1983; Азербайджанско-русский словарь, под редакцией Г. Гусейнова, Баку. – 1941.

51. „ჯეჟლან“-ის (ceylan) ლათ. ნომენკლატურაა Antilope dorcas, ხოლო Gazella subgutturosa-ს თურქ. შესატყვისი Iran ceylani („ირანის ჯეირანი“) – (Турецко-русский словарь, М., – 1977).

52. М. Фасмер, Этимологический словарь русского языка, ტ. I, М., – 1964; ტ. II, М., – 1967.

53. В. В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, т. IV, часть I, кол. 534, 539, С.-П.-1911.

54. Русско-азербайджанский словарь, издание второе, т. I, Редакционная коллегия: А. Г. Оруджев и др. Баку – 1956; Русско-туркменский словарь, под общей редакцией проф. Н. А. Баскакова и доц. М. Я. Хамзаева, М., – 1956; Русско-киргизский словарь, под редакцией К. К. Юдахина, М., – 1957.

55. В. М. Борисов, Русско-арабский словарь, т. I, М., – 1981.

56. Турецко-русский словарь, авторы: А. Н. Баскаков и др. М., – 1977.
57. Русско-таджикский словарь, под редакцией Н. С. Асимова, М., – 1985.
58. თურქ. „ბალრიყარას“ აზერბაიჯ. შესატყვისია „ყარაბალირ“ (იხ. Русско-азербайджанский словарь, издание второе, переработанное и дополненное, редакционная коллегия: А. Г. Оруджев и др. Баку – 1959, т. II.
59. დღეს ქართულში, კერძოდ ჯავახურ დიალექტში, „ბალრიყარა“ სახელია მსხლისა, რომელსაც დამწიფებისას გული უშავდება (გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., – 1981).
60. В. В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, т. IV, ч. 2. кол. 1454.
61. თალი იმანი შერათელი, ბადაი აღ-ლულათ (რუსულ ენაზე) – М., – 1961.
62. Г. П. Дементьев и др. ПСС, т. II; М., – 1951, გვ. 73; ა. ჯანაშიელი და სხვ., საქართველოს ფრინველების სარკვევი, თბ., – 1960, გვ. 167; С. К. Даль и Г. В. Соснин, Определитель птиц Армянской ССР, Ереван – 1947, გვ. 29.
63. სხვათა შორის, ამ *Pterocles orientalis*-ის ორი ქვესახის შესახებ (*P.o.o.L.* – 1758 და *P.o.a.P.* – 1775) გ. პ. დემენტევი შენიშნავს: „მათ შორის განსხვავება მხოლოდ დედლის შეფერილობაშია; იქნებ, მართებული არც იყოს მათი (ამ ფორმების) ერთმანეთისაგან გამოყოფა“... (Г; П; Дементьев и др. ПСС, т. II, М., – 1951, გვ. 73).
64. С. А. Бутурлин, Птицы СССР, т. I, М-Л-1934, გვ. 206.
65. Брем, Жизнь животных, т. VII, С.-П. – გვ. 470.
66. *Pterocles arenarius*-ი чернобрюхий рябок-ის ლათ. ნომენკლატურაა შემდეგ ავტორებთან: ვაგნერი – 1848, რადე – 1885, ზაიდლიცი – 1889, მენზბირი – 1895, სატუნინი – 1903-04, სუჰინი – 1914, ბობრინსკი – 1915-16, რადუგინი – 1917,

- ბეჟე – 1926, ბუტურლინი – 1934 (Проф. А. Ф. Ляйстер и Г. В. Соснин, Материалы по орнитофауне Армянской ССР (Ornis Armeniae) – Ереван – 1942, გვ. 182).
67. Г. П. Дементьев и др. ПСС, т. II, М., – 1951, გვ. 74.
68. В. В. Радлов, დასახ. ლექს. ტ. IV, ნან. 2, სვეტი 1452.
69. Турецко-русский словарь, авторы: А. Н. Баскаков и др., М., – 1977.
70. Padde, Ornis Caucasia, Тиф. – 1885, გვ. 262.
71. ПСС, ტ. II, გვ. 74, 79.
72. Г. П. Дементьев и др. ПСС, ტ. II, М., – 1951, გვ. 79.
73. რადე, დასახ. ნიგნი, გვ. 263.
74. Семязычный словарь названий животных Европы, Budapest – 1979, т. I, §9547, 9548, 9549; Португальско-русский словарь, – составили С. М. Старец, Е. Н. Феерштейн, М., – 1972.
75. Г. П. Дементьев и др. ПСС, ტ. II, М., – 1951, გვ. 82.
76. Брем, Жизнь животных, т. VII, გვ. 470
77. Семязычный словарь..., Budapest – 1979, т. I, §9547, 9549.
78. А. Ф. Ляйстер и Г. В. Соснин, Ornis Armeniae, Ер. – 1942, გვ. 184.
79. Турецко-русский словарь, авторы: А. Н. Баскаков и др. М., – 1977.
80. ა. ჯანაშვილი, ლ. კუტუბიძე, დ. ზარქუა, საქართველოს ფრინველების სარკვევი, თბ., – 1960, გვ. 54; მირ. კუტუბიძე, ფრინველების ნომენკლატურული ტერმინოლოგია, თბ., – 1973, გვ. 109.
- [ეს სიტყვა („გვრიტჩიტა“) ქართულმა (არც ლიტერატურულმა და არც არალიტერატურულმა ენამ) არც იცოდა და არც იცის].
81. Брем, Жизнь животных, т. VII, С.-П. – გვ. 470, 471.

82. Академик Игнатий Юлианович Крачковский, Избранные сочинения, т. II, М., – 1956, გვ. 242, სტროფი 36, შენიშვნები, – გვ. 244.
83. Персидско-русский словарь, в двух томах, под редакцией Ю. А. Рубинчика, т. I, М., – 1970.
84. მირ. კუჭუბიძე, ფრინველების ნომენკლატურული ტერმინოლოგია, თბ., – 1973, გვ. 39.
85. Chrestomathie arabe, ტ. II, – 1826, გვ. 369; ტ. III, – 1827, გვ. 416, 507, 508.
86. John Kitto, – Cyclopaedia of biblical Literatur, Edinburgh – 1855, p. 643.
87. ვიკტორ ნოზაძე, ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1957, გვ. 219-221.
 ამ სამი წყაროდან, ორი მითითებულია არასწორად, იერემიას წიგნის არც ერთი თავი არ შეიცავს 77-ე მუხლს; უნდა იყოს: იერემ. 17, 11. ეკლესიასტე შედგება 12 თავისაგან, 31-ე მუხლი არ მოეპოვება არც ერთ მათგანს; რაც მთავარია, ეკლესიასტეს წიგნში საერთოდ არსად ნახსენები არაა არავითარი **სა**.
 ბიბლიის იმ არაბულ ვერსიებში, რომლებზეც მე ხელი მიმიწვდა (ძველი და ახალი აღთქმა, ბეირუთი – 1966; Brian Walton, Biblia sacra polyglotta, t. II-III, Graz-Austria – 1964), წერია **سُح** (1 მეფ. 26, 20), **سُح** (იერემ. 17, 11) და არა **سا** (**سُح** – „კაკაბი“).
 შესაბამის ადგილებში ასევე „კაკაბია“ ებრაულში („კორე“), სირიულში („ჰაგლა“), ლათინურში (perdix);
 მხოლოდ სეპტუაგინტას მეფეთა წიგნში (1 მეფ. 26, 20), მის მიმყოლ სომხურში, სლავურში და ქართულში არის სხვა ფრინველი: ბერძ. **σῦκτι-κέραξ**, სომხ. **սզդաս**, სლავ. **ношный вран**, ქართ. **მლამიობი**.
88. ვ. ნოზაძის ამ მოსაზრებას, მაჰმადიანურ სამყაროში „კატის“ ხელშეუხებლობის შესახებ, მხარს არ უჭერს სპარსული მწერლობის შედევერი „ვისრამიანი“:

„ – ესეთი ძმისა სისხლი კატისა სისხლისაგან უფრო მეადვი-
ლებისო“ – ამბობს რამინი (ვისრამიანი, აღ. ბარამიძის, კ.
ინგოროყვას და კ. კეკელიძის გამოცემა, ტფ. 1938, გვ. 128, 11;
ვისრამიანი, აღ. გვახარიას და მ. თოდუას გამოცემა, თბ., –
1962, გვ. 137, 22).

ასევე დედანში: „ – ჩემს თავს ვფიცავ, რომ ამ ძმის სისხლი
მე კატის (كٲر) სისხლზე უფრო მსუბუქად მიჩანს“ (ვისრამიანი,
კალკუტის ნუსხა); მხოლოდ პარიზისა და სტამბოლის
ხელნაწერებში აქაური „კატის“ ადგილას წერია „კოლო“ (كٲٲ).
89. ეს კია სრული სიმართლე; ქართულში მართლაც არსებობს
ასეთი თქმა, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ საქართველოში კატა
უნმინდურ ცხოველად ითვლება: „თუ ერთი ხევსური მეორეს
აბრალებს ქურდობას, ან სხვა რამე უნამუსობას და მეორე
დამნაშავე არ არის და ვერც მოწმებით დაუმტკიცებია თავისი
სიმართლე, ის მიჰმართავს კატას, რომელსაც თოკით
ჩამოჰკიდებს ხეზე და დაინყებს საქვეყნოდ, სასოფლოდ ფიცს:
„თუ მე ჩაჩურის (ან სხვა ვინმე იქნება) ცხენ მამეპაროს, ეს
კატაიმც იქნების ჩემის მკვდრისადა, ცოცხლისადა, ჯვარისადა.
... თუ არა და, ვინც მე უღბით დამწვა-დამდავა, იმისამც
მკვიდრისად იქნების, ცოცხლისად, ჯვარისად“... (ვაჟა-ფშაველა,
თხზულებათა სრული კრებული, – ხუთ ტომად, თბ., – 1961, ტ.
V, გვ. 44).

იგივე ხევსურნი „როცა დასწყევლიან, შეაჩვენებენ ვისმე,
დასაწყევლს დაუკიდებენ კატას... როცა უნდათ ვისმე წაყვედ-
რონ რამე ან შეურაცხყოფა მიაყენონ, მოკლედ მოუჭრიან: „ციცა
ჩამოგისრჩეს, შენ რა უნდა მოგკითხოს კაცმაო!“ (თ. სახოკია,
ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, ტ. I, თბ., – 1950, გვ. 197).

„კატა“ სალანძლავი სიტყვაა მოხვევითათვისაც (იხ. აღ. ყაზ-
ბეგი, მოთხრობები და რომანები, ტ. I, თბ., – 1968, გვ. 47, 48).

„ – კატასავით დაგახრჩობო!“ – ხშირად გაიგონებთ ბარშიც;
„ – ძაღლი და კატა მიაკვდა სულშიო!“ – იტყვიან ხოლმე, როცა
უნდათ მიცვალებულს შეაგინონ.

90. სტროფი, რომელიც იწყება სიტყვებით: „ასმათ მითხრობდი“ და, რომლის მესამე სტრიქონის ბოლო სიტყვაა „სირისა“, შესულია ვეფხისტყაოსნის ყველა გამოცემაში, – 1712 წლიდან 1966 წლამდე, გარდა იუსტ. აბულაძის ორი გამოცემისა (1914 წ. 1926 წ.), რომლებშიც ეს სტროფი, როგორც არაშოთასეული, სქოლიოშია და არა ძირითად ტექსტში.

ვეფხისტყაოსნის 1966 წლიდან 1975 წლამდე განხორციელებულ გამოცემებიდან ხსენებული სტროფი შესული არაა ოთხში (1966 წლის გამოცემა, ხელს ანერს სარედაქციო კოლეგია; 1966 წლისავე გამოცემა, – რედაქტორები: გ. წერეთელი და ი. აბაშიძე; 1970 წლის გამოცემა, ხელს ანერს სარედაქციო საბჭო; 1970 წლისავე გამოცემა, – რედაქტორი პ. ინგოროყვა, ნიგნი I), ორში (1966 წლის გამოცემა, – რედაქტორები: ა. შანიძე და ა. ბარამიძე, ტ. I; 1974 წლის გამოცემა, – რედაქტორი ნ. ნათაძე) ეს სტროფი კია, მაგრამ მასში ნაცვლად „სირისა“, წერია „სილისა“.

ისმის კითხვა:

1. რომელ გამოცემაშიც ეს სტროფია, – რატომაა და, რომელშიც, – არა! – რატომ?!

2. გამოცემებში, სადაც ეს სტროფია, იქ ამ სტროფში რატომაა ზოგან „სირი“, ზოგან კი, – „სილი“?!

დასბულ კითხვებზე გარკვეულ პასუხს ვერ მივიღებთ, თუ არ გავეცანით ჯერ თვითონ ამ სტროფს, მერე იმ მოსაზრებებს, რომელიც გამოთქმულია ამ სტროფზე და ამ სტროფის „სირზე“.

317. ასმათ, მითხრობდი, რაცა სცნა ჩემგან ამბობა ცილისა:

ხუთისა წლისა შევიქენ, მზგავსი ვარდისა შლილისა,
ჭირად არ მიჩნდის ლომისა მოკლვა, მათ ვითა სირისა,
არა ჰგაოდის ფარსადანს მისი არა სმა შვილისა.

ეს სტროფი პირველად ნაყალბევად მიიჩნია ალ. სარაჯიშვილმა (ალ. სარაჯიშვილი, ვეფხის-ტყაოსნის ყალბი ადგილები, მოამბე №3, 1896 წ. გვ. 10-14); საამისოდ მისი არგუმენტებია:

1. ამირბარი ტარიელი მონმედ არ იკადრებდა მოახლე ასმათს.

2. ასმათის დამონმება უფრო საეჭვოს გახდიდა ტარიელის სიმართლეს ავთანდილის თვალში.

3. შოთა 317 სტროფში რადლა იტყოდა: „ხუთისა წლისა შვეიქენ, მზგავსი ვარდისა შლილისა“, როცა 316-ში უკვე თქვა: „მოვინიფე, დავემზგავსე მზესა თვალად, ლომსა ნაკვთად“?!

4. „ხუთის წლის ბავშვისაგან ლომის ჩიტსავით მოკვლა უშვერი სიცრუევა და ტრაბახობა“...

5. მარს ალ. სარაჯიშვილის მეოთხე არგუმენტის გასაბათილებლად მოჰყავს ციტატა სტრაბონიდან (XV, გლ. III, 18): „Главнейшими предметами обученія персов от пяти до двадцати четырех лет являются стрельба из лука, метаніе копья, верховая езда“ (К. А. Иностранцев, Сасанидские этюды, С.-П.-1909, стр. 67. Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи, книга XII, С.-П.-1910).

სარაჯიშვილის სხვა არგუმენტებს იგი არ შეხებია.

იუსტ. აბულაძეს ვეფხისტყაოსნის მისეულ პირველ გამოცემაში (აქ ეს სტროფი, როგორც უკვე ითქვა, სქოლიოშია, – 266¹ ნომრით) ხსენებული სტროფი ნაყალბევად მიაჩნია ალ. სარაჯიშვილის არა იმდენად მეოთხე, რამდენადაც მესამე არგუმენტის გამო: „ხუთი წლის ბავშვისაგან ლომის სირივით მოკვლას ჩვეულებრივად ჩავთვლიდით ისეთი შინაარსის ნანარმოებში, როგორც ვეფხისტყაოსანია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ ხანის შინაარსს სრულიად ეწინააღმდეგება მისი 266 ხანის აზრი, სადაც ტარიელი გადმოგვცემს, რომ იგი უკვე „მოინიფა, დაემზგავსა მზესა თვალად, ლომსა ნაკვთად“ (შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, იუსტ. აბულაძის რედაქტორობით, მე-22-რე გამოცემა, თფილისი, – 1914, გვ. XLV).

იგივე იუსტ. აბულაძე ვეფხისტყაოსნის მისეულსავე მეორე გამოცემაში (სადაც ეს სტროფი ისევ სქოლიოშია, ოღონდ ახლა 244¹ ნომრით) წერს: „244¹ ხანა მისი წინა 244 ხანის მხოლოდ

ზედმეტი გამეორება“ (შ. რუსთაველი, ვეფხის-ტყაოსანი, მე-26-ე გამოცემა იუსტ. აბულაძის რედაქტორობით, ტფილისი, - 1926, გვ. XXXVI).

ხუთი წლის ბავშვის ნადირობის შესაძლებლობაზე სტრაბონსავე იმონმებს ვ. ნოზაძე (ვ. ნოზაძე, ვტნის. ვრსმეტ. სანტ. - ჩ. - 1957).

ხსენებული სტროფის „სირზე“ სადღეისოდ ცნობილია მხოლოდ ორი მოსაზრება: ალ. სარაჯიშვილის აზრით, „სირი“ კონტექსტისათვის შეუფერებელია, რადგან იგი ფრინველია და არა მხეცი: „დალოცვილს, თუ რითმა გაუჭირდა, „ვირისა“ ეთქვა მაინცა... რაც უნდა იყოს მხეცია“ (მოამბე, №3, 1896 წ.).

ბ. მარი 1910 წელს წერდა: „სირისა თავისი რ-თი არღვევს რითმას“ (Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи, книга XII, С.-П.-1910).

ვეფხისტყაოსნის უორდროპისეულ თარგმანში (London - 1912) „სირის“ ადგილას წერია sparrow („ბელურა“), ხოლო სქოლიოში, წყაროზე მითითებით, მოყვანილია ზემოთ ჩემ მიერ ციტირებული ნ. მარისეული შენიშვნა.

1918 წელს ნ. მარმა ეს „სირი“ შეცვალა „წყილით“, სიტყვა „ჭირად“, - სიტყვით: „ჩირად“:

„ჩირად არ მიჩნდის ლომისა მოკვლა მართ ვითა წყილისა“ (ნ. მარი, ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხები, გამოსაცემად მოამზადეს, კომენტარები და შენიშვნები დაურთეს მ. გუგუშვილმა და ლ. ძონენიძემ, თბ., - 1965, გვ. 110).

იუსტ. აბულაძემ 1926 წელს იგივე თქვა, რაც მასზე უწინ ნ. მარმა: „რითმის მხრითაც მესამე ტაეპი ვერ არის მოხდენილი (სირისა, მაშინ, როდესაც ყველა დანარჩენი ტაეპის რითმა არის „ილისა“). - (დასახ. გამოცემა).

აღნიშნულ სტროფზე და მის „სირზე“ გამოთქმული მოსაზრებებიდან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ:

ვეფხისტყაოსნის 1712 წლის ნემდეგ განხორციელებულ გამოცემებში „სირიანი“ სტროფის შეტანა გაპირობებულია

ვახტანგისწული გამოცემის (1712 წ.) ავტორიტეტითა და ხელნაწერთა გარკვეული ნაწილის მონაცემებით [უფრო პირველით, ვინაიდან, როგორც აღნიშნულია, „ვახტანგისწულმა გამოცემამ თავის დროზე დიდი ავტორიტეტი მოიპოვა და მის შემდგომ გადანერილი ხელნაწერთა უმრავლესობა სწორედ 1712 წელს დაბეჭდილი ტექსტიდან იღებს სათავეს“ (სარგის ცაიშვილი, ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და პოემის ტექსტის ისტორია, I, თბ., - 1984, გვ. 363)], მისი (ამ სტროფის) საერთოდ არშეტანაკი, - ამ სტროფზე ალ. სარაჯიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრების გაზიარებით.

მაგრამ რამ განაპირობა ზემოთ ნახსენებ ორ გამოცემაში (1966 წ. 1974 წ.) „სირიანი“ სტროფის ნცვლად „სილიანი“?!

ვეფხისტყაოსნის გამოცემათა უმრავლესობაზე, როგორც უკვე ითქვა, დიდი გავლენა მოახდინა მისმა პირველმა გამოცემამ, სადაც სწორედ ეს „სირიანი“ სტროფია; ამიტომ უნდა გაირკვეს, რატომ მაინცადამაინც იგია ამ გამოცემაში; ხოლო ეს, რომ გაირკვეს, ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, აუცილებელია ყველა იმ ხელნაწერში (მეტადრე 1712 წლისათვის არსებულთაში) ჩახედვა, რომელმაც მოაღწია ჩვენამდე.

ვეფხისტყაოსნის ჩვენამდე მოღწეული მეტნაკლებად მნიშვნელოვანი 54 ხელნაწერიდან (რომელთაგან თხუთმეტი XVII საუკუნისაა, თხუთმეტი, - XVIII-სი, ოცდაოთხი, - XIX-სი) ის სტროფი, რომლის პირველი სტრიქონი იწყება სიტყვებით: „ასმათ, მითხრობდი“, ხოლო მესამე, - „ჭირად არ მიჩნდის“, - სახეზეა ოცდაცხრამეტში. დანარჩენი თხუთმეტიდან ამ სტროფს არ შეიცავს შვიდი, შეიცავდა თუ არა უცნობია რვაში.

ოცდაცხრამეტი ხელნაწერიდან, რომლებშიც ეს სტროფია, ოცდახუთში წერია „სილი“, ცამეტში, - „სირი“, ერთში უცნობია, „სილი“ ეწერა თუ „სირი“, ვინაიდან ფურცლის ის ნაწილი, სადაც ამ ორი სიტყვიდან ერთერთია საგულგებელი, მოხეული და დაკარგულია.

XVII ს-ის თხუთმეტი ხელნაწერიდან აღნიშნული სტროფი არის შეიძლი; არ შეიცავს სამი (ოქს. 27, A-363, H-2074), შეიცავდა თუ არა, უცნობია ხუთში (H-3249, S-1418, S-3077, ქუთ. 215, ახალციხური); შვიდიდან ხუთში (H-54, H-599, H-757, S-28-29, Q-779) წერია „სილი“, ერთში (Q-1082), – „სირი“, ერთში (Q-930) უცნობია „სილი“ ეწერა თუ „სირი“, ვინაიდან, როგორც უკვე ვთქვი, ფურცლის ის ნაწილი, სადაც ამ ორი სიტყვიდან ერთერთია საგულევებელი, – მოხეულია.

XVIII ს-ის თხუთმეტი ხელნაწერიდან ეს სტროფი არის თორმეტი; არ შეიცავს ორი (H-461, პარიზ. 10), შეიცავდა თუ არა, უცნობია ერთში (S-1675/ა); თორმეტიდან ათში (H-740, H-2610, H-3061, Q-261, ქუთ. 205, S-4499, S-4988, S-5006, ოქს. 17, K-383) წერია „სილი“, ორში (H-964/ა, Q-799), – „სირი“ [S-4499 და K-383 ზოგს XVII საუკუნისად მიაჩნია (სარგის ცაიშვილი, ვტნის ტექსტის ისტორია, თბ., – 1970, გვ. 331, 409; ქუთაისის ხელნაწერთა აღწერილობა, ტ. II, თბ., – 1964); ამ ხელნაწერებს XVIII საუკუნისად თვლიან ა. შანიძე და ა. ბარამიძე (იხ. მათ მიერ გამოცემული ვეფხისტყაოსანი, თბ., – 1966, გვ. 018)].

XIX ს-ის ოცდაათი ხელნაწერიდან ეს სტროფი არის ოცში; არ შეიცავს ორი (H-422, A-654), შეიცავდა თუ არა, უცნობია ორში (S-2525, S-5207); ოციდან ათში (H-1839, „ასლანიშვილი-სეული“, „ლენ.“, ლიტ. 10768/191, H-412, S-4527, Q-483, Q-796, Q-1075, Q-1335) წერია „სილი“, დანარჩენ ათში („გრიშაშვილისეული“, ლიტ. 12904/190, H-66, H-248, H-783, S-1727, S-2315, Q-279, Q-768, A-1123), – „სირი“.

როგორც ვხედავთ, ხელნაწერთა უმეტესობა (ოცდაცხრამეტი ორმოცდაათობიდან) შეიცავს ამ სტროფს, ხოლო ამ სტროფის შემცველ ხელნაწერთა უმეტესობაში (ოცდაცხრამეტიდან ოცდახუთში) წერია „სილი“ („სირი“ მხოლოდ ცამეტში).

ისმის კითხვა: რატომ შეიტანა ვახტანგმა თავის გამოცემაში „სირიანი“ და არა „სილიანი“ სტროფი?!

თუ დაფუძნებთ, რომ ვახტანგისა და მისი კომიისისათვის, ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენისას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ხელნაწერთა სიძველესა და რაოდენობას ენიჭებოდა, მაშინ რამდენადაც გასაგებია, რატომ შეიტანა ვახტანგმა თავის გამოცემაში ეს სტროფი, იმდენად გაუგებარია, რატომ ამჯობინა მან „სირიანი“ სტროფი „სილიანს“, როცა ჩვენამდე მოღწეულ უძველეს და უმეტეს ხელნაწერში არის სწორედ ის სტროფი, სადაც წერია „სილი“.

უნდა ვიფიქროთ:

1. ან იმუამად „სირიანი“ სტროფის შემცველი ხელნაწერი რიცხობრივად სჭარბობდა „სილიანი“ სტროფის შემცველთ (რაც საეჭვოა)!

2. ან ვახტანგმა მოცემულ კონტექსტში „სირი“ უფრო „პოეტურად“ მიიჩნია, ვიდრე „სილი“ (რაც ადვილი შესაძლებელია)!

3. ანდა მან არ იცოდა, რას ნიშნავდა „სილი“, კარგად იცოდა მნიშვნელობა „სირისა“, ჰქონდა არჩევანის საშუალება და იმას, რაც არ იცოდა, ამჯობინა, რაც იცოდა, იგი (შეიძლება „სილი“ კალმისმიერი შეცდომაც კი ეგონა).

არის თუ არა გასაკვირი, რომ ვახტანგს არა სცოდნოდა, – რაა „სილი“...

არა! –

ვინაიდან:

ვახტანგმა, როგორც ცნობილია, თავის გამოცემულ ვეფხისტყაოსანს დაურთო ლექსიკონი (ე. წ. „თარგმანი“);

აქ ყველა სიტყვა არაა განმარტებული;

განუმარტავია კენარი, შარდი, შეფრობა, ნიშატი და სხვ.

განმარტებულია მჭევრი, ყლეტა, ყლერა და სხვ.

კენარისა და ნიშატის შესახებ ვახტანგი ამბობს: „ – არა ვიცოდი“-ო, შეფრობისა და შარდის შესახებ: „ – ვერ გავარჩივე“-ო.

„მჭევრი სხვასა და სხვას სიტყვის გვარს ჰქვიან“-ო,

„ყლეტა მრავლის ჩიტის ხოცას ჰქვიან“-ო,

„**ულერა** ეტლთა სლვის კმას ჰქვიან“-ო.

წარმოდგენილი სიტყვების, როგორც განუმარტავობა, ისე განმარტებანი, აშკარად მოწმობს, რომ ვახტანგი დამოკიდებულია საბაზე.

აი, რატომ:

ვახტანგისეული „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ვიცით, დაიბეჭდა 1712 წელს.

საბას ლექსიკონის ცხრა ავტოგრაფული ნუსხიდან 1712 წლამდე გადანერილია ოთხი (H-416, S-2498, K-300, Q-400).

ამათგან ვახტანგის ხელში ნამყოფია სამი (S-2498, K-300, Q-400); სხვათა შორის, S-2498 გადანერილია თვით ვახტანგის მიერ (7r-189v) [ლ. ქუთათელაძე, ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., - 1954, გვ. 101,9; ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), ტ. III, თბ., - 1963, გვ. 281; მ. ქავთარია, ს. ს. ორბელიანის უცნობი ავტოგრაფი, - ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. II, თბ., - 1960, გვ. 1-15).

ამ სამში განუმარტავია კენარი, შარდი, ნიშატი (S-2498-ში და Q-400-ში სხვა ხელითა და სხვა მელნით შეტანილი „ნიშატის“ განმარტება, უდავოდ, 1712 წლის მერმინდელია), განმარტებულია (და სწორედ ისეა განმარტებული, როგორც ვახტანგი იმეორებს) მჭევრი, ულეტა, ულერა: „მჭევრად ითქმის თითო სახენი გვარნი მეტყველებათანი“, „ულეტა – მრავალ სირთა სრვა“, „ულერა – ეტლთ სლვის კმა“. [ისე, კაცმა რომ თქვას (ახლა რა შუაშია და), ამ სიტყვების (მჭევრი, ულეტა, ულერა) თვით საბასეულ განმარტებათა ნაკლულოვანებას, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, მათი (ამ სიტყვათა) შოთას-მიერი ხმარებაც მოწმობს].

გაუგებარია მხოლოდ ერთი რამ, K-300-ში და Q-400-ში, რომლებიდანაც სარგებლობს ვახტანგი, განმარტებულია „შეფრობაც“ [„შეფრობა – შეჭირვებული, გინა შეპყრობილი“ („შეპყრობილივით“ – K-300)].

რატომ არ ისარგებლა ვახტანგმა არ ორ ნუსხაში არსებული „შეფრობის“ საბასეული განმარტებით?!

არ გაიზიარა?! –

შეიძლება! –

ვახტანგისაგან საბასეული განმარტების არგაზიარების სხვა შემთხვევებიც ვიცი [იხ. „საუნჯე“ №2, 1988 წ., შხერო, გვ. 261].

აქაც ასეა საქმე?! –

არ ვიცი!

(ვახტანგის „თარგმანისა“ და საბას ლექსიკონის ურთიერთ-დამოკიდებულების შესახებ იხ. ო. შანიძე, ჴეფხის ტყაოსნის საკითხები, 1, ტბ.-1966, გვ. 54-56).

„სილი“ საბამ თავის ლექსიკონში (H-1658) პირველად შეიტანა და უცხო შესატყვისი (იტალ.) მოუნერა 1715-1716 წწ-ში; ე. ი. ვახტანგისეული ვეფხისტყაოსნის გამოცემიდან სამი წლის შემდეგ.

ვეფხისტყაოსანი, როგორც ცნობილია, დედამიწაზე არსებულ თითქმის ყველა ძირითად ენაზეა თარგმნილი (ზოგიერთზე რამდენჯერმე);

ამ თარგმანებში, სადაც ეს სტროფია (ყველაში არაა) და სადაც იგი „სირითურთა“ (ზოგში „უსიროდაა“) „სირის“ შესატყვისი ყველგან ისაა, რაც უნდა იყოს:

sparrow (მარჯორი უორდროპი, რობერტ სტივენსონი), vereb (მანდორ ვერები), птичка (პეტრენკო, ნუცუბიძე), пичужек (ზაბოლოცკი), ႏႃႈႁႃႈ (გაპონოვი) და ა. შ.

ორიოდე სიტყვა „სირისა“ და „სილის“ რაობაზე:

„სირი“ ქართულ მწერლობაში (როგორც თარგმნილში, ისე ორიგინალურში), შოთამდეც, შოთას დროსაც და, შოთას შემდეგაც, არაერთგან გვხვდება არაერთი მნიშვნელობით:

1. „მრავალთა სირთა უმჯობეს ხართ თქვენ“ [მათე 10, 31, სინური მრავალთავი (864 წ.), ადიშის (897 წ.), ჯრუჭის (936 წ.), პარხლის (973 წ.), ურბნისის (XI ს-ის პირველი ნახევარი), პალ-

ესტინის (1048 წ.), ვანის (XII ს.), ერმიანინის (XII-XIII სს.), გელათის (XII ს. ბოლო) ოთხაენი, ბაქარის ბიბლია (1743 წ.).

2. „რამეთუ სირმანცა პოა თავისა თვისისა სახლი“ [ფსალ. 83,4; სინური მრავალთავი, მცხეთის დავითნი (1016 წ.)].

3. „მომინადირეს მე, ვითარცა სირი“ [გოდ. იერემ. 3,52; ოშკის ბიბლია (978 წ.)].

4. „ვიცვალბოდი მე მათა ზედა, ვითარცა სირი“ (ფსალ. 10,1; მცხეთის დავითნი).

5. „აღდგეს კმასა სირისასა“ (ეკლეს. 12,4; ოშკის ბიბლია).

6. „მაკურთხევედენ მე ნადირნი ველისანი, სირინოსნი და ასულნი სირთანი“ [ესაია 43,20; მცხეთური ხელნაწერი (A-51), ტფილისის ბიბლია (1884 წ.)].

7. „ვითარცა სირი უდაბნოსა შინა“ (გოდ. იერემ. 4,3; მცხეთური ხელნაწერი, ტფილისის ბიბლია).

8. „ვითარცა სირი ირეჭსა“ (ივაგ. სოლომ. 6,5; სინური მრავალთავი, ოშკის ბიბლია).

9. „ათიათასთა წელონდთა შინა სირი ერთგვის ერთსა მარცვალსა შესჭამდის“ (საბა).

10. „უხმო ყოველთა სირთა: – მოდით და შემოკრბითა“ (ნ. ბარათაშვილი) და სხვ.

ქართულ ლექსიკოგრაფიაში „სირის“ განმარტებანი ასეთია: „სირი – ჩიტი (10, 29 მათე). სირი სირაქლემს იტყვის (43, 20 ესაია; 4,3 გოდება). თ. [სარჩა]. ს. ჭნჯლუკ, ჭინჯლუკ, ჭინჯლუკ“ (საბა).

ვახტანგის განმარტებით: „სირი ჩიტი არს“ (შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 1712, ფოტორეპროდუქციული გამოცემა, 1975 წ, გვ. 382).

თეიმურაზ ბაგრატიონით: „სირი – ჩიტი ჭივჭავი“ (თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გაიოზ იმედაშვილის რედაქციით, თბ., – 1960, გვ. 45); „სირი – ჩიტი, რუსულათ ვორობეი“ (H-2139); „სირი – ჩიტი საზოგადოდ, სოფელთა და ქალაქთა შინა რომელნიც მკვიდრობენ“ (ლენ. H-38) –

(თ. ბაგრატიონი, წიგნი ლექსიკონი, ვ. შარაძის რედაქციით, თბ., - 1979).

ნ. ჩუბინაშვილი „სირის“ განმარტებისას იმეორებს საბასეულ (ნაწილობრივ თეიმურაზისეულ) განმარტებას და საბას მიერ მითითებულ წყაროებს უმატებს ფსალმუნს: „სირი - ჩიტი (ფსალ. 10,1; მატ. 10,29 და შემდგომი), птица вороней// ზოგან ხმარებულ არს სირაქლემის მაგიერ (ისაი. 43,20; გოდება 4,3), струс (ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, ალ. ლლონტის რედაქციით და გამოკვლევით, თბ., - 1961).

რ. ერისთავთან „სირი“ სინონიმია მხოლოდ „სირაქლემისა“: „317. + სირი, სირაქლემი, (груз.) Струс. *Struthio-camelus*, Lin (რ. ერისთავი, მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი, Тифлисъ - 1884. ცხადია, აქ, „სირაქლემის“ ლათ. სახელწოდებაში თავკიდური „С“ უნებლიე შეცდომაა, უნდა იყოს „S“.).

„სირის“ დ. ჩუბინაშვილისეული განმარტება ნ. ჩუბინაშვილისეულისაგან მხოლოდ ფსალმუნზე მოუთითებლობითა და ოთხი ახალი წყაროთი განსხვავდება: „სირი, ს. ჩიტი, вороней, მატ. 10-29, ლუკ. 12-6; ეფებ. 317; იერემ. 8-7; ბუნ. ლ; სხვა ადგილებში სამღვთო წერილებისა: სირაქლემი, струс; ლევიტ. 16-11; ისაი. 43-20; გოდებ. 4-3“ (დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, თბ., - 1984).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში აღნიშნულია „სირის ორი მნიშვნელობა: „სირ-ი - ძვ. იგივეა, რაც ჩიტი. 2. იგივეა, რაც სირაქლემა“ (ქეგლ, ტ. VI, თბ., - 1960).

ილია აბულაძით: „სირი - ფრინველი, ჩიტი, ბარჯყი (მათე 10, 31; ეკლეს. 12, 4; სინური მრავალთავი, 226, 4; იერემ: 8, 7; ლუკა 12, 6; გოდ. იერემ. 3,52). (ილ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., - 1973).

სათითაოდ არც ერთი ეს განმარტება სრული არაა:

საბასეულ განმარტებას აკლია მნიშვნელობანი სირისა: „ფრინველი“ და „ბელურა“, ვახტანგისეულს, – ზმნიზედა „აქ“, თეიმურაზისეულს, ვეფხისტყაოსნის „სირის“ განმარტებისას, ვახტანგისეულივით, – ზმნიზედა „აქ“, H-2139-სა და ლენ. H-38-ში, – „სირაქლემი“, ნ. ჩუბინაშვილისეულს, – „ფრინველი“ (ასევე დ. ჩუბინაშვილისეულს), რ. ერისთავისეულს, – „ფრინველი“, „წვრილი ფრინველი“, „ბელურა“, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონისეულს, – „ფრინველი“ და „ბელურა“ ისევე, როგორც საბასეულს; ილ. აბულაძისეულში უადგილოა „ბარტყი“, აკლია „ბელურა“ და „სირაქლემი“ [აქ ეს „ბარტყი“ მომდინარეობს სომხური ბიბლიის ვენეციური (1805 წ.), ლონდონური (1892 წ.) და კონსტანტინეპოლური (1895 წ.) გამოცემებიდან (ბაყ – ლუკა 12,6); შესაბამის ადგილას სომხური ბიბლიის სხვა გამოცემებში (კონსტანტინეპოლი – 1884 წ., ექმიანინი, – 1975 წ.) წერია ნმნდიც; რაც მთავარია, ოთხთავის თვით ბერძნულ დედანში და ყველა სხვა ენაზე არსებულ თარგმანში, სათანადო ადგილას, არსად არ წერია „ბარტყი“].

ახლა ვნახოთ, რამდენად ეთანხმება, „სირის“ უცხო შესატყვისთა რაობანი (ახალი და ძველი აღთქმის მიხედვით) ქართულ ლექსიკოგრაფიაში არსებულ მის განმარტებებს;

მათესეული და ლუკასეული ქართ. „სირის“ ადგილას (მათე 10-29, 31; ლუკა 12-6, 7) ბერძნულშია **στριςθισον**, ლათინურში, – *passer*, სირიულში, – **ܣܦܪܐ**, სომხურში, – **նմնդիւկ** (ყველა გამოცემის მათეში), ბაყ (ზოგიერთი გამოცემის მხოლოდ ლუკაში. იხ. ზემოთ), არაბულში, – **عصفور**, სპარსულში, – **سپرلنگ**, სლავურში და რუსულში, – **птица**, გერმანულში, – **sperling** (მკითხველს მინდა ვაუწყო, რომ უცხო შესატყვისთა მიმართ, საჭიროდ არ მივიჩნიე დამეცვა დედნისეული ფორმები, ვინაიდან, ჩემთვის, ამჯერად საინტერესოა თითოეულის მნიშვნელობა და არა ის, თუ სად რა ფორმითაა წარმოდგენილი ესა თუ ის მათგანი).

„სირის“ აქ წარმოდგენილი ყოველი უცხო შესატყვისი (გარდა სლავურისა და რუსულისა) ნიშნავს „ბელურას“ (იხ. სათანადო ლექსიკონები); რაიცა შეეხება სომხ. ძაყ-ს; საუბარი მისი რაობის შესახებ იხ. ზემოთ.

ძველ აღთქმაში ქართ. „სირის“ შესატყვისებია: ებრაული $\Gamma\text{I}\text{S}\text{Y}$ (გოდ. იერემ. 3,52; ეკლეს. 12,4; ფსალ. 10,1; 83,4; იგავნი სოლომ. 6,5. იობ. 40,29), $\Gamma\text{I}\text{S}\text{I}$ (ესაია 43,20; გოდ. იერემ. 4,3), $\Gamma\text{I}\text{S}\text{I}$ (ტობ. 2,10), ბენძნული $\sigma\tau\rho\upsilon\sigma\theta\iota\omicron\nu$ (ეკლეს. 12,4; ფსალ. 10,1; 83,4; იობ. 40,29; იერემ. 8,7; ტობ. 2,10; ესაია 43,20; გოდ. იერემ. 4,3), $\delta\rho\nu\epsilon\omicron\nu$ (იგავნი სოლომ. 6,5), ლათინური $\acute{a}vis$ (გოდ. იერემ. 3,52), $str\acute{u}thio$ (ესაია 43,20; გოდ. იერემ. 4,3), $passer$ (ფსალ. 83,4), $hirundo$ (ტობ. 2,10), სომხური նննուկ (გოდ. იერემ. 3,52; ფსალ. 83,4), քիչուն (ეკლეს. 12,4; იერემ. 8,7; იგავ. სოლომ. 6,5), ჯაქსამն (ესაია 43,20; გოდ. იერემ. 4,3), ძაყ (იობ. 40,24), არაბული عصفور (ეკლეს. 12,6; იობ. 40,24), نعامة (ესაია 43,20), სლავური врани (გოდ. იერემ. 3,52; იერემ. 8,7; იობ. 40,24; ტობ. 2,10), птица (ეკლეს. 12,4; ფსალ. 10,1; გოდ. იერემ. 4,3; ფსალ. 83,4; იგავ. სოლომ. 6,5), струть (ესაია (43,20), Ластовица (ტობ. 2,10), რუსული птичка (გოდ. იერემ. 3,52; ფსალ. 83,4), птица (ფსალ. 10,1; იგავ. სოლომ. 6,5), петух (ეკლეს. 12,4), страус (ესაია 43,20; გოდ. იერემ. 4,3), воробей (ტობ. 2,10), გერმანული Vogel (გოდ. იერემ. 3,52; ეკლეს. 12,4), strauf (ესაია 43,20; გოდ. იერემ. 4,3), ინგლისური bird (ეკლეს. 12,4). (უცხო შესატყვისთა მიმართ, დედნისეული ფორმები დაცული არაა აქაც).

„სირის“ აქ წარმოდგენილ უცხო შესატყვისთა მიხედვით: სირი ნიშნავს „ფრინველს“ (ეკლეს. 12,4; ფსალ. 10,1; იერემ. 8,7), სირი ნიშნავს „წვრილ ფრინველს“ (გოდ. იერემ. 3,52; იგავ. სოლომ. 6,5; იობ. 40,24), სირი სინონიმია „ბელურასი“ (ფსალ. 83,4), სირი სინონიმია „სირაქლემისა“ (ესაია 43,20; გოდ. იერემ. 4,3). (იხ. სათანადო ლექსიკონები).

[ბაყ-ის (იობ. 40,24) საქმე აქაც ისეა, როგორც სომხური ოთხთავის ზოგიერთ გამოცემაში (იხ. ზემოთ) ლუკასეული ბაყ-ისა (ლუკა 12 - 6,7); ესეც, იმასავით, თვითნებური თარგმანია, ვინაიდან იობის წიგნის ამ ადგილას (40,24), ძველი აღთქმის არც ერთ ვერსიაში „ბარტყი“ არ წერია.

რუსული ბიბლიის петух (ეკლეს. 12,4), რა თქმა უნდა, ლაპარაკდაც არ ღირს; არამცთუ ძველი აღთქმის სხვა ვერსიებში, თვით სლავურშიც კი ამ ადგილას, სავსებით სამართლიანად, წერია „птица“.

რაიცა შეეხება ластовница-ს (ტობ. 2,10), მას არავითარი საერთო არა აქვს ქართულ „სირებთან“; ოშის ბიბლია, სადაც ეს „სირებია“, თარგმნილია ბერძნულიდან; მცხეთისა და ბაქარის ბიბლიათა „მერცხლები“ კი ლათ. ვულგატადან მომდინარეობს, - პირველისა, - უშუალოდ, მეორისა, - სლავურზე გამოვლით (იხ. ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები, წიგნი I, თბ., - 1970, გვ. 6); ბერძნულშია στρουθιον, ლათინურში, - hirundo (ტობ. 2,10); ერთიცა და მეორეც შესატყვისია ებრ. „დერორისა“ (דֶּרֹר), რომელიც შაპიროთი „მერცხალია“, შოშანიტ, - „ბელურა“.

მაშასადამე ქართულში ისტორიულად „სირის“ მნიშვნელობა ოთხია:

1. სირი - ფრინველი.
2. სირი - წერილი ფრინველი.
3. სირი - ბელურა.
4. სირი - სირაქლემი.

[ქურთულში سیر („სირე“) ნიშნავს: ხმაური, სტვენა, შუილი („ფრინველთ ფრენის კმა“), ზუილი, ზუზუნი.

სპარსულში سهر („სეჰრე“) შესატყვისია „ჩიტბატონასი“.

თურქულში და აზერბაიჯანულში „სერჩე“ (საბათი: „სარჩა“) „ბელურაა“. (თურქ. سرحه , serçe, აზერბაიჯ. Сәрчә).

საიდან მოდის ქართ. „სირი“?! -

სირე>სირ-ი თუ სეჰრე>სერე>სირ-ი?!].

აღსანიშნავია, რომ „სირი“ წერილი ფრინველის მნიშვნელობით დღემდეა დაცული დიალექტებში (რჭ. ლჩხ. იმ.), სადაც იგი წევრია კომპოზიტიისა და წარმოადგენს მსახლერულს: სირვაშლა, სირის ვაშლი.

აქ, რომ „სირი“ სწორედ წერილ ფრინველსა ნიშნავს, ამას ადასტურებს მისი სინონიმი ჩიტავაშლა/ჩიტვაშლა და თვით ამ სახელწოდებიანი ვაშლის რაობა; ეს ვაშლი „ტოტებზე ჯგუფ-ჯგუფად ისხამს წითელი ფერის წერილ, წვნიან ნაყოფს (ქეგლ). (ყარგონულად ამჟამად „სირის“ მნიშვნელობაა penis).

„სილი“ ქართულ მწერლობაში „ვეფხისტყაოსნამდე“ (კერძოდ, ვეფხისტყაოსნის H-599 ხელნაწერამდე, რომელიც გადანერილია 1646 წელს) ჯერ არ ჩანს.

„ვეფხისტყაოსნის“ შემდეგ იგი ნახსენებია იასე ბარათაშვილთან (1728-1786): „იოანეს საღმობა გაგრძელდა და – სილი არისო, იტყოდენ“ (იასე ბარათაშვილი, ცხოვრება – ანდერძი, ქართული პროზა, ტ. V, თბ., – 1983, გვ. 633,11).

საბამ თავის ლექსიკონში ეს სიტყვა, როგორც უკვე ითქვა, პირველად შეიტანა, განმარტა და უცხო შესატყვისი (იტალ.) მოუწერა 1715-1716 წწ.

„სილი: კველების სენი: თისიკია“ (H-1758).

„სილს“ საბასებურად განმარტავენ საბას მომდევნო ლექსიკოგრაფებიც:

„სილი – ხველის სენია“ (ნ. ჩუბ.).

„სილი – н.с. кашель, toux (დ. ჩუბ., ქართულ-რუსულ-ძრანციცული ლექსიკონი, С.-П.-1840).

„სილი – ხველის სენი ან სიჭლურქე, кашель, чахотка (დ. ჩუბ. ქართულ-რუსული ლექსიკონი, С.П.-1887).

აღსანიშნავია, რომ სიტყვა „სილი“ იმერულ დიალექტში ცოცხალია დღესაც („სილი და ჭირი არ მამეცეს“...)

ივ. ქავთარაძის განმარტებით ამ დიალექტური „სილის“ მნიშვნელობაა „უბედურება“ (ქართ. კილო-თქმათა სიტყვის კონა, შეადგინა ალ. ლლონტმა, ტ. II, თბ., – 1975).

ნ. ნათაძის მიხედვით: სილი, – ჭლექიანი; – „ვეფხისტყაოსანში“ ნახმარია „დასუსტებულის“ მნიშვნელობით: „სილისა – ჭლექიანისა, აქ: დასუსტებულისა“ (შ. რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სასკოლო გამოცემა, თბ., – 1974, გვ. 105).

„სილი“ „ჭლექსა“ და „ჭლექიანს“ ნიშნავს არაბულში, სპარსულში, ქურთულში, თურქულში... არაბ. სს („სილლუნ“), სპ. სს („სელლ“), ქურთ. სს („სილ“), თურქ. sillî („სილლი“).

(ივ. გიგინეიშვილს, როგორც სარგის ცაიშვილმა მითხრა, გამოუთქვამს მოსაზრება, თითქოს „ვეფხისტყაოსნის“ ამ „სილში“ იგულისხმება ერთგვარი „ხვლეცი“; მე რამდენადაც ვიცი, „სილი“ არანაირ ხვლეც არ ნიშნავს ქართული ენის არც ერთ დიალექტში და არც ერთ ქართველურ ენაში).

„დასუსტებულით“ ამოიწურება „ვეფხისტყაოსნისეული“ „სილის“ მნიშვნელობა (როგორც ეს ნ. ნათაძეს მიაჩნია), თუ სხვა რამესაც შეიძლება ნიშნავდეს იგი?!

„სილის“ რაობის გარკვევასთან დაკავშირებით ფრიად საყურადღებოა ვეფხისტყაოსანში არსებული ორი სიტყვა: ტარიერი და მახმული:

„მოენრა რამზ მეფე ნიგნსა გინერ ტარიერსა“ (Q-1082 – 185r. – გართმულია სიტყვებთან: მონანერსა, ბევრსა ერსა, შენ მიერსა).

„ერთმანცა: არა: იცოდა: ვერა: ცნეს ტარიერისა“ (H-54, – 199r. პუნქტუაციის გარეშე, – H-2074, – 201v., H-757, – 203v., Q-1082, – 127r. – გართმულია სიტყვებთან: ჰქონდა მტერისა, ხრმალთა ნვერისა, მსგავსი მტვერისა)

„წინდოთ: მეფე: თაყვანის: ცემს: ლალი: ბრძენი: არ: მახმული“ (H-54, – 217r. პუნქტუაციის გარეშე, – H-757, – 221v. და პუნქტუაციისა და „წ“-ს გარეშე, – Q-1082, – 141r. – გართმულია სიტყვებთან: თავ-შედგმული, შეკაზმული, ღვინო-სმული).

[აქ მითითებული ოთხივე ნუსხა XVII საუკუნისაა (უადრესი არც არსებობს); ამათგან გადანერის წელი ცნობილია მხოლოდ ორისა: H-757, – 1671 წ., H-54, – 1680 წ. (იხ. შ. რუსთაველი,

„ვეფხისტყაოსანი“, თბ., – 1966, გვ. 018; სარგის ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები და პოემის ტექსტის ისტორია, I, თბ., – 1984, გვ. 387, 394). სარგის ცაიშვილის მიხედვით H-2074 XVII ს-ის პირველ ნახევარს ეკუთვნის (სარგის ცაიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ ძველი რედაქციები, თბ., 1963, გვ. 37; მისივე, „ვეფხისტყაოსნის“ ხელნაწერები და პოემის ტექსტის ისტორია, I, თბ., – 1984, გვ. 397)].

ფორმა „ტარიერი“ (რითმის გარეშე) არც „ვეფხისტყაოსანშია“, არც სხვაგან სადმე; მაკარავანჯის კედლის სომხურ წარწერაშიც (1225 წ.), ნ. მარის ცნობით, „ტარიელი“ წერია და არა „ტარიერი“ (Н. Я. Марр, Грузинская поэма "Витязь в барсовой шкуре" Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема, ИАН, 1917, გვ. 505).

რითმის გარეშე, ასევე არსად ჭაჭანება არაა სიტყვისა „მახმული“ [იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც იგი (რუსთველოლოგთა გაგებით) ნახმარია ვეფხისტყაოსანში]; კონტექსტის მიხედვით, ამ სიტყვის სწორი დანერვილობაა (თუ მას ისე გავიგებთ, როგორც რუსთველოლოგებს ესმით) მახმური. სწორედ ამ ფორმით ერთგან, ოღონდ რითმაში ხმარობს კიდევ მას თვით რუსთველი: „მისით კითხუით წამოსრულვარ არ მთურალი და არ მახმურად“ (H-2074, – 137r., H-757, – 140v. – გართმულია სიტყვებთან: მამაცურად, სამსახურად, ჯაბანხდლურად); ამავე ფორმით (რითმის გარეშე) ეს სიტყვა ნახმარია „ვისრამიანში“: „მახმურისა წამალი ლუინისა კიდე აღარა არს“ (ვისრამიანი, აღ. ბარამიძის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით და შესავალი წერილით, ლექსიკონი იუსტ. აბულაძისა, ტფ. 1938, გვ. 221,8),

[„მახმურ“-ი (مجمور) არაბული სიტყვაა; ნიშნავს „ნამთვრალევს“, „ნაღვინევს“, „გამოყოლილს“].

რითმის გამო ხმარობს რუსთველი ამ სიტყვების „უკანონო ფორმებს“?!

თუ ასეა, მაშინ „სირის“ მნიშვნელობით, რითმისავე გამო, რატომ არ შეიძლებოდა ეხმარა „სილი“?!

[სხვათა შორის, აქ უნდა შევნიშნო, რომ რითმის გამო სიტყვის არასწორი ხმარება, ჩანს, დიდ ცოდვად არ ითვლებოდა ჩვენში; ამის დასტურად მიმაჩნია „შარდის“ საბასეული განმარტება: „შარდი – შადი ნაქსოვია მძიმე და ლექსში შარდად უთქვამს რუსთველსა ვეფხის ტყაოსანშია (H-1658).

ამჯერად, ჩემთვის საინტერესოა არა ის, თუ რამდენად სწორია „შარდის“ ეს განმარტება, არამედ იგი, რომ საბა ჩვეულებრივ ამბად თვლის „შადის“ ნაცვლად „შარდის“ ხმარებას ლექსში, უკეთუ ამას მოითხოვს რითმა].

კი, მაგრამ სიტყვის ისეთმა ჯადოქარმა, როგორც შოთაა, ნუთუ ვერ შეძლო, თავიდან აეცილებინა ეს „არასწორი“ ფორმები?!

რა?! –

ოსტატობა არ ეყო?!..

რაშია საქმე?! –

საქმე იმაშია, რომ:

არც ერთი მწერალი დაზღვეული არაა დიალექტიზმებისაგან. მწერლის ენაში, როგორც წესი, ყოველთვის აირეკლება ხოლმე იმ კუთხის დიალექტური ფორმები, სადაურიცაა იგი.

ვეფხისტყაოსნის დიალექტიზმების შესახებ გამოქვეყნებულია რამდენიმე წერილი (Н. Я. Марр, Грузинская поэма "Витязь в барсовой шкуре". Шоты из Рустава и новая культурно-историческая проблема, ИАН, 1917; გ. ნათენაძე, შოთა რუსთაველის ვინაობა – სადაურობის შესახებ, „მნათობი“, №8-9, ტფ., – 1937; Арн. Чикобава, К вопросу о диалектизмах в поэме Руставели "Вепхис-ткаосани", – Сборник Руставели, к 750 летию "Вепхис-ткаосани", Тб., – 1938).

ბ. მარისა და გ. ნათენაძის წერილებში ამოსავალი პუნქტია ლექსიკა; ვეფხისტყაოსანში უხვადაა მესხური წარმოშობის დი-

ალექტიზმები, აქედან გამომდინარე მისი ავტორი მესხია, – ასკენის ცალკე ნ. მარი, ცალკე, – გ. ნათუნაძე.

არ. ჩიქობავას მტკიცებით, ჯერ ერთი, ის სიტყვები, რომლებიც ნახმარია შოთას პოემაში, არ ეკუთვნის მხოლოდ მესხურ დიალექტს (მოიპოვება ქართული ენის სხვა დიალექტებშიც);

მეორეც, ისინი (ეს სიტყვები), ჯერ კიდევ, შოთამდე იყვნენ ქართულ ლიტერატურაში.

დიალექტიზმების კვლევისას, დაასკვნის ჩიქობავა, ლექსიკაზე გაცილებით უფრო სანდოა მორფოლოგიური მოვლენები, ჩვენებითი ნაცვალსახელები, ზმნიზედები... ვინაიდან დროთა ვითარებაში ესენი უფრო მდგრადნი არიან, ვიდრე ლექსიკა.

მე ამჯერად არ ვერევი ამ ერთობ მნიშვნელოვან საქმეში (ახლა, აქ ამისი არც ადგილია, არც დრო).

მე მინდა მკითხველის ყურადღება მივაქციო მხოლოდ ერთ რამეზე:

ქართულში, საკუთრივ ქართული ენის ფარგლებში (ქართველურ ენათა გარეშე; შესაძლოა, მათი გავლენით), როგორც ცნობილია, იშვიათი მოვლენა არ გახლავთ ლასისა და რაეს ურთიმონაცვლეობა:

ხანჯალი/ხანჯარი (შაჰ-ნამე, ვაჟა), **შარიელი/შარიერი** (შაჰ-ნამე), **სარაფარდა/სალაფარდა** (შაჰ-ნამე), **მენყერი/მენყელი** (საბა), **ტირიფი/ტილიფი** (ალ. მაყ. ბოტ. ლექს.), **ისლი/ისრი** (ალ. ლლონტი, ქეთსკ), **შარაშინი/შალაშინი** (ალ. ლლონტი, ქეთსკ.), **ჩარხი/ჩალხი** (ქეგლ), **სირვაშლა/სილვაშლა** (ალ. მაყ. ბოტ. ლექს.), **ჯიმშერი/ჯიმშელი** (ალ. ლლონტი, ქს.), **დგნარი/დგნალი** (ალ. მაყ. ბოტ. ლექს.), **ჩირი/ჩილი** (ქეგლ), **ველკეთილი/ვერკეთილი** (მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმიკისათვის, I ნივნი, თბ., – 1964; იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., – 1986.).

სიტყვების ამნაირ წყვილულთა მხილველს, დასაშვებად მიმაჩნია, გამოეთქვა ვარაუდი:

„ტარიერი“, „მახმული“ და „სილი“ ხომ არაა „ტარიელის“, „მახმურისა“ და „სირის“ დიალექტური ფორმები?!

მით უმეტეს, როცა სხვადასხვა დიალექტში, ერთმანეთის პარალელურად არსებობს ერთიდაიმავე ცნების გამომხატველი, ერთმანეთისაგან მხოლოდ ერთი ბგერით განსხვავებული სიტყვები: „სირვაშლა“ და „სილვაშლა“ (რჭ. ლჩხ. იმ.), და, რაც მთავარია, აქ რ>ლ ფონეტიკურად არაფრით არაა გაპირობებული (აქვე მკითხველს, ერთხელ კიდევ მინდა შევახსენო ლიტ. „ტირიფისა“ და „ისლის“ დიალექტური ფორმები: ჯავახ. „ტილიფი“ და გურ. „ისრი“.).

[გამორიცხული ისიც არაა, რომ ეს „სილი“ იყოს ფონეტიკური ვარიანტი ბაშკ. „სელ“-ისა (თურქ. სპ. ჩილ, ყაზახ. ჩილ/ჩილ, ყირგიზ. შილ, სომხ. ჩილ), რომელიც ბაშკირულში ეწოდება სამი სხვადასხვა ნომენკლატურის ფრინველს (*Tetrastes bonasia* L., *Perdix perdix* L., *Ammoperdix griseogularis* Br.)].

ერთი სიტყვით:

უკეთუ სტროფი, რომელიც იწყება სიტყვებით: „ასმათ, მითხრობდი“, რუსთველისაა, მაშინ იქ აუცილებლად უნდა იყოს „სილი“ (ამას მოითხოვს შოთასეული რითმა).

ასეა თუ ისე, ვინაიდან სადავოა ეს სტროფიცა და (მით უფრო) ამ სტროფის „სირი“, ამიტომ „კატის“ ფრინველობის არგუმენტად აქაური „სირი“ არ გამოდგება.

91. ჩემი აზრით, ძმართის (<აზმაითი) ძირია პამირ. зом – „თოვლი“; აზმაით-ი >აზმაით-ი (თავკიდური „ა“ სიტყვისსაწარმოებელი ხმოვანთავსართია).

სემანტიკისათვის შდრ. თურქ. karık (kar – „თოვლი“).

საბასთან ძმაითი სინონიმია აზმაითისა; თვით აზმაითი განმარტებულია ასე: „აზმაითი – თოვლისაგან თვალის ვნება; ლ. აბალიარე; თ. ყარიღან; ს. ღურაღ“ (იხ. Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, т. II. Тб. 1984. გვ. 681; ვ. თოფურია, ქართველურ

ენათა სიტყვანარმოებიდან, IV, ხმოვანთავსართიანი სახელები, – სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, XXXb-XXXIb, თბ., – 1947, გვ. 454; Турецко-русский словарь, Авторы: А. Н. Баскаков и др., М., – 1977; სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV₁-1965, ტ. IV₂-1966; აქ „აბალიარეს“ ნინ უზის ლ., არადა ეს სიტყვა იტალიურია (abbagliare) და არა ლათინური).

92. ალუდი, თუშურსა და რაჭულში, ლუდია; ალუდის „ა“ ვ. თოფურიას სიტყვისსანარმოებულ ხმოვანთავსართად მიაჩნია, რაც სწორი არაა; ალუდი ამ სიტყვის სრული სახეა, ლუდი, – შეკვეცილი ფორმა ალუდისა (იხ. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შეადგინა ალ. ლლონგმა, I, თბ., – 1074. „ალუდი“; ვ. თოფურია, დასახელებული ნაშრომი, გვ. იგივე; В. И. Абаев, Историко-этимологический словарь осетинского языка, т. I, А-К. Моск.-Ленингр. – 1958, "ælüton".].
93. მოვსეს ხორენაცი (Աշխ. 610) „კატაკს“ (կատակ) უტიის გავარში გავრცელებულ ფრინველად ასახელებს; სომხური ენის ლექსიკონი (ვენეცია – 1836-37 წწ.) უკავშირებს სპ. ქესეჟს (كسك), რაც ნიშნავს „კაჭკაჭს“. მალხასიანციით იგი „გაურკვეველი სახეობის ფრინველია“. აჭარიანთან, სავსებით სამართლიანად, დაკავშირებულია არაბ. კატასთან (قطا), – գաթթա (ასე გადააქვს აჭარიანს არაბ. قطا) (Բառագիրք. հ. I . Ստ.Մալխասեանց. Հայերեն բացատրական բառարան. Երևան–1994, հ. II, Հր.Ամառյան., იგივე ნიგნი, հ. II; იხ. ყველაში: կատაკ).
94. შესაძლოა, ვინმემ იკითხოს: – კი, მაგრამ ქართულში რატომ არსად გვხვდება ეს სიტყვა ფრინველის სახელადო?! მოგახსენებთ: – როგორც კატამ (ცხოველმა) შეჭამოს (ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით) კატა (ფრინველი), ასევე კატა (ფრინველის სახელი) შთანთქა კატამ (ცხოველის სახელმა), რასაც, ჩანს, დიდად შეუწყო ხელი ცხოველი კატის ნარამარა თვალწინ ყოფნამ და ფრინველი კატის მუქიმაღურმა შემცირებამ ჩვენში.

ფონეტიკურად იდენტური სიტყვა კი არა, „კატამ“ თვით ქართული „ციცაც“ შესანსლა თითქმის (ამჟამად მთაშილა თუ გაიგონებთ „ციცას“, – იქაც, – იშვიათად).

95. ერქვა გიორგი I ასულს, დავით აღმაშენებლის ასულს და ვილაც სვან. დიაცს (XIII ს.). (იხ. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩი-შვილის მიერ, ტ. I, თბ., – 1955, გვ. 291,7; 334,4; 366,15; პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, მეორე ნაკვეთი, ტექსტები, თბ., – 1941, გვ. 148].
96. ეს, რომ ასე იყოს, ამაში საკვირველი არაფერია: არაბ. „ლაკლაც“ (قلق) ქართულში ჰქვია ფრინველსაც (*Ciconia ciconia* L – ქართ. ყარყატი) და არის კაცის სახელიც: ლაკლავი – გიორგი ჩორჩანელის დისწული (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., – 1946, ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისად, გვ. 96), ლაკლავიშვილი, – გვარი ზემომერეთში.
97. სომხურში, როგორც ზემოთ ვნახეთ (იხ. შენიშვნა – 93) დაცულია ფორმა „კატაკ“ (կատակ). ადვილი შესაძლებელია, იგი (პარალელურად ფორმისა „კატა“) ქართულშიც იყო (შდრ: ჭალაც/ჭალა, აგარაკ/აგარა, რემაკ/რემა, ეშმაკ/ეშმა, პიტნაც/პიტნა, პინაკ/პინა და სხვ.).

„კატაკ“-ის ქართულში არსებობის შესაძლებლობაზე მეტყველებს აგრეთვე „ასკატაკ“-ი (<აკატაკ) – (შდრ: ჩრდილი/აჩრდილი და სხვ., ფორმა „ასკატაკი“ დადასტურებულია „ამირანდარეჯანიანში“ (A-441 111v, 112r) და ზ. ფანასკერტელთან (კარაბადინი, თბ., – 1950, გვ. 424, 26; 424, 35).

98. ამ სიტყვაში („აკატა“) პირველი „ა“ სიტყვისსანარმოებელი ხმოვანთავსართია; შდრ: ლაკ. (ყუმბ.) ჩუ > ქართ. აჩუა, ხალ. ლათ. *bāneum > იტალ. bagno > ქართ. აბანო...
99. ორ ხმოვანს შორის მოქცეული „კ“ თანხმოვნის წინ „ს“ ფონემის განვითარება ქართულისათვის, როგორც ცნობილია, იშვიათი არაა: ნიკარტ-ი > ნისკარტ-ი, ეკალძმარა > ესკალძმარა.

100. თავკიდური „კ“ თანხმოვნის წინ ხშირად ვითარდება „ს“: კვერი>სკვერი; კუნელი >სკუნელი... (იხ. ალ. ლლონტი, ქტსკ, ტ. II, თბ., - 1975).

გარდა ამისა, **قط** >**სკატა** შესაძლებელია იმ შემთხვევაშიც, თუ გავიზიარებთ **ك** (ق) ბგერის გაორების (**k>sk**) ნ. მარისეულ ჰიპოთეზას: ***mark-/vark->marsk-/varsk-** (იხ. Н. Я. Март, Яфетическое происхождение армянского слова Margarey-пророк, ИАН-1909, გვ. 1156).

101. შდრ: კინვილ-ი>სკინვილ-ი>ასკინვილ-ა (იხ. ნინა შენიშენაში მითითებული ალ. ლლონტის წიგნი).

102. ფორმა „ასკატაკი“, როგორც უკვე ითქვა, დადასტურებულია „ამირანდარეჯანიანში“ (A-441, - გვ. 111v, 112r) და ზ. ფანასკერტელთან (კარაბადინი, თბ., - 1950, - გვ. 424, 26; 424, 35).

103. შდრ: აგარაკ>აგარა, ეშმაკ>ეშმა...

იქნებ ქართ. „ასკატა“ მიღებულია არაბ. „ალკატა“-დან (القطة): **ალკატა** > ***ააკატა** > **ასკატა**, მაგრამ ქართულში **ლ>ა>ს**?

104. დანარჩენი სამი ავტოგრაფული ნუსხიდან (H-416, S-2498, K-300) ორს (H-416, S-2498) აკლია ის ფურცელი, სადაც იგი შეიძლებოდა ყოფილიყო (H-416 ინყება „ბაღბალუკათი“, S-2498, - „აღფუენებათი“).

105. Q-400, ლ. ქუთათელაძით, გადანერილია 1708-1710 წწ. (ლ. ქუთათელაძე, - ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., - 1957, გვ. 41, 52), ხელნაწერთა აღწერილობით, - 1707-1716 წწ. (ხელნაწერთა აღწერილობა (Q კოლექცია), ტ. I, თბ., - 1957, გვ. 407), - გადამწერი საბას ძმა ზოსიმე.

H-95, ლ. ქუთათელაძით, გადანერილია 1715 (25. IV) - 1716 (22. III) წწ., - გადამწერი ზოსიმე (იგივე წიგნის იგივე გვერდი), ხელნაწერთა აღწერილობით, - XVIII ს. (ქართ. ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), ტ. I, თბ., - 1946, გვ. 71).

106. H-1658 გადანერილია 1715 (10. VIII) - 1716 (20. I) წწ., - თვით საბას ხელით (ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), ტ. IV,

თბ., - 1950, გვ. 78; ლ. ქუთათელაძე, ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., - 1957, გვ. 41, 52).

A-1473 გადანერილია 1719-1720 წწ. (ხელნაწერთა აღწერილობა (A კოლექცია), ტ. V, თბ., - 1955, გვ. 17; ლ. ქუთათელაძე, - ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., - 1957, გვ. 46).

A-75 გადანერილია 1721-1722 წწ., - გადამწერი ზოსიმე (ლ. ქუთათელაძე, - გვ. 42; ხელნაწ. აღწ. (A კოლექცია), ტ. I, თბ., - 1974, გვ. 261). (A-1473-ში მითითებული წყარო გადახაზულია სხვა ფერის მელნით).

H-1429 გადანერილია (ხელნაწერთა აღწერილობით) - 1725 წელს (ხელნაწერთა აღწერილობა (H კოლექცია), ტ. III, თბ., - 1948, გვ. 368), ლ. ქუთათელაძით (გვ. 42), - 1723-1725 წწ.

107. H-416-ს აკლია ის ფურცელი, სადაც შეიძლებოდა ჩინი ყოფილიყო.

108. S-2498 გადანერილია XVIII ს-ის დასაწყისში. ეს ნუსხა H-416-ის მომდევნო და K-300-ის წინ მდგომია. ტექსტი ნაწერია ორი ხელით: 1r-6v ნაწერია თვით ავტორის, - საბას მიერ, ხოლო 7r-189v ვახტანგ ბატონიშვილის, შემდეგში ვახტანგ VI-ის მიერ (ხელნაწერთა აღწერილობა (S კოლექცია), ტ. III, თბ., - 1963, გვ. 281; მ. ქავთარია, ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის უცნობი ავტოგრაფი, - ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, ტ. II, თბ., - 1960, გვ. 1-15).

H-416, ლ. ქუთათელაძის მიხედვით (ლ. ქუთათელაძე, ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის რედაქციები, თბ., - 1957, გვ. 41, 52), გადანერილია 1685-1698 წწ., ქართულ ხელნაწერთა აღწერილობით (H კოლექცია, ტ. I, თბ., - 1946, გვ. 311), - XVIII ს-ში.

K-300, ლ. ქუთათელაძით (დასახ. წიგნი, გვ. 41, 52), გადანერილია 1700... 1706 წწ.

109. Q-400-ში „აკაურს“ სხვა ხელით ახლავს რუსული განმარტება: род птицы Гусь дикий.

110. „კარაპი“, ისევე, როგორც „ჩინი“, ჩანს, ქართულშიც იხმარებოდა, რასაც მონიშნავს საბას ლექსიკონში განსამარტ ერთეულად მისი შეტანა [„კარაპი – კვიკნოჲ, ყუი“ (S-2498, K-300, Q-400, H-95), „კარაპი – სომხურია, ქართულად აკაური ჰქვიან (H-1429, A-1473, A-75, H-1658), „კარაპი-ყუი“ (H-416)]. იხ. აგრეთვე რ. ერისთავისა და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონები.
111. აქ საგანგებოდ უნდა ითქვას:

„ასპუჭაკის“ განმარტება და მისი უცხო შესატყვისნი: „ჩინუმ“ (Q-400), „ჩინუ“ (H-95), „ჩინის“ ქ. შესატყვისი „ასპუჭაკი“ (Q-400, H-95), „აკაურის“ უცხო შესატყვისნი: ბ. „კვიკნო“, ლ. „ფორფირიონემ“, ს. „კარაპი“ (K-300, Q-400, H-95), ს. „კარაპ“, „ყუი“ (A-75) საბას არ ეკუთვნის, ნასხვისარია.

საბას ავტოგრაფებში „ასპუჭაკთან“, „ჩინთან“ და „აკაურთან“ მითითებულ წყაროთა მიხედვით ირკვევა, რომ ლექსიკოგრაფს ეს სიტყვები ამოუწერია ბიბლიის სამი სხვადასხვა ნუსხიდან.

ორ მათგანს, რომელსაც საბა 1715 წლამდე იყენებდა, ჩვენამდე არ მოუღწევია.

ამ, ან დაკარგული ორიდან ერთში წერებულა „ჩინი“, მეორეში, – „ასპუჭაკი“ (II სჯულ. XIV).

ბიბლიის მესამე ნუსხა, რომლის წიგნი, თავი და მუხლი (II სჯულ. XIV, 16) მითითებულია „აკაურთან“ (A-1473), ეტყობა, საბას 1715 წლამდე არ უნახავს.

ჩემი აზრით, სწორედ ამ ფრინველთან („აკაური“) უნდა იყოს დაკავშირებული ბოლნისის რაიონში მდებარე სოფლის სახელი აკაურთა [შდრ: ყორანთა (<ყორან-ი), – სოფელი მაშავერას ხეობაშივე (XIV-XVI-XVII-XVIII სს.); – (იხ. იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, I და II, თბ., – 1935; მასალები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისა და ტოპონიმისათვის, I წიგნი, თბ., – 1964; ი. ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, თბ., – 1986);

ახლა რა ჰქვია, - ალაჰმა უწყის! - დიახ, ალაჰმა და არა ღმერთმა!].

112. **قو** **Гу, Ку** - გედი (Персидско-русский словарь, в двух томах, под редакцией Ю. А. Рубинчика, т. II, М., - 1983; Азербайджанско-русский словарь, под редакцией Г. Гусейнова, Баку - 1941; Русско-таджикский словарь, под редакцией М. С. Асимова, М., - 1985).
113. **կարափ** (ლევიტ. 11,17 სომხ. ბიბლია, ვენეცია, - 1805) - **կարաყ** (ლევიტ. 11,17. სომხ. ბიბლია, კონსტანტინეპოლი, - 1895) - **ჟირ** (II შჯულ. 14,16 სომხ. ბიბლია, ვენეცია, - 1805; სომხ. ბიბ. კონსტანტინეპოლი, - 1895) - **κῦκνος** (II შჯულ. 14,16. Septuaginta, edidit Alfred Rahlfs, Stuttgart) - **cygnum** (II შჯულ. 14,16. ლათ. ვულგატა, Brian Walton, Biblia sacra polyglotta, ტ. I, 1963, Graz-Austria) - **აკაური** (II შჯულ. 14,16. A-51, H-1207).

կარაփ, **S.կარაყ** (შირ բառգիրք Հայկազեան լեզուի. ორ ტომად, Ի.Վենետիկ-1836).

կარაყ - გედი (Армяно-русский словарь, составленный по лексикону изданному в Венеций и умноженный вновь введенными словами Александром Худобашевым. М., - 1838, ტ. I).

ჟირ (გვ. 475)**ჟირ** (გვ. 340) - **կარაყ** - გედი (А. Худоб. ტ. II).

κῦκνος **ó** - გედი (И. Х. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, т. I, М., - 1958).

porphyrio, ónis (<ბერძ. πορφύριον, ὄνος) - წითელი მელოტა (*Fulica porphyrio* L.) - (И. Х. Дворецкий, латинско-русский словарь, М., - 1986; Древнегреческо-русский словарь, т. II, М., - 1958).

cigno [*cygnum* (II სჯულ. XIV-16)] - გედი (Н. А. Скворцова, Б. Н. Майзель, Итальянско-русский словарь, М., - 1977)

114. დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლილი ქუთათელაძემ, თბ., - 1967, გვ. 100; ლ. ქუთათელაძე, იოანე ბაგრატიონის „ქართული ლექსიკონი“, თბ., - 1975, გვ. 133.
115. მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი: მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებებიდან. შედგენილი. თ. რაფ. დავ. ერისთოვისაგან, Тифлисъ - 1884, გვ. 111, §5.
116. საუნჯე ქართულისა ენისა, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ხელახლად შემუშავებული დ. ჩუბინოვისაგან, - С.-П.-1887.
117. „ჩინი“, რ. ერისთავის მიხედვით, ქართულია [ჩინი (рыз.) - (დასახ. ლექსიკონი, იგივე გვერდი, იგივე პარაგრაფი), საბათი „სხვათა ენაა“. იგი სხვა არაფერია, თუ არ სმენით აღქმული, იტალიურად ნაკითხული (ნაბერძნულევი) *cýeni* [ბერძ. *κῦνος* >ლათ. *cýnus* (*cýni*)/*cýgnus* (*cýgni*), იტალ. *cigno* - „გედი“].
118. დ. ჩუბინაშვილი, ზემოთ დასახელებული ლექსიკონი, С.-П.-1887.
119. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბ., - 1961.
120. ამგვარი სიტყვა („კლევი“) მე თურქულში ჯერ ვერსად ვნახე.
121. დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, თბ. - 1967, გვ. 100.
122. დ. ჩუბინაშვილის ორივე ლექსიკონი; С.-П.-1840, С.П.-1887.
123. ნ. ჩუბინაშვილი, დასახ. ლექსიკონი.
124. დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი, С.П.-1840.
125. დ. ჩუბინაშვილის ორივე ლექსიკონი.
126. საბას ლექსიკონში წერია არა „ასიდა“, არამედ „ასიდამა“, რაც არაა სწორი; ასიდამა ასიდას მოთხრობითი ფორმაა (ნარის გარეშე): ასიდამან >ასიდამა [„და ასიდამან ცათა შინა ცნა ჟამი თჳსი“ (იერემ. 8,7, - A-51)].

საბას გავლენით „ასიდამას“ წერს რაფ. ერისთავიც.

„ასიდამას“ საბასეულ განმარტებას, - თავისი წყაროთი, - იმეორებს ორივე ჩუბინაშვილი (ნიკოცა და დავითიცი), ოღონდ

მათთან წერია არა „ასიღამა“, არამედ ამ სიტყვის სწორი ფორმა: „ასიღა“.

რ. ერისთავით „ასიღამას“ ლათ. ნომენკლატურაა *Caprimulgus Europæus Linn.*, რუს. შესატყვისი, **лилокъ** (ამჟამად **лилок**-ის ქართ. ფარდია „უფეხურა“).

ნ. ჩუბინაშვილი „ასიღას“ განმარტებისას შენიშნავს „ზოგჯან ყარყატი სწერია“

ამ შენიშვნას იმეორებს დ. ჩუბინაშვილიც.

ნ. ჩუბინაშვილთან „ასიღას“ რუს. შესატყვისად დასახელებულია **еродия**, დ. ჩუბინაშვილთან (**еродия**-ს გარდა), – **цапля** და **лилокъ** (ეს უკანასკნელი, – რ. ერისთავის ლექსიკონზე მითითებით).

ქართული ბიბლიისეული „ასიღას“ ადგილას (იერემ. 8,7 – მცხეთური ხელნაწერი (A-51), ბაქარის ბიბლია; იობ. 39,13, – ბაქარის ბიბლია) ებრაულშია **לַיְלָא**, ბერძნულში, – **ἀσίδα**, სომხურში, – **Արագիլ** (იერემ. 8,7, – სომხ. ბიბ. კონსტანტინეპოლი – 1884), **արაჰილ** (იერემ. 8,7, – სომხ. ბიბ. კონსტანტინეპოლი – 1895; სქოლიო: ებრ. არაგილ). **אֶרְאִי** (იობ. 39,13), სლავურში, – **ѠаѡѠа** (იერემ. 8,7, – სლავ. ბიბ., С.-П.-1872; სქოლიო: ბერძ. **ἀσίδα**), რუსულში, – **аист** (იერემ. 8,7, – რუს. ბიბ. С.-П.-1889; რუს. ბიბ. М., – 1983), გერმანულში, – **Storch** (იერემ. 8,7, – ლუთერის ბიბ., ჰალე – 1899); – [ბაქარის ბიბლიაში (იობ. 39,13) შეცდომით დაბეჭდილია „ასა და დანესსა“ (ასევეა ტფილისის ბიბლიაში, – 1884): უნდა იყოს: „ასიღა და ნესა“ (შდრ: ბერძ. **ἀσίδα και νεσσα**“, სომხ. **արაჰილ Ե նեսայն**)].

לַיְלָא – ყარყატი (Еврейско-русский карманный словарь. Соч. Бениуда, Вильна-1909; Иврит-русский словарь, составил Ф. Л. Шапиро, М., – 1963).

ἀσίδα (<ებრ. ხასიღა) – ყარყატი.

Արագիլ – ყარყატი (ხუდაბაშევი).

არაჰინ, ფიქრობენ, მიღებულია ზნდ. *airyā saēna*-დან, არ+აჰინ; არ – „მთა“, აჰინ (<saēna)– „არწივი“ ან „ქორი“; არაჰინ – „მთის ქორი“ ან „მთის არწივი“ (იხ. ჯრ.Աճառյան. Հայերեն արմատական բառարան. հ.1. Երեւան-1971)

ააჰიդ– იხ. არაჰილ

Еродия – ყარყატი, აკურთ, ინი. иапля (ნ. ჩუბ. რუს.-ქართ. ლექსიკონი, ტ. I, თბ., – 1971).

Айст – ყარყატი (რუს.-ქართ. ლექსიკონი, თბ., – 1983).

Storch – ყარყატი (*Ciconia Briss*) – (Немецко-русский словарь, под редакцией А. А. Лепинга и Н. П. Страховой, т. II, М., – 1962).

ასე, რომ საბასეული განმარტება „ასიდასი“ („ასიღამა – მიმიწოს ჰგავს, ღამით ხედავს, ღამურას უწმობენ“), რასაც იმეორებენ რ. ერისთავი და ჩუბინაშვილები, სწორი არაა.

127. ყველა, ყველა, მაგარამ „ყრუნი“ საიდან?! როცა ორივე ჩუბინაშვილმა შესანიშნავად იცის, რომ იგი სინონიმია „შურთხისა“: „შურთხი (მფრ.) ყრუნი, ქარქაბი“ (ნ. ჩუბ.); „შურთხი – ყრუნი, горная индейка“ (დ. ჩუბ.).
128. გაუგებარია, საიდან გამოატყვერინა ლექსიკოგრაფმა აქ დასახელებული მუხლი (5), ვინაიდან არცერთენოვან ბიბლიაში II შჯულის XIV თავის მე-5 მუხლში არავითარი ფრინველი არ წერია (იქ ჩამოთვლილია მძოვნელი ცხოველები).
129. დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონი, С.-П. – 1840.
130. რ. ერისთავი, დასახ. ლექსიკონი, Тиф. – 1884.
131. დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, С.-П. – 1887.
132. „ასპუჭაკი“, როგორც ფრინველის სახელწოდება არის სომხურშიც (Ասպուճակ).

იქ მას აქვს ორი მნიშვნელობა: *Luscinia Philomela* („სამხრული (იგივე დასავლური“) ბუღბული“) და *Erithacus* („გულწითელა“); – (Ստ.Մախասեսանց. Հայերեն արմատական բառարան, ტ. I, Երեւան-1944).

აჭარიანთან იგი ბულბულის ერთი სახეობაა: „მქი თხსასკ სიქასკ.. (Հր. Աճառյան. Հայերեն արմատական բառարան. ტ. I, Երեւան – 1971).

ფილიპე ოქროპირის აზრით, „ასპუჭაკ“-ი ბერძნული სიტყვაა: „յմ. մի բառ,, (ნირ բաიգիլը Հայկազեան լեզուի. ტ. I, Ի.Վենեսիկ-1836).

133. იხ. კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. I, თბ., – 1951, გვ. 393,394; მცხეთური ხელნაწერი, ელ. დოჩანაშვილის გამოცემა, თბ., – 1981, გვ. 13,14;

ამ საკითხზე სავსებით მართებულად შენიშნავს ელ. დოჩანაშვილი: „მოუხედავად იმისა, რომ ასე მრავალრიცხოვანია იმ მკვლევართა წრე, რომელთაც აზრი აქვთ გამოთქმული, როგორც წესი ზოგადად, ქართული ბიბლიის თარგმნის წარმომავლობის საკითხზე, არ შეიძლება ითქვას, რომ მათ ასეთი განზოგადებებისათვის მოეპოვებოდეთ სათანადო მასალა. ჩვეულებრივ მკვლევარნი ემყარებოდნენ ან აპრიორულ მოსაზრებებს, ანდა ალაგ-ალაგ გამოვლენილ ტექსტობრივ სიახლოვეს, „ბერძნიზმებსა“ თუ „არმენიზმებს“...

საქმე იმაშია, რომ იმ მეტად რთული ისტორიის გამო, რომელიც ბიბლიის ძველ ქართულ ვერსიებს აქვს გამოვლილი, ძნელია, თუ შეუძლებელი არა, ბიბლიის ამა თუ იმ წიგნში გამოვლენილი ბერძნიზმებისა და არმენიზმების მიხედვით მსჯელობა საერთოდ მთელი ქართული ბიბლიის წარმომავლობის შესახებ. რედაქციულ კვლევასთან ერთად უფრო ეფექტური ჩანს ასეთი შედარება უცხოენოვან ტექსტებთან ცალკეული ბიბლიური წიგნების ფარგლებში“ (მცხეთური ხელნაწერი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბ., – 1981, გვ. 14).

134. იმ განმარტების მიხედვით, როგორც იგი განმარტებულია XIX-XX სს-ის სომხურ ლექსიკოგრაფიაში.

135. რაც, თავის მხრივ, რა თქმა უნდა, სწორი არაა; აქ უნდა ყოფილიყო არა „ასპუჭაკი“, არამედ სიქასკ-ის მეორე მნიშვნელობის

(porphyrio) ქართული შესატყვისი [ძველ სომხურში სიქასკ ორი მნიშვნელობისა: 1. **Porphyrio**, 2. **Luscinia** (შირ რაიდიჩე ჯაკსადესან ქედი. ონესიქ - 1836; H. Hübschmann, Armenische grammatik, Leipzig – 1895-1897, გვ. 238; (სთ.საქასანე, ჯაქენნ რაგათრასკან რაიარან რესკან–1944, ხ. IV, ჯრ.ანაიქან..ჯაქენნ არმასთასკან რაიარან, რესკან – 1979, ჯ. IV, გვ. 239), ახალში სახელია მხოლოდ „ბულბულია“ (Luscinia) – (ჯაქ–ნიუსენნ რაიარან რესკან–1960)]; ძანანასკსიქ ჯაქიგ ქედიქ რაგათრასკან რაიარან, რესკან–1980, ხ.IV . ჯაქ–ნიუსენნ რაიარან, რესკან–1984)], თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამგვარი ე. წ. კალირება იშვიათი როდია საერთოდ თარგმნისა და კერძოდ ბიბლიის თარგმნის პრაქტიკაში; მაგალითად, ბერძ. **στρομφιον**, რომელსაც ბერძნულში აქვს სამი მნიშვნელობა (სირაქლემი, ფრინველი, ბელურა) სლავურად უთარგმნიათ, როგორც **вранья**, მაშინ, როდესაც დედანში ეს **στρομφιον** აღნიშნავს „სირაქლემს“ და არა „ბელურას“. (არაერთი მსგავსი მაგალითის მოყვანა შეიძლება ბიბლიის სხვაენოვანი ვერსიებიდანაც).

მაგრამ...

იქნებ, „ასპუჭაკი“ უძველეს ქართულში ისევე ორი მნიშვნელობისა იყო, როგორც სომხურში სიქასკ?! (თანამედროვე სომხურში სიქასკ-იც ხომ ერთი მნიშვნელობისა?!).

იქნებ, „ასპუჭაკი“ (*porphyrio*) ნანარმოებია სიტყვიდან „ასპურ“ (ასპურ>ასპუჯ>ასპუჭ>ასპუჭაკ) და ფონეტიკურად ემთხვევა სრულიად სხვა ძირიდან ნანარმოებ „ასპუჭაკ“ – **Luscinia**-ს?!

აქ შეუძლებელი არა არის რა, მით უფრო, თუ გავიხსენებთ ზანურისა და სომხურის ზიარ ფონეტიკურ ზნეს [რ, n > ჯ, ჟ – სიტყვის ბოლოში (იხ. Гр. Капанцян, О взаимоотношений армянского и лазо-мегрелского языков, Ереван-1952,

გვ. 11-13]] და, რაც მთავარია, ამას: **Porphyrion** <porpura – „ნიურნი“, „ალისფერი“.

[თ. **aspur** – 1. ალისარჩული; 2. მუქი ნითელი (Турецко-русский словарь, М., – 1977). ს. **ասպուր**/**ասպուր** – ალისარჩული (Հայ-ռուսերեն բառարան, Երեւան–1984)].

აქვე, აუცილებლად მიმაჩნია, დავსძინო:

ასპურ > ასპუჯ დასაშვებია მხოლოდ ზანურში, სომხურში **n > ɟ**, ლაფანციანის დაკვირვებით, მხოლოდ ფუძე-ორმაგ სიტყვებს ახასიათებს და ისიც თანამედროვე ენაში (Гр. **Καπασιαν**, დასახ. ნიგნი, გვ. იგივე).

136. სიტყვაში „ბურქ“-ი „ჩ“ ბგერასთან განვითარებულია „ქ“; *ბუნ (>ბუნე-ი) იგივეა, რაც „ბურქ“-ი [„ბუნეი – დაბალი ჩირგვი (საბა)]; ბურქნარი/ბუნენარი.

137. *ბუჭ-იდან ნანარმოებია სიტყვა ბუჭ-ულ-ა, *პუჭ-იდან, – პუჭ-ურ-ა; *ბუჭ/*პუჭ-ის ფონეტიკური ვარიანტებია (ქართულში): ბიჭი, ნაბიჭი („ნამცვეცი“), ბაჭია („კურდღლის შვილი“), ბუჩინა („ზაქი წლამდე“), ბუჩული („ხურდა, წერილი ფული“), ბაჩა, ბაჩაკი (პატარა ტანის საქონელი), ბაჩანა, ბაჩუა („ტანმორჩილი კაცი“), ბუში („ნაყარი, ამონაზარდი“)... სომხურში, – մծիղ. մծիլիկ. մծիլիկ („კოლო“, „ქინელა“), საბასეული პიჭელ (სომხ. შესატყვისი ქართ. ბუჭულა-სი)...

*ბუჭ-/*პუჭ- უდევს საფუძვლად ადამიანის საკუთარ სახელებს: ბიჭია, ბუჭა, ბუჭია, ბუჭულა, ბიჭიკა, ბუჭუკა, ბუჭუტა, ბიჭური... (სემანტიკისათვის შდრ: პატარ, პატარიკ და სხვ.).

*ბუჭ-/ბიჭ – უეჭველად კავშირშია სპ. ბაჩესთან (baç) – „ბავშვი“, და აზერბაიჯ. ბეჩესთან (Beçə), რაც იქ „ბავშვის“ გარდა, ნიშნავს აგრეთვე „ფუტკრის ნაყარს“, „ყვინჩილას“, „ყლორტს“.

რაც მთავარია, ყოველი აქ ჩამოთვლილი სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობაა „პატარა“; სხვათა შორის „პატარას“

ნიშნავს თვით „ბუჩქი“; მეტიც: თვითონ სიტყვა „პატარა“ ფონეტიკური ვარიანტია „პუჭურა“-სი (*პოჭორ = პატარ.).

სიტყვა „ბიჭი“ (ყველა თავისი ფონეტიკური ვარიანტით), ივ. ჯავახიშვილის აზრით, ჭაკვა/ჭიკვა/ჩეკა ზმნისაგან ნაწარმოები მიმღეობაა (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფ. – 1937, გვ. 212-214).

138. აქ თავკიდური „ა“ სიტყვისაწარმოებელი ხმოვანთავსართია.
139. „პ“ ბგერის წინ „ს“ ბგერის განვითარება ჩვეულებრივი ფონეტიკური მოვლენაა ქართულში (შდრ: პილო>სპილო, პილენძი>სპილენძი და სხვ...).
140. სემანტიკისათვის შდრ: „პუჭკური“ (<პუჭურ) – [აჟინიურ – პატარა, პანია (Հայ-ռուսերեն բառարան. Երեւան–1984); პუჭკურ-ი – (გურ.) მწერი, მეტად წვრილი მწერი (ქოსკ., – თბ., – 1984)] და სხვ.
141. ჭინჭარქა, რომ ნამდვილად ჭინჭარ-იდან ნაწარმოები სიტყვაა, ამაზე მეტყველებენ მისი სინონიმებიც: გურ. ჭინჭალა-ი, მეგრ. ჭინჭა; ჭინჭარ>*ჭინჭარა>ჭინჭალა>ჭინჭა.
142. ПСС, ტ. VI, გვ. 332, 661.
143. სმა მოამბე, XLVII, № 2, აგვისტო 1967, გვ. 502.

ღრედი

„ღრედი“ არის საბას ლექსიკონის ყველა ავტოგრაფში; ოთხ მათგანში (Q-400, H-95, S-2498, K-300) უზის მხოლოდ ფრინველის ნიშანი (ყოველგვარი სიტყვიერი განმარტების გარეშე), ოთხში (H-1658, A-1473, A-75, H-1429), – ფრ. ნიშანთან ერთად, ახლავს სინონიმი „ობარა“, ერთში (H-416). – (სადაც იგი წარმოდგენილია ფრ. ნიშნისა და სინონიმის გარეშე) მითითებულია წყარო „აიასოფიას გება: „მინოპოლი, რომელი გამოითარგმანების ღრედის მართვე“ (ამ ავტოგრაფში „ღრედიც“, წყაროც და ციტატაც ჩანერილია სხვა ხელნათა და სხვა მელნით)!

„ობარაც“, როგორც განსამარტი ერთეული, ყველა ავტოგრაფშია; ხუთში (H-416, Q-400, H-95, S-2498, K-300) უზის მხოლოდ ფრ. ნიშანი და უცხო შესატყვისი (ჰობარა), ორში (A-75, H-1429) ასეა განმარტებული: „სპარსთა² ენაა, ქართულად ღრედი ჰქვიან“. დანარჩენ ორში (A-1473, H-1658) არსებული „ობარას“ განმარტება ამ ორისეულის (A-75, H-1429) განმარტებისაგან განსხვავდება, პირველისა (A-1473), მხოლოდ სიტყვით „ჰქვია“ (ნაცვლად „ჰქვიან“-ისა), მეორისა (H-1658), – სიტყვით „სპარსთ“ (ნაცვლად „სპარსთა“-სი).

საბას ლექსიკონის არავტოგრაფული ნუსხებიდან „ღრედის“ განმარტება ყურადღებას იქცევს A-23-ე ნუსხაში: „ღრედი – ობარა. მომცრო სავათს ჰგავს“. (ეს ნუსხა გადანერილია 1875 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის მეოთხე კლასის მოსწავლეთაგან, ხელმძღვანელობის ქვეშ ნიკოლოზ გაბრიელის ძის ტატიშვილისა).

იოანე ბაგრატიონი „ღრედის“ საბასეულ განმარტებას: „ღრედი-ობარა“, უმატებს: „ზღვის ბატი“³.

„ზღვის ბატად“ განმარტავს იგი საბასეულ „გედსაც“, რომელსაც საბასთან მხოლოდ ფრ. ნიშანი უზის⁴.

დ. ჩუბინაშვილთან (ქართულ-რუსულ-ძრანციკული ლექსიკონი, СПб-1840) „ღრედის“ განმარტება ამგვარია: „ღრედი, s. n. название птицы, nom d'oiseau“.

მისსავე, 1887 წელს გამოცემულ ქართულ-რუსულ ლექსიკონში წერია: „ღრედი, – მფრინველია, ობარა, ბუნ. ლ“; „ობარა, – მფრ. ღრედი“.

რ. ერისთავი (მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი, ტფ., – 1884) ღრედთან უთითებს ობარას („იხილე ობარა“), ობარასთან წერს: „ღრედი (მფრინველია)“.

ლექსიკონთა გარდა, „ღრედი“ ნახსენებია „ქილილა და დამანას“ საბასეულ ვერსიაში (A-31) და H-416-ში მითითებულ „აიასოფიას გებაში“, ღრედის მინამგვანი სიტყვა „ღრლედი“, – ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲ“-ს, როგორც უძველეს, ასევე გ. მთანშიდლისეულ თარგმანში და იოანე მოსხის „ლიმონარში“;

„შაირი:

თუცა დრო მოგვცეს სფერომა სვებედნიერის ბედისა,
მტერთაგან შური ვიძიოთ უსასო-უიმედისა.

ჩუენ თავი მათი შევბუსროთ, ვით ბრძენმა ენა ყბედისა,
და ჩუენი სახელი გაითუქას, ვით ქვა სისხლთათვს ღრედისა“. („ქილილა და დამანა“, – საბასეული ვერსია (S-31), გვ. 202).

საბასეული ვერსიის ორ ვარიანტში (H-2183, – 78v, S-34, – 154v.) „ღრედს“ თავზე აზის პანია წრე და არშიაზე წრითურთ გატანილი „ღრედი“ განმარტებულია ასე: „ღრედი არს მფრინველი რომელიმე ენოდების ობარა. დავით“ [S-34-ში, H-2183-საგან განსხვავებით, სიტყვა „არს“ ასონაკლულია (აკლია „ს“), ხოლო „რომელიმე“ წერია ქარაგმით „რლიმე“].

H-989-ში ნაცვლად სიტყვებისა „არს მფრინველი“, წერია „მფრინველია“; „დავითი“ წერია ქარაგმით: „დი“ (131v)⁵.

H-387-ში ნაცვლად „ღრედისა“ წერია „ღერდი“; ეს სიტყვა (იგივე განმარტებით) გატანილია არშიაზე: არ უწერია განმარტების ავტორი (გვ. 155).

S-2887-სა და S-32-ში შაირის ბოლო სიტყვები არ შეიცავენ ემფატიკურ „ა“-ს (აქ წერია: ბედის, უიმედის, ყბედის, ღრედის); არშიაზე „ღრედის“ განმარტება არაა (S-2887, – 67v, S-32, – 289r.).

„ღრედი“ განმარტების გარეშე აგრეთვე ნუსხებში: S-3183, – 180v., Q-982, – გვ. 220, S-5004, – გვ. 183 და სხვ.

„ქილილა და დამანას“ საბასეული ვერსია ბექდურად გამოცემულია ოთხჯერ;

პირველ და მესამე გამოცემებს დართულ ლექსიკონებში ეს სიტყვა შეტანილი არაა⁶ [პირველი გამოცემის ტექსტში დაბეჭდილია „ღრღღისა“, სქოლიოში, ვითარცა ვარიანტი, ჩატანილია „ღრედისა“ (გვ. 320)].

მეორე გამოცემას დართულ ლექსიკონში გამომცემელნი დაჯერებულან „ღრედის“ საბასეულ განმარტებას: „ღრედი 337,7. ობარა (ფრინ.)“⁷.

მეოთხე გამოცემის ლექსიკონში მხოლოდ ისაა აღნიშნული, რომ „ღრედი“ ფრინველია: „ღრედი 625,11 (ფრინ.)“⁸.

ვახტანგისეულ ვერსიაში ამ ლექსის ადგილას წერია პწკარედი, რომელშიც (ისევე, როგორც ორიგინალში) არც „ღრედია“, არც „ღერედი“:

„ლექსი: თუცა მბრუნავის ჩალხისაგან დრო მოგვეცეს,
ვითხოვოთ ჩვენ შური იმ ავ ბუნებათაგან,
ასე დავნაყოთ იმათი თავი ომითა,
დარჩეს ჩენი სახელი მეორედ მოსვლამდე“

(„ქილილა და დამანას“ ვახტანგისეული ვერსია (Rt-II-№20, – გვ. 466).

ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთა“-ს უძველესი თარგმანის ერთ ნუსხაში წერია „ღრღღედი“, მეორეში, – „ღერღღედი“:

1. „ღრღღეთა მათ ამხილეს... და განაცხადეს საქმე მათი“ (№44).
2. „ღერღღეთა ამხილეს... და განაცხადეს საქმე მათი (№74)⁹.

გიორგი მთანშიდლისეულ თარგმანში (XI ს.), რომელიც 1947 წელს კრიტიკულად გამოსცა მიხეილ კახაძემ, წერია: „ვითარ მღვიძარე არს ნათესავი იგი ღრღღეთაჲ... რომელთა იგი როსმე განარინეს ქალაქი სამეუფოჲ ჰრომე“¹⁰.

იოანე მოსხის „ლიმონარში“ ვკითხულობთ: „და იყენეს ადგილსა მას ღრღედნი“¹¹ და გარე-მოადგეს მას და ინყეს კმობად“.

„აიასოფიას გების“ იმ ხელნაწერებში, რომელნიც მე ვნახე (A-691, A-70, S-3345), ნაცვლად H-416-ისეული „მინოპოლი-სა, ერთში (A-691, -22r.) წერია „შინოპილო“, სხვებში (A-70, 186v., S-3345, -2v.), „შინოპოლო“.

რაიცა შეეხება „ღრღედს“ („ღრღედის მართვეს“) იგი სამივეშია, ოლონდ A-70-სა და A-691-ში წერია „მართუე“ და არა „მართვე“.

მაშასადამე ლექსიკონთა და ტექსტთა მიხედვით, „ღრღედის“ უცხო შესატყვისია „ჰობარა“, „ღრღედის მართვესი“, – „მინოპოლი“/„შინოპილო“/„შინოპოლო“.

იოანე ბაგრატიონით: ღრღედი „ზღვის ბატია“;

A-23 წუხსის მიხედვით: იგი სავათის სახეობაა („ღრღედი – ობარა. მომცრო სავათს ჰგავს“);

თუ „ღრღედის“ მონათესავე სიტყვად მივიჩნევთ „ღრღედს“, რომელიც წერია „ექუსთა დლეთაჲ“-ს უძველესი თარგმანის ერთ წუხს-აში (№44), გ. მთანმიდლის თარგმანში და „ლიმონარში“, მაშინ იგი (ეს „ღრღედი“) იგივეა, რაც „ღერღედი“ („ბატი, ვინაიდან „ექუსთა დლეთაჲ“-ს უძველესი თარგმანის სხვა წუხსაში (№74), როგორც უკვე ითქვა, ამ „ღრღედის“ ადგილას წერია „ღერღედი“, ხოლო გ. მთანმიდლის ერთი წუხსის (A/73) არშიაზე (ესეც უკვე ითქვა) „ღრღედის“ გასწვრივ მიწერილია „ღრღედი ბატსა ჰქვიან“.

„ღრღედის“ რაობა, რომ კიდევ უფრო ნათელი გახდეს, უნდა გავარკვიოთ რას ნიშნავს სპარსულში „ჰობარა“/„ჰუბარა“¹² და ბერძნულში „მინოპოლი“/„შინოპილო“/„შინოპოლო“ (ვინაიდან „აიასოფიას გება“, როგორც ვიცით, თარგმნილია ბერძნულიდან);

هوباره (ჰუბარე) – ერთგვარი ფრინველია, რომელსაც არა-ბულად حبارا (ჰუბარა) ჰქვია, თურქულად, – توغدارى (თუღდარი)¹³ (ბორჰან-ე ყაჰე – გვ. 2386)¹⁴.

არაბ. *حباري* (ჰუბარა) – სპ. *جوز* (ჯარზ)¹⁵ – otis, tarda
(ვულერსი)¹⁶

hуbара-дрофа (აზიზბეკოვი)¹⁷

هوברה (ჰუბარე) – *джек-вихляй* (რუბინჩიკი)¹⁸.

სპ. **ობარა** (*hobara*), რუს. бегунец – Otis houbara
Gml. (რადე)¹⁹.

ფრანგ. **houbara** – Otis houbara, – სავათის გვარი (სამენ-
ოვანი)²⁰.

ე. ი. ქართ. ღრედი/ობარა, არაბ. ჰუბარა, თურქ. თუღდარი/
თუღდარ, სპ. ჰუბარე/ჩარზ/ჯარზ ნიშნავს ერთსა და იმავე ფრინ-
ველს, რომლის ლათ. ნომენკლატურაა Chlamydotis undulata, იგივე
Otis undulata, Otis macqueeni, Otis houbara, Houbara un-
dulata, Houbara macqueeni (რუს. джек/бегунец/восточный
вихляй/дрофа-красотка/красавчик/цветной дудак)²².

ბერძნულში (არც ძველში, არც საშუალოში, არც ახალში) სიტყვე-
ბი „მინოპოლი“/„შინოპილო“/„შინოპოლო“ არ არსებობს (არა-
და, ესენი თუ სადმეა საგულვებელი, უპირველეს ყოვლისა, იქ; „აი-
ასოფიას გება“ ხომ ბერძნულიდანაა თარგმნილი?!).

„აიასოფიას გების“ ბერძნულ ორიგინალში, ამ სიტყვების ადგილ-
ას წერია *χηνοπύλιν* („ხენოპულე“).

რაა ეს „ხენოპულე“?!

χηνοπύλιν ნიშნავს „ბატის, ღერღედის მართვეს“, (*χην*,
χηνο, *ό*, *ή* – ბატი²⁴; *πύλιν* (<ლათ. pullus) – ბარტყი, მარ-
თვე)²⁵.

მამასადამე, ქართული „აიასოფიას გების“ „მინოპოლი“/„შინო-
პილო“/„შინოპოლო“ გადამწერთა მიერ დამახინჯებული „ხენოპუ-
ლე“-ა და აქ „ღრედი“ ნიშნავს „ბატს“, „ღერღედს“.

კი, მაგრამ „სავათის სახეობასა“ და „ბატს“ ერთი სახელი?!

ამაში უცნაური არაფერია, არაერთ ენაში არაერთი მაგალითი
არსებობს იმისა, რომ ერთი სიტყვა ჰქვია სხვადასხვა ფრინველს;

მეტიც, მაგალითად სპარსულში **اچاچ** („ჩელჩელე“) ეწოდება მერცხ-
აღსაც და კუსაც²⁶.

ეს კია შესაძლებელი, მაგრამ რატომ მოხდა ეს?!

აი, რატომ:

თავდაპირველი სახე იმ „ღრედისა“ („ბატის“ სინონიმი როა) არის
*ღარღად²⁷ (ღარ/ღრ ხმიანობაა):

*ღარღად > ლერღედ > ღრღედ > ღრედ-ი²⁹.

რაიცა შეეხება „ღრედს“, რომელიც „სავათის“ (უფრო ზუსტად:
„ჰუბარას“) ერთერთი სახეობა თუ სახესხვაობაა, მისი საქმე ასეა:

ერენბერგით „ჰუბარას“ არაბულად ჰქვია აგრეთვე Raad (ამის
შესახებ ერენბერგი წერს, „ჰუბარას“ ეს სახელი (Raad) ალბათ იმიტ-
ომ დაერქვა, რომ ფრენისას იგი გამოსცემს ხმას, რომელიც უღერს,
როგორც „რაა, რაა, რაა“³⁰.

ერენბერგის Raad-ის დოზისეული დაწერილობაა **اچ** („რაყდ“), გან-
მარტება: „اچ – პატარა სავათი, სარსარაკი, კართაგენული ქათა-
მი“³¹.

ეს არაბული „რაყდ“ „ჰუბარას“ ერთერთი სახესხვაობის სახელ-
წოდებად შესულია ფრანგულში (Rhaad)³².

„რაყდ“ ქართველის ყურმა აღიქვა, როგორც „რად“, ხოლო
შემდგომ:

რად > რედ³³ > ღრედ-ი³⁴.

მაშასადამე, ქართულში ისტორიულად „ღრედი“ ნიშნავს „ბატ-
საც“ და „სავათსაც“³⁵ [უფრო ზუსტად: სავათის ერთერთი სახე-
ობის (ჰუბარა) სახესხვაობას].

მისი ლათ. ნომენკლატურაა, ერთ შემთხვევაში, – Anser, მეორე-
ში, – Otis (Otis undulata)³⁶.

ამჟამად, რაკილა ქართულში Anser-ის სახელად გვაქვს „ბატი“
(ძველქართ. „ღერღედი“/„ღრედი“), ხოლო ქართული სახელი Otis
undulata-სი აქამდე დეკარგული იყო (სპეციალურ ლიტერატურაში
იგი თვითნაკეთი „ბაჯბაჯა სავათის“ სახელითაა ცნობილი)³⁷, ამი-
ტომ, თარგმანსა და სპეც.-ლიტერატურაში მაინც, „ღრედი“ უნდა
აღდგეს Otis undulata-ს (რუს. **вихляй**) ქართულ შესატყვისად (მით

უმეტეს, რომ ეს ისტორიულადაც ასე იყო), ლექსიკონებში კი ამერიკიდან იგი უნდა განიმარტოს ასე:

- ლრედ-ი – 1. იგივეა, რაც ლერლუდი, ბატი (Anser);
2. სავათის ერთერთი სახეობის (ჰუბზრა) სახესხვაობა (Otis undulata).

შენიშვნები

1. თუ ეს წყარო და ციტატა, H-416-ში მომდევნო ნუსხების (S-2498, K-300) გადანერამდეა შეტანილი (რაც საეჭვოა), მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ საბამ იგი უადგილოდ მიიჩნია და ამიტომ არ შეიტანა მომდევნო ნუსხებში.
2. აქ საჭიროა შევნიშნო: „XI ს. შუანლებიდან, ზოგადი თვალსაზრისით, „სპარსეთი“ მოიცავდა და გულისხმობდა ყველა მაჰმადიანურ ქვეყანას; „სპარსი“ კი ენოდებოდა ყველა მაჰმადიანს: არაბს, თურქს, ხვარაზმელს“ (არისტაკეს ლასტივერტეცი, ისტორია, თბ., – 1974, გვ – 36).
ეს შენიშვნა იმიტომ გვაკეთე, რომ „ჰობარა“ (<ჰუბარა), – უცხო შესატყვისი „ლრედისა“, საკუთრივ არაბული სიტყვაა (როგორც მკითხველი ამაში თავის ადგილას დარწმუნდება) და არა სპარსული ან თურქული.
3. დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლილი ქუთათელაძემ, თბ., – 1967, გვ. 215. აქვე, ამავე გვერდზე ცალკე განსამარტ ერთეულად (ერცელი განმარტებით) შეტანილია „ლრედიობი“, რომელიც, ჩემი აზრით, იგივეა, რაც „ლრედი“ [მდრ: „მლამი“/„მლამიობი“; პირველი ოშკის ბიბლიაშია, მეორე, – მცხეთისა და ბაქარის ბიბლიებში (ლუვიტ. 11, 19)].
4. დასახელებული წიგნი, გვ. 187.

5. ამ ნუსხაში (ისევე, როგორც H-2183-სა და S-34-ში) არშიაზე გატანილი „ღრედის“ განმარტების ავტორის სახელის („დავით“) პირველი ასო ასომთავრულია (წ).
6. იხ. ქილილა და დამანა, სპარსულისაგან ქართულად ნათარგმანები მეფისა ვახტანგისაგან. თ. გრ. გურიელის გამოცემა, ილია ჭყონიას რედაქციით, ტფილისი - 1886; სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. I; II; ალ. ბარამიძისა და ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., - 1962.
7. იხ. ქილილა და დამანა, იგავ-არაკები, ქართულად გადმოღებული ვახტანგ VI-ისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ, ალ. ბარამიძისა და პ. ინგოროყვას რედაქციით, თბ., - 1949.
8. იხ. ქილილა და დამანა, სპარსულიდან თარგმნილი მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ. ტექსტი დაადგინა, შესავალი, კომენტარები და ლექსიკონი დაურთო მაგალი თოდუამ, თბ., 1975.
9. №44, - XII-XIII სს., №74, - XIII-XVI სს. - ორივე ნუსხა დათარიღებულია რ. ბლეიკის მიერ (უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს, - X-XIII სს.-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., - 1964, გვ. 26; 119,8, - ტექსტი და სქოლიო - 2).
10. საქართველოს სახელმწიფო ბუნებულის ხელნაწერი A/73, - XI ს. და იმავე ბუნებულის ხელნაწერი A-55, - XII ს.; A/73-ში, გამომცემლის ცნობით, ამ „ღრედითაჲ“-ს გასწვრივ, მარცხენა არშიაზე მინერილია მხედრულად: „[ღ]რლდი ბატ[სა] ჰქვიან. ნიკოლოზ... ნელი“ (ფრჩხილებში ჩასმული ასოები ჩამოჭრილია) - (ბასილი დიდი, „ექუსთა დღეთაჲ, გიორგი მთაწმიდლის თარგმანი, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ; - „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის (25), თბილისი, - 1947, გვ. 100_{12, 13}; სქოლიო - 1. და გვ. 01,02).

11. გამომცემლის მიერ ეს „ღრღენი“ აღდგენილია, როგორც „ღ[ე]რღენი“ (იოანე მოსხი, ლიმონარი, ტექსტი გამოკვლევისა და ლექსიკონით გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., - 1960, გვ. 113,9).
12. „ობარა“, როგორც ფრინველის სახელწოდება არსებობს მეგრულში (ნიშნავს „ქედანს“) - (იხ. რევზ ჟორდანი, ფრინველთა მეგრული ტერმინოლოგიისათვის, გვ. 215, - საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, - XXVI - XXVII - A - თბ., 1970).

აქვს თუ არა რაიმე კავშირი (გარდა ფონეტიკური მსგავსებისა) ამ მეგრ. „ობარას“ არაბ. „ჰუბარასთან“ (საბასეული თ. ჰობარა)?! -

არავითარი! -

ეს მეგრ. „ობარა“ მიღებულია (ხმოვანთა გადანევამდე) „ქედნის“ სომხური სახელწოდებიდან Հօբալ/Հօբալ [(„ჰობალ“/„ჰოფალ“);

სომხ. Հօբալ („ჰობალ“)>მეგრ. „ობარა“ [Հ იკარგვის, օ>ო, ք>ბ, ა>ა, լ>რ; რაიცა შეეხება ბოლოკიდურ „ა“-ს, იგი ზოგადად დამახასიათებელია ქართულ და ქართველურ ენათათვის, - უცხოურიდან შემოსულ სიტყვათა მიმართ (შდრ: մաշկաքեւ<მაჩქათელა და სხვ.)].

[საბას ლექსიკონის ცხრავე ავტოგრაფულ ნუსხაში „ოფალ“ („ალაბახტას“ გვერდით) შეცდომით „ქედნის“ თურქულ შესატყვისობათა რიგშია; თუმცა აქ გამორიცხული ისიც არაა, რომ „ოფალ“, როგორც შესატყვისი ქართული „ქედნისა“, ხმარებაში ყოფილიყო საბასდროინდელ თურქულშიც ისევე, როგორც მაგ. „ხაჩ“ (სომხური სიტყვა), რომელიც დღესაც იხმარება და საბას დროსაც იხმარებოდა არა მხოლოდ სომხურში და თურქულში (ს. խաչ, თ. haç), სპარსულშიც (چاچ)].

თვით სომხურში ეს სიტყვა (Հօբալ) გაჩენილია ასე:

*ღაი + ა + ჯ > *ღაიჟაჟ>ღაიჟა (შდრ: ღაიჟაჟაჟი
ღაიჟაჟი) ღაიჟა/ღაიჟა (შდრ: ღაიჟა>ღაიჟა. აი>ი და
სხვ.).

ს. ღაი – ფრინველი; თ. ჯა – მტრუდის ჯიში; ბერძ. πέλεια
ή – გარეული მტრუდი; ლათ. palumbēs (palumbis) – ქედანი
(იხ. ღრ.Աճառյան. ღაიჟენი არნათასკან რაიარანი. ხ. III.
ერქანი – 1977, “ღაიჟა”).

ხუდაბაშიანციის განმარტებით: ღაიჟა /ღაიჟა/ ღაიჟა
არის „შოშია“, „ტარბი“, „ჭკა“ (Армяно-русский словарь,
составленный А. Худобашиевым, М., – 1836), რაც არაა
სწორი (არც ისტორიული, არც აწინდელი გაგებით): „შოშიას“
სომხურად ჰქვია სარქას /სარქს. „ტარბს“, – თარქასი/
თარქ, „ჭკას“, – წაქსა/ წაქსა/ წაქს (Полный русско-
армянский словарь, составленный доктором философии
А. С. Дагбашяномъ, Тифлисъ – 1903; ღაიჟანასკაქი
ხაიიგ ქედი რაგათრასკან რაიარანი. ერქანი–1974.
ღაი-იიუსერნი რაიარანი. ერქანი–1984)

სომხური ლექსიკონების უმეტესობა მხარს უჭერს საბას:
ღაიჟა – ქედანი (Новый русско-армянский словарь,
составили Авдалбегиан Т., Сотникян П., Тер-минасян Е.,
Потэян, В. გ. I ერქანი–1933, ღაიჟანასკაქი
რაგათრასკან რაიარანი–ერქანი–1974. ღაი-იიუსერნი
რაიარანი. ერქანი–1984)

თანამედროვე სომხური ენის განმარტებით ლექსიკონში არის
აგრეთვე ფორმა, ღაიჟა.

[სომხ. „ოფალ“, რომელიც საბასთან „ქედნის“ თურქული
შესატყვისობათა რიგშია, ც. აბულაძემ აღიქვა, როგორც opal –
„ძვირფასი ქვა“ (ც. აბულაძე, ს. ს. ორბელიანის ლექსიკონის
სიტყვანის თურქული თარგმანები, თბ., – 1968, გვ. 51,143)].

13. იგივე توغدار – თულდარ (იხ. Л. З. Будагов, Сравнительный
словарь турецко-татарских наречий, т. I, С.-П.-1869).

توغ + دار

სპ. *dar* („მქონე“, „მფლობელი“) თურქულში (ლათინურის საფუძველზე შემუშავებული ანბანის შემოღებამდე) წარმოითქმოდა და იწერებოდა ასეც: *dar* (*dar*).

საერთოდ (როგორც ცნობილია), სპარსული გრძელი ხმოვნები ლიტერატურულ თურქულ წარმოთქმასა და ორთოგრაფიაში სუსტად ვლინდებიან, მხოლოდ დიალექტებში არიან ხოლმე ისინი თითქმის ყოველთვის დაცულნი; ლიტ. *care*, – დიალექტ. (ტრაპიზ.) – *çäre* (<სპ. *carra*), ლიტ. *tane*, – დიალექტ. (ტრაპიზ.) – *dāne* (<სპ. *dana*), ლიტ. *padisah*, – დიალექტ. (ტრაპიზ.) – *pādišāh* (<სპ. *شاه*) და სხვ. (Е. В. Гудиашвили, Фонетические особенности турецкой речи Ризе и Трапезунда: Вопросы диалектологии тюркских языков, т. III, Баку – 1963, стр. 104; Э. В. Севортян, Фонетика турецкого литературного языка, М., – 1955, გვ. 112).

14. ამ ლექსიკონში მოთავსებულია ამ ფრინველის სურათიც.
15. იგვე *چرچر* („ჩარჩ“) – (იხ. ვულერსი, ბორჰან-ე ყაფი – გვ. 632).
16. Vullers, *Lexicon persico-Latinum*, ტ. I, გვ. 612.
17. Х. А. Азизбеков, *Азерб.-русс. словарь*, Баку – 1965.
18. Ю. А. Рубинчик, *Перс.-русс. словарь*, т. II, М., – 1970.
19. Раdde, *Ornis Caucasica*, Тиф. – 1885, გვ. 324.
20. Полный зоологический и ботанический словарь на французском, русском и латинском языках, С.-П.-1843.
21. „ჯეკ“ რუსულში შესულია ყაზახურიდან (ПСС, т. II, М., – 1951, გვ. 150; М. Фасмер, ЭСРЯ, ტ. I, გვ. 510).
22. Семязычный словарь названий животных Европы, – Budapest-1979, ტ. I, გვ. 240, §2593; Проф. А. Ф. Ляйстер и Г. В. Соснин, *Ornis Armeniaica*, Ереван – 1942, გვ. 143; მირ. კუტუბიძე, ფრინველების ნომენკლატურული ტერმინოლოგია, თბ., – 1973; Г. П. Дементьев и др., *Птицы Советского Союза*, т. II, М., – 1951, გვ. 150.

23. Αιήγησις περί τῆς ἀγίασ Σοφίας – თ. ფრეგერის გამოცემა, *Scriptores Originum Constantinopolitanarum recensuit*, Lipsiae – 1907, fasc. 1. გვ. 39-40.

„აიასოფიას გების“ სლავურ თარგმანში (Р. Н. Вилинский, *Византийско-славянския сказания о созданий храма св. Софий Цареградской*, Одесса – 1900, გვ. 81-82) დედნისეული **χηνοπουλос** გამოტოვებულია.

24. *Древнегреческо-русский словарь*, составил И. Х. Дворецкий, М., – 1958, т. II.

25. E. A. Sophocles, *Greek Lexicon of the Roman and Byzantine periods*, New York.

26. Б. А. Рубинчик, *Перс.-русск. словарь*, т. I, М., – 1970.

27. მეგრ. ღორღონჯ, ქან. ღორღოჯ, სვან. ღარღანდ – „ბატი“, ჩაჩნ. ღარღული – „ნერო“, ინგუშ. ღურღაუ – „გედი“, დარგ. ღარღა – „ქათამი“ და სხვ. (იხ. Г. А. Климов, ЭСКЯ, М., – 1964, გვ. 201).

საერთოდ, როცა კავკასიურ ენებში (არა მარტო კავკასიურში) ამა თუ იმ ფრინველის (არა მარტო ფრინველის) სახელწოდებანი ფონეტიკურად ერთმანეთის მსგავსია, მაშინ ისინი (ფრინველის ეს სახელები) ან რელიგიურ-მითოლოგიური წარმოშობისანი არიან (როგორც მაგ. ქ. ფასკუნჯი, ს. პასკუჭ, ოს. ფაქონძი/ფასქონდ; ქ. არწივი, ს. არწუი/არწივ, ლაკ. ბარზუ, ჩაჩნ. არზუ...), ანდა, – ხმაბაძვითნი (როგორც მაგ. ჩაჩნ. კოკო/კოკუ, ბოთლის. ტინდ. ღუნღუ ქართ. ღუნღუნი – „მტრედი“, თუშ. ღუნღუ – „ქედანი“ და სხვ.).

28. ღერღედიდან ღრედამდე არსებული ფორმა „ღრღედი“, როგორც უკვე ითქვა, დაცულია ბ. კესარიელის „ექუსთა დღეთაჲს“, როგორც უძველეს (გვ. 119,8), ისე გ. მთაწმიდლისეულ თარგმანში (გვ. 100,12) და იოანე მოსხის „ლიმონარში“ (გვ. 113,9).

ჩემი აზრით, „კუნდიც“ ისევეა მიღებული „ლულუნიდან“, როგორც „ლერლედიდან“, – „ლრედი“;

ქართულში ოდესღაც, მტრედის მნიშვნელობით, ფორმა „ლუნის“ არსებობაზე უნდა მიუთითებდეს მტრედის სომხური სახელწოდების აჟანსი („ალავნი“) დიალექტური ფორმები: ლიისი („გლონი“), აჟიისი („ალუნიკ“), აჟიისას („ალუნაკ“).

დროთა ვითარებაში „კუნდის“ მნიშვნელობა გაფართოვდა (ერქვა „მტრედს“, ეწოდა „ტრედის, გვრიტის, ქედნის და მისთანათა მართვეს“.

ნ. მარმა „ლულუნი“ იაფეტურ სიტყვად მიიჩნია; იგი ამ სიტყვას უკავშირებს გუ-გუნ-ს და ასკვნის: „ლულუნი“, ფორმით გუგუნ-ა, უეჭველად აღნიშნავდა სულიერ საგანს, სახელდობრ „მტრედსო“; მცვლევარს გუგუნიდან ნაწარმოებად მიაჩნია გვარი გუგუნა-ვა – „Голубев“ (Н. Я. Марр, ЯНДИР, - С.-П., გვ. 940-941).

რამდენად „იაფეტურია“ სიტყვა „ლულუნი“, ეს, ამჯერად არ შეადგენს ჩემი კვლევის საგანს; ერთი კი ცხადია; იგი, გარკვეულ დროს, ქართულში უდავოდ ერქვა „მტრედს“; ამას მონიშნავს თუშურ კილოში არსებული სახელწოდება ქედნისა, – „ლულუ“, ქართ. „ლოლანი“, – მომცრო ქედანი, ბოთლიხურ, ტინდალური „ლუნლუ“, ჩაჩნ. „კოკო“/„კოკუ“ – „მტრედი“; ქართ. გვარი „ლულუნიშვილი“ [შდრ: გვრიტიშვილი, გუგუტიშვილი (გუგუტი-გუგული) და სხვ.].

ლულუნიდან კუნდის მიღების ფონეტიკური პროცესი მე ასე მესახება:

ლულუნ>ლუნ>ლუნ>კუნ [შდრ. ლუნწკალ-ი>ხუნწკალ-ი (<კუნწკალი)>კუნ-დ-ი.

„კუნდი“, რომ ქართულში ერთ დროს ეწოდებოდა „მტრედსა“ და არა „ტრედის, გვრიტის, ქედნის და მისთანათა მართვეს“ (ვითარცა საბას დროსა და, როგორც დღეს), ამას ადასტურებს დიალექტური (იმერ.) „სახუნდარი“ („მტრედთა მოსაკლავად ჩასასაფრებელი ადგილი“; *საკუნდარი>სახუნდარი);

„სახუნდარი“ (<საკუნდარი) ლიტერატურულ ენაში (ასევე ქიზიყურ დიალექტში), როგორც წინათ, ისე ახლა, სახელწოდება ადგილისა, სადაც მონადირე უსაფრდება ნადირს (ქეგლ. ტ. VI, თბ., - 1960).

29. „ვეფხისტყაოსანში“, სადაც წერია „კვერცხი ტრედისა“ (1558,3), იქ, თავდაპირველად, ნაცვლად ამისა, ხომ არ ეწერა „კვერცხი ღრედისა“, და ვინმემ ხომ არ შეცვალა ეს „ღრედი“ უფრო გასაგები, მისი სინონიმით („ბატი“)?! - რასაც, ალბათ, ხელი შეუწყო სხვაგან (1465,2). ამავე ნაწარმოებში, არსებულმა „ბატი-მა“ („ცხრა მარგალიტი, სიდიდით მართ ვითა კვერცხი ბატისა“).

ანდა, ხომ არ ედიდა ვინმეს ღრედის კვერცხის ტოლა, ისიც ათასი მარგალიტი, და, ხომ არ შეცვალა „ღრედი“ ფონეტიკურად მისი მსგავსი „ტრედით“?! („კვლა მარგალიტი ათასი, მართ ვითა კვერცხი ტრედისა“ - 1558,3).

ეს აზრი იმიტომ დამებადა, რომ ხელნაწერთა გარკვეულ ნაწილში (H-599, S-2829, S-4499, Q-930 და სხვ.) ამ ადგილას (1558,3) წერია, „კვერცხი ბატისა“ („კვლა მარგალიტი ათასი, მართ ვითა კვერცხი ბატისა“), რაც მხოლოდ 1465 სტროფში არსებული „ბატის“ გავლენით ვერ აიხსნება.

რაიცა შეეხება მარგალიტის სიდიდეს, არც ქედის ოდენა ტაიჭი უნახავს დასაბამიდან დღემდე ვინმეს („ათასი ცხენი ტაიჭი, სიდიდით მსგავსი ქედისა“ - 1558,4).

30. Жизнь животных, А. Э. Брема, в десяти томах, т. VII, Птицы, М.-П.-1894, გვ. 269.

ერენბერგის ეტიმოლოგიურ ვარაუდს საეჭვოს ხდის სხვების დაკვირვებანი *Otis undulata*-ზე: „მე ერთხელაც არ გამიგონია, რომ ჯეკს გამოეცეს რაიმე ხმა“ [Бобринской (1915-16) - Проф. А. Ф. Ляйстер и Г. В. Соснин, *Ornis Armeniae*, Ереван - 1942, გვ. 143].

„ჯეკის ბუიტნი ოდნავ გასაგონად წრიპინებენ, ზრდად-მთავრებულთა ხმა კი ჯერ არავის სმენია“ (ПСС, т. II, М., - 1951, გვ. 156).

31. Supplement aux dictionnaires arabes, par R. Dozy, Paris – 1924, გვ. 536.
32. **Phaad**, outarbe rhaad, – houbara, outarbe houbara, – otis houbara (variete) – (Полный зоологический и ботанический словарь, С.-П.-1843).
33. შდრ: არაბ. حاجب („ჰაჯიბი“) > ქართ. ეჯიბი-ი, ხეთ. kard („კარდ“) > ქართ... *კერდ-ი (>მ-კერდ-ი), სპ. لاش („ლაშ“) > ქართ. ლეშ-ი (იმ შემთვევაში, უკეთუ ეს სიტყვა შემოსულია სპარსულიდან და არა თურქულიდან, ვინაიდან თურქულში, გარდა ფორმისა lâşe, გვაქვს leş).
34. შდრ: ლაპ>ლ-ლაპ, დინ>ლ-დინ; აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აქ „რედის“ ნინ „ლ“ ფონემის განვითარება, გარკვეულნილად, ეტყობა, გაპირობებულია „ლრედის“ (Anser) ანალოგიითაც.
- ისიც საფიქრებელია, რომ „ლრედი“ (Otis undulata) ნანარმოები იყოს „ლრეკადან“ („ლრეკა“); ძირია „ლრ“ (<ლურ): ლრად >ლრ-ედ (?).
- „ლრეკას“ საბა განმარტავს, როგორც „დრეკას“, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არ უნდა იყოს ამ სიტყვის ამომწურავი განმარტება; „ლრეკას“, გარდა „დრეკისა“, შესაძლებელია, ჰქონდა იგივე მნიშვნელობა, რაც რუსულ вихлять-ის [„Вихлять – ходить вперевалку, как бы прихрамывая на обе ноги“ (В. Даль, т. I, М., – 1955, გვ. 208)], რაც საფუძვლად უდევს „ლრედის“ რუსულ სახელწოდებას вихляй.
- ამასთან დაკავშირებით, საყურადღებოა „ლრედის“ აზერბაიჯანული სახელიც: „**იორლა-თაუხ**“ („იორლა-ქათამი“, „თოხარიკი – ქათამი“).
36. სინონიმები (როგორც უკვე ითქვა): Chlamydotis undulata, Otis undulata, Otis macqueeni, Otis houbara, Houbara undulata, Houbara macqueeni.
37. იხ. მ. კუტუბიძე, ფრინველების ნომენკლატურული ტერმინოლოგია, თბ., – 1973.

ჩახრუხი

ვახუშტი ბატონიშვილთან, საქართველოში გავრცელებულ ფრინველთა შორის დასახელებულია „ჩახრუხი“-ც: „... შურთხი, მწყერი, ასკატა, ჩახრუხი, კიოტი, ტყის ქათამი, გარიელი, სავათი“...¹

ამ გამოცემას დართულ ლექსიკონში „ჩახრუხის“ განმარტება ასეთია: „ჩახრუხი – გვ. 30. ფრ. ბულბულის გვარი“².

ვახუშტის თხზულების ფრანგულ თარგმანში „ჩახრუხი“ გადატანილია უთარგმნელად, – ფრანგული ტრანსლიტერაციით **tchakhroukh**³.

რუსულ თარგმანშიც უთარგმნელადაა, – რუსული ტრანსლიტერაციით (იმ განსხვავებით, რომ აქ ეს სიტყვა ბრჭყალებშია ჩასმული): „**чакрухи**“⁴.

საბას ლექსიკონის ცხრა ავტოგრაფული ნუსხიდან „ჩახრუხი“ არის რვაში [მეცხრეს (H-416) აკლია ის ფურცელი, სადაც შეიძლება იგი ყოფილიყო].

ამ რვიდან მხოლოდ ერთში (A-1473) არ უზის უცხო შესატყვისი, აქვს მხოლოდ ფრინველის ნიშანი (ამ ნუსხას საერთოდ არ ახასიათებს უცხო შესატყვისობანი); ყველა დანარჩენში იგი წარმოდგენილია ფრინველის ნიშნით და უცხო შესატყვისით: „შარუხ“.

არაავტოგრაფული ნუსხებიდან ერთში (S-386) „ჩახრუხთან“ არის ბალახისა და ხის ნიშანი და უცხო შესატყვისი „შარუხ“.

H-1736-ში ფრინველის ნიშნიან „ჩახრუხს“ უცხო შესატყვისად უზის „შაჰრუხ“.

თეიმურაზ ბაგრატიონის ლექსიკონში, რომელსაც ახასიათებს ვრცელი, ენციკლოპედოური განმარტებანი (იხ. იქ განმარტება **შურთხისა, ვარხვისა, ღურაჯისა, გნოლისა** და სხვ.) „ჩახრუხი“ განუმარტავია, უნერია მხოლოდ „ფრინვ.“⁵ ასევეა ნ. ჩუბინაშვილთან⁶.

რ. ერისთავთან „ჩახრუხი“ მცენარეცაა და ფრინველიც, ყოველგვარი სიტყვიერი განმარტების გარეშე⁷.

დ. ჩუბინაშვილთან: „ჩახრუხი (სპარს.) ს. მფრინველია ერთგვარი, ბიანკის ლ. ჰსწერია ბულბულად“⁸.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში „ჩახრუხის“ განმარტება ამგვარია: „ჩახრუხ-ი – ძვ. ფრინველია ერთგვარი (დ. ჩუბინ.)“⁹.

გ. გამყრელიძის აზრით: „ჩახრუხი არის ბულბულის ჯიშის მგალობელი ფრინველი. ერთერთი სახე ასაუჭაკასი“¹⁰.

აქ წარმოდგენილი ამონაწერებიდან აშკარად ჩანს: „ჩახრუხი“, რომელიც საბას დროს იმდენად ცნობილი ყოფილა, რომ მისი განმარტებისას საბა მხოლოდ უცხო შესატყვისს სჯერდება, არამცთუ მეოცეში, მეცხრამეტე საუკუნეში უკვე აღარ იციან, კონკრეტულად რა ფრინველია.

„ჩახრუხის“ რაობის გასარკვევად, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს ამ ფრინველის საბასეული უცხო შესატყვისის („შარუხ/„შაჰრუხ“) რაობა;

ქართული წერილობითი ძეგლებიდან „შარუხი“ ნახსენებია „ვისრამიანში“: „ნავიდა იგი ყამი და დღე, ოდეს ერთმან კუმან ორი შარუხი დასცეს“¹¹.

„ვისრამიანის“ პირველ გამოცემას დართულ ლექსიკონში „შარუხი“ განმარტებულია ასე: „შარუხი, – საკუთარი სახელი კაცისა“¹².

მეორე გამოცემის ლექსიკონში (ლექსიკონის შემდგენელია იუსტინე აბულაძე) წერია: „კუ და შარუხი ჭადრაკის კაცების ძველებური სახელწოდებებია“¹³.

მესამე გამოცემის ლექსიკონში: „შარუხი“ (=ორ. شاهرخ) – ჭადრაკის ფიგურა ეტლი“¹⁴.

არჩილ მეფის მიერ გალექსილი „ვისრამიანის“ „შარუხი“, არჩილის თხზულებათა სრულ კრებულზე („არჩილიანი“) დართულ ლექსიკონში განმარტებულია ასე: „შარუხი, 285,4 – ჭადრაკის (მხედარი?)“¹⁵.

„ვისრამიანის“ რუსული თარგმანის ორივე გამოცემაში წერია: „Прошли те времена, когда на шахматном поле черепаха побеждала двух шарухов“¹⁶.

ბ. მარის განმარტებით „შარუხი“ (<شاهرخ) არის „тура в шахматной игре“¹⁷.

სხვათა მიხედვით:

شاهرخ (შაჰროხ“) – თემურის ვაჟის სახელი (ბიანეი)¹⁸.

شاهرخ („შაჰროხ“) – ა) მარტორქის რქა; ბ) ტიტული, რომელიც ენიჭებოდა კეთილშობილთა ვაჟებს; თემურის ვაჟის სახელი (ვულერსი)¹⁹.

شاهرخ (შაჰროხ“) – ა) პაიკი, რომლითაც ამბობენ: – შაჰ! ბ) თემურის ვაჟის საკუთარი სახელი; شاهرخ (შაჰროხი) – სახელწოდება მონეტისა, რომელიც უდრის ინგლისურ შილინგს (ბუდაგოვი)²⁰.

شاهرخ (შაჰროხ“) – მარტორქის რქა. ეტლი (ჭადრაკის თამაშში); ტიტული, რომელიც ენიჭებოდა კეთილშობილთა ვაჟებს (იაგელო)²¹.

شاهرخ (შაჰროხ“) – მარტორქის რქა (ფარჰანგ-ე ნაჰინი).

شاهرخ (შაჰროხ“) – 1) ჭადრაკ. ცხენით გაკეთებული სელა, – „ჩანგალი“ (მეფისა და ეტლის წინააღმდეგ); 2) მამაკაცის საკუთარი სახელი (რუბინჩიკი)²².

„შარუხ“/„შაჰროხ“-ის არც ერთი ეს მნიშვნელობა, რომ არავითარ კავშირში არაა საბასეულ „ჩახრუხთან“, – ამზე ლაპარაკი ზედმეტია.

მაგრამ მხოლოდ ამით როდი ამოიწურება „შაჰროხის“ მნიშვნელობა სპარსულში! –

„შაჰროხ“ იქ ნიშნავს აგრეთვე „მალალურს“²³.

„შაჰროხის“ ყველა მნიშვნელობას რომ თავი დავანებოთ! – სად მარტორქა, სად ჭადრაკი, სად მალალური?!

საქმე შემდეგშია:

იმ შაჰროხის (მარტორქის რქას რომ ჰქვია) თავდაპირველი სახეა შახროხ; სპ. შახ – „რქა“, როხ – „სახე“.

[ეს შანსროხ, ერთდროს, ეტყობა, სახელი იყო თვით „მარტორქისა“ (მდრ: „ოფოფის“ ერთერთი სპ. სახელწოდება ساسان - „შანესარ“: შანე - „სავარცხელი“, სარ - „თავი“) და შემდეგ დაუფინროვდა მნიშვნელობა; ამ მოსაზრებას სემანტიკურად მხარს უჭერს მარტორქის“ ბერძნული სახელწოდება: ῥιτοκέρπας: ῥίς, - ნათ. ბრ. - ῥίος - „ცხვირი“, κέρπας - „რქა“²⁴. (სპარსულში ამჟამად „მარტორქის“ სახელია كركرد - „ქარგადან“).

შანსროხთან ანალოგიით შანსროხ იქცა შანსროხ-ად; თვით შანსროხ (იმ შემთხვევაში, როცა მას ცხენით გაკეთებული სვლის, ე. წ. „ჩანგლის“ მნიშვნელობა აქვს) ნიშნავს: „მეფე“ (შანს), „ეტლი“ (როხ), როცა საკუთარი სახელია, - „მეფის სახე“, „კარგი სახე“, როცა „მალალურის“ შესატყვისია, - მაშინ მისი მნიშვნელობაა „ხმამალა მგალობელი“ და იგი მიღებულია ყირგიზული სიტყვიდან შანსროყ/შანსროყ [ეჭვი არაა, ამ სიტყვის (შანსროყ>ჩახსრუხ) ეს მნიშვნელობა („ხმამალა მგალობელი“) არის მიზეზი, ზოგიერთი ლექსიკოგრაფის მიერ, საბასეული „ჩახსრუხის“ ბულბულის გვარისა თუ ჯიშის ფრინველად მიჩნევისა (მით უმეტეს, როცა ეს სიტყვა თურქულში ბულბულის მისამართითაც იხმარება)];

ისიც შესაძლებელია, რომ შანსროხ („მალალური“) ნიშნავდეს: „შესანიშნავ ხმიანს“, „შესანიშნავ ხმას“ اسس - „შანს“ („საუკეთესო, შესანიშნავი“), خ („რუხ“)/ خو („რუხ“) - „მუსიკალური ინსტრუმენტის ხმა“²⁵; خو („რუხ“) - „მუსიკალური ტონის სახელწოდება“²⁶. [მით უმეტეს, სპარსულშიც არაიშვიათი მოვლენაა (თურქულისათვის დამახასიათებელი) გრძელ და მოკლე ხმოვანთა ურთიერთმონაცვლეობა (شاهامت / شهمات ; شاهرخ / شهرخ ; شوميز / شمير და სხვ.)].

გარდა „შანსროხისა“, სპარსულშივე მოიპოვება ქართული „ჩახსრუხის“ ფონეტიკურად „შანსრუხზე“ უფრო მსგავსი, - „ჩახსროყ“ - „სავათის სახეობა“²⁷.

იქნებ აქედანაა ქართული „ჩახსრუხი“?! -

მით უმეტეს, ცოტა როდია ისეთი შემთხვევა, როცა ორ, – ერთ-მანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ფრინველს, სხვადასხვა ენაში, ფონეტიკურად ერთიდაიგივე სახელი ჰქვია [მაგ. „ბაჰრი“ თურქულში „ალკუნია“²⁸, ქართულში, – „შავარდნის მსგავსი, მონადირე ფრინველი“²⁹; მისი თურქული შესატყვისია (საბათი) „ზალანოს“]³⁰.

მალალურთან, ბულბულთან და სავათთან (მის სახეობასთან) მიმართებაში განვიხილოთ საბასეული „ჩახრუხი“:

ჩახრუხი არაა არც ბულბულის, არც მალალურის სინონიმი! – რომ იყოს, მაშინ საბასთან მისი განმარტება ისეთი იქნება, როგორიცაა ყრუნისა, მაჩქათელასი და სხვათა და სხვათა („ყრუნი – შურთხი“, „მაჩქათელა – მლამიობი“).

ჩახრუხი არაა არც ბულბულის, არც მალალურის სინონიმი! – რომ იყოს, მაშინ იგი დასახელებული არ იქნება ვახუშტის იმ სიაში, სადაც დასახელებულია ბულბული და მალალური („...ჩახრუხი... ბულბული...მალალური...“).³¹

ჩახრუხი არაა არც ბულბულის, არც მალალურის სინონიმი! – რომ იყოს, მაშინ იგი გარეული არ იქნება ლაპის საბასეულ განმარტებასთან ჩამოთვლილ ფრინველთა მარაქაში, ვინაიდან ბულბული არავითარი ნათესავი არაა მათი („ლაპი – კოკობთა, კაკბთა, როჭოთა, შურთხთა, ჩახრუხთა, გნოლთა, ასკატათა და მისთანათა მართვენ“).

ჩახრუხი³² არაა „სახეობა სავათისა“! –

აი, რატომ:

წეროფსა, სავათისა, სარსარაკისა და მისთანათა მართვეს, საბას მიხედვით, ეწოდება ბუიტი;

კოკებისა, კაკებისა, როჭოფსა, შურთხისა, ჩახრუხისა, გნოლისა, ასკატაფსა და მისთანათა მართვეს, – ლაპი.

ჩახრუხი, ბუიტის განმარტებისას რომ არაა ნახსენები, – ეს დიდს არაფერს ნიშნავს, ვინაიდან იქ არც ღრედია დასახელებული, თუმცა იგი, როგორც გავარკვეე (იხ. „საუნჯე“, –1988/4, გვ. 280), სავათის სახეობას წარმოადგენს (ერთი მნიშვნ.).

მაგრამ ჩახრუხი ლაპთან რომაა ნახსენები, – ეს კი იმას ნიშნავს, რომ იგი (ჩახრუხი) აქ ჩამოთვლილ ფრინველთა კატეგორიას ეკუთვნის;

აქ კი ჩამოთვლილნი არიან: კოკობი, კაკაბი, როჭო, შურთხი, გნოლი, ასკატა.

რას შეიძლება ნიშნავდეს ჩახრუხი?!

ლაპთან ჩამოთვლილ ფრინველთა კატეგორიისა რომაა, ქართულად რა ეწოდება, რომ არ ვიცით, გამოორიცხული რომ არაა, ჩვენშიც ყოფილიყო, – ასეთი მხოლოდ ორი ფრინველია კიდევ: *Tetrastes bonasia* L. (Рябчик) და *Tetrao urogallus* L. (Грухарь);

პირველის (*Tetrastes bonasia*) ქართული შესატყვისი 1959 წელს იყო „გნოლქათამა“³³.

1973-83 წწ-ს, – „ურუნი“³⁴

წელს რაა, – არ ვიცი!

მეორის (*Tetrao urogallus*) ქართული შესატყვისი 1956 წელს იყო სოლო³⁵.

1960 წელს, – „ურუნი“³⁶.

1973-83 წწ-ს, – კვლავ „სოლო“³⁷

წელს რაა, – არ ვიცი!

ძველ ქართულში ურუნი სინონიმია შურთხისა (იხ. საბა)

ქართული ენის დიალექტებში (რაჭ.): „ურუნი გარეული ქათამია“³⁸. აქვს აგრეთვე გარკვეული ფერის მნიშვნელობა; ლეჩხ. იგი ნიშნავს „ყველა ფერის ნარევს“³⁹, ქეგლ-ით: „მონაცრისფერო ქრელი ფერის აღმნიშვნელია“⁴⁰.

სოლო, საბას განმარტებით, „დიდი ქათამია“.

ქართული ენის დიალექტებში რამდენიმენაირია გაგება სოლოსი: ქსნის ხეობაში იგი ნიშნავს: „ბოლომოგლეჯილ წინილას, ან წინილას, რომელსაც ბოლო არ ეზრდება“⁴¹.

ზემოიმერეთში სოლოს ეძახიან ყელტიტველა ქათამს⁴².

გურიაში სოლო ეწოდება ტანოვანს, მოსულს, ჯიშიანს, – ქალია თუ ქათამი, – სულერთია⁴³.

ქართლში, ისევე, როგორც საბასთან, „დიდი ქათამია“⁴⁴.

ნ. ჩუბინაშვილს **Глухарь**-ის ქართულ შესატყვისებად ურუნი, ყრუანჩელა და როჭო უწერია⁴⁵.

ის ფაქტი, რომ ჩვენი ზოოლოგები *Tetrastes bonasia*-სა და *Tetrao urogallus*-ს სხვადასხვა წელს სხვადასხვა სახელით ნათლავენ, ეს სახელები კი ქართულში (როგორც ძველში, ისე ახალში) სრულიად სხვა მნიშვნელობისანი არიან, იმაზე მეტყველებს, რომ შესატყვისნი *Tetrastes bonasia*-სი და *Tetrao urogallus*-ისა ჩვენს ენას ან არასოდეს არა ჰქონდა, ანდა, ამ ფრინველთა განადგურებასთან ერთად, გადაგვავიწყდა.

გადაგვავიწყდა თუ საერთოდ არა გვქონდა?! –

ვფიქრობ, – გადაგვავიწყდა! –

ორივესი თუ არა, *Tetrao urogallus*-ისა მაინც.

Tetrastes bonasia ძირითადად ჩრდილოეთის ფრინველია; გავრცელებულია ალპებში, ავსტრიაში, ბავარიაში, ბოჰემიაში, სილეზიაში, ლაპლანდიაში, ესტლანდიაში, სკანდინავიის დიდ ნაწილში, რუსეთში...⁴⁶

მისი არც ერთი სახეობა არ მოიპოვება არც თურქეთში, არც ირანში, არც არაბეთში, არც აფრიკაში, არც ინდოეთში, არც კავკასიაში...⁴⁷

საკმაოდ ფრთხილია, უყვარს დამალვა (ემარჯვება კიდევ), იცის ჩქარი სირბილი, ფრენს, როგორც კაკაბი, მის ბუდეს ადვილად ვერ იპოვი;

საბუდრის შერჩევას ეკიდება დიდი სიფრთხილითა და წინდახედულებით; მისი ლაპები იმდენად შეხამებულნი არიან გარემოსთან და ისე მოხერხებულად იმალებიან ხოლმე ბალახებსა, ქვებსა და ხის ფესვებს შორის, – მხოლოდ შემთხვევით შეიძლება მოლანდო თვალი...⁴⁸

Tetrastes bonasia-ს ყველა აქ ჩამოთვლილი თვისება ძველდაც თუ ჰქონდა (ალბათ, ჰქონდა), – ჩვენში რომ ყოფილიყო, – იქნებოდა დღესაც.

სულ სხვაა საქმე *Tetrao urogallus*-ისა;

საქართველოში ყველა პირობა იყო და არის მისი, როგორც არსებობისა, ასევე გადახვევნისა და განადგურებისათვის.

არე ამ ფრინველის გავრცელებისა თითქმის იგივეა, რაც როჭოსი.

მეტიც: როჭოსთან შედარებით იგი უფრო სამხრეთითაც კია გავრცელებული⁴⁹.

უყვარს წინწარი. დღეში რამდენჯერმე სვამს წყალს. მისი ძირითადი საკვებია (განსაკუთრებით მამლისა) ფიჭვის წინწი.

ბუდეს მეტწილად იკეთებს პირდაპირ ტყის ბილიჭზე, ან ბილიცის გვერდით (ყოველგვარი საფარის გარეშე), – ამით უნდა აიხსნას მისი სუსტი გამრავლება.

ამრებისა და გრობის ჟამს ახასიათებს გამოლენჩებამდე მისული თავდაიწყება; მაგრობალი იმდენად გატაცებულია თავისი საქმით (განსაკუთრებით გრობის ბოლო დღეებში), – ბუდიდან რომ ამოიყვანო და უკანვე ჩასვა, არც შიშს გამოხატავს, არც გაფრინდება⁵⁰.

ვერ ურიგდება ტყის უმნიშვნელო გაჩეხვასაც კი, – ბევრი ადგილიდან გადახვენილია იგი ამის გამო⁵¹.

„ძველად, – წერს ბრემი, – *Tetrao urogallus*-ი ჩრდილო შიხისა და ევროპის ყველა დიდ ტყეში ცხოვრობდა, ამჟამად ბევრ ადგილას იგი სრულიად განადგურებულია“⁵².

Tetrao urogallus-ის აქ ჩამოთვლილი თვისებები (ალბათ, დამეთანხმებით) საესებით საკმარისი იყო ჩვენში მისი სრული განადგურებისათვის.

ვახუშტის ცნობით, ვახტანგ მეექვსეს ერთ დღეს 180 ირემი დაუხოცია („მონადირა მეფემან ვახტანგ, და მოკლეს დღესა ერთსა ირემი რა“) ⁵³, სხვა დღეს 900 ორაგული დაუჭერია („მეფემან ვახტანგ მონადირა ტბა ესე... და იპყრეს ორაგული... მას ერთსა დღესა შ“) ⁵⁴; ვახტანგი კი წელიწადში ერთხელ როდი ნადირობდა; მაისში წეროობა, ივლისში მწყერაობა, შემოდგომაზე კოკობა...

ვახტანგსა და, რაც ვახტანგის შემდეგ მოხდა, ყველფერ იმას, რომ თავი დავანებოთ, ვახტანგამდე რამდენი მეფე იყო! (ვახუშტითი, – 93-ია), მეფეთა გარდა, რამდენი უაზნო და აზნაური...

ჰოდა, ეს ყოვლად ბრიყვი და გულუბრყვილო ფრინველი (ამასთან, საკმაოდ მოზრდილი, ხორცგემრიელი, რაც მთავარია, – ყრუ) რანაირად გაუძლებდა მათ?!

Tetrao urogallus-ის სპ. შესატყვისია *خروس كولى* (ხორჟს-ე ქრული) – „ბოშათა მამალი“ (*خروس* – „მამალი“, *كولى* – „ბოშა“)⁵⁵, თურქული შესატყვისნი, – *yaban horozu* (იაბან ჰოროზუ) და *çali horozu* (ჩალი ჰოროზუ), – „გარეული მამალი“ და „ბუჩქნარის მამალი“ [*yaban* – „გარეული“, „ველური“; *çali* – „ბუჩქნარი“; *horoz* – „მამალი“ (საბათი: „ხორუბ“)]⁵⁶, აზერბაიჯანული, – *Мешахорызы* – „ტყის მამალი“ (*меша* – „ტყე“; *хорыз* – „მამალი“)⁵⁷.

[„მამალი“ (აქ წარმოდგენილ ოთხივე სახელწოდებაში) გულისხმობს *Tetrao urogallus*-ის ხმიანობას ისევე, როგორც ქართული ხალხური ლექსის „მამალში“ („ტორუას მაინც არ მოგკლავ, – ბევრიც რომ მქონდეს წამალი, სანყალი ღამის მეხრისა ის არის კარგი მამალი“) იგულისხმება რიბირაბოზე დარხეული წერიალი ტოროლასი].

რუსულ *Глухарь*-ში, სომხურ *խլახაძ*-ში (ხლაჰავე) და უზბეკურ *Каркур*-ში (ქარყურ) ხაზგასმულია *Tetrao urogallus*-ის სიყრუე;

Глухарь < *глухой*⁵⁸, *խլახაძ* < *խու* + *ა* + *ხაძ* (*խუ* – „ყრუ“, *ხაძ* – „ქათამი“, „ფრინველი“)⁵⁹, *Кар+кыр* (*Кар* – „ყრუ“, *кыр* – „როჭო“)⁶⁰.

Tetrao urogallus-ის ხმიანობაზე და სიყრუეზე დამყარებულ სახელებს საფუძვლად უდევს ამ ფრინველის ამრების პერიოდი (საყოველთაოდ ცნობილია, მისი, განსაკუთრებული, სიგიჟემდე მისული ამრება, როცა მას, – საკუთარი ხმიანობით სმენადაკარგულს, არაფერი აღარ ახსოვს, ერთადერთი მიზნის გარდა).

არსებობს *Tetrao urogallus*-ის სხვა ხასიათის სახელწოდებანიც:

ზოგ ენაში მის სიდიდებზე აქცენტი [ფრანგ. *grand tetras/grand tetrao* (*grand* – „დიდი“, *tetras, tetrao* – როჭო“)⁶¹, ზოგში, – პირდაპირ „გარეული ქათამი“ ჰქვია [ჩაჩნ. *აქხა ქოთამ* (*აქხა* – „გარეული“, *ქოთამ* – „ქათამი“)]⁶² და სხვ.

სპეციალურ ლიტერატურაში აღქმა *Tetrao urogallus*-ის ხადილისა ერთგვარი არაა:

გაიერთ: იგი იწყება წამოძახილით: – ტრრდ“...

კანტი-კუნტი „ტრრდ“ თანდათან ხშირდება: –

„ტრრდ-ტრრდ-ტრრდ-ტრრდ-ტრრდ“...

უცებ გაისმება: „გლავ“...

შემდეგ იწყება ხადილის მეორე ნაწილი, ე. წ. „ჩარხვა“: –

„გვიდე-გვიდე-გვიდე-გვიდე... გვიდეური“ (ბრემით), რაც გრძელდება არა უმეტეს ოთხი წამისა.

ფრინველი ამ დროს ყრუა; თოფის ხმაზეც კი არ იბარტყუნებს ყურს⁶³.

კირიკოვით: პირველი წამოძახილია: – „კა-ღუ“...

ორიოდე წამის შემდეგ გახშირებულ „კა-ღუ=კა-ღუ“-ს უცებ ცვლის „სჟჟიგი-სჟჟიგი-სჟჟიგი“, – ხადილის მეორე ნაწილი.

ფრინველი ამ დროს გაფოფრილია, თავი უჭირავს ყინჩად, ბოლო მარაოსავით გაუშლია და აუბზეკია...

ადგილზე ვერ კავდება;

ხტის ტოტიდან ტოტზე,

ხიდან, – ხზე,

ხიდან, – მინაზე,

მიმორბის ნახევრად გაშლილი ფრთებით,

ფრთის ბოლოებით ხზავს თოვლს, ან მინას,

დროდადრო შეიკუნტრუშებს და მთელი ხმით, მთელი არსებით უხმობს დედალს...

ასე ხდება ყოველი წლის გაზაფხულზე, დილით, მზის ამოსვლამდე, ერთსა და იმავე ადგილას, – ე. წ. საპეპლავზე.

ეს პერიოდი (საგზაფხულო ამრეზა) დაკავშირებულია Tetrao urogallus-ის გამრავლებასთან.

არის საზაფხულო ხადილიც.

ფრინველი შემოდგომამდეც ხშირად გამოსცემს თავის განსაკუთრებულ ხმას; ზოგჯერ ზამთარშიც⁶⁴.

Tetrao urogallus-ის ხმიანობის პირველ ნაწილს პოეტი ევგ. ევტუშენკო ადარებს სათუთუნზე ფრჩხილით კაკუნის ხმას (ამასთან,

მას ეს ხმა ესმის არა, როგორც „ტრდ“, ან „კა-ღუ“, არამედ, როგორც „ტოკ“)⁶⁵.

ხადილის მეორე ნაწილი („ჩარხვა“), ბრემის აზრით, ცელის პირზე დანის ხახუნის ხმის მსგავსია⁶⁶.

სხვადასხვა პირის მიერ ერთი და იგივე ხმის სხვადასხვანაირი აღქმა, – ახალი ამბავი არაა.

მკითხველს, ალბათ, მოეხსენება, რომ არაერთი ფრინველის ხმიანობა, არცთუ ისე იშვიათად, სხვადასხვა ენაში გადმოცემულია სხვადასხვა ბგერებით:

ქართ. ყიყლიყო = სომხ. ნულრულუ⁶⁷.

ქართ. კაჭ-კაჭ⁶⁸ = თურქ. სწყ-საღ⁶⁹.

ქართ. კო-კო-კო-კოოოუ⁷⁰ = რუს. კო-კო-კოოუ⁷¹.

ქართ. ოფ-ოფ⁷² – სპ. ჰოდ-ჰოდ⁷³ და სხვა მრ.

ერთი ფიქრი შეიძლება კაცმა იფიქროს, რომ ერთი და იგივე ხმა ყველა ხალხს ერთნაირად ესმის, მაგრამ გამოთქვამს სხვადასხვანაირად (ეს კი გაპირობებულია ამა თუ იმ ენის ფონეტიკით);

ამ ფიქრის სასარგებლოდ მეტყველებს მამლის შემოძახილის სომხური შესატყვისი „ნულრულუ“ და რუსული „кыкарекы“ (რუსულში არაა „ნ“ და „ღ“), სანინააღმდეგოდ, – ქართული „ყიყლიყო“ (ქართულში არის ყველა ის ბგერა, რაც შედის მამლის ხმიანობის გამომხატველ სომხურ და რუსულ სიტყვებში).

მაშასადამე: სხვადასხვა ხალხს (გარკვეულწილად სხვადასხვა პირსაც) ერთი და იგივე ხმა ერთნაირად კი არ ესმის და სხვადასხვანაირად კი არ გამოთქვამს, არამედ სხვადასხვანაირად ესმის და ამიტომაც გამოთქვამს სხვადასხვანაირად.

თუმცა, ისიც საფიქრალია: ბგერითი ფონდის ფლობით ხომ არ განისაზღვრება საერთოდ სმენა?!

მე ჯერ შემთხვევა არა მქონია მომესმინა Tetrao urogallus-ის ხმიანობა;

რამდენადაც ვიცი, ქართულ ლიტერატურაშიც (არც საპეციალურში და არც მხატვრულში) არ მოიპოვება მისი ქართული ბგერებით გადმოცემის ცდა⁷⁴.

ისე კი, დარწმუნებული ვარ, ქართველის ყური აუცილებლად განსხვავებულად აღიქვამს მას.

„ჩახრუხის“ რაობის გასარკვევად მეტად საყურადღებოა რამდენიმე არაქართული სიტყვა:

ოსმ. შაყირთი (شاقراثى) – ტყლაშუნი, ბულბულის გალობა⁷⁵.

ოსმ. ყირგიზ. შაყირდა (شاقراثى) – 1. ხმამაღლა გალობა (ფრინველისა), შხაპუნი, თქაფუნი. 2. ფრიალი, ტკაცუნა, ხრაპუნი⁷⁶.

ოსმ. შაყრაყ (شاقراق) – მომღერალი, ლაქლაქა, ყბედი⁷⁷.

ყირგიზ. შაყირ (شاقرا)/შაყრუ (<შაყირ+უ), ყარა – ყირგიზ. ყაზან. ჩაყირ/ოსმ. ყირიმ. ჩაღირ (شاقراغ) / თურქ. ჩაღრი (çadır) – მონოდება, მონვევა, მოპატიჟება, ყვირილი, ძახილი, სიმღერა⁷⁸.

თურქ. ჩაღრიჯი (çadırçici) – მანვიერი, მოპატიჟილ⁷⁹.

ყირგიზ. შაყრიყ (<შაყირ+ყ) – ხმამაღლა მომღერალი ფრინველი⁸⁰.

ამ სიტყვებთან ქართული „ჩახრუხი“ ზედმიწევნით ახლო რომაა (ფონეტიკურადაც და სემანტიკურადაც), – უდავოა!

აქვე, თუ გავიხსენებთ იმასაც, რომ თურქულსა და მის დიალექტებში დახურულ მარცვალში ი/უ ჩვეულებრივი მოვლენაა⁸¹, მაშინ ფონეტიკური პროცესი „ჩახრუხის“ მიღებისა, ასე უნდა წარმოვიდგინოთ:

შაყრიყ>შაყრუყ⁸²>შახრუხ⁸³>ჩახრუხ-ი.

რაც მთავარია, ჩემს ამ მოსაზრებას უტყუარსა ხდის ყირგიზ. შაყრიყ-ის სემანტიკისა და *Tetrao urogallus*-ის საქციელის ურთიერთდამთხვევა: შაყრიყ – ხმამაღლა მომწოდებელი, ხმამაღლა მომპატიჟებელი; *Tetrao urogallus* – მამალი, რომელიც თავდავიწყებით უხმობს დედალს.

ახლა უკვე ნათელია, რატომ დაასახელა (ლაპის განმარტებისას) საბამ „ჩახრუხი“ კოკობთან, კავაბთან, როჭოსთან, შურთხთან, გნოლთან და ასკატასთან.

არსებობს ქართული „ჩახრუხის“ მიღების სხვა გზაც:

საღრილუ>საღრულუ>შახრუხი⁸⁴>ჩახრუხი.

[ჯალათ. საღრაღლუ (شاقراغ)/თარანჩ. საღრილუ – „ყრუ“]⁸⁵.

ამ შემთხვევაში „ჩახრუხის“ სემანტიკა იქნება „ყრუ“, – მგავსად რუს. Глухарь-ისა⁸⁶.

გამორიცხული ისიც არაა, რომ *Tetrao urogallus*-ის ხმიანობა: „კა-ღუ=კა-ღუ=კა-ღუ“ (კირიკოვით) ქართულის ყურმა აღიქვა, ვითარცა: „ჩახ-რუხ=ჩახ-რუხ=ჩახ-რუხ“ და „ჩახრუხი“ ისეთივე ხმაბაძვითი სახელწოდება იყოს, როგორცაა, მაგალითად: კაკაბი, კოკობი, კაჭკაჭი, ოფოფი, როჭო და სხვ. მრ.

ამ სამი გზიდან, რომელიც არ უნდა მივიჩნიოთ სარწმუნოდ, ერთი ცხადია, „ჩახრუხი“⁸⁷ უახლოესი ნათესავია „როჭოსი“, მისი ლათ. ნომენკლატურაა *Tetrao urogallus*, XIX საუკუნემდე ყოფილა ჩვენშიც.

შენიშვნები

1. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., – 1941, გვ. 30, 15.
2. იგივე წიგნი, გვ. 261.
3. ლეოლრაფიული აღწერა საქართველოსა ბატონიშვილის ვახუშტის მიერ მის ნამდვილზე დაბეჭდილი აკადემიკისა ბროსეტის-გან. S.-PB – 1842, გვ. 59.
4. Царевич Вахушти, Географія Грузіи. Введеніе, переводъ и примечанія М. Г. Джанашвили, Тифлис – 1904, გვ. 27.
5. თეიმურაზ ბაგრატიონი, წიგნნი ლექსიკონნი, გურამ შარაძის რედაქციით, თბ., – 1979.
6. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, აღ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., – 1961.
7. რ. ერისთავი, მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი, ტფ. – 1884.

8. დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, C.-II. – 1887. ბიანკის ლექსიკონში, რომელსაც აქ უთითებს დ. ჩუბინაშვილი, შარუხ/შაჰრუხ არავითარ ბულბულად არა „ჰსნერია“;

იქ ბულბულის შესატყვისია შარიქ:

كشار (chārik) – 1. ერთგვარი ფრინველი; 2. ბულბული (Dictionnaire turc-français, par J. D. Kieffer et T. X. Bianchi, t. 2, Paris, გვ. 4).

(ეს ლექსიკონი თბილისის არც ერთ ბიბლიოთეკაში არ აღმოჩნდა; გამოვიწერე რუსეთიდან, რაშიც დახმარება გამიწია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფუნდამენტალური ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილემ ნოდარ გურგენიძემ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ).

სხვათა შორის, ეს ფრინველი ბუდაგოვთან წარმოდგენილია სამი ფორმით: كشار (შარექ), كراس (სარექ), وارش (შარჶ), და („ბაბურ-ნამეს“ დამოწმებით: 361) განმარტებულია ასე: „თავშავი და ჭრელბუმბულა ფრინველი, ბულბულის მსგავსი და თუთიყუშივით მოლაპარაკე, შროშანზე ოდნავ დიდი (Баб. 361)“ – (Л. З. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, т. I, СПб. – 1869, გვ. 660, სვეტი 1).

თვით „ბაბურ-ნამე“-ში წერია: „ინდოეთში მოიპოვება შარაქი... შარაქს შეიძლება ასწავლო ლაპარაკი. იქ არის კიდევ შარაქის ნაირსახეობა, ჰქვია პინდავალი. პინდავალის ძალუძს ლაპარაკი და ლაპარაკობს სუფთად. გვხვდება აგრეთვე შარაქის სხვა სახეობაც: უინ-შარაქი. ამ სახეობის ფრინველი არ ლაპარაკობს“ (Бабур Захириддин Мухаммед, "Бабур-наме", Ташкент – 1958, გვ. 322).

ამ წიგნს დართულ შენიშვნებში აღნიშნულია:

შარაქ – ჩანს, სახეობაა შროშანისა.

პინდავალი – მგალობელი მეინა, შროშანის სახეობა.

უინ-შარაქ – ტყის შროშანი (გვ. 467).

9. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, თბ., – 1964.

10. გ. გამყრელიძე, ლექსები, მოთხრობები და ნარკვევები ფრინველებზე, ვაშინგტონი - 1963.
11. ვისრამიანი, მეორე გამოცემა, აღ. ბარამიდის, პ. ინგოროყვას და კ. კეკელიძის რედაქციით და შესავალი წერილით, ლექსიკონი იუსტინე აბულაძისა. ტფ. - 1938, გვ. 47, 2.
12. ვისრამიანი, რედაქტორობით ილ. ჭავჭავაძის, აღ. სარაჯიშვილის და პეტ. უმიკაშვილის, ტფ. - 1884.
13. ვისრამიანი, მეორე გამოცემა, ტფ. - 1938.
14. ვისრამიანი, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს აღ. გვახარიამ და მაგალი თოდუამ, თბ., - 1962.
15. არჩილიანი, ტ. II, თბ., - 1937. თანდართული ლექსიკონი შედგენილია ნ. ბერძენიშვილის მიერ.
16. Висрамиани, перевод с древнегрузинского, предисловие и комментарий С. Иорданашвили. Литературная редакция В. Эльснера, Тб., - 1949, გვ. 48; ამავე წიგნის მეორე გამოცემა, Тб., - 1960, გვ. 38. მთარგმნელი იგივე.
17. Н. Я. Марр, Вопросы Вепхисткаосани и Висрамиани, ი. ვ. მეგრელიძის რედაქციით, თბ., - 1966, გვ. 221.
18. Dictionnaire turc-francais, par J. D. Kieffer et T. X. Bianchi, t. 2, Paris, გვ. 11.
19. I. A. Vullers, Lexicon persico-Latinum, Bonnae ad Rhenum - 1855.
20. Л. З. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий, т. 1. СПб-1869, გვ. 633; სვეტი 2.
21. Полный персидско-арабско-русский словарь, составил полковник И. Д. Ягелло, Ташкент - 1910.
22. Персидско-русский словарь, в двух томах, под редакцией Ю. А. Рубинчика, изд. 2-е, т. 2, М., - 1983, გვ. 88, სვეტი 2.
23. Русско-персидский словарь, составили И. К. Овчинникова и др. М., - 1965, გვ. 283, სვეტი 1.

24. Макс Фасмер, *Этимологический словарь русского языка*, т. III, М., – 1971, გვ. 85.
25. Л. З. Будагов, *დასახელებული ლექსიკონი*, ტ. I, გვ. 590, სვეტი 2, 598, 1.
26. Ю. А. Рубинчик, *დასახ. ლექსიკონი*, ტ. I, გვ. 737, სვეტი 2.
27. Ю. А. Рубинчик, *დასახ. ლექსიკონი*, ტ. I, გვ. 455, სვეტი 2.
28. **bahri** – ალყუნი (*Alcedo atthis*) – (Турецко-русский словарь авторы: А. Н. Баскаков и др. М., – 1977, გვ. 90, სვეტი 2).
29. „ბაჰრი – შავარდენს ჰგავს“ (საბა);
 იოანეთი და თეიმურაზით: „ბარი“.
 „ბარი – მონადირეთ ფრინველი, გავაზსა ჰგავს“ (ი. ბაგრატიონი: *დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები*, გამოსცა ლ. ქუთათელაძემ, თბ., – 1967, გვ. 186);
 „ბარი – მონადირე ფრინველი, მოლურჯო ფერით“... (თ. ბაგრატიონი, *წიგნნი ლექსიკონნი*, გამოსცა გ. შარაძემ, თბ., – 1979, გვ. 27).
 დ. ჩუბინაშვილთან ორივე ფორმაა, – „ბაჰრიცა“ და „ბარიც“; მისი აზრით, პირველი („ბაჰრი“) „შავარდენის მსგავსია“, მეორე („ბარი“), – „გავაზისა“; რუსული შესატყვისი ორივესი ერთია – **балабан** („ბართან“ *коршун-იცაა*) – (დ. ჩუბინაშვილი, *ქართულ-რუსული ლექსიკონი*, თბ., – 1984).
балабан „ბაჰრის“ რუსული შესატყვისია რ. ერისთავთანაც (რ. ერისთავი, *მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი*, ტფ. – 1884).
30. „ზალანჰს (*زاغانوس*), რადლოვით, – მონადირე ბუა“ (В. В. Радлов, *Опыт словаря тюркских наречий*, т. IV, часть 1, СПб-1911, სვეტი 860), თანამედროვე ლექსიკონით, – „*zağanos* („ზალანოს“) – შავარდენი (*Falco*)“ – (Турецко-русский словарь, авторы: А. Н. Баскаков и др., М., – 1977, გვ. 941).

31. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., - 1941, გვ. 30, 15-17-18.
32. ყველგან იგულისხმება საბასეული „ჩახრუხი“, საბასეული, ქართული და არა სხვა რომელიმე ენისა.
33. რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბ., - 1959, კონსულტანტი არჩ. ჯანაშვილი.
34. მირ. კუტუბიძე, ფრინველების ნომენკლატურული ტერმინოლოგია, თბ., - 1973; რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., - 1983.
35. რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., - 1956, ტ. I, კონსულტანტი არჩ. ჯანაშვილი;
 „სოლოს“ ამგვარი გაგების საფუძველია რ. ერისთავისეული (ავტორის მიერვე საეჭვოდ მიჩნეული) განმარტება სოლოსი [„სოლო (მფრინ) – *Tetrao urogallus* (რ. ერისთავი, მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი, ტფ. - 1884, §327)].
36. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, თბ., - 1960. კონსულტანტი არჩ. ჯანაშვილი.
37. მირ. კუტუბიძე, დასახელებული წიგნი, თბ., - 1973; რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1983; დ. ჩუბინაშვილით, „სოლოს“ რუსული შესატყვისია *цицарка* [„სოლო – დიდი ქათამი, *цицарка*“ (დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., - 1984)].
38. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, ტ. II, თბ., - 1975.
39. იგივე წიგნი, იგივე ტომი, იგივე გამოცემა.
40. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VI, თბ., - 1960.
41. ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, ტ. II, თბ., - 1975.
42. ქეთევან ძონენიძე, ზემოიბერული ლექსიკონი, თბ., - 1974.
43. ქართ. ენის განმარტ. ლექსიკონი, ტ. VI, თბ., - 1960.
44. ქართლური დიალექტის ლექსიკონი, თბ., - 1981.
45. ნ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., - 1971.
46. А. Брем, Жизнь животных, т. IV, ч. 1, СПб – 1869, გვ. 331.

47. ПСС, т. IV, გვ. 112, რუკა №9.
48. А. Брем, Жизнь животных, т. II. Птицы, СПб – 1875, გვ. 97.
49. А. Брем, Жизнь животных, т. II. Птицы, СПб – 1875, გვ. 94.
50. А. Брем, Жизнь животных, т. IV, ч. 1, СПб – 1869, გვ. 318.
51. უკვე, გვ. 322.
52. А. Брем, Жизнь животных, т. II. Птицы, СПб – 1875, გვ. 91.
53. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., – 1941, გვ. 40, 36; 41, 2.
54. ვახუშტი, დასახელებული წიგნი, გვ. 42, 7.
55. Русско-персидский словарь под редакцией Али Асадуллаева и Л. С. Пейскова, М., – 1965, გვ. 158, 597, 1014.
 რუბინჩიკით (Персидско-русский словарь, М., – 1983, ტ. I, გვ. 550). *خروس كولى* (ხორუსქოქული) „პრანწიაა“ (ყიბის, *пигалица*), მითითებულ რუსულ-სპარსულ ლექსიკონში (გვ. 598) „პრანწიას“ (*пигалица*) სპ. შესატყვისია *كاروان* (ქარვანაქ), რომელიც რუბინჩიკთან (ტ. II, გვ. 293) განმარტებულია, როგორც „წერო“ (*журавль*).
56. Русско-турецкий словарь, составили Э. М. – Э. Мустафаев и В. Г. Щербинин, М., – 1972, გვ. 149; Турецко-русский словарь, составил Д. А. Магазаник, М., – 1945, გვ. 658, 107, 252.
57. Русско-азербайджанский словарь, Баку – 1956, т. I; Азербайджанско-русский словарь, под редакцией Г. Гусейнова, Баку – 1941, გვ. 202, 319; Русско-азербайджанский словарь, Баку – 1959, т. II.
58. „Глухарь – სიტყვიდან „глухой“, იმის გამო, რომ ეს ფრინველი ამრუზისას ყრუვდებასავე“ (Макс Фасмер, Этимоло-

- логический словарь русского языка, т. I, М., - 1964, გვ. 417).
59. Армяно-русский словарь, составили проф. А. С. Гарибян и др. Ереван - 1960, გვ. 188, 196, 250; ი. შილაკაძე, ახალი სომხური ენის გრამატიკა, თბ., - 1971, გვ. 255.
 60. Т. З. Захидов, Зоологическая энциклопедия. Птицы. Ташкент - 1959, გვ. 119, 127; Русско-узбекский словарь, под редакцией А. Усманова и Р. Абдурахманова, т. I, Ташкент - 1950, გვ. 355; Узбекско-русский словарь, под редакцией С. Ф. Акабирова и др. М., - 1959, გვ. 203; Русско-узбекский словарь, под редакцией Р. Абдурахманова, М., - 1954, გვ. 135; Русско-узбекский словарь, редакторы: С. Ф. Акабиров и др. т. V, Ташкент - 1955, გვ. 337.
 61. Семязычный словарь названий животных Европы, латинский, немецкий, английский, французский, венгерский, испанский, русский, Budapest - 1979, т. I, §11154, 6741; Краткий французско-русский и русско-французский словарь, составили К. С. Выгодская и О. Л. Долгополова, М., - 1970, გვ. 133; ქართულ-ფრანგული ლექსიკონი, შედგენილი ი. გვარჯალაძისა და ე. ლებანიძის მიერ, თბ., - 1971, გვ. 429; Русско-испанский словарь, составили Х. Ногеира и Г. Я. Туровер, М., - 1974, გვ. 773.
 62. А. Т. Карасаев, А. Г. Мациев, Русско-чеченский словарь, М., - 1978, გვ. 108, 131, 241.
 63. А. Брем, Жизнь животных, т. IV, ч. 1, СПб-1869, გვ. 316; А. Брем, Жизнь животных, т. II. Птицы. СПб-1875, გვ. 92.
 64. ПСС, т. IV, М., - 1952, გვ. 88-89.
 65. Евг. Евтушенко, Избран. произведения, т. I, М., - 1975, გვ. 294.

66. А. Брем, Жизнь животных, т. II, Птицы. СПб-1875, გვ. 92.
67. Հայ-ռուսերն քառարան, Երեւան – 1884, გვ. 327, სვეტი 1.
68. აქედან „კაჭკაჭი“ (*Pica pica*).
69. აქედან „საყსაღან“ (ساقساغان) – „კაჭკაჭი“ (В. В. Радлов, Опыт словаря тюркских наречий, т. IV, ч. 1, кол. 257, СПб-1911).
70. აქედან „კოკობი“ (*Phasianus*).
71. ასე ეამის კოკობის ხმიანობა სპანგენბერგს (ПСС, т. IV, გვ. 206).
72. აქედან „ოფოფი“ (*Upupa*).
73. აქედან სპ. „ჰოდჰოდ“ (هدهد) – (Персидско-русский словарь под редакцией Ю. А. Рубинчика, т. II, М., – 1983, გვ. 714, სვეტი 2).
74. მხედველობაში არ ვიღებ **токование**-ს რუსულ-ქართული ლექსიკონისეულ შესატყვისს: „ტიხტიხი“ (იხ. რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ. – 1983, გვ. 760, სვეტი 1), ვინაიდან იგი იქ „როჭოს“ ხმიანობას აღნიშნავს; სხვაგან ეს სიტყვა (ქართულშივე) ნახმარია „ღაღღის“ ხმიანობის აღსანიშნავად („ბნელში ხრინნინად ტიხტიხებდა ღაღღა“ – კ. ლორთქიფანიძე, – ქეგლ. ტ. VI); როჭოსა და ღაღღის ხმიანობას კი, სპეციალური ლიტერატურის მიხედვით (რომელსაც, მთლიანად თუ არა, ნანილობრივ მაინც შეიძლება ვენდოთ) არავითარი მსგავსება არა აქვს *Tetrao urogallus*-ის ხმიანობასთან; ღაღღა იძახის: „– გივ-გივ, გივ-გივ, გივ-გივ“ (სპანგენბერგი: ПСС, т. 3, გვ. 653), ხან: „– ია-ია-ია-ია“ (ბუტურლინი, იქვე, გვ. 653), როჭო: „– გოლგოლგოლგოლრეი“ (ბეჰშთეინი), „რუტტურუ-რუტტურუიკი-ურრ-ურრ-ურრ-რრრუტტ-ურუ-რუტტუ-რუკი“ (ნილსონი), რაც ბრემს უფრო ადეკვატურად მიაჩნია (Жизнь животных, всеобщая история животного царства А. Брема, т. IV, ч. 1, СПб-1869, გვ. 326-327).

ბ. ჩუბინაშვილთან **токование**-ს ქართული შესატყვისია „კაკანი“ (**Токовать**, *въл, кую, ещъ* – კაკანებს (ტყის ქათამი)“]– (ბ. ჩუბინაშვილი, *რუსულ-ქართული ლექსიკონი*, ტ. I, აღ. ლლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., – 1973, გვ. 554, სვეტი 1).

დ. ჩუბინაშვილთან „კაკანის“ რუსული შესატყვისია **кудахтанье** (დ. ჩუბინაშვილი, *ქართულ-რუსული ლექსიკონი*, მეორე გამოცემა, თბ., – 1984, სვეტი. 589).

ამ ორ განმარტებას შორის ერთი შეუსაბამობაა:

მართალია, **токование** შეიცავს **кудахтанье**-ს, მაგრამ **кудахтанье токование**-ს – არა! – „კაკანში“ არ იგულისხმება „токование“-ს დედაზრი, – ხეენა, მუდარა, მონოდება.

75. В. В. Радлов, *Опыт словаря тюрских наречий*, т. IV, ч. 1, кол. 932, СПб – 1911.
76. В. В. Радлов, *დასახ. წიგნი*, т. IV, ч. 1, кол. 932-933, СПб – 1911,
77. იქვე, სვეტი 934.
78. В. В. Радлов, *Опыт словаря тюркских наречий*, т. IV, ч. 1, кол. 932, 934, СПб – 1911; т. III, ч. 2, кол. 1834, 1845; *Турецко-русский словарь*, авторы: А. Н. Баскаков и др. М., – 1977, გვ. 163, სვეტი 3.
79. *Турецко-русский словарь*, М., – 1977, გვ. 163, სვეტი 3.
80. В. В. Радлов, т. IV, ч. 1, кол. 934.
81. ც. აბულაძე, *სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანის თურქული თარგმანები*, თბ., – 1968, გვ. 33, 11.
82. შდრ: قارچ („ჩარჩი“)/ قارچ („ჩარჩი“)/ قارچ („ჩარჩი“) – (В. В. Радлов, т. III, ч. 2, кол. 1863).
83. „ყ>ხ, ჩვეულებრივია აზერბაიჯანულისათვის და გარეცელებულია ანატოლოურის დიალექტებში“ (ც. აბულაძე, *სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონის სიტყვანის თურქული თარგმანები*, თბ., – 1968, გვ. 36).

84. შდრ: არაბ. სახანავთ (سَخَاوَة) > ქართ. შელავათ-ი, სპ. აქსარ (افسار) > ქართ. ავშარა.
85. В. В. Радлов, т. IV, ч. 1, кол. 276.
86. მამიდაჩემი, მახსოვს, გამოყრუებულ მუზობელ ბერიკაცზე იტყოდა ხოლმე: – ჩუხრუხი მოდის, ჩუხრუხი მოვიდაო!
- სიტყვა კი დამამახსოვრდა, მაგრამ მისი მნიშვნელობა არ ვიცი (სანამ მამიდა ცოცხალი იყო, არ მიკითხავს);
- არადა, ვერც კაცი ვნახე ისეთი და ვერც წიგნი, რომელიც ამიხსნის რას ნიშნავს ეს სიტყვა.
- ვფიქრობ: „ჩუხრუხი“ თავდაპირველი სახე უნდა იყოს „ჩრუხისა“ [ჩრუხ-ი (ქართლ.) – იგივეა, რაც ყრუ]:
- ჩახრუხ > ჩუხრუხ > ჩხრუხ > ჩრუხ-ი (შდრ: ლერლედ > ღრლედ > ღრედ-ი); თვით ჩახრუხ/ჩუხრუხი მიღებული ჩანს თარანჩინული „საღრიღლუდან“ [თარანჩ. საღრიღლუ/ჯაღათ. სანღრანღუ (سَاغْرَاغُو) – ყრუ (რადლოვი, ტ. IV, ნ. 1, სვ. 276)].
87. „ჩახრუხი“ რომ დღეს თურქულში იმას არ ნიშნავს, რასაც ქართულში, ეს არაა ერთადერთი შემთხვევა;
- ასევეა „ზორაყი“, რომელსაც ირანულში არა აქვს ის მნიშვნელობა, რაც ქართულში.
- ქართულად იგი ნიშნავს „თუთიყუმს“ (იხ. საბა), წარმოშობით კი ირანული სიტყვაა [ოს. ძურაგ („მოლაპარაკე“) > ქართ. ზორაყ-ი].

ნაშვი

„ნაჟვი“, როგორც განსამარტი ერთეული, საბას ავტოგრაფული ნუსხებიდან არ არის მხოლოდ ერთში (Q-400), რადგან აკლია ის ფურცელი, სადაც შეიძლება იგი ყოფილიყო.

ორში (H-416, H-95) არ ახლავს ხის ნიშანი, უზის მხოლოდ უცხო შესატყვისი: „ჯალღუზა“.

ორში (S-2498, K-300) წარმოდგენილია ხის ნიშნითა და იმავე უცხო შესატყვისით: „ჯალღუზა“.

ერთში (A-1473) მითითებულია წყარო (II ნემტ. 9,27), არ უზის არც ხის ნიშანი, არც უცხო შესატყვისი.

ორში (H-1658, A-75) უზის ხის ნიშანი, მითითებულია იგივე წყარო, რაც წინარე ერთში (A-1473), ახლავს იგივე უცხო შესატყვისი, რაც H-416-ში, H-95-ში, S-2498-ში და K-300-ში.

ერთში (H-1429) არა მარტო ხის ნიშანი უზის და არა მარტო წყაროა მითითებული, განმარტებულიცაა: „ხულია ფიჭვივით“.

„ნაჟვის“ რაობას მნიშვნელოვანწილად განმარტავს აგრეთვე მისი დასახელება „ბუსტულისა“ და „ხულის“ განმარტებისას [„ბუსტული“ – ხულია ნაჟესავით, დიდი ბელეკონი“ (H-1429); „ხული (ენოდების) ქერქ-მაგართა, ვითარცა ნუშთა, ნიგონთა, ნაბლთა, ნაჟეთა და მისთანათა“ (H-1429, A-1473, A-75 – იხ. „ხიჩატელი“)].

დავით ბაგრატიონი საბას ლექსიკონის ერთერთ არაავტოგრაფულ ნუსხაში არსებულ „ნაჟვის“ განმარტებას [„ნაჟუ (ხე) – (2 ნემტთა, 9, 27) – ფიჭვივით“], თავის მხრივ, უმატებს: „ფიჭვის კენკრა, – თუთ-ლი“³.

იოანე ბაგრატიონთან „ნაჟვი“ განმარტებულია ასე: „ნაჟვი-ფიჭვის კაკალი – ჯანყუზა“⁴.

ნ. ჩუბინაშვილთან უზის მხოლოდ ხის ნიშანი⁵.

დ. ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ-ფრანციკულ ლექსიკონში“ „ნაჟუზე“ მხოლოდ ისაა ნათქვამი, რომ იგი არის სახელწოდება ხისა („название дерева, nom d'arbre“)⁶.

მისსავე „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ „ნაჟვის“ რუსული შესატვისნი არიან: „пихта, сосна“ (ე. ი. „სოჭი, ფიჭვი“):

ნემტთა II წიგნის შემცველი ქართული ბიბლიის ოთხი ხელნაწერიდან „ნაჟვი“ წერია ორში (A-51⁸, A-646⁹): „და მოსცა მეფემან... ნაჟუ ვითარცა ლულუსულელი... (II ნემტ. 9,27); დანარჩენ ორში (A-570, H-885) ამ წიგნის მეცხრე თავს არ მოეპოვება ის მუხლი (27), სადაც შეიძლებოდა იგი წერებულიყო.

მეფეთა III წიგნის იმ ადგილას (10, 27), სადაც მოთხრობილია იგივე ამბავი, რაც ნემტთა II წიგნში (9, 27), ყველა ნუსხაში (A-51-სა და A-646-ის ჩათვლით), რომელიც დასახელებული წიგნის დასახელებულ თავსა და მუხლს შეიცავს¹⁰, ნაცვლად „ნაჟუსა“ წერია „ფიჭვ“: „და დადვა მეფემან სოლომონ... ფიჭვ ვითარცა თუთმავალი ლელვანი“¹¹... (III მეფ. 10,27).

ბაქარიეული (1743 წ.) ბიბლიის ბექდურ გამოცემაში, ზემოხსენებულ ნუსხათა „ნაჟუსა“ და „ფიჭვს“ ადგილას „კედრია“: „...კედრი ვითარცა ჟოლა...“¹² (II ნემტ. 9,27; III მეფ. 10,27).

ბერძნულში შესაბამის ადგილას არის χένძრის¹³ (II ნემტ. 9,27; III მეფ. 10,27), სომხურში, – ყაყთ მაყი (II ნემტ. 9,27), ხიჩხინაყაყთ¹⁴ (III მეფ. 10,27), სლავურში, – Кéдры¹⁵ (II ნემტ. 9,27; III მეფ. 10,27).

დასახელებულ ლექსიკონთა და ბიბლიის ქართულ ნუსხათა გარდა, „ნაჟვი“ ნახსენებია აგრეთვე ქანანელის „უსწორო კარაბადინში“¹⁶, ხოჯაყოფილის „წიგნი სააქიმოჲ“-ში¹⁷, „კელმწიფის კარის გარეგებაში“¹⁸, ზაზა ფანასკერტელის „კარაბადინში“¹⁹, დავით ბაგრატიონის „იადიგარ დაუდში“²⁰, საბასეულ „ქილილა და დამანაში“²¹.

„უსწორო კარაბადინში“ (XI ს.) ნახსენებია „ნაჟვის“ უცხო შესატყვისიც: „... ახალი ლელვიცა კარგია... ნუშის გულიც კარგია... ჯალლოზაც კარგია...“ (377,9).

„წიგნი სააქიმოჲში“ (XIII ს.) – (სადაც ასევე ნახსენებია „ჯალლოზაჲ“) „ნაჟვი“ (ნაჟი) და „ნადვი“ გაიგივებულია ერთმანეთთან:

„ჯალღობაჲ რომელსა ჰქვიან ნაჟი და თუ ნაძვი სამისა დრამისა წონი“ (224,16); „ნაძვისა გული არს, რომელ სპარსულად მას ჯალღორაჲ ჰქვიან“ (20,13).

ჩამოთვლილ ნიგნებს დართულ ლექსიკონებში „ნაჟვისა“, გარკვეულ დროს მისი სინონიმისა („ნაძვი“) და უცხო შესატყვისის („ჯალღობა“, „ჯალღორაჲ“) განმარტებანი ამგვარია:

ნაჟი – 62,10 და 13. – ფიჭვის კაკალი.

ჯალღობა – 377,9 (არაბ. ჯალღობა, resp, სპ. ჯალღობა) – ერთგვარი ნიგოზია („უსწორო კარაბადინი“).

ნაჟი – 224,16 (ყოველგვარი განმარტების გარეშე).

ნაძვი – *Picea Oruentalis Carr. Pinus Silvestris L.*

ნაძვის ნიგოზი – *Gemmae Pini Silvestris.*

ნაძვის გული – *Lana Pini Silvestris.*

ჯალიღობაჲ – 95,26. – ირან. *اجلج* ჯალღობა – ნაძვის ნიგოზი – *Gemmae Pini.*

ჯალღორაჲ – 20,14. – mala lectio. უნდა იყოს ჯალღობა – იგ. მნიშვნ. („ნიგნი სააქიმო“).

ნაჟი – 343 – (ყოველგვარი განმარტების გარეშე) – („კელმწიფის კარის გარიგება“).

ნაჟი – (295,6) – „ფიჭვის კაკალი“ (საბა) – (ზაზა ფანასკერტელის „კარაბადინი“)²².

ნაჟი – 190,12; 274,17. – ნაძვი – *Pinus Silvestris* („იადიგარ დაუდი“).

ნაჟი – II, 1, – 129,15 – წინვოვანი ხეა (ს. ს. ორბელიანი, თხზულებანი, II, თბ., – 1962, გვ. 358).

ნაჟი – ნაძვი (ქილილა და დამანა, მ. თოდუას გამოცემა)²³.

ისმის კითხვა: –

რაა ეს „ნაჟი“?! –

ხე არის, ხის ნაყოფი თუ ერთიცა და მეორეც?!

თუ ხეა, – რომელია, – ფიჭვი, სოჭი, ნაძვი თუ კედარი?!

თუ ნაყოფია, რისი, – ფიჭვისა, სოჭისა, ნაძვისა თუ კედრისა?!
არის თუ არა „ნაჟვის“ უცხო შესატყვისი „ჯალღუზა“ და ლათ.
ნომენკლატურა „*Pinus silvestris*“?!

საბა ბრძანებს: – ნაჟვი ხულია ფიჭვივითო!

ეს კი ნიშნავს: „ნაჟვი“ არის არა ზოგადად „ფიჭვი“, არამედ, –
ფიჭვისნაირი ხე, ერთერთი სახეობა ფიჭვისა.

„კელმწიფოს კარის გარიგებიდან“ (XIV ს.), „იადიგარ დაუდიდან“
(XVI ს.) და „ხულის“ საბასეული განმარტებიდან (XVIII ს.) ნათლად
ჩანს, რომ „ნაჟვი“ არის ხილი, რომელიც იჭმება:

1. „სანახავი ძღვენი: ლელვი კეოტსა ზედა დაცმული, ჩურჩხელი...
ნუში, ნაჟვი, თუთუბო, აღარდენი და ბრონეული...“ („კელმწიფოს
კარის გარიგება“ – 15, 343).

აქ „ნაჟვი“ დასახელებულია მათ შორის, რომელთაგან ნაწილი
პირდაპირ იჭმება (ლელვი, ჩურჩხელი, ნუში, ბრონეული), ნაწილი გამ-
ოიყენება სანელებლად (თუთუბო, აღარდენი), ე. ი. ესენიც იჭმებიან.

2. „ხილებისაგან ამ რიგი ხილები აჭამონ: ტკბილი ბრონეული,
ტკბილი ბია, ხმელი ყურძენი, ნაჟვის გული, წიფლის გული, ნიგოზი...“
(„იადიგარ დაუდი“ – 398,2).

აქაც „ნაჟვი“ ისეთივე საჭმელი ხილია, როგორც ბრონეული, წიფ-
ლის გული, ნიგოზი და სხვ.

3. „ხული (ენოდების) ქერქ-მაგართა, ვითარცა ნუშთა, ნიგოზთა,
ნაბლთა, ნაჟვთა და მისთანათა...“ (საბა).

„ნაჟვი“ აქაც ის ხილია (საბათი: ხული), რომელიც იჭმება (მს-
გავსად აქ ჩამოთვლილი სხვებისა).

მამასადამე, „ნაჟვმა“ (ციტირებული მასალის მიხედვით) უნდა
დააკმაყოფილოს შემდეგი სამი პირობა:

1. უნდა იყოს ფიჭვის მსგავსი.
2. უნდა იჭმებოდეს.
3. უნდა იყოს საქართველოში.

სოჭი კია ფიჭვის მსგავსი, კია საქართველოში, მაგრამ მისი თეს-
ლი არ იჭმება²⁴.

ნაძვი კია ფიჭვის მსგავსი, კია საქართველოში, მაგრამ მისი თესლი არ იჭმება²⁵.

კედრი კია ფიჭვის მსგავსი, კია საქართველოში, მაგრამ მისი თესლი არ იჭმება²⁶.

თავად ფიჭვის გვარი მოიცავს ასამდე სახეობას²⁷.

თესლი იჭმება ცამეტი მათგანისა²⁸.

აქედან ექვსი მოიპოვება ჩვენში.

ამ ექვსიდან ხუთი (საჭმელი ფიჭვი, ოთხნინვა ფიჭვი, ბურგეს ფიჭვი, ჟერარდის ფიჭვი, საბინის ფიჭვი) ინტროდუქცირებულია არა უწინარეს XIX საუკუნისა²⁹.

მხოლოდ ერთი, იტალიური ფიჭვი (*P. pinea* L.), ბუნებრივად ხარობს საქართველოს ყოფილ ტერიტორიაზე, – ართვინის ოლქში³⁰.

P. pinea-ს, როგორც კულტურულ მცენარეს, იცნობდნენ ჯერ კიდევ ეტრუსკები (პირველი ათასწლეულის დასაწყისში, ჩვენს ერამდე).

იგი შენირული იყო ბახუსისადმი.

იტალიაში მისი ხალხური სახელწოდებაა *Pino domestico* („შინაური ფიჭვი“).

საქვეყნოდ განთქმულია *P. pinea*-ს ჭალა ქალაქ რავენასთან (უჭირავს 40 ინგლისური მილი). ამ ჭალის პოპულარობას, ეტყობა, დიდად შეუწყო ხელი ბოტიჩელის ცნობილმა ნახატმა (ბოტიჩელიმ დაასურათა ბოკაჩოს ერთი ნოველა, რომლის მოქმედება სწორედ ამ ჭალაში მიმდინარეობს)³¹.

XIX ს-ში *P. pinea*-ს თესლი წარმოადგენდა საბერძნეთის ექსპორტის უმთავრეს საგანს³².

საქართველოში ამ მცენარის არსებობა მეცნიერებისათვის ცნობილი გახადა ფ. ი. რუპრეხტმა, რომელმაც 1860-1861 წლებში გამოიკვლია კავკასიის ფლორა და 1869 წელს გამოსცა წიგნი „*Flora Caucasi*“³³.

მედვედევის აზრით, [რომელსაც *P. pinea*-ს არაერთი ძირი უნახავს დასავლეთ საქართველოს (გურია-სამეგრელო) ნასაყდრალეხა

და ნასოფლარებში] *P. pinea* საქართველოს ამ კუთხეში გაგარეულ-ბულია და არა გარეული.

მას *P. pinea*-ს გარეული სახით არსებობა უფრო სარწმუნოდ მიაჩნია ბათუმის ოლქში, ართვინისა და არტანუჯის ახლოს, მაგრამ, რადგან ეს მხოლოდ სხვებისაგან აქვს გაგონილი, ამიტომ, მისი სიტყვით, კავკასიაში *P. pinea*-ს ბუნებრივი გავრცელების საკითხი, დადებითი მონაცემების უკმარობის გამო, გადაუჭრელად უნდა ჩაითვალოს³⁴.

P. pinea (გურია-სამეგრელოში მისი არსებობის მითითებით) შეტანილია ე. ბუასეს ნიგში: *Flora Orientalis. Supplementum. 1867-1884. V. 694.*³⁵

1885 წელს *P. pinea* ბათუმის ოლქში საკუთარი თვალთ ნახა ვ. ი. მასალსკიმ, რომელმაც საიმპერატორო ბოტანიკური ბაღის დავალებით იმოგზაურა ამ მხარეში³⁶.

1913 წლისათვის ართვინის ოლქში არსებული *P. pinea*-ს ჭალა (ელდარისა და ბიჭვინთის ფიჭვნარებთან და ლაგოდეხის ხეობასთან ერთად) გამოცხადებულია სახელმწიფო ნაკრძალად (დ. ი. სოსნოვსკი).

ეს ჭალა მდებარეობს ჭოროხისა და ხატილა-სუს შორის, სოფ. „ნაჯვიასთან“; აქ *P. pinea*-სთან ერთად ხარობს ხეშიშველი (*Arbutus andrachne L.*), თიციურა (*Cistus*), განსაკუთრებული სახეობის მუხა და სხვ. ესაა თითქმის ერთადერთი ადგილი *P. pinea*-ს არსებობის ამიერკავკასიაში³⁷.

1926-ისა და 1949 წლის მონაცემებით *P. pinea*-ს ბუნებრივი გავრცელების უკიდურესი დასავლეთის წერტილია პირინეის ნახევარკუნძულის სამხრეთი ნაწილი, – ატლანტის ოკეანის სანაპირო, აღმოსავლეთისა, – მდინარე ჭოროხი, – სოფელი ნაჯვია, – საკმაოდ მოზრდილი წყვეტილით: მცირე აზიიდან ტრაპიზონამდე *pinea* არ მოიპოვება³⁸.

ყოველივე ზემოთქმულიდან, ვფიქრობ, ნათელი გახდა:

ნაჟვი არის ის ფიჭვი (ფიჭვი და არა ნაძვი)³⁹, რომლის ნაყოფიც (სახელად ნაჟვივე) იჭმება!

კი, მაგრამ ფიჭვის ასამდე სახეობიდან, ნაყოფი იჭმება (როგორც უკვე ვიცით) ცამეტისა;

საქართველოში (1949 წლის მონაცემებით) ამ ცამეტიდან არის ექვსი;

რომელი მათგანია ნაჟვი?!

ის ფაქტი, რომ ჯერ ფ. ი. რუპრეხტმა (1860), შემდეგ ი. ს. მედვედევმა (1883) გურია-სამეგრელოში საკუთარი თვალთ ნახეს *P. pinea*-ს ხანდაზმული ეგზემპლარები [და არ უნახავთ (რაც არ იყო, რას ნახავდნენ!) საქმელი ფიჭვის დანარჩენი ხუთი სახეობიდან (რომელიც დღესაა ჩვენში)⁴⁰, – არც ერთი!], საქართველოს ყოფილ ტერიტორიაზე კი, ჭოროხის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ბუნებრივად ხარობს (1885-ის, 1914-ის, 1919-ის, 1926-სა და 1949 წლის მონაცემებით) ფიჭვის სწორედ ეს სახეობა, საფუძველს მძლევეს, – დავასკენა: ბიბლიისეული⁴¹ (A-51, A-546), კარაბადინებისეული (უსწორო კარაბადინი, წიგნი სააქიმოე, ზ. ფანასკერტელის კარაბადინი, იადი-გარ-დაუდი), კელმნიფოს კარის გარიგებისეული და საბას ლექსიკონისეული ნაჟვის ლათ. ნომენკლატურაა *Pinus pinea* L. და არა *Pinus silvestris* L. (როგორც ეს აქამომდე ეგონათ)⁴².

ჩემს ამ დასკვნას სიმტკიცეს მატებს სახელწოდება ჭოროხის მარცხენა სანაპიროზე მდებარე სოფლისა (ნაჯვია); ეს სოფელი (როგორც უკვე ითქვა), *P. pinea*-ს ბუნებრივი გავრცელების აღმოსავლეთ საზღვარს წარმოადგენს;

„ნაჯვიას“ ძირია ნაჯვი/ნაჟვი; იგი ისევეა ნანარმოები, როგორც ტანძია⁴³ (<ტანძ), რკვია⁴⁴ (<რკო), ტყაია⁴⁵ (<ტყა), და მოუთითებს ადგილზე, სადაც ნაჟვებია⁴⁶.

ერთი სიტყვით:

ამიერიდან სათანადო ლექსიკონებში „ნაჟვის“ განმარტება უნდა იყოს ამგვარი:

ნაჟვი 1. (*Pinus pinea* L.) იტალიური ფიჭვი (ხე და ნაყოფი)⁴⁷; 2.

ფიჭვის ყველა იმ სახეობის ნაყოფი (თესლი), რომელიც იჭმება⁴⁸.

ორიოდე სიტყვა ნაჟვის ეტიმოლოგიისათვის.

ქართულში დადასტურებული ფორმები, ნაჟ-ი, ნაჟუ-ი და ნაჯუ-ი, არის სპარსულშიც: ნაჟ, ნაჟუ, ნაჯუ (მნიშვნელობა „ფიჭვი“)⁴⁹.

ამათ გარდა, იქ არის, აგრეთვე, ამ ფორმათა ფონეტიკური ვარიანტები (მნიშვნელობით იგივე): ნაზ, ნაზუ, ნოჟ, ნოჯ, ნოზ, ნოჟან⁵⁰.

ენათმეცნიერთა მიერ აქ წარმოდგენილ სპ. ფორმებთან კავშირში განიხილება ქართ. ნაძვი, მეგრ. ნუზუ, სომხ. ნოჭ (პ. ფოგტი, პრ. აჭარიანი, მზ. ანდრონიკაშვილი, თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი), სვან. ლუნზ, ნეზერა, ოს. ნაზ (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი)⁵¹.

ჰანს ფოგტის აზრით, ქართ. ნაძვი, მეგრ. ნუზუ ქართველურ-კავკასიურ სიტყვად უნდა მივიჩნიოთ, როგორც კავკასიის მთებისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი ხის სახელი, ხოლო სომხური ნოჭ, რომელიც ირანულიდან შეთვისებულად ითვლება, ამოსავლად გულისხმობს მეგრულ ჰიპოთეტურ ფორმას *nuj-i.⁵²

მზია ანდრონიკაშვილი, ფოგტის ამ მოსაზრების გამო, დასძენს: „მაგრამ არ შეიძლება ანგარიში არ გავნიოს იმ გარემოებას, რომ ძველი ირანული სიტყვის *nauca-ს პირველი წერილობითი ფიქსაცია ჯერ კიდევ აქემენიდების წარწერებში გვხვდება და მისი სამ. ირანული (პართული ეპოქისათვის) შესატყვისი უნდა ყოფილიყო ნოჭ, რომლის ზუსტ გადმოცემას წარმოადგენს სომხური ნინ“⁵³.

მისი აზრით: ქართ. ნაძვი/ნაძუ ეყრდნობა ახალ სპ. ფორმას واز (ნაზუ), სომხ. ნინ კი, – არშაკიდულ ჰიპოთეტურ ნინ-ს, და მათ შორის ისეთივე რიგის განსხვავებაა, როგორიცაა ქართ. ტაძარსა და სომხ. თაძარ-ს შორის [ქართული ეყრდნობა სასანურ ფალაურსა და ახალ სპარსულ ფორმებს, ხოლო სომხური, – არშაკიდულ ფალაურს (ირ. z>ქართ. d, ირ. č> სომხ. d)]⁵⁴.

თ. გამყრელიძისა და ვ. ივანოვის აზრით, იზოლირებულობა ძველი ირანული ფორმისა *nauca და გვიანდელი ნაჟუ-ისა, ამ ირანულ ფორმათა ქართველური ენებიდან სესხებას უნდა გულისხმობდეს, – უკანვე სესხების დაშვებით, – ირანულიდან ქართველურში⁵⁵.

ჩემი აზრით, ნაჟვის ქართულში გაჩენა დასაშვებია ორნაირად:

1. ო. ქართ. ნაძუ⁵⁶>ზან. ნაჯუ/ნაჟუ (ხმოვანთა გადანევამდე).

2. ქართ. ნეძუ>ზან. ნაჯუ/ნაჟუ (ბგერათა გადანევის შემდეგ).

2. Ⴀ. ქართ. ნაძუ > სპ. ნაჯუ/ნაჟუ > ქართ. ნაჯუ/ნაჟუ.

9. ქართ. ნეძუ > სპ. ნაჯუ/ნაჟუ > ქართ. ნაჯუ/ნაჟუ⁵⁷.

(ისევე, როგორც ქართ. სპილენძ-ი/პილენძ-ი > სპ. პირინჯ/ბრინჯ > ქართ. ბრინჯ-ი/ბრინჯაო)⁵⁸.

რაა პირველადი მნიშვნელობა ნაძუა (ყველა მისი ფონეტიკური ვარიანტის ჩათვლით) და როგორ მიიღო მან ეს სახე?!

ნ. მართან ნა-ძუ-ას (მეგრ. ნუ-ძუ/ნუ-ზუ, სომხ. ნო-ჭ/ნო-ჭ-ი) სახესხვაობად (разновидности) წარმოდგენილია ნე-ძუ, ხოლო ამ ნე-ძუ-ას ზანურ შესატყვისად ნე-ძი.

და, ვინაიდან ქართ. ნე-ძუ-ას ზან. შესატყვისი (ქართულ-ზანური ბგერათა ურთიერთშესატყვისობის მიხედვით) უნდა იყოს არა ნე-ძი/ნე-ზი, არამედ ნე-ჯ/ნე-ჩ, ანდა ნე+ნ-ზი⁵⁹, ამიტომ მკვლევარი (სავსებით მართებულად) იხსენებს ქართ. მეგრ. სიტყვას ნერ-ჩი, რომლის სომხური ფარდია ნერ-ქინ⁶⁰.

არნ. ჩიქობავა ხსენების ღირსადაც არ თვლის ქართ. ნე-ძუ-ას, ზან. ნე-ძ-ის, ქართ. მეგრ.; ნერ-ჩ-ისა და სომხ. ნერ-ქინ-ის მარსეულ შეპირისპირებას.

მასთან ზან. ნე-ძ-ის ქართული შესატყვისია (კითხვის ნიშნით) ზმნის ძირი „ძ-ევ-ს“;

იგი ბრძანებს: „ჭანურსა და მეგრულში ფუძე ერთი და იგივეა – ნეძ-; მნიშვნელობა მეგრულში უფრო ვიწროა: ეს სიტყვა კაკლის ხესა და მის ნაყოფს აღნიშნავს; ჭანურის არქაბულ (და ათინურ) კილოკავშიც ამ სახელს ეს მნიშვნელობა აქვს; მაგრამ ხოფურში ის მიუთითებს კაკლის, თხილის, წაბლის და ნიფლის ნაყოფთა გულზე. ეს გვაფიქრებინებს, რომ ძველი მნიშვნელობა სწორედ ეს შეიძლებოდა ყოფილიყო და მაშინ ნე- ნივთის კატეგორიის აღმნიშვნელი წინსართი იქნებოდა, ძირეული ძ- კი ძ-უ-ნ//ძ-ი-ნ-ძ-ევ-ს ზმნის ძირს დაუკავშირდებოდა: „ნეძი“, – „რაც (შევნით) ძევს“. ეს – ერთი შესაძლებლობაა.

შეიძლებოდა ნეძი „ნიგოზი//ნიგოზის“ გამარტივებულ და გადაკეთებულ სახეობად მიგვეჩინა – აქუსტიკურად ათვისებისას – და მაშინ თვითონ შედარების საკითხი მოიხსნებოდა, მაგრამ ასეთ შემთხ-

ვევაში გაუგებარი დარჩებოდა, როგორ იქცა ეს სიტყვა „ნაყოფის გულის“ აღმნიშვნელად – თხილისა, ნაბლისა, წინიბოსათვის!“⁶¹.

გიორგი როგავას, არნ. ჩიქობავას ამ ორი ვარაუდიდან, უფრო სარწმუნოდ მიაჩნია მეორე („ზანური ნეძი წარმოადგენს ქართული ნიგოზის გამარტივებულ ვარიანტს“).

„მართლაც, წერს იგი, **ზანური ნეძი** უნდა იყოს მიღებული ნიგოზისაგან: „ნიგოზ-ი → *ნიოზ-ი → ნოზ-ი → *ნოძ-ი → ნეძ-ი. ერთერთი გარდამავალი საფეხური ამ ფუძისა **ნოზ** შემონახულია მეგრულში ზმნის სახით „**ნოზუნს**, **ნოზუა** – არის თევზაობის ერთი ხერხი: სახელდობრ; ნიგოზის დანაყილი ფოთლების ჩაყრა მდინარის დაგუბებულ ადგილში, რის შედეგად თევზი ნაწილობრივ იწამლება და ადვილად ხერხდება მისი დაჭერა. ნიგოზის ფოთლების ნაცვლად ამჟამად იყენებენ ლაფნის დანაყილ ფოთლებსაც. საყურადღებოა, რომ ჭანურად ლაფანს ეწოდება **მტკუი კაკალი** „ტყის კაკალი“, ინგილოურად „**მტყუან კაკალ**“⁶².

მე ვითვალისწინებ რა **ზან. ნე-ძ-ის** შესახებ გამოთქმულ სამივე მეცნიერის (ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, გ. როგავა) მოსაზრებას] ვფიქრობ:

თავდაპირველად, **ნაძვი/ნაჟვი** (ყველა მისი ფონეტიკური ვარიანტით) აღნიშნავდა ზოგადად იმ ხილს, რომლისაც საკვებად გამოიყენება გული და არა გარსი⁶³ [ამას ადასტურებს ხოფური **ნე-ძ-ის**, ქართ. მეგრ. **ნერ-ჩ-ისა** და სომხ. **ნერ-ქ-ინ-ის** (ნւրբ+ին) სემანტიკა და მათი (ამ ფორმათა) დიდი ფონეტიკური მსგავსება **ნაძვთან** და **ნაჟვთან**].

შემდგომში მას (ნე-ძე-ს) ეს მნიშვნელობა (როგორც უკვე ითქვა) დარჩა მხოლოდ ჭანურის ხოფურ დიალექტში (ნე-ძ-ი); მეგრულში და ჭანურის არქაულ და ათინურ კილოში იგი (ნე-ძ-ი) განისაზღვრა „კაკლით“ (ხე და ნაყოფი), ქართულში კი, – ფიჭვის გარკვეული სახეობით (ნაჟვი), – *Pinus pinea*⁶⁴.

შენიშვნები

1. **ბუსტული** (იგივე: ფუსტული, ფისტა, ფსტა, მსხ. ფისტილი, ჭან. ფისტიკი) წარმოშობით არაბულია [فستق („ფუსთუყ“)].

საბას იგი ქართული ჰგონია („ფისტა – თურქთა ენაა, ქართულად ბუსტული ჰქვიან“).

რ. ერისთავს ბუსტული და ფუსტული სხვადასხვა მცენარედ მიაჩნია; მასთან ბუსტულის რუსული შესატყვისია (ეჭვქვეშ) **свербежница**, ლათ. ნომენკლატურა, – *Scabiosa arvensis* Syn., **ფუსტულისა** (ეჭვგარეშე), – **фисташковое дерево**, *Pistacia vera* L. [სინამდვილეში, **свербежница**-ს ქართული შესატყვისია **ფოლიო** (იხ. Вл. Даль, Толковый словарь, т. IV, М., – 1955, გვ. 146,2 – „Свербежница“; გვ. 189,2 – „Скабиоза“; ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., – 1961; ქეგლ. ტ. VII, თბ., – 1962)], რომლის კონკრეტული რაობა რ. ერისთავმა არ იცის [„833. ფოლიო (груз.) – (ბალახია) – (რ. ერისთავის ლექსიკონი, ტფ. – 1884)].

2. **ბელეკონს**, რ. ერისთავთან (ეჭვგარეშე) სავსებით მართებულად რუსულ შესატყვისად უხის Терпентинное дерево, ლათ. ნომენკლატურად, – *Pistacia Terebinthos* L.

ბელეკონი, როგორც სიტყვა, ნასომხურეგია [ახსიქი („კვარი“)] > ახსიქინ > ხსიქნი (Հ.Աճառյան. Հայերեն արմատასկան բառարան. հ. I, Երեւան–1971, გვ. 443-444)].

სომხ. ახსიქი, ჩანს, მიღებულია ბერძ. πένικη-დან [„ფიჭვი“ (*P. maritima* L.), „ფიჭვის კვარი“].

ქეგლ-ში „ბელეკონი“ წარმოდგენილია მხოლოდ ერთი მნიშვნელობით [„ბელეკონი – წინვიან მცენარეთა ფისისაგან გამოხდილი სუნიანი, უფერული ან მოყვითალო ფერის სითხე (იყენებენ მედიცინასა და ლაქ-საღებავთა წარმოებაში), – სკიპი-დარი (ტ. I, თბ., – 1950)].

ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში შეტანილი არაა არც ბუსტული, არც ბელეკონი.

3. დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, გამოსცა ლ. ქუთათელაძემ, თბ., - 1967, გვ. 140. ცსსა ფონდი 1446, №106.
4. იგივე წიგნი.
5. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, აღ. ლლონტის რედაქციით, თბ., - 1961.
6. ქართულ-რუსულ-ქრანციკული ლექსიკონი, ქმნილი დ. ჩუბინოვის მიერ, СПБ - 1840.
7. საუნჯე ქართულის ენისა, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ხელახლად შემუშავებული დ. ჩუბინოვისაგან, СПБ - 1887.
8. A-51 ნუსხის მიხედვით, 1982 წელს ელ. დოჩანაშვილის მიერ გამოცემულ „მცხეთურ ხელნაწერში“ (რედაქტორი პროფ. ზ. სარჯველაძე) შესაბამის ადგილას (ტექსტში) ნაცვლად სიტყვისა „ნაჟუ“, წერია „ნაძუ“, ხოლო იმავე გვერდზე, სადაც ეს ადგილია (გვ. 309), სქოლიოში ვკითხულობთ: „ნაჟუ - აშიაზე მინერილია მხედრული ხელით - ნაძვი“.

რამდენად მართებულია ტექსტისეული „ნაჟუს“ სქოლიოში ჩატანა და მის ადგილას არშიისეული „ნაძვის“ დაწერა?!

A-646, A-570 და H-885 რომ გამოვრიცხოთ, თვით A-51-ში მოთავსებულ ნეშტთა II წიგნში „ნაძუ“ არაერთგან შესატყვისია ბერძნული „კედროსისა“ (1,15; 2, 3; 2,8), მეტიც, აქ „ნაძუ“ წერია „ნაჟუს“ შემცველ მე-9 თავშიც კი (9,10; 9,11), ოღონდ არა κένδοισ-ისა, არამედ πένκην-ს („ფიჭვი“) შესატყვისად (სომხურში აქ ნინ-ია).

უნდა ვიფიქროთ, რომ ან ნეშტთა II წიგნის ნაჟვიანი ადგილია (9,27) სხვა დროის თარგმანი, ანდა მთლიანად ეს წიგნი (II ნეშტ.) თარგმნილია იმ დროს, როცა ნაჟვი და ნაძვი ერთმანეთის სინონიმები იყვნენ, როცა „ნაძუს“ ჯერ კიდევ არა ჰქონდა საბასდროინდელი და დღევანდელი მნიშვნელობა (როგორც არ უნდა იყოს, ტექსტისეული სიტყვის არშიისეულით შეცვლა, ჩემი აზრით, მართებული არაა).

საბათი „ნაჟუ“ და „ნაძუ“ სხვადასხვა მცენარეა:

ნაყ (ხე) – (2 ნემტ. 9,27) – ხულია ფიჭვივით. თ. ჯალღუ-ზა.

ნაძყ (ხე) – (1,16 ქება) – თ. ქუქნარ, ქუქნარი. ს. მარქ, მაირ, ზმაირ, ცრთნი [„ნაყყს“ ადღილას (2 ნემტ. 9,27) სომხურ ბიბლიაში (როგორც უკვე ითქვა) არის „მაირ“ (ყაყთ მაყი) – „ნაძყს“ სომხური შესატყვისი საბათი; შესაძლებელია ამ „მაირმა“ განაპირობა A-51-ში არშიისეული „ნაძვი“].

küknar/köknaŕ ან სოჭია (*Abies*): მაირ (მაყი)/მაირი (მაყი), – ფიჭვი, კეღარი; მარქ (მაყი) მაირის მრ. ფორმა. ფორმაში ზმაირ (q-მაყი), – ზ (q) თანდებულია; ცრთნი, იგივე ცრდი (ցრიქი)/ცრდენი (ცრიქნი), – კზაყური ღვია (*Juniperus sabina L.*).

ამჟამად „ნაძვის“ ლათ. ნომენკლატურაა *Picea*, – „ნაყვი-სა“ (ჩემი აზრით), – *Pinus pinea* და არა *Pinus silvestris*, როგორც ეს იუსტ. აბულაძესა და ლ. კოტეტიშვილს ჰგონია (ეს, რომ ნამდვილად ასეა, დასაბუთებული იქნება ქვემოთ).

9. თ. ყორღანიას აზრით, A-646 ქართული ბიბლიის უძველეს (ათონამდელ) თარგმანს შიიცავს და იგი (ეს წუსხა) XV ს-ის დასასრულს ან XVI ს-ის დასაწყისს ეკუთვნის (Θ. Жордания, Описание рукописей тифлисского церковного музея, кн. II, Тифлис – 1902, გვ. 129).
10. ესენია: ოშკის ბიბლია, A-646, A-51 და J-113.
11. A-646-ში „თუთმაღალი ლელოვანის“ ნაცვლად, შეცდომით „თუთ-მალილელობანი“ წერია (149v).
12. ბაქარის ბიბლია. მოსკოვი, – 1743.
13. Septuaginta, edidit Alfred Rahlfs, Stuttgart.
14. ჳინ ხი ნირ კთასყარანაყ. ჩ.ჳნნსთიქ–1805. ჳინ ხი ნირ კთასყარანაყ. ჳიუსთანღნიოყიჩა–1895.
15. სლაფური ბიბლია, СПб – 1872.

„ნაყვისა“ და „ფიჭვის“ სხვეანოვან (ებრაულ, სირიულ, ლათინურ, არაბულ...) შესატყვისებს იმიტომ არ ვასახელებ, და, მათი (ნაყვისა“ და „ფიჭვის“) ბერძნული, სომხური და სლაფური

- შესატყვისების დასახელებით იმიტომ ვიფარგლები, რომ წარმოდგენილ ხელნაწერებში ამ მცენარეთა სახელების შემცველი ნიგნები (2 ნეშტა, 3 მეფეთა), როგორც გარკვეულია, ახლოა ბერძნულთან და სომხურთან (იხ. „მცხეთური ხელნაწერი“, ელ. დოჩანაშვილის გამოცემა, თბ., – 1982, გვ. 7-8, 20-21-22), ბაქარიისული ბექდური გამოცემა კი, – სლავურთან.
16. ქანანელი, უსწორო კარაბადინი, ტექსტი დაამუშავა და წინასიტყვაობა დაურთო ექ. ლ. კოტეტიშვილმა, თბ., – 1940, გვ. 62, 10; 62, 13; 62, 29.
 17. ნიგნი სააქიმოე, ლ. კოტეტიშვილი, XIII ს. ტფ., – 1936, 224, 16, – ფორმით: „ნაჟი“.
 18. ქართული ძეგლები, IV. კანონმდებლობა. №1. პროფ. ექ. თაყაიშვილი, კელმნიფის კარის გარიგება, ტფ. – 1920, გვ. 15, 343; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს), ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, თბ., – 1965, გარიგება კელმნიფის კარისა (XIV ს.), გვ. 94.
 19. ზაზა ფანასკერტელი-ციციშვილი, სამკურნალო ნიგნი კარაბადინი, ტექსტი მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები, საძიებლები და ლექსიკონი დაურთო პროფ. მიხეილ შენგელიამ, თბ., – 1978, გვ. 151,31; 184,26; 194,25; 602,34 და სხვ. აქ ფორმა „ნაჟის“ პარალელურად გვხვდება „ნაჯუი“ (გვ. 602, 13).
 20. დავით ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, გამოკვლევა, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო ლადო კოტეტიშვილმა, თბ., – 1985, გვ. 118,9; 276,28; 190,12; 398,2 და სხვ.
 21. ლიტ-მუზეუმის ფოტოპირი, ხელნაწერთა ფონდი №20724, გვ. 98 (აქ სიტყვაში „ნაჟი“ „ჟ“-ს თავზე აზის „ძ“); სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. II, 1, აღ. ბარამიძისა და ე. მეტრეველის რედაქციით, თბ., – 1962, გვ. 129,15; ქილილა და დამანა; სპარსულიდან თარგმნილი მეფე ვახტანგ მეექვსისა და სულხან-საბა ორბელიანის მიერ, ტექსტი დაადგინა, შესავალი,

კომენტარები და ლექსიკონი დაურთო მაგალი თოდუამ, თბ., - 1975, გვ. 295,27.

22. ამ წიგნის მეორე გამოცემაში (თბ., - 1978) „ნაჟუი“/„ნაჯუი“ მხოლოდ ფიქსირებულია, ყოველგვარი განმარტების გარეშე (იხ. გვ. 958-959).
23. „ჯალღუზას“ ამ განმარტებებს შემიძლია დაუმატო ამ სიტყვის კიდევ რამდენიმე განმარტება:

Pinus sylvestris - Dschatguso („ჯალღუზა“) - (გოულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკვლევა დაურთო გ. გელაშვილმა, თბ., - 1964, გვ. 284.

جلقوزہ - ჯალღუზა - ფიჭვის ნაყოფი, Пино силвестре [იოანე ბატონიშვილი, ლექსიკონი (სპარსულ-ქართულ-რუსული) - ლენინგრადის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ხელნაწერი H-31₂].

ჯალღუზა (სპარს.) ს. მცენ. зерно сосновых шишек (დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, СПб-1887).

ჯალღუზა (სპარ. ჯალღუზე) - იგივეა, რაც გირჩა [ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, თბ., - 1964; გირჩა - წინვოვანი ხეების თავთავის მსგავსი ყვავილუდი... (ქეგელი, ტ. II, თბ., - 1951)].

ქართულ მწერლობაში „გირჩა“ XX ს-მდე არ ჩანს; მის ადგილას („ჯალღუზას“ გარდა) ნახმარია: „თუთლი“ (დ. ბაგრატიონი) და „ზღმურდლი“ (ი. ბაგრატიონი და ნ. ჩუბინაშვილი).

جلقوزہ (ჩელღუზე) - 1) сосновая шишка; 2) семена сосны; кедровые орешки (персидско-русский словарь под редакцией Ю. А. Рубинчика, т. I, М., - 1983, გვ. 474, 2).

24. სოჭის (*Abies*) გვარი განიყოფება დაახლოებით 50 სახეობად; საბჭოთა კავშირში ველურად ხარობს 9 სახეობა, ინტროდუქცირებულია 16 (Деревья и кустарники СССР, т. I, М.-Л. - 1949, გვ. 57).

ქართულ წერილობით წყაროებში **სოჭი**, ვითარცა ხე, და-
დასტურებულია XII ს-ში (გელათური ნუსხა, – ებეკ. 31,8).

25. **ნაძვის** (*Picea*) გვარი შეიცავს დაახლოვებით 45 სახეობას; სა-
ბჭოთა კავშირში ველურად ხარობს 10 სახეობა, ინტროდუქციონ-
ებულია 11 (*Деревья и кустарники СССР*, т. I, М.-Л. –
1949, გვ. 125).

ქართულ წერილობით წყაროებში **ნაძვი**, ვითარცა ხე, და-
დასტურებულია X ს-ში (ვრუჭის ოთხთავი, – იოანე 18,1; ოშკის
ბიბლია, – I ეზრა 4,48).

26. **კედრის** (*Cedrus*) გვარი შეიცავს 4 სახეობას:

ატლასური კედარი (*Cedrus atlantica Manetti*), **ლიბანური**
კედარი (*C. Libani Laws.*), მოკლენიწვა კედარი (*C. brevifolia*
Henry) და შიმალაური კედარი (*C. deodora Loud.*).

ამათგან საბჭოთა კავშირში კულტივირებულია მხოლოდ სამი:
ატლასური, – 1850 წელს, ლიბანური, – 1826 წელს და შიმა-
ლაური, – 1842 წელს (*Деревья и кустарники СССР*, т. I,
М.-Л. – 1949, გვ. 177, 180, 182, 183).

კედარი (ბაქარით: კედრი), როგორც სახელწოდება მცენარ-
ისა, ქართულ მწერლობაში ბაქარის ბიბლიამდე (1743) არ ჩანს;
მანამდე მის ადგილას, უმრავლეს შემთხვევაში, **ნაძვია** [მხო-
ლოდ ორ ნუსხაში (A-51, A-646), როგორც უკვე ითქვა, არის
ნაჟვი (II ნემტ. 9, 27), ოთხში (ოშკური, A-646, A-51, J-113),
ესეც უკვე ითქვა, ფიჭვი (III მეფ. 10, 27)].

ფორმა „კედარი“ პირველად ჩუბინაშვილების ლექსიკონებში
გვხვდება:

კედარი (ხე) – ნაძვის გჳარი, ფრიად მაღალი, кедр, кѣдрѳс
(ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანი-
თურთ, აღ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., –
1961).

Кедр, дра, с. м. ливанский (псал. 28, 6), კედარი,
ნაძვ ლიბანისა... (ნ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკო-

ნი, ტ. I, აღ. ლლონტის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ., - 1971).

კედარი (ბერძ.) ს. მცენ. кедр... (დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, აღდგენილი ოფსეტის წესით. სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკ. შანიძემ, თბ., - 1984).

მიუხედავად იმისა, რომ XVIII საუკუნეში ქართულმა მწერლობამ კედარი, როგორც მცენარე, არ იცის, - ვფიქრობ, გამორიცხული მაინც არაა, ეს სიტყვა (როგორც სახელწოდება მცენარისა) XVIII საუკუნეზე ბევრად უფრო ადრე ყოფილიყო ჩვენში;

ამ ვარაუდის საფუძველს მაძლევს დიალექტური „კატარი“ და შოთასეული „კენარი“ [კატარი - (იმერ. აჭ. მსხ.) - ფიჭვი; კატარ (იმერხ.) - ნაძვი (ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, შემდგენელი აღ. ლლონტი, მეორე გამოცემა, თბ., - 1984); კედარი > კენარი; შდრ: დედა/ნენა].

„ადგეს სოგრატ და ავთანდილ ტანითა მით კენართა“ (59,1). შდრ: შოთასივე: „მაშოროს ღმერთმან მამაცი, პირად მზე, სარო-ტანია“ (1193,2), „ებილ-მარგალიტი, ტან-ალვა, ლანვ-ბადახშ, ყორან-თმიანი“ (1583,4), „ან მეცა მიჯობს მონახვა მის მზისა ლერნამ-ტანისა“ (863,4), „მისი რამ მითხარ, ვინ არის ტან-სარო, პირ-ბაკმიანი?“ (233,3)... (ადგილები მითითებულია ვეფხისტყაოსნის 1951 წლის გამოცემის მიხედვით: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, სარედაქციო კოლეგია: აღ. ბარამიძე, კ. კეკელიძე, ა. შანიძე, თბ., 1951).

27. Деревья и кустарники СССР, т. I, М.-Л. - 1949, გვ. 185.

ქართულ წერილობით წყაროებში ფიჭვი, ვითარცა ხე, დადასტურებულია X ს-ში (ოშკის ბიბლია, - III მფე. 10,27; ქბეკ. 31,8).

მაგრამ, თუკი ტოპონიმ „ბიჭვინთას“ „ფიჭვიდან“ ნაწარმოებად ჩავთვლით (რაც ქეშმარიტად ასეა), მაშინ მცენარის ეს სახელი ქრისტეს დაბადებამდე ყოფილა ჩვენში, ვინაიდან *Pityunta*

(<ბიჭვინთა) მოხსენიებული აქვს ჯერ კიდევ არტემიდორე ეფესელს (II-I სს.) – (იხ. პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., – 1954, გვ. 147-148).

28. ენია: ციმბირის ფიჭვი [*Pinus sibirica (Rupr.) Mayr.*], „ევროპული კედარი (*P. cembra L.*), გართხმული ფიჭვი [*P. pumila (Pall.) Rgl.*], მანჯურული ფიჭვი (*P. koraiensis Sieb. et Zucc.*), ზროთეთორი ფიჭვი (*P. albicaulis Engelm.*), მოქნილი ფიჭვი (*P. flexilis James*), კედრისებრი ფიჭვი (*P. cembraoides Zucc.*), საქმელი ფიჭვი (*P. edulis Engelm.*), ოთხნინვა ფიჭვი (*P. quadrifolia Subw.*), ბუნგეს ფიჭვი (*P. Bungeana Zucc.*), ჟერარდის ფიჭვი (*P. Gerardiana Wall.*), საბინის ფიჭვი (*P. Sabiniana Dougl.*) და იტალიური ფიჭვი (*P. piena L.*) – (Деревья и кустаники СССР, т. I, М.-Л. – 1949, გვ. 192-235).

კულტურაში არსებობს იტალიური ფიჭვის ნაირსახეობა (*P. pinea Fragilis*), რომელიც გამოირჩევა თხელი ხეჭბით (Я. С. Медведев, Деревья и кустарники Кавказа, Тифлис – 1883, გვ. 327).

29. Деревья и кустарники СССР, т. I, М.-Л. – 1949, გვ. 208, 209, 210, 211, 230.
30. Проф. Д. Н. Анучин, Охрана памятников природы, М., – 1914, გვ. 45-46; Деревья и кустарники СССР, т. I, М.-Л. – 1949, გვ. 235.
31. Жизнь растений в шести томах, т. IV, М., – 1978, გვ. 373.
32. Энциклопедический словарь, изд: Ф. А. Брокгауз, И. А. Ефрон, т. 28, С.-Пб. – 1895.
33. Я. С. Медведев, Деревья и кустарники Кавказа, Тифлис – 1883, გვ. 327; Энцикл. словарь, т. 53 (XXVII), изд: Ф. А. Брокгауз, И. А. Ефрон, С.-Пб. – 1899.
34. Я. С. Медведев, Деревья и кустарники Кавказа, Тиф. – 1883, გვ. 327.

ამავე წიგნის 1919 წლის გამოცემაში, ავტორისათვის უკვე რეალურია *P. pinea*-ს ველური სახით არსებობა ბათუმის ოლქში: „Пинія на Кавказе в диком состоянїи встречается только в Артвинском округе (Батумской области), в ущелье р. Чороха, на левом его берегу, где небольшими и единичными деревьями она растет вблизи сел. **Наджвія**“...

გურია-სამეგრელოში არსებულ *P. pinea*-ზე კი, იგი კვლავაც იმავე აზრისაა, როგორისაც იყო 1883 წელს: „Указанія на нахожденія пинїи в Менгрелїи и Гурїи, о чем упоминает Рупрехт, несомненно относятся к деревьям культурнаго происхожденія“, (Я. С. Медведев, Деревья и кустарники Кавказа, издание третье, значительно дополненное, Тифлис – 1919, გვ. 383).

ჩვენებურ პინიათა შესახებ ეგვე აზრია გამოთქმული ს. ქურდიანთან (პროფ. ს. ქურდიანი, დენდროლოგია, ტფ. – 1931, გვ. 154).

35. Флора Кавказа, В. И. Липсаго, С.-Пб. – 1899, გვ. 496, §851.
36. Очерк Батумской области, князя В. И. Масальскаго (Читано в общем собранїи И.Р.Г.О. 2-го апреля 1886 года), გვ. 2,22.
37. Проф. Д. Н. Анучин, Охрана памятников природы, М., – 1914, გვ. 45-46.
38. წიგნში (Деревья и кустарники СССР, т. I, М.-Л. – 1949, გვ. 235), საიდანაც ეს ცნობაა ამოწერილი, წერია არა **Наджвія**, არამედ: **Надлжвія**, რაც კორექტურული შეცდომა რომაა, – ამტკიცებს კავკასიის 1913 წლის ხუთვერსიანი რუკა და დ. ნ. ანუჩინის წიგნი (Охрана памятников природы, М., – 1914, გვ. 45-46), – აქ, ორივეგან წერია **Наджвія**.
39. „ნაძვის“ საბასდროინდელი და თანამედროვე გაგებით.

40. Деревья и кустарники СССР, т. I, М.-Л. – 1949, გვ. 208, 209, 210, 211, 230.
41. ქართულ ბიბლიაში (A-51, A-646) ბერძ. კანდიდაც-ის შესატყვისად არსებული „ნაჟუ“ შეუსაბამობაა, რაც, ჩემი აზრით, ქართველი მთარგმნელის მიერ კანდიდაც-ის კანდიც-ში არევის უნდა მიენეროს [„ნაჟუ“, – თავისი ორი მნიშვნელობიდან, – არც ერთით არაა შესატყვისი კანდიდაც-ისა (ერთით შესატყვისია πίνταც-ისა, მეორეთი – კანდიც-ისა)].
42. იხ. კარაბადინებს დართულ ლექსიკონებში განმარტებანი ნაჟვისა; რაიცა შეეხება *P. silvestris*-ს, მოგახსენებთ: 1883 წლის მონაცემებით (ისევე, როგორც დღევანდელით) ეს ფიჭვი კავკასიაში გავრცელებულია ყველა სხვა სახეობაზე მეტად.
- მისგან ხდიან ფისს, მისი შიდა ქერქი შეიცავს სათრიმლავ ნივთიერებას, კუნძები და ფესვები იხმარება კვარად, გორჩები და ნორჩი ყლორტები იძლევა წითელ საღებავს. ხალხურ მედიცინაში, ერბოში გაქნილი ამ ფიჭვის ფისი გამოიყენება სახსრების ტეხისა და მუნის წინააღმდეგ... (Я. С. Медведев, Деревья и кустарники Кавказа, Тиф. – 1883, გვ. 321).
43. სოფელი ბოლნისის რ-ში (აკაურთას ს.ს.); ამ სოფელში, სამი საუკუნის წინათ, 1658 წელს დაიბადა სულხან-საბა ორბელიანი.
44. სოფ. ზესტაფონის რ-ში (ბოსლევის ს.ს.)
45. სოფ. ზუგდიდის რ-ში (ჩხორიის ს.ს.).
46. „ნაჯვია“, რომ ნამდვილად მცენარე „ნაჟვიდან“ (იგივე: „ნაჯვი“) ნაწარმოები ტოპონიმი, ამის ნათელი დადასტურებაა მისი (ამ ტოპონიმის) პარალელური ფორმა („ნაჟვი“), – ფიქსირებული ვ. ი. მასალსკისთან: „Сделав из Артивина экскурсию на пограничную вершину Мерсуан и в селение **Нажви**, известное своими пиниевыми рощами, я на каюке спустился в Борчху“...

„От устья Хатила-су до селения **Нажви**, по левому берегу Чороха разбросаны рощы итальянских сосен-пиний, которыя таким образом только здесь, за Кавказом

растут дико и своей плоской верхушкой чрезвычайно украшают пейзаж; шишки пинии собираются жителями, которые продают пиниоль по 2 рубля за ОКО" (Очерк Батумской области, князя В. И. Масальского, 1886 г., гв. 2,22).

აქ, სიტყვაში **ნაჟვი** (<ნაჟვი), რუს. ჯ რომ ქართ. ყ ბგერის ზუსტი შესატყვისია, ამას მონიშნავს, ამავე ავტორთან, ქართ. ჯ ბგერის რუს. შესატყვისი **дж** [Гурджани<გურჯანი-ი (გვ. 2), **Орджох**< **ორჯობ**-ი (გვ. 9)].

აქვე, ზედმეტი არ იქნება, ისიც ითქვას, რომ „ნაჟვის“ ანალოგიური ტოპონიმი არა ერთი და ორი იყო და არის ჩვენში: **ნეძუ/ნეძუ/ნეძვი** [იხ. ცხორება გრიგოლ ხანძთელისა (X ს.), ცხორება გიორგი ათონელისა (XI ს.): ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, ტ. I, თბ., – 1946, გვ. 123, 124, 134, 135, 206; დასტურლამალი (XVIII ს-ის I ნახევარი): ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, თბ., – 1965, გვ. 279; იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა (XVIII ს-ის II ნახევარი), თბ., – 1986, გვ. 45; Д. Д. Пагиревъ, Алфавитный указатель к пятиверстной карте кавказскаго края, изданія кавказскаго военно-топографическаго отдела, Тифлис – 1913], **დგნალი** (დუშეთის რ-ნი), **ცაცხვი** (ზუგდიდის რ-ნი), **წნორი** (სიღნაღის რ-ნი) და სხვ. (საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა 1966 წლის 15 იანვრისათვის, გამოცემა მესამე, თბ., – 1966, გვ. 41, 50, 86).

47. ისევე, როგორც **თხილი**, **ნაბლი**, **ნუში**, – ხის სახელიცაა და ნაყოფისაც.

რომანულ ქვეყნებში ამ ფიჭვის თესლის სახელწოდებანია **Pinoli, pignoli, pinachi, pignous** (Деревья и кустарники СССР, т. I, М.-Л. – 1949, გვ. 238).

48. მათგან ოთხის (*P. sibirica*, *P. cembra*, *P. koraiensis*, *P. pumila*) თესლის რუსული სახელწოდებაა **Кедровый орех**, ფრანგული, – **noix de cèdre**, ინგლისური, – **cèdar nut**, იტალიური, – **pinóc-**

chio... (БСЭ, т. 20, М., - 1953; Русско-французский словарь, М., - 1983; Русско-английский словарь, М., - 1948; Итальянско-русский словарь, М., - 1977).

ბ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში **Кедровый орех**-ის ქართ. შესატყვისია „ნიფლის კაკალი“, რაც ყოვლად შეუწყნარებელ თვითნაკეთ უზუსტობას წარმოადგენს [ჯერ ერთი: სად კედარი (გინდ ფიჭვი) და სად ნიფელი?! მეორეც: გამოთქმა „ნიფლის კაკალი“ ქართულში არ არსებობს (ამ ხილს ქართულად ეწოდება ნიფი/ნიფელი, ნინიბო/ნიპნიპო), შესამეც: უკეთუ Кедровый орех-ის ქართ. შესატყვისი „ნიფლის კაკალია“, **Буковый орех**-ისა რაღა?!].

თანამედროვე ლექსიკონებში **Кедровые орехи** თარგმნილია, როგორც „კედრის ნიპნიპო“, რაც ასევე თვითნაკეთი უზუსტობაა, ვინაიდან ნიპნიპო (იგივე ნინიბო) კონკრეტული სიტყვაა და ქართულში (დასაბამიდან დღემდე) აღნიშნავს მხოლოდ ნიფლის ნაყოფს (იხ. ნ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., - 1971; დავით ბაგრატიონი, იადიგარ დაუდი, თბ., - 1985, გვ. 274,17; 470, 33; ქ. ძონენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., - 1974; საბას ლექსიკონი; ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. VIII, თბ., - 1964; ქართულ კილოთქმათა სიტყვის კონა, თბ., - 1984; რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., - 1956; რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., - 1983).

49. ناز, ناژ, ناجو (ეს უკანასკნელი დიალექტური ფორმაა) - (Персидско-русский словарь, т. II, М., - 1985).

მზ. ანდრონიკაშვილის აზრით, ახ. სპ. ناز მიღებული უნდა იყოს სასანურში არსებული ჰიპოთეტური, სუფიქსით გავრცობილი ფორმიდან: nāz-ūk (მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., - 1966, გვ. 347).

50. ناز , نازو , نوز , نوج , نوز , نوژن (Персидско-русский словарь, т. II, М., - 1985; ჯრ.Աճառյան. Հայերեն

აქრმათასკან რაიარამ, ლ. III. სრნდამ-1977, გვ. 464; შზია ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., - 1966, გვ. 347; Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, т. II, Тб. - 1984, გვ. 634).

შზ. ანდრონიკაშვილის აზრით, ფორმა *ავს*, მგავსად ფორმისა *ავს*, მიღებული უნდა იყოს სასანურში არსებული ჰიპოთეტური, სუფიქსით გავრცობილი ფორმისაგან *nāzūk* (შზ. ანდ. დასახ. წიგნის დასახ. გვერდი).

1929 წელს ვ. შაილმა პარიზში გამოაქვეყნა დარიოს I-ის წარწერა სუზის სასახლის აგების შესახებ. შემდგომ ამისა ეს წარწერა ტრანსკრიბირებული სახით არაერთხელ გამოქვეყნდა [ი. მ. უნფალა (პარიზი, 1930), ე. ვ. კონიგი (ლაიფციგი, 1930), რ. კენტი (1931)].

ჩამოთვლილ ავტორთა გარდა, ამ წარწერის ინტერპრეტაციაში და ბუნდოვან ადგილთა ნათელყოფაში ნაყოფიერი მონაწილეობა მიიღეს გამოჩენილმა სპეციალისტებმა [ე. ბენვენისტი (1930), ფ. ჰ. ვაისბახი (1930), რ. ბლაიშმტაინერი (1930), ე. ჰერცველდი (1931), ლ. ჰ. გრეი (1932), ვ. ბრანდენშტაინი (1932) და სხვ.].

წარწერა სამეწოვანია: ძველპარსული, ელამური და ბაბილონური.

ამ წარწერაში 30-ე სტრიქონის ბოლო სიტყვა გატეხილია შუაზე, 30-ში არის *nau*, 31-ში *ina*; ამ *ina*-ს წინ, *nau*-სა და *ina*-ს შორის, მეცნიერთა მიერ ჩასმულია *ča*; ამრიგად სიტყვა იღებს სახეს: *nau[ča]ina*; ეს სიტყვა, რომ უეჭველად მცენარის სახელწოდებაა, ეს კონტექსტიდან ჩანს (Θarmis hya naučaina), მაგრამ კერძოდ რომლისა?! - ესეც კონტექსტიდან ირკვევა (*hauv Labnāna nāma kaufa hačā avanā abariy...*).

ვ. აბაევი შენიშნავს: „მცენარის ეს სახელი ძველპარსულ ტექსტებში არსად არ გვხვდება; რაიცა შეეხება მის მნიშვნელობას, აქ ლაპარაკი შეიძლება იყოს მხოლოდ ლიბანის ნაძვზე“

(В. И. Абаев, Надпись Дария I о сооружении дворца в сузе: Иранские языки, I, М.-Л. – 1945, გვ. 127, 129, 131).

ფორმიდან *naučaina* გამოყოფენ ფორმას **nauča*; ამის საფუძველზე აღადგენენ არშაკიდულ ფორმას *nōč*, რომელიც დადასტურებულია სომხურში *ნოჩ*-ის („კვიპაროსი“, „სარო“) სახით და ახალი სპარსული ფორმებით: *نوچ*, *نوح* და *نوح* („ფიჭვი“) – (Հր.Աճառյան. Հայերեն արձատյակսան բառարան. Հ. III. Երեվան – 1977, გვ. 464; მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., – 1966, გვ. 347; Т. В. Гамкредидзе, Вяч. Вс. Иванов, индоевропейский язык и индоевропейцы, Тб. – 1984, გვ. 634).

51. ნაუჯი რომ ნაძვის ფონეტიკური ვარიანტია და გარკვეულ დროს ესენი (ნაუჯი და ნაძვი) ერთმანეთის სინონიმები იყვნენ, მე ამის შესახებ, ზემოთ, თავის ადგილას უკვე მქონდა საუბარი; აქ მკითხველს მხოლოდ ის მინდა შევახსენო, რომ ნ. მარს (სავსებით მართებულად) ნაძვის სახესხვაობად მიაჩნია ნეძვი და მეგრ. ნეძი (Н. Я. Марр, Избранные работы, т. V, М.-Л. – 1935, გვ. 490).
52. Hans Vogt, Arménien et caucasique du sud. NTS, Bind IX. Oslo, 1938, გვ. 335: მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., – 1966, გვ. 348.
53. მზ. ანდრონიკაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 348.
54. მზ. ანდრონიკაშვილი, დასახ. წიგნი, გვ. 347, 348.
55. Т. В. Гамкредидзе, Вяч. Вс. Иванов, დასახ. წიგნი, გვ. 634, 635.
56. თვით ამ ნაძუ/ნაძვის ეტიმოლოგია წარმოდგენილი იქნება ქვემოთ.
57. პრინციპში ამავე აზრისანი არიან (ილუსტრირების გარეშე) თ. გამყრელიძე და ვ. ივანოვი (იხ. ზემოთ);

პირადად მე პირველი გზა უფრო მართებულად მიმაჩნია; ჩემი აზრით, სპარსული ფორმები ქართველური ენებიდან ნასესხებია (უკანვე სესხების გარეშე); თუ რატომ? – მკითხველი ამას იხილავს ქვემოთ.

58. ქართ. ბრინჯაოსამებრ ევროპული **bronze**-ც ნაწარმოებია ამავე სპ. ბირინჯ-იდან. (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბ., – 1960, გვ. 24; Н. Я. Марр, Яфетический Кавказ и третий этнический элемент в создании средиземноморской культуры – 1920 г.: Н. Я. Марр, Избранные работы, т. I, Л., – 1933, გვ. 112-113, სქოლიო 1; Н. Я. Марр, Талыши, ТКИПС, вып. IV, Петроград – 1922, გვ. 9).

(წ. მართან ქართ. პილენძსა და სპ. چنبر-ს შორის გარდამავალი საფეხურია სომხ. պիլնմ).

წ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის გარდა, **bronze**-ს სპ. ბრინჯისაგან (چنبر) მიღებულად თვლიან ფ. კლუგე, გ. მაიერი, კ. ლოკორი (М. Фасмер, ЭСРЯ, т. I, М., – 1964, გვ. 217).

ს. რაინახის, ჰ. ფალკის, ა. ტორფისა და ე. ჰელჯისტიცის აზრით, ტერმინი **bronze** დაკავშირებულია ქალაქ **Brundisium**-თან, სადაც, პლინიუსის ცნობით, საქვეყნოდ განთქმული ბრინჯაოს ჩამომსხმელი სახელოსნოები იყო (Н. Я. Марр, Избранные работы, т. I, Л., – 1933, გვ. 113; М. Фасмер, ЭСРЯ, т. I, М., – 1964, გვ. 217).

მზ. ანდრონიკაშვილს ევროპ. **bronze**, რუს. Бронза, ქართ. ბრინჯაო და არაბ. چنبر ჰიპოთეტური საშ. სპ. *pirinz-იდან ნაწარმოებად მიაჩნია (მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ., – 1966, გვ. 362).

59. ჭანურში არის კიდევ ეს ფორმა (ნენზი); იქ მისი მნიშვნელობაა „внутренняя мягкая съедобная часть ореха“, (Н. Марр, Грамматика чанскаго (лазскаго) языка, С.-Пб. – 1910, გვ. 217).

60. N. Marr, Origine japhetique de la langue basque – Язык и Литература, т. I, Л., – 1926, გვ. 236; Н. Я. Марр, Языковая политика яфетической теории и удмуртский язык, – 1931 г. – Н. Я. Марр, Избранные работы, т. 5, М.-Л. – 1935, გვ. 490-491.

სომხ. მსրქին (<ნერქ+ინ) – შიგა, შიგნითა, შინაგანი [შდრ: ქართ. მერქან-ი – „ხეთ გული“ (საბა)].

მსი (<ნერს, ნერქინ) – პრეფიქსი (შიგნით, -ში).

მსრუ (<ნერქ) – შიგნეული, შიგანი.

მსე (მეჯ), მქეძი (მიჯი) – შინაგანი, შიგ მყოფი, გული, შუაგული, შუალედი (შდრ: ქართ. მიჯნა).

მსეჲ (მეჯე), მქიჲ (მიჯოც), მქიჲც (მიჯაც) – წელი (შდრ: ქართ. მენჯ-ი).

სპ. *مرس* (მერს) – წიფელი (Fagus).

ბერძ. μέσος, μέσσιον, ლათ. **medius, medium** – შუაგული, ცენტრი;

რუს. **меж** (между) – შუა, შორის.

ქართულში **ნერჩი** საბას მიერ განმარტებულია, როგორც: ქვედა კერძო, ქვეშე კერძი, ფსკერს ქვეშეთი.

ქართულის კილოებში **ნერჩის** ფორმები და გაგებანი ასეთია:

ნერჩ-ი (გურ. იმერ.) ახლად დაბადებული ბავშვის დასალოცავად ლხინის გამართვა დედამანიისა და მის დამხმარეთა თანდასწრებით (შდრ: თურქ. **necl** – ძე, შთამომავალი).

ნერჩ-ი (იმერ.) სანერჩე, სათესლედ მიჩნეული მხალი, ხელმეორედ გადაწერილი შემდეგი წლისათვის თესლის გამოსაღებად [(შდრ: თურქ. **necliye** – მარცვლოვანი, ბოსტნეული); ეს „ნერჩი“ ივ. ჯავახიშვილს „ნერგის“ ფონეტიკურ ვარიანტად მიაჩნია (იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი I, ტფ. – 1930, გვ. 214)].

ნერჩ-ი (ლერხ.) ხის ნედლი შტოებით მოყენილი საბძლის ქერი, რომ მის ქვეშ საკვები არ წახდეს.

ნერჩი-ი (ქვე. იმერ. ზ. აჭარ.) ფსკერი, ძირი ჭურჭლისა (ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., - 1984).

ნერჩი-ი - ჭერი, მერჩი.

მერჩი-ი - ლამფა შენობის ჭერად მიკრული//სახურავსა და ჭერს შორის არე, - სხვენი, თავანი; მენჩი (პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., - 1976).

მეგრულში ნერჩი ნიშნავს სახლის ოთხკედელშუა მოქცეულ მინის იმ ნაჭერს, რომელზედაც სახლი დგას; „ნერჩი პატენი“ - ფუძის ბატონია, „ნერჩიში ხვამა“ - ნერჩისადმი ოხვაა (J. Кипшидзе, ГМ(И)Я, გვ. 288; ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბ., - 1960, გვ. 90).

„ნერჩი... დედამინის ღთაების სახელია და ქართლ-კახეთში ამჟამად მიღებულ ადგილის დედა-ს უდრის“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, ტფ. - 1937, გვ. 184).

61. არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., - 1938, გვ. 123.
62. გიორგი როგავა, ზოგი თავისებური ფონეტიკური პროცესი ქართველურ ენათა კომპოზიტებში: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №2, თბ., 1973, გვ. 138.

არანაკლებ (თუ უფრო მეტად არა) საყურადღებოა, რომ თევზაობის ამ ხერხს ქართულად (იმერ.) ჰქვია „დანაჭვა“, რაც ნაწარმოებია სიტყვიდან ნაჭი/ნაჭა [ნაჭა დიალექტური (გურ. აჭარ.) ფორმაა სიტყვისა ნაჭი (ნაჭი, საბას განმარტებით, ენოდების წენგოსაც და რაც თევზს საგალი მოჰკლავს)]; ამასთან, რაც მთავარია, ნაჭა ქვ. იმერულში ჰქვია აგრეთვე ლაფანს [აქვე უნდა შევნიშნო, რომ „ლაფნის“ შერბაიჯანული სახელწოდებაა Ялан-гоз (იხ. Медведев Я. С. ДИКК - Тф. - 1919, გვ. 278); Ялан - ცრუ, Гоз - კაკალი].

აი, როგორ განმარტავენ ქართულ (იმერ.) „დანაჭვას“ და „დანაჭულს“: „დანაჭვა - წყლის (მორევის) მონამელა

დაჩეჩევილი ნენგოთი (ნაჭით) ან ლაფნის ფოთლით თევზის დასაჭერად“.

„**დანაჭული** – დაჩეჩევილი ნენგოთი (ნაჭით) ან ლაფნის ფოთლით მონამლული წყალი (მორევი) თევზის დასაჭერად“ (პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., – 1976).

ე. ი. ნაჭ//მეგრ. ნოზ; ქართ. ნაჭვა // მეგრ. ნოზუა.

ნაჭა (<ნაჭი), რომ ჰქვია **ლაფანს** (რომლის ჭანური სახელი „ტყის კაკალია“, ინგილოური, – „ცრუ კაკალი“), ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ **ნაჭ-ი** [<*ნაჯ-ი (შდრ: ლეჯა)] ერთდროს ერქვა თვით კაკალსაც და იგი [*ნაჯი (>ნაჟი/ნაჟე)], ჩანს, ზანური შესატყვისია ფუძენისეული **ნეძი/ნეძვისა**, რაც თავდაპირველად ნიშნავდა ყველა გულსაჭმელ ხილს [ეს მნიშვნელობა მან (ნეძმა) ჭანურის ხოფურ კილოში (როგორც უკვე ითქვა) დღემდე შეინარჩუნა], შემდეგ მეგრულსა და ჭანურის არქაბულ და ათინურ კილოში ეს **ნეძი** ფონეტიკურად უცვლელად დარჩა მხოლოდ კაკლის ხისა და მისი ნაყოფის აღმნიშვნელად; ბერ-ათავადანევით კი მიიღო სახე **ნაჟვისა** (<ნაჯვი<ნეძი/ნეძვი), – მიეცა *Pinus pinea*-ს მნიშვნელობა და ქართულიდან გააძევა ამავე მნიშვნელობის **ნეძვი/ნეძუ** [სწორედ ამ ქართ. ნაჭ/ *ნეჭ-იდან, რაც უდავოდ ნაჯ-ის ფონეტიკური ვარიანტია (ნეძ>ნაჯ>ნაჭ), შესაძლოა, მიღებული იყოს ძვ. ირან. ნაურჩა (nauča) და სომხ. ნოჭ/ნოჭი (ნინ/ნინი)].

რაიცა შეეხება ტერმინ „ლაფანს; მისი საქმე ასეა:

ლაფანი, ლაფნის ხე – лапина, крылорешник (*Pterocarya caucasica* C. A. M.), ქვ. იმ. (ვანის. რ.) ნაჭა; ჭნ. მტკუი კაკალი; მეგრ. ლეფონი, ლეფანი, ლიფონი; ინგ. მტყუან კაკალ (ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., – 1961).

Pterocarya caucasica C. A. Mey. რუს. **Крылорешник**, **Лапана**; Груз. **Лапани**; აბხაზ. **Алапан**; тат. лезг. **закат. Яланъ-козъ**; талиш. **Муллолъ**. (Медведев Я. С., Деревья и кустарники Кавказа, Изд. Третье, Тф. – 1919, გვ. 278).

ლაფანი - ხეთ ქერქი გრძლად დახეული შესაკრავად რისამე (ნ. ჩ.).

ლაფანი - ხრალი, ხის ქერქი გრძლად დახეული, ლუბ, лыко (დ. ჩ.).

ხრალი - [ქერქსა - „თელათა, ცაცხვთა, ლაფანთასა და რომელნი დაიხვეიან და მისგან ნეჭა და სფირიდი მოიქსოვებიან... ეწოდებიან ხრალი“ (საბა); (ცაცხვი - მხვ. მაჭი; ლაფანი - ქვ. იმერ. ნაჭა; შდრ; ნეჭა, რომლის საბასეული განმარტებაა „სუფთა ქილოფი“].

ლოპო - ხის ქერქი წყლიანი რა შესძვრეს (საბა).

გალოპრილი - ხე ქერქ-შეძრცვილი (საბა).

ბერძ. λέπος, εος το (λέπω) - გარსი, ფუფხი, ქერქი.

λέπω - 1) გაქერქვა, გატყავება.

λέπις, ίδος το (λέπω) - გარსი, ნაჭუჭი.

λόπος ό - თხელი კანი, გარსი, კილი, ჩენჩო.

λέπις, ίδος (იდ) ή - 1) ნაჭუჭი. 2) ქერცლი.

λέπρα ион. λέπρη ή - ვარაუდ. კეთრი (И. Х. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, т. I, М., - 1958).

ფინ. Leppä - მურყანი, თხმელა (Alnus) - (Финско-русский словарь, М., - 1975).

ესტონ. Lepp - მურყანი, თხმელა.

ალბ. Lebë - ქერქი.

რუს. Луб - ხრალი (М. Фасмер, ЭСРЯ, т. II, М., - 1967).

გერმან. Lärpen - ჩვარი, ჭინჭი, ძონძი; ნაჭერი, საკერებელი, ბებკი (Немецко-русский словарь, т. II, М., - 1962).

ლაფანთან კავშირში უნდა იყოს (ამ სიტყვის ძირს უნდა წარმოადგენდეს): **ლამბი** - სეფქისა და ჩოგნის თასმა და მისთანანი (საბა)

ლამბი - ლარი, ბანარი, ანუ თასმა მშვილდისა, სეფქისა და მისთანათა (ნ. ჩ.) - [*ლაბ-ი>ლამბ-ი (შდრ. კახაბალ-ი>კახაშ'ბალ-ი და სხვ.); ლაბ-ი>ლაფ-ი (შდრ: ქილობ-ი>ქილოფ-ი და სხვ.)].

ერთი სიტყვით:

ძირი ქართ. ლაფნისა (ლაფ-) ინდოევროპულია (მნიშვ. „ქერ-ქი“).

63. ესენია: ნუში, წიფელი, კაკალი, თხილი, ბუსტული, ნაჟვი და მისთანანი.
64. გარდა *Pinus pinea*-სი, ეს სიტყვა სახელწოდებაა აგრეთვე (როგორც ზემოთ უკვე ითქვა) ფიჭვის ყველა იმ სახეობის ნაყოფისა, რომელიც იჭმება.

მწყერმარკილი

„... ამას საქმესა ზედა ფრიადი გამოძიება იყო წინაშე ქართველთ მეფის ძის ვახტანგ მეოთხესა და აღმოიღეს ლექსიკონები ელენთანი და ლათინთანი და სხვა წიგნები მრავალი...“

საბა

„მწყერმარკილი“¹ ქართულ ბიბლიაში ნახსენებია შვიდგან:

1. „და იქმნა მწუხრი და აღმოვიდა მწყერმარკილი და დაფარა ბანაი“. (გამოსლ. 16,13).

2. „და გამოვიდა სული უფლისა და გამოიღო მწყერმარკილი ზღვთ“... (რიცხვ. 11, 31).

3. „და აღდგა ერი იგი... და შეკრიბეს მწყერმარკილი იგი“... (რიცხვ. 11, 32).

4. „ითხოვეს, და მოკდა მწყერმარკილი, და პურითა ზეცისაჲთა განაძღნა იგინი“ (ფსალ. 104,40).

5. „ესრეთ იტყვს უფალი ყოვლისა-მყრობელი: მწყერმარკილი გექმნესთ თქუენ სასნაულად“... (III ეზრა სუთ. 1,15).

6. „საზრდელად განუმზადე მწყერმარკილი“ (სიბრძ. სოლომ. 16,2).

7. „რამეთუ ნუგეშინის-საცემელად ზღუასა გამოეცა მწყერმარკილი“ (სიბრძ. სოლომ. 19,12)².

გარდა ბიბლიისა (ქართულად თარგმნილი ძეგლებიდან) „მწყერმარკილი“ წერია ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲ“-ს უძვე-

ლესა და გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანში („მწუანვილი იგი ამბოროსი საჭმელ არს მწერმარკილისა“)³.

ორიგინალური ლიტერატურიდან „მწერმარკილი“ გვხვდება იოანე შავთელის „აბდულმესიანში“ („ჰფუცა მონამა: ზეცით მონამა მანანად ჩვენთვის მწყერმარკილებით“) და ანონიმი ავტორის „დავით გარეჯელის ცხოვრებაში“ („კლდისაგან მყარისა წყალი აღმოუცენა და მწყერმარკილი უწყმა შორის ბანაკისა მათისა“)⁵.

„მწყერმარკილი“, როგორც განსამარტი ერთეული (ერთი და იმავე განმარტებით) შეტანილია საბას ლექსიკონის ცხრავე ავტოგრაფში⁶.

საბას მომდევნო ლექსიკოგრაფთაგან, ამ სიტყვის განმარტებისას, ზოგი იმეორებს საბას⁷, ზოგს „მწყერმარკილი“ „მწყრად“ მიაჩნია⁸, ზოგს, – „ღალღად“⁹, ზოგი გარკვევით ვერ ამბობს, კერძოდ რა ფრინველია იგი¹⁰.

ვინაიდან ქართულ ლექსიკოგრაფიაში „მწყერმარკილის“ რაობაზე ერთი აზრი არაა, რათა გავიგოთ, კონკრეტულად რას წარმოადგენს იგი, ამიტომ, ცხადია, უნდა მივმართოთ იმ დედნებს, საიდანაც თარგმნილია ის ნაწარმოებნი, რომლებშიც „მწყერმარკილია“.

ქართული ბიბლიისეული მწყერმარკილი შესატყვისია ბერძ. ὀρτυγόμητρα-სი (გამოსლ. 16-13; რიცხვ. 11-31; ფსალ. 104-40; სიბრძ. სოლომ. 19-12)¹¹, სომხ. լորամարգի-სა (ფსალ. 104-40)¹² და სლავ. крастѣль-ისა (გამოსლ. 16-13; რიცხვ. 11-31; ფსალ. 104-40; III ეზრა სუთ. 1-15; სიბრძ. სოლომ. 16-2; 19-12)¹³.

თვით ბერძ. ὀρτυγόμητρα უძველესი და უპირველესი შესატყვისია ებრ. תָּצִי -ისა¹⁴. [სიროულ (ܛܘܨܝܘܬܐ) და ლათინურ (coturnix)¹⁶ შესატყვისებამდე, მთელი 4-5 საუკუნის მანძილზე, תָּצִי -ის¹⁷ სხვა უცხო შესატყვისი არ ჩანს].

სომხ. լորամարգի და სლავ. крастѣль, თავის მხრივ, შესატყვისნი არიან ბერძ. ὀρτυγόμητρα -სი¹⁸ (გამოსლ. 16-13; რიცხვ. 11-31; ფსალ. 104-40; სიბრძ. სოლომ. 16-2; 19-12) და ლათ. coturnix-ისა¹⁹ (ვრც. ეზრა 1-15)²⁰.

რაიცა შეეხება „ექუსთა დღეთაჲს“ მწყერმარკილს; ამაზე უნდა ითქვას შემდეგი:

წყარო „ექუსთა დღეთაჲს“ უძველესი თარგმანის მწყერმარკილისა (უკეთუ ამ თარგმანის წარმომავლობაზე ილ. აბულაძის საჯულისხმო ვარაუდს გავიზიარებთ)²¹ უნდა იყოს არაბ. *سلسو*.

მთარგმნელმა, უნდა ვიგულისხმობთ, იცის, როგორც ქართული, ასევე არაბული ბიბლია; ქართ. მწყერმარკილისა და არაბ. *سلسو*-ს ბიბლიისეულმა ურთიერთშესატყვისობამ კი, ეტყობა, მას საფუძველი მისცა თავის თარგმანში არაბ. *سلسو*-ს შესატყვისად დაენერა ქართ. მწყერმარკილი.

„ექუსთა დღეთაჲს“ გ. მთანმიდლისეული თარგმანის მწყერმარკილის ადგილას ბერძნულში არის ὄρτσξ; ეს ფაქტი, ცოტა არ იყოს, უცნაურია; უცნაურია იმიტომ, რომ გ. მთანმიდელმა, რა თქმა უნდა, ბიბლიიდან იცის, რომ ქართ. მწყერმარკილი შესატყვისია ბერძ. ὄρτσξიμῆρτξ-სი და არა ὄρτσξ-ისა²². იგი, ამავე დროს, როგორც ცნობილია, ყოველთვის ყოველმხრივ ცდილობს გააკეთოს ბერძნულის ზედმენეწით ზუსტი თარგმანი; აქაც, „ექუსთა დღეთაჲს“ თარგმნისას გიორგი არ ღალატობს თავის ჩვეულებას; კრიტიკულად ეპყრობა უძველეს თარგმანს (იგი რომ ამ თარგმანს იცნობდა, სადღეისოდ ეს უკვე სადავო აღარაა)²³, ცვლის ამ თარგმანში არაერთ სიტყვას [ჯიპოსის (117,13) ადგილას წერს ორბს (98,35), ორბის ადგილას (124, 21), – არნივს (105,3), კურიონის ადგილას (116,3), – ალკუნს (97,31), მერცხლის – გამსხმელის ადგილას (118,12), – აიდონს (99,30) და სხვ.].

მაშ რამლა გამოიწვია მწყერმარკილის ხელშეუხებლობა?!

უნდა ვიფიქროთ, რომ მთარგმნელმა ფრინველის ეს სახელწოდება ან არ შეაჯერა ბერძნულთან (რაც მისთვის უჩვეულოა), ან, მისი აზრით, ὄრτσξ-ი იგივეა, რაც ὄρτσξიμῆρτξ (რაც სინამდვილეში ასე არაა), ანდა მას ხელთ ჰქონდა დედანი, სადაც ეწერა არა ὄრτσξ, არამედ, – ὄრτσξიμῆρτξ (არსებობდა კი ასეთი დედანი?!).

[„ექუსთა დღეთაჲს“ სომხურ თარგმანში (V ს.) შესაბამის ადგილას სავსებით მართებულად წერია [იქ (გვ. 89)²⁴, რუსულში, – **перепел** (გვ. 82)]²⁵.

óρτυγομήτρα (ჯერ კიდევ ბიბლიაში მოხვედრამდე 2-3 საუკუნით ადრე) ფიქსირებულია ბერძნულ წყაროებში (Aph. A; Arst. H. A.).

ათენაოს ნავკრატელის (ა. წ. ა. III ს.) მიხედვით (D.) óρτυγομήτρα ნახსენებია აგრეთვე კრატინოსთან (d. წ. ა. V ს.) და ალექსანდრე მინდოსელთან.

óρτυγομήτρα (მისი ბიბლიაში მოხვედრიდან 1 ს-ის შემდეგ) იხსენიება ლათინურ წყაროშიც [PL. (M) H. N].

არისტოტელეთი: óρτυγομήτρα გარეგნობით ჭაობის ბინდართა მსგავსია²⁶.

óρτυγομήτρα-ს ალ. მინდოსელი ახასიათებს ასე: „óρτυγομήτρα ტანად გერიტის ტოლია, აქვს გრძელი ფეხები, არის სევდიანი და მხდალი“²⁷.

პლინიუსი (უფროსი) წერს: „მწყრები უპირატესად ბორიოს ქროლისას მიფრინავენ óρτυγομήτρα-ს წინამძლოლობით“²⁸.

არისტოფანესთან óρτυγομήτρα სალალობო თიკუნია ლეტოსი: „Αητά-óρτυγομήτρα“²⁹.

XIX-XX სს. ლექსიკონთა ერთ ნაწილში, სწორედ აქ წარმოდგენილი ბერძნული წყაროების საფუძველზე (რასაც ამ ლექსიკონების შემდგენელთაგან ამ წყაროთა მითითებანი მოწმობს), óρτυγομήτρα განმარტებულია, როგორც „ლალა“³⁰, მეორეში, – როგორც „ვარაუდით ლალა“³¹.

თუ გავიხსენებთ ხალხის წარმოდგენას ლალის როლზე მწყერთა გადაფრენის საქმეში და ამ წარმოდგენის საფუძველზე შერქმეულ სხვადასხვაენოვან, შინაარსით ერთნაირ მის სახელებს, სავსებით ნათელი გახდება, – კონკრეტულად რომელი ფრინველია óρτυγομήτρα და რატომ დაერქვა მას ეს სახელი.

ბრემი წერს: „გერმანელი ხალხის ჯრით, ლალა მწყერთა მფარველი და წინამძლოლია (აქედან ლალის ერთერთი სახელწოდება – **Wachtelkönig**, ე. ი. „მწყერთა მეფე“);

ბერძენი მონადირენიც ასევე დაბეჯითებით ირწმუნებიან, რომ მწყრის ყოველ გუნდს სათავეში უდგას ღაღლა³².

ნუ მიწყენს ბ-ნი ბრემი და, ეს წარმოდგენა ღაღლაზე მხოლოდ გერმანელი და ბერძენი ხალხის კუთვნილებას არ წარმოადგენს;

ღაღლის შესახებ ასეთივე აზრისანი არიან ფრანგები, ესპანელები, იტალიელები, თურქები...

ფრანგულში „ღაღლას“ (სხვა რვა სახელის გარდა) ჰქვია *mère des cailles* (*mère* – „დედა“; *caille* – „მწყერი“) და *roi des cailles* (*roi* – „მეფე“)³³;

ესპანურში, – *guia de codornices* (*guia* – „მეგზური“; *codorniz* – „მწყერი“), *rey de codornices* (*rey* – „მეფე“), *capitan de codornices* (*capitan* – „კაპიტანი“), *rei de guatles* (*rei* – „მეფე“, *guatlla* – „მწყერი“)³⁴;

იტალიურში (გარდა *rallo*-სი და *gallinella terestre*-სი), – *ré delle quaglie* (*ré* – „მეფე“; *quaglia* – „მწყერი“)³⁵;

თურქულში (*yelve*-ს გარდა), – *bildircin kulavuzu* (*bildircin* – „მწყერი“; *kulavuz* – „მეგზური, ეტიკი“)³⁶.

რაც მთავარია, არც ერთი ამ სახელთაგანი არამც და არამც კალკი არაა სხვა რომელიმესი.

ვიფიქრობ: ახლა უკვე ნათელი გახდა, კერძოდ რომელი ფრინველია ორუსიამურა და რატომ ჰქვია მას ეს სახელი (ორუსი, ორუსი – „მწყერი“; მურა, იონ. მურჲ ἡ – „დედა“)³⁷.

მამასადამე: ორუსიამურა, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, არის „ღაღლა“ და მხოლოდ „ღაღლა“ (მდრ: „ღაღლის“ ფრანგ. სახელწოდება *mère des cailles*).

როგორც ითქვა (იხ. ზემოთ) ორუსიამურა უძველესი (ძ. წ. ა. II ს.) შესატყვისია ებრ. נָצִץ-ისა, რომლის უშუალო შესატყვისნი არიან აგრეთვე (ესეც უკვე ითქვა) სირ. ܢܨܘܿ (ა. წ. ა. III ს.) და ლათ. *coturnix* (ა. წ. ა. IV ს.).

სათანადო ლექსიკონებში ებრ. נָצִץ, სირ. ܢܨܘܿ და ლათ. *coturnix* განმარტებულია, როგორც „მწყერი“³⁸.

რა გამოდის?!

გამოდის, რომ ებრ. \aleph -ის ზუსტი შესატყვისია სირ. \aleph და ლათ. *cotumix*, არაზუსტი, – $\acute{\omicron}\rho\tau\upsilon\sigma\iota\mu\acute{\eta}\tau\alpha$ (ვინაიდან ეს უკანასკნელი არის „ლალა“).

ასეა მართლა?!

თუ მზ. შანიძეს დაუფუჯერებთ, ადვილი შესაძლებელია, ეს ასეც იყოს;

მზ. შანიძე იმ სხვაობათა გამო, რომელსაც ბიბლიის ბერძნული თარგმენი ავლენს ებრაულ დედანთან შედარებით, შენიშნავს: – ამის მიზეზია არა მარტო სხვაობა ებრაული მასორის ტექსტისათვის ამოსავალ არქეტიპსა და იმ ტექსტებს შორის, რომელიც საფუძვლად უდევს სეპტანტის თარგმანს, არამედ, კიდევ უფრო მეტად სხვაობები ბერძნულ თარგმანში გამონვეულია ტექსტის არასწორი გაგებით³⁹.

მაგრამ მზ. შანიძის ეს მოსაზრება, რომ მთლად გასაზიარებელი არაა, ამის ნათელი დადასტურებაა კუმრანის ხელნაწერთა ჩვენებანი⁴⁰.

ასე, რომ \aleph > $\acute{\omicron}\rho\tau\upsilon\sigma\iota\mu\acute{\eta}\tau\alpha$ -სთან დაკავშირებით სრული უფლება გვაქვს ვიფიქროთ:

1. შესაძლოა იმ ებრ. დედანში, საიდანაც ითარგმნა სეპტუაგინტა, ეწერა არა \aleph , არამედ სხვა სიტყვა, რომელიც ნიშნავდა „ლალას“.

2. ძველად (ჩ. ნ. ალ-მდე) \aleph -ს შესაძლებელია ჰქონდა ორი მნიშვნელობა („მწყერი“ და „ლალა“)⁴¹;

ამ ორი მნიშვნელობიდან ერთი („ლალა“) აისახა მის ბერძნულ შესატყვისში ($\acute{\omicron}\rho\tau\upsilon\sigma\iota\mu\acute{\eta}\tau\alpha$), მეორე („მწყერი“), – სირიულსა (\aleph) და ლათინურში (*cotumix*).

პირველი ვარაუდისკენ მიბიძგა მკვდარი ზღვის სანახებში აღმოჩენილმა ბიბლიის უძველესმა ხელნაწერებმა, რომელნიც (როგორც ცნობილია) ხშირ შემთხვევაში დიდად სხვაობენ მასორული ტექსტისაგან და ახლო დგანან სეპტუაგინტასთან.

გადავათვალთ იერე ყველა გამოქვეყნებული ფრაგმენტი (რაზედაც ხელი მიმიწვდა): არც ერთში არ აღმოჩნდა ძველი აღთქმის ის ადგილები, სადაც ებრაულშია \aleph , ბერძნულში, – $\acute{\omicron}\rho\tau\upsilon\sigma\iota\mu\acute{\eta}\tau\alpha$.

ავდექი და წერილობითი შეკითხვით მივმართე ცნობილ საბჭო-თა ჰებრაისტ ი. დ. ამუსინს⁴²:

„1. არის თუ არა 16-13 4QEx ^a -ში და 4QpaleoEx ^m -ში?

11-31, - 4QNu ^b -ში?!

104-40, - 4QPs ^f -ში?! -

თუ რომელიმეში არის, - რა ძველბრაული სიტყვა წერია იქ ძველბერძნული ორტუციმურა-ს ადგილას?!

2. არის თუ არა 16-13 pap 7QLXXEx (= 7Q1) -ში?!

11-31, - 4QLXXNu -ში?! -

თუ რომელიმეში არის, - იქაც ძველბერძნული ორტუციმურა წერია, თუ სხვა რამ?!“

მივიღე ასეთი პასუხი:

„4Q -დან ბიბლიის ტექსტების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ გამოსაქვეყნებელია.

სადღისოდ იქიდან გამოქვეყნებულია თქვენ მიერ დასახელებული წიგნების მხოლოდ ფრაგმენტები, რომელნიც თქვენთვის საინტერესო ადგილებს არ შეიცავენ.

pap 7QLXXEx (= 7Q1) -ში 16-13 არ შენახულა.

4QLXXNu ჯერ მთლიანად გამოქვეყნებული არაა; რაც არის, იქ 11-31 არ ჩანს;

მაგრამ, ვინაიდან მასორულ ტექსტში ორტუციმურა-ს ადგილას ყველგან წერია 𐤒𐤑, ამიტომ, ეჭვი არაა, კუმრანის ტექსტშიც იგივე სიტყვა ეწერებოდა.

ეგ კი არა და, თვით „სოლომონის სიბრძნეში“, რომელიც ებრაულად თარგმნილია ბერძნულიდან, ორტუციმურა-ს ადგილას აღდგენილია 𐤒𐤑 (16-2; 19-12)“.

დამეთანხმებით, ამ პასუხში, ჯერ ერთი, სანუგეშო არაფერია და, მეორეც, მასორული ტექსტისა და ბერძნულიდან ებრაულად თარგმნილი „სოლომონის სიბრძნისეული“ 𐤒𐤑-იც ვერაფერი შვილი არგუმენტია, კუმრანის ტექსტში უეჭველად 𐤒𐤑-ის არსებობისათვის.

მეორე ვარაუდი იმ ერთმა საგულისხმო გარემოებამ მაფიქრებინა, რომ:

მეტნაკლებად ყოველ ენაში (მეტადრე სემიტურ ენებში) არსებობს ერთსახელიანი ორი (ზოგჯერ მეტი) სხვადასხვა ფრინველი (არაბულში, მაგალითად, طيطي ჰქვია „ყარანას, ოფოფს, მექვიმას“)⁴⁴.

ვფიქრობ, ჩემეული ამ ორი ვარაუდიდან, ჭკუასთან უფრო ახლოა მეორე (Гѣѣ-ის ორმნიშვნელობიანობა).

როგორც ვიცით (გარდა ქართ. მწერმარკილისა) ბერძ. ὀρνυοῦμα-ῥῥα -ს შესატყვისნი არიან სომხ. լորսմարիკი და სლავ. krásteľ, რომელნიც, თავის მხრივ (ვრცელი ეზრათი) ლათ. coturnix-ის შესატყვისებად ჩანან.

krásteľ / korosteľ წმინდა სლავური სიტყვაა (სლოვ. krastir, ჩეხ. křástal, chřástal...).

თელიან ხმაბაძვით სახელად („crex, crex, crex“)⁴⁴.

მისი მნიშვნელობაა „ლალა“.

ამიტომ იგი რამდენადაც თავის ადგილზეა ბერძნულიდან თარგმნილ ძველი ალექსის მთელ რიგ წიგნებში (გამოსლ. 16-13; რიცხვ. 11-31; ფსალ. 104-40; სიბრძ. სოლომ. 16-2, 19-12), იმდენად უადგილოა „|| ეზრა სუთიელში“, ვინაიდან ეს წიგნი სლავურად თარგმნილია ლათინურიდან, იქ კი შესაბამის ადგილას (1-15) წერია coturnix.

ლორსმარიკი ბარგირქში განმარტებულია ასე:

„ლორსმარიკ /ლორსმარიკი – ὀρνυοῦμαῥῥα (დედა მწყერი).“

coturnix, coturnicum mater. მსუქანი მწყერი მდელოსი (მოყვანილია ლორსმარიკ-ის შემცველი ციტატები, დასახელებულია წყაროები)⁴⁵.

კ. იალუბიანთან და ა. ხუდაბაშიანთან ლორსმარიკ/ლორსმარიკის (პირველია პირველთან, მეორე, – მეორესთან) განმარტებაა „მწყერი, დედა მწყერი, ლალა“ (ეს უკანასკნელი ვკუთვნის ხუდაბაშიანს)⁴⁶.

ს. მალხასიანთან და ე. ალაიანთან ლორსმარიკ/ლორსმარიკი ორმნიშვნელობიანია: 1. მწყერი. 2. მწყრის ბარტყი („მწყრის მსუქანი ბარტყი“ – ს. მ.)⁴⁷.

ბერძ. ὀρθογώνια > სომხ. լորսմարգ

ბერძ. ὀρθογώνια > სლავ. крѣстель;

ბერძ. ὀρθογώνια > ქართ. მწყერმარკილი;

სომხ. լորսմարգ > ქართ. მწყერმარკილი (ფსალმუნით);

სლავ. крѣстель > ქართ. მწყერმარკილი (სოლ. სიბრძნითა და ვრცელი ჟრათი);

ლათ. columix > სომხ. լորսմարգ, სლავ. крѣстель (ვრცელი ჟრათი).

როგორც „მწყერმარკილის“ აქ წარმოდგენილ, ბიბლიისეულ უცხო შესატყვისობათაგან ჩანს, სახელწოდება იმ ფრინველისა, რომელიც „სულმან უფლისამან გამოიღო ზღუთ“, კომპოზიტს წარმოადგენს მხოლოდ სამ ენაში: ბერძნულში (ὀρθογώνια), სომხურში (լორსმარგ) და ქართულში (მწყერმარკილი).

რა მიმართებაშია ეს სამი კომპოზიტი ერთმანეთთან?! -

სამივეში ნათელია მსაზღვრელის რაობა [ὀρθογ (< ὀρθῆος); ლორ; „მწყერ“-ი].

რაობა საზღვრულისა გასაგებია მხოლოდ ბერძნულში [μάρτα < μάρτηρ - „დედა“].

რას უნდა ნიშნავდეს მარგ-ი და მარკ-ი?!⁵³

ლორსმარგ-ი და მწყერმარკილ-ი უშუალო (ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი) კალკებია ὀρθογώνια-სი, თუ პირველი (ლორსმარგ-ი) კალკია ὀρθογώνια-სი, მეორე კი (მწყერმარკილ-ი), - კალკის (ლორსმარგ) კალკი?!⁵⁴

ჩემი აზრით, გაჩენა სომხურში ლორსმარგ-ისა და ქართულში მწყერმარკილისა სავარაუდოა ორნაირად:

1. ლორსმარგ-ი კალკია ὀρθογώνια-სი მწყერმარკილ-ი, - ლორსმარგ-ისა⁵⁵.

2. მწყერმარკილ-ი და ლორსმარგ-ი ὀρθογώνια-საგან და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შექმნილი, ერთნაირი შინაარსის სახელებია⁵⁶.

ამ ორიდან, რომელი გზაც არ უნდა იყოს სწორი, ერთი უდავოა: ὀρθογώνια და მისი შესატყვისნი: ლორსმარგ-ი და მწყერმარ-

კილ-ი, სამივე ნიშნავს „ლალლას“ (ყოველ შემთხვევაში, ისტორიულად ეს ასეა).

დღეის ამას იქით, „მწყერმარკილი“ უნდა განიმარტოს ასე: მწყერმარკილ-ი (*Crex crex L.*) – იგივეა, რაც ლალლა (გამოსლ. 16-13; რიცხვ. 11-31, 32; ფსალ. 104-40; სიბრძ. სოლომ. 16-2, 19-12; III ებრა სუთ. 1-15 და სხვ.).

შენიშვნები

1. მწყერმარკილი ქართულ წერილობით წყაროებში ზოგან წერია დეფისით, – მწყერ-მარკილი [„ექუსთა დღეთაჲ“ (უძვ. და გ. მთან. თარგ.); ძვ. აღთ. აპოკრიფ., I, თბ., 1970; ფსალ. (მზ. შან. გამოცემა)], ზოგან, – უდეფისოდ, – მწყერმარკილი [მცხ. ხელ. (ელ. დორ. გამოცემა); საბას ლექს.; ნ. ჩ-ს ლექს.], ზოგან, – ორ სიტყვად, მწყერ მარკილი (ბიბ. ტფ. 1884), ზოგან, – დეფისით, მაგრამ არა კარ-ით, არამედ, – ხან-ით, – მწყერ-მარხილი [აბდულმესიანი (ნ. მარ. გამოც. – 1902; მ. ჯან. გამოც. – 1915 და 1920; ს. ყუბ. გამოც. – 1949; ივ. ლოლ. გამოც. – 1960 და 1964); დ. ჩ-ის ლექს.], ზოგან, – ორ სიტყვად, ოლონდ ასევე ხან-ით, – მწყერ მარხილი [აბდულმესიანი (პლატ. იოს. გამოც. – 1838; დ. ჩ-ის გამოც. – 1863; ს. კაკაბ. გამოც. – 1913 და 1937)];

გვხვდება აგრეთვე ფორმები: მწყერმეკირი [მცხ. ხელ. (ელ დორ. გამოც.)], მწყერმერკი (საბა), მწყერ-მარხი [საბას ლექს. (რ. ერისთ. გამოც.)]; რ. ერისთ. – მოკლე ქართ.-რუს.-ლათ. ლექს; დ. ჩ., – ქართ.-რუს.-ჭრანც. ლექს.), მწყერმარხი (ნ. ჩ-ის ლექს.).

ვინაიდან ამ სიტყვის მართებული დანერილობაა მწყერმარკი/მწყერმარკილი (მდრ: ანალოგ. კომპოზიციანი: სირაქლუმა, მწყერჩიტა, ჩიტბატონა და სხვ.), ამიტომ მე მას (მოუხედავად წყაროსა) ყველგან ვწერ, როგორც: მწყერმარკილი (თვითონ

- „მწყერმარკილი“, რომ გავრცობილი ფორმაა „მწყერმარკისა“, მკითხველი ამაში დარწმუნდება ქვემოთ, თავის ადგილზე).
2. ჩვენამდე მოღწეული ქართული ნუსხებიდან „გამოსლუათა ნიგნის“ დასახელებულ ადგილს (16-13) შეიცავს ბაქარის ბიბლია, H-1207, ქუთ. №28, A-179, A-51;

„რიცხუთა ნიგნისას“ (11-31), – ბაქარის ბიბლია, A-51, A-1108b და Q-1152a;

„ფსალმუნისას“ (104-40), – A-38, A-51, ბაქარის ბიბლია, იერუსალიმისა (№161, №133 – ბლუკით) და ლენინგრადის (ძველი ნომრები: G-116, B-4) ხელნაწერები;

„|| ეზრა სუთიელის ნიგნში“ მითითებული ადგილი (1-15) არის მხოლოდ ბაქარის ბიბლიაში მოთავსებულ, სლაფურიდან თარგმნილ ვრცელ რედაქციაში; ამ ნიგნის მოკლე რედაქციას, რომელიც შენახული აქვს ოშკისა და იერუსალიმის ბიბლიებს, ეს ადგილი არ მოეპოვება;

„სიბრძნე სოლომონისაში“ მითითებული ორი ადგილიდან (16-2 და 19-12) ოშკის ბიბლიასა და მის მიმყოფ ხელნაწერებში დაცულია მხოლოდ 19-12. 16-2 ნაკლულია (აკლია სწორედ ჩემთვის საინტერესო სიტყვა); სლაფურიდან თარგმნილ ამ ნიგნში კი, რომელსაც შეიცავს ბაქარის ბიბლია და S-1349 და A-1418 ხელნაწერები, ორივე ადგილია.

3. უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათვის“, X-XIII სს-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილ. აბულაძემ, თბ., – 1964, 67, 33;

გიორგი მთანმიდლისეულ თარგმანში „ამბოროსის“ ადგილას წერია „ელევენი“ (ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ: მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1946, ნაკვეთი II (25), თბ., – 1947. 54, 24), სომხურში, ხიქარაიუს (Մրբոյ Բարսիլի ხայիսկուպისի Կեսարոս Կապարդկացոյ ճարձ քասն վեցոտայ արարչութեան. ի վեներտիկ-1830, 89), რუსულ-

ში, – **чемерица** (Творенія святого Василия Великаго, Беседы на шестоднев, М., – 1845.82), თვით ბერძნულში, ἑλλέβορις (უძვ. რედაქციები, 17,27).

„ექუსთა დღეითაჲს“ უძველეს თარგმანზე დართულ ლექსიკონში, რომელიც მის გამომცემელ ილ. აბულაძეს ეკუთვნის, „ამბოროსის“ რუსულ შესატყვისად წარმოდგენილია **черемица (Helleborus)**, რაც, უეჭველად, კორექტურული შეცდომაა, ვინაიდან აქ „ამბოროსის“ ლათ. ნომენკლატურა და რუს. შესატყვისი ერთმანეთს გამორიცხავენ; helleborus არის ნომენკლატურა „ხარისძირასი“, რომლის რუს. სახელწოდებანია: **зимовник, морозник, ზოგჯერ, – безвременник, ხოლო черемица, იგივე черемша უდრის ქართ. „ლანძილს“** და მისი ლათ. ნომენკლატურაა Allium ursinum.

ფორმა „ამბოროსის“ ქართულში გაჩენის თაობაზე ილ. აბულაძე დასახელებული წიგნის შესავალში სავსებით მართებულად შენიშნავს: „არტიკლმოკლებული ჩანს ჩვენი ტექსტის „ამბოროსი“, რომელსაც ბერძნულით შეესატყვისება ἑλλέβορις. აქ ἑλλ გაგებულია არტიკლად (ან არაბი გადამწერისაგან, ანდა ქართველი მთარგმნელისაგან არაბულიდან), ხოლო დანარჩენიდან, ἑβορις-იდან მომდინარეობს „ამბოროსი“ (გვ. 20)“.

ეს მოსაზრება, რომ სრული სიმართლეა, ამას ამტკიცებს იერუსალიმის №44 ნუსხაში (XII-XIII სს.) არსებული ამ სიტყვის ფორმა „აბოროსი“ [ἑβορις > აბოროს-ი > ა^მბოროს-ი (ბს წინ განვითარდა „მ“, რაც ხშირი შემთხვევაა ქართულში)].

რაიცა შეეხება გიორგი მთაწმიდლისეულ თარგმანში არსებულ ფორმას „ელევენი“; ესეც, ჩემი აზრით, მიღებულია იმავე ბერძ. ἑλλέβορις-იდან (ელლებოროს > *ელლებოორ > *ელლეგოორ > *ელლეგონ > ელევენი).

4. აბდულმესიანი: ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., – 1949, გვ. 205, სტროფი 65, სტრიქ. 1.

ამ თხზულების რუსულ თარგმანში, რომელიც შ. ნუცუბიძეს კუთვნიან, „მწყერმარკილი“ უფლებბელყოფილია:

„Клятвой словесной, мапной небесной

Благ ты рассыпал миру множество“;

(Абдул-мессия, перевод с грузинского Шалва Нуцу-
бидзе, Тб. – 1942, გვ. 75, სტროფი 83).

5. ცხორება და მოქალაქობა ნმიდისა მამისა ზუენისა დავით გარესჯელისა: ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V-X სს.), თბ., – 1963, გვ. 230, 18.
6. წყარო მითითებული არაა და „მწყერმარკილს“ მხოლოდ სომხ. შესატყვისი უზის ოთხში (H-95-სა და Q-400-ში, – ლურამარგ, K-300-სა და S-2498-ში, – ლურამარგი), ერთში (H-416) არც წყაროა მითითებული და არც უცხო შესატყვისია, ერთში (H-1658) ასევე, წყარო მითითებული არაა, მაგრამ სამაგიეროდ ახლავს არა მარტო სომხური, ლათინური შესატყვისიც (კუთურნიქს); ამ ნუსხაში სომხ. შესატყვისი წარმოდგენილია ფორმით ლუამარ (ბოლო, ერთი თუ ორი ასო მოხეულია).

თვით განმარტება ვრცელი სახითაა ხუთში (K-300, S-2498, H-95, A-400, H-416): „ზრდის ფრინველსა ამას არაიას სანახები. ვითარ არცა ერთისა სხუისა მფრინველობად საშუალ მდებარესა ზღუასა ზენა კერძო აღსრული მდაბლად მფრინავ ქვეყანასა მახლობელად“, მოკლეთი, – ოთხში (H-1429, A-1473, A-75, H-1658): „ზრდის ფრინველსა ამას არაბიას სანახები ზღუათა ზედა“. წყარო (გამოსლ. 16-13), ამ ოთხიდან, დასახელებულია მხოლოდ სამში (H-1429, A-1473, A-75).

„მწყერმარკილის“ საბასეული ლათინური შესატყვისის („კუთურნიქს“ – H-1658) საფუძველზე არჩ. ჯანაშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ „მწყერმარკილი“ იგივეა, რაც „მწყერი“:

„მწყერმარკილი/მწყერმერკი“ თვით საბას მიერვე დამონებული წყაროების (გამოსლ. 16-13; რიცხვ. 11-31) თანახმად, „მწყრის“ სინონიმია“.

[გააჩნია რომელენოვანი ბიბლიის მიხედვით! – ლათინური, რუსული და ევროპულენოვანი ბიბლიებით ეს მართლაც ასეა, მაგრამ ქართული ბიბლია ხომ ბერძნულიდან (ნაწილობრივ სომხურიდან) არის თარგმნილი?! აქ კი „მწყერმარკილის“ ადგილას წერია სიტყვა (ὀρτυγομήτρα), რომლის რაობა ჯერ კიდევ მთლად ნათელი არაა].

„მით უმეტეს, – განაგრძობს მეცნიერი, – ეს მტკიცდება საბას ლექსიკონში მოტანილი თარგმანიდან. აქ „მწყერმარკილის“ იტალიურ შესატყვისად მოცემულია „კუთურნიქს“ (ლათ. Coturnix)“.

[ეს არაა სწორი; ამით არაფერიც არა მტკიცდება, ვინაიდან აქ საბას მიერ მხოლოდ ფიქსირებულია ის ლათ. სიტყვა, რომელიც ქართული „მწყერმარკილის“ ადგილასაა ლათინურ ვულგატაში; ლათ. ვულგატა კი, როგორც ცნობილია, ქართული ბიბლიის წყარო არ გახლავთ (ყოველ შემთხვევაში „გამოსლვათა“ და „რიცხვთა“ წიგნები იქიდან თარგმნილი არაა)].

„თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, – დასძენს არჩ. ჯანაშვილი, – რომ დ. ჩუბინაშვილს „მწყერმარკილი“ არამართებულად უთარგმნია „κοροστελ“-ად (არჩ. ჯანაშვილი, საბას ლექსიკონის ზოგიერთი ტერმინის განმარტებისათვის: სულხან-საბა ორბელიანი, საიუბილეო კრებული, 1959, გვ. 248).

(ესეც არაა სწორი! – დ. ჩუბინაშვილს „მწყერმარკილი“ კი არ უთარგმნია, არამედ მან ფიქსირება გააკეთა სიტყვისა, რომელიც „მწყერმარკილის“ ადგილას არის სლავურ ბიბლიაში; ე. ი. სლავ. „кpάcтeлb“-ის (რუს. „κοροστεлb“) მიმართ იგი მოიქცა ისევე, როგორც ლათ. „coturnix“-ის მიმართ, – საბა).

საერთოდ, რომ ვიცოდეთ, არც საბამ და არც დ. ჩუბინაშვილმა (არც სხვა ლექსიკოგრაფებმა) არ იციან, სახელდობრ, რომელი ფრინველია „მწყერმარკილი“; ამას ადასტურებს „მწყერმარკილის“ საბასეული განმარტება („ზრდის ფრინველსა ამას არაბიას სანახები ზლუათა ზედა“) და დ. ჩუბინაშვილ-

ისეული არასწორი რუს. შესატყვისი „ღაღღისა“ (галка, кулик).

7. „მწყერ-მარხი, მწყერ-მარხილი (груз.), (არაბეთს იზრდება ეს ფრინველი ზღვათა ზედა). (გამოსლ. 16, 13)“ – (რაფ. ერისთავი, მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი, Тифлис – 1884).

„მწყერ-მარკილ-ი – ზღვის ფრინველი, რომელიც ცხოვრობს არაბეთის ზღვის სანაპიროებზე“ [ჩვენი საუნჯე; ტ. II, აბდულმესიანი (გვ. 485-511), – ტექსტი დადგენილია ივ. ლოლაშვილის მიერ, თბ., – 1960].

„მწყერ-მარხილ-ი – ფრინველი, რომელიც ცხოვრობს არაბეთის ზღვის სანაპიროებზე“ (ძველი ქართველი მეხოტბენი II, იოანე შავთელი, აბდულმესიანი, ივ. ლოლაშვილის რედაქციით, თბ., – 1964).

8. „მწყერ-მარხილი – перепел (65.1,4)“ – [Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии (წიგნი IV) – 1902 წ. (აბდულმესია – გვ. ა-ობ)].

„მწყერ-მარხილი – მწყერი“ (შავთელი, აბდულ-მესიანი, ს. კაკაბაძის გამოცემა, თბ., – 1937).

„მწყერ-მარხილი – არაბული მწყერი“ (ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ, თბ., – 1949, ლექსიკონის შემდგენელი ივ. ჯავთარაძე).

„მწყერ-მარკილ-ი – მწყერი“ (უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“. X-XIII სს-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., – 1964).

„მწყერ-მარკილ-ი – მწყერი, columix, cotumicum mater“ (ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., – 1973).

„მწყერ-მარკილ-ი – მწყერი“ [ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები (X-XVIII სს. ხელნაწერთა მიხედვით), ტექსტი

გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, წიგნი I, თბ., - 1970; ლექსიკონი - გვ. 453].

სხვათა შორის, „მწყერმარკილს“ „მწყერთან“ აიგივებს თეიმურაზ პირველიც: „როს ისრაელთა უწვიმა ღმერთმან მწყერი და მანანა“... (თეიმურაზ I, სოფლის სამღურავი - 20,3).

„მწყერში“ „მწყერმარკილს“ გულისხმობს მამუკა ბარათაშვილიც: „... მწყერ მანანა გცა დაუკლევანი“... (მამუკა ბარათაშვილი, - ქება მეფის ბაქარისა, - 37,3 - თხზულებათა სრული კრებული, თბ., - 1969).

„მწყერმარკილს“ უნდა გულისხმობდეს ერთი ხალხური ლექსის „მწყერიც“: „დღე მუდამ ჩამოდიოდა ზეციდამ გაფცქენილი მწყერი“ (პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ტ. I, თბ., - 1964, გვ. 145,8).

9. „მწყერმარხილი ღალა არის“ (დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, თბ., - 1967, გვ. 138).

„მწყერმარხი ანუ მწყერმარხილი - крастель, коростель (ფსალ. 104,40)“ - (ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბ., - 1961).

„მწყერ-მარხი, მწყერ-მარხილი, n. s. коростель, gale de genet (oiseau) - (დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსულ-ჭრანციკული ლექსიკონი, СПб. - 1840).

აქ უნდა შევნიშნო: დ. ბაგრატიონის მიერ „მწყერმარკილის“ „ღალად“ მიჩნევა, ჩემი აზრით, გაპირობებულია სლავური „крастель“-ით (ქართულ ბიბლიაში, სადაც „მწყერმარკილია“, სლავურში, იქ, ყველგან **крастель**-ია.

ამ მხრივ, არ შეიძლება იგივე ითქვას ნ. და დ. ჩუბინაშვილებზე, ვინაიდან მათთან „ღალის“ რუსული შესატყვისებია „галка, кулик“.

„მწყერმარკილის“ მათმიერი რუსული შესატყვისი (**крастель/коростель**) მხოლოდ ფიქსირებაა იმ ტერმინისა, რომელიც სლავურ ბიბლიაში ქართული „მწყერმარკილის“ ადგილასაა.

რაიცა შეეხება დ. ჩუბინაშვილისეულ ფრანგ. „*gale de genet*“-ს, იგი არა ბიბლიისეული, არამედ ცხოვრებისეული ფრანგ. შესატყვისია ცხოვრებისეულივე სლავური „*красель*“-ისა, ვინაიდან ბიბლიის მიხედვით სლავ. „*красель*“-ის ფრანგ. შესატყვისია „*caille*“.

10. „მწყერ-მარკილი არს მფრინუჭლი მდელთათა გამოზრდილი ველსა შინა, რომელიცა არს უმსუქნეს და უდიდეს უფროს ზომიერებისა მწყრისასა (ფსალ. 104,40)“ – (დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, თბ., – 1967, გვ. 176 – პეტიტი).

„მწყერმარხილი (№471, რიცხვ. 11,30)=მწყერმეკირი (№51, რიცხვ. 11,30) – რუსულშია „პერეპელ“, ბერძნულში, – „ორტიქს“ – „მწყერი“ (იოვანე შავთელი, აბლულ-მესიანი, მ. ჯანაშვილის წინასიტყვაობითა და განმარტებით, თბ., – 1915, გვ. 69; იოვანე შავთელი, აბდულ-მესიანი, მ. ჯანაშვილის წინასიტყვაობითა და განმარტებით, თბ., – 1920, გვ. 56).

(აქ უნდა შევნიშნო, რომ ბერძნულში არის არა „ორტიქს“, არამედ, – „ორტეგომეტრა“).

„მწყერმარკილის“ რაობაზე აზრთა ასეთი სხვადასხვაობისდა მოუხედავად (იხ. შენიშვნები: 6-7-8-9), იგი ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში შეტანის ღირსად მაინც არ უცენიათ (მიზეზი ამისა, ალბათ, სწორედ აზრთა ეს სხვადასხვაობაა მასზე)!

„მწყერმარკილი“ შეტანილი არაა ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც.

11. გამოსლ. 16-13 (H-1207, ქუთ. №28, A-179, A-51 ნუსხათა მიხედვით), 11-31-ის შემცველი რიცხვთა წიგნი (A-51, A-1108b, Q-1152a ნუსხათა მიხედვით), 104-40-ის შემცველი ფსალმუნთა წიგნი [A-51-ის, იერუსალიმის (№161, №133 – რ. ბლეიკით) და ლენინგრადის (ძველი ნომრები: G-116, B-4) ნუსხათა მიხედვით], 19-12-ის შემცველი სოლომონის სიბრძნის წიგნი (ოშკის ბიბლიის მიხედვით) თარგმნილია ბერძნულიდან, ან ნასწორებია ბერძნულის საფუძველზე (იხ. მცხეთური ხელნაწერი, ტექსტი გა-

მოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბ., - 1981, გვ. 9, 10, 32-35; М. А. Шанидзе, Древнегрузинские переводы "книги Псалмов"; Автореферат докторской диссертации, Тб. - 1974, გვ. 44-49; მზ. შანიძე, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბ., - 1979, გვ. 139; მცხეთური ხელნაწერი, ელ. დოჩანაშვილის გამოცემა, თბ., - 1983, გვ. 4; ც. ქურციკიძე, ძველი ალექსის აპოკრიფული წიგნების ქართული ვერსიები, წიგნი II, თბ., - 1973, გვ. 198; ძველი ალექსის აპოკრიფების ქართული ვერსიები (X-XVIII სს. ხელნაწერთა მიხედვით), ტექსტები მოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, წიგნი I, თბ., - 1970, გვ. 6).

ὄρτυχομήτρα (გამოსლ. 16-13; ფსალ. 104-40; სიბრძ. სოლომ. 19-12) „რიცხუთაში“ (11-31) და „სიბრძნე სოლომონისაში“ (16-2) არის ფორმით: ὄρτυχομήτραν.

[ბერძ. ὄρτυχομήτρα-სათვის (რომლის შესატყვისია ქართ. მწყერმარკილი) იხ. Vetus Testamentum, graece et Latine, MDCCC LXXVIII - 1878; Ta Biblia, en Mosxa - 1821; Septuaginta, edidit Alfred Rahlfs, Stuttgart; Brian Walton, Biblia sacra polyglotta, Graz-Austria, ტ. I - 1963, ტ. III, IV - 1964].

12. 104-40-ის შემცველი ფსალმუნთა წიგნი (A-38 ნუსხის მიხედვით) თარგმნილია სომხურიდან; მზ. შანიძემ, რომელმაც ქართული ფსალმუნის უძველესი თარგმანები შეაჯერა სირიულ და სომხურ ვერსიებთან, შენიშნავს: „C 4 (C-ში იგულისხმება A-38. მ. მ.) სირიულს ეთანხმება მხოლოდ მაშინ, როცა ეს უკანასკნელი პარალელს პოულობს სომხურში. იმ შემთხვევაში, როცა სომხური და სირიული ერთმანეთისგან სხვაობს, C 4, როგორც წესი, ახლოა სომხურთან“ (იხ. М. А. Шанидзе, Древнегрузинские переводы "книги Псалмов" Тб., - 1974, გვ. 35-40).

լირամარգի (ფსალ. 104-40) „გამოსლვათაში“ (16-13) და სიბრძნე სოლომონისაში“ (16-2) არის ფორმით: լիրամարգին, „რიცხუთაში“ (11-31), - զլիրամարգին, „სიბრძნე სო-

ლომონისაში" (19-12), – ირამარც (ვენეციური გამოცემა, – 1805): ასევეა („სოლომონის სიბრძნის“ გამოკლებით) კონსტანტინოპოლურ გამოცემაში (1895. ეს გამოცემა „სოლომონის სიბრძნეს“ არ შეიცავს); კონსტანტინეპოლურ მეორე გამოცემაში კი (1884. „სოლომონის სიბრძნეს“ არც ეს გამოცემა შეიცავს) ყველგან, სადაც კია, არის ერთი ფორმით: ირამარცხინი (გამოსლ. 16-13; რიცხვ. 11-31; ფსალ. 104-40).

[სომხ ირამარცხ-სათვის (რომლის შესატყვისია ქართ. მწყერმარხილი) იხ. ასათიანბაჟინი მასხან ჰინ ხი ნირ კთასკარანაგ; ზ.ჲხნხსიქ – 1805; ასათიანბაჟინი მასხან ჰინ ხი ნირ კთასკარანაგ; ლისთანინიციქი – 1884; ასათიანბაჟინი მასხან ჰინ ხი ნირ კთასკარანაგ; ლისთანინიციქი – 1895].

მითითება იმ სომხური დედნისა, საიდანაც ითარგმნა A-38, სადღესოდ შეუძლებელია, ვინაიდან „უძველესი ქართული თარგმანის დედნად უნდა ვივარაუდოთ ძველი სომხური თარგმანი, რომელიც ჩვენამდე მოღწეული არ არის და რომლის გვიანდელი გადამუშავებული ვარიანტი წარმოდგენილია სომხური ფსალმუნის დღევანდელ ტექსტში“ (მზ. შანიძე, ფსალმუნთა ნიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბ., – 1979, გვ. 153).

13. 1-15 შემცველი „III ეზრა სუთიელის“ ვრცელი რედაქცია (ბაქარის ბიბლიის მიხედვით), 16-2-ისა და 19-12-ის შემცველი „სოლომონის სიბრძნის ნიგნი“ (ბაქარის ბიბლიისა და A-1418 და S-1349 ნუსხათა მიხედვით) თარგმნილია სლავურიდან; საერთოდ, როგორც ცნობილია, მთელი ბაქარის ბიბლია ნასწორებია სლავური ბიბლიის მიხედვით (იხ. ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები, ნიგნი I, თბ., – 1970, გვ. 7, 8; ც. ქურციკიძე, ძველი აღთქმის აპოკრიფული ნიგნების ქართული ვერსიები, ნიგნი II, თბ., – 1973, გვ. 306).

кpастель სლავურ ბიბლიაში ყველგან მრავლობითის ფორმითაა: кpастели (გამოსლ. 16-13; რიცხვ. 11-31; ფსალ. 104-40; III ეზრა სუთ. 1-15; სიბრძ. სოლომ. 16-2, 19-12).

[სლავ. *красель-исатовис* (რომლის შესატყვისია ქართ. მწყერმარკილი) იხ. *Бібліа сѣрьчь, книги свѣщѣннагѡ писанїа...* на Славѣнскомъ Азыкъ ... напечатана въ Бѣгоспасаемомъ царствующемъ градѣ Сѣгѡ Петра, въ лѣто ѿ Рѣтвѡ же по плѣти Бѣа Слова *ѳанѡв*; *Псалтир*. Почаев - 1908].

14. ბიბლია (ე. წ. სეპტუაგინტა/სეპტანტა) ებრაულიდან ბერძნულად ითარგმნა ძვ. წ. აღ. II ს-ში (БСЭ, т. III, М., - 1970; КЛЭ, т. I, М., - 1962; ქსე, ტ. 2, თბ., - 1977).
15. ბიბლიის უშუალოდ ებრაულიდან შესრულებული სირიული თარგმანი (ფეშიტა), რომელიც სეპტუაგინტას შემდეგ ყველაზე უძველესია, ვარაუდით III ს. უნდა ეკუთვნოდეს (ЭС, - Ф. А. Брокгауза и И. А. Ефрона, т. VI, СПб. - 1891; კ. ნერეთელი, თანამედროვე ასურული ენის გრამატიკა, თბ., - 1968, გვ. 12).
16. უშუალოდ ებრაულიდანვე შესრულებული (ფსალმუნის გამოკლებით) ლათინური (ნეტარი იერონიმესეული) თარგმანი 386-406 წწ. ეკუთვნის; იგი საფუძვლად დაედო 1590 წელს რომის კურიის მიერ გამოცემულ ვულგატას, სადაც ფსალმუნი შეტანილია ბერძნულიდან დაახლოებით II ს-ის შუანლებში ლათინურად თარგმნილი ბიბლიიდან („იტალა“) - (БСЭ, т. III, М., - 1970; ქსე, ტ. 2, თბ., - 1977; ЭС, - Ф. А. Брокгауза и И. А. Ефрона, т. VI, СПб. - 1891).
17. „გამოსლვათა წიგნში“ არის **קָצַץ** (16-13), - ფონეტიკური ვარიანტი **קָצַץ**-ისა (ფსალ. 105-40; სიბრძ. სოლომ. 16-2, 19-12); „რიცხუთაში“ **קָצַץ** მრავლობითის ფორმითაა: **קָצַצְוּ** (11-31).
[ებრ. **קָצַץ**-ისათვის (რომლის სხვადასხვაყამინდელი შესატყვისინი არიან ბერძ. *ὄρνυχομήτρα*, სირ. **ܩܘܨܝܢܐ** და ლათ. *coturnix* და თვით ამათვის) იხ. Brian Walton, *Biblia sacra polyglotta*, Graz-Austria, ტ. I-1963, ტ. III-IV - 1964].

18. ორტყომერთა-ს შესატყვისი სომხ. լիրամարգի-სა და სლავ. **красель**-ისათვის იხ. ზემოთ მითითებული სომხური და სლავური წყარონი.

19. **coturnix**-ის შესატყვისი լիրամარգ-ისათვის იხ. Աստուածաշունչ Հրնոց եւ նորոց Կտակարանաց... Ամստերդამ – 1666;

coturnix-ის შესატყვისი **красель**-ისათვის, – ზემოთ მითითებული სლავური ბიბლია;

coturnix-ისათვის (რომლის შესატყვისნი არიან სომხ լիրամარგ და სლავ. **красель**), – Die Esra Apocalypse (IV Esra), erster Teil; Die Überlieferung, herausg. von Sic. Dr. Bruno Violet, Leipzig – 1910; The fourth Book of Esra, te Latin version ed from the MSS, by the Late R. L. Bensly, M. A., with an introduction by Montague Rhodes James, Cambridge – 1895.

20. „წიგნი ეზრა სუთიელისა“ (III ეზრა) სადღეისოდ არც ებრაულად არსებობს, არც ბერძნულად. ეს წიგნი ცნობილია ორი რედაქციით; მოკლეთი და ვრცელით; მოკლე რედაქცია მიჩნეულია უფრო ძველად და პირველად. ამ რედაქციის თარგმნები დღემდე ცნობილია სირიულ, ეთიოპურ, არაბულ, სომხურ და ქართულ ენებზე. ქართული თარგმანი დაცული აქვთ ოშკისა და იერუსალიმის ბიბლიებს; მოკლე „ეზრა სუთიელის“ ქართული ტექსტი, როგორც ც. ქურციკიძე შენიშნავს, შესაძლოა, უშუალოდ არ იცნობდა ეთიოპურს, მაგრამ უთუოდ მომდინარეობს იმავე წყაროდან, რომლიდანაც ეთიოპური.

1-15-ის შემცველი ამ წიგნის ვრცელი რედაქცია შემონახულია ლათინურად [იქ შესაბამის ადგილას (1-15) წერია **coturnix**]; ლათინურიდანაა იგი თარგმნილი ყველა ევროპულ ენაზე, მათ შორის სლავურსა და სომხურზედაც. ქართული ვრცელი რედაქციის თარგმანი (რომელიც დაბეჭდილია ბაქარის ბიბლიაში) შესრულებულია სლავურიდან, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ (როგორც უკვე ითქვა) თარგმნილია ლათინური-

დან [იხ ც. ქურციკიძე, ძველი ალექსის აპოკრიფული (არაკანონიკური) ნიგნების ქართული ვერსიები, ნიგნი II, თბ., - 1973, გვ. 271, 273, 274, 301].

21. ილია აბულაძე ამ თარგმანში არსებული არაბიზმებისა და სპარსიზმების საფუძველზე (ზაფრანი, კოშკი, ჯიპოსი, სუბუქი, ასქინო და სხვ.) გამოთქვამს ვარაუდს, რომ ბ. კესარიელის „ექუსთა დღეთაჲს“ უძველესი ქართული თარგმანი არაბულიდან მომდინარედ შეიძლება მივიჩნიოთ და შესრულებული ჩანს არა უადრეს VIII-IX სს-ისა და არა უგვიანეს X ს-ისა (უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“, X-XIII სს-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., - 1964, გვ. 20). ამ დროისათვის, როგორც ცნობილია, ბიბლია უკვე თარგმნილია ქართულადაც და არაბულადაც.
22. საინტერესოა, რომ გ. მთანმიდელი ბერძ. ὀρθοδοξία-საც მწერმარკილად თარგმნის (იხ. მისეული ფსალ. 104-40) და ბერძ. ὀρθόξ-საც (ექუსთა დღეთაჲ 54,24); უფრო სწორად, იგი მწერმარკილს, აქ დასახელებულ ორივე ნაწარმოებში, ხელუხლებლად ტოვებს (როგორც ვიცით, ორივე ეს ნაწარმოები თარგმნილი იყო გიორგიმდე და გიორგი თავის მუშაობაში იყენებდა მათ).
23. იხ. უძველესი რედაქციები ბ. კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გ. ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“, ილ. აბულაძის გამოცემა, თბ., - 1964, გვ. 11.
24. Մրբոյ Բարսիլի եպիսկոպոսի Կեսարու Կապադոկսացոյ ճառք վասն վեցօրեայ արարչութեան-ի Վենեսիկ - 1830, გვ. 89.
25. Творенія святаго Василя Великаго, Беседы на шестоднев, М., - 1845, გვ. 82.
26. „H δ' ὀρθοδοξία παραπλήσιος τήν μορφήν τοῖς λιμναίοις ἔστι“...(Aristotelis, De Animalibus Historia, textum recognovit Leonardus Dittmeyer, MCMVII, Lipsiae. 9,12. 597^b, 20-21).

27. „ή δὲ ὀρτυγομήτρα... ἐστὶ τὸ μέγεθος ἡλικῆς τρυγῶν, σκέλη δὲ μακρά, δυσθαλῆς καὶ δειλῆ“ (Athenaei Navcratitae, Dipnosophistarvm, Lib. XV, recensvit Georgivs Kaibel. v, II, Lib. VI-X. Lipsinae. MDCCCLXXXVII. 9,393-18-22 – გვ. 356).

28. „(coturnices) aquilone maxime volant ortygometra duce“ (Histoire Naturelle, De Pline traduite en françois, avec le texte Latin. rétabli d'après les meilleures leçons manuscrites; tome Quatrieme, A Paris M.DCC. LXXII – გვ. 67. 10. 25-26).

29. Ausgewählte. Komödien des Aristophanes. Erklärt von Theodor Kock. Viertes Bändchen. Die Vögel. Berlin – 1864, გვ. 161.

თარგმანებში „Λητώ-ὀρτυγομήτρα“-ს ადგილას წერია:

„**Leto-der Wachtelmutter**“ (Die Vögel. Ein Lustspiel des Aristophanes. Aus dem Griechischen übersetzt und erläutert von Dr. E. Schinck. Leipzig, გვ. 56).

„**Latona-déesse des cailles**“ (Comedies D'Aristophane, traduites du Grec, par M. Artaud. A. Paris – 1841. გვ. 287-288).

„**Quail-guide Leto**“ (Five comedies of Arisropaines, translated by Benjamin Bickley Rogers, New York – 1955, გვ. 40,41).

„**Латона-дроздородица**“ (Аристофан, театр, „облака“ „осы“ – „птицы“, перевод, введение и комментарии Адриана Пиотровского, М.-Л. – 1927.870).

„**Лето-перепеломать**“ (Аристофан, Комедии в двух томах, т. II, М., – 1954, „Птицы“ – перевод С. Анпа. 870.)

„**Латона – мать перепелок**“ (Аристофан, издание В. В. Чуйко, СПб., – 1882, გვ. 104).

„**ლეთო-მწყერთა წინამძღოლი**“ (არისტოფანე, ფრინველები, თარგმნა ემზარ კვიტიციშვილმა, – „საბჭოთა ხელოვნება“, – №1, – 1975, გვ. 94).

გერმ. „**Leto-der Wachtelmutter**“, რუს. „**Лето-перепеломать**“ და „**Латона – мать перепелок**“ კალკება ბერძ. „ὀρτυγομήτρα“-სი;

ფრანგ. „**Latona – déesse des cailles**“-ისა და ინგლ. „**Quail-guide Leto**“-ს საფუძველია ბერძ. „**ὄρτυγομήτρα**“-ს გაგება „**ლალლად**“ და ხალხური წარმოდგენა მასზე.

ქართ. „**ლეთო-მწყერთა წინამძღოლი**“ კალკია ინგლ. „**Quail – guide Leto**“-სი.

რა შუაშია „**შაშვი**“ (Дрозд) და რაა საფუძველი რუს. „**Латона-дроздородница**“-სი, – გაუგებარია.

არც ერთ თარგმანში გადატანილი არაა (ეს არც იყო შესაძლებელი) ორაზროვნება ბერძ. „**Λητώ-ὄρτυγομήτρα**“-სი: 1. ლეთო – „**ლალლა**“. 2. ლეთო – „**დედა Ὀρτυγία**-სი“ (ე. ი. არტიმეისი).

30. ὄρτυγομήτρα, ἡ (μήτηρ) – Wachtelkönig, Ar. Arist. Ath; komischer Béiname der Leto, Ar. av. 872 (Griechisch-Deutsches Wörterbuch, Braunschweig – 1874).

ὄρτυγομήτρα, ας (ἡ) – râle ou roi des cailles, oiseau (ὄρτυξ, μήτηρ) – (Lexique grec-français, par L. Durand, Paris).

31. ὄρτυγο-μήτρα, ἡ, a bird which migrates with quails, perh. comcrake, Landrail, Rallus crex, Cratin. 246. Arist. HA 597^b16, Alex. Mynd. ap. Ath. 9.393^a, LXXEx. 16-13. Nu. 11-31; Ludicrously applied to Latona, the Ortygian mother; Ar. Av. 870 (Liddell-Scott-Jones, Greek-Englis Lexicon, Oxford – 1966).

ὄρτυγο-μήτρα ἡ – „**перепелиная матка**“ (1. предполож. коростель – Rallus crex. Arst; 2. Эпитет богини Лето. Arph.) – (Древнегреческо-русский словарь, составил И. Х; Дворецкий, т. II, М., – 1958)

32. А. Брем, Жизнь животных. Птицы. т. II. გვ. 217.

33. Vocabularium nominum animalium Europae septem Linguis redactum, composuit László Gozmány, operis socii Henrik Steinmann ernő szily, I, Akadémiai kiadó, Budapest – 1979, §3337.

34. იხ. წინა შენიშვნაში (33) მითითებული წიგნი და პარაგრაფი.

35. Русско-итальянский словарь, составили Б. Н. Майзель и Н. А. Скворцова, М., - 1972.
36. Русско-турецкий словарь, составили Э. М.-Э. Мустфаев и В. Г. Щербинин, М., - 1972; Турецко-русский словарь, авторы: А. Н. Баскаков и др. М., - 1977.
37. Древнегреческо-русский словарь, составил И. Х. Дворецкий, т. II, М., - 1958; Греческо-русский словарь по Бензелеру, Киев - 1881.
38. **רָפָץ (רַפְּצִים)** - მწყერი [Иврит - русский словарь, составил Ф. А. Шапиро, М., - 1963; Еврейско-русский карманный словарь, соч. Бениуда, Вильна - 1909 (ამ უკანასკნელში არის ფორმა: **רָפָץ**)].
ܪܦܨܐ - მწყერი (Thesaurus Syriacus, R. Payne Smith, Ocho-nii, M. DCCC, LXXIX, t. II; Lexicon Syriacum, auctore Carolo Brockelmann, Halis Saxorum sumptibus Max Niemeyer - 1929; A compendious Syriac dictionary, edited by J. Payne Smith, Oxford).
- coturnix, icis** - მწყერი, დედალი მწყერი (И. Х. Дворецкий, Латинско-русский словарь, М., - 1986).
39. მზ. შანიძე, ფსალმუნთა წიგნის ძველი ქართული თარგმანები, თბ., - 1979, გვ. 121.
40. იბ. И. Д. Амусин, Рукописи мертвого моря, М., - 1960, გვ. 87; А. П. Каждан, Новые рукописи, открытые на побережье мертвого моря, гв. 287-288, - Вопросы историй, религий и атеизма, IV, М., - 1956; И. Д. Амусин, Документы из Вади-мурабна`ат, гв. 104-105, 196-197, - Вестник древней историй (ВДИ), I, 1958.
41. მით უმეტეს, რომ „ლალის“ შესატყვისი ებრაულში არ ჩანს [„**Коростель, Дергач** - ფრინველის სახეობა“ (Русско-еврейский словарь, СПб. - 1860)].

ამასთან დაკავშირებით, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს „ლალის“ თურქული შესატყვისი „ელვე“ (yelve); ებრ. სელავ>სირ./არაბ./სპარ. სალვა>თურქ. ელვე.

42. ამ საქმეში დახმარება გამიწია მაგალი თოდუამ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.
43. *Иб. Полный перс.-араб.-русс. словарь, составил И. Д. Ягелло, Ташк. – 1910.*
44. *Макс Фасмер, Этимологический словарь русского языка, т. II, М., – 1967.*
45. *Բառգիրք Հայկազեան լեզուի. Հ. I. Ի Վենետիկ – 1836.*
46. *Армяно-русский словарь, составилъ Карапетъ Ягубьянь. Թփ. – 1891; Армяно-русскія словарь, – составленный по лексикону изданному въ Венеціи, – и умноженный вновь введенными словами Александромъ Худобашевымъ. М. – 1838.*
47. *Հայերեն բացատրական բառարան. կազմեց Ստ. Մալխասեանց. հ. I. Երեվան–1944. Շ.Բ.Աղայան. Արդի հայերենի բացատրական Բառարան. Երեվան – 1976.*
48. *Լիակատար բառարան ուսուցիչ–հայերեն. կազմեց Յ.Գաղբաշեան. Թփ.–1903, Հայ–ուսուցիչ բառարան. գլխավոր խմբագիր Ե.Հ.Գալստյան. Երեվան–1984.*
49. *Armenische Grammatik von. H. Hübschmann. I Theil. Armenische Etymologie. Leipzig – 1897, გვ. 237, 576.*

Hübschmann-ი ქართულში ტრანსკრიბირებულია სამნაირად:

1. **ჰუბშმან**-ი (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ნ. II, თბ., – 1935, გვ. 87,91; ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., – 1937, გვ. 204).

2. **ჰუბშმან**-ი (უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დლეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კა-

ცისა აგებულებისათვის", ილ. აბულაძის გამოცემა, თბ., - 1964, გვ. 25; ილ. აბულაძე, შრომები, II, თბ., - 1976, გვ. 123).

3. ჰოუბშმან-ი (ვ. თოფურია და ივ. გიგინეიშვილი, ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., - 1968, გვ. 1044).

50. ИАН-1918, VI серия, т. XI. Петрозавд, Ossetica-Japhetica Н. Я. Мappa, გვ. 2086, სქოლიო №3.

ამ ეტიმოლოგიისას გაუთავლისწინებელია ორი უმთავრესი რამ: 1. სომხ. ლირამარც-ის შესატყვისობა ბერძ. ὀρθογραφία-სთან.

2. სომხური ბიბლიისათვის (ისევე, როგორც ქართული-სათვის) დამახასიათებელი ბერძნული კომპოზიტების კალკირება [ბერძ. ὀφισμάχιος > სომხ. ὀფისმარც / ქართ. გუელისმბრძოლი (ლევიტ. 11-22), ბერძ. χαμαιλέοντες > სომხ. գեսմանիծք / ქართ. მინისლომი (სოფონ. 2-14), ბერძ. μοιοκέρωτας > სომხ. մրեղջերու / ქართ. მარტორქა (ფსალ. 21-22), ბერძ. μαρακωλέω > სომხ. մրջիմանիծմ / ქართ. ჯინჭველლომი (იობ. 4-11), ბერძ. ἀμπελοργάν > სომხ. այգեգործ ქართ. ვენახის მოქმედი (ლუკ. 13-7), ბერძ. σκυμορέα > სომხ. ժանտաքգնի / ქართ. ლელუსულელი (ლუკ. 19-4) და სხვ.]

ლირამარც-ისა და მწყერმარკილ-ის ნ. მარისეული ეტიმოლოგია საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც მისი მიხედვით, ეს კომპოზიტი ზეპირი გზით მიღებულნი გამოდიან, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი არსებობდნენ ბიბლიაში მოხვედრამდე; მაგრამ ეს ძნელად სარწმუნოა, ვინაიდან ქართულში „მწყერმარკილი“ ძირითადად ბიბლიის საკუთრებაა (ისევე, როგორც „გუელისმბრძოლი“, „მინისლომი“ და სხვ.); სხვაგან, სადაც კია (გარდა „ექუსთა დღეთაჲსა“), - არის მხოლოდ ამ კომპოზიტის შემცველი ბიბლიისეული კონტექსტის ვარიაციაში.

51. ჯრ.Աճառյան. Հայերեն արմատական բառարան. հ 10.. Երեվան-1977, გვ. 276.

52. ჩემი აზრით, ლირამარც-ის (ასევე მწყერმარკილ-ის) „მწყრად“ მიჩნევა განაპირობა ὀρθογραφία-ს რაობის ბუნდოვანებამ,

coturnix-ის რაობის სიცხადემ და, რაც მთავარია ოქს-ის ან-ინდელმა მნიშვნელობამ.

ასეა თუ ისე, ერთი რამ ნამდვილად საკვირველია! –
კერძოდ:

რატომ უნდა იყოს ებრ. ოქს-ის 16-17 საუკუნის წინანდელი
გაგება (ლათ. coturnix; სირ ܩܘܪܢܝܟܐ) უფრო სარწმუნოდ აღიარე-
ბული, ვიდრე 22 საუკუნის უწინარესი (ბერძ. ὄρνις κοκκινα)?!

53. ნ. მარისეული ვარაუდი ამათ შესახებ საფუძველშივე მცდარია,
ვინაიდან იქ (როგორც უკვე ითქვა) უგულუბელყოფილია ბერძ.
ὄρνις κοκκινα, რომლის შესატყვისნიც არიან სომხ. լուսամարգ-
-ი და ქართ. მწყერმარკილ-ი.

54. აქ ეს საკითხი იმიტომ დგება, რომ სომხური ბიბლია (როგორც
ცნობილია) მომდინარეობს ბერძნულიდან, ან ნასწორებია
ბერძნულის საფუძველზე, ქართული კი, – იმ ნაწილში, სადაც
იგი თარგმნილია სომხურიდან, – შემდგომ შეჯერებულია
ბერძნულთან.

და, რაც კიდევ უფრო მთავარია, ორთავეთათვის (სომხ-
ურისათვისაც და ქართულისათვისაც) დამახასიათებელია (იხ.
ზემოთ) ბერძნული კომპოზიციების კალკირება.

[საერთოდ, უწინ კალკირებით გატაცება იმდენად დიდი
ყოფილა, რომ ი. პეტრინთან კალკირებულია ὄρνις κοκκινα-იც კი
(„პირისმბრძოლი“), რომლის ადგილას ლათინურშია *stoma-
chus*, სომხურში, – ստամոք (იხ. ნემესიოს ემესელი, ბუნებისა-
თუს კაცისა, ტფ. 1914, გვ. 27,19; Patrologiae graecae t. XL,
1858; Nemesius Alfanus, edidit C. Burkhard, Lipsiae, გვ. 27,
18-19; Նեմեսիոսի... Յաղագս բնութեան մարդոյ, Վենե-
տիկ-1889, გვ. 29,25)].

ქართულში ამ კალკმა („პირისმბრძოლი“), როგორც ვიც-
ით, ფეხი ვერ მოიკიდა;

ქართველმა მას ისევ ნაბერძნულევი „სტომაქი“ ამჯობინა (იხ.
1 ტიმ. 5-23; მ. სწ. 176-22; ილია, ვაჟა და სხვ.).

55. მხ. ორტყოძრტრ > მხ.^ა ლრ + ა + მარტ > მრ.^ა ლრ + ა + მარტ > მხ. ლრ + ა + მარტ / ლრ + ა + მარტ [ეს (ა>ე), ჩანს, განაპირობა მარტ-ის მიჩნევამ მარტ-ის („მდელო“) დიალექტურ ფორმად; შდრ: დიალექ. აქი (ასლანბეგი, ხარბერდი) და ლიტ. აქი; დიალექ. მარტარტ (თბილისი), მარტარა (მარალა, შამახია) და ლიტ. მარტარტ; ამას კი (მარტ-ის გაზრინებას მარტ-ად), თავის მხრივ, როგორც ეტყობა, ხელი შეუწყო იმან, რომ ეს ფრინველი („ლალა“) ძირითადად, მართლაც მდელოთა ბინადარია (ახალ სომხურში მისი სახელწოდებაა მარტარტ); მარტ-ის სწორედ ამნაირი გაგებიდან მოდის ლრამარტ-ის განმარტებაც: „ლრ მარტარტ“ (ს. ჯ. - ქსთ. - 1836-37).

რაიცა შეეხება ლრამარტ-ის პარალელურ ფორმაში (ლრამარტ) არსებულ ბოლოციდურ რ-ს, იგი ნაშთი უნდა იყოს მრ. სუფიქსისა რმ.

მრ.^ა ლრ + ა + მარტ > მხ.^ა მწყერ + მარტ-ი > მწყერ + მარტ-ი [შდრ: ქორწილ-ი > ქორწილ-ი (არხოტი)] > მწყერ + მარტ-ინ-ი [შდრ: ცქვიტ-ი > ცქვიტ-ინ-ი, ლომ-ი > ლომ-ინ-ი (პრეელი დაცულია გვარში: ცქვიტინიძე, მეორე, - სახელში: ლომინ-ი), ფიჭვი > ფიჭვი-ინ-ი (დაცულია ტოპონიმში: ბიჭვინთა)] > მწყერ + მარტ-ილ-ი [შდრ: წად-ინ-ი > წად-ილ-ი; სი-ცინ-ი > სი-ცილ-ი (დაცულნი ზმნებში: მოი-წადინ-ა, ი-ცინ-ის)].

ანალოგიური, ნახევრადკალირებული კომპოზიტი ქართულ ბიბლიაში სხვაც არის, კერძოდ „ვირცენტავროსი“ (ესაია 13-12; 34-14 - გელათური ბიბ., მცხეთური ხელნაწ., ბაქარის ბიბ.), რომლის ადგილას ოშკისა და იერუსალიმის ნუსხებში მთლიანად კალირებული „ვიდრევი“ წერია [ბოკეუტარცის შესატყვისად „მკეცთათყს სახის სიტყუა“-ში არის „ვირ-კურო“ (71 30 - შტბ. კრბ.), - კალვი მცდარი სომხური კალკისა: ქსაგოუ].

გამორიცხული ისიც არაა, რომ ლრამარტ-ი ორტყოძრტრ-ს შინაარსზიარი, მისგან დამოუკიდებლად შექმნილი კომპოზიტი იყოს (ისევე, როგორც ფრანგ. mère des caillies და ბერძ. ორტყოძ-

ήτρα; ესპ. guia de codornices და თურქ. bildircin kilavuzu; სომხ. ვրսիսაქ და ფრანგ. râle d'eau; თურქ. kara-yelve და ფრანგ. râle noir; ინგლ. grass quail და სომხ. մարգարիտ, მწყერმარკილი კი - ქრისმარგ-ისაგან ზეპირი გზით მიღებული ნახევრადქართული კომპოზიტი [მსგავსად უძველესი ქართული სიტყვისა „წინაპარი“, რომლის მეორე ნაწილი (პარ) ეტრუსკულია].

56. ამ შემთხვევაში ქრისმარგ-ის მარგ [შდრ: სვან. ვარგ (<^ამარგ)] და მწყერმარკილის მარკ [შდრ: ჩერქ. ჭარკ/ჭარყ (<^ავარკ<^ამარკ)] უნდა გავიგოთ, როგორც თავადი, აზნაური, - ე. ი. მეთაური, წინამძღოლი (სვან. ვარგისა ჩერქ. ჭარკ/ჭარყ-ის-ათვის იხ. ს. ჯანაშია, შრომები, ტ. III, თბ., - 1959, გვ. 90-91; 100, 140; История Кабарды, М., - 1957, გვ. 54; А. Х. Кумиков, Социально-экономические отношения и отмена крепостного права в Кабарде и балкарии, Налчик - 1959, გვ. 75, 77; რ. ხარაძე, აღ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., - 1964, გვ. 113-114).

[თავადი (ასევე აზნაური) ძველად, რომ „წინამძღოლის“, „ბელადის“ სინონიმი იყო, ამას მოწმობს (სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ) განმარტება იტალ. ducca-სი: duca - 1. ჰერცოგი; 2. ძვ. ბელადი; 3. ძვ. ეტიკი (Н. А. Скворцова, Б. Н. Майзель, Итальянско-русский словарь, М., - 1977)].

თუ ასე გავიგებთ, მაშინ ეს კომპოზიტიც იმ კატეგორიაში გავლენ, რომელსაც განეკუთვნებიან „ლალის“ სხვაენოვანი სახელწოდებანი (გერმანული, ესპანური, იტალიური, ფრანგული, თურქული).

რაცაა შეეხება ქრისმარგ-ისა და მწყერმარკილის შინაარსობრივ ურთიერთდამთხვევას, ამისი სხვაც არაერთი მაგალითია არა მარტო ქართულ-სომხურში, არამედ მსოფლიო მასშტაბით (ქართ. ქაფურა = სომხ. ყიყიყი; ქართ. საზამთრო = სომხ. ბანყი; ჭან. ფხენიში ჯა = გერმ. Spindelbaum, ქურთ. هركماد - იტალ. ballerina; ქართ. ჭიამარია = გერმ. Marienwurmchen და სხვ. მრ.).

აგებარძი

„... ნოვარი, ქნარი, ვით შზეებრ მქნარი,
თუ აგებარძი შენტ შუქთ ძნიობა“...

მამუკა ბარათაშვილი¹

„აგებარძი“ საბას ლექსიკონის ცხრა ავტოგრაფული წუსხიდან, წყაროზე მოუთითებლად, ვარსკვლავის ნიშნის ამარა, ყოველგვარი სიტყვიერი განმარტების გარეშე, წარმოდგენილია ექვსში (Q-400, H-95, K-300, A-75, H-1429, A-1473).

დანარჩენ სამს (S-2498, H-416, H-1658) აკლია ის ფურცელი, სადაც შეიძლებოდა იგი ყოფილიყო.

იოანე ბაგრატიონის განმარტებით: „აგებარძი სახელია ერთის ცთომილთა ვარსკვლავისა; და აგრეთვე სხოლიონში რომ ვარსკვლავს დასმენ ამ სახედ (*), ამა ნიშანსაც ეწოდება სახელი ესე“².

ციტირებული მასალიდან აშკარად ჩანს, რომ „აგებარძი“ არის მნათობი, მაგრამ კერძოდ რომელი?!

ჩემი აზრით „აგებარძ-ი“ კომპოზიტია (წარმოებით სომხური):

ააჟი + აა + ქაჟი³ > ააჟაქაჟი⁴

ეს სიტყვა არის მხოლოდ ქართულში (არც სომხურშია, არც სხვა რომელიმე ენაში).

იგი ქართული ენით ამოუხსნელია; სომხურით გასაგებია მხოლოდ მსაზღვრელი (ააჟი - კუდი“); რაიცა შეეხება საზღვრულს (ქაჟი), ყველა ის მნიშვნელობა, რაც მას სომხურში აქვს⁵, აქ უადგილოა.

რას ნიშნავს აქ ეს ქაჟი („ბარძ“)?!

„ბარძ“-ის რაობის დასადგენად, უწინარეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს სიტყვა „მზის“ წარმომავლობა, მისი თავდაპირველი სახე და „ბარძ“-ის მიმართება მასთან, ვინაიდან (როგორც მკითხველი ამაში ქვემოთ დარწმუნდება) „ბარძ“-ი ფონეტიკური ვარიანტია „მზისა“.

1908 წელს ნ. მარმა მზის ქართული და ქართველური სახელები არაბ. „შემს“-ისა (شمس) და ებრ. „შამაშ“-ის (שמש) შესატყვისებად აღიარა და მათი წარმოქმნა ამგვარად წარმოგვიდგინა: *ზმეჰ>ქ. მზე, *ჟმაჰ>მეგრ. ბჟა, *ჟმოჰ-ა>ლაზ. მჟორა⁶.

1928 წელს ნ. მარმა ეს მოსაზრება უარყო; ამჯერად მან ქართული „მზის“ ძირად გამოაცხადა „მეზ“, რომელიც მოცემულია სვანურ სიტყვაში „ლე-მეზ-გ“ („ცეცხლი“), და ამ „მეზ“-იდან მიღებულად მიიჩნია ქართ. „მზე“, – სიტყვის დასაწყისში, ქართულისათვის დამახასიათებელი, თანხმოვანთა თავმოყრის გზით (მეზ>მზე)⁷.

ამავე, 1928 წელს ნ. მარმა ეს მოსაზრებაც უარყო და მეგრ. „ბჟალ-ეფი“-ს საფუძველზე აღადგინა ქართ. „მზის“ არქეტიპი „მზერ“. ეს „მზერ“, მისი აზრით, გამართლებულია არა მარტო შედარებითი გრამატიკის კანონით, არამედ პალეონტოლოგიურადაც: „მზე“ (ისე, როგორც „მთვარე“) მიკროკოსმოსურად აღნიშნავს „თვალს“, თვალიდან ნანარმოებია ზმნა „ხედვა“, „ხედვას“ კი ქართულად ჰქვია სწორედ „მზერა“⁸.

ივ. ჯავახიშვილმა (რომელიც ჭან. მჟაჩხა-ს და მჟორა-ს ურთიერთშეჯერებამ დაარწმუნა, რომ ქართ. მზე, მეგრ. ბჟა და სვან. მიჟ ბოლოშეკვეცილი ფორმებია) მეგრ. „ბჟალეფი“-ს, „ბჟალამი“-ს, „ბჟალარა“-ს, სვან. „ლიმჟარვნე“-ისა და ქართ. „მზირა“-ს მიხედვით⁹ აღადგინა „მზის“ ქართული და ქართველური სახელების პირველადი ფორმები (ქართ. *მზერა, ზან. *მჟარა, სვან. *მიჟარა) და ამ ფორმების ბოლოკვიდურ მარცვალთა (-ერ, -არ) მანარმოებელ სუფიქსებად მიჩნევსა და მათთან (ამ ფორმებთან) კავკასიურ ენებში არსებული „მთვარის“ სახელწოდებათა ფონეტიკური მსგავსების საფუძველზე¹⁰ გამოთქვა ვარაუდი: „მზის სახელი თავდაპირველად მნათობის თვისების ზოგადი აღმნიშვნელი სიტყვა, ე. ი. მიმლეობა, ან ზედსართავი სახელი უნდა ყოფილიყო და მხოლოდ შემდეგში ქართულში მზის აღმნიშვნელ ტერმინად, აფხაზურ-ჩერქეზულში კი

მთვარის ალმინიუმენელ ტერმინად იქცა.. მას თავდაპირველად გამამუქებლისა და მნათობის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა¹¹, ამიტომ ეს ტერმინი ქართულშიაც თავისი პირველადი ფორმით შეიძლება მართო დღის დიდი მნათობისათვის არ ყოფილიყო გამოყენებული, არამედ შესაძლებელია სხვა დიდ მნათობათვისაც¹².

არნ. ჩიქობავა, ერთიმეორეს ადარებს რა ქართ. მზე-ს, ჭან. მყო-რა-ს, მეგრ. ბჟა-ს და სვან. მიჟ-ს, შენიშნავს: „სვან. მიჟ იმის მაჩვენებელია, რომ მზ//ბჟ-ს ძირეულ თანხმოვანთა შორის ხმოვანი უნდა ყოფილიყო: ეს ხმოვანი მომდევნო სუფიქსულ ხმოვანთა (-ე, -ა, ორ//ურ) ზეგავლენით დაკარგულია“¹³.

ვ. ბარდაველიძე ლაკ. ბარზ-ისა და კერული ჟარძ-ის საფუძველზე ვარაუდობს: „შესაძლებელია აფხაზური „ამზა“ და ქართ. „მზე“ ორძირიანი სიტყვები (ა+მ+ზა, მ+ზე) იყოს, ჩვენამდე გაცვეთილი ფორმით მოღწეული; ე. ი. ამ სიტყვებში პირველსა და მეორე ძირს შემადგენელი ბგერები დაკარგული ჰქონდეს, – პირველ ძირს აკლდეს რა ← არ.¹⁴

თუ გავიზიარებთ არნ. ჩიქობავას, ზემოთ ციტირებულ, ჩემი აზრით მართებულ მოსაზრებას (გამოთქმულს სვან. „მიჟ“-ის საფუძველზე), მაშინ „მზის“ ქართული და ქართველური სახელების პირველადი ფორმები (გარკვეულ ეტაპზე) იქნება: ქართ. *მაზერ¹⁵, ზან.-სვან. *მიჟარ [*მაზერ>*მზერ>მზე; *მიჟარ> (სვან. მიჟ.)>*მჟარ>მჟა].

„მაზერ“-ზე ბარდაველიძის ვარაუდის (*მარზე>მზე) გავრცელების შემთხვევაში [ისევე, როგორც კლიმოვის ვარაუდის (ლაკ. *მად>ბარზ) გავრცელებისას] მივიღებთ ფორმას „მარზერ“, ოღონდ ეს ფორმა ბარდაველიძით იქნება პირველადი (*მარზერ>*მაზერ), კლიმოვით, – მეორეული (*მაზერ>*მარზერ).

„მარზერ“-ის ფონეტიკური ვარიანტები იქნებიან: *ბარზერ, *ვარზერ, *მარძერ, *ბარძერ, *ვარძერ¹⁷.

უკეთუ ამ ფორმებს მოვაცილებთ სუფიქსებს; დაგვრჩება:

*მარზ (აქედან ნანარმოები უნდა იყოს ქ. „მარსკულავი/ვასკულავი/ვარსკულავი“);

ბარზ (ლავ. „მთვარე“).

ვარზ (ლუბ. თაბ. „მთვარე“).

ბარძ/ვარძ (ქ. „ვარსკულავი“, „მზე“), რომელთა თავდაპირველი მნიშვნელობა (ისევე, როგორც თვით „მარზურ“-ისა, რომლისგანაც მიღებული არიან ესენი) არის: „გამაშუქებელი, მბრწყინავი, მნათი“.

ახლა, რაკი უკვე გაირკვა რაობა „ზარძ“-ისა [„გამაშუქებელი, მბრწყინავი, მნათი“ (ზარძ-ინ-ვა>ზარზ-ინ-ვა>ზრზ-ინ-ვა>ზრწყ'-ინ-ვა/. ზარძ-ინ-ვა>ზრძ-ინ-ვა>ზრზ-ინ-ვა>ზზ-ინ-ვა/მზ-ინ-ვა)], გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ კომპოზიტ „აგებარძ“-ში, „ზარძ“-ი ნიშნავს „ვარსკულავს“, თვით „აგებარძ“-ი¹⁸ კი იგივეა, რაც „კუდიანი ვარსკულავი, კომეტა“.

„ზარძ“-ი¹⁹, ვითარცა სახელწოდება „ვარსკულავისა“ (გარკვეულ ეტაპზე „მზისა“²⁰, ანდა ერთდროულად ორივესი), ფრიად მრავლისმეტყველი სიტყვაა; ჩემი ვარაუდით, სწორედ ამ სიტყვიდან ნანარმოები უნდა იყოს ტერმინები: „ვარძია“ და „არწივი“.

პარძია

„ვარძიის“ ნ. მარისეული ეტიმოლოგია ასეთია: *ვარზ (>ვაზ) >ვარძ>ვარძ-ინ'-ა>ვარძ-ი-ა (სადაც *ვარზ/*ვარძ „მცენარეული სამყაროს ტოტემური ტერმინიცაა და კოსმოსური მზეც“)²¹.

ფორმა „ვარძ-ინ'-ა“ ნ. მართან გაპირობებულება სომხური „ვარძ-უნი-ქ“-ით; არადა, ეს უკანასკნელი (ვარძ-უნ-იქ) გვიანდელი ფორმაა (1862 წ.), აღრინდელია Վարժիա (XIII ს.)²².

ასე, რომ ვარძიის თავდაპირველ სახედ „ვარძინა“-ს აღდგენა უმართებულოა.

ლ. მელიქეთ-ბეგი ვარძიას ტომობრივი სახელწოდებიდან ნანარმოებად თვლის; მას ამ ტერმინის ფუძედ მიაჩნია მეტათეზირებული ზოდრ: ზოდრ-ია>ზოდრ-ია>ვარძ-ია (ო-ნის კანონზომიერი გაშლით);

ვარძია, მისი აზრით, ისევეა ნაწარმოები, როგორც ივერ-ია, ალ-ბან-ია, არმენ-ია, გურ-ია, - ე. ი. ბერძნულ-ლათინური დაბოლოება ია-ს მეშვეობით²³;

ვარძ-ია, ე. ი. *ვარძთა (<*ორძთა)²⁴ ადგილსამყოფელი, საცხოვრისი²⁵.

ჩემი აზრით, ვარძიის ფუძეა ბარძ („მზე“)²⁶;

*ბარძ-ია > ვარძ-ია - „მზის სალოცავი, მზის საკულტო ადგილი“ [ბარძ-ი (>ვარძ-ი), რომ დასტურ „მზის“ ფონეტიკური ვარიანტია, ამის შესახებ იხ. ზემოთ].

არნივი

ქართულ ენაში „ორბისა“ და „არნივის“²⁷ ჭიდილი, რომელიც X ს-ში დაიწყო, გრძელდება დღემდე;

ზოგ თარგმანში „ἀετῶν“-ის შესატყვისია „ორბი“²⁸, ზოგში, - „არნივი“²⁹, ზოგში კიდევ „ἀετῶν“-ის შესატყვისი „ორბი“ შეცვლილია „არნივით“³⁰.

რას უნდა ნიშნავდეს ეს?!

მეტყველებს თუ არა ეს იმაზე, რომ „არნივი იგივეა, რაც ორბი“?!

თ. ბაგრატიონითა და დ. ჩუბინაშვილით ეს სწორედ ასეა („არნივი“ სინონიმია „ორბისა“)³¹.

ვახუშტითი, ნ. ჩუბინაშვილით, ილიათი, ვაჟათი, იუსტ. აბულაძითა და აწინდელი გაგებით ეს სრულიად არაა ასე („არნივი“ და „ორბი“ სხვადასხვა ფრინველია)³².

საბათი „ორბი“ ფრინველთა გარკვეული კატეგორიის ზოგადი სახელია; ეწოდება ყველა მოზრდილ, ხორცისმჭამელ ფრინველს, - არნივია იგი, სვავი, ძერა, ფსოვი თუ ნებისმიერი მისთანა (მთავარია იყოს დიდი და ჭამდეს ხორცს)³³.

საბასავე თქმით, ნემესიოს ემესელიც ყველა ხორცისმჭამელ ფრინველს (მოუხედავად მათი ზომა-წონისა) „ორბს“ უწოდებს³⁴.

საკუთრივ „არწივი“ საბასთვის ორნაირია: ერთია, რომელიც მეხუთასე წელს ახლდება; მეორე, რომელსაც ჰქვია „ფსოვი“ და „ან მსოფლიონი არწივს უწოდენ“³⁵.

აქ. შანიძე, რომელიც „ორბისა“ და „არწივის“ დიფერენცირების საქმეში ჩაურევლობას ამჯობინებს, ბრძანებს: „ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ ის, რომ ამ ორი სიტყვიდან ერთი ქართულია („ორბი“), მეორე კი, – სომხურიდან ნასესხები („არწივი“)³⁶.

ქართ. „არწივი“ ნასომხურევე სიტყვად მიაჩნია აჭარიანსაც³⁷.

ი. მ. დიაკონოვისა და გ. მელიქიშვილის აზრით, ქართულსა და სომხურში ფრინველთა მეფის ეს სახელი (ქართ. „არწივ“-ი, სომხ. „აქბიქ/ აქბიქ“) შესულია ურარტულიდან (**Ar-ši-bi-ni/Aršibi**)³⁸.

რა მდგომარეობაშია „არწივი“ სომხურში?!

აქბიქ

აქბიქ მიჩნეულია ძირეულ სომხურ სიტყვად³⁹.

სომხურში ფრინველის ამ სახელწოდების სამი ფორმაა: აქბიქ (ეს ითვლება ძველ ფორმად), აქბიქ (ეს, – საშუალოდ) და აქბიქ (ეს, – ახლად)⁴⁰.

დღემდე ეს ტერმინი ეტიმოლოგირებულია ოთხნაირად:

1. აქბიქ შედგება ორი სიტყვისაგან: აქბიქ⁴¹ და ბიქ⁴² ისევე, როგორც აქბიქ⁴³, რომელიც აქბიქ-ისაგან განსხვავდება მხოლოდ *n*-თი და მეტათეზისით (ქბიქ/ბიქ).

2. აქბიქ შედგება ორი სიტყვისაგან: აქბიქ⁴⁵ და ბიქ-ბიქ⁴⁶.

3. სომხ. აქბიქ-ის, სპ. ἄρξιβι⁴⁷-ისა და ავესტ. *ərəzifya*⁴⁸-ს ფუძეა სანსკ. *rjipya*⁴⁹ (ეპითეტი *śyená*-სი)⁵⁰.

4. აქბიქ/აქბიქ სომხურში (ისევე, როგორც ქართულში არწივი) შესულია ურარტულიდან (**aršibini/aršibi**)⁵¹.

ჩემი აზრით „არწივ“-ის თავდაპირველი ფორმაა „*ბარძინ-ი“ (ნანარმოები „მზის“ ფონეტიკური ვარიანტიდან „ბარძ“-ი) და იგი გაჩენილია კავკასიური (შესაძლოა ქართული) ენის ნიაღში;

მე ამ ვარაუდის საფუძველს მაძლევს:

1. „ფასკუნჯის“ ნ. მარისეული ეტიმოლოგია⁵³.

2. „არნივის“ როლი მითოლოგიაში⁵⁴.

3. „არნივის“ ლავ. სახელწოდება „ბარზუ“⁵⁵.

4. სომხურის მიერ აბორიგენთა ენიდან შეთვისებული ფონეტიკური თავისებურება $\text{პ} (>\text{ბ}>\text{ფ})>\text{პ}^56$.

5. „არნივის“ დიალექტური ფორმები სომხურში: „არძივ, აძივ“⁵⁷.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, რომ სახელი ფრინველთა მეფისა (ნაწარმოები „მზის“ ფონეტიკური ვარიანტიდან „ბარძ“-ი)⁵⁸ ურარტულიდან კი არაა ქართულში და სომხურში შესული, არამედ ქართულიდან შესულია სომხურში და ურარტულში, სომხურიდან, – ლაკურში და ჩაჩნურში, ურარტულიდან, – უკანვე ქართულში:

ქართ. *ბარძ-ინ-ი>*ბარძ-იმ-ი>*ბარძ-იბ-ი>*პარძ-იბ-ი>*არძ-იბ-ი⁵⁹>ურარტ. *arçibi⁶⁰>ქართ. არნივ-ი⁶¹.

ქართ. *ბარძ-იბ-ი > სომხ. *բարձի⁶²>*բարձուի >*հարձի >*հարձուի>*արձի(>არձիქ)>*արձուի >արձի >არձուի.

სომხ. *բարձուի > ლავ. ბარზუ.

სომხ. *արձուի > ჩაჩნ. არზუ.

შენიშვნები

1. მამუკა ბარათაშვილი, თხზულებათა სრული კრებული, თბ., – 1969, ქება მეფის ბაქარისა, გვ. 46, 42-3.
2. ლილი ქუთათელაძე, იოანე ბაგრატიონის „ქართული ლექსიკონი“, თბ., – 1975, გვ. 115.
3. აფი მსაზღვრელია, ა, – მაკავშირებელი, բարձ, – საზღვრული.
4. $\text{ჩ} + \text{ა} = \text{ბ}$
5. բարձ– 1. ბალიში; 2. მუთაქა; 3. (ისტორ.) ხარისხი, რანგი, ნოდება; 4. საცმი საზიდავის ლერძის ბოლოზე, – ბორბლის დამ-

ჭერი; 5. საყრდენი, საყრდენი ნაწილი სხვადასხვაგვარ ნაგებობაში, მონყობილობაში, ინსტრუმენტებში; 6. (ძვ.) თეძო (ჯაყ-იუსხენს რაიარან, ზრეცან – 1984; ძამანასასყიჯ ჯაიჯიქ ქედიქ რაყსაორასკან რაიარან, ხ. 1. ზრეცან – 1969).

6. Н. Марр, Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка с предварительнымъ сообщениемъ о родстве грузинского языка с семитическими, СПб. – 1908., გვ. 3, შენიშვნა 1.

ამ, ნ. მარისეული ეტიმოლოგიის შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერდა: „ბგერათა ასეთი გადასმისა და ცვლილების გასამართლებლად არავითარი საბუთი იქ წამოყენებული არ არის და არაბულ-ებრაულთან ქართული სიტყვის დამსგავსების ცხადი სურვილის გარდა, ასეთი საბუთი არ ჩანს“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., – 1960, გვ. 125).

ეს, ნ. მარისეული ეტიმოლოგია მიუღებლად მიაჩნია კლიმოვსაც: „ფუძეთა მარისეული რეკონსტრუქცია: *ზმეჰ-ქართულისათვის და *ზმაჰ-ზანურისათვის, – თანხმოვანთა გადასმის დაშვებით, – თვითნებურია“ (Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., – 1964, გვ. 134).

7. Н. Марр, Из Пиренейской Гурии, Избр. работы, т. IV, 1937, გვ. 32.

8. Н. Марр, Из Пиренейской Гурии, Избр. работы, т. IV, 1937, გვ. 49-50.

9. ბჟალეფი – „მზეები“, ბჟალამი – „მზიანი“, ბჟალარა – „მზის სხივი“, ლიმჟარვნე – „გამომზევება“.

რაცა შეეხება „მზირა“-ს, მას მხოლოდ რ. ერისთავის რედაქციით გამოცემული საბას ლექსიკონი იცნობს (ქართული ლექსიკონი, თბ., – 1884), სადაც იგი კორექტურული შეცდომბა (უნდა იყოს „მზისა“);

სათანადო ადგილას საბას ლექსიკონის ყველა ავტოგრაფში და იმ არავტოგრაფულ ნუსხებშიც (S-2696, S-2727), რომლებსაც რ. ერისთავი მისდევს, წერია „მზისა“; ეს სიტყვაა ასევე

რ. ერისთავის შემდეგ განხორციელებულ საბას ლექსიკონის სამივე გამოცემაში.

10. აფხ. **ამზა**, **მაზა/მეზე**, ყაბარდ. **მაზა/მაზე**, ჩერქ. **მაზაჰ/მაზეჰ/მაზერ**.
11. ამავე აზრისაა კლიმოვიც, ოლონდ მას თავკიდური „მ“ (**მზე-ში**, **მყორა-ში** და **მიყ-ში**), რომელიც ივ. ჯავახიშვილის მიხედვით ძირეულია, აფიქსად მიაჩნია; საერთოდ, კლიმოვი ამ საკითხს პრობლემატურად თვლის (Г. А. Климов; ЭСКЯ, М., - 1964, გვ. 134).
12. ივ. ჯავახიშვილი, ქეი, I, თბ., - 1960, გვ. 129.
13. არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., - 1938, გვ. 207.
არნ. ჩიქობავას მოსაზრების სრულ ჭეშმარიტებას მონშობს „მთვარის“ წინანდელი და აწინდელი აფხაზური სახელების ურთიერთშედარება (წინანდელი: **მაზა/მეზე**, აწინდელი: **ა-მზა**).
კლიმოვის აზრით კი, - სვან. „მიყ“-ში „ი“ მეორეულია, იგი აქ თანხმოვანთა გამყარია (Г. А. Климов, ЭСКЯ, М., - 1964, გვ. 134).
14. ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), თბ., - 1941, გვ. 114, სქოლიო.
გ. კლიმოვს თვით ლაკ. **ბარზ** (ვ. ბარდაველიძის ვარაუდის საფუძველი) *მაძ-იდან მიღებულად მიაჩნია; მისი აზრით ამ სიტყვაში (**ბარზ**) „რ“ განვითარებულია (Г. А. Климов, ЭСКЯ, М., - 1964, გვ. 133-134).
თუ თავის ამ მოსაზრებაში კლიმოვი სწორია, მაშინ წინარე ფორმა ლაკ. **ბარზ**-ისა ყოფილა დარგ. **ბაზ** (ბაც), ხოლო ლეზ.-თაბ. **ვარზ**-ისა, - რუთ.-ალულ.-წაბ. **ვაზ**, - მომდინარენი ჰიპოთეტური *მაძ-იდან.
15. შდრ: ჩერქ. **მაზერ** („მთვარე“).
16. რაიცა შეეხება ქართ. ***მზერა**-ში (ეს ფორმა, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, რესტავრირებულია ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის მიერ), ზან. ***მჟარა**-ში და სვან. ***მიჟარა**-ში (ამ ორი

ფორმის აღდგენა ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის) არსებულ ბოლო-
იდურ ხმოვანს (ა), იგი, ჩემი აზრით, სამი სუფიქსიდან (-აკ, -ან,
-არ) ერთერთის ნაშთი უნდა იყოს.

17. ფორმები: *მარძერ, *ვარძერ, *ბარძერ, უკვალოდ არ გამქრალან
[მანძერ (<*მარძერ)>მანძერაშვილი, ვარძელ (<*ვარძერ) > ვარ-
ძელაშვილი ისევე, როგორც ნიჟარ (<*მიჟარ)>ნიჟარაძე].

რაიცა შეეხება *ბარძერ-ს; ამის ზანური შესატყვისი უნდა
იყოს ბორჯალ-ი (*ბარძერ>*ბორჯარ>ბორჯალ-ი).

ბორჯალ-ი იგივეა, რაც ბორჯ-ი; ეს უკანასკნელი შეკვე-
ცილი ფორმაა პირველისა, ისევე, როგორც *ბარძერ-ისა, –
*ბარძ-ი [ბორჯ-ი (გურ.) – დრო; ბორჯალ-ი (იმერ.) – ვადა,
დანიშნული დრო (ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ.,
– 1984); ბორჯალი – პაემნის უამი (საბა)]; ეს სიტყვა ფორმით
ბოლქალ („ვადა“) არის ხუნძურშიც (Π. Услар, Аварский
язык, Тб. –1866, გვ. 437).

ბორჯ-ისა (<*ბარძ) და ბორჯალ-ის (<*ბარძერ) პირველა-
დი მნიშვნელობა უნდა იყოს „მზე, მზის საათი“ – ლათ. *sōlāri-
um* (მოგეხსენებათ, დრო ძველად მზით განიზომებოდა).

ცხადია, ეს ზან. ბორჯ-ი/ბორჯალ-ი მხოლოდ და მხო-
ლოდ ფონეტიკურადაა მსგავსი არაბულ-სპარსულ-თურქული
ბურჯ/ბორჯ/ბურჩ-ისა (არაბ. جرج – თანავარსკვლავედი; სპ.
جرج – 1. ზოდიაქოს ნიშანი, თანავარსკვლავედი; 2. თვის სახელ-
წოდება მზის კალენდარში; თურქ. burç – ზოდიაქო; ზოდიაქოს
ნიშანი).

18. „აგებარძ“-ი თავისი შემადგენლობით (აგი+ბარძ) გამონაკლისს
არ წარმოადგენს; ქართულში სხვადასხვა ნახევრადქართული კო-
მპოზიტი; მაგ. „დონდლლაბ-ი“ [ოს. დონ („წყალი“) + დლლაბ-
ი (<ტყლაბ-ი/ტყავ-ი)]; ე. ი. „წყალი და ტყავი“, ვინაიდან ყურძ-
ნის ეს ჯიში გამოსავლიანი კია, მაგრამ ღვინოდ სუსტია.

19. სიტყვა „ბარძ“-ი და მისი შემცველი „აგებარძ“-ი ერთდროს,
ჩანს, იყო სომხურშიც, რასაც მოწმობს „აგებარძ“-ის პირველი
ნაწილი („აგი“) და ამ კომპოზიტის სომხური აღწერა

(აგი+ა+ბარძ > აგებარძ); წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ კომპოზიციის აგების სომხური წესი, გარკვეულ დროს, დამახასიათებელი იყო ქართულისათვისაც და სიტყვა „აგი“ („კუდის“ მნიშვნელობით) იყო ქართულშიც.

აქვე აუცილებლად უნდა ითქვას ერთი ფრიად საგულისხმო რამე:

გამორიცხული არაა, სიტყვა „აგებარძი“ ისევე იყოს მიღებული, როგორც სიტყვები: სტამბოლი ან ბანოვანი:

ახ ბერძ. εἰς τὴν Πόλιν („ქალაქში“) > Στιμπόλι > თურქ. Ystambul, Stambul > ქართ. ისტამბულ-ი / სტამბოლ-ი.

(„ში“ თანდებულიან არსებით სახელს მიეცა არსებითი სახელის მნიშვნელობა).

სპ. بانو („ბანოვანი“)>ქართ. ბანოვანი. (მრავლობითმა შეიძინა მხოლობითის მნიშვნელობა).

ასევე:

სომხ. აგეციურ („კუდიანი“)>აგეციურ-ა(„კუდიანთა“)> *აგეცაურ-ა (ი>ა)>*აგებარ-ს (ა>ბ)>აგებარ-ც (ს>ც)>აგებარ-ძ-ი (ც>ძ).

[ბოლოკიდური ა (ს) მრ. რიცხვის ბრალდებითი ან ადგილობითი ბრუნვის ნიშანია].

აქვე ხამს ითქვას:

სომხურში აგეციურ-ის „კუდიანი ვარსკვლავის“ სახელწოდებად არსებობის შესაძლებლობის საფუძველს იძლევა ფიასაციურ „კუდიანი ვარსკვლავი“: գէս – „გრძელი თმა“).

20. დღის მნათობ „მზეს“ და ღამის მნათობ „ვარსკვლავს“ გარკვეულ დროს, რომ ორივეს ერთი სახელი („მზე“) ჰქონდა, ამას მონომობს ფიცი ქართულში: „ჩემმა მზემ, შენმა მზემ, მისმა მზემ“.

ცნობილია, ყოველ ადამიანს თავისი „ბედის ვარსკვლავი“ აქვს, ყოველი კაცი ამა თუ იმ ვარსკვლავზეა გაჩენილი;

ქართული ფიცის „მზეში“, „ვარსკვლავი“ რომ არ იჯულისხმებოდეს, კაცი რამდენიცაა, სადაა იმდენი მზე?!

ამისდა მიხედვით, „ბარძ“-იც ერთდროს, ჩანს „მზესაც“ ნიშნავდა და „ვარსკვლავსაც“, მით უფრო, რომ მისი თავდაპირველი მნიშვნელობა „გამაშუქებელია“.

21. Н. Я. Марр, Избранные работы, т. V, გვ. 489.
22. ლ., მელიქსეთ-ბეგი, ტოპონიმიკური შტუდიები: მარქსისტული ენათმეცნიერებისათვის, ტფ. – 1934, გვ. 161.
23. ლ. მელიქსეთ-ბეგი, იგივე წიგნი, გვ. 161.
24. *ორძ (<*ოდრ), რომ ერთერთი ქართველი ტომის სახელია, მკვლევარი ამის დასაბუთებას ცდილობს ტოპონიმების ხორძენე, ოძრკე/ოძრახე-სა და ეპონიმ ოძრაკოს-ის საფუძველზე (ლ. მელიქსეთ-ბეგი, იგივე წიგნი, გვ. 161-164).
25. მელიქსეთ-ბეგი, გვ. 161-163.
26. „ვარძის“ ფუძედ (როგორც უკვე ითქვა) ნ. მარს *„ვარძი“ („მზე“) მიაჩნდა, მაგრამ საქმე იმაში გახლავთ, რომ თვით *„ვარძ“-ის მზეობის მისეული არგუმენტაცია, მისი დაკავშირება „ვარდთან“, „ვარდობასა“ და „ვარდავართან“, – დამაჯერებელი არაა.

„ვარდავარ“-ის (վարդավար) ეტიმოლოგიისათვის იხ. ზრ.სდნაიყან, Հայերեն արմատական բառարան, IV, Երեւան-1979, გვ. 317-318; კორნ. კეკელიძე, ქართული ერა და ეორტალოგიური წელიწადი: აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, V-VI, თბ., – 1940, გვ. 98-99.

27. X ს-მდე ქართულ მწერლობაში „არწივი“ არ ჩანს; იგი პირველად იხმარა ექვთიმე მთაწმინდელმა (955-1028) „იოვანეს გამოცხადებაში“ – 4-7; 12-14 (А. Г. Шанидзе, Названия "орла" в грузинском языке: Исследования по истории культуры народов востока; Сборник в честь академика И. А. Орбели, М.-Л. – 1960, გვ. 143).
28. „ორბები“ – მათე 24-28; ლუკა 17-37 [ადამის (897), ჯრუჭის (936) და პარხლის (973) ოთხთავნი]; დედანშია ἀετοί, ლათინურში, – *aquilae*, სომხურში, – արծուիք [ქართული ოთხ-

თავის ორი ძველი რედაქცია სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით (897, 936 და 973 წწ. გამოსცა აკაკი შანიძემ, თბ., - 1945; *Novum Testamentum Graece et Latine*, Stuttgart; სიერ კთასკარამ. ლინიურა - 1892).

29. „არწივსა“ - აკვ. 4-7; „არწივისა“ - აკვ. 12-4 (X ს.); დედანშია ἀετῷ (4-7), ἀετοῦ (12-14), ლათინურში, - *aquilae*, სომხურში, - აყიბიოიქ (იოვანეს გამოცხადება და მისი თარგმანება, ძველი ქართული ვერსია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. იმნაიჭვილმა, ა. შანიძის რედაქციით, თბ., - 1961; - ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 7, თბ., - 1961; *Novum Testamentum Graece et Latine*, Stuttgart; სიერ კთასკარამ. ლინიურა - 1892).

30. „უმალეს ორბთა ცხენნი მისნი“ - იერემ. 4-13 [ოშკის ბიბლია (1978)] = „უსუბუქესნი არწივთასა ცხენნი მათნი [ბაქარის ბიბლია (1743)]; დედანშია ἀετῶν, სომხურში, - გაყიბიოიქ;

„და ფრთენი ესხნეს ვითარცა ორბისანი“ - დანიელ. 7-4 (ოშკის ბიბლია) = „და ფრთენი ვითარცა არწივისანი“ (ბაქარის ბიბლია); დედანშია ἀετοῦ, სომხურში, აყიბიოიქ (*Septuaginta*, edidit Alfred Rahlfs, Stuttgart; Աստուացաշունչ մատենան Հին և նոր կտակարանաց, Կոստանդնուպոլիս - 1895).

„ორბი ბოროტად ზრდინ შვილთა თჳსთა“ [ბას. კეს. ექუს. დღ. უძვ. თარგ. (VIII-IX სს.), გვ. 116,24] = „უსამართლო არს ნაშობთა აღზრდისათვის არწივი“ [ბას. კეს. ექუს. დღ. გ. მთან. თარგ. (XI ს.), გვ. 98,16]; დედანშია ἀετός (უძველესი რედაქციები ბასილი კესარიელის „ექუსთა დღეთაჲსა“ და გრიგოლ ნოსელის თარგმანებისა „კაცისა აგებულებისათჳს“, X-XIII სს-ის ხელნაწერთა მიხედვით გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., - 1964; მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1946, ნაკვეთი II (25), ბასილი დიდი, ექუსთა დღეთაჲ, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო მ. კახაძემ, თბ., - 1947).

საერთოდ, ბერძნულიდან თარგმნილ ძეგლებში „ორბი“ (ასევე „არწივი“) სადაც კია, ყველგან $\delta\epsilon\rho\tau\zeta$ -ის ადგილასაა; გამონაკლისს წარმოადგენს ბ. კესარიელის „ექუსთა დღეთაჲს“ გ. მთანმიდლისეული თარგმანი; აქ „ორბი“ შესატყვისია $\gamma\upsilon\alpha\rho\alpha\delta$ -ისა (უძველესი ქართული თარგმანის „ჯიპოსი“).

31. **ორბი** (ვტ. 970,1) მფრინველი, რომელსაცა არწივსაცა უწოდებენ, არიოლ გინა **ორელ A**, 177. + **ორბი** – არწივი. ეს ფრინველი არის, რომელსაც მეფენი ღერძზე იხატვენ H. (თეიმურაზ ბაგრატიონი, ნიგნნი ლექსიკონნი, მასალები შეკრიბა, ანბანზე გაანყო, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო გურამ შარაძემ, თბ., – 1979).

არწივი (სომხ.) – **ორბი**, მფრინ. **орелъ**, ებევ. 1-10;

ორბი. ს. – არწივი, მფრინ. **орелъ**, ვეფხ. 974 (დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, მეორე გამოცემა, აღდგენილი ოფსეტის წესით. სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკაკი შანიძემ, თბ., – 1984).

32. „... კორცისმჭამელნი: ყაჯირი, სვავი, **ორბი**, **არწივი**, შავარდენი, გავაზი“... (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., – 1941, გვ. 30,20).

ორბი (მფრ. ლევიტ. 11,13; ფსალ. 102,5; მათ. 24,28), **орел**. ზოგჯერ არწივიც ორბად დაუწერიათ, მაგრამ ის სხვაგვარია (ვეფხისტ. 970) – (ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, აღ. ლლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., – 1961).

„სადაც დიდებულს მთასა მყინვარსა

ორბნი, **არწივნი** ვენ შეჰხებიან“... (ილია).

„შეჰკედლებიან მთათ საზღვრებს **ორბნი**, **არწივნი** ფრთიანნი“ (ვაჟა).

ორბი – მომცრო არწივი, მტაცებელი ფრინველია, როგორც ძერა (შაჰნამეს ანუ მეფეთა ნიგნის ქართული ვერსიები, იუსტ. აბულაძის რედაქციით, ტ. I, თბ., – 1916).

არწივ-ი 1. (Aquila) ყველაზე დიდი, ღონიერი ნისკარტმოკაუ-
ჭებული მტაცებელი ფრინველი (ცხოვრობს მთიან ადგილებშიც,
ველებშიც) – (ქეგლ. ტ. I, თბ., – 1950).

ორბ-ი (Gyps) მაღალ მთებზე მცხოვრები დიდი ზომის მტა-
ცებელი ფრინველი ქორისნაირთა ოჯახისა (ქეგლ. ტ. VI, თბ., –
1960).

„ვისრამიანში“ „ორბი“ (250,24) შესატყვისია „ქარგასან“-
ისა (443,9), რაც მრავლობითი ფორმაა „ქარგას“-ისა (سگرك);

kargās აბაევის განმარტებით არის ძერა და სიგყვასიგყვით
ნიშნავს „ქათმიჭამიას“ (karkasa) – (В. И. Абасв, Историко-
этимологически словарь осетинского языка, т. I, М.-Л.
– 1958, გვ. 303).

33. **ორბი** (11,15 ლევიტ.) რომელი ფრინველი ასაკითა დიდ არიან,
ადვილ აღმავალი ჰაერთა სიმალლესა, ყოველთავე მძორთა მჭა-
მელთა ენოდების, ხოლო ფსალმუნისა თარგმანი არა ორბისა
განახლებასა იტყვის, არამედ არწივისასა, რომელი არს ბო-
ლოთეთრი და წყლის პირს მეზუდარობს თევზის ჭამისათვის
(102,5 ფსალმ.) – (სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, ტ. IV,,
ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოსაცემად მოამზადა ილია
აბულაძემ, თბ., – 1965).

„ორბის“ ამ განმარტების მიხედვით „არწივი“ კია „ორბი“
(ვინაიდან დიდიცაა და ხორცისმჭამელიც), მაგრამ „ორბი“ მხო-
ლოდ „არწივი“ არაა (ვინაიდან იგი სახელწოდება ყველა დიდი
ფრინველისა, რომელიც ხორცსა ჭამს); ამიტომ საესებით მართე-
ბულია შენიშვნა საბასი: ფსალმუნში: „ორბის“ ნაცვლად „არწივი“
უნდა ეწეროსო, რამეთუ ორბთაგან მეზუთასე წელს, საბასავე ცნო-
ბით, მხოლოდ „არწივი“ ახლდება და არა ყველა „ორბი“.

34. „... ნემესიოს ყოველთა ჭანგიანთა და კორცთა მჭამელს ფრინ-
ველთა იტყვის ორბად“ (საბა).

საბა ამ შემთხვევაში გულისხმობს ნ. ემესელის თხზულებას
„ბუნებისათჳს კაცისა“ (ი. პეტრინისეული თარგმანი), სადაც წე-
რია:

1) „... კორცის-მჭამელნი საზრდელ თუსსა ჰყოფენ ცხოველ-
თა-გან ქუჭყანის-მძოვნელთაჲსა, ვითარ: მგელნი და ლომნი –
კრავთა და თხათა და ეშუთა და ირემთა, ხოლო ორბნი – კაკ-
აბთა და კოკობთა და ყურდგელთა და მსგავსთა, რომელნი
ნაყოფთა ქუჭყანისათა ძოვენ“ (თავი I, ბუნებისა-თუს კაცისა, –
15-17, გვ. 19).

2) „... მრავალნი ცხოველთა-განნი არიან არამსუმელ წყლ-
ისა, ვითარ რომელთა-მე **ორბთა-თუს** დასახულ არს და კაკაბი
თუნიერ სუმისაცა შემძლებელ არს ცხორებად“ (თავი II, სულისა-
თუს, – 4-6, გვ. 28) – (ნემესიოს ემესელი, ბუნებისა-თვის კა-
ცისა, ბერძნულითგან გადმოღებული იოვანე პეტრინის მიერ,
ქართული ტექსტი შეისწავლა, გამოსაცემად დაამზადა და
ლექსიკონ-საძიებლები დაურთო ს. რ. გორგაძემ. გამოცემა საეკ-
ლესიო მუზეუმისა №17, ტფ. 1914).

ბერძნული დედნის შესაბამის კონტექსტში ამ ქართული
„**ორბნი**“-სა და „**ორბთა**“ ადგილას არის ἀετοι (თავი I სვეტი
528, 12-14), ἀετῶν (თავი II, სვეტი 544, 15-18) – (Patologiae
graecae, t. XL. 1858, Νεμεσίον, Ἐπισκοπὸν Ἐμεσηο, Περὶ
φισσαο αἰθραπου); ლათინურში, – **aquilae** (თავი I, გვ. 18-25),
aquilis (თავი II, გვ. 28-8) – (Nemesius Alfani, edidit C.
Burkhard, Lipsiae in aedibus B. G. Teudveri MCM
XVII); სომხურში, – **արծուիք** (თავი I, გვ. 22,3-6), **արծուხაგ**
(თავი II, გვ. 30, 8-11) – (მნმნსაխსი. **փիլիսոփայի** **Յմնսաքիոյ.**
Յաղագս բնութեան մարդիւյ. Վննեսիկ. Ի տպարանի
Մխիթարեանց – 1889); რუსულში – **орлы** (თავი I, გვ. 34-23),
орловъ (თავი II, გვ. 44-32) – (Немезій, епископъ Емесскій,
О природе человека, Перевод с греческаго Θεодора
Владимирскаго, Почаев – 1902).

35. **არწივი** (ფრინ.) – (19,4 გამოსვლ.). ამისასა იტყვიან მეხუთასეა
წელსა განჭაბუკებასა, სიმაღლით აერთ ჩამოჭრასა და წყალთა
შთავარდნით განახლებასა. წყლის პირს მეზუდარობს თევზის ქა-

მისათვის. ბოლო თეთრი აქვს წინა კერძო (საბა, ტ. IV, თბ., - 1965).

ფსოვი (ფრინ.) – ესე არს რომელსა ან მსოფლიონი არწივს უწოდენ; რომელსა ბოლოსა წერვალო შავი აქვს და უკანა კერძო – თეთრი, რომელი კუს აღიტაცებს და ჰაერით გამო კლდესა დასცემს და, რა განიპება, ჭამს (საბა, ტ. IV, თბ., - 1966).

ჩუბინაშვილებთან ამ „ფსოვის“ რუსული შესატყვისია **Беркут** (ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, თბ., - 1961; დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბ., - 1984); დალბაშინით **Беркут**-ის სომხ. შესატყვისია **սկւեգոյն արծիւ** – *Aquila fulva* (Полный русско-армянский словарь, составленный доктором философии А. С. Дагбашяномъ, т. I, Тифлисъ – 1903. აქ ეს „*Aquila*“ კორექტურული შეცდომაა; უნდა იყოს „*Aquila*“); სხვა ლექსიკონებით **Беркут**-ის სომხ. შესატყვისია **բարարծիւ** (А. С. Гарибян, Русско-армянский словарь, Ереван – 1968; Հայ-ռուսերն բարարան, Երեւան – 1984).

რუსულ-ქართულ ლექსიკონში **Беркут**-ის შესატყვისია „**მთის არწივი**“, „**ფსოვი**“ შესატყვისია **Орлан**-ისა (რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., - 1983); სპეც. ლიტერატურაში ***Aquila fulva*** ლათ. ნომენკლატურაა „**სამხრეთევროპული მთის არწივისა**“ (მირ. კუტუბიძე, ფრინველების ნომენკლატურული ტერმინოლოგია, თბ., - 1973).

თუ „**ფსოვს**“ გავიგებთ, როგორც **Орлан**-ს, მაშინ მისი სომხური შესატყვისი იქნება **ბიძარბიქ** (А. С. Гарибян, русско-армянский словарь, - 1968; Հայ-ռուսերն բարարան, Երեւան – 1984).

საბასთან „**ორბისა**“ და „**არწივის**“ სომხ. შესატყვისი ერთია: „**არწივ**“.

36. А. Г. Шанидзе, Названия "орла" в грузинском языке, Исследования по истории культуры народов востока,

- Сборник в честь академика И. А. Орбели, М.-Л. – 1960, გვ. 143.
37. ჰრ.Աճառյան. Հայերեն արմատական բառարան. Հ. I. Երեւան–1971, გვ. 320.
 38. И. М. Дьяконов, Заметки по урартской эпиграфике, Эпиграфика востока, IV, М.-Л. – 1951, გვ. 115); Г. А. Меликишвили, Наири – Урарту, Тб. – 1954; გვ. 325.
 39. ჰრ.Աճառյան. Հայերեն արմատական բառարան. Հ. I. Երեւան – 1971; აქ արბოւի-ის წინ უზის ჯვარი (გვ. 319), რაც იმას ნიშნავს, რომ ეს სიტყვა „ძირეული სომხურია“ (გვ. 14).
 40. А. Г. Шанидзе, Названия "орла" в грузинском языке, Исследования по истории культуры народов востока, Сборник в честь академика И. А. Орбели, М.-Л. – 1960, გვ. 143.
 41. აწნიւ/აწინეს; სომხურში ამ სიტყვებს აქვს რამდენიმე მნიშვნელობა; მათგან აქ, ალბათ, უნდა იგულისხმებოდეს ერთერთი, სახელდობრ „წართმევა, წაგლეჯა“ (იხ. Ե.Բ.Աղայան, Արդի հայերենի բացատრական բառարան, հ. 1. Երեւան–1976; Ժամանակակից հայոց լեզվի բացատრական բառարան, հ. 1. Երեւան–1969; Հայ-ռուսերեն բառարան, Երեւան–1984)
 42. ბიւს/ბუსეს– გაცრა, გაცხრილვა, განიავება; ლექსიკონებში, რომლებზეც მე ხელი მიმიწვდა (ჰრ.Աճაռյან. ՀԱԲ. հ. II, Եր. – 1973 და ზემოთ მითითებულნი) ამ სიტყვებს (ბიւს/ბუსეს) მხოლოდ ეს მნიშვნელობა აქვს.
 43. აწიւბ; ახალი სომხ. აწიւბ, დიალექტური (ტიგრანაკერტი) აწიւბ – ლომი (ჰრ.Աճაռյან. ՀԱԲ. հ. I, Եր.–1971).
 44. თუმცა სომხური ენის მთელ რიგ დიალექტებში არის ფორმა აწიւბ-იც (აგულისი, გორისი, ერევანი, მოკეი, ოზმი, სალმასტი, ვანი) – (ჰრ.Աճაռյან. ՀԱԲ. հ. I, Եր.–1971).
 45. აწი- მამაცი, გულადი, ძალგულოვანი (იხ. ზემოთ მითით. ლექსიკონები).

46. ბი-ბი/ბქსნ-ბქსნ - დახევა, დაფხრენა, დაფლეთა, დაჭრა, დანაკუნება, დაქუცმაცება, დაფლეთილი, დაგლევილი, ბანჯგე-ლიანი, ბუმბულიანი (იხ. ზემოთ მითით. ლექსიკონები).
 არბიხ -ის პირველი და მეორე ეტიმოლოგიისათვის იხ. ჯრ.Աճառյան, ՀԱԲ, հ. I, Եր. - 1973.
47. „ἀργίφος - ἀετος παρά Περσῶν;“ - (ჰესიქოსი - IV ს. ა. ნ. ა.) - (ჯრ.Աճառյան, ՀԱԲ, հ. I, Եր. - 1971; Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, т. II, Тб. - 1984, გვ. 539).
48. ზენდურში ეს სიტყვა „არნივის“ მნიშვნელობით ნახმარია მხოლოდ კომპოზიტიში, - ǰǰarziyǰǰarǰǰa - „არნივის ფრთა“; იქ იგი (ცალკე აღებული) ერთი მთის საკუთარი სახელიცაა (ჯრ.Աճառյան, ՀԱԲ, հ. I, Եր. - 1971, გვ. 320).
49. ძვ.-ინდ. ṛjīva ნიშნავს: „სწრაფადმფრენი“ (Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, ИЯИИ, т. II, Тб. - 1984, გვ. 539).
50. śyēnā - „არნივი“ (ინდ. śyāva - „მუქი ყავისფერი“, „მუქი“, ავესტ. syava - „შავი“, სპ. siyāh, რუს. сивый, синий - „სისვი, ლურჯი“) - (იქვე).
 არბიხ/არბიხ-ის მესამე ეტიმოლოგიისათვის იხ. შენიშვნა 47-ში მითითებული ნიგნები.
51. И. М. Дьяконов, Заметки по урартской эпиграфике, გვ. 115, Эпиграфика востока, IV, М.-Л. - 1951; Г. А. Меликишвили, Напри-Урарту, Тб. - 1954, გვ. 325; მისივე: Урартские клинообразные надписи, М., - 1960, გვ. 205, სქ. 2.
 მკითხველმა, ალბათ შენიშნა (თუ არ შეუნიშნავს, ახლა დააკვირდეს): არბიხ-ი ფონეტიკურად არბიხ -ზე უფრო ახლოა „არნივის“ ურარტულ (**aršibi**), ავესტურ (**ǰǰarziyǰǰa**) და სპარსულ (**ἀργίφος**) სახელებთან, რომელნიც ფიქსირებულნი არიან არბიხ-ზე ბევრად ადრე (**aršibi**- d. ნ. ა. IX ს; ǰǰarziyǰǰa - d.

ნ. ა. IX და ა. ნ. ა. III საუკუნეთა შორის, ᄁრქიძი ა. ნ. ა. IV ს; აქბიქი - ა. ნ. ა. IX ს.);

ამიტომ, ვფიქრობ: აქბიქ-ი (რომელიც ახალ ფორმად ითვლება) გაცილებით ძველია, ვიდრე ძველ ფორმად მიჩნეული აქბიქი.

სომხურში „არნივის“ სახელწოდების მეტამორფოზა მე ამგვარად მაქვს წარმოდგენილი:

აქბიქ/აქბიქ>აქბიქ>აქბიქ

საერთოდ, ძველი ფორმის ხარჯზე უძველესი ფორმის გაცოცხლება არც ერთი ენისათვის არაა უჩვეულო; ქართულში ამის მაგალითებია:

უძვ. ტირის > ძვ. ტირს > ახ. ტირის.

უძვ. არის > ძვ. არს > ახ. არის.

52. „ბარძინ“-იდან მიღებულია „ბარძიმ“-ი (შდრ: წგრან > ჭერამ-ი), რაც ქართულში ეწოდება სასმისის სახეობას, ერთერთ მთასა და არის მამაკაცის საკუთარი სახელი.

„ბარძიმ“-ი/„ბარზიმ“-ი, როგორც სახელწოდება სასმისისა, პირველად ფიქსირებულია IX ს-ში (საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, თბ., - 1966, გვ. 72, 73, 214), როგორც სახელი მამაკაცისა, - XVI-ში [დოკუმენტები საქართველოს ისტორიიდან, I, (XV-XVIII სს.), თბ., - 1940, გვ. 358], როგორც მთისა, - XVIII-ში (ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., - 1941, გვ. 41, 43).

ქართულში „ბარძიმ“-ის განმარტებანი ამგვარია:

1. ბარძიმ-ი, ბარზიმ-ი, - სასუმელი ვერცხლისაჲ (საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში, II, თბ., - 1966, გვ. 72,2).

2. ბარძიმი (44,2 დაბად.) ფერკიანი მალალი სასმისი; იტალ. კალიჩე; სომხ. სკი, სკი (საბა).

3. ბარძიმი - ფეხმალალი სასმისი (დაბად. 44,2 და შემდგომი), ყაყა, საკუთრად ეწოდების საეკლესიოსა სინმიდის ჭურჭელსა, nomup (ნ. ჩ.).

4. ბარძიმ-ი - ეკლ. საეკლესიო ფეხიანი ჭურჭელი ლითონისა, იხმარება ზიარების შესანახად (ქეგლ. ტ. I, თბ., - 1950).

5. ბარძიმ-ი - დაბ. 44,2. ეკლესიაში სახმარებელი მაღალფეხიანი ღრმა სასმისი, რომელშიც წიროვის დროს უსისხლო მსხვერპლს ამზადებენ (ა. შანიძე); საერთოდ სასმისი (ი. იმნაიშვილი, ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, ტ. I, ნან. 1, თბ., - 1970, გვ. 269).

6. ბარძიმაც - ფეხიანი ხის სასმისი, რომლითაც ლუდს სვამენ.

7. ბარძიმ - ვერცხლის თასი, რომელშიც დეკანოზი ასხამს ადგილობრივი მლოცველების ზედაშეებიდან ცოტ-ცოტას და საერთოდ დაილოცება. ამის შემდეგ დეკანოზი ლოცავს სტუმრების ზედაშეებს (პ. ხუბუტია, თუშური კილო, თბ., - 1969).

„ბარძიმ“-ი მზ. ანდრონიკაშვილის ვარაუდით ნასპარსულევი სიტყვაა: „შესაძლებელია აქ გვექონდეს სამ. სპ. 'bars-in' 'მაღალი' (ჭურჭელი).

შდრ. ახ. სპ. جز barz 'სიმალე', სომხ. բարձր 'მაღალი', բարձ 'ბალიში'. სპ. bāiz < barzān-იდან" (მზ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., - 1966, გვ. 298).

ძველი აღთქმით „ბარძიმ“-ის ბერძნული შესატყვისია κύψυ (დაბ. 44-2; ესაია 51-47), ლათინური, - scyphus (დაბ. 44-2), calices (ესაია 51-17), სომხური - սկիչ (დაბ. 44-2), բաժակ (ესაია 51-17).

სომხურში բაժակ-ის პარალელური ფორმაა բარձակ (შდრ: բաժանել/բարձանել - „განანილება“).

ირან. bhāj - „განანილება“.

სპ. pāzin, ლათ. pars, სომხ. բաժին - „ნანილი“.

ზენდ. bajina/სანსკ. bhājana - „ჭურჭელი“.

ებრ. bazak/bazik, ნახ. bazak - „დოქი, ხელადა“.

საბასთან „ბესინი“ განმარტებულია, როგორც „ზედაშე“, რომლის სომხ. შესატყვისი (მასთანვე) არის ბაჟანქ/ბაჟაქ, რაც

ბაჟკის (ქაძას) დიალექტური (ტფილისური) ფორმაა (საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ საბას ლექსიკონის სომხურ შესატყვისობებში ასახულია სომხურის ტფილისური დიალექტი).

ჩემი აზრით „ბარძიმ“-ის ძირია ირ. **bhāj** – „განანილება“;

ზენდ. **baĵina** > ქართ. *ბაძინ-ი (შდრ: სპ. **ganj**>ქართ. განძ-ი) > *ბარძინ-ი > ბარძიმ-ი – მნიშ: „სანანილე, გასანანილებელი, საზიარებელი“; ბესინ-ი კი, ჩანს, სომხ. ქაძქმ-ის ფონეტიკური ვარიანტია (ქაძქმ > *ბეშმინ-ი>ბესინ-ი).

ვფიქრობ: **bhāj**-იდან მიღებული უნდა იყოს ქართ. „ფარჩ“-იც (სპ. **ჯარქ** – დიდი სანყლე ჭურჭელი; სომხ. **ქაყი/ქაყი** – მომცრო სანყლე ჭურჭელი; ქართ. **ფარჩ**-ი – მომცრო საღვინე ჭურჭელი; უდ. **ფარჭ** – იგივე, რაც სომხ. **ქაყი**; ხურდ. **პარჭი** – ბოთლი): **bhāj**>***bhār**'**j**'>***bharč**>**parč**> **ფარჩ**-ი.

ეს თუ ნამდვილად ასეა, მაშინ ზენდ. **baĵina**-ს პარალელურად ფორმა ***barĵina** სავარაუდოა თვით ზენდურში (შდრ: სომხ. **ქაძას/ქაძქას**).

რაიცა შეეხება ბარძიმს (ვითარცა მთისა და მამაკაცის სახელს), მისი ეტიმონი შესაძლებელია იყოს, როგორც სპ. **barz** – „სიმაღლე“, ასევე ქართ. **ბარძ**-ი – „მზე“; თუ პირველია, მაშინ ამ ბარძიმის მნიშვნელობა იქნება „მაღალი“, თუ მეორე, – მაშინ „არნივი“, რომელიც შემდგომში (სავარაუდოა) შთანთქა სპ. „მაღალმა“ – **barzin** [სხვათა შორის, ანთროპონიმი **barzin** (برزين) არსებობს სპარსულშიც].

53. **ფასკუნჯ**-ი (ცნობილი ფონეტიკური ფორმულის საფუძველზე: -ორ>-ურ; რ//ა>ჯ; ვ//მ>ბ>პ>ფ; ჯ>ნჯ) მიღებულია მეგრულში დატული სიტყვიდან **მასქ-ურ/მასკ-ურ** („ბედის ვარსკვლავი, გრძნეული, მევარსკვლავე“):

მასქ-ორ**/მასკ-ორ**>**მასქ-ურ/მას-კურ**>**ფასქ-უჯ**/***ფასკ-უჯ** [ფორმა „**ფასქუჯ**“-ი დატულია მცხეთურ ხელნაწერში (II სჯ. 14-13)]>**ფასკ-უნჯ**-ი, – ფრინველი, – წინასწარმეტყველი, ფრინველი, – მახარობელი, ფრინველი, – შუამავალი ზენა და ქვენა სამყაროთა შორის (ოს. ფაქონძ-ი, სომხ. **ყასკიონ**).

თვით მასკ-ურ-ი ორეულია სომხ. მარცაქუ-ს („წინასწარ-მეტყველი“) ფუძისა მარც-აქ (-არ//ორ>ურ).

*მასკ/*მარც არის „ვარსკვლავი“.

ბოლოკიდური – აქ მარც-აქ-ში ზედსართავის სუფიქსია (მდრ: ხრც-აქ „გრძელი“, აქი-აქ – „მართალი“). (Н. Я. Марр, Фасонд-и осетинских сказок и яфетический термин фaskund „mag“, „вестник“, „вещая птица“, ИАН – 1918, VI серия, т. XII, გვ. 2090, 2093; Н. Я. Марр, Яфетическое происхождение армянского слова Margarey-пророк, СПб – 1909, გვ. 1155, სქ. 2).

მარცაქუ-ს სრულიად სხვაგვარ ეტიმოლოგიებს იძლევიან ანტ. მეფე, ჰრ. აჭარიანი და მზ. ანდრონიკაშვილი;

ძვ. ირ. *maθra-kara („სიტყვის მოქმელი, წინასწარმეტყვე-ლი“) > მარცაქუ (ანტ. მეფე);

ფალ. *margar [< სოლ. mārkrāy/mārkarāk („გრძნეული, მისანი“)] > მარცაქუ (ჰრ. აჭარიანი).

საშ. სპ. *margar [< ძვ. ირ. *marakara („მოთულები, აღ-რიცხვის მოქმედი, ასტროლოგი“)] > მარცაქუ (მზ. ანდრონი-კაშვილი). (Հր.Աճառյան, ՀԱԲ. հ. III, Եր. – 1977, გვ. 276; მზ. ანდრონიკაშვილი, ნიქუ, – თბ., – 1966, გვ. 252).

54. არწივი მითოლოგიურად მზის შვილად ითვლება.

მხოლოდ არწივს ძალუძს თვალი გაუსწოროს მზეს.

იგია ერთადერთი ფრინველი, რომელსაც ხელწინების მი-ახლოება მზესთან.

რიგვედას მიხედვით, ტკბილი სასმელი სომა სწორედ არ-წივმა ჩამოიტანა მზიდან.

არწივს ჩამოაქვს მზიდან სომა და იგი არის თვითონ აგნი („ცეცხლი“), რომელიც ელვისა და მების სახით ვარდება ძირს.

ესქილე ზევსის არწივს „პირფოროსს“ უწოდებს (πυρ-φίριος – „ცეცხლოვანი, ცეცხლოსანი, ცეცხლის ჩამომტანი“).

რეინაკის აზრით, არწივი იგივეა, რაც პრომეთე. (იხ. ვ. ნო-ზაძე, ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება, სანტიაგო დე ჩი-ლე – 1957, გვ. 231).

ბ. მარს „მზიდან“ ნაწარმოებად მიაჩნია ანთროპონიმი **ამირან-ი**: „სახელი **ამირან**, საკუთრივ **A-məra** ანუ **A-məg**, წარმოადგენს მზის აფხაზურ სახელს **à-mra** ანუ **à-məg**“ (Н. Я. Марр, Избранные работы, т. I, Л. – 1933. გვ. 74).

55. ს. ხაიდაკოვით **ბარზუ** („არწივი“) ძირეული ლაკური სიტყვაა (С. М. Хаидаков, Очерки по лексике лакского языка, М., – 1961, გვ. 14).

„არწივის“ ამ სახელთან დაკავშირებით მახსენდება „**ბაზ**“-ი, – „**შავარდნის**“ სახელწოდება აღმოსავლურ ენებში (ფალ. **bāz/bāj**, სპ. **bāz/bāza**, ქურთ. **bāzī**, ავღ. **bāz**, ბელუჯ. **bāz/bāñz**, სომხ. **բազէ**), ქართულში კი, – ზოგადად „ყოველთა **ჭანგიანთა**“, – ე. ი. სინონიმი საბასეული „**ორბისა**“.

56. „სომხურის ერთმა ენამ (კერძოდ, რომელმა! – არა აქვს ახლა ამას არსებითი მნიშვნელობა), თავის დროზე აბორიგენტთა ენიდან შეითვისა ერთი ფრიად ნიშანდობლივი ფონეტიკური თავისებურება: **p(>b>ϕ)>h**.

ეს კანონი გავრცელდა თვით ინდოევროპულ ფენაზეც, რის შედეგად სიტყვა **pater** სომხურში ყლერს არა, როგორც ***payr** (>*bair >*ϕair), არამედ, – **hayr**.

მასში ლინგვისტიკმა დაინახეს საერთო-სომხური კანონი, მაშინ, როცა ეს ფონეტიკური თავისებურება დამახასიათებელია სომხეთის მხოლოდ ერთერთი ენისათვის და იგი მას (ამ ენას) თან კი არ მოუტანია ვანისა და არაქსის აუზში, არამედ მემკვიდრეობით მიიღო აბორიგენტაგან.

ეს ფონეტიკური თავისებურება იმდენად ბუნებრივია ონსოქოლოური თქმისათვის, რომ იგი დღესაც ცოცხალია იქ და თავის დაღს ასვამს რუსულიდან შესულ სიტყვებს (რუს. **пристав** >ონს. **прѣставъ**, რუს; **полковник** >ონს. **holqovniq**).

რაიცა შეეხება ძველ ნასესხობებს, მათზე ლაპარაკიც კი ზედმეტია! – იქ ბაგისმიერი **p(>b>ϕ)** არა მარტო გადაიზარდა სპირანტ **h**-ში, დაიკარგა კიდევ; მაგ. **habize** – „კეთება“ ონსოქოლოურად ყლერს – **haize** (<hahize) – (Н. Марр, Непочатый

источник исторій Кавказскаго мира, ИАН - 1917, N5, VI серия, гв. 323).

სხვათა შორის, ონსოქოლოური თქმის განსხვავებულობაზე 1772 წელს მიუთითა გიულდენშტედტმაც (იხ. გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, II, თბ., - 1964, გვ. 381).

აქვე საჭიროდ ვრაცხ ორიოდ სიტყვა ვთქვა ტოპონიმ „ონსოქოლოს“ შესახებ;

არსებობს ამ ტოპონიმის რამდენიმენაირი დაწერილობა:

1. ოსოქოლო (დ. გურამიშვილი, ავ. განერელია).
2. ანსოკული (გიულდენშტედტი, პალასი).
3. ოსოკული (გიულდენშტედტი).
4. ონსეკული (პალასი).
5. უნცუქულა (გრ. ორბელიანი, ავ. განერელია).
6. უნსუკულ/ონსო-კულ (ՅՇ.).
7. ონსოკოლ (პ. უსლარი).
8. უნცუკულ (პ. უსლარი, დ. პაგირევი, БСЭ).
9. ონსო-კული (დ. პაგირევი).
10. ონცუკულ (ნ. მარი).
11. ოსოქოლი (კ. კეკელიძე).
12. ოსოქოლა (ალ. ბარამიძე).
13. ონსოქოლა (ავ. განერელია).
14. ონსოქოლო (გ. გელაშვილი).
15. ონსოქოლო (არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე).

(იხ. დავით გურამიშვილი, დავითიანი, თბ., - - 1955, კ, 329, 3; გვ. 7, 315; გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, II, თბ., - 1964, გვ. 84-85, სქ. 9; გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. II, თბ., - 1937, გვ. 52,303; ՅՇ., т. 68, СПб. - 1902; П. Услар, Аварский язык, Тб. - 1866, гв. 536; Д. Д. Пагирев, Алфавитный указатель к пятиверстной карте Кавказскаго края, Тф. - 1913, гв. 194, 253; Н. Марр, Непочатый источник исторій Кавказскаго мира, гв. 323, ИАН - 1917, N5, VI серия, Петроград; БСЭ, т. 44, вт. изд.

M. – 1956; არნ. ჩიქობავა, ილ. ცერცვაძე, ხუნძური ენა, თბ., – 1962, გვ. 177).

ეს ის აულია (ამჟამად რაიონული ცენტრი), სადაც ტყვედ ჰყავდათ დავით გურამიშვილი და სადაც ახალგაზრდობის წლები გაატარა შამილმა...

ყველაფერს, რომ თავი დავანებოთ, „ონსოქოლო“ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში მარტო დავით გურამიშვილის გამო მინც უნდა იყოს შეტანილი.

57. მუშ. არბიქ, ჰაჭ. აკბიქ (Հր.Աճառյան, ՀԱԲ. I, Եր. 1971, გვ. 320).

58. შდრ: ლათ. *aqua* („წყალი“) > *aquila* („არწივი“) – (Т. В. Гамкрелидзе, Вяч. Вс. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, т. II, Тб. – 1984, გვ. 539).

გამორიცხული არაა, აკვილასამებრ (*aquila*) წყალთან (ფშა/ფსა) დაკავშირებული იყოს „ფსოვ“-იც [რომელსაც (საბას თქმით) „ან მსოფლიონი არწივს უწოდენ“].

ეს თუ ასეა, მაშინ „ფსოვ“-ი ფონეტიკური ვარიანტი ყოფილა „ფშავ“-ის სინონიმისა: „ფხოვ“-ი [ფშა>ფშ-ავ-ი; ფშა>ფშ-ოვ-ი/ფს-ოვ-ი>ფჰ-ოვ-ი (ს>ჰ)>ფხ-ოვ-ი (ჰ>ხ), – „წყლეთი, წყლიანი, წყლებიანი, ფშებიანი, ფშიანი“].

59. შდრ: *ბარგ-ი>არქ-ი (<*ჰარგ-ი);

არქი – წისქვილის თოჯი. თ. თავარ/თავარა; ს. ტაჰარავ (საბა).

თოჯი – წისქვილის არქი (საბა).

არქ-ი – წისქვილის ზედა ქვის შუაგულში ჩასმული რკინის პატარა ნაჭერი, რომელიც ჩამოცმულია ბორბლის ყელზე და მისი საშუალებით ამოძრავებს ზედა ქვას (ქ. ძონენიძე, ზემო-იმერული ლექსიკონი, თბ., – 1974).

არქა – წისქვილის ბორბლის ლერძის თავზე ჩამოცმული რკინა, რომელზედაც წისქვილის ზედა ქვა არის დაყრდნობილი და რომელიც ბორბლის ტრიალს გადასცემს ზედა ქვას

(პ. გაჩეჩილაძე, იბერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., - 1976).

არქე – ასე ეძახიან ნისქვილის ამ ნაწილს სამეგრელოში (ცნობა მომანოდა გრ. რუხაიაძე).

ლატაფუ – სვანური შესატყვისია ქართ. არქისა (ცნობა მომანოდა დ. ნერედიანმა).

არქ-ი – რკინის პატარა ნაჭერი, ჩასმული ნისქვილის ზედა ქვაში; მისი საშუალებით ბორბალი აბრუნებს ნისქვილის ზედა ქვას (ქეგლ., ტ. I, თბ., - 1950).

თოხი – ნისქვილის ნაწილია: ნისქვილის ღერძის თავზე დამაგრებული და ზეითა დოლაბში ჩადებული რკინა ნისქვილის ასამუშავებლად და ზეითა ქვის ასანევ-დასანევად: „ზეით ნისქვილს აქვ **თოხი**, რო ქვა ადსნივ-დადსნიოს“ (ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., - 1961, ქართლური (დუშეთის რ-ნი) დიალექტი, გვ. 274, 637).

თოხ-ი – 1. ხის ტარზე წამოცმული ბრტყელპირიანი რკინის იარაღი, რომლითაც მინას აფხვიერებენ, სარეველა ბალახებს აცლიან (სიმინდს, ვენახს...). 2. გადატ. იგივეა, რაც **თოხნა**. 3. ნისქვილის ღერძის თავზე დამაგრებული რკინა (ან ხე), რომელიც ატრიალებს ნისქვილის ქვას (ქეგლ, ტ. IV, თბ., - 1955).

მამასადაძე, ქართულში **თოხი** სამი მნიშვნელობისაა: **არქი**, - მხოლოდ ერთისა.

Тавга – 2. (ჯუღუფა) – ღერძის დოლაბთან შემაერთებული ლითონის ნაწილი (Азәрбајҹан дилинин диалектологи лугәти, Бақы – 1964).

თაყაყარასყ – ცულის ფორმის, შუაში გახვრეტილი, სქელი და ბრტყელი რკინა; ამაგრებენ ნისქვილის ქვის ღერძის ბოლოში, - ზედა დოლაბზე, რასაც იგი აბრუნებს (ჭამანსასყასყიჯ ხაყიჯ ქნყიქ რაყასყარასყან რაოყასყან. ხ. IV სტ. – 1980).

თავარაჲ – 1. ნისქვილის ბორბალი (ნ. როსტიაშვილი, ინგილოური ლექსიკონი, თბ., - 1978). - [„თავარა“ ასევეა გან-

მარტებული მ. ჯანაშვილის მიერ (მ. ჯანაშვილი, საინგილო, II, გან. IV, თბ., - 1913)); თუ „თავარას“ ეს ბოლო ორი განმარტება სწორია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ აზერბ. „თავარას“ ინგილოურში სემანტიკა უცვლია.

ნისქვილის ამ ნაწილის სახელწოდებანი (ქ. თოკი, თ. თავარა, ს. ტაპარაკ), ჩანს, განაპირობა მისმა გარეგნულმა მსგავსებამ გარკვეული სახის თოკთან და ცულთან (სპ. თავარ, სომხ. ტაპარ - „ცული“), მაგრამ თოკის სინონიმი არქი საიდან?!

ამ ტერმინს ყურადღება მიაპყრო ივ. ჯავახიშვილმა; იგი ამასთან დაკავშირებით წერდა:

„მეგრულად თოხს „ბერგი“ ეწოდება...

„ბერგი“-საგან ნაწარმოები ნასახელარი ზმნაც არსებობს, „ბარგუა“, რომელიც თოხით მარგვლას ნიშნავს. „მაბარგალი“ მთოხნელს ეწოდება...

როგორც „თოკნა“ თოკისაგან არის ნაწარმოები, ისევე მეგრული „ბარგუა“ უნდა „ბერგ“-ისაგან იყოს ნაწარმოები. „ბარგუა“ თავისი „ბა“ მარცვლით უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თოხს უნდა „ბარგი“-ც რქმეოდა ოდესღაც.

საფიქრებელია, რომ „ბარგი“-საგან უნდა იყოს წარმომდგარი, თავკიდური ბგერის ჩამოცილებით, „ნისქვილის თოკის“ აღმნიშვნელი ტერმინი არქიც“... (ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, ტფ. - 1930, გვ. 212-213).

ივ. ჯავახიშვილის აზრით ქ. მარგ-ი (>მარგ-ილ) „ბერგი“-ს, ანუ „ბარგი“-ს ფონეტიკური სახენაცვალი უნდა იყოს და თავდაპირველად თოხის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო“ (იქვე, გვ. 213).

არნ. ჩიქობავა არ იზიარებს ქ. „მარგ“-ისა და მ. „ბერგი“-ს ურთიერთშესატყვისობას: „წარმოშობით მარგ- და ბერგ-ერთი და იგივე არ უნდა იყოს; (არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., - 1938, გვ. 253-254).

ჩემი ღრმა რწმენით, არქი ნამდვილად მიღებულია ბარგის-აგან, მაგრამ არა „თავკიდური ბგერის ჩამოცილებით“ (როგორც ამას ივ. ჯავახიშვილი ფიქრობს), არამედ ასე:

*ზარგ-ი>*ჰარგ-ი>არქ-ი.

სხვათა შორის, *მარგ-ი (>მარგ-ილ), რომ ერთდროს ნამდვილად თოკის აღმნიშვნელი სიტყვა იყო ქართულში, ამას მოწმობს თოკის სომხური შესატყვისი მარცხელ (<მარგილ-ი) – (მდრ: მანგალ>მანცაჲ) – („მანგლის“ ეტიმოლოგიისათვის იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, ტფ., – 1935, გვ. 87-89).

ერთი სიტყვით: არქ-ი (<*ჰარგ-ი<*ზარგ-ი) და, არა მარტო ეს, აშკარად ლაღადებს, რომ ერთდროს ქართულისათვისაც დამახასიათებელი ყოფილა ბ>ჰ და გაქრობა ჰ-სი, რაც დღემდე ახასიათებს ონსოქოლოურ თქმასა და, რაც (ნ. მარის თანახმად) სომხურს შეუთვისებია აბორიგენტა ენიდან.

სახელდობრ ურარტულისათვის ეს ფონეტიკური თავისებურება (ჰ>ბ>ფ>ჰ და გაქრობა ჰ-სი) უცხოა;

ერთადერთი, რამაც შესაძლებელია ამ თავისებურებაზე მიგვანიშნოს, არის **haldi>aldi**, ესეც, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ **haldi**-ში **h**-ს მივიჩნევთ **h**-დ და ***haldi**-ის ნინარე ფორმაში **h**-ს ადგილას რომელიმე ბაგისმიერ ბგერას ვიგულისხმებთ.

გ. მელიქიშვილი **haldi**-ისა და მუსასირული **aldi**-ის ურთიერთშედარების საფუძველზე ასკვნის: „მუსასირულ კილოში, დანამდვილებით შეიძლება ითქვას რომ, შეიმჩნევა **h**-ს გამოტოვება ხმოვნის წინ სიტყვის თავში“ (Г. А. Мелликишвили, Урартские клинообразные надписи, М., – 1960, გვ. 86).

60. ურარტულში „**ღ**“ წერვის ემცხებება;

გ. მელიქიშვილი სავსებით მართებულად შენიშნავს: „თუკი ურარტული ენა ნამდვილად ახლოს დგას კავკასიურ ენათა ჯგუფთან, შესაძლებელია დაფუძვალთ, რომ მასში უთუოდ იყო სემიტურ ენათათვის უცხო აფრიკატები, რომლებითაც ასე მდიდარია კავკასიური ენები“ (Г. А. Меликишвили, Урартские клинообразные надписи, М., – 1960, გვ. 46).

დღესდღეობით კი ცხადია მხოლოდ ის, რომ ურარტ. „**ჟ**“ უეჭველად შეესაბამებოდა „**ღ**“-ს ტიპის აფრიკატს (ურარტ. **ᶜue**

= სომხ. **čov**; ურარტ. **Ṣupa** = სომხ. **Շօփ^h-k^h**; ურარტ. **Ṭuaraṣinei hubi** = სომხ. **Tuaraça-tap^h**; ურარტ. **ṣari** = სომხ. **çaṙ**)... შესაძლებელია, ამ ბგერას (ṣ) ძველად აფრიკატ „č“ -ს ხასიათიცა ჰქონდა; ეს, მით უფრო სავარაუდოა, რომ ძველებრაული „ṣ“ ტრადიციული გამოთქმით დღემდე უღერს, როგორც „ts“ (И. М. Дьяконов, Материалы к фонетике урартского языка: Вопросы, грамматики и истории восточных языков, М.-Л. - 1958, გვ. 36).

აქ უნდა შევნიშნო: სემანტიკურად ურარტ. **ṣari**-სთან ქართ. **ṣarap^h**-ი (**ṣar-ap**) უფრო ახლოა, ვიდრე სომხ. **çaṙ** (**ṣari** - კორომი; წარაფ-ი - პატარა მოგრძო ტყე; **ḫan** - ხე).

61. შრდ: ურარტ. **Zabaḫa** = ქართ. **Ḷavax-et^hi** - ურარტ. **b** = ქართ. **v** (იხ. И. М. Дьяконов, Материалы к фонетике... გვ. 30); სხვათა შორის, ქართულში არის გვარი „ზაბახიძე“, რომელსაც „ზამბახიძე“, რომ დაუძახო, გიწყენს: - მე „ზამბახიძე“ კი არა, „ზაბახიძე“ ვარო!

ხომ არ მეტყველებს ეს იმაზე, რომ ერთდროს „ჯავახ“-ის სინონიმი ქართულშივე იყო „ზაბახ“-ი?!

მით უმეტეს: ქართულში ბან-ის წინ მან-ი გაქრობით ჯერ არსად გამქრალა, გაჩენით კი არაერთგან გაჩენილა [შრდ: ბალი>მბალ-ი; კახამბალ-ი (<¹კახაბალ-ი); ამბოროსი (<აბოროსი)].

ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ „ზაბახიძე“ ნაწარმოები არაა არაბული სიტყვიდან **sabah** („დილა“).

62. შრდ: ურარტ. **Zabaḫa** = სომხ. **Ḷavax-k^h** - ურარტ. **b** = სომხ. **w** (იხ. И. М. Дьяконов, იგივე სტატია, იგივე გვერდი), რაც, რა თქმა უნდა, ძალაშია ქართულის მიმართაც (ქართ. **ზ** = სომხ. **ლ**).

ჩაკალიფება

შემოდგომობით აღებული მოსავლის დაბინავენას ქვემო იმერეთში „ჩაკარება“¹ ჰქვია, ზემოში, – „ჩაკალიფება“² აჭარაში, – „მოკალიბება“.³

ჩემი აზრით: ამოსავალი პირველისა არის „კარი“, მეორეთა, – „კარები“.

ერთიცა და მეორენიც: „ჩაკარებაცა“ და „ჩაკალიფება“ – „მოკალიბებაც“⁴ „აღებული მოსავლის კარს მიღმა / კარებს მიღმა მოთავსებას“ ნიშნავს.

„კარები“ იგივეა, რაც „კარი“.⁵

შენიშვნები

1. „ჩაკარება თუ მოვასტარი გლახა ამიდებს, კარქია“;
„ერთი ამ მოსავალს ჩაუკარეფ და ეგება თფილიში წამევიდო“ (ხანისწყლის ხეობის მკვიდრთა მეტყველება. იხ. პ. გაჩეჩილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1976).
2. „ყველაფერი ჩაკალიფებული გვაქ და ყველას ცალია ახლა“ (ქ. ძონენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974).
„ავდრიაანმა დღეებმა დააღონა ხალხი, რომელსაც ვერ მოესწრო საზამთროდ ჩაკალიფება“ (ა. ერ.-ხოშტ.-ქეგლ).
3. „... ზოგი ადრე მეკალიბებს ალაფსა და პურს, ქერს“... (აჭარის ხალხური პოეზია, 1, თბ., 1969, გვ. 85: 80. ზამთრისა და ზაფხულის ლექსი);
მოკალიბება – დალაგება (ამ წიგნს დართული „სიტყვების ახსნა“ – გვ. 152).
4. „ჩაკალიფების“ თავდაპირველი სახეა „*ჩა-კარებ-ება“, „მოკალიბებისა“, – „*მო-კარებ-ება“.
შდრ.: კარ-ი > „ჩა-კარ-ება“.
5. კარებგაღებული იგივეა, რაც კარგაღებული; კარებდაკეტილი იგივეა, რაც კარდაკეტილი“; კარებდახშული იგივეა, რაც კარდახშული (იხ. ქეგლ).

„ცოტა ხანს შემდეგ სახლის კარები ისევ გაიღო“ (ვაჟა).
„ბრძანა და გააღებინა მაგარი ციხის მან კარი“ (აკაკი).

მცირე შენიშვნა „ჩაკალიფების“ შესახებ

სტატია „ჩაკალიფების“ დაწერიდან არც ისე დიდი ხნის შემდეგ აჭარულში (გარდა ფორმისა „მოკალიბება“) აღმოჩნდა ფორმა „მიკალიბება“, გურულში, – „მიკალიფება“, მეგრულში, – „მიკაკალაფუა“ (მნიშ.: „მილაგება, დალაგება, ნუსრიგში მოყვანა“) [იხ. შ. ნიჟარაძე, ქართლი ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, – ბათუმი, – 1971; გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი: „ქართველურ ენათა ლექსიკა“, I, თბ., – 1938];

ამრიგად: ჩემი (ისედაც მყარი) მოსაზრება ზ. იმ. „ჩაკალიფებაზე“ (*ჩაკარებება > ჩაკალიფება) კიდევ უფრო გაამყარა გურ. „მიკალიფებამ“ (აჭ. მიკალიბება > გურ. მიკალიფება).

ბრეტი / ბუზურა

იოანე ბაგრატიონით Шмель-ის ქართ. შესატყვისია „მონავარი“, ლათ. ნომენკლატურა *Apis terrestris*.¹

ნიკო ჩუბინაშვილთან, გარდა „მონავრისა“, Шмель-ის ქართ. შესატყვისებად დასახელებულია „კრაზანა“ და „შავი ფუტკარი“.²

თანამედროვე რუსულ-ქართულ ლექსიკონებში Шмель-ი ერთგან განმარტებულია, როგორც „კელა, ბზიკი“,³ მეორეგან, როგორც: „ბაზი“.⁴

Шмель-ი რუსთა განმარტებით არის „земляная пчела“⁵ (იგივე: „земляной шмель“).⁶

ქართველი და რუსი ლექსიკოგრაფების განმარტებათა (უმეტესი ნაწილის) მიხედვით: კრაზანა, ბზიკი და კელა შესატყვისნი არიან Оса-სი (*Vespa vulgaris*),⁷ ონავარი და ბაზი, – Шершень-ისა (*Vespa crabro*).⁸

რაც მთავარია, არც ერთი მათგანი არაა თაფლის მომცემი; ე. ი. არაა შესატყვისი რუს. Шмель-ისა.

თუ შევადარებთ ერთმანეთს Шмель-ის, ბრეტიისა და ბუზურას განმარტებებს,⁹ მაშინ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ბრეტი (იგივე ბუზურა) არის **bombus**, კერძოდ **Bombus terrestris**.

და ქართ. შესატყვისი Шмель-ისა არის არა კრაზანა, ზზიკი, კელა, ონავარი ან ბაზი, არამედ ბრეტი (იგივე ბუზურა).

შენიშვნები

1. Шмель – *Apis terrestris* – მონავარი. ფუტკარი ესე უდიდეს არს ჩუჭულებითა ფუტკრისა. ფერით იქმნების შავი, ფრიად თმიანი, მკერდსა ზედა აქუს ყვითელი გრგოლი და ბოლო სხეულისა თეთრი. ფუტკარნი ესე შეიქმნენ მინასა შინა მცირეთა მღვიმეთა და შეადგენენ მუნ გურგალთა ნაპრალებთა ხეთა ნახერხისაგან. სხვებრ თაფლსა დია მცირედ შეამზადებენ (იოანე ბაგრატიონი, საბუნებისმეტყველო განმარტებითი ლექსიკონი, თბ.,-1986-გვ. 210).
2. Шмель – მონავარი, კრაზანა, შავი ფუტკარი (ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II-გვ. 660).
„შავი ფუტკარი“, ამ ლექსიკონის გარდა, არსად ჩანს. ამიტომ, ძნელი სათქმელია, რამდენად ზოგადქართულია Шмель-ის ეს შესატყვისი.
3. Шмель – კელა, ზზიკი (რუსულ-ქართული ლექსიკონი, ტ. III, თბ.,-1959, სარედაქციო კოლეგია).
4. Шмель – ბაზი (რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ.,-1983-სარედაქციო კოლეგია).
5. Шмель – земляная пчела *Bombus* (В. Даль-ТС-IV-641)
6. Шмель – (*Bombus*) – род насекомых, сем. пчелиных: тело густо покрыто волосами; цвет черный с желтым и белым... гнезда устраивают в земле. Различаются Ш: земляной (*B. terrestris*),

садовый (*B. hortum*) и др.; делают мед (ЭС Ф. Павленкова, С.-Пб-1910 – სვეტი 2944);

Шмель – (*Bombus*)... *B. terrestris* черного цвета; 3 последние сегмента брюшка с белыми волосками... Строят гнезда в земле... [Э С, издатели: Ф. А. Брокгауз (Лейпциг), Н. А. Ефрон (С.-Пб.) т. 78, С.-Пб-1903, стр. 530);

Шмель – (*Bombus*)... Шмель земляной (*B. terrestris*), _ тело черное, задний конец брюшка белый, грудь спереди и полоска на втором сегменте брюшка желтые, длина 15-24 мм. гнезда устраивают в земле... (БСЭ-т. 62-М.,-1933- გვ. 347).

7. **კრზანა** (*Vespa vulgaris*) – ფუტკრის მსგავსი მოყვითალო მწერი (სიფრიფანა – ფრთებიანის რიგისა). სინონ. **ზიკი** (კახ. კელა) (ქეგლ);

ზიკი (*Vespa vulgaris*) – ფუტკრის მსგავსი ყვითელი მწერი (სინონ. კრზანა) [ქეგლ];

ზიკი (23, 28 გამოხლ.) – ლ. ვესპა; თ. ეშაკარუს, ეშაგარუსი; ს. კრეტ (საბა);

იტ. *vespa* – оса (Н. А. Скворцова, Б. Н. Майзель, Итальянско-русский словарь, М.-1977);

თ. *eşekarısı* – шершень (*Vespa crabro*) [Турецко-русский словарь, М.-1977, Авторы: А. Н. Баскаков и др. – გვ. 280].

ს. სრესტ-Оса [Հայ -ուսերէն Քառարա. Է. - 1984. Гл. ред. Е. Г. Галстян];

კელა (ქიზიყ., ფშ., თუშ.) – კრზანა, ზიკი (იხ. სტ. მენტეშაშ-ვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბ.,- 1943; აღ. ჭინჭარაული, ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, თბ., 1969; პ. ხუბუტია, თუშური კილო, თბ.,-1969);

8. **ონავარი** – ფუტკარი მეკობრე (საბა);

მონავარი, ონავარი – დიდი ფუტკარი, шершень (ნ.ჩ და დ. ჩ.)

ონავარი (*Vespa*) – ნესტრიანი მწერების რიგი ნამდვილ კრზანისებრთა ოჯახისა... აშენებენ ფიჭისმაგვარ, 500-მდე უჯრიან ბუდეს. იკვებებიან მწერებით, მრ. შემთხვევაში მეთაფლია

ფუტკრებით, წუნნიან ხის წვენს, მატლები ღრღნიან ხეხილსა და კენკრას... სსრკ-ში გავრცელებულ ო-ებს შორის აღსანიშნავია ჩვეულებრივი ო. (V. crabro), აღმოს. ო. (V. orientalis) და ტანად ყველაზე დიდი ო. (V. Mandarina) [ქსე];

ბაზი... ენოდება მწერსა,... თავი უგავს ფუტკარს, ფერით არის ყვითელი და ფრთებიც აქუს ყვითელი ოთხის ფრთით, სიგრძე აქუს ერთი თითის ნახევარი, სიმსხოთია ნეკის სისხო. ესე გააკეთებს ბუდესა ხის ფულუროში ფუტკრის სახედ ვითარცა თაფლის ფიტსა გარნა უთაფლოდ... (საბა, ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძისა და პროფ. აკ. შანიძის რედაქციით, ტფ. - 1928 წ.)

[როგორც ლილი ქუთათელაძემ გაარკვია „ბაზის“ ამ ვრცელი განმარტების ავტორია არა საბა, არამედ იოანე ბაგრატიონი (იხ. დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლილი ქუთათელაძემ, თბ., 1967-გვ. 185)];

ბაზი – большая муха, კვამარზია, მურლულია (И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, С.-Пб.-1914: 199);

კვამარზია – ბუზარა, ბუზანკალი... (ოთარ ქაჯავია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, თბ., -2002);

მურლულია – იგივეა, რაც კვამარზია (ო. ქაჯავია, დასახ. ნაშრ.)

ბაზი (აჭარ.) შხამიანი დიდი მწერი, ზზიკს ჩამოჰგავს (შ. ნიჟარ.) [ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა];

სრულიად სხვაგვარია გაგება „ბაზისა“ 1983 წელს გამოცემულ რუსულ-ქართულ ლექსიკონში (იხ: აქვე,-შენიშვნა №5) და ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში (ქსე: ბაზი-2): იქ იგი მიჩნეულია **Bombus**-ად, რაც, სხვა რომც არაფერი, „ბაზისა“ და მისი სინონიმების მარტო აქ წარმოდგენილ საკმაოდ დამაჯერებელ განმარტებათა საფუძველზე ყოვლად მიუღებელი გახლავთ.

ახლა, ვნახოთ, თუ როგორ განმარტავენ რუსნი ონავრისა და ბაზის რუსულ შესატყვისს (Шершень):

Шершень – самое большое насекомое с жалом, какое у нас водится (В. Даль-ЕС-IV-630);

Шершень – Род крупных ос, причиняющих болезненные укусы (ТСРЯ – под редакцией проф. Д. Н. Ушакова, IV-М.-1940-სვეტი-1336).

Шершень – (*Vespa crabro*) Это одна из наиболее крупных европейских ос (спинка длиной 30 мм., самец 24 мм., рабочая 22 мм.), буроватого или красно-бурого цвета с буровато-желтым рисунком на голове и широкими желтыми каймами на сегментах брюшка; крылья желтоватые...

Гнезда помещаются большей частью в дуплах деревьев... Ужаленье Ш. осы болезненно и бывает даже опасно для человека (ЭС – изд. Брокгауз. Ефрон- т. 78, С.-Пб.-1903, стр. 530);

Шершень, *Vespa*, род ос. Обыкновенный Ш. (*V. crabro*) – одна из самых крупных (до 3 см. длины) европейских ос... (БСЭ –т. 62-М-1933- გვ. 347).

9. იხ. შენიშვნები: №1 და №6 და **Шмель**-ის აქაურ განმარტებათ შეადარე განმარტებანი ბრეტისა და ბუზარასი:

ბრეტი – ბუზია, თაფლსა იქმს კეთილსა ველზედ (საბა);

ბრეტი – ფუტკრის გვარი – კარგს თაფლს გააკეთებს (დ. ჩ.)

ბუზურა (ფშ., მთიულ.) – მწერი, რომელიც მიწაში აკეთებს თაფლს (ალ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა);

ბუზურა – ფუტკრის მაგვარი, ოლონდ უფრო მოზრდილი მწერია, რომელიც სათიბებში, ამოღრუტუნულ მიწაში აკეთებს მუშტისხელა ან უფრო პატარა ფიტს... ბუზურას თაფლი თხელია და ძალზე ტკბილი (გივი ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, -თბ.,-2000).

ჭედი

„ცხენის ფერწის მორკინვა, გინა ილუკროს მუშაკობა“ – ასეთია საბასეული განმარტება სანყისისა „ჭედა“.

„დალურსმვა, ანუ გამოკვერვა მეტალლთა, КОВАТЬ, КОВКА“ – ასეა განმარტებული „ჭედა/ჭედვა“ ჩუბინაშვილთა მიერ.

ქართ. „ჭედ“-ის (რომელიც ძირია *ჭედა/ჭედვისა*) მეგრული ეკვივალენტია *ჭკად-*, *ჭან. ჭკად-/ჭად-*, *სვან. შკანდ-/შკიდ-*.²

„ჭედ“ ძირთან, ლაფონის ვარაუდით, კავშირშია ლეზგიური *ჩად*, თაბასარანული *ჯად* და რუთულური *ჟად* („სამჭედლო“).³

„ჭედის“ სვანური ეკვივალენტი *შკად*, ნ. მარის აზრით, ამოსავალია სვანური *კადა-სი* („ცული“) და *სომხ. ე-რკათ-ისა* („რკინა“).⁴

„ჭედი“ აკაკი წერეთლის აზრით (ჩემი აზრით, მისი ეს აზრი სწორია) ძირია ტოპონიმისა „*ნედისი*“.⁵

„*ნედისი*“ ორია:

ნედისი ქართლისა (ატენის ხეობაში) და *ნედისი რაჭისა* („ჯეჯორის აღმოსავლით“);

ვახუშტისთან აღწერილია ერთიცა და მეორეც:

„... მტკვრის სამჯრით-დასავლეთიდან ერთვის ატენის-წყალს *ნედისის-ჯევი*. *ნედისს* არს ციხე მცირე და არს ჯეობა ესე ვენახოვანი, ხილიანი“ – წერს ვახუშტი ქართლის *ნედისზე*.⁶

„ჯეჯორის აღმოსავლით არს დაბა *ნედისი*, და ციხე მცირე. აქ არს ლითონი რკინისა, და იღებენ მრავალსა“ – წერს ვახუშტი რაჭის *ნედისზე*.⁷

ვახუშტის ნაშრომის შექმნიდან 30 წლის შემდეგ საქართველოში იმოგზაურა გიულდენშტედტი:

„... მდ. ბორჯანის კირქვიან ხეობაში, *ნედისთან*, ხშირია მსხვილი წითელი რკინაქვა (*Blutstein*), რომლისაგანაც ამ მხარის ყველა სოფლებში რკინას აღნობენ და ამუშავებენ“ – წერს გიულდენშტედტი რაჭის *ნედისზე*.⁸

„*ნედისით*“ დაინტერესებულა აკაკი წერეთელიც:

„*დღესაც* არის ჩვენში, რაჭის მაზრაში ერთი მთა, გული რკინის მადნისა აქვს და უხსოვარ დროიდან ირგვლივ მცხოვრებნი მჭედ-

ლობის მეტს არას აკეთებენ. ამ მთას „წედისი“ ჰქვიან, ანუ „ჭედი-სი“, რომლის ძირიც სიტყვა „ჭედისგან“ წარმოსდგება“ – წერს აკაკი რაჭის წედისზე.⁹

ერთი სიტყვით, როგორც უკვე ითქვა:

1. „ჭედი“ არის ძირი სანყისისა ჭედა/ ჭედვა.

2. „ჭედი“ კავშირშია ნახურ-დალესტნურ ძირთან: ჩჰად, ჯად, ჟად (ლაფონი).

3. „ჭედის“ სვან. ეკვივალენტი „შჰად-“ ამოსავალია სვან. კადა-სი და სომხ. ე-რკათ-ისა (ნ. მარი).

4. „ჭედი“ არის ძირი ტოპონიმისა „წედისი“ (აკაკი).

რაა თვით ჭედი?

ვფიქრობ, „ჭედი“-ი თავისი პირველადი მნიშვნელობით სინონიმი უნდა იყოს „ქვანითელასი“ (იგივე „ნითელი რკინაქვა“, – გერმ. Blutstein)¹⁰ და ჭედვა (ნაწარმოები ამ „ჭედი-დან“) იმავე ტიპის ზმნას უნდა წარმოადგენდეს, რასაც თიბვა და პარსვა და ვარცხნა¹¹ [ჩემი ეს მოსაზრება მთლიანად ვრცელდება „ჭედის“ ზანურ და სვანურ შესატყვისებზე (მეგრ. ჭჰად-, ჭჰან. ჭჰად-/ჭჰად-, სვან. შჰად-) და მათგან ნაწარმოებ ზმნებზე.

შენიშვნები

1. ილუკრო ეწოდება ოქროსა, ვეცხლსა, სპილენძსა, რკინასა, ტყვიასა, კალასა და ყოველსავე მისთანათა ერთბამად (საბა).
2. იხ. ჰაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ.,-2000-გვ. 682– „*ჭედ-“.
3. იხ. Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М.,-1964-გვ. 254-255 - „*čed“.
4. *шkad* → *χkad-ǰ* (ш>χ)> *kadǰ* (χ>0); *шkad-* > *e-rkad* (ш > r) > *e-rkad* (d>ბ).

(იხ. ИИАН-1911, Н. Марр, Яфетические элементы в языках Армении, -стр. 144-145).

5. აკაკი წერეთელი, ტ. V, თბ.,-1990-გვ. 403.

6. ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., -1941-გვ. 57,2.
7. ვახუშტი, დასახ. ნაშრომი, - გვ. 160, 15.
8. გიულდენშტიდტის მოგზაურობა საქართველოში, ტ. II, თბ.,- 1964-გვ. 29.
9. აკაკი წერეთელი, ტ. V,-თბ.,-1990-გვ. 403.
10. Blutstein - სიტყვასიტყვით: „სისხლის ქვა“ (Blut - „სისხლი“, stein - „ქვა“).
11. ქართ. თივ-ა /თიბ-ა („თივა; ბალახი“)>თიბ-ვ-ა; მეგრ. თიფ-ი („თივა“)> თიფ-უ-ა („თიბვა“); ქან. თიფ-ი („ბალახი; თივა“) > თიფ-ალ-ა („თიბვა“); (ჰაინც ფენრიხი, ზურაბ სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბ.,-2000, გვ. 236-*„თიბ-“);
 პარს-ვ-ა (<საშ. სპ. vars- „თმა“), ვარც-ხ-ნა (<საშ. სპ. vars - „თმა“) [მზია ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966-გვ. 127-128].

როგო

საბამ და ნ. ჩუბინაშვილმა „როგო“ იცინან, როგორც „ხის სკა“: „როგო არს ხე გაპებული ამოთლილი და შეწყობილი ფუტკართათვის“ (საბა); „როგო - ხეთაგან გამოთლილი სკა, улей,¹ [борть]² (ნ. ჩ.);

დ. ჩუბინაშვილთან „როგო“ „სკაცაა“ და „სარქველიც“: „როგო - ხეთაგან გამოთლილი სკა, борть, роевка,³ улей; ან ხის სარქველი, деревянная крышка у винных кувшинов“ (დ. ჩ.);

დიალექტებში „როგო“ ორი მნიშვნელობისაა:

გურულში და აჭარულში „როგო“ იგივეა, რაც ოგრო/ორგო“;⁴ რაჭულში და ლეჩხუმურში „როგო“ ეწოდება „წენგოს“.⁵

ფონეტიკური თავგადასავალი „როგოსი“ ამგვარია:

*გორ+გორ>გო+გორ<>*ო+გორ>რო+გო.⁷

ეტიმოლოგიურად მისი ამოსავალი მნიშვნელობაა: „მრგვალი“.

როგო („სარქველი“) არის მეგრულშიც: როგო – ქვევრის ხის სახურავი.⁸

შენიშვნები

1. Улей– სკა, ერთი ძირი ფუტკარი გამოფულურილს ხეში დაბუდებული (ნიკო ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, II-თბ.-1973);
2. Бóртъ– როგო, ტყეში მდგომი გამოფულურული ხე, რომელშიც ბუდობს გარეული ფუტკარი (ნიკო ჩუბინაშვილი, დასახ. ლექსიკ. – I-თბ.,-1971);
3. Роёвка– სკა ფუტკრისა (от рóй), როგო; – Рóй – გუნდი ფუტკრის მართვეთა ახლად გამოშვებული (ნიკო ჩუბინაშვილი, დასახ. ლექსიკონი, – II-თბ.-1973);
4. როგო – ოგრო/ორგო – ქვევრის სარქველი (იხ. ალ. ლლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ.,-1984).
5. ალ. ლლონტი, დასახ. ნაშრომი.
6. გოგორა – ურმის, ეტლის და მისთ. თვალი; გორგოლა-ი (მობ.) – მრგვალი, ბურთისებრი (ქეგლ; ქვ-თსკ);
7. *ო+გორ>რო-გო: შდრ.: ქართ. ფუტ-ი („ხის ქერქი“)> სვან. ტუფ („ტყავი“) (იხ. ალ. ჭინჭარაული, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XXIII, გვ. 123), კუზ-ა > ზუკ-ა...
8. ოთარ ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. II, გვ. 123).

კალმახა სოკო (Pleurotus ostreatus)

სახელწოდება სოკოსი, რომლის ეტიმონია კალმახი (თევზი), ქართულ ლექსიკოგრაფიაში წარმოდგენილია სამი სახით:

1. კალმახი სოკო.
2. კალმახი.
3. კალმახა სოკო.

კალმახი სოკო უწინდელი გამოთქმა (დასტურდება ი. ბაგრატიონთან და ი. ქყონიასთან);¹

უწინდელივეა გამოთქმა კალმახი („სოკოს“ გარეშე) [ეს გამოთქმა სახეზეა რ. ერისთავთან და ჩუბინაშვილებთან].²

კალმახა სოკო ამჟამინდელი გამოთქმა გახლავთ (ამ გამოთქმას ცნობს თანამედროვე სალიტერატურო ქართული);

კალმახა სოკოს სინონიმებია: ხეთამხალი, ხის სოკო, ნიფლის სოკო, სვანური სახელწოდება, – ნიფრჷშ ტყუბულ.³

კალმახა ხის სოკოა; „ხის სოკო“, როგორც უკვე ითქვა (იხ. ზემო აბზაცი), ერთ-ერთი სახელიც კია მისი.

ხის სოკოთაგან, გარდა კალმახასი, ცნობილია: მანძილო, ძერანა, ქორა, ტყუბლა, მანჭკვალა...⁴

ხის სოკოთ ისმენ ხენი: თელა, არყი, რცხილა, ნიფელი, მურყანი, ქორაფი (დამპალნი ან ხმელნი, – მიწაზე გართხმულნი, ზოგჯერ, – ზეხმელნი);

ძერანა თელის მოსხმულია ნაქები.⁵

ქორა ქორაფმა იცის,⁶ მანძილო, – ნიფელმა.⁷

კალმახას ისხამს ნიფელი, თელა, არყი⁸... განთქმულია ნიფლისა (ამიტომაც ჰქვია „ნიფლის სოკო“ და „ნიფრჷშ ტყუბულ“).

რის საფუძველზე უნდა დარქმეოდა გარკვეული სახეობის სოკოს „კალმახა“?

მანჭკვალა ჰქვია ფორმის გამო (ჰგავს მანჭვალს);⁹

პიმპილა, – გემოს გამო (ამ სახელწოდების სოკო ცხარეა)¹⁰,

ეტიმონი ტრედიოსი, ხახვილოსი და ღვინიოსი არის ფერი.¹¹

კალმახა რატომ?

გამორიცხული არაა, მას ეს სახელი დარქმეოდა გემოს გამო ისევე, ვითარცა მანძილოს.¹²

ძერანა, მანძილო, მანჭკვალა, ტყურბლა, ქ. ძონენიძის მიხედვით, სხვადასხვა სოკოა.¹³

„კალმახა სოკო“ იმერეთში არ იცინან.

„მანძილო“ (იმერეთს გარდა) იცინან ქართლშიც.¹⁴

ხომ არაა ეს „მანძილო“ სინონიმი „კალმახასი“? – მით უმეტეს:

ორთავე (მანძილოცა და კალმახაც) მოლურჯო-მონაცრისფროა,¹⁵ ორთავე შემოდის გაზაფხულზე,¹⁶ ორთავეს ისხამს ნიფელი,¹⁷ ორთავე ერთობ გემრიელია.¹⁸

შენიშვნები

1. იოანე ბაგრატიონი: დავით და იოანე ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები (თბ., - 1967 - 194); ილია ჭყონია, სიტყვის-კონა, C.-Пб.-1910.
2. რ. ერისთავი, ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი, 1884 წ. ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი - რუსული თარგმანითურთ, თბ., 1961; დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1984.
3. ა. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ., 1961.
4. ქეთევან ძონენიძე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974. ილია ჭყონია, სიტყვის-კონა, C.-Пб.-1910.
5. „... ძერანაი სოკოთ გამოდის ხეზე, მაგრამ თელაზე თუ გამევიდა, კაი ის არი“... (ლეღვანი) [იხ. ქ. ძონ. ზმ. ლექს.-თბ.,-1974];
6. „ქორა სოკოს ქორაფი ისხამს, დიდრონი მსხვილი სოკოა, ჭამენ ფშავში, თუმცა გემო მაგდენათ არაფერი აქვს“ (ი. ჭყონია, სიტყვის-კონა: „სოკოები“, C.-Пб.-1910.)
7. „მანძილო ხმელი ნიფლის სოკოა, მანძი მოდის (აღ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ., 1984).
8. „კალმახი სოკო დამპალმა ნიფელამ იცის“... (ი. ჭყონია, სიტყვის-კონა, C.-Пб.-1910); „კალმახი სოკო - რომელსა არყის ხე მოისხამს“... (ი. ბაგრატიონი: დ. და ი. ბაგრატიონების ლექსიკოგრაფიული ნაშრომები, თბ., 1967,-194); „კალმახა ზოკოს... ნიფლისა და თელის ნაქცეული, ხმელი ხეები ისხამენ“ (გ. ხორნაული, თბურის ლექსიკონი, თბ.,-2000);
9. „მანჭვალი / მანჭული - ჩასაყარი ლუსმარი“ (საბა); „მანჭვალი - დიდი ლურსმანი ჩასარჭობი თავტაბიკსავით, шворень~ (ნ.ჩ.); [„თავტაბიკი - უღლის საშუალში ჩასარჭმელი ტაბიკი, - ურმის თავზედ დასამაგრებლად, шворень деревяный (ნ.ჩ.); Шкворень

и шворень – რკინის თავტაბიკი“ (ნ. ჩ., რუს.-ქართ. ლექს. თბ., 1973);

მანჭვალ-ი: მანჭვალა > მანჭკვალა („კ“ განვითარდა);

10. „პიმპილა სოკო – მოშავო-მორუხო მწარე სოკოა“ (ჯალაურთა) (ქ. ძონ. ზმ. ლექს.)
„პირპილა (ზ. აჭარ.) – სოკოა ერთგვარი, უმად პილპილივით მწარეა, შემწვარი, – ძალზე გემრიელი (ალ. ლლონტი, ქვ-თსკ);
11. „ტრედო მტრედისფერი სოკოა“ (ქ. ძონ. ზმ. ლექს.); „ხახვილო თეთრია, თავზე წამწვანოა“ (იქვე); „ღვინო ღვინისფერი სოკოა“ (იქვე);
12. „მანძილო – სამწვადე ხორცი, შეზავებული ძმრით, ხახვით, მარილით და მისთ., – ბასტურმა (ქეგლ); „მანძილო – ბერწმსუქანი, გინა ძმარში ნადები სამწვადე... მანძილო სოკოსაც უწოდენ ერთსა კეთილ გემოვნებისათვის“ (საბა);
13. „ძერანა/ძერანო... აგურისფერია, ცოტა ნაჟრუნოა ზედა მხრიდან (ჩიხა); „მანძილო მოლურჯო-მონაცრისფრო სოკოა“... (ჩიხა); „მანჭკვალა წვრილ-წვრილი სოკოა, ჯირკის ძირებზე იცის... მინისფერია“ (მანდაეთი); „ტყუბლა მოლურჯო-მორუხო ფერისაა“ (ჩიხა); „ტყუბლა-სოკო... მორუხოა“ (ხვაშითი) [ქ. ძონ. ზმ. ლექს.];
14. „... მანძილო სოკოა, ხეზე არი გამოსული. ხანში შესული ხე რომელიც არი, ბევრია იმაზე“ ... (ჩუმათელეთი) [ქართლური დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1981].
15. „მანძილო მოლურჯო-მონაცრისფრო სოკოა... შემოდის აპრილში“ ... (ქ. ძონ. ზმ. ლექს.)
„კალმახა სოკო – „Серо-синеватая, серо-бурая или пепельно-серая“... (А. Дермек, Грибы, Вешенка обыкновенная, устричная – გვ. 60); „კალმახა ზოკოს... ხმელი ხეები ისხამენ მაისს-ივნისსა და შემოდგომამზე“ (გიგი ხორნაული, ფშ. ლექს. თბ., -2000).
16. „მანძილო შემოდის მაისში“... (იხ. ალ. ლლონტი, ქართ. კ-თ. სიტყვ. კონა); „მანძილო შემოდის აპრილში“... (ქ. ძონ. ზმ. ლექსიკ.);

17. „მანძილო ხმელი წიფლის სოკოა“... (ალ. ლლონტი, ქქოსკ); „კალმახი სოკო დამპალმა წიფელამ იცის“... (ი. ჭყონია, სიტყვის-კონა); „კალმახი (სოკოა) ხეზე გამოდის, უფრო წიფელაზე“ (ნ.ჩ.);
18. „მანძილო სოკოსაც უწოდენ კეთილ გემოვნებისათვის“ (საბა); „... არა მგონია ამაზე გემრიელი სოკო (ლაპარაკია „კალმახაზე“) კიდეც იყოს“ (ი. ჭყონია, სიტყვის კონა, С.-Пб.-1910).

მერცხალი

„ვითარცა მერცხალი, ეგრე ვჭრჭინევდ,
და ვითარცა ტრედი, ეგრე ვლუმინევდ“.
ესაია 38-14.¹

ჟურნალში „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება“ (XIV, თბ., 1964: 143-145) გამოქვეყნებულია ტ. გუდავას ეტიმოლოგიური ნაშრომი „მერცხალი“, რომლის შესავალში ავტორი წერს: „... ნ. მარი ვარაუდობდა, რომ „მერცხალი“ ეტიმოლოგიურად „ვარსკვლავს“ უკავშირდებაო. სამწუხაროდ, ეს ლამაზი ჰიპოთეზა მეცნიერულად არ მტკიცდება (სემანტიკურ მხარეს რომ თავი დავანებოთ, ფონეტიკური მხარეა მოუგვარებელი)“, და სქოლიოში, სადაც დასახელებულია ამ საკითხთან დაკავშირებული ნ. მარისეული ნაშრომები (Н. Марр, Яфетическое происхождение армянского слова margarey “пророк”, ИАН.-1909: 1158; Термин “скиф”, Избр. работы. V. М.-Л.-1935: 42), გაკეთებულია კიდეც ერთი ასეთი შენიშვნა: „თვითონ „ვარსკვლავის“ ეტიმოლოგიაც, როგორც ცნობილია, დადგენილი არ არის“ (143, 1).

სინამდვილეში ეს საქმე („ვარსკვლავი=მერცხალი“) ნ. მართან ასე უბრალოდ და მთლად ასე არაა;

1909 წელს ნ. მარი „მერცხალს“ უკავშირებს „მეხს“: „mrk // mrq: მეყი mek -i (< meyk -i <*merk -i) – „ციალი, წამი“, აქედან

„მეყსეული“ mek-s-eul-i „ნამიერი, უეცარი“// მეხი meq-i (< meyq-i < *merq-i) – „ელვა“// merḥq-al-i (< merq̄-al-i) – „მერცხალი“ [მესამე ძირეული ბგერის (q) გაორებით (q>ḥ)?; იქვე, სემანტიკური ანალოგიისათვის დასახელებულია ებრ. deror („მერცხალი“), რომლის ფუძე, მეცნიერის აზრით, არის dir, რაც არაბულში აღნიშნავს „ციალს“ (ვარსკვლავისას), – გამოთქმაში: qavqabun durriyun (qavqab – ვარსკვლავი; durriy – ციალი).³

მეგრ. „მარჯიხოლი“ კი მიღებულიაო ასე: „mrḳ // mrq: სირ. barkā, არაბ. bark, ებრ. barak' – „ელვა“. *marq // *mark – „ვარსკვლავი“ // martiq-ol-i (*<martḳ-od-i) – „მერცხალი“ [მესამე ძირეული ბგერის (k) გაორებით (k>!k და k>q)].⁵

1918 წელს ნ. მარი შენიშნავს „ციალიცა და მერცხალიც წარმომდგარნი არიან ერთი და იმავე ძირიდან“.⁶

1922 წელს იგი ასკვნის: „martiqol („მერცხალი“) და „ვარსკვლავი“ ერთი ძირისაა; ეს სახელდობრ „ვარსკვლავია“; მისი ფუძე martq // marsk // varsk, ისე, როგორც mask // vask, აღნიშნავს „ვარსკვლავს“... muriq-ი („ვარსკვლავი“) იმავე marsk-ისა და მისი სახესხვაობების დიალექტური სახესხვაობაა და ესეც აღნიშნავს „ვარსკვლავსა“ და ფუძეს სიტყვისას „მერცხალი“.⁷

ამგვარია „მერცხალ-მარჯიხოლის“ ნ. მარისეული ეტიმოლოგია.

სრულიად სხვაგვარად და (ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად) ერთნაირად ეტიმოლოგირებულია ამ ფრინველის ქართულ-მეგრული სახელწოდება გ. ა. კლიმოვისა და ტ. გუდავას მიერ;⁸

მათი აზრით: მერცხალი (ასევე მარჯიხოლი) ხმამობაძვითი სახელწოდებაა, – ნაწარმოები ქართ. მე-, -ალ (< არ) და მეგრ. მა-, -ოლ პრეფიქს-სუფიქსით; ფუძეა (ტ. გუდავათი) მეგრულში: რჭიხ-/ჭირხ-, ქართულში, – რწიხ-/წირხ-, (გ. ა. კლიმოვით), rç,x-/ç,rx.

„მარჯიხოლ ფუძიდან თუ ამოვალთ, – წერს ტ. გუდავა, – ქართულში მისი ზუსტი ფონეტიკური შესატყვისი უნდა ყოფილიყო *მერწიხალ-, სწორედ ეს აღდგენილი ფორმაა ამოსავალი

ქართულისათვის; - რნიხ- მარცვალში ჩავარდნილია ი, ხოლო შემდგომ არაბუნებრივი ნხ კომპლექსი შეცვლილია ბუნებრივი (ჰარმონიული) ცხ კომპლექსით: *მერნიხალ → *მერნხალ → მერცხალ-... ამრიგად, მერცხალი ← მერნიხალი // მენირხალი ეტიმოლოგიურად „მოჭიკჭიკეს“ (რნიხ//ნირხ ხმის გამომცემს) ნიშნავს.

ფუძეში -რნიხ-/ -რჭიხ- რ ფონეტიკურად განვითარებული შეიძლება იყოს.⁹ ან კიდევ ფუძის შიგნიდან ნინ გადმოსმული (*ნირხ- → რნიხ, ჭირხ → რჭიხ). უფრო ბუნებრივი თითქოს ეს უკანასკნელი შესაძლებლობა ჩანს. ამის გათვალისწინებით: *მენირხ-ალ → *მე-რნიხ-ალ → * მე-რნხ-ალ → მე-რცხ-ალ-. მეგრულში მარჭიხოლის გვერდით მართლაც გვაქვს მაჭირხოლიც (ზუგდიდურ კილოკავში). ი. ყიფშიძე თავის ლექსიკონში ძირითად ფორმად სწორედ მაჭირხოლს ასახელებს“ (144).¹⁰

„ეს ხმამიბაძვითი ფუძე ჭირხ-, განაგრძნობს ტ. გუდავა, - (ქართ. ნირხ-ის ბადალი) დღემდე გვხვდება მერცხლის ჭიკჭიკის აღსანიშნავად მაგ. ხალხურ ლექსში:

მარჭიხოლი ჭირხოლია,
სკანი ბუდე მუ ლოლია...
(„მერცხალო მოჭიკჭიკევ,
შენი ბუდე რა უყავ“...).

სემანტიკური ანალოგიისათვის ტ. გუდავას მოჰყავს სომხ. ნინერნაკ („მერცხალი“), რომელშიც პირველად ფუძედ მიჩნეულია ხმამიბაძვითი წარმოების წერ.

ამ საკითხზე (როგორც უკვე ითქვა) ამავე აზრისაა გ. ა. კლიმოვიც; „მერცხალს“ ისიც (მეგრ. „ჭირხინის“ საფუძველზე) „ჭიკჭიკის, ულურჯულის“ მნიშვნელობის მქონე ზმნური ფუძიდან ნაწარმოებად თვლის, მე-, -ალ- აფიქსაციით და მაგალითად მოჰყავს „შოშია მარჭიხოლი“.

არც ერთი ეს ეტიმოლოგია (არც ნ. მარისეული და არც ორი-სუულქ') მე მისაღებად არ მიმაჩნია;

6. მარისეული იმიტომ, რომ იგი ფონეტიკურად არასწორია, ქართულსა და ქართველურ ენებს არ ახასიათებს: 1. $q > \dot{q}$, $k > \dot{k}$. 2. ჰარმონიულ კომპლექსში თანხმოვანთგამყარი ხმოვნის გაჩენა (ე. ი. შეუძლებელია $\{k > \dot{k}\}$), ორისეული იმის გამო, რომ ქართულში (ასევე ქართველურში) ფრინველის ხმაბაძვითი სახელწოდების ამგვარი აფიქსაციის მაგალითი არ მოიპოვება.¹²

თავიანთი ეტიმოლოგიისას გ. ა. კლიმოვი და ტ. გუდავა ამოდინ მებრული ფორმებიდან: მარჭიხოლ-ი / მაჭირხოლ-ი (ეს ფორმები ფიქსირებულია XX ს-ში);¹³ მაგრამ საქმე იმაში გაბლავთ, რომ „მერცხლის“ მებრული სახელწოდება მხოლოდ ამ ფორმებით არ ამოიწურება; არსებობს ფორმა „მაჭიხოლ“-იც, – ფიქსირებული XVII ს-ში.¹⁴

ჩემი აზრით „მერცხალ-ი / მაჭირხოლ-ი“ დაკავშირებულია საგანთან და არა ხმასთან [ისევე, როგორც მალალურ-ი (< *მა-ლალ-ორ-ი), ლელვთან].¹⁵

იგი ნაწარმოებია არა ზმნური ფუძიდან (როგორც ამას გ. ა. კლიმოვი და ტ. გუდავა ფიქრობენ), არამედ სავნის სახელიდან ციხე (<*ძიხე), ზან. ჯიხა;

ქართ. *მე-ძიხ-არ-ი = მებრ. *მა-ჯიხ-ორ-ი;

*მე-ძიხ-არ-ი > *მე-ძხ-არ-ი (ფუძეში ჩავარდა ი) > *მე-ცხ-არ-ი (არაბუნებრივი ძხ შეცვალა ბუნებრივმა ცხ-მ) > *მე-რცხ-არ-ი (ცხ კომპლექსის წინ განვითარდა რ)¹⁶ > მე-რცხ-ალ-ი (ორმა რ-მ ვერ იგუა ერთმანეთი).¹⁷

*მა-ჯიხ-ორ-ი > მა-ჭიხ-ოლ-ი²⁰ > მა-ჭირხ-ოლ-ი.²¹

რაიცა შეეხება სვან. მჟუიშხოლ-ს [„ნამგალ“ (Apus)], იგი მებრ. მაჭირხოლის სვანური გახმიანებაა: მა-ჭირხ-ოლ-ი > *მე-შიშხ-ოლ > მჟ-ჟიშხ-ოლ.

„მერცხლის“ ეს ჩემეული ეტიმოლოგია მით უფრო სარწმუნო გახდება, თუ წარმოვიდგენთ, ჯერ ერთი, მერცხლის ბუდის²² ადგილს (უმეტესად ქვიტკირის, აგურის შენობა; იშვიათად ციცაბო კლდის ქიმის ლლიავი, ეხი), მეორეც (რაც მთავარია), თვითონ მერცხლის ბუდეს, რომელიც ისევეა ნაგები, ვითარცა ბურჯი ციხისა.

ამასთან დაკავშირებით არანაკლებ საყურადღებოა ინდოევროპული *dheigh – „კედლის კეთება (თიხისაგან)” – (შდრ. ქართ. tixa, ზან. dixa).

ერთი სიტყვით:

მერცხალ-ის ფუძეა ციხე (< *ძიხე), მაჭირხოლ-ისა, -ჯიხა (> *ჭიხა) მე-, -ალ (< *არ) მა-, ოლ (<*ორ) აფიქსებია, მგჟიშხოლ (<*მგჟიშხოლ) მაჭირხოლის სვანური გახმიანებაა.

შენიშვნები

1. შატბერდის კრებული X საუკუნისა, გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა, თბ.,-1979: 190:16-17.
2. ნ. მართან *q* -ს გამეორების (*q>ჭq*) რთადერთი (ისიც სადავო მაგალითია ქართ. *riḥq w*, მეგრ. *goroḥq* (<*ჯოროḥq): *rq w > rḥq w*; იგი ამ სიტყვას (*riḥq w*, *raḥq a*, *goroḥq*) უკავშირებს არაბ. *ʔrraqa* -ს („დათარილება“), ებრ. *yareq* -ს („მთვარე“), *yeraq* -ს („თვე“), სირ. *iarḥa* -ს („თვე“)... (Н. Марр, Основные таблицы, СПб.-1908: 2.-1).

არნ. ჩიქობავათი და გ. ა. კლიმოვიტ ამ სიტყვის დაშლა და გაგება სრულიად სხვაგვარია:

„ჭან. კო-რო-ცხ-|| კო-რე-ცხ-

მეგრ. კო-რო-ცხ-

ქართ. რა-ცხ || რი-ცხ

კო-როცხ- შეესაბამება რაცხ-ს, კო-რეცხ-, -რიცხ-ს: კო სხვა ფუძეა (ავა-ერთი).

თვით რაცხ- // რიცხ-ში ძირეული უნდა იყოს -ცხ-, რა// რი თავსართები უნდა იყოს” (არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი, თბ., 1938: 297).

„*racx _ “считать”, груз. racx _ “считать”; მეგრ. *ko-gosx*; ჩან. *ko-(r)osx-*, *ko-gesx-* .

Занск. -*rosx* закономерно отвечает груз. форме.

Начальный элемент **-k₀**, видимо, восходит к префиксу взаимной версии **o_{ko}-**» (Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М., - 1964: 155).

k-ს გაორების (**k** >sk) მაგალითად ნ. მართან მოყვანილია **maršk-** (<*mark), რომლის სახესხვაობანია (მისი შრით) **marʃk** // **marʃq** (Н. Март, Яфетическое происхождение армянского слова margarey “пророк”, ИАН, СПб-1909: 1156-1158).

საერთოდ, ნ. მარის შრით, თანხმოვანთა ჰარმონიულ კომპლექსში განვითარებულია კომპლექსის პირველი წევრი: **წყ<ყ**, **ძლ<ღ**, **ცხ<ხ** და ა. შ. (Н. Март, ОТ, СПб-1908: 2-1).

არნ. ჩიქობავას მიხედვით საქმე პირიქითაა:

ც<ცხ, **ჩ<ჩხ**, **ც<ცქ**, **ჩ<ჩქ**, **წ<წკ**, **ტ<ტკ** და სხვ. (მაგ. ძეწვეი ← ძეწვი: ჯაჭვი) - (არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, ტფ.-1936: 18-19).

ასევე ფიქრობს გრ. ლაფანციანიც: „ზღუა“: ურარტ. **ʃue** (-tsue) > ***zua** > **zyua** (სომხ. **ჟოვ**); „სწავლა“: **sçavla** (<*savla): სომხ. **sovor-el**, დიალექტ. **savr-el** < **sarv-el**...

მისი შრით: „Из сравнительного изучения общего армяно-грузинского корнеслова мы можем установить то фонетическое положение, что армянский фонетический облик этих древних общих слов и корней отражает состояние звукового облика грузинского языка до пятого века н. э., т. е. до тех времен, когда грузинский язык еще не создал так называемых «дещесивных рядов» (по терминологии Г. Ахвледиани). Это подтверждается и древнейшими грузино-семантическими связями. Дело в том, что грузины, многие согласные, вероятно вследствие особого нажима языка при их артикуляции, как бы их раздваивают, прибавляя заднеязычный новый придаток (взрывными и фрикативами) и, например, из **ც(წ)** получается новое **ჭკ(წკ)** или **სქ(წყ)**, из **ჭ(ჭ)** новые **ჭკ(ჭკ)** или **ჭქ(ჭყ)**, из **ს(ც)** > **skh(ცქ)** или **სხ(ცხ)**, из **ს(ჩ)** > **სkh(ჩქ)** или **სხ(ჩხ)**, **dz(d)** > **dzγ(ძღ)**, **z(ზ)** > **zγ(ზღ)** или **zგ(ზგ)** и т. д.» (Гр. Капанцян, О взаимоотношении

არმანსკოგო ი ლაზო-მეგრელსკოგო ეზუკოვ, იან არმანსკოგო სსსრ - 1952: 8-9).

(საკოთხავია, საიდან, რა წყაროთი იცის ლაფანციანმა, ჯერ ერთი, V საუკუნის წინანდელი ქართულის „ბგერითი სახე“, მეორეც რატომ V საუკუნემდე არ ახასიათებდათ და რატომ მაინცადამაინც V საუკუნიდან დასწემდათ ქართველებს ეს ე. წ. „ნამეტანი ძალდატანება ენაზე“?!).

შემდეგ იგი გვაუწყებს, რომ ჰარმონიულ კომპლექსზე თითქოს მსგავსი აზრისა იყო ნ. მარიც, და ერთერთ საბუთად მოჰყავს „ნ. მარისეული“ მაგალითი: ქართ. *cxviri* (იზ **cviri*); ელამ. *siri*, სომხ. *caṙuk* (ძირია *ciṙ*), მნიშ. იგივე [იზ *ego* (იგულისხმება ნ. მარი) лекций, см. также ЗВО, XXII: 85].

მითითებულ წყაროში კი ვკითხულობთ: „*sir-i* (< *shir-i* // *k* *šqvir-i* < * *sqwir-i*) Картская форма сохранила второй коренной *q*, утраченный языком 2-й категории. К разновидности языка 2-й категории с потерей гортанного *q*, resp. спиранта *h*, восходит *хайское šar-uk* (<**sir-uk*)” (ЗВО. XXII, СПб-1915: 84-85; ხაზი ყველგან ჩემია. მ. მ.)

რას ნიშნავს ეს?!

ეს იმას ნიშნავს, რომ პირველადი ფორმა, ნ. მარის მიხედვით, არის * *shir-i* // *šqwir-i* (< * *sqwir-i*) და არა *sir-i* (ცალკე საკოთხია, რამდენად სწორია ამაში იგი!).

აქვე უნდა შევნიშნო: მე არ ვიცი, რას ქადაგებდა ნ. მარი თავის ლექციებში; ერთი კია, არავითარი გარანტია არაა იმისა, რომ ლაფანციანს ისევე არ ჰქონდეს გაგებული ნ. მარის ლექციებიც, როგორც ЗВО-ში დაბეჭდილი, ამ საკოთხთან დაკავშირებული მისი კონცეფცია ესმის.

ჰარმონიული კომპლექსის შესახებ უდავოდ საყურადღებოა ტ. გუდავას შენიშვნა: „ჩვეულებრივად, ჰარმონიულ კომპლექსებში მეორე (უკანაენისმიერი) ნევრი განვითარებულად ითვლება. აქა-იქ (უპირატესად ემოციურ-ხმაბაძვით სიტყვებში) ეს მართლაც ასე ჩანს. მაგრამ ამის განზოგადებას

- (და მტკიცებას – ჰარმონიულ კომპლექსთა მეორე წევრი ქართველურ ენებში ისტორიულად განვითარებულიაო) მნიშვნელოვანი დაბრკოლებები ხვდება" (იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. XIV, თბ. – 1964: 144-8).
3. ჩემს ამ ნაშრომში, აქ და ყველგან (სადაც კი ციტირებულია ნ. მარი) გამოყენებულია მისეული ლათინური ტრანსკრიფცია (იხ. Н. Марр, ОТ, СПД-1908: 17-1).
 4. ნ. მართან ეს სირიული, არაბული და ებრაული სიტყვები ტრანსკრიბირებული არაა.
 5. Н. Марр, Яфетическое происхождение армянского слово margarey “пророк”. ИАН. 1909: 1156-1158.
 6. Н. Я. Марр, Osetica Japhetica. ИАН-1918: 2097.
 7. Н. Я. Марр, Термин «скиф», Избр. работы, V, М.-Л.-1935: 42.
 8. Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков. М.,-1964: 132; ტ. გუდავა, მერცხალი: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XIV, თბ.,-1964: 143 (გ. ა. კლიმოვის წიგნი დასაბეჭდად ხელმონერილია 1963 წლის დეკემბერში, ტ. გუდავას ნაშრომის შემცველი ჟურნალი, – 1965-ის იანვარში).
 9. ტ. გუდავასათვის ცნობილი არაა „მაჭიხოლის“ წინარე, XVII საუკუნისჟამინდელი ფორმა „მაჭიხოლი“;
იგი რომ მას სცოდნოდა, რა თქმა უნდა, სათუოდ აღარ მიიჩნევდა -რწიხ-/ -რჭიხ- (-წირხ-/ -ჭირხ-) ფუძეში რ ბგერის განვითარებას (ფორმა „მაჭიხოლის“ შესახებ საუბარი იქნება ქვემოთ).
 10. „მერცხლის“ ტ. გუდავასეულ ეტიმოლოგიას მხარს უჭერს ფ. ერთელიშვილი: „მართებული ჩანს მოსაზრება მერცხალ // მარჭიხოლ – ფუძეთა თაობაზე: *წირხ → რწიხ, ჭირხ → რჭიხ. რ ანლაუტში მართლაც მეტათეზისის შედეგი ჩანს. ქართულში გვაქვს კიდევ ამოსავალი ფუძე დაცული, მაგრამ ზანური „იერიო: ჭრიხვა – კრუხვა, გურ. შარ; ჭრიხინი –

წიგნობთა და მისთანათა წმიანობა, საბა..." (ფ. ერთელიშვილი, ზმნური ფუძეების ფონეტიკური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბ.,-1970: 178-2).

11. „ორისეულს“ მე ვუნოდებ გ. ა. კლიმოვისეულ და ტ. გუდავასეულ ეტიმოლოგიებს.

12. ქართულში (და არა მარტო მასში) ფრინველთა ხმამიბაძვითი სახელწოდებანი, როგორც წესი, უმეტესად ფუძეორმაგია (ხან აფიქსთა გარეშე, ხან სუფიქსის ამარა):

კაჭკაჭ-ი, გუგუ-ლ-ი (<*გუგუ-ნ-ი), წიგნ-ბ-ი, ტურტურ-ი, კაკა-ბ-ი, ლულუ-ნ-ი. ოფოფ-ი... [არის ერთფუძიანებიც: როჭო, მწყერ-ი (< წყერ-ი), მტრედ-ი (< ტრედ-ი)...].

„ლულუნი“ რომ „ტრედის“ უძველესი სინონიმია, ეს სარწმუნოდ დაასაბუთა ნ. მარმა (იხ. Н. Я. Марр, ЯНДИР. СПб-1915: 940-941).

13. იხ. I. Кипшидзе, Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматией и словарем, СПб.-1914: 278.

შ. ბერიძესთან (გარდა ფორმებისა: მარჭიხოლი, მაჭირხოლი, რომლებსაც იგი დიალექტურებად თვლის) არის ფორმა მაჭირხოლი (შ. ბერიძე, მეგრული (ივერიული) ენა, შესავალი და მასალები, ხელნაწერის უფლებით, ტფ.-1920, 23).

ამავე ავტორთან, სენაკის მზრასში 1919 წელს ჩანერილ მასალაში, არის ლექსი (ავტორი მ. კანკავა), სადაც წერია: „შოშია მარჭიხოლი“ (150-21-25).

ეს „შოშია მარჭიხოლი“ გ. ა. კლიმოვის მიერ თარგმნილია, როგორც „соловей-пташка“ (Г. А. Климов, Этимологический словарь картвельских языков, М-1964: 132), რაც არაა სწორი, ვინაიდან „შოშია“ იგივე „შროშანია“ (sturnus vulgaris) და არა „ბულბული“ (Luscinia).

„შოშია მარჭიხოლი“ ფრიად საყურადღებო გამოთქმაა;

აქ „მარჭიხოლი“ (< მაჭირხოლი) შეუძლებელია ნიშნავდეს „შერცხალს“; მისი აქაური მნიშვნელობა უთუოდ „მოჭიჭიჭიკვა“ და იგი ამრიგად სინონიმია სხვა ლექსში არსებული

„ჭირხოლია“-სი („მარჭიხოლი ჭირხოლია“ – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XIV, თბ.-1964: 144); შდრ. ქართ. „მოჭიკჭიკე“ და „ჭიკჭიკა“, – სინონიმნი ერთმანეთისა.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ძველად მეგრულში მარჭიხოლი // მაჭირხოლი (< მაჭიხოლი) ზოგადად ენოდებოდა ყველა „მოჭიკჭიკე“ ფრინველს, – მერცხალი იყო იგი, შოშია, ბულბული თუ ნებისმიერი სხვა.

14. იხ. ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდისის სამთავროებისა (1466-1770 წწ.). I, ტექსტი გამოსცა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო შ. ბურჯანაძემ, თბ.-1958, 151 – „1640 წ., ალაპის წიგნი ლევან დადიანისა“ (აქ „მაჭიხოლი“ მამაკაცის საკუთარი სახელია); აღ. ლლონტი, ქართველური საკუთარი სახელები, თბ.-1967: 103 – „მაჭიხოლი // მაჭირხოლი“.

15. მა-ლალ-ურ-ი ზანურია; მისი ქართული შესატყვისია *მე-ლეღვ-არ-ი; სწორედ ამ „*მე-ლეღვ-არ“-იდანაა მიღებული „მელღვია“: *მე-ლეღვ-არ > *მე-ლეღვ-იაჲ [მოხდა ბოლოკიდური თანხმოვნის (რ) წინამავალი ხმოვნის (ა) პრეოციზაცია (შდრ.: ფორაქ > ფორიაქ-ი) და ბოლოკიდურ პოზიციაში (რ>ჲ)] > მე-ლეღვ-ია (დაიკარგა ა) – [ქართულში (როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ კილოებში) არაიშვიათი მოვლენაა ბოლოკიდურ პოზიციაში რ>ჲ და დაკარგვა ა-სი: როგო (<*როგოჲ<როგორ); რავა (<*რავაჲ<რავარ <რავარ)].

ასევე მე-, -არ პრეფიქს-სუფიქსით ნაწარმოებნი ჩანან: სვან. მე-შამბ-იაჲ (<*მე-შამბ-არ), მეგრ. მე-ფშალ-ია (<*მე-ფშალ-არ) // მა-ფშალ-ია (<*მა-ფშალ-არ) და სხვ.

ზ. სარჯველაძის აზრით: ძირი „მალალურისა“ არის „ლალ“-, რომელიც ზანური შესატყვისია ქართ „ლეღვ“-ძირისა, მალალური – „მელღვე“ (ზ. სარჯველაძე, ზანობები გურულში. 194: ნ. ბარათაშვილის სახელობის გორის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, X, გორის პედაგოგიური ინსტიტუტის გამოცემა, თბ.-1965: 539).

არადა, როგორც ცნობილია, ზანურში „ლეღვის“ შესატყვისად გვაქვს „ლული“; ჩემი აზრით, ეს ზანური ლული თვით ზანურის ნიადაგზე მიღებული უნდა იყოს ლალ-იდან (*ლალ>*ლოლ>ლულ-ი).

სხვაგვარად ფიქრობს არნ. ჩიქობავა: „ქართულში ძირეულია ლელ-, -ვ- (ძვ. ქართ. -უ) კი დეტერმინანტი-სუფიქსია. არც ჭანურში, არც მეგრულში ეს სუფიქსი არ გაგვარჩნია. უნდა ვიფიქროთ, რომ ის იყო და დაიკარგა; მისი კვალი უნდა ჩანდეს ძირეულ უ-ში; ქართ. ლელ-ის შესაბამისად უნდა გვქონოდა ლალ-, და თუ ლულ- გვაქვს, ეს ამ სადერმინანტო -უ-ს გავლენით უნდა იყოს“ (არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი. ტფ.-1938: 122).

16. „ციხე ← *ძიხე“ (არნ. ჩიქობავა, ჭან.-მეგრ.-ქართ. შედარებითი ლექსიკონი, ტფ.-1938:10).

„მეგრ.-ჭან: ჯიხა. ქართ. ციხე (<*ძიხე< *ძიხე) – (გ. მაჭავარიანი, საერთო-ქართველური კონსონანტური სისტემა, თბ.,-1965: 116).

ნ. მარი ქართ. ზი-ღე-ს, მეგრ. ღი-ღა-სა და ქართ. ზიღ-ს აკავშირებს ჩერემისულ ზიკ-თან („ქალაქი, სიმაგრე“) – (Н. Я. Марр, Извр. работы, V. 217).

გ. ა. კლიმოვს საინტერესოდ მიაჩნია „ციხის“ სიახლოვე ინდოევროპულ dheight-ესთან [„კედლის კეთება (თიხისაგან)“] – (Г. А. Климов, ЭСКЯ. М.-1964: 239).

17. შდრ.: *ბა-თიკ-ან → *ბა-თკ-ან → ბა-ტკ-ან- (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა. ტფ.-1937: 191-192; არნ. ჩიქობავა, სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბ.,-1942: 15; ვ. თოფურია, რედუქციისათვის ქართველურ ენებში: იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება. I, თბ.,-1946: 75).

18. შდრ.: ვეცხლი > ვერცხლი.

19. შდრ. სპ. სარდნარ > სარდალ-ი; *ბარდნარ-ი > ბარდნალ-ი და სხვ.
20. *მაჯიხორ-ის თვისებამ (ჭიკჭიკი) და მისმა ფონეტიკურმა სიახლოვემ მაჭიხოლ-თან [რომლის უძველესი მნიშვნელობა მეგრულში, როგორც უკვე ითქვა (იხ. შენიშვნა №14), არის „მოჭიკჭიკე“] განაპირობა *მაჭიხორ-ის გამაჭიხოლება.
21. ფუძეში განვითარდა რ [შდრ.: ჭირხინ-ი (< ჭიხვინ-ი); ვარყა (<ვაყა); ჭირქა (<ჭიქა)].
22. იგულისხმება **Hirundo rustica** და **Hirundo urbica** და არა (რა თქმა უნდა) **Hirundo riparia** ან **Hirundo bicolor** [ბუდე **Hirundo riparia**-სი ძირითადად წყლის პირას, თიხოვან, ქვიშიან ან ცარცოვან ფლატეში საკუთარი ძალისხმევით გამონათხარი სოროა (მეტრამდე სიღრმისა); **Hirundo bicolor**-ი (რომელიც მხოლოდ ამერიკაში გვარობს) ბუდეს იკეთებს ხეზე, – ხის ფულუროში (იხ. Птицы советского союза. VI. М.-1954: 685-693-718-729-733-752; Жизнь животных А. Э. Брема в трех томах. II. СПб: 96-97-98)].

ოდიშის სარდალი

... მსურინ შენთვისცა მცირედი ქება,
ვითა სხვანი მოწამენი ბრძანებენ...

ბესიცი

კაცნი ჩიჩუათა გვარისანი მხოლოდ გვიანდელი ხანის საბუთებში ჩანან:

რამაზ (XVII ს. პირველი ნახევარი).

ხახუ და კახაბერ (XVII ს. მეორე ნახევარი).

კაცია, გიორგი, შაქარი, მოგული, ჯგემორდილი და პეპუნა (XVII ს. მინურული)

პეპუნა (XVIII ს. პირველი ნახევარი).

ხახუ II და კაცია II (XVIII ს. მეორე ნახევარი).

გიორგი II, – ხახუ II–ის ძე, ლევან (ლეონ), ხახუ III, ლევან II, – დავითის ძე, პეპუ გიორგის ძე, ვახტა და გოგი დეისმას ძენი და კაცია III (XIX ს. პირველი ნახევარი).¹

ჩიჩუათა გვარი განსაკუთრებით დანიშნურდა ჩიქვანთა გადადიანებისთანავე (1704 წ.).²

ამ დროიდან ოდიშის მთავრის სახლთუხუცესნი არიან:

პეპუნა (XVIII ს. პირველი ნახევარი).

გიორგი II, – ხახუ II–ის ძე (1810 წ.).

ხახუ III (1812 წ.). ეს ხახუ ოდიშის სარდალიცაა!

ლევან დავითის ძე, – ძმისწული ხახუსი (1833 წ.).³

როგორც ვხედავთ:

XVIII ს. პირველი ნახევრიდან XIX ს. მეორე ნახევრამდე, ხახუ III ჩიჩუას გარდა, ოდიშის სარდლად არავენ ჩანს (არც ჩიჩუა და არც არაჩიჩუა)!

რაშია საქმე?!

ჩამოთვლილი სახლთუხუცესნი, ამავე დროს, იქნებ სარდლებიც იყვნენ?!

ამაში უჩვეულო არა არის რა! –

ხახუ III ამ მხრივ გამონაკლისს არ წარმოადგენს! –

იმავე ხანაში: ზურაბ წერეთელი იმერეთის სარდალიცაა და სახლთუხუცესიც.⁴

ასეა აქაც?!

ჯერ ვიკითხოთ:

ყველა არსებული წყაროა შესწავლილი და მაინც ასეთია მდგომარეობა?!

არა!

არა, და, აი, რატომ:

XVIII ს. მეორე ნახევარში ოდიშის სარდალია დევისმა⁵ ჩიჩუა!

რა წყაროთი?!

არსებობს ორი საბუთი!

ერთია:

ბესიკის პოემა „რუხის ბრძოლა“!

მეორე:

ოდისის სარდლის ბეჭედი!⁶

დავინწყით პოემით:

1780 წელს სოფელ რუხთან (ოდისი) მოხდა ბრძოლა აფხაზთა და ოდიშართა შორის.

ამ ბრძოლაში აფხაზთა ასაბიანი იყვნენ:

ჯიქნი, ალანნი, ზუხუა, მამუმა და სამურზაყანოელნი.

ოდისართანი:

სვანნი, ლეჩხუმელნი და იმერნი.⁷

აფხაზ – ჯიქ – ალან – ზუხუა – მამუმა – სამურზაყანოელთა გაერთიანებულ ლაშქარს სათავეში ედგნენ ძმანი შარვაშიძენი (ზურაბ, ლევან, ქელეშბეგ, ბექირ-ბეგ)⁸ და უჩარდია.

ოდისარ – სვან – ლეჩხუმელ – იმერთ სპას, – კაცია დადიანი და სოლომონ I, – თავიანთი დიდებულებითურთ (გიორგი დადიანის ძე, დევისმა ჩიჩუა, ზურაბ წერეთელი, გიორგი წულუკიძე, ელისბარ ქსნის ერისთვის ძე).⁹

იძლივნენ აფხაზნი.

ბესიკის პოემა სწორედ ამ ბრძოლას ეძღვნება.

პოემა ნახევრად სარკაზმია, ნახევრად – პანეგირიკი;

აქ ლანძღვაც უხვადაა და ხოტბაც:

ლანძღვის ობიექტნი არიან:

ძმანი შარვაშიძენი და უჩარდია.

ხოტბისანი:

სოლომონ I (იმერთ მეფე, – დისიძე კაცია დადიანისა),

კაცია დადიანი (ოდისის მთავარი),

ზურაბ წერეთელი (იმერეთის სარდალი და სახლთუხუცესი),

გიორგი წულუკიძე,

ელისბარ ქსნის ერისთვის ძე (სოლომონ I-ის სიძე)

და

დევისმა ჩიჩუა.

„მართლ რომელ შენი სახელი შენსავე ჭაბუკობასა შევნოდა და სამართლად თემთა ზედა დაისმა, ჩიჩოა გვარდიდო დევისმაო!

მსურინ შენტვისცა მცირედი ქება, ვითა სხვანი მონამენი ბრძანებენ:

მას დღეს მსგავსი ავთანდილის, შეჭურვილი ჯაჭვით, ზუჩით, კისკასი და მკლავუებრო მისდევს ხმლისა ხლარჩხლურით; ზოგნი ჩივან აფხაზები: „სით გავექცით, ვერ გარდურჩით! და ზოგთა წყლიდგან გამოითრეეს, ვით მეთევზე თევზს ლაყურით“.¹⁰

ვინაა ეს დევისმა?! –

რიგითი თავადი, თუ სახელოს მექონი?!

გადავიდეთ ბეჭედზე:

ეს ბეჭედი ჩვენი საოჯახო რელიკვიაა. საიდან მოხვდა ჩვენს ოჯახში. – არ ვიცი!

იგი მე პაპაჩემისაგან დამრჩა.

ბეჭედი ვერცხლისაა, მომცრო, თითზე წამოსაგები,¹¹ უზის სარდიონის რვაკუთხა თვალი, თვალზე ლამაზი მხედრულით ამოკვეთილია წარწერა:

სარდალი დევისმა მა² ჩიჩუა.

ეს ბეჭედი უთუოდ ბესიკის დევისმა ჩიჩუას ეკუთვნის, ეს დევისმა ჩიჩუა კი, – უთუოდ სარდალია ოდიშისა!

რატომაა ეს ბეჭედი მაინცდამაინც ბესიკის დევისმასი, და რატომაა ეს დევისმა ჩიჩუა, – მაინცდამაინც ოდიშის სარდალი და არა ლეჩხუმისა?!¹³

ბეჭედი, როგორც მისი წარწერა გვაუწყებს, სარდლისაა!

სარდლის რაკილაა, ამიტომ იგი, – უეჭველად დროის იმ მონაკვეთს ეკუთვნის, რომელიც იწყება XVII ს. 50-იანი წლებიდან და თავდება XIX ს. პირველ მეოთხედში¹⁴ (სარდლის სახელო დასავლეთ საქართველოში (იმერეთი, გურია, სამეგრელო) არსებობს XVII ს. მეორე ნახევრიდან XIX ს. მეორე ნახევრამდე, – არც უწინარეს, არც შემდგომ, – იგი არა ყოფილა).¹⁵

ამ ორი საუკუნის მანძილზე კი, – ჩანს მხოლოდ ერთი დევისმა ჩიჩუა, – ბესიკის პოემის გმირი.

ცნობილია აგრეთვე:

„ჩიჩუათა სახლს „ოდიშის სარდლის“ თანამდებობა მემკვიდრეობით ეჭირა“.¹⁶

ეს ორი ფაქტი:

პირველი:

XVII ს. მეორე ნახევრიდან XIX ს. მეორე ნახევრამდე ჩანს მხოლოდ ერთი დევისმა!

მეორე:

ოდიშის სარდლობა ძველთაგანვე ჩიჩუათა გვარის მემკვიდრეობითი სახელოა! –

საესებით ამტკიცებს:

ბეჭედი ეკუთვნის ბესიკის დევისმა ჩიჩუას და, ეს დევისმა ჩიჩუა სარდალია ოდიშისა (ოდიშისა და არა ლეჩხუმისა)!

კეთილი!

ახლა, იქნებ ამ დევისმა ჩიჩუას ნათესაური კავშირნიც დავადგინოთ!

როგორც დავინახეთ:

დევისმა ჩიჩუას სიცოცხლეში და, მისი სიცოცხლის ახლო-მახლო თერთმეტი ჩიჩუა ჩანს:

პეპუნა, ხახუ II, კაცია II, გიორგი II, – ძე ხახუსი, ვახტა და გოგი, – ძენი დეისმასი, ლევან, ხახუ III, ლევან II, – ძე დავითისა, კაცია III და პეპუ გიორგის ძე.

ამათგან დევისმა ჩიჩუა, – ძმა შვიძლება იყოს ნებისმიერისა, ძე, – მხოლოდ პეპუნასი,¹⁷ მამა – გოგისი და ვახტასი!

ვისი რაა?! –

მატიანე ღუმს!

ერთი ცხადია:

კაცია II-ის დადიანობაში (1757-1788) ოდიშის სარდალია დევისმა ჩიჩუა! –

ის დევისმა, რომლის სახელი, თავის დროზე, ბესიკის სიტყვით: „სამართლად თემთა ზედა დაისმა!“

შენიშვნები

1. დას. საქ. ისტორიით დაინტერესებულ მკვლევართათვის ჯერხანად ცნობილი არიან მხოლოდ ესენი. იხ. ო. სოსელია. „ნარკვ. ფეოდ. ხანის დას. საქ. სოც-პოლიტ. ისტორიიდან“, – თბილისი, 1973წ. – თავი XIV, გვ. 299 და სხვ.
2. ო. სოსელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 307.
3. ო. სოსელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 308.
4. ბესიცი, თხზულებანი (ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით), – თბილისი, 1962 წ. გვ. 190, 193.
5. სახელი „დევისმა“ იმდენად არაპოპულარულია ქართულ სამყაროში, რომ ბესიკის თხზულებათა რედაქტორებს (ალ. ბარამიძესა და ვ. თოფურიას), – დაეჭვებულთ ამ სახელის სახელობაში, იგი ლექსიკონში შეუტანიათ და არა სახელთა საძიებელში; დევისმა „კაცის სახელია“ (დ. ჩუბინაშვილის განმარტებით: №3723 ხელნაწერის 51 გვერდის არშიაზე) – ბესიცი, – თხზულებანი, – თბილისი, – 1962წ.).
თვით ის ფაქტი, რომ დ. ჩუბინაშვილს საჭიროდ ჩაუთვლია ამ სახელზე შენიშვნის გაკეთება, „დევისმას“, ვითარცა სახელის არაპოპულარობაზე მეტყველებს.
„დევისმა“ პირველად გიორგი ლეონიძეს შეაქვს ქართულ სახელთა სიაში. ეს სახელი, გ. ლეონიძის დამონმებით, გვხვდება აგრეთვე ალ. ლლონტის წიგნში „ქართ. საკუთ. სახელები“.
6. ამ ბეჭდის მიმართ უყურადღებობას ვერავის ვუსაყვედურებ: ბეჭედი დაცულია ჩემთან და მისი არსებობა მეცნიერთათვის უცნობია.
7. ნ. დადიანი, „ქართველთ ცხოვრება“ – თბილისი, 1962, გვ. 180.
8. ასეა ბესიკთან. ნ. დადიანთან: ლევანი ძმაა თუ არა ზურაბისა, – არ ჩანს. ქელაიშ-აჰმედბეგ და ბექირ-ბეგ ზურაბის ძმისწულნი არიან. ნ. დადიანი. დასახ. ნაშრომი, – გვ. 184, 203, 204, 267.
9. იხ. ბესიკის პოემა.
10. ბესიცი. დასახ. გამოცემა. გვ. 134.
11. ცნობილია უსათითურო საბეჭდავებიც.

12. რას ნიშნავს ეს „მა“?
 „მონას“? „მამას“?
 „მონას“ რომ ნიშნავდეს, აუცილებლად უნდა ახლდეს ტრადიციული მსაზღვრელი, – „ღმრთისა“.
 იქნებ „მამის“ ქარაგმაა?
 („მამად“, საბას მიხედვით, ღმრთისა და დედის ქმრის გარდა, ითქვიან: მოძღვარი, მღვდელი, აღმზრდელი, ოსტატი, გინა კაცი უხუცესი). ქვეყნის სარდალი რომ თავისი გვარის უფროსი (უხუცესი) ყოფილიყო, ამაში უჩვეულო არაფერია (მა ჩიჩუა-მამა ჩიჩუა-უხუცესი ჩიჩუა. „უხუცესი – დღით უწინდელი, გინა საქმით უფროსი“).
 მაგრამ არა, არც „მამაა“! –
 ვინაიდან სიტყვა „მამა“, – (არც სრულად და არც ქარაგმულად) თავისი არც ერთი მნიშვნელობით, არც ერთი საუკუნის, არც ერთ სხვა ბეჭედზე ამოკვეთილი არაა!
 იგი უფრო აქაქის უგულისყურობის ნაყოფსა ჰგავს, რისი გასწორებაც საჭიროდ აღარ უცენიათ; აქაქს, ჩანს, გულიდან გადავარდა, ზემო სტრიქონში რომ უკვე სრულად მოათავსა სახელი „დევისმა“, ეგონა, იქ მარტო „დევის“ დავატიეო, და, ამიტომ მომდევნო სტრიქონში კიდევ ამოკვეთა ზედმეტი „მა“ (ასოთა ანალოგიური ზედმეტობა იშვიათი არაა ქართულ სიგელ-გუჯრებში).
13. ოდიშში სარდლის ორი სახელო იყო: „ოდიშის სარდალი“ და „ლეჩხუმის სარდალ-მოურავ“-ო. სოსელია. დასახ. ნაშრომი. გვ. 306.
14. როდინდელობის დასადგენად საგულისხმოა თვით ფორმაც ბეჭდისა, – მისი რვაკუთხა თვალი: „XVIII საუკუნეში დასავლეთ საქართველოში ოთხკუთხა და უფრო რვაკუთხა ბეჭდები გვხვდება“. ა. ბაქრაძე, – „ქართული ბეჭდები“, – პალეოგრაფიული ძიებანი. თბილისი. 1969. II. გვ. 6.
15. ო. სოსელია, იქვე, გვ. 306, 308.
16. ო. სოსელია, იქვე, გვ. 301.

17. რატომ სხვისი არა?! –

ასაკით დევისმა შვილად მხოლოდ პეპუნას შეჰფერის!

პეპუნა 1738 წელს დაქორწინდა (ალბათ, 20 წლის მაინც იქნებოდა ამ დროს, თუ მეტის არა).

დანარჩენი ათი ჩიჩუა, – ზოგი დევისმას თაობისაა (ხახუ II, კაცია II), ზოგი (გიორგი II, გოგი, ვახტა, ლევან, ხახუ III, ლევან II, კაცია III, პეპუ), – მომღვენოსი!

თუ დავუშვებთ, რომ დევისმა ძეა პეპუნასი (პირმშო), მაშინ იგი იმერთა მეფის სოლომონ I-ის მამიდაშვილია მკვიდრი, და რუხის ბრძოლის დროს 40 წლისაა დაახლოებით (1738 წელს პეპუნა ჩიჩუა ცოლად ირთავს იმერთ მეფის ალექსანდრე V-ის დას, – თუთა ბატონიშვილს, ალექსანდრე V კი, – სოლომონ I-ის მამაა).

დეისმა / დევისმა (< დევისმამა)

30 წლის წინათ ჟურნალ „ცისკარში“ გამოუაქვეყნე ნარკვევი „ოდიშის სარდალი“ („ცისკარი“, 1973, №9, გვ. 129-132), სადაც სარდალის ბეჭდის სამსტრიქონიან ლეგენდაში („სარდალი დევისმა მა ჩიჩუა“) მესამე სტრიქონის „მა“ აქაქის შეცდომად მივიჩინე („აქაქს, ჩანს, გულიდან გადავარდა, ზემო სტრიქონში, რომ უკვე სრულად მოათავსა სახელი „დევისმა“, ეგონა, იქ მარტო „დევის“ დავატიეო, და, ამიტომ მომღვენო სტრიქონში კიდევ ამოკვეთა ზედმეტი „მა“ (შენიშვნა №13).

ჩემი ეს მოსაზრება განაპირობა იმან, რომ, ჩემთვის ხელმისაწვდომ, XVII-XVIII საუკუნეთა წერილობით წყაროებში მამაკაცის საკუთარი სახელი „დევისმამა“ არ ჩანს (ჩანს: „დეისმა“ / „დევისმა“).¹

დღეს, როცა ეს ნარკვევი ჩემს ოთხტომეულში შექმონდა, ჩემმა ასულმა, – ნანა მაჭავარიანმა (რომელიც ამ ოთხტომეულის რედაქტორია) ეჭვი შეიტანა ხსენებული ბეჭდის ლეგენდის ჩემულ გაგებაში;

მისი შრით, „დევისმა“ შეკვეცილი ფორმაა სახელისა „დევისმამა“ (ისევე, როგორც: ნოშრე – ნოშრევანისა, ვახტა – ვახტანგისა, აფრასი – აფრასიონისა...) და ეს სახელიც („დევისმამა“) სახელთა იმ კატეგორიას

ეკუთენის, რომელსაც: „მამისთვალი“, „მამისიმედი“, „დედისკეთილი“, „დედისიმედი“ და სხვ,

ჩემი ასულის ამ, ერთი შეხედვით, მართებული მოსაზრების ჩემგან გაზიარებას აბრკოლებდა მხოლოდ ის გარემოება, რომ სახელი „დევის-მამა“ XVII-XVIII საუკუნეთა წერილობით ნყარობებში (როგორც ზემოთ უკვე ითქვა) არ ჩანდა;

ახლა კი, როცა წინარე, XVI საუკუნის საბუთებში ამ სახელის („დევისმამა“) მსგავსი სახელნი აღმოჩნდა (კერძოდ: „დეისმამაური“ და „დედისმამა“)², – უკვე თამამად შეიძლება ითქვას:

აქუს არავითარი შეცდომა არ დაუშვია:

„დევისმამა“ სრული ფორმაა სახელისა „დევისმა“, „დეისმა“³ ფონეტიკური ვარიანტია „დევისმასი“.

შენიშვნები

1. იხ. ო. სოსელია, ნარკვ. ფეოდ. ხანის დას. საქ. სოც.-პოლიტ. ისტორიიდან, თბ., – 1973 წ., – გვ. 293, 294, 299 და სხვ.
ბესიცი, თხზულებანი, თბ., – 1962წ. გვ. 134, 6; 305.
2. იხ. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, II, თბ., – 1993 (გვ. 62, 65): „ნეველი დეისმამაური და მისი განაყოფი ვახუშტი აბაშიძემ შესწირა კაცხის მონასტერს (1550-1570 წწ.)“;
„დედისმამის ნაოხარი, გომფარ და როინ ჯავახიშვილების გაყრისას, ერგო გომფარს (1527-1558 წწ.)“.
3. მეგრ. დეი / ქართ. დევი (იხ. ოთარ ქავჯავია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. I, თბ., – 2001).

სარჩევი

ნავი.....	3
ნუშა.....	6
ვარცლი.....	10
კარჭაპა.....	13
კოპანო.....	15
კარაპა.....	18
სანდალი.....	19
ჭუამალდი.....	21
ხომალდი.....	22
კატარლა.....	25
დრომონი.....	27
სტოლი/სტოლა.....	28
პურკატა.....	30
კარაპითა.....	31
ოჩხომელი.....	32
ოლაჭკანდერი.....	34
ზარბუნა.....	37
ნავტიკი.....	38
ვაპორი.....	40
ტივი.....	41
კანჯო.....	42
ნავთ ნანილნი.....	44
ანძა.....	44
აფრა.....	48
აფქიო.....	51
აფთიონი/ტიმონი/პიდალიო/საჭე.....	53
ხოფი/ხოპი.....	56
ანკურა/ანკვირა.....	58
კავი.....	59
ლუზა.....	60
კესი.....	61
ორთაყვირი.....	64
კიჩო.....	65
ნავთ მნენი.....	67

ნავსე/ნავის მაშენებელი/კალაფატი.....	67
ნავკოლარი/ნავკოსალარი	69
მეპრორე	71
ეპივატი	73
მხერვალი.....	76
მპირველობი.....	78
ნავტე და ნავტური.....	80
მეაფქიოე	81
მენავე.....	83
მენავეთმოძღვარი.....	84
მენავეთმოღუანე.....	87
მესაჭე.....	88
ნავის-მავლინებელი/ნავის-მართებელი.....	89
ნავის-მოქმედი	90
ნავის-უფალი.....	92
კომიტი	93
ნიჩბისმცემელი.....	94
საჭეთ-მპყრობელი	97
ლიმენა/ნავთსადგური/ნავთსაყუდელი	98
სანავე	99
საგალი	101
დარუპილპილი	104
ტანტრაბეჩი.....	107
კალმახი.....	110
კალმახი (salmo trutta).....	110
კალმახა ბალახი (Verbascum thapsus).....	115
კალმახი (ტოპონიმი)	118
აპეური	121
ფუტკარი.....	126
სკა და სკა.....	130
სკა — [„ფუტკარი“].....	130
სკა („ფუტკრის სახლი“).....	132
ფუკა/ბუკი	133
ქოფე და ფსკაში ქოფე.....	134
პუტუჯი.....	135
სარაჭი/სარაჯი	136
მესკია	137
ჭიათურა	139
ზოდი	144

შხერო.....	148
გნოლი	163
ნაცრისფერი კაკაბი.....	165
ხოხობი	165
ბალრიყარა.....	165
თუთი	169
თუვი/თუი.....	170
تھن	179
რახიიდ	181
لوا	182
چل / چیل	185
ასკატა	236
ლრედი	302
ჩახრუხი.....	317
ნაუვი.....	339
მწყერმარჯილი.....	368
აგებარძი	399
ვარძია	402
არნივი	403
ყრბიუი	404
ჩაკალიფება.....	429
მცირე შენიშვნა „ჩაკალიფების“ შესახებ.....	430
ბრეტი / ბუზურა	430
ჭედი.....	435
როგო.....	437
კალმახა სოკო (Pleurotus ostreatus).....	438
მერცხალი.....	442
ოდიშის სარდალი.....	453
დეისმა / დევისმა (< დევისმამა).....	460